

სამრეწველ-ოკონომიური (კომერციული) განათლების დამხმარე კომისიის
გ ა მ თ ც ე მ ა

პროფ. კ. თ. ვეზერგი

საზინანსო შეცნიერება

თარგმანი კერძანულიდან

ს. ს. რ. კავშირის საფინანსო წყობილებისა და კანონმდებლობის დამატებით

ბ. ბამყრელიძისა

რ ე დ ა ქ ც ი ა

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილისა

თბილისი

1928



კერძო კრება ი. გრიშაშვილი -

სამრეწველო-კონტორი (კომერციული) განათლების დამხმარე უნივერსიტეტის
გ ა მ თ ე რ მ ა

კ. გრიშაშვილის
3.XI.28.

პროფ. კ. თ. ვეზერგი

საზინანსო შეცნობება

თატგვანი გერმანულიდან

ს. ს. ბ. კავშირის საფინანსო წყობილებისა და კანონმდებლობის დამატებით

გ. ვ ა მ მ რ ე ლ ი ძ ი ს ა

რ ე ღ ა ქ ც ი ა

პროფ. ფ. გოგინაიშვილისა

4248



ტფილისი
1928

წინასიტყვაობა

პროფ. ეებერგს აქვს „კურსი საფინანსო მეცნიერებისა“ („Finanzwissenschaft“), რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებული სახელმძღვანელოა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში (მე-19 გამოცემა 1922 წ.; თარგმნილია რუსულად 1913 წ.). გავრცელება უეჭველად ნაწარმოების ღირსებით აიხსნება, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ წიგნი მოკლედ (700 გვ.) და მარტივი ენითაა დაწერილი, საკამათო და, მაშასადამე, გადაუჭრელ პრობლემებს ნაკლებ შეიცავს და შინაარსის მხრივ სისტემატიურადაა აგებული.

1925 წელს ავტორმა ცალკე წიგნად გამოსცა ამ კურსის კონსპექტი (შემოკლებული სახელმძღვანელო) შემდეგის სათაურით: „Grundriss der Finanzwissenschaft“, რომელიც ერთი წლის შემდეგ მეორე გამოცემად გამოვიდა, ხოლო 1928 წელს—მესამე-მეოთხე გამოცემად.

წინამდებარე წიგნი ეებერგის ამ უკანასკნელი ნაწარმოების თარგმანს წარმოადგენს. იგი შეასრულა გ. გამყრელიძემ, რომელმაც, ჩემის ხელმძღვანელობით, შეადგინა აგრეთვე დამატებანი საბჭოთა კავშირის საფინანსო წყობილებისა და კანონმდებლობის შესახებ. ქართული ტექსტი ჩემ მიერ თავიდან ბოლომდე გასინჯული და შესწორებულია ორიგინალთან (დიდწილად მეოთხე გამოცემის ორიგინალთან) და საბჭოთა საკანონმდებლო აქტებთან შედარების საფუძველზე, ჩვენი საფინანსო კანონმდებლობიდან (1928 წლის ივნისამდე) წიგნში შეტანილია ყველაფერი არსებითად საჭირო, მაგრამ, რასაკვირველია, მოკლედ,—წიგნის თხელტანიანობასთან შეფარდებით.

ეს პატარა წიგნი, რა თქმა უნდა, ვერ ამოსწურავს საფინანსო მეცნიერებას საუნივერსიტეტო კურსის მოცულობით, მაგრამ, ვითარცა დამხმარე სახელმძღვანელო, უეჭველია, თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს საგნის განმეორებისას მოსწავლე ახალგაზდობას.

ფ. გოგიჩაიშვილი

ივნისი 1928 წ.

უინანსო

შესავალი

1. საფინანსო მეურნეობა.

	გვ.
§ 1. საფინანსო მეურნეობის არსი და ამოცანები	1
§ 2. ფინანსების კავშირი სახელმწიფოსთან	2
§ 3. საფინანსო მეურნეობის განსაკუთრებული ხასიათი	4

2. საფინანსო მეცნიერება.

§ 4. საფინანსო მეცნიერების ცნება და დანიშნულება	6
§ 5. საფინანსო მეცნიერების განწყობილება სხვა მეცნიერებათა მიმართ	8
§ 6. ლიტერატურა	9

1. ლი ნაწილი.

საჯარო ბიუჯეტი და საფინანსო მართვებობა

1. საჯარო ბიუჯეტი.

§ 7. ბიუჯეტი; არსი და სახეები ბიუჯეტისა	17
§ 8. ბიუჯეტის შედგენა	18
§ 9. მთავარი ბიუჯეტი, სპეციალი და დამატებითი ბიუჯეტი	29
§ 10. ბიუჯეტის დაყოფილობა (ფილიაცია)	20
§ 11. ბალანსი, დეფიციტი და გარდამეტი	22
§ 12. საფინანსო კანონი და მისი შესრულება	23
§ 13. სათემო ბიუჯეტი	25

2. საფინანსო მართვებობა.

§ 14. საფინანსო მართვებობის ორგანოები	29
§ 15. სალოგოები, ანგარიშწარმოება და კონტროლი	33

მე-2 ნაწილი.

საჯარო გასაწვლი

§ 16. არსი და მნიშვნელობა	42
§ 17. საფინანსო-პოლიტიკური თვალსაზრისი	44
§ 18. ვასავლის დანაწილება	45
§ 19. სათემო ხარჯები	51

მე-3 ნაწილი.

საჯარო შემოსავალი

§ 20. ცნება და დანაწილება 54

1-ლი თავი.

სამეურნეო შემოსავალი

§ 21. ცნება სამეურნეო შემოსავლისა 55
 § 22. დომენები; მიწები და ტყეები 57
 § 23. ცნობათა გადაცემის და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებანი 63
 § 24. სამრეწველო, საეკრო და სხვა სარეწაოები 67

მე-2 თავი.

ბაღასახადები

§ 25. არსი და სახეები 78

1. საფასურები.

§ 26. საფასურის ცნება და ნიშნეულობანი 78
 § 27. საფასურის სახეები 81

2. გამოსაღები.

§ 28. ცნება და სახეები 84

3. ხარკები.

ა. ზოგადი სახარკო მოძღვრება.

§ 29. ცნება ხარკისა, ხარკის მნიშვნელობა 86
 § 30. დაბეგვრის დასაბუთება და მიზანი 88
 § 31. სპეციალი სახარკო თერმინები 91
 § 32. ხარკების დანაწილება 93
 § 33. სახარკო სუვერენობა 96
 § 34. ზოგადი პრინციპები სახარკო საქმეში 108
 § 35. სამართლიანობა სახარკო საქმეში 111
 § 36. ხარკის გადაკისრება 119
 § 37. ერთადერთი ხარკი თუ—ხარკთა სისტემა 122
 § 38. ხარკის შეწერა და აკრეფა 127
 § 39. ღონისძიებანი სახარკო შემოსავლის უზრუნველსაყოფად 132

ბ. ცალკეული ხარკები.

1. საქონებო-საშემოსავლო ხარკები.

§ 40. შესავალი 135
 § 41. საადგილ-მამულო ხარკი 138
 § 42. შენობების (სახლების) ხარკი 146
 § 43. სარეწავი ხარკი 148
 § 44. კაპიტალის სარგებლის (რენტის) ხარკი 157
 § 45. შრომის შემოსავლიანობის ხარკი 160

2. საშემოსავლო ხარკოები

§ 46. საშემოსავლო ხარკის წინამორბედნი	161
§ 47. საერთო საშემოსავლო ხარკი	163

3. საქონებო ხარკი.

§ 48. საქონებო ხარკის არსი და სახეები	188
---------------------------------------	-----

4. შემოსავლის და ქონების სპეციალი ხარკები.

§ 49. შემოსავლის და ქონების ერთდროული ხარკი	192
§ 50. სხვა საგანგებო ხარკები	196
§ 51. ომის (ომის დროს მონაგების) ხარკები	203

5. ქონების მიმოქცევის ხარკი.

§ 52. ზოგადი შენიშვნები	205
§ 53. უძრავი ქონების მფლობელობის ცვლის (ადგილ-მამულის ყრდვა-გაყიდვის) ხარკი	208
§ 54. კაპიტალის მიმოქცევის ხარკი	212
§ 55. მოძრავი ქონების მიმოქცევის სხვა ხარკები	217
§ 56. მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკი	223

6. მოხმარების ხარკები.

§ 57. ცნება და დანაწილება	230
§ 58. მოხმარების ხარკთა მნიშვნელობა და შეფასება	239
§ 59. ფქვილის (პურის) და ხორცის ხარკი	241
§ 60. მარილის ხარკი	242
§ 61. შაქრის ხარკი	243
§ 62. სასმელების ხარკი	247
§ 63. თამბაქოს ხარკი	268
§ 64. ბრუნვის ხარკები	275
§ 65. სხვა არაპირდაპირი მოხმარების ხარკები	280
§ 66. მოხმარების პირდაპირი ხარკები	294
§ 67. ბაჟები	300

მე-4 ნაწილი.

საჯარო კრედიტი

1. დეფიციტი და მისი დაფარვა.

§ 68. დეფიციტი	304
§ 69. არაჩვეულებრივი ხარჯების დაფარვის საშუალებანი	305
§ 70. საჯარო კრედიტი საზოგადოდ და ვალის სახეები	307

2. მოკლევადიანი (გაუმარგებელი) ვალი.

§ 71. მოკლევადიანი ვალის ცნება და სახეები	311
§ 72. ქალაქის ფული	314

VIII

3. გრძელვადიანი (გამაგრებული) ვალი.

§ 73. არსი და სახეები	318
§ 74. დასაშრეტი სესხი	319
§ 75. სარენტო ვალი	320

4. ვალების მართველობა.

§ 76. სესხის აღება (ემისია) და მისი პირობები	322
§ 77. კონსოლიდაცია, კონვერსია და სარგებლის რედუქცია (შემცირება)	325
§ 78. ვალის დაშრეტა და სახელმწიფოს გაკოტრება	326
დამატება	337
ლიტერატურის მაჩვენებელი	345
ავტორთა და საგნობრივი საძიებელი	355

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. საფინანსო მეურნეობა

§ 1. საფინანსო მეურნეობის არსი და ამოცანები.—საჯარო-უფლებრივ კავშირებს თავიანთი ამოცანების შესრულება საზოგადოებისათვის სამსახურის გასაწევად მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუ მათ განკარგულებაში სამეურნეო სახსარი, შრომითი სამსახური და ნივთიერი დოვლათი მოიპოვება. ამ კავშირთა დაწესებულებანდ და მათი საქმიანობა ხარჯებს იწვევს, რაიც რომელიმე წყაროდან უნდა დაიფაროს. საფინანსო მეურნეობის ამოცანაა ხარჯების დასაფარავი სახსრის, ე. ი. თანამედროვე ხანაში საჭირო ფულადი თანხის მოპოვება მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის მისაცემად, მიწის ნაკვეთების, დაწესებულებათა შენობების და სხვა ნაგებობათა მოსაპოვებლად და შესანახად, სხვადასხვა სამეურნეო დარგთა და სულიერი კულტურის წარმატებისათვის ხელშესაწყობად. საფინანსო მეურნეობა არის კომპლექსი გეგმაზეწონილ მოწყობილობათა და ღონისძიებათა, რომელთა საშუალებით საჯარო კავშირები თავიანთი მოვალეობის ასასრულებლად საჭირო სახსარს მოიპოვებენ და განაგებენ. უპირველეს ყოვლისა, მათი საქმეა მართველობის ცალკე დარგთა ხარჯების განსაზღვრა და არსებული ფულადი თანხის მიზანშეწონილად გამოყენება. ამასთანავე კერძოდ საფინანსო მართველობის უფლება-მოვალეობაა საჯარო გასაავალის ოდენობისა და დანიშნულების გარკვევისას თავისი გავლენა გაატაროს იმ მხრივ, რომ ხარჯებსა და მოსალოდნელ შემოსავალს შორის წონასწორობა და ეკონომიური პრინციპი იქნეს დაცული.

მთლიან სახელმწიფოში საჯარო ხასიათის ამოცანების შემსრულებელნი არიან, საქმიანობის განსაზღვრული განაწილების საფუძველზე, თვით სახელმწიფო და თემები, თემთა კავშირებითურთ. ამის გამო თითოეულმა მათგანმა საკუთარი მეურნეო-

ბა უნდა აწარმოოს. შეერთებულ სახელმწიფოში, ე. ი. ისეთ სახელმწიფო-უფლებრივ ორგანიზმში, რომელიც რამდენიმე მეტნაკლებდამოუკიდებელ სახელმწიფოს კავშირს წარმოადგენს და საკუთარი სამოქმედო სფერო აქვს, თვით კავშირის სახელმწიფოც საკუთარ მეურნეობას აწარმოებს იმ ამოცანების შესაფერად, რომლებიც მას აქვს დაკისრებული. ამიტომ, მაგ., გერმანიაში სამკვარი საფინანსო მეურნეობა არსებობს, რომელსაც სათანადო ამოცანებისათვის საჭირო სახსართა მოპოება აქვს მიზნად: იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და მალალ-დაბალი საფეხურების თემური ორგანოების საფინანსო მეურნეობა.

§ 2. ფინანსების კავშირი სახელმწიფოს განვითარებასთან.

საჯარო კავშირების ფინანსების მდგომარეობაზე გადამკრელი გავლენა აქვს კულტურის, საზოგადოებრივი წყობილების, სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო წყობილების განსაზღვრულ მდგომარეობას და აგრეთვე მოვლენათა გარეგან მსვლელობას. ყოველივე ამას გავლენა აქვს როგორც გასავალზე, ისე შემოსავალზე.

რაც შეეხება ჯერ გასავალს, მისი ოდენობა დამოკიდებულია იმ მოთხოვნებზე, რომელთაც საზოგადოება უდგენს საჯარო ორგანოთა საქმიანობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გასავალი საუკუნეთა მსვლელობაში მუდმივ იზრდება. მრავალი საქმიანობა, რომელსაც წინად ეკლესია ან სხვა კავშირები ასრულებდნენ, როგორც, მაგ., სწავლა-განათლების და ლარიბთა მზრუნველობის საქმე, შემდეგში, რამდენადაც უფრო შეგნებულ იქნა მათი მნიშვნელობა და წინად არსებულ დაწესებულებათა ნაკლი, საჯარო ორგანოებს დაეკისრათ. ამას თან დაერთო მრავალი ახალი ამოცანა. გავიხსენოთ თუნდ მხოლოდ სახელმწიფოს და თემების თანამედროვე ამოცანები სახალხო მეურნეობის, სოციალური მზრუნველობისა და კეთილდღეობის დარგებში. სახელმწიფო წყობილების და მართვების, ლაშქრისა და მთავრობის ორგანიზაცია, მართლმსაჯულების წარმოება და სხვ. სხვადასხვა დროსა და ადგილს მეტნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. სახელმწიფოს და თემების გასავლის ურთიერთ დამოკიდებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის გარემოება, თუ როგორაა მათ შორის დანაწილებული ამოცანები. სადაც თემებს მრავალი და მნიშვნელოვანი საჯარო ამოცანების შესრულება აქვთ დაკისრებული, სახელმწიფოს გასავლის ბიუჯეტი უფრო მცირეა, ვიდრე ფართო ცენტრალიზაციის დროს. შეერთებულ სახელმწიფოში (საკავშირო სახელმწიფოსა და სხვა მსგავს გაერთიანებაში) გასავლის დანაწილება იმაზეა დამოკიდებული, თუ

რა საჯარო ამოცანები ეკისრება გაერთიანებულ სახელმწიფოს და რა ამოცანები რჩებათ მის წევრებს. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ რა ფორმისაა სახელმწიფო. ზოგიერთი გასავალი გადაწყვეტადმოიწევა იმის მიხედვით, სახელმწიფოს სათავეში აბსოლუტური მონარქია დგას თუ კონსტიტუციური ან რესპუბლიკანური წყობილებაა დამყარებული. საზოგადოებრივ წყობილებას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ გაბატონებული კლასებთ ცდილობენ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე მათი ინტერესებისათვის. უპირატესობის მისაცემად, საფინანსო მეურნეობის სახსართა საშუალებით. საგარეო-პოლიტიკური მოვლენებისა და ურთიერთობათა მხრივ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ფინანსებზე ღრმა კვალს აჩნევს მისი ოდენობა და მდებარეობა, საზღვრების შეტანაკლები უზრუნველყოფა, მისი ხვედრი მსოფლიო მეურნეობასა და მსოფლიო ალებშიცემაში, ომიანობა, ომში მისი გამარჯვება თუ დამარცხება.

იგივე მიზეზები, რომელთაც გავლენა აქვთ გასავალზე, ნაწილობრივ განსაზღვრავენ შემოსავლის სახესა და ოდენობასაც, აგრეთვე — გადამხდელთაგან იძულების გზით ასაღებ გადასახადთა ტვირთის განაწილებასაც. მაშინ როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინა ეპოქებში მთავრის საკუთარი საადგილმამულო ან სახელმწიფო საადგილმამულო შემოსავალი საკმაო იყო შედარებით მცირე, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფოს გაზრდილ-გაფართოებული საქმიანობის ხანაში ეს შემოსავალი ჟეკე აღარაა საკმაო. მას თანდათან ემატება საჯარო ორგანოების მიერ აღებული ჩამონაკვეთი იმათი ქონებისა და შემოსავლიდან, რომელნიც მის სუვერენობას ექვემდებარებიან. ამრიგად წარმოიშვა გადასახადთა მრავალგვარი ფორმა, რომელთა ოდენობა-დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე, სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებაზე, კაპიტალებსა და შრომით შემოსავალზე, მოკლედ, — სახალხო შემოსავლისა და ქონების ოდენობაზე. ამასთან ერთად სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას მნიშვნელობა აქვს იძულებითი გადასახადების განაწილების მხრივ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ცალკე ჯგუფებსა და კლასებს შორის. რაც უფრო დიდია წოდებრივი განსხვავება, ცალმხრივია ძალა-უფლებრივი ურთიერთობანი, განუვითარებულად და ბუნდოვანია სამართლიანობისა და ზნეობის იდეები, მით უფრო არათანაბარია ტვირთის განაწილება. ისეთ ქვეყნებში, რომელნიც მეზობლებთან მეტოქეობის გამო ან მსოფლიო მნიშვნელო-

ბის მოპოება-შენარჩუნებისათვის იძულებული არიან დიდი ხარჯები გასწიონ ლაშქარსა და ფლოტზე, ან რომელთაც ტვირთად აწევთ მათთვის უბედურად დამთავრებული ომის შედეგები, ხარჯები შეიძლება ისე გაიზარდოს, რომ ძნელად ასატან ტვირთად გადაიქცეს, ან, რეგულიარულ შემოსავალთა არასაკმარისობის გამო, ვალებმა სახელმწიფოსათვის სასიფათო ოდენობას მიაღწიოს.

§ 3. საფინანსო მეურნეობის განსაკუთრებული ხასიათი.— კერძო და საჯარო მეურნეობას ზოგი მიმართულების ხაზი საერთო აქვთ; სახელდობრ, ამ უკანასკნელისგანაც მოითხოვება, რომ იგი, კერძო მეურნეობის მსგავსად, სამეურნეო პრინციპის თანახმად იქნეს წარმოებული, ე. ი. იმგვარად, რომ უმცირესი ხარჯის გაღებით უდიდესი შედეგი მიიღებოდეს. მაგრამ კერძო და საჯარო მეურნეობას შორის პრინციპიალი განსხვავებანიც არსებობენ, რომელთაგანაც უმთავრესი შემდეგია:

1. სახელმწიფოს და სხვა საჯარო ორგანოთა უმნიშვნელოვანეს შემოსავლის წყაროდ დროთა ვითარებაში შეიქმნა იძულებითი შექცენა, ე. ი. უფლება კერძო მეურნეობათაგან, საჯარო-უფლებრივი გადასახადების (ხარკების და საფასურების) საშუალებით, საფინანსო მეურნეობის წარმართვისათვის საჭირო სახსართა აღებისა. მართალია, საჯარო ორგანოებს აგრეთვე შემოსავლიანი ქონებაც მოეპოებათ (მიწები, სამრეწველო და სააღებმიცემო სარეწაონი და სხვ.), რომლის წმინდა შემოსავალი შესაძლებელია საჯარო ხარჯების დასაფარავად იქნეს გამოყენებული; მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ გზით ხარჯების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იფარება და რომ იძულებით შექცენას, რაც დრო მიდის, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

2. საჯარო ორგანოთა მიერ გაწეული სამსახური უმთავრესად არამატერიალური ხასიათისაა, როგორც, მაგ., უფლებრივი დაცვა, მშვიდობიანობისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, სწავლა-განათლებისათვის ხელისშეწყობა. მას არა აქვს საბაზრო ფასი და შეუძლებელია გაიზომოს ის სარგებლიანობა, რომელსაც მისგან თითოეული ადამიანი იღებს. სპეციალური ნაცვალგების პრინციპის ადგილს, რომელიც საზოგადოდ სამეურნეო ცხოვრებაშია გაბატონებული, აქ ზოგადი ნაცვალგების პრინციპი იჭერს; არამატერიალური სამსახურის დასაფარავ სახსართა განაწილება უნდა მოხდეს განაწილების ზოგადი საზომის საფუძველით, და ასეთ საზომად დღეს მიჩნეულია გადამხდელობითი უნარიანობა პიროვნებათა, რომელნიც სახარკო ხელისუფლებას ექვემდებარებიან.

რამდენადაც ამა თუ იმ საჯარო სამსახურს ცალკე პირთა და კლასებისათვის ცხადი სარგებლობა მოაქვს და ამ სამსახურის გაზომვაც შესაძლებელია, სამართლიანობა მოითხოვს ამისათვის სპეციალი ნაცვალგება იქნეს აღებული საფასურებისა და გამოსაღებთა სახით (იხ. §§ 26—28).

იმ ფაქტიდან, რომ საჯარო კავშირების სამსახურთა უდიდესი ნაწილი არამატერიალური ხასიათისაა, გამომდინარეობს საფინანსო მეურნეობის შემდეგი თავისებურობაც. კერძო მეურნეობაში შესაძლებელია გამოყვანილ იქნას ციფრითი ბალანსი გაწეულ ხარჯებსა და მიღებულ შედეგებს შორის; საფინანსო მეურნეობაში კი ეს არაა შესაძლებელი. აქ გასავლის და შემოსავლის ერთმანეთთან დაპირისპირება შესაძლებელია, მაგრამ გაწეული ხარჯების და მიღებულ შედეგებისა კი—არა. რა ზომის შედეგი მოჰყვება აქ გასავალს, შეეფერება თუ არა საჯარო სამსახურის ფასეულობა ხარკვალდებულთა დაბეგვრას,—ამის ობიექტიურად შეფასება შეუძლებელია.

3. გასავლის უპირატესი მნიშვნელობა საფინანსო მეურნეობაში ჰქმნის სხვაგვარ განსხვავებასაც საფინანსო და კერძო მეურნეობას შორის. უკანასკნელში ხარჯები შემოსავალზეა დამოკიდებული; საფინანსო მეურნეობაში კი არსებითად საჭიროება განსაზღვრავს ხარჯების დასაფარავ საშუალებათა ოდენობას. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე ის, რომ, უკეთეს კერძო მეურნეობაში შეძენისადმი სწრაფვა უსაზღვროა, საჯარო კავშირების საშემოსავლო მეურნეობა თავის საზღვარს ჰპოებს სწორედ საჭირო ხარჯების ოდენობაში, ვინაიდან არც ერთ საჯარო კავშირს არა აქვს უფლება გადამხდელთ იმაზე მეტი ხარკი დააკისროს, რაც ხარჯების დასაფარავად არის საჭირო. ეს დებულება, რომ ხარჯები არის განმსაზღვრელი შემოსავლისა, იმგვარად არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოველი ხარჯისათვის, რომლის გაწევასაც მართველობის რომელიმე დარგი მოითხოვს, უეჭველად მზად უნდა იყოს შემოსავალი; პირიქით, საჭიროა ხარჯების აუცილებლობა და სარგებლიანობა გულდასმით იქნეს გასინჯული და მათი საერთო ოდენობა სახალხო მეურნეობის ტვირთზიდვის უნარიანობასთან შეთანხმებული.

4. საფინანსო მეურნეობის შემდეგი თავისებურობა გამომდინარეობს საჯარო კავშირების უსაზღვრო ხანგრძლივობის იდეიდან. ეს თავისებურობა ორი მიმართულებით გამოისახება. ერთის მხრივ სიმდიდრის დაგროვებისა, ხოლო მეორეს მხრივ—ვალების საკითხში. მაშინ როდესაც წინდახედული კერძო მეურნე ქონების დაგროვებას ცდილობს, რათა თავისი სიცოცხლის

და მეურნეობის ცვალებად გარემოებებში უზრუნველყოფილი იყოს, საჯარო მეურნეობაში ეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, არც საჭიროა და არც სასარგებლო. არაა საჭირო, ვინაიდან საჯარო კავშირებს მუდამ აქვთ შესაძლებლობა აიღონ წილი ხარკვალდებულთა შემოსავლიდან და ქონებიდან, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში სესხსაც მიმართონ; ხოლო არაა სასარგებლო, ვინაიდან ხარკების საშუალებით სახელმწიფოს მარაგის დაგროვება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ცხოვრების დონის ან კაპიტალის დაგროვების ხარჯზე. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ საგანგებო მიზნებისა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებისათვის შემოსავალთა გარდამეტიდან და იოლ ხარკებიდან მარაგი შეიქმნას. დიდი სახელმწიფო ქონების დაგროვება, რომელსაც წინა საუკუნეებში განსაკუთრებით ომიანობის მიზნით მიმართავდნენ და რაც იმ დროში, როცა მოსახლეობის გადამხდელობითი უნარი მცირე იყო და შესაფერი საკრედიტო დაწესებულებები არ არსებობდა, მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა, ამჟამად მით უფრო ნაკლებ არის საჭირო, რამდენადაც თითოეულ ეკონომიურად მოწესრიგებულ სახელმწიფოს შეუძლია ვალი აიღოს იმ არაჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად, რომელთა ზომა აწინდელი თაობის გადამხდელობით უნარს აღემატება. საჯარო კავშირთა ხანგრძლივი არსებობა ამართლებს მათ მიერ სესხის აღებას და, მაშასადამე, მომავალი თაობის დატვირთვას ვალის სარგებლითა და დასაშრეტი ხვედრით, უკეთუ ხარჯი, რომელიც ამ სესხით იფარება, მომავალი თაობის კეთილდღეობასაც ემსახურება.

2. საფინანსო მეცნიერება

§ 4. საფინანსო მეცნიერების ცნება და დანიშნულება. — საფინანსო მეურნეობის ხელმძღვანელობა ისე, რომ იგი თავის დანიშნულებას ამართლებდეს, საფინანსო მართველობის საქმეს შეადგენს. ესევე მიზანი, უფრო ფართოდ წარმოდგენილი, შეადგენს ძაგანს საფინანსო პოლიტიკისას. საფინანსო პოლიტიკა, საერთო სახელმწიფო ან სათემო პოლიტიკის ფარგალში, განიხილავს განსახორციელებლად განზრახულ ღონისძიებათა სარგებლიანობასა და მავნებლობას, მათ ზეგავლენას სამეურნეო ცხოვრებასა და ფინანსებზე და აორჩევს იმ საშუალებებსა და გზებს, რომელნიც მოცუ-

მულ პირობებში უდიდესი შედეგების მოცემის იმედს იძლევიან. განსაკუთრებით ის ზრუნავს საჯარო მოთხოვნილებათა მიზანშეწონილად და ეკონომიურად დაკმაყოფილებისათვის.

საფინანსო მეცნიერების ამოცანა კი, პირიქით, მასში მდგომარეობს, რომ საფინანსო-სამეურნეო დაწესებულებებსა და ლონისძიებებს დაუკვირდეს, აღწეროს და სისტემატიურად და მეთოდურად დააღაგოს. ამასთან ის მოვლენათა მიზეზებსაც იკვლევს, მათ შინაგან კავშირს ააშკარავებს, სხვადასხვა საფინანსო მეურნეობათა ერთმანეთთან შედარების საშუალებით მათ მსგავსებასა და განსხვავებას გვაცნობს და ამის საფუძველს ნათელყოფს. იგი ცდილობს აგრეთვე, მოპოებული ცოდნა დასკვნებსა და დებულებებში მოაქციოს და არსებულ დაწესებულებათა მიზანშეწონილობა გაარკვიოს. ამით ის კანონმდებლობასა და საფინანსო პოლიტიკას მეტად ძვირფას სამსახურს უწევს წინსვლისა და გაუმჯობესებისათვის.

ამგვარად, საფინანსო მეცნიერება არის მოძღვრება შესახებ საფინანსო მეურნეობისა და შეიცავს იმ პრინციპების სისტემატიურ გადმოკვმას, რომლებზეც აგებულია საფინანსო მეურნეობა და, მაშასადამე, რომელთა მიხედვით სახელმწიფო და სხვა საჯარო კავშირები თავიანთ მიზანთა მისაღწევად ნივთიერ დოვლათს მოიპოებენ და გამოიყენებენ.

რამდენიმე ათეული წლის წინად საფინანსო მეცნიერება მართო სახელმწიფო ფინანსების განხილვით კმაყოფილდებოდა. მაგრამ თემებმა, უპირველეს ყოვლისა კი დიდმა ქალაქებმა, ახალ დროში თავიანთი საქმიანობის სფერო, ნაწილობრივ სახელმწიფოს დავალებით, ნაწილობრივ კი თვითვე, — თავის ნებით, არაჩვეულებრივად გააფართოეს. ამისდა მიხედვით მათი ამოცანები და გადამხდელებისაგან სახსართა მოთხოვნის საჭიროება დიდად გაიზარდა. და ვინაიდან სახელმწიფომ და თემებმა გადასახადი საბოლოოდ ერთიდამავე წყაროდან უნდა მიიღონ, ამიტომ აუცილებელია განსაზღვრული გამიჯვნა მოთხოვნილებათა. დასაფარავ საშუალებებისა ორივეგვარ საფინანსო მეურნეობაში და ამ მხრივ განწყობილების გათვალისწინება და გარკვევა საფინანსო მეცნიერებაში. კერძოდ გერმანიის ფინანსებისათვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საფინანსო კომპეტენციების გადანაცვლებას იმპერიასა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რომელიც უკანასკნელი დროის პოლიტიკურმა ცვლილებამ მოგვცა როგორც გასავალის, ისე შემოსავლის ნაწილში. გერმანიის საფინანსო დაწესებულებათა და ლონის-

ძიებათა განხილვისას საიმპერიო ფინანსებს ამჟამად პირველი ადგილი ეკუთვნის.

§ 5. საფინანსო მეცნიერების განწყობილება სხვა მეცნიერებათა მიმართ.— 1. საფინანსო მეცნიერება ერთ-ერთი დარგია სახელმწიფო მეცნიერებათა, — იმ მეცნიერებათა, რომელნიც საჯარო კავშირების უფლებრივ, პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობას არკვევენ. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაშია საფინანსო მეცნიერება ერთის მხრივ პოლიტიკურ ეკონომიასთან, ხოლო მეორეს მხრივ იმ დისციპლინებთან, რომელთაც მართვა-გამგეობის შესწავლა აქვთ საგნად. საფინანსო მეცნიერების შესწავლისათვის საჭიროა წინასწარ ზოგადი და სპეციალი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლიანად შესწავლა. მრავალ ცნებას, რომელთაც საქმე აქვს საფინანსო მეცნიერებას: შემოსავალი, ქონება, საერთო ფასეულობა, შემოსავლიანობითი ფასეულობა, — ზოგად პოლიტიკურ ეკონომიაში ეძლევა ახსნა-განმარტება. გადაკისრების პრობლემას მხოლოდ მეტოქეობისა და საფასო ბრძოლის ცოდნა ხდის გასაგებად. პოლიტიკური ეკონომია გაგვიმარტავს იმ საშიშროებას, რომელიც ახლავს შემავიწროებელ და ცალმხრივ დაბეგვრას და გვიხსნის სოციალური პოლიტიკის მოთხოვნილებების მხედველობაში მიღების საჭიროებას. სპეციალ პოლიტიკურ ეკონომიასთან საფინანსო მეცნიერებას კავშირი აქვს შემოსავლის ისეთი სფეროს განხილვისას, საცა საჯარო ორგანოები კერძო მეურნეობასთან აწარმოებენ მეტოქეობას, ანდა მონოპოლიის დაწესებით კერძო მრეწველობის მეტოქეობას სპობენ, მხოლოდ — არა დიდი წმინდა შემოსავლის მიღების მიზნით, არამედ — უფრო საზოგადო ინტერესის დაკმაყოფილებისათვის (სამთამადნო საქმე, მიმოსვლა-მიმოხიდვის საშუალებანი, აირის და ელექტრონის კომუნალური სარეწაოები და სხვ.). მეორეს მხრივ სახალხო-სამეურნეო პოლიტიკა და მართვა-გამგეობის სამეცნიერო დისციპლინები გვიკვლევენ აგრეთვე, თუ რა ზომის ფულადი სახსარი ესაჭიროებათ საჯარო კავშირებს თავიანთი ამოცანების განსახორციელებლად.

2. საფინანსო მეცნიერებიდან წარმოიშვა რამდენიმე დისციპლინა, რომელთა მიზანია განსაზღვრული ფინანსური ფაქტები და მოვლენანი ცალკე გამოიკვლიონ და დაალაგონ. საფინანსო აღწერა სახელმწიფოს ან თემის ფინანსების მდგომარეობას გვაცნობს განსაზღვრულ პერიოდში, ფორმალური და მატერიალურის მხრივ. საფინანსო ისტორია წარსული დროის ფინანსების მდგომარეობას აგვიწერს. საფინანსო სამართალი იძლევა სისტემა-

ტიურად აგებულ სურათს კანონმდებლობისას, რომელიც საფინანსო მეურნეობას, საფინანსო მართველობის ორგანიზაციას, საფასურებს, ხარკებს, ვალებს და სხვ. შეეხება. საფინანსო სტატისტიკის ამოცანაა რიცხვებრივად გამოსახვა ფინანსიური ფაქტების და მოვლენებისა. ამ დამხმარე დისციპლინათა მნიშვნელობა საფინანსო მეცნიერებისათვის ეჭვს გარეშეა: ისინი, რამდენადაც თავიანთ დანიშნულებას ამართლებენ, აწვდიან მას გაცხრილულ მასალას, რომელიც ცოდნის გაღრმავებასა და თეორიის დასაბუთებას არსებით დახმარებას უწევს.

§ 6. ლიტერატურა.— გამოკვლევები საფინანსო მეცნიერების პრობლემათა შესახებ პირველად მე-15 საუკუნიდან იწყება. სანამ სახელმწიფოთა შემოსავალი დომენებისა და ფისკალურ სუვერენულ უფლებებიდან (რეგალები), საგზაო, ხიდის, ჭიშკრის, ბაზრის ფულიდან და სხვ. მსგავს გამოსაღებებიდან შესდგებოდა, საერთო ინტერესი საფინ. პრობლემებისადმი მცირე იყო. მხოლოდ მე-16 საუკუნიდან სახელმწიფოს მიზნების გაფართოებამ, მუდმივი ჯარისა და ახლად წარმოდგარი მოხელეთა აპარატისათვის სახსართა მოპოების საჭიროებამ და, ნაცვლად წინანდელი წესისა, როცა ხარკებს თითქმის მხოლოდ საგანგებო შემთხვევების გამო აწესებდნენ, ხარკთა მუდმივ დაწესებულებად გარდაქმნის აუცილებლობამ—გამოიწვია საფინანსო საკითხებისადმი ინტერესის გადიდება. ამ საკითხებიდან უმთავრესია სახარკო საქმე, რომელიც იმთავითვე შეიქნა კვლევის საგნად, თუმცა ამ კვლევა-ძიებას აკლდა გარკვეულობა და სწორი შეცნობა ხარკის არსისა. გერმანიასა და სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე ამგვარ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ ფლორენციაში, ნეაპოლში და იტალიის სხვა ნაწილებში. ისტორიული პირობებით აიხსნება ეს: სადაც მე-15 საუკუნეში სიმდიდრემ, ხელოვნებამ და ლიტერატურამ უმაღლეს აყვავებას მიაღწია, პირველი თხზულებებიც მართველობის, სახელმწიფო სამართლის და ფინანსების შესახებ იქ წარმოიშვა. ასეთ თხზულებათა ავტორები არიან კარაფა, გიჩარდინი, პალმიერი, გეტტი. მე-16 და მე-17 საუკუნეებში აგრეთვე საფრანგეთსა და გერმანიაშიც იწყებენ საფინანსო მეურნეობის საკითხების განხილვას, ნაწილობრივ სახელმწიფო სამართლისა და პოლიტიკური ხასიათის დიდ თხზულებებში, როგორც, მაგ., ფრანგები ივ. ბოდენი და გრიგ. ტულუზელი, იტალიელი—ბოტერო, სტრასბურგელი იურისტი ობრეხტი; ნაწილობრივ კი—სპეციალურ შრომებში, როგორც, მაგ., გერმანელები—ბორნიცი, ბეზოლდი და კლოკი, რომელთაგან პირველმა ორმა „De aerario“-ს სახელწოდებ-

ბით საფინანსო მეცნიერების თავისებური მოკლე სახელმძღვანელო მოგვცა. მე-17 საუკუნეში საფინანსო მეურნეობის საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებენ ინგლისელები და ნიდერლანდელებიც, პირველთაგან—ჰობზსი, პეტტი და ლოკი, უკანასკნელთაგან—ბოკსჰორნი და ძმები დელაკურტები. მათ თხზულებებში გამოხატულობას ჰპოებს იმდროინდელი კამათი ერთის მხრივ მოხმარების ხარკთა და მეორეს მხრივ ქონების და შემოსავლის ხარკთა ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, აქციებისა და კონტრიბუციების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, რომელთაგან უპირატესობას უმრავლესობა აქციზებს აძლევდა.

გერმანიასა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებშიაც საფინანსო მეურნეობა მე-17 საუკუნემდე არსებითად სახელმწიფო წყობილების წოდებრივ ხასიათსა და პატრიარქალურ ელფერს ატარებდა. ეს სჩანს წოდებათა მიერ ხარკის დაწესების უფლებაში, რომლის მიხედვით წოდებანი არა თუ ხარკის დაწესების უფლების მატარებელი იყვნენ, არამედ ხარკების შეწერისა და გამგებლობის უფლებისაც, სახელდობრ საკუთარი სალაროს—საპროვინციო სალაროს—საშუალებით. ამას გარდა არსებობდა სამთავრო სალაროც, — „კამერული სალარო“, — რომელშიც შედიოდა შემოსავალი დომენებიდან, რეგალებიდან და აგრეთვე აქციზებიდან. ეს მოუწყობლობა საფინანსო საქმეში თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე უფრო ძველ გერმანულ თხზულებებშიაც.

მაგრამ მე-16 საუკუნიდან მძლავრ ტერიტორიალურ სახელმწიფოებში დამყარდა აბსოლუტიზმი და მერკანტილისტური სამეურნეო პოლიტიკა, რომლის წარმომადგენლებიც გერმანიაში კამერალისტები არიან. კამერალისტიკა წარმოიშვა მე-17 საუკუნის შუა წლებში, ვითარცა მოძღვრება სამთავრო (სამეფო) მართველობის შესახებ. მას უნდა მოემზადებია მოხელეები არა მარტო. ფისკის, Camera principis, მართვა-გამგეობისათვის, არამედ მათთვის აგრეთვე ზოგადი სამეურნეო და ადმინისტრაციული სამართლის ცოდნაც მიეცა, რომლის მეოხებითაც მათ მთავრის (მეფის) მერკანტილისტური პოლიტიკის განხორციელება შეეძლებოდათ. მაგრამ ამ კამერალისტური მოძღვრების არსებით ნაწილს წარმოადგენდა გამოკვლევები საფინანსო მეურნეობის, მისი შემოსავლის წყაროების, მათი გავლენის და სხვ. შესახებ; ყოველ შემთხვევაში ამ მოძღვრებამ საფინანსო საკითხების მნიშვნელობას ზაზი გაუსვა უფრო ძლიერად და სისტემატიურად, ვიდრე ამას მანამდე ჰქონდა ადგილი. პირველ კამერალისტებიდან აღსანიშნავია ფ. ლ. სეკენდორფი, ვ. ფ.

შრედერი, ი. ი. ბეხერი, ჰ. კონრინგი და ზ. ფ. პუფენდორფი, შემდეგი ხანის კამერალისტებიდან კი — ფ. იუსტი და ფ. ზონენფელსი. სეკენდორფი თავის წიგნში: „Der deutsche Fürstenstaat“ (1655) ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა დომენიალური მეურნეობის იდეებიდან; ის თქვამს, რომ არსებული მძიმე ხარკებისა და ვალების მოსპობის შემდეგ სახელმწიფო ისევ ძველებურად შესძლებს დომენებისა და რეგალების შემოსავლით არსებობას; მაგრამ პრინციპიალურად ის მაინც არ უარყოფს ხარკებს. ის წინააღმდეგია სასულო ხარკისა, ხოლო საქონებო ხარკის შესახებ კი, კლოკის მსგავსად, მოითხოვს საარსებო მინიმუმის განთავისუფლებას ხარკისაგან. საერთოდ, ის უპირატესობას აძლევს პირდაპირ ხარკებთან შედარებით აქციზებს და მოხმარების ხარკებს, ვინაიდან ესენი გადამხდელთათვის შეუმჩნეველი და ნებაყოფლობითია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შემოსავალს ის ჰყოფს ისეთ ნაწილებად, რომელნიც მხოლოდ ხარისხის მხრივ განსხვავდებიან კერძო სამეურნეო შემოსავლისაგან, და რეგალებად, — მაშასადამე, ჰყოფს: სამეურნეო შემოსავლად და გადასახადებად. კონრინგი და პუფენდორფი კი, პირიქით, ვითარცა აბსოლუტიზმის მხურვალე წარმომადგენლები, — მთავარს (მეფეს) ხარკების დაწესება-აკრეფის შეუზღუდველ უფლებას აკუთვნებენ. პუფენდორფი პირველი წარმომადგენელია ე. წ. ექვივალენტური თეორიისა; მისთვის ხარკი წარმოადგენს ფასს სიცოცხლის და ქონების დაცვისათვის. ამიტომ იგი მომხრეა დაწესებულ იქნეს ზომიერი სასულო ხარკი სახელმწიფოს მიერ ქვეშევრდომთა სიცოცხლის დაცვისათვის, რაც თანაბარ ძვირფასია ყველასათვის, და აგრეთვე ხარკი შემოსავლის სიდიდის მიხედვით ქონების დაცვისათვის.

მე-18 საუკუნის გერმანელ მწერლებიდან საფინანსო მეცნიერების მიმართ უდიდესი დამსახურება ფ. იუსტის მიუძღვის, რომლის თხზულებებიდან აღსანიშნავია: „Ausführliche Abhandlung von den Steuern und Abgaben“ (1762) და „System des Finanzwesens“ (1765). ის ტიპიური წარმომადგენელია განათლებული აბსოლუტიზმისა და ზომიერი მერკანტილიზმის. ნათელი შეგნება იმ კავშირისა, რომელიც საფინანსო მეურნეობასა და ხალხის საერთო კეთილდღეობას შორის არსებობს, აიძულებდა მას ენერგიულად გაეღაშქრა ყველა ისეთ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთაც, ხალხის კეთილდღეობის გაუუმჯობესებლად, მარტოოდენ სახელმწიფო შემოსავლის გადიდება ჰქონდათ მიზნად. თუმცა ხარკებს ის არ სთვლის რეგულიარულ სახელმწიფო შემოსავლად, მაგრამ მათ მნი-

შენელობას განსაკუთრებით აღნიშნავს და მათთვის ერთგვარ სახელმძღვანელო დებულებებსაც იძლევა, როგორც ეს ათი წლით უფრო გვიან ა. სმიტმა მოიმოქმედა. ის განიხილავს თითოეული ხარკის გავლენას მთელ სახალხო მეურნეობაზე და ყურადღებას აქცევს აგრეთვე სახარკო სიმძიმის თანაბრად განაწილების საკითხს. იუსტის მსგავს თვალსაზრისზე სდგას ფ. ზონენფელსიც თავის „Grundsätze der Polizei, Handlung und Finanz“-ში (1765).

სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ამ დროს ფინანსების თეორიის სისტემატიურ განხილვას იშვიათად ვპოულობთ. ვინაიდან ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიაში დომენებს მნიშვნელობა დაეკარგა სახელმწიფო ხარჯების დაფარვისათვის, ამიტომ წინა რიგში წამოდგა სახარკო საკითხი, აქა-იქ აგრეთვე ვალის საკითხიც. მაგ., საფრანგეთში ბუაგელბერმა და ვოზანმა არსებული დაბეგვრის კრიტიკით და რეფორმების წინადადებებით თვალსაჩინოდ შეუწყვეს ხელი სახარკო საქმის თეორიული ცოდნის განვითარებას. იტალიელმა ბროჯამ თავის „Trattato dei tributi“-ში (1748) გააღრმავა სახარკო მოძღვრება. ის მოითხოვს ხარკების გამარტივებას, პირდაპირი ხარკების გარდაქმნას რეალ ხარკებად, სცნობს სასაზღვრო ბაჟებსა და მოხმარების ხარკებს, მოითხოვს ყოველგვარი პრივილეგიების გაუქმებას და დაბალი კლასების დაზოგვას. შოტლანდიელი ჯ. ლოუ შეეცადა საჯარო კრედიტის თეორიის განხილვას. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ინგლისსა და საფრანგეთში იწყება აბსოლუტიზმისა და მზრუნველობის სისტემის უკიდურესობის მიმართ წინააღმდეგობა. ეს მქლავნდება ახალ სამართლისა და სახელმწიფოს ფილოსოფიაში და ეკონომიურ მეცნიერებაში. პირველი—ფილოსოფია—გზას უკაფავს სახელმწიფო-სამოქალაქო ეპოქას, უარყოფს მრავალმთავრობიანობას და სახელმწიფოს საქმიანობის ფარგალს არსებითად უფლებრივი დაცვითა და ხალხის აღზრდა-განათლებით ზღუდავს, ხოლო მეორე—ეკონომიური მეცნიერება—სამეურნეო ცხოვრებისათვის, სახელმწიფო მოწესრიგების სისტემის ნაცვლად, თავისუფლებას მოითხოვს.

მონტესკიე თავის „Esprit des lois“-ში (1749) შეეცადა სხვადასხვა ხალხებში შემოსავალი და განსაკუთრებით ხარკები სახელმწიფო წყობილების ფორმითა და საზოგადოებრივი ურთიერთობით აეხსნა. პირველი ის იძლევა ე. წ. დაზღვევის თეორიას, რომლის თანახმადაც ქვეშევრდომნი ხარკის სახით გაიღებენ თავიანთი ქონების ერთ ნაწილს იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ დანარ-

ჩენი ნაწილი ქონებისა. ფორბონემ „Principes et observations économiques“-ში (1758) გამოსთქვა სახარკო პროგრესიის იდეები.

ფრ. კენე წინადადებას იძლეოდა მისი დროის მართლაც ფრიად ნაკლები სახარკო სისტემა შეცვლილი ყოფილიყო ერთად-ერთი ხარკით (l'impôt unique), სასოფლო მეურნეობის წმინდა შემოსავალზე (produit net) დაწესებულით, რომელიც შეეფერება მის მოძღვრებას: რომ მხოლოდ სასოფლო მეურნეობაა პროდუქტიული წარმოება.

ა. სმითის მნიშვნელობა საფინანსო მეცნიერებისათვის იმდენად მის დაბეგვრის ოთხ წესში არ მდგომარეობს, რომელიც მის დამსახურებად მიაჩნიათ, რამდენადაც იმაში, რომ სახარკო სისტემა, თავის თხზულებაში „ხალხთა სიმდიდრის შესახებ“ (1776) მან მჭიდროდ დაუკავშირა სახალხო მეურნეობას და სახალხო ქონებისადმი მომჭირნეობით მოპყრობის პრინციპები გამოსთქვა. ხარკების დასაბუთებაში ის დაზღვევის თეორიისაკენ იხრება. კენეს და სხვა ფიზიოკრატების ცალმხრივობისაგან იგი შორს დგას; იწონებს მრავალხარკიანობას და, თავისი წინამორბედის იუმის (Essay of taxes) მსგავსად, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ის ხარკები, რომლებიც არა პირველი საჭიროების მოხმარების საგნებზე იქნება დაწესებული. დომენებსა და სხვა სახელმწიფო სამეურნეო სარეწაოებს ის უარყოფითად ან კრიტიკულად უცქერის თანახმად თავისი უარყოფითი განწყობილებისა სახელმწიფოს საქმიანობის მიმართ სამეურნეო ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნის დასაწყისის გერმანელი მწერლები: კრუგი, ჰარლი, შმალცი, ლოცი, ბერგიუსი და სხვ. სმითის იდეების მეტნაკლები გავლენის ქვეშ დგანან. ინგლისური გავლენა ჩანს აქ იმაშიც, რომ ამ მწერალთა უმრავლესობას, ა. სმითის მსგავსად, რაც კი რამ აქვთ სათქმელი ფინანსების შესახებ, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებში ათავსებენ არადამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილის სახით. მალხუსის „Handbuch der Finanzwissenschaft und Finanzverwaltung“ (1830) საფრანგეთის პრაქტიკის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. რამდენიმედ უფრო დამოუკიდებელია და მნიშვნელოვანი, თუმცა მრავალსიტყვიანობით სავსე, იაკობის „Finanzwissenschaft“. უფრო ღრმაა და შინაარსიანი ი. შენის „Grundsätze der Finanz“ (1832).

უკვე მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, სახელდობრ გერმანიაში, სახელმწიფოს ბუნების შესახებ არსებულ მსოფლმხედველობაში ცვლილება მოხდა, რის თანახმადაც სახელმწიფო

არა მარტო შინაგან და საგარეო უშიშროების დასაცავ დაწესებულებად იქნა მიჩნეული, არამედ აგრეთვე მრავალმხრივი მიზნების მქონე საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლეს ფორმად. აქედან გამომდინარეობს არა მარტო სახელმწიფოს მიზნების სიმრავლე, არამედ ხარკების, სხვაგვარი დასაბუთებაც, სხვანაირი შეხედულება ვალებზე და კერძო და საჯარო მეურნეობის გამიჯვნის შესახებაც. ამას დაერთო სახელმწიფო წყობილების გარდაქმნა, აბსოლუტიზმიდან კონსტიტუციურ სახელმწიფოზე გადასვლა. ხარკების დაწესების უფლება პარლამენტს მიენიჭა. სახარკო საკითხებს ყველგან მეტი მნიშვნელობა მიეცა. დაიწყო ბრძოლა სახარკო პრივილეგიების წინააღმდეგ. ლიბერალურ პარტიებმა უარყოფითი განწყობილება დაიკავეს უსაჭიროეს მოსახმარ საგანთა დაბეგვრისა და განსაკუთრებით სახარკო მონოპოლიების მიმართ. გასული საუკუნის 50-იან წლებიდან სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნანი სახარკო საქმის მიმართ თანდათან გავრცელდნენ. მოძრაობა გაძლიერდა მეოთხე წოდების წარმოშობით, რომელმაც არაპირდაპირი ხარკების გაუქმება და პროგრესიული საშემოსავლო, სამემკვიდრეო და საქონეზო ხარკების შემოღება მოითხოვა. ყველა ამ მოვლენებისა და მოთხოვნილებებისათვის მეცნიერებას ანგარიში უნდა გაეწია. ვალების ძლიერმა ზრდამ გამოიწვია გამოკვლევები სახელმწიფო კრედიტის შესახებ. კომუნალური კავშირების თანდათანობით მეტი მნიშვნელობა, მათი ამოცანების ზრდა, სახელმწიფოსა და თემების საშემოსავლო წყაროებს შორის მიზანშეწონილი გამიჯვნის საჭიროება, კერძოდ გერმანიაში—იმპერიისა და მოკავშირე სახელმწიფოების ფინანსების თანაარსებობიდან გამომდინარე პრობლემები,—ყოველივე ეს შეუძლებელი იყო მეცნიერებას განუხილველად დაეტოვებია. დასასრულ, ომისა და ომის შემდეგი დროის გავლენამ ხარკებსა და ვალებზე უამრავი ლიტერატურა წარმოშვა.

თანამედროვე საფინანსო მეცნიერების ლიტერატურის აღნუსხვა, მისი მრავალმხრივი ცვალებადობისა ანდა სპეციალი დარგების გათვალისწინებით, აქ შეუძლებელია. ჩვენ დავეკავოფილდებით უმთავრესი სახელმძღვანელოების დასახელებით, ხოლო დანარჩენთა შესახებ მკითხველს მივუთითებთ ამ წიგნის ბოლოში მოქცეულ ცალკე პარაგრაფების ლიტერატურის მაჩვენებელზე.

წარსული საუკუნის პირველი ნახევრის დროის სახელმძღვანელოებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კ. ჰ. რაუს „Finanzwissenschaft“, რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა მისი პო-

ლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მე-3 ტომად და რომელშიც კამერალისტიკის ტრადიციებმა, დროის შესაფერ სამოსელში, გაგრძელება და გაღრმავება ჰპოვეს. საერთოდ უფრო სისტემატიურია და ადგილ-ადგილ უფრო მდიდარიც აზრებით კ. უმპფენბახის „Lehrbuch der Finanzwissenschaft“ (1859). ლ. ფ. შტეინის „Finanzwissenschaft“ (პირველად 1860 წ. გამოიცა, შემდეგ გამოცემებში გაფართოებულ და სრულიად გადამუშავებულ იქნა) პირველი თხზულებაა, რომელშიც ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე თემებისა და საკავშირო სახელმწიფოთა ფინანსებს და ინტერნაციონალური შედარებაა გატარებული. უკანასკნელი ათეული წლების უდიდეს საფინანსო-სამეცნიერო ნამოღვაწარს წარმოადგენს ა. ვაგნერის „Finanzwissenschaft“ (გამოიცა 1877—1910 წლ.) არა მარტო არაჩვეულებრივად მდიდარი შინაარსისა და მკაცრი სისტემატიკის გამო, არამედ აგრეთვე ახალი სახალხო-სამეურნეო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრინციპების გამოც, რომლებზედაც არის აგებული მისი სისტემა და რომლებიც განსაკუთრებით გამოსახულია სახარკო მოძღვრებაში. ვ. ლოცის „Finanzwissenschaft“ (1917) ხასიათდება ცნებების განსაზღვრის გარკვეულობითა და საფუძვლიანობით, ახალი ფაქტიური—სახელდობრ ისტორიული—მასალებით და საფინანსო-სამეურნეო პრობლემათა კრიტიკული განხილვით. სხვა თანამედროვეთაგან დავასახელებთ ეებერგის (მე-19 გერმ. გამოც. 1922 წ.; თარგმნილია რუსულად: Черп, Курс финансовой науки, 1913), კონრად-კეპპეს (მე-9 გამოც. 1923 წ.), კლეინგეტერის (1922) სახელმძღვანელოებს.

უახლესი გერმანული სპეციალი ლიტერატურის მაჩვენებელს მკითხველი, როგორც მოვიხსენიეთ, ამ წიგნის ბოლოში იპოვის. ამჟამად გამოდის ნაწილ-ნაწილ „Handbuch der Finanzwissenschaft“, კოლექტიური შრომა, მ. გერლოფის და ფრ. მეიზელის რედაქციით. განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილები „Handwörterbuch der Staatswissenschaften“-ში, მე-4 გამოც., იენა, 1923 წლიდან, და „Handwörterbuch der Kommunalwissenschaften“-ში, იენა, 1918 წლიდან; აგრეთვე ჟურნალი „Finanzarchiv“, herausg. von G. v. Schanz, Tübingen, 1884 წლიდან.

სხვა ქვეყნების ლიტერატურაში, გარდა იტალიისა, უკანასკნელ დრომდე დამოუკიდებელი თხზულებები საფინანსო მეცნიერების შესახებ არ არსებობდა. საფინანსო მეცნიერება იქ ეკონომიური მეცნიერების დამატებად დარჩა ისევე, როგორც ამას ა. სმიტის დროს ჰქონდა ადგილი. სამაგიეროდ საფინანსო მეცნიერების ცალკე

საკითხების, განსაკუთრებით ხარკებისა და ვალების შესახებ, მრავალი მონოგრაფია მოიპოება. მაგრამ უკანასკნელი სამი ათეული წლების განმავლობაში ამ ქვეყნებშიაც, სახელდობრ საფრანგეთსა, ინგლისსა და შეერთებულ შტატებში, გამოქვეყნდა სისტემატიური თხზულებები მთლიანად ფინანსების შესახებ; ასე, მაგ., საფრანგეთში — ლერუა-ბოლიეს, ბუკარის და ჟეზის, ვორმის და კოლსონისა, ინგლისში — ბასტაბლის და გიფფენისა, შეერთებულ შტატებში — დამსის, სელიგმანის და ელისა. მდიდარია საფინანსო მეცნიერების სახელმძღვანელოებით იტალია; ავტორთაგან დავასახელებთ კოსსას (თარგმნილია რუსულად: Луиджи Косса, Основы фин. науки, М. 1900), რიკკა-სალერნოს, გრაციანის, ფლორას, ნიტტის (თარგმნილია რუსულად: Нитти, Основн. начала фин. науки, М. 1904) და ეინაუდის.

რუსულ ენაზე, გარდა კოსსას, ნიტტის და ეებერგის ნაწარმოებთა თარგმანებისა, მოსახსენებელია უმთავრესად: 1) Янжул, Основные начала фин. науки, 4 изд. СПб. 1904.—2) Витте Конспект лекций о госуд. хозяйстве, 3 изд. Петр. 1914.—3) Озеров, Основы фин. науки, 2 вып., 4 изд., М. 1911.—4) Ходский, Основы госуд. хозяйства. Курс финансовой науки изд., СПб. 1913.—5) Кулишер, Очерки фин. науки, вып. I, Петр. 1919, вып. II 1920.—6) Меньков, Основные начала фин. науки, вып. I, М. 1924.—7) Соболев, Очерки фин. науки, М. 1925.—8) Боголепов, Краткий курс фин. науки, М. 1925.



1-ლი ნაწილი.

საჯარო ბიუჯეტი და საფინანსო მართველობა.

1. საჯარო ბიუჯეტი.

§ 7. ბიუჯეტი; არსი და სახეები ბიუჯეტისა.—საჯარო კავშირთა ფინანსების წარმართვა თავის რიცხვებრივ გამოსახულებას პოულობს ბიუჯეტში, ე. ი. გასავლისა და შემოსავლის აღრიცხვაში განსაზღვრული დროისათვის, ანუ საფინანსო--იგივე სამეურნეო--პერიოდისათვის. თითოეულ საჯარო კავშირს საკუთარი ბიუჯეტი აქვს; გერმანიაში, მაშასადამე, არსებობს იმპერიის ბიუჯეტი, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი და თემების და თემთა კავშირების ბიუჯეტი.

სიტყვა ბიუჯეტს ორმაგი აზრით ხმარობენ; იმით გულისხმობენ როგორც ასასრულებელ ბიუჯეტს, სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, ისევე დასრულებული სამეურნეო პერიოდის ანგარიშს, ასრულებულ ბიუჯეტს.

გასავლისა და შემოსავლის სავარაუდო აღრიცხვის ანუ ბიუჯეტის შედგენა განსაზღვრული პერიოდისათვის საფინანსო მეურნეობაში აუცილებელია, უკეთეს მასში წესიერება უნდა სუფევდეს. საჯარო მეურნეობა მინდობილობით სწარმოებს და ამ მინდობილობას რიცხვებრივი საზღვარი უნდა დაედვას. მართველობის თითოეული დარგისათვის გასავლის თანხა უნდა იყოს განსაზღვრული; რომლის გარდასვლა მას არ შეეძლება. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი შემოსავალი ისე იქნეს გამოანგარიშებული, რომ გასავალს ჰფარავდეს. გარემოების მიხედვით სასარგებლოა მთელ რიგ წლებისათვის შესდგეს საფინანსო გეგმა, რომელშიც მომავალი წლების გასავალი იქნება გამოანგარიშებული, რათა მის დასაფარავად ამთავითვე სათანადო ზრუნვა იქნეს გაწეული. მართალია, გაუთვალისწინებელ მოვლენებს შეუძლიათ როგორც საფინანსო გეგმის, ისე ბიუჯეტის დარღვევა, მაგრამ ეს შესაძლებლობა საფინან-

სო მართველობას არ ანთავისუფლებს მოვალეობისაგან, მიიღოს ყოველგვარი ზომები, რაც კი ფინანსების მოწესრიგებას ემსახურება.

ბიუჯეტი სდგება განსაზღვრული დროისათვის, — ს ა ფ ი ნ ა ნ - ს ო ა ნ უ ს ა მ ე უ რ ნ ე ო პერიოდისათვის, თანამედროვე სახელმწიფოებში ჩვეულებრივ—ე რ თ ი წლით, რომელსაც საფინანსო წელიწადი ეწოდება.

ბიუჯეტი შეიძლება იყოს ბ რ უ ტ ტ ო ა ნ ნ ე ტ ტ ო - ბ ი უ ჯ ე ტ ი. ბრუტტო-ბიუჯეტი შეიცავს მთელ შემოსავალს და მთელ გასავალს,—მაშასადამე, შემოსავლიან სარეწაოთა საწარმოო ხარჯებს და ხარკების აკრეფაზე გაწეულ ხარჯებსაც. ნეტტო-ბიუჯეტში კი ეს ხარჯები, ყოველ შემთხვევაში წარმოების ხარჯები, არ შედის,—გამოკლებულია. ფაქტიურად ბრუტტო-ბიუჯეტის სისტემა, რომელიც ჩვეულებრივ საყოველთაოდ მიღებულია, სავსებით არცერთ სახელმწიფოში არ ტარდება. ყველა ბიუჯეტი, ნაწილობრივ მაინც, ნეტტო-ბიუჯეტისებურ ელემენტებს შეიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ, ბიუჯეტის განხილვის არსებული წესის წინაშე, მთელი ეს—ბრუტტო და ნეტტო-ბიუჯეტის—საკითხი ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან საკანონმდებლო ორგანოებს ყოველთვის ფინანსების წარმართვის მთელი მასალა წარედგინებათ,—მაშასადამე, ცალკე ხარჯთაღრიცხვებიც. მეცნიერული შედარების მიზნით კი ბრუტტო-ბიუჯეტი გაცილებით უფრო გამოსაყენებელია. იგი იძლევა სრულ ცნობას საჯარო სარეწაოთა მომგებიანობისა და ხარჯებ-მოგების შეფარდების გასაცნობად.

§ 8. ბიუჯეტის შედგენა.—ბიუჯეტის შედგენა სახელმწიფოში ჩვეულებრივ იწყება მართველობის დაბალი ორგანოებიდან, რომელნიც მათთვის საჭირო ხარჯებს განსაზღვრული წესით აღრიცხავენ. სადაც ამ ორგანოებისათვის შუა ინსტანცია არსებობს, იქ ეს უკანასკნელი განიხილავს ქვემდებარე ადგილების მოთხოვნილებებს და თავისი საკუთარი მოხსენებითურთ წარუდგენს ცენტრალურ დაწესებულებას,—სათანადო დარგის სამინისტროს. მინისტრის უფლებას შეადგენს,—ასეთი ხარჯთაღრიცხვები განიხილოს, არასაჭირო ან არაუცილებელი მოთხოვნილებები გამორიცხოს ან შეამციროს და ამგვარად თავისი სამინისტროს საერთო ხარჯთაღრიცხვა შეადგინოს. ფინანსთა მინისტრის საქმეს შეადგენს უპირველეს ყოვლისა შემოსავლის აღრიცხვის დამზადება, მაგრამ, რამდენადაც სარეწაოები (დომენები, მადნები, რკინისგზები და სხვ.) სხვა სამინისტროებს ექვემდებარება, ეს უკანასკნელნიც იღებენ მონაწილეობას შემოსავლის აღრიცხვაში. თუ სამინისტროების

წარმოდგენილი გასავალი ნავარაუდევ შემოსავალს აჭარბებს, ფინანსთა მინისტრი სხვა შინისტრებთან შეთანხმებით ხარჯებს შესაფერად ამცირებს, რათა წონასწორობა დამყარდეს გასავალსა და შემოსავალს შორის.

შემოსავლის აღრიცხვის შედგენა ნორმალურ პირობებშიაც კი საკმაოდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მართალია, არსებობს შემოსავლის ისეთი მუხლები, რომელთა საკმაოდ მტკიცედ განსაზღვრა შეიძლება, როგორც, მაგ., კანონით დაწესებული გამოსაღებები სხვა საჯარო კავშირებისა, ანდა კონტინგენტგანსაზღვრული, ე. ი. გარკვეული ჯამით გარდაკვეთილი ხარკები; მაგრამ უმრავლესობა მაინც ისეთი ხასიათისაა, რომ მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ხელმძღვანელობა და ეს კი, რაგინდ დიდი სიფრთხილე იყოს ნახმარი, შეცდომებს ძნელად ასცდება. არასასურველ სამეურნეო კონიუნქტურას, სახელმწიფოებრივი ცხოვრების შერყევას ომიანობისა ან არეულობის გამო, მოკლედ, — ყოველგვარ მოულოდნელ მოვლენას შეუძლია საგრძნობად შეამციროს არასახარკო და სახარკო შემოსავალი საფინანსო პერიოდის განმავლობაში. ასეთი შესაძლებლობისაგან თავის დაზღვევას რამდენადმე იმით ცდილობენ, რომ ხარჯებს ოდნავ მეტს, ხოლო შემოსავალს ოდნავ ნაკლებს ანგარიშობენ, ვიდრე ეს სინამდვილეშია მოსალოდნელი, და საერთო სათადარიგო ფონდის შექმნაზე ზრუნავენ.

§ 9. მთავარი ბიუჯეტი, სპეციალი და დამატებითი ბიუჯეტი. შემოსავლის და გასავლის აღრიცხვათ, როგორც ისინი სამინისტროებიდან და სამინისტროებთან შეთანხმების საფუძველზე წარმოსდგებიან, თავს უყრიან მთავარ ბიუჯეტში, რომელიც განსაზღვრული თვალსაზრისით ნაწილებად, კარებად, თავებად, მუხლებად თუ ნომრებად იყოფა. ვინაიდან ბიუჯეტის დაყოფილობა სახელმწიფოს მართველობის ფაქტიურ ორგანიზაციას და თავისებურობას უნდა შეეფერებოდეს, ამიტომ გასაგებია, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა ბიუჯეტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მიუხედავად ამისა, მათ მაინც აქვთ განსაზღვრული საერთო ძირითადი ნიშნეულობანი. უპირველეს ყოვლისა, დროთა ვითარებაში თანდათან განხორციელებულ იქნა პრინციპი ბიუჯეტის მთლიანობისა, ე. ი. ყველა გასავლისა და შემოსავლის ერთ ბიუჯეტში მოთავსება. მთავარ ბიუჯეტს გარდა, დამატებათა სახით, არსებობს ე. წ. ცალკე ბიუჯეტები, რომელნიც, ვითარცა ცალკე უწყებათა შემოსავალ-გასავლის დაწვრილებითი აღრიცხვანი, უფრო სწორი ინფორმაციისა და მთავარი ბიუჯე-

ტის ახსნა-განმარტების მიზანს ემსახურებიან და სახალხო წარმომადგენლობის ვოტუმისათვის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენენ. აქა-იქ მთავარ ბიუჯეტს გარდა არსებობს აგრეთვე სპეციალი ბიუჯეტები, რომლებსაც განსაზღვრული განცალკევებული მართველობის დარგებისა ან ბიუჯეტის გარეშე არსებულ სპეციალი ფონდებისათვის ადგენენ. ზოგჯერ სპეციალი ბიუჯეტის სახელწოდებით ისეთ ბიუჯეტს გულისხმობენ, რომელიც მთავარ ბიუჯეტში მხოლოდ თავისი გარდამეტით თუ დანაკლისით არის მოთავსებული. როდესაც ბიუჯეტის შედგენის შემდეგ კიდევ აუცილებელი ხარჯების საჭიროება წარმოიშობა, მაშინ უნდა შედგეს დამატებითი ბიუჯეტი და სახალხო წარმომადგენლობას წარედგინოს დასამტკიცებლად. დამატებით ბიუჯეტს შეუძლია წონასწორობა დაარღვიოს შემოსავალსა და გასავალს შორის, როდესაც მისი დაფარვა მიმდინარე შემოსავლით კი არ იქნება შესაძლებელი, არამედ—ვალის აღებით.

§ 10. ბიუჯეტის დაყოფილობა (ფილიაცია).—ბიუჯეტი ჩვეულებრივ ორი ნაწილისაგან შედგება: გასავლისა და შემოსავლისაგან. თითოეულ ბიუჯეტში განირჩევა აგრეთვე ერთი მხრივ ჩვეულებრივი გასავალი და შემოსავალი (*Ordinarium*) და მეორეს მხრივ—არაჩვეულებრივი გასავალი და შემოსავალი (*Extraordinarium*).

ფინანსების წესრიგისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არაჩვეულებრივი ხარჯების მკაცრ გამოჯვანას ჩვეულებრივისაგან. ჩვეულებრივია ყველა ისეთი გასავალი, რომელიც ყოველ საანგარიშო წელს მეორდება. ის უნდა დაიფაროს ისეთი შემოსავლით, რომელიც აგრეთვე რეგულიარულად მეორდება. ასეთივეა გარეგნულად ერთდროული გასავალიც, ე. ი. ისეთი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეორდება (მაგ., შენობების, ან სამხედრო გემების აგება): ვინაიდან მათი განმეორება უეჭველად მოსალოდნელია, ამიტომ წლიური თანხა, რომელიც განმეორების ვადას შეეფერება, ჩვეულებრივ ბიუჯეტში შეიტანება. ფორმალურად ეს, მაგ., გერმანიის ბიუჯეტში, იმაში გამოიხატება, რომ ჩვეულებრივი გასავლის ბიუჯეტში ერთდროული ხარჯები მუდმივიდან გამოყოფილი არის. არაჩვეულებრივ გასავლად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჩასათვლელია მხოლოდ ისეთი გასავალი, რომელიც სავსებით არარეგულიარულად წარმოიშობა, როგორც, მაგ., ხარჯი ომიანობის ან სტიქიური შემთხვევების გამო, და რომელიც ჩვეულებრივ დიდი ოდენობისაა. თადარიგისანი საფინანსო მართველობა შეეცდება, რამდენადაც შეიძლება, ეს არაჩვეუ-

ლებრივი ხარჯებიც ჩვეულებრივი შემოსავლით დაფაროს, განსაკუთრებით არაჩვეულებრივი ხარჯების შემოღებით ან უკვე არსებულთა გადიდებით. ჩვეულებრივ მაინც ასეთ შემთხვევებში სესხის აღების გზას ადგებიან, რომელიც საჭირო საშუალებებს სწრაფად იძლევა და ამავე დროს ხარკის გადამხდელთათვის პირველად საგრძნობი არაა. ამიტომ მით უფრო საჭიროა მხოლოდ ნამდვილი არაჩვეულებრივი გასავალი იქნეს ბიუჯეტში აღრიცხული ასეთად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ვალები სწრაფად გაიზრდება (დანარჩენი განხილვა ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი გასავლისა იხ. ქვევით § 18).

სხვა მხრივ შემოსავლისა და გასავლის დაყოფილობა სხვადასხვა სახელმწიფოთა ბიუჯეტებში მეტად სხვადასხვაგვარია; ეს დაყოფა ხან უფრო მატერიალური თვალსაზრისითაა გატარებული, ხან კი უფრო ფორმალური თვალსაზრისით. შემოსავალი და გასავალი ან სამინისტროების მიხედვითაა ბიუჯეტში დალაგებული, ან გასავალი—სამინისტროების მიხედვით, ხოლო შემოსავალი—საგნობრივ ცალკე შემოსავალთა წყაროების მიხედვით. მაგრამ ვხვდებით ისეთ ბიუჯეტსაც, რომელიც სავსებით მატერიალური თვალსაზრისით არის შედგენილი და რომელშიც გასავალი მიზნის მიხედვითაა დანაწილებული, ხოლო შემოსავალი—შინაგანი დაკავშირების მიხედვით. ზოგიერთ ბიუჯეტში კიდევ, განსაკუთრებით თემებისაში, ვპოულობთ დაყოფილობას გარდამეტოვებულ და დეფიციტოვან მართველობათა მიხედვით. პირველგვარ მართველობად იგულისხმება ისეთი, რომელიც წმინდა შემოსავალს იძლევა, ხოლო მეორეგვარ მართველობას წარმოადგენს ყველა ისეთი, რომელსაც თვით სრულიად არა აქვს შემოსავალი, ან აქვს, მაგრამ—არასაკმარის და ამიტომ დოტაციას იღებს ხარკებიდან და სარეწაოთა წმინდა შემოსავლიდან.

ინგლისის საბიუჯეტო თავისებურობას წარმოადგენს ბიუჯეტის დაყოფა მუდმივ და ცვლებად ნაწილებად. სახალხო წარმომადგენლობა მხოლოდ ამ უკანასკნელს ამტკიცებს; ხოლო პირველი შეიცავს მუდმივ ხარჯებს, რომელიც კანონსა ან ხელშეკრულებებზეა დამყარებული (როგორც, მაგ., მეფის შენახვის ხარჯები, მოხელეთა ჯამაგირები, ვალის სარგებელი). მათ დასათარავად განსაზღვრული შემოსავალია დანიშნული და ყოველწლიურად პარლამენტის მიერ დამტკიცება არ ესაჭიროება.

გერმანიის საიმპერიო ბიუჯეტი, რომელიც წინა დერტონაწილს შეიცავდა და ამაში მოთავსებული იყო მთელი გასავალი და შემოსავალი, 1922

წ. სამ ნაწილად დაიყო: I ნაწილი, --საერთო საიმპერიო მართველობა, II ნაწილი, --საწარმოო მართველობათა შემოსავალ-გასავალი (ფოსტა-ტელეგრაფი, საიმპერიო სტამბა, საიმპერიო რკინისგზები), III ნაწილი, --სახავო ხელშეკრულობის ასრულება. მას შემდეგ, რაც 1924 წ. საიმპერიო რკინისგზები სააქციო საზოგადოებაში გაერთიანდა და ფოსტის მართველობა დამოუკიდებელი გახდა, --II ნაწილი გაუქმდა. 1924 წლიდან საიმპერიო ბიუჯეტი ორ ნაწილად იყოფა: I ნაწილი, --საერთო საიმპერიო მართველობა, II ნაწილი, --სახავო ხელშეკრულობის ასრულება. თითოეული ნაწილი თავის მხრივ იყოფა ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ბიუჯეტად. I ნაწილის გასავალი იყოფა მიმდინარე და ერთდროულ გასავლად. საერთო ჯუშულში ორივე ნაწილის შემოსავალ-გასავლის ჯამი ერთმანეთთანაა დაპირისპირებული.

§ 11. ბალანსი, დეფიციტი და გარდამეტი. --ბიუჯეტი ჩვეულებრივ გამოსახულია ციფრობლივად გასავლისა და შემოსავლის თანაბარ ჯამში, --გასავალსა და შემოსავალს შორის იქ წონასწორობაა. მაგრამ ფორმალური ბალანსი (წონასწორობა) ყოველთვის არ გამოხატავს მატერიალურ ბალანსს. ბალანსი შეიძლება ხელოვნურად დამყარდეს იმით, რომ გასავალს ვალით დაფარავენ და ამ ვალს შემოსავალში ჩარიცხავენ. არაჩვეულებრივი გასავლისათვის, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ამ წესს ხშირად მიმართავენ და სათანადო პირობების მიხედვით იგი შეიძლება მართებულიც იყოს. სულ სხვაგვარ არის ეს შესაფასებელი, როდესაც დეფიციტი ჩვეულებრივ ხარჯებშია. როდესაც ჩვეულებრივი შემოსავალი საკმაო არაა ჩვეულებრივი გასავლის დასაფარავად, მაშინ, თუ ხარჯების შემცირება არ ხერხდება, გამოსავალს წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივი შემოსავლის გადიდება, --ხარჯების გადიდება ან ახალის დაწესება. ჩვეულებრივი გასავლის დაფარვა ვალის საშუალებით კი აუცილებლად ფინანსების დაშლას გამოიწვევს (დანარჩენი ის. დეფიციტის შესახებ § 68-ში, ხოლო არაჩვეულებრივი გასავლის დასაფარავ საშუალებათა არჩევის შესახებ -- § 69-ში).

გარდამეტიანი ბიუჯეტი იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს; მაგრამ ფინანსიურად მოწესრიგებულ სახელმწიფოში შესაძლებელია ბიუჯეტის ასრულებისას გარდამეტი აღმოჩნდეს. კარგ სამეურნეო წლებში შეიძლება სარეწაოებისა და ხარკებიდან მეტი შემოსავალი იქნეს მიღებული, ვიდრე ბიუჯეტით იყო ნაგარაუდები, განსაკუთრებით თუ ბიუჯეტის შედგენისას შემოსავალი ფრთხილად იყო ნაანგარიშები. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე გარდამეტი განზრახვისა და საბიუჯეტო გამოანგარიშების შედეგს წარმოადგენდეს, რითაც მთავრობა ცდილობს სახსარი მოიპოვოს განსაკუთრებულ მიზნებისათვის, რომელთათვის სახალხო წარმომადგენლობა მას ნებართვას არ მისცემდა. გარემოების მიხედვით ეს, შესაძლებელია, მიზანშეწონი-

ლიც იყოს; მაგრამ ასეთი წესი, ვითარცა ჩვეულებრივი მოვლენა, როდესაც ის სისტემატიურად სწარმოებს, ეწინააღმდეგება მთავრობის მოვალეობას—ხარკვალდებულნი არ დატვირთოს იმაზე მეტად, რაც ბიუჯეტის გასათანაბრებლად არის საჭირო.

§ 12. საფინანსო კანონი და მისი შესრულება.—ბიუჯეტი კონსტიტუციურ სახელმწიფოებში სახალხო წარმომადგენლობის განხილვას და დამტკიცებას ექვემდებარება და ამით კონსტიტუციური სახელმწიფო განირჩევა აბსოლუტურისაგან. პარლამენტის მიერ განხილვას და დამტკიცებას საჭიროებს ყოველ შემთხვევაში ყველა ახალი ხარჯი და ახალი გადასახადი. უკვე არსებულ გადასახადთა გადახდევინება კი, სწარმოებს შეუწყვეტლივ, საგანგებო ყოველწლიური დამტკიცების გარეშე, სანამ ისევ კანონით არ იქნება შეცვლილი. საკითხი, აქვს თუ არა სახალხო წარმომადგენლობას უფლება ახალი ხარჯები, მთავრობის წინადადების გარეშე, მიიღოს და ბიუჯეტში შეიტანოს, სხვადასხვანაირად წყდება. გონიერ თვითშეზღუდვას მოასწავებს, როდესაც პარლამენტი ასეთ უფლებას არ მიიკუთვნებს.

ბიუჯეტი იმ სახით, როგორც ის დამტკიცებულ იქნა სახალხო წარმომადგენლობის მიერ, სახელმწიფოს მეთაურის დასტურის (ან, სახელმწიფო წყობილების მიხედვით,—უამისოდაც) და კანონიერ ფორმაში გამოქვეყნების შემდეგ იქცევა საფინანსო ანუ სამეურნეო კანონად განსაზღვრული საფინანსო პერიოდისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მართველობის ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა მტკიცედ ფარგალშემოვლებულია ბიუჯეტში მოცემული ციფრებით. არ შეიძლება ხარჯების დაწესებულ საზღვარს გარდასვლა და ამ პირობის დაცვითაც ხარჯები მხოლოდ ბიუჯეტში აღნიშნულ მიზნებისათვის უნდა იქნეს გაწეული. დაუშვებელია ხარჯის ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა, თუ ამის ნებართვა კანონში ცხადად არ არის აღიარებული. იმ შემოსავლის გაწერა-აღებისას, რომელიც კანონით დაწესებულ ტარიფებზეა დამყარებული (ხარკები, საფასურები), საფინანსო მართველობა ვალდებულია კანონის ნორმები დაიცვას.

როდესაც საფინანსო პერიოდი დასრულდება, კანონის ნებართვა იმ პერიოდის შემოსავალ-გასავლისათვის არსებითად თავდება. მაგრამ მრავალ სახელმწიფოში ნებადართულია საფინანსო პერიოდის გასვლის შემდეგაც დანაშთი გასავლისა და შემოსავლის წარმოება ვალდებულნი ბიუჯეტის ანგარიშზე. ამით ბიუჯეტის დასრულება სა-

გრძობად გვიანდება. ყოველ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, დგება ანგარიში (შესრულებული ბიუჯეტი) განვლილი სამეურნეო პერიოდის ფაქტიური შემოსავლისა და გასავლის შესახებ.

ეს ანგარიში გაივლის საანგარიშო კონტროლს, სპეციალ მხელეთა საშუალებით წარმოებულს, და განიხილება პარლამენტის მიერ (იხ. § 15).

ს.ს.რ. კავშირში საბიუჯეტო წელიწადი იწყება 1 ოქტომბერს და თავდება 30 სექტემბერს. ბიუჯეტის შედგენისა და ამტკიცების წესი მოკლედ შემდეგია: თავთავის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის პროექტებს ადგენენ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და სხვა დამოუკიდებელ საშემოსავალ-სავსავლო აღრიცხვის მქონე დაწესებულებათა ცენტრალური ორგანოები, რომელნიც აღნიშნულ პროექტებს წარუდგენენ კუთვნილებისამებრ საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების და ამ უკანასკნელში შუამავალ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს. ფინანსთა კომისარიატში ეს პროექტები განიხილება საბიუჯეტო თათბირზე და, სათანადო ცვლილებებისა და შესწორებების შემდეგ, გაერთიანდება მთელი რესპუბლიკისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სახით და წარედგინება დამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი, უკეთუ რესპუბლიკა ფედერატიული მოკავშირე რესპუბლიკის წევრია, წარედგინება უმაღლეს ორგანოებს ფედერაციისას. აქ ფედერაციის ფინანსთა კომისარი, რომელიც თვითონ ადგენს ფედერაციის ბიუჯეტის ფედერატიულ ნაწილს, აერთიანებს ყველა ბიუჯეტებს ერთ საფედერაციო ბიუჯეტში, რომელსაც შემდეგ განიხილავს და ამტკიცებს ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. მოკავშირე (ფედერატიული თუ არა ფედერატიული) რესპუბლიკიდან სახელმწიფო ბიუჯეტი გადადის საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში, სადაც რესპუბლიკების ბიუჯეტები განიხილება საერთო საკავშირო ბიუჯეტთან ერთად, რომელსაც საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს. კავშირის ბიუჯეტს ერთიანი სახე ეძლევა რესპუბლიკური და საკავშირო ბიუჯეტების გაერთიანებით, რასაც საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი ასრულებს კავშირის ერთიან ბიუჯეტს, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში განიხილის შემდეგ, საბოლოოდ ამტკიცებს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ს.ს.რ. კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დაყოფილობა, შემოსავლის დანაწილებით უწყებათა და დაწესებულებათა აღრიცხვების მიხედვით, შემდეგს შეიცავს: შემოსავალი—I. პირდაპირი ხარკები; II. არაპირდაპირი ხარკები; III. სფასურები; IV. ფოსტის, ტელეგრაფის, რადიოს და ტელეფონის შემოსავალი; V. ტრანსპორტის შემოსავალი; VI. სახელმწიფო ქონების და სარეწაოთა შემოსავალი; VII. შემოსავალი სახელმწიფო ფონდების რელიზაციიდან; VIII. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება; IX. სხვადასხვაგვარი შემოსავალი და X. შემოსავალი სესხებიდან. გასავალი: I. უწყებები და დაწესებულებანი; II. სახელმწიფო სესხები; III. სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად დანიშნული საგანგებო კრედიტები; IV. არა სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ სარეწაოთა და დაწესებულებათათვის ფინანსების მიწოდება;

V. ფონდები და VI. ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასარიცხი და გადასაცემი საშუალებანი. დანიშნულების მთავარ საგანთა მიხედვით გასავალი შემდეგნაირად იყოფა: I. სახალხო მეურნეობა (სახალხო მეურნეობის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ელექტროფიკაცია, ღონისძიებანი ვაჭრობის განსავითარებლად და კოოპერაციისათვის ფინანსების მისაწოდებლად, კომუნალური მეურნეობა და საბინაო მშენებლობა); II. ტრანსპორტი და კავშირი (საერთო ხარჯები, რკინის გზები, წყლის ტრანსპორტი, გზატკეცილები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და რადიო); III. სოციალ-კულტურული ხარჯები (განათლება, მეცნიერება და ხელოვნება, ჯანმრთელობის დაცვა, შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა); IV. სახელმწიფო მართველობა (საერთო ხარჯები, გვეგმიანობა და სტატისტიკა, საგარეო ურთიერთობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სასამართლო, პროკურატურა და გამასწორებელი დაწესებულებანი, საფინანსო მეურნეობის საოპერაციო ხარჯები); V. თავდაცვა; VI. სახელმწიფო სესხები (სახელმწიფო სესხების საორგანიზაციო ხარჯები, სახელმწიფო ვალების გადახდა); VII. ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასაცემი და გადასარიცხი საშუალებანი (სუბვენცია, დოტაცია და სესხი, ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან) და VIII. სარეზერვო ფონდი. საერთო ჯამში შემოსავალ-გასავლის ჯამი ერთმანეთთანაა დაპირისპირებული; ამ დაპირისპირებისას შემოსავლის ნაწილს დაერთვის აგრეთვე წინა წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასრულების ნარჩენები, ხოლო გასავლისას—სახელმწიფო პურის ფონდის შესაქმნელად და საგანგებო სახელმწიფო ფულადი რეზერვის შესაქმნელად დანიშნული თანხები.

საკავშირო ც. ა. კ.-ის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტები მიიქცევა ასაკის რეგულაციის და ფინანსთა კომისარიატის მიერ შემოსავალ-გასავლის წლიური ნუსხების დაგზავნით და კრედიტების გახსნის შესახებ ცალკე მიწერილობებით. გახსნილი კრედიტები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულების მიხედვით. კრედიტების გადანაცვლება (მუხლიდან მუხლში, პარაგრაფიდან პარაგრაფში, აღრიცხვიდან აღრიცხვაში) დაშვებულია განსაზღვრული წესით. ბიუჯეტით დანიშნული კრედიტების სათანადოდ გამოყენება შეიძლება მხოლოდ საბიუჯეტო წლის განმავლობაში: წლის დასასრულს კრედიტების ნაშთი იხურება. ყველა სახელმწიფო შემოსავალი, გარდა მცირედი გამოჩაკლისისა, ახალი საბიუჯეტო წლის პირველ დღიდანვე ახალი წლის საბიუჯეტო შემოსავლად ჩაირიცხება. ხარჯებიც გასული წლის გასაგრძობად ვერ იწარმოება: შეიძლება მხოლოდ სექტემბრის თვის ხელფასის გაცემა ოქტომბერში გასული წლის ბიუჯეტის ანგარიშზე, აგრეთვე წარსული წლის ბიუჯეტის საფუძველზე ხელშეკრულობით კრედიტორებისათვის მისაცემი თანხების გაცემა ახალი წლის განმავლობაში. რკ. გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატების შემოსავალ-გასავლისათვის ამ მხრივ გამოჩაკლისია დაშვებული და მათთვის განსხვავებული წესია დადგენილი (სახელმწიფო ბიუჯეტის ასრულების შესახებ იხ. აგრეთვე § 15-ის შენ.).

§ 13. სათემო ბიუჯეტი.—ბიუჯეტის სახეთა სხვადასხვაობა უფრო დიდია თემთა ბიუჯეტებს შორის, ვიდრე სახელმწიფოთა ბიუჯეტებს შორის. ვინაიდან მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოები, განსაზღვრავენ სათემო ბიუჯეტის ფორმალურ სახეს, ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში კომუნალური თვითმართველობანი თავისებური

საფუძვლების თანახმად აწარმოებენ ბიუჯეტის აგებას. სხვადასხვაობა არსებობს აქ როგორც ბიუჯეტის საერთო წყობაში, ისე მის ცალკე ნაწილებში.

ქალაქების ბიუჯეტთა უმრავლესობა იყოფა მთავარ ბიუჯეტად და რამდენიმე სპეციალ (ცალკე) ბიუჯეტად. სანამ ქალაქები ჯერ კიდევ სამრეწველო სარეწაოებს არ ფლობდნენ, არსებობდა მხოლოდ ერთადერთი ბიუჯეტი და ერთი საქალაქო შემოსავალ-გასავლის სალარო. განცალკევებულ სამრეწველო წარმოებათა წარმოშობის შემდეგ, რომელთაც საკუთარი ანგარიშწარმოება ჰქონდათ, გაჩნდა სპეციალი სალაროები და სპეციალი ბიუჯეტებიც; შემდეგში აგრეთვე მართველობის სხვა დარგებისთვისაც იქნა შემოღებული ცალკე ბიუჯეტები. მრავალ ქალაქში ბიუჯეტის ფორმალური მთლიანობა იმ მხრივ ხორციელდება, რომ სპეციალი ბიუჯეტი თავისი საბოლოო ჯამით ან მარტოოდენ თავისი გარდამეტით თუ დანაკლისით (დეფიციტით) მთავარ ბიუჯეტში შეიტანება. ზოგ ქალაქში კიდევ მთავარი ბიუჯეტი სულ არ არის, — იქ მთელი ბიუჯეტი მხოლოდ სპეციალ ბიუჯეტებიდან შედგება. ამ ცალკე ბიუჯეტებს, მართალია დააჯგუფებენ, მხოლოდ — მეტად სხვადასხვაგვარად: ნაწილობრივ მათ აჯგუფებენ გარდამეტიან და დეფიციტიან ბიუჯეტებად, ნაწილობრივ კიდევ — მართველობის დარგების მიხედვით. ზოგჯერ საბოლოო შედეგს თავს უყრიან ერთ საერთო შენაკრებში, რომელსაც აგრეთვე ბიუჯეტს ან საფინანსო გეგმას უწოდებენ.

ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი შემოსავლისა და გასავლის გარჩევაც სხვადასხვანაირია. ზოგიერთი ქალაქი სულ არ ახდენს ასეთ გარჩევას. ქალაქთა უმრავლესობა კი ჰყოფს ბიუჯეტს ჩვეულებრივად და არაჩვეულებრივად, მაგრამ ეს დაყოფა ყველგან ერთნაირად არ სწარმოებს: ზოგან მთელი ბიუჯეტია ორ ასეთ ნაწილად დაყოფილი, ზოგან, კიდევ ასეთი დანაწილება მართველობის ცალკე დარგებთანაა გატარებული. იმ საკითხშიაც, თუ რომელი შემოსავალი ან გასავალი უნდა იქნეს მიჩნეული ჩვეულებრივად და რომელი არაჩვეულებრივად, თანხმობა არ არსებობს.

სათემო ბიუჯეტის შედგენა, *mutatis mutandis*, იმავე პრინციპის მიხედვით ხდება, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტის. მას ადგენს კომუნალური მართველობა (ქალაქის თავი, მაგისტრატი, ქალაქის საბჭო); ცალკე ხარჯთაღრიცხვათა პროექტებს ადგენენ მართველობის სათანადო ორგანოები. მას შემდეგ, რაც გამოანგარიშებულია ერთის მხრივ მოსალოდნელი გასავალი და მეორე მხრივ შემოსავალი სა-

რეწაოების, საფასურების და არაპირდაპირი ხარკებისგან, — გამოირკვევა, დანაკლისის დასაფარავად რამდენად უნდა იქნეს მოშველებული პირდაპირი ხარკები, რომელთა აღების უფლება თემებს აქვთ მინიჭებული. სათემო წარმომადგენლობის მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, თემის მართველობა, მსგავსად სახელმწიფო მართველობისა, დამტკიცებული ბიუჯეტის ნორმებით არის შეზღუდული. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სათემო წარმომადგენლობის კონტროლსა და დამტკიცებას ექვემდებარება.

სახელმწიფოსადმი თემების დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო თემების ბიუჯეტზე მეტნაკლებ ფართო ზედამხედველობის უფლებას ანხორციელებს. ეს უფლება მრავალმხრივ გამოისახება და უპირველეს ყოვლისა კი — სახარჯთაღრიცხვო იძულებაში. ამ სახელწოდებით გულისხმობენ სახელმწიფოს უფლებას — ე. წ. სავალდებულო ხარჯები (იხ. § 19) ბიუჯეტში იძულებით შეატანიოს თემს, უკეთეს უკანასკნელი მათ მხედველობიდან გაუშვებს. კანონმდებლობა მოითხოვს აგრეთვე, რომ ბიუჯეტი, სათემო წარმომადგენლობის მიერ დამტკიცების შემდეგ, სახელმწიფო ზედამხედველ უწყებას წარედგინოს, გასაცნობად ან დასამტკიცებლად. სესხის აღება, თუ საქმე დიდ თანხას ეხება, სახელმწიფოს ნებართვით უნდა მოხდეს. ხარკის წყაროების არჩევისა და სახარკო განაკვეთის დაწესების მხრივაც თემები შეზღუდული არიან. დასასრულ, განვლილი საბიუჯეტო პერიოდის ანგარიშიც სახელმწიფოს საკონტროლო უწყებას წარედგინება განსახილველად და კონტროლის გასაწევად.

ვ. ფ. მიულლერი (წერილი „ბიუჯეტი“ Handwörterbuch der Kommunalwissenschaften-ში) დიდი ქალაქების ბიუჯეტისათვის შემდეგ სანიმუშო სქემას იძლევა: 1. მთავარი მართველობა (ქალაქის თავი, ქალაქის საბჭო, მთავარი ბიურო, სტატისტიკური ბიურო, მართველობის შენობები, საერთო შემოსავალ-გასავალი), 2. სახელმწიფო ამოცანების მართველობა (სამოქალაქო მდგომარეობის სარეგისტრაციო დაწესებულება, სამრეწველო და დამზღვევი დაწესებულებანი და სხვ.), 3. საპოლიციო მართველობა, 4. საადმინისტრაციო მართველობა (მიწის ქვედადმშენებლობა, მიწის ზედადმშენებლობა, ქუჩების გაწმენდა და განათება, უსუფთაობის გაზიდვა, ხანძრის ქრობის საქმე და სხვ.), 5. ჯანმრთელობის დაცვის და ავადმყოფთა მოვლის მართველობა (ქალაქის ექიმები, საავადმყოფო, აბანოები, სასაფლაო და სხვ.), 6. სასწავლებლების მართველობა (საქალაქო სკოლები, შემდგომი განათლების სკოლები, ზევითა საფეხურის სკოლები, სტანთეარჯიშო დარბაზები და სათამაშო მოედნები), 7. სამეცნიერო, ხელოვნების და სხვა საზოგადო სარგებლობის დაწესებულებათა მართველობა (ქალაქის წიგნთსაცავი, არქივი, მუზეუმი, ქალაქის თეატრი და სხვ.), 8. მზრუნველობისა და კეთილდღეობის მართველობა (კეთილმოწყობის საქმეთა განყოფილება, ობლებისა და ბავშვების მზრუნველობა,

შრომის ბირჟა), 9. ღარიბთა მხრუნველობის მართველობა, 10. საწარმოთა მართველობანი (აირის, ელექტრონის წარმოება, წყლსადენი, ტრამვაი, სასაკლო, ლომბარდი, შემნახველი საღაროები და სხვ.), 11. საფინანსო მართველობა (საფინანსო განყოფილება, ქალებისა და ვალების მართველობა, სახარკო განყოფილება, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარკები და სხვ.), 12. გაუთვალისწინებელი და ნაცვალგება. ეს კლასიფიკაცია, რასაკვირველია, ცალკე ქალაქების თავისებურ პირობათა მიხედვით შეიცვლება და შეივსება. ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი შემოსავალი ერთი მეორესაგან გასაცალკევებელია და მართველობის დარგების მიხედვით არის დასაწილებელი. ბიუჯეტი ბრუტო. უნდა იყოს. დასასრულ, ბიუჯეტის განყოფილებათა შედეგები თავმოყრილი უნდა იქნეს ერთ შენაკრებში, რომელიც სქემის რიგის მიხედვით იქნება შედგენილი.

ს. ს. რ. კ ა ე შ ი რ შ ი . ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ბ ი უ ჯ ე ტ ი დ გ ე ბ ა თ ი თ ო ე ჟ ო ლ ი ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ი უ ლ — ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ი ს ა თ ვ ი ს (ჩ ე ვ ნ შ ი : თ ე მ ი ს , მ ა ზ რ ი ს და ქ ა ლ ა ქ ი ს ა თ ვ ი ს) ი მ ა ვ ე ვ ა დ ი თ (ე რ თ ა წ ლ ი თ) , რ ო გ ო რ ც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ი უ ჯ ე ტ ი . უ მ ა დ ლ ე ს ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ი უ ლ — ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ უ რ ე რ თ ე უ ლ თ ა (ჩ ე ვ ნ შ ი : მ ა ზ რ ე ბ ი ს ა და ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს) ბ ი უ ჯ ე ტ ე ბ ი , დ ა ბ ა ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს ე რ თ ე უ ლ თ ა ბ ი უ ჯ ე ტ ე ბ ი ს შე ნ ა კ რ ე ბ ე ბ ი თ უ რ თ , ს ა თ ა ნ ა დ ო ს ა ბ ჯ ო ე ბ ი ს მ ი ე რ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი ს შე მ დ ე გ , წ ა რ ე დ გ ი ნ ე ბ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ფ ი ნ ა ნ ს თ ა ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ს , რ ო მ ე ლ ი ც , გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს შე მ დ ე გ , თ ა ვ ი ს მ შ რ ი ვ წ ა რ ა დ გ ე ნ ს დ ა ს ა მ ტ კ ი ც ე ბ ო ლ დ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჯ ო ს ა და ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ა ლ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ კ ო მ ი ტ ე ტ შ ი .

ყველა ადგილობრივი ბიუჯეტისათვის ერთიანი დაყოფილობაა შემოდებულის. 1927 წ. 1 ივნისის დადგენილებით ძალაშია შემდეგი სქემა:

ა. შ ე მ ო ს ა ე ლ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს — 1. საბიუჯეტო სახსართა ნარჩენები; 2. ხარკების და გამოსადებთა საბიუჯეტო ნარჩენები; 3. არასახარკო შემოსავალი, რომელიც გასულ წელს მთლად ვერ შემოვიდა; 4. სასოფლო მეურნეობის შემოსავალი; 5. მრეწველობისა და ვაჭრობის შემოსავალი; 6. კომუნალური ქონების და საიჯარო წყაროთა შემოსავალი; 7. კომუნალურ სარეწაოთა შემოსავალი; 8. სხვადასხვა დაწესებულებათა, სარეწაოთა და დონისძიებათა შემოსავალი, გარდა სასოფლო-სამეურნეო, კომუნალურ და ადგილობრივ მრეწველობათა; 9. სხვადასხვა შემოსავალი; 10. ადგილობრივი ხარკები და გამოსადებები; 11. სახელმწიფო ხარკთა და გამოსადებთა დანარიცხები; 12. სახელმწიფო ხარკთა ანარიცხები; 13. სახელმწიფო შემოსავალთა ანარიცხები; 14. ხარჯების ანაზღაურება-საერთო სახელმწიფოებრივ საშუალებებიდან; 15. დახმარება ხაერთო სახელმწიფოებრივ საშუალებებიდან; 16. მიზნობრივი დახმარება სპეციალ ფონდებიდან; 17. სესხები; 18. დახმარება მოწესრიგების ფონდიდან.

ბ. გ ა ს ა ე ლ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს — 1. ადგილობრივი საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები; 2. ადმინისტრაციული განყოფილება და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა; 3. იუსტიციის ორგანოები; 4. სახალხო განათლება; 5. სახალხო ჯანმრთელობა; 6. სოციალური დახმარება; 7. შრომის დაცვა; 8. სასოფლო მეურნეობა; 9. ადგილობრივი მრეწველობა; 10. კომუნალური მეურნეობა; 11. კომუნალური სარეწაოები, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე არ არიან გადაყვანილნი; 12. მიმოზიდვისა და ცნობათა გადაცემის საშუალებანი; 13. წითელი ლაშქრის საქირებთა ხარჯები; 14. ანარიცხები სპეციალ ფონდებისა და კაპიტალებისათვის; 15. სხვაგვარო ხარჯები; 16. დავალიანების დაფარვა; 17. ანარიცხები მოწესრიგების ფონდისათვის.

დამტკიცებული ბიუჯეტების ასრულება ევალება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს სათანადო საფინანსო ორგანოების საშუალებით. აკრძალულია კრედიტების არა დანიშნულებისამებრ გამოყენება, — მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია ნებადართული კრედიტების გადასაცელება ერთი საბიუჯეტო განყოფილების ფარგალში. წლის გასვლისას არ გამოყენებული კრედიტები იხურება, სახსართა ნაშთი და ვალდებულებული ბიუჯეტით დავალიანება შემდეგი წლის ბიუჯეტში გადაიტანება. ბიუჯეტის ასრულების კონტროლს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო კონტროლის ორგანოები აწარმოებენ. იმავე აღმასრულებელ კომიტეტებს ევალება აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების ასრულების ანგარიშთა შედგენა, რომელთაც შემდეგ რესპუბლიკის ფინანსთა კომისარიატი აერთიანებს რესპუბლიკის მასშტაბით. (საფინანსო მართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ იხ. § 14-ის შენ.; ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების შესახებ იხ. § 15-ის შენ.).

2. საფინანსო მართველობა.

§ 14. საფინანსო მართველობის ორგანოები.—საფინანსო მეურნეობის წარმოება თანამედროვე სახელმწიფოებში დაკისრებული აქვს მართველობის განსაკუთრებულ დარგს, საფინანსო სამინისტროს, რომელსაც ფართო საუწყებო ორგანიზაცია აქვს და სათავეში პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, ფინანსთა მინისტრი უდგას.

1. ფინანსთა მინისტრის ფუნქციები არსებითად ოთხგვარია:

პირველი მდგომარეობს მასში, რომ ის ადგენს კანონთა პროექტებს ხარკების, საფასურების, ვალების, ანგარიშწარმოებისა და სალაროების შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო ქონების გამგეობის შესახებ და მათ პარლამენტში იცავს; განკარგულებებს იძლევა ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მონაწილეობს სათემო ხარკების საფუძველთა მოწესრიგებასა და ყველა იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელნიც სახელმწიფოს ხარჯებს მატებენ.

მეორე მისი უფლება-მოვალეობაა — ბიუჯეტების შედგენა სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობისათვის. ის თავს უყრის ცალკე სამინისტროთა გასავალს, უმატებს მათ საკუთარი უწყების გასავალს და ადგენს ხარჯების დასაფარავად შემოსავალთა პროექტს. ფინანსთა მინისტრი უნდა ეცადოს მოთხოვნილი ხარჯები ისეთ ფარგალში მოათავსოს, რომელიც მოსალოდნელ შემოსავალსა და მოსახლეობის სახარკო უნარს შეეფერება. რამდენადაც მცოდნე და შორსმჭვრეტელია იგი, მით უფრო უკეთ აირჩევს სწორ გზას გონიერ მომჭირნეობასა და ნამეტან დათმობას შორის ცალკე სამინისტროების მოთ-

ზოვნილებათა მიმართ. რამდენადაც დიდი გავლენა და მოქმედების უნარი აქვს მას, მით უფრო მეტ ყურადღებას ჰპოებს მისი წინადადება.

მესამე მოვალეობას შეადგენს შემოსავლის გამგებლობა. იმ სახელმწიფოებში, რომელნიც თვალსაჩინო შემოსავლიან სარეწაოებს ფლობენ, ეს საქმე ნაწილობრივ სხვა სამინისტროებსაც აქვთ დაკისრებული. ასე, მაგ., სახელმწიფო მიწები და ტყეები პრუსიაში სასოფლო მეურნეობის მინისტრს, აბარია, ხოლო მთა-მადნეულობანი — სავაჭრო მინისტრს. საჯარო მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებანი პრუსიაში საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს ხელში იყო; ხოლო ბავარიაში გზათა სამინისტროს ექვემდებარებოდა. ყველა სახელმწიფო რკინისგზებისა და ფოსტის იმპერიისათვის გადაცემის შემდეგ ესინი განსაკუთრებულ საიმპერიო სამინისტროებს დაექვემდებარა. სხვადასხვა საწარმოთა გამგებლობის სხვა სამინისტროებისათვის მიკუთვნება უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ფინანსთა მინისტრი ნამეტნავად არ იყოს დატვირთული, შემდეგ აგრეთვე შიშითაც, რომ მისი პოლიტიკური ძალა სხვა მინისტრებთან შედარებით ნამეტნავად დიდი არ შეიქნეს, რაკი შემოსავლის ეს წყაროებიც მის უწყებას მიემატება. ამასთანავე, აქ საქმე ეხება ისეთ სფეროს, სადაც ფისკალურს გარდა აგრეთვე საერთო ეკონომიურ მოსაზრებებსაც უნდა მიექცეს ყურადღება.

მეოთხეგვარ საქმიანობას შეადგენს სალაროებისა და ანგარიშწარმოების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა. წესიერი მეურნეობის წარმართვა, განსაკუთრებით კი საფინანსო კანონის სწორად შესრულება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ფინანსთა მინისტრმა ყოველ წუთში იცის, თუ რამდენია სხვადასხვა ადგილას ხაზინაში შემოსული ფული და რამდენია აქედან გაცემული და რამდენად მართლდება საფინანსო კანონით განსაზღვრული ციფრები ნამდვილი გასავლით და შემოსავლით. მხოლოდ შემოსავალ-გასავლის სწორი ცოდნის საფუძვლით შეუძლია მას მისცეს ცალკე უწყებებს ის თანხები, რომელთა განკარგულების უფლება მათ აქვთ.

2. ფინანსთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული მოხელეთა აპარატი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ოდენობისაა და სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი. დიდ სახელმწიფოებში, რომელთაც ფართო საფინანსო მარჯველობა აქვთ, ფინანსთა სამინისტრო ჩვეულებრივ ნივთიერი და ტექნიკური თვალსაზრისის თანახმადაა სამმართველოებად დაყოფილი, მაგ., პირდაპირ ხარკთა, არაპირდაპირ ხარკთა და ბაჟების, საბიუჯეტო, სალაროების და სხვა დირექციებად. ამით გა-

რდა არსებობს აგრეთვე დამოუკიდებელი ცენტრალური უწყებანი საფინანსო მართველობის განსაზღვრული დარგებისათვის, მაგ., პრუსიაში — ვალების მთავარი მართველობა, ლატარიის ცენტრალური დირექცია და სხვ., რომელნიც ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებიან.

საფინანსო მართველობის ამოცანათა შესასრულებლად საჭიროა მთელი ქსელი, შუა და დაბალ ორგანოებისა, რომელთაგან პირველნი უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებიან, ხოლო უკანასკნელნი — შუა ორგანოებს. შუა ორგანოები ან საერთო მართველობის ორგანიზაციაში არიან ჩაქსოვილი (საოლქოში, საპროვინციოში და სხვ.) ან საკუთარი ორგანიზაცია აქვთ, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი ბაჟებისა და არაპირდაპირი ხარკთა მართველობისათვის.

ს. ს. რ. კავშირში საფინანსო მეურნეობის უმაღლესი გამგებლობა დაკისრებული აქვს საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც სათავეში უდგას ფინანსთა სახალხო კომისარი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მართველობის საგანს შეადგენს: ა) საფინანსო საქმეთა ხელმძღვანელობა და საფინანსო პოლიტიკის გაერთიანება კავშირში; ბ) ცხოვრებაში გატარება საკანონმდებლო ორგანოთა დადგენილებებისა, რომელიც ფინანსთა სახალხო კომისარიატის მართველობის საგანს ეხება; გ) ფინანსთა სახალხო კომისარიატების საერთო ხელმძღვანელობა; დ) კავშირის საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელობა უცხოეთში; ე) მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების და მათი ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციის საფუძველთა შეთანხმება; ვ) ლითონის და ვალიუტის ფონდების მართვა-გამგებლობა; ზ) კავშირის ერთიანი ბიუჯეტის შედგენა და ასრულება; თ) საკავშირო ბიუჯეტის ასრულების შესახებ ანგარიშგების ორგანიზაცია და შემდგომი კონტროლი, ანგარიშის შედგენა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების შესახებ; ი) საკავშირო სახარკო კანონპროექტთა და მათი გატარების წესების დამუშავება; ადგილობრივი ფინანსების საერთო საკავშირო მნიშვნელობის კანონპროექტთა დამუშავება; კ) იმ სახელმწიფო კაპიტალების აღრიცხვა, რომელიც მოხმარებულია სახელმწიფო და შერეულ სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო სარეწაოებში; საკავშირო სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და მათი შემოსავლის მიღება, მათ შესახებ ანგარიშგების ზედამხედველობა და საკავშირო სარეწაოთა და დაწესებულებათა საფინანსო გეგმების დამუშავება და განხილვა; ლ) ფულის ბრუნვის სისტემის ორგანიზაცია და მოწესრიგება, საკრედიტო საკითხების დამუშავება და მოწესრიგება, ანგარიშების გასწორება საერთაშორისო ხელშეკრულობათა მიხედვით და სესხის აღება საკანონმდებლო დაწესებულებათა დადგენილების საფუძველზე. მ) დაზღვევის საქმის მოწესრიგება და საერთო ხელმძღვანელობა.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი საფინანსო მართველობის საქმეში დაკისრებულ ამოცანებს ორგანიზაციით ანხორციელებს: მართველობის იმ დარგების მიმართ, რომელნიც უშუალოდ მის მართველობას ექვემდებარებიან, — უშუალო დირექტივების და დავალებების მიცემით; იმ საკითხების მხრივ კი, რომელიც კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას ეკუთვნის, — დირექტივები და დავალებები გაიცემა მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს წარმოადგენენ: ა) მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები და მათი დაწესებულებანი; ბ) საფინანსო წარმომადგენლები უცხოეთში; გ) სატრანსპორტო და სამხედრო საფინანსო კონტროლი და სპეციალი საკონტროლო განყოფილებები და დ) სამხედრო-სავიწრო სალაროები.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შედის: ა) ფინანსთა სახალხო კომისარი და კოლეგია, ბ) მთავარი სამდივნო, გ) საერთო სამმართველო, დ) საბიუჯეტო სამმართველო, ე) სავალიუტო სამმართველო, ვ) სახელმწიფო გასაჯალის სამმართველო, ზ) სახელმწიფო შემოსავლის სამმართველო, თ) ადგილობრივი ფინანსების სამმართველო, ი) საფინანსო-საკონტროლო სამმართველო, კ) საფინანსო-ეკონომიური სამმართველო. ამას გარდა, საგანგებო დებულებათა საფუძველზე, ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში მოქმედებს სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო შრომის შემენახველი სალაროების მთავარი სამმართველო, სახელმწიფო ნიშნების დამმზადებელი სამმართველო, სათამაშო ქადალდის მონობოლიის სამმართველო და საფინანსო გამომცემლობა.

მოკავშირე რესპუბლიკებსა და მათ შემადგენელ რესპუბლიკებში ფინანსთა სახალხო კომისარიატები საკავშირო ფინანსთა კომისარიატის ხელმძღვანელობისა და დირექტივების მიხედვით საქმიანობენ. მათი მართველობის სტრუქტურა დაახლოვებით იგივეა, რაც საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მხოლოდ რამდენადმე უფრო შეზღუდული, საფინანსო და საბიუჯეტო სამართლის საფუძველზე.

საფინანსო მართველობის ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ საგუბერნიო, საოლქო და საპაზრო საფინანსო განყოფილებები, რომელნიც მუშაობას აწარმოებენ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით. საფინანსო განყოფილებებს დაკისრებული აქვთ: გუბერნიისა, ოლქისა და მაზრის ფარგლებში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის გატარება, აგრეთვე ყველა ადგილობრივი ხარკების და გამოსაღებებისა, ხელის შეწყობა სახელმწიფო ხარკთა გამოანგარიშებისა და აკრეფის საქმეში გარეგან სახარკო ზედამხედველობისათვის (ფინანსპექტორისათვის), საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე ადგილობრივი ფინანსების სფეროში, საანგარიშო და სასალარო საქმე სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით, ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით, ნებადართული საბანკო ოპერაციების წარმოება, სახელმწიფო სესხთა რეალიზაცია გუბერნიის, ოლქის და მაზრის ფარგლებში, საღერბო და სხვა გამოსაღებთა ნიშნების გაყიდვა. ამ ვალდებულებათა ასასრულებლად საფინანსო განყოფილებები იყოფიან შესაფერ ქვეგანყოფილებებად, რომელთა საქმიანობის ფარგლები განსაზღვრულია საგუბერნიო, საოლქო და საპაზრო საფინანსო განყოფილებების დებულებებით.

თემის (და სხვა მსგავსი ადმინისტრატიული ერთეულის) ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობაში მოქმედებს აგრეთვე საფინანსო-სახარკო ნაწილი, რომელიც შესდგება სახარჯთაღრიცხვო-სახარკო მაგიდიდან და სალაროდან. ამ ნაწილის ვალდებულებათა მუშაობის წარმოება თემის ბიუჯეტის შედგენასრულების ფარგალში და იმ ხარკების და გამოსაღებთა აკრეფა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა იხდის.

საფინანსო მართველობის ადგილობრივ (დაბალ) ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე გარეგანი სახარკო ზედამხედველობა, რომელიც შეს-

დგება პირდაპირ ხარკთა ინსპექციისა და არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციისაგან. პირდაპირ ხარკთა ინსპექციის შემადგენლობაში შედიან საუბნო ინსპექტორები, მათი თანაშემწენი და აგენტები, ხოლო არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციისაში კი—საუბნო ინსპექტორები და მათი თანაშემწენი. გარეგანი სახარკო ზედამხედველობის ვალდებულებაა სახელმწიფო ხარკთა გამოანგარიშება, გაწერა და აკრეფა.

§ 15. სალაროები, ანგარიშწარმოება და კონტროლი.—1.

ს ა ლ ა რ ო ე ბ ი. წინა საუკუნეებში თითოეულღვეარი ხარჯის დასაფარავად დანიშნული იყო განსაზღვრული სახსარი ან ფონდი. არასასურველმა მდგომარეობამ, რომელიც ამ წესს ახლდა: გაურკვეველობამ, ზოგიერთი ფონდის მოჭარბებულობამ, ხოლო ზოგის ნაკლებობამ, შემოსავალსა და გასავალს შორის დროის მიხედვით შეთანაბრების დამყარების სიძნელემ და სხვ. შემდეგში გამოიწვია მცირე სპეციალი ფონდების გაუქმება, მათი გაერთიანება დიდ ფონდში და იმ ზომის ცენტრალიზაცია, რომ სპეციალი ფონდების გარდამეტი მაინც მოგროვებული ყოფილიყო ცენტრალურ სალაროში, —საერთო მართველობის ხარჯების დასაფარავად ან სარეზერვო ფონდის შესაქმნელად. მაგრამ საერთოდ გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ა ნ უ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ლ ა რ ო ე ბ ი მხოლოდ კონსტიტუციური წყობილების დამყარების შემდეგ დაარსდა. ამ სალაროებში იყრის თავს სახელმწიფოს ყველა შემოსავალი, ბუხჰალტერულად მაინც, და იქიდან ეძლევათ ცალკე მართველობის დარგებს ხარჯების დასაფარავი საშუალებანი. დამყარებულია პრინციპი ს ა ლ ა რ ო თ ა ფ ი ს კ ა ლ უ რ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა. მასში განხორციელებას პოულობს ბიუჯეტის მთლიანობის, სისრულის და შესრულების იდეა.

სალაროთა მართველობასაც გაერთიანება ახასიათებს. ეს მასში ჩანს, რომ დაბალი საფეხურის სალაროები უფრო მაღალთ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი—ცენტრალურ მართველობას „ფონდების მოძრაობის“ ე. ი. შემოსავალ-გასავლის შესახებ მუდმივ ცნობებს აწვდიან. მხოლოდ ამ გზით ხდება მოსახერხებელი, რომ ცალკე სალაროებში არ ჰქონდეს ადგილი თანხების დაგროვებას, რაც კი შეიძლება შემცირებულ იქნეს ფულის გადაგზავნ-გადმოგზავნა, გატარებული იქნეს გაქვითების წესი და რომ არც ერთ სალაროს არ ჰქონდეს იმაზე მეტი თანხა, რაც საქმის წარმოებისათვის არის საჭირო. მართალია, სალაროთა სრული მთლიანობა დღესაც არაა განხორციელებული. სახელმწიფოს მთავარ სალაროს გარდა არსებობს აგრეთვე მართველობის ცალკე დარგთა მთავარი სალაროები და მრავალი შუა და დაბალი სალაროები. საზოგადოების საქმიანობის გაადვილების საჭიროებაც მოითხოვს სახელმწიფოს სახელდახელო სალაროების არ-

სებობას, განსაკუთრებით მართველობის ზოგიერთ დარგში (მაგ., ფოსტა). მაინც შესაძლებელი იქნებოდა არსებითი შემცირება მომხდარიყო პირველ რიგში შუა საფეხურის სალაროებისა; ეს გამოიწვევდა ხარჯების შემცირებას და დააჩქარებდა გასაცემელის გაცემას და გარდამეტის გადაცემას სახელმწიფოს სალაროში.

ზოგიერთ სახელმწიფოში სალაროთა მართველობაზე თვით სახელმწიფოს მეტნაკლებად ხელი აქვს აღებული და იგი ცენტრალურ საემისიო ბანკისთვის აქვს გადაცემული. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს ინგლისში, სადაც ინგლისის ბანკი ფულის შენახვა-გაცემას აწარმოებს სახელმწიფოს მაგივრად. ის იღებს სახელმწიფოს ვალის პროცენტებს, ხარკებს და სხვა გარდამეტს და ანგარიშზე უწერს ფინანსთა სამინისტროს. მეორე მხრივ ის აწარმოებს ფულის გაცემას საფინანსო მართველობის განკარგულებათა მიხედვით. ვინაიდან თითოეულ ცენტრალურ მართველობას ინგლისის ბანკში თავისი ანგარიში აქვს და ვინაიდან თვით ინგლისის ბანკი მუდმივ ურთიერთობაშია კერძო ბანკებსა და ბანკირებთან, რომელნიც საქმიანი ხალხის და კერძო პირების სალაროებს განაგებენ,—ამიტომ ფულის გადახდა სახელმწიფოს მიერ და აგრეთვე სახელმწიფოსათვის, საბანკო ტენიკის გაუმჯობესებული წესის საფუძველზე, შესაძლებელი არის ბანკის დავთრებში გადაწერ-გადმოწერით მოხდეს. უფრო ნაკლებ, ვიდრე ინგლისში, აღნიშნული საქმისათვის გამოყენებულია ბანკი ბელგიასა და გერმანიაში. გერმანიაში საიმპერიო ბანკი ვალდებულია უსასყიდლოდ იმპერიის ანგარიშზე ყველა შემოსავალი მიიღოს და აგრეთვე ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ფული გასცეს იმ ოდენობამდე, რამდენი თანხაც იმპერიას აქვს მასთან ანგარიშზე. საიმპერიო ანგარიშებს აწარმოებს საიმპერიო ბანკის მთავარი სალაროს საგანგებო განყოფილება, რომელსაც „მთავარი საიმპერიო სალარო“ ეწოდება.

საფინანსო კანონის შესრულება მოწესრიგებული და უზრუნველყოფილია საფინანსო ასიგნობების გაცემის უფლებით, რომელიც კონსტიტუციურ სახელმწიფოებში ფინანსთა მინისტრს ეკუთვნის. ეს გამომდინარეობს საფინანსო მართველობის ცენტრალიზაციის და სალაროების ფისკალური მთლიანობის პრინციპიდან და მდგომარეობს უფლებაში, რომლითაც უწყებებს წერილობითი წინადადება და ნებართვა ეძლევათ სახელმწიფო სალაროსათვის მიიღონ კუთვნილი თანხა და აწარმოონ გადახდა. შემოსავლისათვის ორგანოებს, რომელთაც მინდობილი აქვთ სახელმწიფო შემოსავალთა მიღება, ჩვეულებრივ ზოგადი მინდობილობა

ეძლევათ, რომლის გამცემი ფინანსთა მინისტრია; სხვა სამინისტროებს ასეთი ნებართვის გაცემა შეუძლიათ, ხშირად ფინანსთა მინისტრის მონაწილეობით, მხოლოდ თავიანთი უწყების შემოსავლის დარგებისათვის. რაც შეეხება გასავალს, ფინანსთა მინისტრი სხვა სამინისტროებს უხსნის კრედიტებს, რომელთა მიღების უფლება მათ საფინანსო კანონის საფუძველზე აქვთ (აძლევს მთლიან ასიგნობას, Totalanweisung) და რომელთა განკარგულებასაც ეს უკანასკნელნი საგანგებო ასიგნობების საშუალებით („ნაწილობრივი“ ასიგნობებით) განახორციელებენ. ასიგნობა ყოველთვის შეთანხმებული უნდა იყოს კანონით დამტკიცებულ ბიუჯეტის თანხასთან; ამისათვის ხშირად დაწესებულია წინასწარი კონტროლის გაწევა საფინანსო მართველობის ან საგანგებო საკონტროლო უწყების მიერ.

2. ანგარიშწარმოების საქმე შეიცავს საფინანსო კანონის ასრულების დროს ფულის ბრუნვის ციფრობლივად გამოსახვას და თავის გამოხატულებას პოულობს დავთარწარმოებასა და საანგარიშო დავთრებში. პირველი ამათვანი წარმოადგენს ან ასიგნობათა დავთარწარმოებას, ე. ი. ასიგნობის გამცემ უწყებათა მიერ კრედიტების გამოყენების ციფრობლივად აღნუსხვას, მიღება-გაცემის მწარმოებელ სალაროთა აღნიშვნით, ანდა—სალაროთა დავთარწარმოებას, რომლის დანიშნულებაც შემოსავალ-გასავლის გატარება საანგარიშო დავთარში, შესაფერი ასიგნობების, ქვითარების და სხვ. საბუთების აღნიშვნით. დავთარწარმოების საანგარიშო შედეგები საანგარიშო დავთრებში შეიტანება. წესს, რომლითაც ეს შეტანა ხდება, „ანგარიშწარმოების მეთოდს“ ანუ ანგარიშწარმოების წესს უწოდებენ. საფინანსო მართველობაში ძველი დროიდანვე და ამჟამადაც უფრო გამოიყენება ე. წ. კამერალური წესი (მარტივი ანგარიშწარმოება), რომელიც, ანგარიშების მარტივ მუხლებად და სისტემატიურად დალაგებით, იძლევა იმის დასაბუთებას, რომ შემოსავალი და გასავალი საფინანსო კანონს შეეფერება. კომერციული ანუ ორმაგი ანგარიშწარმოების გამოყენება მიზანშეწონილია ისეთ საჯარო სარეწაოებში, რომელნიც კომერციულ საფუძველზე იწარმოებიან მოგების მიღების მიზნით.

3. საფინანსო საქმიანობის შესახები კონტროლი შეიძლება იყოს სამგვარი: ადმინისტრაციული, საანგარიშო და პოლიტიკური.

ა) ადმინისტრაციული კონტროლს საფინანსო ორგანოები აწარმოებენ მათდამი ქვემდებარე ორგანოების მიმართ. მას საგნად აქვს როგორც ასიგნობათა კანონ- და მიზანშეწონილობის გარკვევა; ისე დავთრებისა და სალაროების წესრიგის გასინჯვა.

ბ) საანგარიშო კონტროლის წარმოება ჩვეულებრივ შეადგენს საგანს საგანგებო, ფინანსთა საშინისტროსაგან დამოუკიდებელ, დაწესებულებისას: უმაღლესი საანგარიშო კამერის, უმაღლესი საანგარიშო პალატის და მსგავსთა. პრუსიის უმაღლესი საანგარიშო კამერა, რომელიც ამავე დროს საიმპერიო საანგარიშო დაწესებულებაც არის, რევიზიას უკეთებს მართველობის ყველა დარგების ანგარიშებს არა მარტო ანგარიშწარმოების სისწორის მხრივ, არამედ აგრეთვე იმ მხრივაც, — დაცულია თუ არა საფინანსო კანონი და არის თუ არა მომჭირნეობა გაწეული. მას უფლება აქვს წუნი და შენიშვნები წარუდგინოს აღმასრულებელ ორგანოებს. ბავარიის შუა და დაბალი საფეხურის უწყებებს კონტროლს უწევენ ანგარიშწარმოების სისწორის მხრივ საოლქო საფინანსო კამერები, ხოლო სამინისტროების ხარჯთაღრიცხვათა კონტროლს აწარმოებს — საგანგებო საანგარიშო კამერა მიუნხენში. უზენაეს რევიზიას უმაღლესი საანგარიშო პალატა აწარმოებს, რომელიც თუმცა, საანგარიშო კამერის მსგავსად, საფინანსო სამინისტროს ექვემდებარება, მაგრამ განსაზღვრული დამოუკიდებლობითაც სარგებლობს.

გ) პოლიტიკური ანუ პარლამენტარული კონტროლი სწარმოებს სახალხო წარმომადგენლობის მიერ, რომელსაც წარედგინება დასამტკიცებლად განვლილი სამეურნეო წლის ანგარიში საკონტროლო დაწესებულების შენიშვნებით. ეს კონტროლი ფორმალური ხასიათისა, სახელდობრ როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება დამტკიცებულ ბიუჯეტს არ გადასცდენია და ერთი მუხლიდან მეორეში არავითარი ნებადაურთველი გადატანა კრედიტებისა არ მოუხდენია. სხვაგვარადაა საქმე, როდესაც ბიუჯეტის გადაცილება აუცილებელი გამხდარა, და განსაკუთრებით, როდესაც, მთავრობასა და სახალხო წარმომადგენლობას შორის მომხდარი კონფლიქტის გამო, საფინანსო კანონი გამოცემული არ ყოფილა. აქამდე ასეთი შემთხვევების ლიკვიდაციას ამგვარად ახდენდენ, რომ მთავრობა შემდგომად პარლამენტს მიმართავდა მოწონება-დასტურისათვის, რასაც მას პარლამენტი ჩვეულებრივ კიდევ აძლევდა.

თემების სალაროთა წყობილება და კონტროლი. — გერმანიის თემებში მართვა-გამგეობის უმაღლესი ხელმძღვანელობა თემის უფროსს ეკუთვნის. განსაკუთრებულ ზედამხედველობას საბიუჯეტო, სასალარო და ანგარიშწარმოების საქმეზე და ამის სათანადო მოხელეებზე აწარმოებს თემის საფინანსო მომხსენებელი. ცალკე სალაროთა ზედამხედველობა, რომელთა საქმიანობის სფეროსათვის განსაკუთრებული ბიუჯეტი არსებობს, ხშირად სპეციალ მომხსენებლებს აქვთ დაკისრებული, რომელნიც მნიშვნელოვან საკითხებში საფინანსო მომხსენებლის დახმარებას საჭიროებენ.

სათემო ფულის გამგე ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს თემის სა-
ლარო, რომელიც ჩვეულებრივ არა მარტო ნაღდ შემოსავალ-გასავალს და ფა-
სიან ქაღალდებს განაგებს, არამედ აგრეთვე ანგარიშწარმოებას და ანგარიშგება-
საც ეწევა. ამ სალაროს, როგორც ცენტრალურს, სხვადასხვა სპეციალი სალა-
როები (სახარკო დაწესებულებათა, საწარმოთა სალაროები) ექვემდებარება, რო-
მელთაც საკუთარი უფროსი პყავთ და თავიანთი ანგარიშწარმოება აქვთ. ამ სალა-
როებმა თავიანთი ნაშთი თანხები ან დაწესებულ ნორმაზე გარდამეტი ყოველ-
თვის მთავარ სალაროს უნდა ჩააბარონ საგანგებო ასიგნობის გარეშე, ხოლო მე-
ორეს მხრივ საკიროების დროს შეუძლიათ საგანგებო ასიგნობით საწარმოო ავანსის
მიღება იმავე ცენტრალურ სალაროდან. აქა-იქ არსებული დამხმარე სალაროები
(ბიუროს სალაროები და სხვ.) ფულის ზიდება-გაცემას იშვიათად და ისიც განსა-
ზღვრული რაოდენობით აწარმოებენ მთავარი სალაროს ან სპეციალი სალაროე-
ბის ანგარიშზე და ამათ წინაშე არიან ანგარიშმგებელნი. ქალაქებში, ქალაქის,
მთავარ სალაროს გარდა, არსებობს შემხმარებელი სალარო, რომელსაც ხშირად
განყოფილებები და ფულის მიმღები ადგილები აქვს სხვადასხვა ნაწილებში.

თემების ფინანსების შიშართაც ძალაშია ის პრინციპი, რომ ქალაქის
სალაროების მხრივ არც ერთი ისეთი შემოსავლის ან გასავლის შეტანა არ შეი-
ძლება ანგარიშში, რომელთა შესახებ ბიუჯეტის საფუძველზე საერთო ასი-
გნობა ან საგანგებო ასიგნობა არ არის გაცემული. ამ ასიგნობებს, ჩვეულებრივ
მას შემდეგ, რაც მათი სისწორე ხელმოწერით დადასტურებულია, განიხილავს და
შემოწმებს საგანგებო მოხელე იმ დაწესებულებისა, რომელიც ასიგნობას იძლევა.
სალაროსადმი ასიგნობას, რომელიც ბიუჯეტის ან დამტკიცებული დამატებითი
კრედიტების ფარგალს არ სცილდება, ჩვეულებრივ სპეციალი მომხსენებელი გა-
სცემს, სხვა შემთხვევაში კი საფინანსო მომხსენებლის ხელმოწერით გაიცემა.

დავთართა და სალაროთა წარმოების კონტროლს სარევიზიო ან სე-
ანგარიშო ბიუროები აწარმოებენ. ეს კონტროლი შეეხება არა მარტო დავთრე-
ბის წესიერ წედგენას და წარმოებას, არამედ განიხილავს აგრეთვე სალაროთა
ასიგნობებს, არკვევს—ეთანხმება თუ არა თავდაყოლის ჩანაწერები ბიუჯეტს,
უნაკლულთა თუ არა საბუთები და სწორია თუ არა წლიური დასკვნა და ანგა-
რიშები. ამას გარდა კონტროლს აწარმოებენ აგრეთვე ქალაქის საბჭოს, თემის
უფროსის ან საფინანსო მომხსენებლის საგანგებო სარევიზიო კომისიები.

წლიური საანგარიშო დასკვნა წარედგინება თემის უფროსს და თემის წარ-
მომადგენლობას და თავის მხრივ წარმოადგენს საფუძველს ანგარიშგებისათვის. სა-
თემო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს განიხილავს სათანადო სახელმწიფო და-
წესებულება.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ შ ი :

1. ყველა საერთო სახელმწიფო (საკავშირო და რესპუბლიკური) შემო-
სავალი, აგრეთვე ადგილობრივი საშუალებები და ყველა უწყებათა დეპოზი-
ტები თავმოყრილია ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის და მოკავ-
შირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების შემოსავალ-გასავლის
სალაროებში და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში. 1927
წ. 5 ივლისის დადგენილებით, რომელიც ამ წიგნის ბეჭედის დროს განხო-

რციელების პროცესშია, ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემოსავალ-გასავლის სალაროები დატოვებულია ყველა იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულება არ არის, ხოლო იქ, სადაც ეს არის,—ინტრება და მათი სასალარო ფუნქციები გადადის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებზე, რომლებთანაც, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით ოპერაციების საწარმოებლად, იქმნება სახაზინო ნაწილები, რომელნიც უშუალოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ექვემდებარებიან და სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან. შემოსავალ-გასავლის სალაროები და სახელმწიფო ბანკთან არსებული ხაზინის ნაწილები აწარმოებენ აგრეთვე გადახდას ყველა დაწესებულებების, სარეწაოების და თანამდებობის პირთათვის გასავლითი ბიუჯეტის საფუძველზე და დეპოზიტებზე არსებული თანხების ფარგლებში. გამონაკლისს წარმოადგენს რკინისგზების, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და ზოგიერთ სატყეოს, საბაჟოს და ნავთსადგურის შემოსავალი: ამ შემოსავალთა ხარჯვა ფინანსთა კომისარიატის სალაროების გარეშე სწარმოებს დანიშნულების მიხედვით, მაგრამ შემდეგში მათი გატარება სალაროს ოპერაციებში სავალდებულოა; ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებსა და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ამ შემოსავალთა მხოლოდ გარდამეტი იყრის თავს. გაცემა სახელმწიფო და ადგილობრივ სახსართა თანხებიდან სწარმოებს მხოლოდ ნებადართულ ასიგნობათა საფუძველით და სასალარო დაწესებულებებში გახსნილი კრედიტის ფარგლებში. სახელმწიფო ბიუჯეტით კრედიტს ხსნის შესაფერი რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით—შესაფერი ადგილობრივი ადმინისტრაციული კომიტეტი.

სასალარო დაწესებულებები (ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემოსავალ-გასავლის სალაროები და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი) აწარმოებენ გადამხდელებისაგან იმ თანხების მიღებას, რომელიც სახელმწიფო შემოსავალში, ადგილობრივ საშუალებებში და დაწესებულებათა დეპოზიტებში შეიტანება. სასალარო დაწესებულებებში იყრის თავს აგრეთვე ყველა თანხები, რომელიც გადამხდელისაგან უშუალოდ სპეციალ ამკრეფთა სალაროებშია მიღებული. გადამხდელს გადასახდელი თანხა შეაქვს განცხადების, საგადასახადო უწყების ან საგანაკვეთო ფურცლის წარდგენით, რომელთა საფუძველზე სალარო გადასახდელ თანხას დებულობს და სანაცვლოდ გადამხდელს ქვითარს აძლევს ან უწყებაზე შესაფერ წარწერას აკეთებს. არასწორად და ზედმეტად მიღებული თანხა გადამხდელს უბრუნდებათ, სათანადო შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

თითოეულ ხარჯთაღრიცხვისათვის გახსნილი კრედიტი გადადის შესაფერი მთავრობის ორგანოს (დაწესებულების ან პირის) განკარგულებაში, რომელნიც მინიჭებული უფლების მიხედვით სამ ხარისხად იყოფიან:

ა) მთავარი ანუ პირველ ხარისხოვანი განმკარგულებელნი (კრედიტისა),—სახალხო კომისარები და ის თანამდებობის პირები, რომელნიც დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვის მქონე დაწესებულებათა სათავეში დგანან;

ბ) მეორე ხარისხოვანი ი,—რომელნიც კრედიტებს დებულობენ მთავარ განმკარგულებელთაგან და მოქმედობენ რესპუბლიკების, ოლქების, გუბერნიების და მაზრების ფარგლებში;

გ) მესამე ხარისხოვანი ი,—რომელნიც კრედიტებს დებულობენ მეორე ხარისხოვანთაგან, ზოგ შემთხვევებში აგრეთვე—მთავარ განმკარგულებელთაგანაც, მაგრამ არ სარგებლობენ სხვა დაწესებულებებსა და პირებზე კრედიტების შემდეგი გადაცემის უფლებით.

დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვათა თანახმად კრედიტების გახსნა ხდება სალაროს ნუსხის საშუალებით ან ცალკე საკრედიტო მიწერილობით. ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებაში გადაცემული კრედიტი იხსნება სალაროს ნუსხით ან საკრედიტო მიწერილობით შესაფერ შემოსავალ-გასავლის სალაროსა ან სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში. ადგილობრივი მართველობისა, დაწესებულებებისა და სარეწაოებისათვის დანიშნული კრედიტი იხსნება სალაროს ნუსხებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაბალ ორგანოებში, მეორეხარისხოვან განმკარგულებელთა სამყოფი ადგილის მიხედვით.

მეორეხარისხოვან განმკარგულებელთ, რომელნიც კრედიტებს დებულობენ მთავარ განმკარგულებელთაგან, ასიგნობების შედგენის უფლება აქვთ მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატის იმ სალაროთა დაწესებულებებზე, სადაც მათი კრედიტია გახსნილი, ხოლო კრედიტის გადაცემა კი შეუძლიათ ქვემდებარე დაწესებულებებზე, რომელნიც იმავე ადგილებში არსებობენ; კრედიტების ნაშთის გადაცემა მათ შეუძლიათ პირველხარისხოვან განმკარგულებელთათვის.

მესამეხარისხოვან განმკარგულებელთა არა აქვთ უფლება კრედიტების გადაცემისა და შეუძლიათ მხოლოდ ასიგნობების გაცემა იმ სალაროთა დაწესებულებებზე, სადაც კრედიტი აქვთ გახსნილი; კრედიტების ნაშთის გადაცემა მათ შეუძლიათ მხოლოდ კრედიტების მიმცემ მეორეხარისხოვან განმკარგულებელთათვის.

ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი და არაჩვეულებრივი ხარჯებისათვის კრედიტი იხსნება სათადარიგო ფონდიდან შესაფერ შემოსავალ-გასავლის სალაროში და სალაროთა დაწესებულებებში ფინანსთა სახალხო კომისარიატის (საბიუჯეტო სამმართველოს) ცალკე განკარგულების საფუძველზე, გასავლის ადგილის, კრედიტის განმკარგულებლების და იმ სახარჯთაღრიცხვო დაყოფილობის (პარაგრაფის, მუხლის, ლიტერის) აღნიშვნით, რომელთაც უნდა მიეკუთვნოს ეს გასავალი.

ფულის გაცემა სწარმოებს ხაზინის, დეპოზიტების ან ადგილობრივ სახსართა თანხიდან განმკარგულებელთა ასიგნობებით. გაცემა შეიძლება მოხდეს უასიგნობოდაც, კრედიტორთა უშუალო მოზონილებით და ფინანსთა სახალხო კომისარიატის (საბიუჯეტო სამმართველოს) საგანგებო განკარგულების საფუძველზე, რაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დაშვებული; უასიგნობოდ სწარმოებს აგრეთვე ზოგიერთი პენსიების გაცემაც საპენსიო წიგნაკვებით.

რამოდენიმედ განსხვავებული სალაროთა წყობილებაა რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ში, სადაც შემოსავალ-გასავლის წარმოება მთლიანად დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბანკს, რომელიც ბიუჯეტის ასრულების ანგარიშწარმოების მთელ მასალას ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებებს უდგენს.

2. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში ორმაგი ან გარემოწარმოებაა შემოღებული. ეს დაწესებულებებია: საკუბერნიო, საოლქო და სამაზრო საფინანსო განყოფილებებთან არსებული ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემოსავალ-გასავლის სალაროები, მიწერილი სალაროები, საფინანსო განყოფილებათა საკონტროლო-საბუხპალტერო ქვე-განყოფილებები, ეოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური შემოსავალ-გასავლის სალაროები, ცენტრალური ბუხპალტერია, ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური სახაზინო ნაწილი, მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახაზინო ნაწილები (იქ, სადაც

ისინი შექმნილია) და ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სამხედრო-საველე საღაროები. ფინანსთა სახალხო კომისარიატის იმ სამაზრო და მიწერილ საღაროებში, სადაც ანგარიშწარმოებელ პერსონალის კვალიფიკაციის გამო, ორმაგი დავთარწარმოების წესიერად გატარება შეუძლებელია, დროებით შეიძლება დაშვებულ იქნეს ანგარიშწარმოების მარტივი წესი.

საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო შემოსავალ-გასავლის საღაროები, სახაზინო ნაწილები და აგრეთვე მიწერილი საღაროები დამოუკიდებელი ანგარიშწარმოებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგებას წარადგენენ შესაფერ საკონტროლო-საბუხპალტერო ქვე-განყოფილებაში. ის მიწერილი საღაროები კი, რომელთაც დამოუკიდებელი ანგარიშწარმოება არა აქვთ, საბუთებს ყველა ოპერაციების შესახებ იმ საღაროს უგზავნიან, რომელზეც არიან მიწერილი, მის ბალანსში გასატარებლად. საკონტროლო-საბუხპალტერო ქვე-განყოფილებები ანგარიშგებას ამოწმებენ საბუთების მიხედვით და გამოყავთ მათი მოქმედების ფარგლებში მყოფ სასაღარო დაწესებულებათა სახელმწიფო ბიუჯეტის ასრულების საანგარიშო ბალანსი; ისინივე, ნამდვილი საბუთების საფუძველზე, აწარმოებენ სახელმწიფო შემოსავალთა დეტალურ ანგარიშს და ადგენენ ქვემდებარე სასაღარო დაწესებულებათა წინასწარ და დეტალურ ანგარიშგებას როგორც შემოსავლისა, ისე გასავლისათვის. ამ ანგარიშგების საერთო ჯამის იმავე პერიოდის შენაერთ ბალანსთან შედარება-შემოწმების შემდეგ, ის ეგზავნება რესპუბლიკის ცენტრალურ ბუხპალტერიას. ეს უკანასკნელი აერთებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოთა საანგარიშგებო ცნობებს მთლიანად რესპუბლიკის ბიუჯეტის ასრულების შესახებ, აგრეთვე საკავშირო ხარჯთაღრიცხვათა ტერიტორიალური ასრულების შესახებაც, რის შემდეგ ანგარიშგება წარედგინება ან უშუალოდ ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ბუხპალტერიას, ანდა—სადაც ფედერატიული რესპუბლიკაა, ჯერ ამ უკანასკნელის ცენტრალურ ბუხპალტერიას, რომელიც აერთიანებს ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა ანგარიშგებას და თავის მხრით უდგენს იმავე ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ბუხპალტერიას. ეს უკანასკნელი, მოკავშირე რესპუბლიკათა ანგარიშგების საფუძველზე, ადგენს ერთიან ანგარიშს მთელი ს. ს. რ. კ.-ის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის საერთო აღრიცხვის ასრულების შესახებ.

თითოეული ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების აღწესვასაც სასაღარო დაწესებულებანი აწარმოებენ ორმაგი ანგარიშწარმოების წესით: ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების ანგარიშგებას ეს დაწესებულებანი სათანადო საფინანსო განყოფილებებს წარუდგენენ, საიდანაც იგი შემდეგ წარედგინება რესპუბლიკის ფინანსთა კომისარიატის ადგილობრივი ფინანსების განყოფილებას (სახელდობრ, საანგარიშო-საბუხპალტერო ქვე-განყოფილებას). ფინანსთა კომისარიატიდან ადგილობრივი ბიუჯეტების ასრულების ანგარიშგება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით წარედგინება ან უშუალოდ საკავშირო ფინანსთა კომისარიატს, ან—სადაც რესპუბლიკა ფედერაციაში შემავალია,—ფედერაციის ფინანსთა კომისარიატს, საიდანაც, ფედერაციის მასშტაბით გაერთიანებული, წარედგინება ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა კომისარიატს: აქ ადგილობრივი ფინანსების სამმართველო ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების ასრულების ერთიან ანგარიშგებას კავშირის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით.

3. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებს წარმოადგენენ: ა) სახელმწიფო კონტროლის მთავარი სამმართველო ფინანსთა

სახალხო კომისარიატთან, უწყებათა ადგილობრივ ორგანოების სარევიზიო განყოფილებებით; ბ) მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებული სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სამმართველოები; გ) საფინანსო კონტროლის ორგანოები რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და აგრეთვე—საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციულ კომიტეტებთან არსებული საფინანსო განყოფილებები. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის დანიშნულებას შეადგენს: ა) ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალონოების, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების და სპეციალ ამკრეფთა სალონების მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ასრულების კონტროლი; ბ) კონტროლი იმ სახელმწიფო ორგანოთა, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე არიან, საბიუჯეტო სახსართა განკარგულების მხრივ; გ) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებების ყველა სპეციალ სახსართა მიღებისა და გამოყენების კონტროლი, აგრეთვე ამ დაწესებულებათა დეპოზიტებში ჩარიცხული თანხების შენახვისა და განკარგულების კონტროლი; დ) საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებათა ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების დაყენებისა და მისი წესიერი წარმოების მეთვალყურეობა; ე) საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა განკარგულებაში არსებულ ფულად და მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის და დაცვის მეთვალყურეობა; ვ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასრულების ბუხალტერული ანგარიშის შედგენა; ზ) სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივ ბიუჯეტთა ასრულების სარევიზიო ანგარიშების შედგენა.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მთავარი სამმართველო ანზორციულებს საერთო საკავშირო ბიუჯეტის ასრულების კონტროლს, ხოლო დანარჩენი ორგანოები— რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისას.

აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები აწარმოებენ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ასრულების საფინანსო და სამეურნეო ოპერაციების ფაქტიურ რევიზიას, რომლის დროსაც იყენებენ გასამართლებელი საბუთების და დავთრების შემოწმების არჩევით მეთოდს, და აგრეთვე—ფულად და მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის და არსებული სამუშაო ძალის გამოკვლევას.

მ მ - 2 ნ ა წ ი ლ ი .

საჯარო გასავალი (ხარჯები).

§ 16. არსი და მნიშვნელობა.—საფინანსო მეურნეობა მიზნის მისაღწევი საშუალებაა და არა თვითმიზანი. მისი დანიშნულებაა შემოსავალი გამოიწვიოს ხარჯების დასაფარავად. მოთხოვნილებებთან შეთანხმებით საჭირო ხარჯების გამოთვლა მართველობის ცალკე დარგთა მოვალეობას შეადგენს; მათი ცნობა-დამტკიცება კი სახალხო წარმომადგენლობის საქმეა. მართველობის ცალკე დარგთაგან საფინანსო მართველობას წარედგინება მოთხოვნილებანი დასაკმაყოფილებლად. მისი საქმე არაა ამათი განხილვა სარგებლიანობისა და საჭიროების მხრივ. მაგრამ როდესაც ახალი მოთხოვნილებებია წარმოდგენილი, რომელთათვის აქამდე არსებული შემოსავალი არ კმარა, ან როდესაც გასავალი იმდენად დიდი გამოდის, რომ ხარკვალდებულთა გადამხდელით უნარს არ შეეფერება, მაშინ საფინანსო მართველობის მოვალეობაა შემოსავალი შესაფერად შეამციროს და ყველა მომჭირნეობას აიძულოს. ამრიგად, გასავალი და შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის ორ ნაწილს წარმოადგენს, რომელნიც ორგანიულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ამიტომ, უკვე ამ საფუძვლის გამო, საფინანსო მეცნიერებას სჭირდება საჯარო გასავლის მოქცევა თავის განხილვის ფარგალში.

მაგრამ ამისათვის სხვა საფუძველიც არის. იმის მიხედვით, გასავალი ჩვეულებრივია თუ არაჩვეულებრივი, დასაფარავი საშუალების არჩევა საფინანსო მართველობის მიერ სხვადასხვაგვარი უნდა იქნეს. ზოგიერთი ხარჯები მჭიდროდაა დაკავშირებული შემოსავლის მომცემ მეურნეობასთან და უკვე ამის გამო ყურადსაღებია. ასეთი ხარჯებია ყველა შემოსავლის მიღების მიზნით წარმოებული საჯარო მეურნეობის ხარჯები, ანდა—გადასახადების აკრეფით გამოწვეული ხარჯები. გარდა ამისა, ყოველგვარი ხარჯების წარმოებისას მხედველობაში მისაღებია ეკონომიური პრინციპი და ყველა

თვალსაზრისი, რომელიც ამ პრინციპის მოთხოვნილებათა განხორციელებას ხელს შეუწყობს. დასასრულ, ყველას, ვინც საფინანსო მეცნიერებას სწავლობს, სურს, რასაკვირველია, ის კონკრეტული მიზნებიც გაიცნოს, რომელთა განხორციელებისათვის არის დანიშნული შემოსავალი.

საუკუნეთა განმავლობაში საჯარო კავშირთა ხარჯები ყველგან ძალიან გაიზარდა. ეს ზრდა არ დაუბრკოლებია არც პოლიტიკურ შეხედულებათა ცვალებადობას, არც სახელმწიფოთა ფორმების გარდაქმნას. ნაწილობრივ ეს აიხსნება მოსახლეობის ზრდით, რამაც მოხელეთა რიცხვის გაზრდა და საჯარო დაწესებულებათა გამრავლება და გაფართოება გამოიწვია, ხოლო უმთავრესად კი იმით, რომ საჯარო კავშირებმა უფროდაუფრო ახალ-ახალი ამოცანები იკისრეს შესასრულებლად. რაც შეეხება კერძოდ სახელმწიფო ხარჯების განსაკუთრებულ ზრდას უკანასკნელ ათეულ წლებში, უპირველეს ყოვლისა ეს გამოიწვია სახელმწიფოს თავდაცვის ხარჯების სწრაფმა ზრდამ. ნაწილობრივ ეს წარმოშვა მშვიდობიანი დროის შეიარაღებულ ძალთა გაზრდამ, ხოლო კიდევ უფრო მეტად იმ ხარჯებმა, რომელიც ხმელეთსა, წყალსა და ჰაერში თავდასხმისა და თავდაცვის ტექნიკურ საშუალებათა განვითარებამ გამოიწვია. ნიშანიც კი არა ჩანს იმისა, რომ სახელმწიფოებში, რომელთაც ხელთ აქვთ თავიანთი სამხედრო ხარჯების შემცირების სრული შესაძლებლობა, ამ მხრივ რაიმე ცვლილება იყოს მოსალოდნელი. შეიარაღების ხარჯთა ოდენობა და ზრდა, აბსოლუტურ ციფრებში გამოსახული, დიდად სჭარბობს მართველობის სხვა დარგთა ხარჯებს: საფრანგეთსა, ინგლისსა და იტალიაში სახელმწიფოს მთელი გასავლის ერთი მეშვიდედიდან ერთ მეოთხედამდე, ამჟამად, სამხედრო ხარჯებზე მოდის, ვალებით გამოწვეული გასავლის ჩათვლელად. მიმართებითი რიცხვები კი სხვა სურათს იძლევა; სახელდობრ: რომ შინა-მართველობის სფეროშიც, სულიერ და სამეურნეო კულტურის წარმატების ხელის შეწყობისა და სოციალ-პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სახელმწიფოსაგან უფროდაუფრო მეტ საშუალებათა მოთხოვნის გამო, გასავალი შედარებით ისევე გაიზარდა, თუ მეტად არა, როგორც თავდაცვის ხარჯები.

ხარჯების ასეთი განვითარება ემჩნევა თემებშიც ფინანსებსაც. ერთის მხრივ სახელმწიფომ მათ ახალი ამოცანები დააკისრა, რომელთა შესასრულებლად ადგილობრივ მოსახლეობასთან ახლობელი კავშირის არსებობაა საჭირო და ამიტომ მათ თემები უფრო ნაყოფიერად შეასრულებენ; მეორეს მხრივ კი თემებმა, განსაკუთრებით

დიდმა ქალაქებმა, თავიანთი საქმიანობის სფერო საგრძნობად გააფართოვეს და მცხოვრებთა კულტურულ მოთხოვნილებებს შეუფარდეს.

§ 17. საფინანსო-პოლიტიკური თვალსაზრისი.—საჯარო კავშირები, ისევე, როგორც თითოეული კარგად წარმართული კერძო მეურნეობა, უნდა ცდილობდენ ხარჯების წარმოების დროს სამეურნეო ცხოვრების ელემენტარული პრინციპი დაიცვან: სახელდობრ, უმცირესი ხარჯების გაღებით უდიდეს შედეგს მიაღწიონ, —მაშასადამე, იმაზე მეტ მოხელეებსა და დაწესებულებებზე არ გასწიონ ხარჯი, რაც საჭიროა, და ნივთიერ დოვლათთა მოპოებისას შეძლებისდაგვარად მომჭირნეობით იხელმძღვანელონ. ეს მოთხოვნილება იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ საჯარო კავშირები ფინანსიურ სახსარს, რამდენადაც საკუთარი სამეურნეო საწარმოდან ვერ იღებენ, კერძო მეურნეობათაგან იღებენ იძულებითი წესით. და სახელმწიფოს ქვეშევრდომის ყოველი ისეთი დაბეგვრა, რომელიც მიზნით არაა გამართლებული, მავნებელია; ამ შემთხვევაში მას არ მოაქვს საერთო სარგებლობა, ასუსტებს საწარმოო უნარს და შემოსავალს აცლის კერძო მეურნეობას, რომელსაც იმის გამოყენება შეეძლო საარსებო დონის ასაწევად, გონებრივი კულტურის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების განსავითარებლად ანდა—დასაგროვებლად, და იწვევს უკმაყოფილებას. იმ ფაქტიდან, რომ საჯარო კავშირები გადასახადებით მოიპოებენ შემოსავალს, მეორე მოთხოვნილებაც გადმომდინარეობს: რომ ეს ზოგადი შემოსავალი დახარჯვისას ქვეყნის ცალკე ნაწილთა, კლასთა ან პიროვნებათა სასარგებლოდ არ უნდა იქნეს მოხმარებული.

მართალია, ორივე ეს დებულება განსაზღვრული შეზღუდვით არის გასაგები. გასარჩევია გარეგნულად და ნამდვილად დარღვევა ამ დებულებათა. მომჭირნეობის პრინციპის წინაშე შეცოდებად ვერ ჩაითვლება, როდესაც სახელმწიფო, თავისი დამოუკიდებლობის მიზნით, მაგ., გემებს საკუთარ ვერფებში ააგებინებს, თუნდაც რომ შინ აგებული უფრო ძვირი ჯდებადეს, ვიდრე უცხოეთში ნაყიდი, ან როდესაც, უმუშევრობის შესამცირებლად, ისეთ სამუშაოს აწარმოებს, რომელიც თავისთავად აუცილებელი არაა, და ამიტომ ადამიანთა მეტ რიცხვს ამუშავებს, ვიდრე ნორმალურ პირობებში. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია პოლიტიკურ ან სოციალურ მოსაზრებებს მიეცეს უპირატესობა ფინანსიურის წინაშე. ასევე, ცალკე კლასებისთვის უპირატესობის მინიჭებად არ ჩაითვლება, როდესაც სახელმწიფო ხარჯებს ეწევა მრე-

წველობის ან სასოფლო მეურნეობის ასალორძინებლად ანდა სუბსიდირიას გაიღებს მუშათა დასაზღვევად და სხვ., თუ კი ამ ღონისძიებებით საერთო სარგებლიანობასაც ხელს უწყობს,—მაგ., ნაწარმოებთა მოპოება-მოხმარებას. ამგვარ შემთხვევებში იმისი გარჩევა, თუ რომელი ხარჯების გაწევაა მართებული და რომლის არა, მართლაც ძნელია; იგი გულისხმობს მთავრობისა და სახალხო წარმომადგენლობის მხრივ შეგნების მაღალ დონეს და მიუდგომლობას.

§ 18. გასავლის დანაწილება.—საჯარო კავშირთა გასავალი შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით დანაწილდეს. მთავარია შემდეგი დანაწილება:

1. ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი გასავალი. ჩვეულებრივი გასავალია ისეთი, რომელიც ყოველ სამეურნეო პერიოდში მეორდება და საერთოდ ნაკლებ იცვლება,—მაგ., სახელმწიფოს მეთაურის შენახვის ხარჯი, მოხელეების ჯამაგირები, ვალების სარგებელი, შენობებისა და ნაგებობათა დაცვის ხარჯები. არაჩვეულებრივი ხარჯები ეწოდება ისეთებს, რომელნიც არარეგულიარულად, ზოგჯერ მოულოდნელად წარმოიშობიან და იმდენად დიდი ოდენობის არიან, რომ ჩვეულებრივი შემოსავლით მათი დაფარვა შეუძლებელია. ხარჯები ომის, ხელახალი შეიარაღებისა და ფლოტის გაფართოების, არხების გაყვანისა და ნავთსადგურების აგების, რკინისგზების შესყიდვისა და რკინისგზების ქსელის გაფართოების და სხვ.—ყველა ეს არაჩვეულებრივი ხარჯებია. ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ხარჯებს შუა არის ისეთი ხარჯები, რომელნიც თუმცა ყოველ სამეურნეო პერიოდში არ მეორდებიან, მაგრამ გამოყენების მიზნის მიხედვით შეიძლება ერთგზისად მივიჩნიოთ; მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს ხარჯებიც მეორდებიან, მაგ., სანაცვლო სამხედრო გემების აშენების, დაწესებულებათათვის ახალი შენობების აგების ან ძველთა გადაკეთების, დიდ ქალაქებში სასკოლო შენობების აგების ხარჯები და სხვ.. რამდენადაც ეს ერთგზისად გასაწევი ხარჯები ნამეტნავად დიდი არაა, საფინანსო ტექნიკის თვალსაზრისით ჩვეულებრივ ხარჯებად მიიჩნევა.

როგორც ზევით (§ 10) იყო მოხსენებული, წესიერი საბიუჯეტო წყობილება მოითხოვს, რომ ჩვეულებრივი ხარჯები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსამეორებელი ე. წ. ერთგზისი ხარჯების ჩათვლით, რეგულიარული შემოსავლით იფარებოდეს, ხოლო არაჩვეულებრივი ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ვალის აღებით მოხდეს და ამას გამართლებაც ჰქონდეს. სახელდობრ, ვალის აღება

სახიფათო არაა, უკეთეს ხარჯი, რომელიც ვალით უნდა დაიფაროს, გაწეული იქნება სამეურნეო საწარმოთა დასაარსებლად ან გასაფართოებლად, რომელთაგან შესაძლებელია სარგებლის გასასტუმრებელი და თავნის დასაშრეტი შემოსავალი იქნეს მიღებული.

2. პირადი და მატერიალური გასავალი. პირადი გასავალი—ე. ი. პირადი შემადგენლობის საჭიროება ყველგან დიდად გაიზარდა. საჯარო ამოცანათა გამრავლება და მოსახლეობის ზრდა იწვევს მოხელეთა და მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდას. მრავალი საქმიანობა, რომელიც წინად „უჩინარ“ გასავალს წარმოადგენდა, ვინაიდან საპატიო თანამდებობის ასრულების გზით უსაყიდლოდ სრულდებოდა მოქალაქეთაგან, საჭირო გახდა ჯამაგირიან პირებს გადასცემოდა შესასრულებლად. ამის საჭიროება წარმოშვა ნაწილობრივ საზოგადოებაში მოთხოვნილების გაზრდა-გადიდებამ, რომლის შესაფერისად საქმიანობის წარმართვა მხოლოდ პროფესიულად მომზადებულ მოხელეებს შეეძლოთ, ხოლო ნაწილობრივ იმ გარემოებამ, რომ სამეურნეო ცხოვრების გართულებისა და შექმნის ძიების გაძლიერების გამო, აგრეთვე აქა-იქ პოლიტიკური მიზეზებითაც, დიდად შემცირდა მოქალაქეთა მისწრაფება საპატიო თანამდებობისადმი. რამდენადაც საპატიო სამსახურს ამჟამად ადგილი აქვს, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციამ, რომლის გამო ღარიბებმაც და მცირე შეძლების პატრონებმაც უნდა გაუწიონ სახელმწიფოსა და თემებს სამსახური, აუცილებელი გახდა დღიურების, სხდომის ფულის ან სხვა გასამრჯელოს შემოღება. დასასრულს, ჯამაგირებისა და ხელფასის გაზრდა ცხოვრების გაძვირებამაც გამოიწვია.

მსგავსივე განვითარება განიცადა მატერიალურმა ხარჯებმა. აქ პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს საკითხს: საჯარო-უფლებრივი კავშირები უნდა ეწეოდნენ თუ არა და—რა ზომისად უნდა ეწეოდნენ მატერიალურ დოვლათთა საკუთარ წარმოებას? მაგრამ ეს საკითხი საყოველთაოდ ვერ გადაიჭრება. ზოგიერთ შემთხვევებში საკუთარ წარმოებას შესაძლებელია უპირატესობა მიეცეს, შეიძლება იგი აუცილებელიც იყოს, მაგ., როდესაც შინაური კერძო მრეწველობა არ კმარა და უცხოეთიდან ნაწარმოებთა მიღება კი სასურველად არაა მიჩნეული, ან როდესაც გამყიდველთა პირისშეკვრა ზარალს აყენებს საზოგადოებას; შემდეგ, ისეთი საგნების მიმართ, რომელთა მყიდველი მხოლოდ სახელმწიფოა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი ნივთიერი დოვლათია. შესაფერისი საჯარო კავშირთა მიერ თვით დასამზადებლად, ჩვეულებრივ კი სხვა-

დასხვა საჭირო ნივთიერი დოვლათი მათ მიერ ბაზარზე შესყიდვის გზით მოიპოვება. ამასაც განსაზღვრული სიძნელენი ახლავს: სახელმწიფომ და თემმა დოვლათთა შექმნა ერთის მხრივ ხარკის გადამხდელთა ინტერესისათვის რაც შეიძლება სასურველ პირობებში და ყოველგვარი მიკერძების გარეშე უნდა აწარმოონ, ხოლო მეორეს მხრივ მათგან მოითხოვება სოციალ-პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობა, — წვრილ და საშუალო შეძლების მოსაქმე ხალხის ინტერესების მხედველობაში მიღება. ყოველგვარი უპირატესობა და მიკერძება ფორმალურად მოსპობილია, როდესაც დოვლათთა ჩაბარების გაცემა სწარმოებს შეჯიბრების წესით. მაგრამ ეს წესი ყოველთვის არ უზრუნველყოფს კარგი ნაწარმოების ჩაბარებას და უფრო მსხვილი მესარეწისათვის არის ხელსაყრელი. აქაც, ნივთიერ ხარჯებშიაც, ერთი ნაწილი „უჩინარი“ ხარჯებია და ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში არაა აღნიშნული, — ასე, მაგ., როდესაც მართველობის მიზნებისათვის (ვთქვათ, განათლების დაწესებულებისთვის, მუზეუმისთვის და სხვ.) კერძო პირები სახსარს ნებაყოფლობით იძლევიან.

3. მართვა-გამგეობის და წარმოების ხარჯები. მართვა-გამგეობის ხარჯები ისეთებია, რომელნიც უშუალოდ მართველობის მიზნების შესასრულებლად არიან დანიშნულნი. საწარმოო ხარჯები კი ისეთებია, რომელნიც შემოსავლის მიღებისათვის გაიწევიან. მათი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა სახელმწიფოებსა და თემებში სხვადასხვაგვარია, სამეურნეო სარეწაოთა ფარგლისა და სახეთა მიხედვით. საწარმოო ხარჯები ხშირად შემოსავლის დიდ ნაწილს ითხოვს, ასე რომ გარდამეტი (წმინდა შემოსავალი) შედარებით მცირე რჩება. იმ სახელმწიფოებსა და თემებს, რომელნიც სავსებით ან უმთავრესად ხარკებით ცხოვრობენ, შემოსავლის მოპოების მცირე ხარჯები აქვთ. მაგრამ არის აქ ერთი ფრიად საყურადღებო განსხვავება: სარეწაოთა საწარმოო ხარჯები სახელმწიფოს ან თემის მოქალაქეთ არ ბევრავს, მაშინ როდესაც ხარკის აკრეფაზე გაწეული ხარჯები სახარკო ტვირთს სათანადოდ აღიდებს.

4. საჯარო ხარჯები ცალ-ცალკე. სახელმწიფოს ხარჯები, მიუხედავად სხვადასხვაობისა კერძობაში, საერთოდ ორი ჯგუფისაგან შესდგება: საკონსტიტუციო და საადმინისტრაციო ხარჯებისგან.

საკონსტიტუციო ხარჯებს მიეკუთვნება მონარქიაში ცივილური ფურცელი, ე. ი. ფულადი რენტა, რომელიც მონარქს ეძ-

ლევა საჯარო შემოსავლიდან მისი ხარჯების დასაფარავად. ის ან სამუდამოდ არის გარდაკვეთილი, ან განისაზღვრება მონარქის მეფობის ხანგრძლივობით, აქა-იქ აგრეთვე მხოლოდ საბიუჯეტო პერიოდით ან რამდენიმე წლით. ცივილური ფურცლით მიღებული შემოსავლით მონარქი თავისი ოჯახის წევრებსაც ინახავს, უკეთეს ამ უკანასკნელთ სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული თანხა არ აქვთ საცხოვრებლად დანიშნული. რესპუბლიკებში ასეთ ხარჯებს შეადგენს პრეზიდენტის ჯამაგირი და წარმომადგენლობის გასავალი. საკონსტიტუციო გასავალს მიეკუთვნება აგრეთვე დღიურები და საგზაო ხარჯები სახალხო წარმომადგენლობისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული პირადი და მატერიალური ხარჯები. ამავე გასავალს მიეკუთვნება ზოგიერთ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯებიც (სახელმწიფო საბჭო, სახელმწიფო სამეურნეო საბჭო და სხვ.).

საადმინისტრაციო ანუ მართველობის ხარჯები ნაწილდება მართველობის დამოუკიდებელი დარგების მიხედვით. ამ მხრივ ცალკე სახელმწიფოთა შორის დიდი განსხვავებაა, — მათი ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების, მათი სიდიდის და ამოცანათა ფარგლების მიხედვით. პატარა სახელმწიფოებში მართველობის რამდენიმე დარგი ერთ სამინისტროშია გაერთიანებული, მაშინ როდესაც დიდ სახელმწიფოებში თითოეული დამოუკიდებელ სამინისტროს წარმოადგენს. ელემენტები ამ გასავლისა კი ყველგან ერთგვარია. არსებითად მართველობის ხუთი დარგი არსებობს:

1. საგარეო საქმეთა მართველობა. აქ არის ხარჯები ნაწილობრივ საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, ნაწილობრივ — საელჩოებისა და საკონსულოებისათვის, ნაწილობრივ კიდევ — უცხოეთში სახელმწიფოს სხვა ინტერესთა დაცვისათვის. დიდი კოლონიების მფლობელ სახელმწიფოებში საკოლონო მართველობა ჩვეულებრივ საგანგებო სამინისტროზეა დაკისრებული.

2. ჯარისა და ფლოტის მართველობა. ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ოდენობასა, თავდაცვის წყობილებასა, საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა, მსოფლიო მეურნეობაში მონაწილეობასა და კოლონიების მფლობელობაზე. რაგინდ ძალიან ვსწუხდეთ სამხედრო ხარჯების სიდიდის გამო, კარგი შეიარაღება მაინც აუცილებელია სახელმწიფოსათვის, სანამ არ შეიქმნება ნამდვილი გარანტია საერთაშორისო უთანხმოებათა სამართლიანად მშვიდობიანი გზით გადაჭრისა. მცირე ხარჯები სამხედრო სა-

ჭიროებისათვის, როგორც ეს ამჟამად ძალით აქვს თავზე მოხვეული გერმანიას, მოასწავებს მუდმივ მუქარას ეროვნული თავმოყვარეობისა და დამოუკიდებლობისათვის.

3. სამართლის წარმოების მართველობა. მართველობის ამ დარგის ხარჯების ოდენობა არსებითად სასამართლოს ორგანიზაციაზეა დამოკიდებული.

4. შინაგანი მართველობა. თუ ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობით ავიღებთ, ამ მართველობას ეკუთვნიან ყველა ის სამინისტროები და დაწესებულებანი, რომელთა ამოცანას ქვეყნის სამეურნეო და სულიერი კულტურის შესახებ ზრუნვა შეადგენს. ის შეიცავს ზრუნვა-საქმიანობას სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის, მიმოსვლა-მიმოზიდვისა და ცნობათა გადაცემის საქმის, სოციალური ურთიერთობის, განათლების, ჯანმრთელობის და საეკლესიო საქმეების წარმატებისათვის. დიდ სახელმწიფოებში ეს ამოცანები რამდენიმე სამინისტროს შორის არის დანაწილებული (სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, სოციალური ურთიერთობის, განათლების და სხვ. სამინისტროები). შინაგანი მართველობის ხარჯები უკანასკნელ ხანებში შედარებით მეტად გაიზარდა. ეს ზრდა ეხება განსაკუთრებით სამეურნეო ცხოვრების, განათლების და სოციალური მზრუნველობის სხვადასხვა დარგთა ხარჯებს.

5. ფინანსთა მართველობა. ამას ეკუთვნის ხარჯები სამეურნეო სარეწაოთა, რამდენადაც ესენი საფინანსო მართველობას ექვემდებარებიან, ხარკების გაწერის და აკრეფისა, სახელმწიფო ვალების სარგებლის და დაშრეტისა. არის სახელმწიფოები, სადაც საფინანსო მართველობის ამოცანები ორ სამინისტროზეა განაწილებული: ფინანსთა სამინისტროზე ვიწრო მნიშვნელობით და ხაზინის სამინისტროზე. ეს უკანასკნელი განაგებს სახელმწიფოს ქონებას და ვალებს, ხოლო პირველს საფინანსო მართველობის სხვა საქმეები აქვს შინდობილი.

გერმანიის იმპერიის და მასში შემავალ სახელმწიფოთა მართველობის მთელი წმინდა გასავალი (მაშასადამე, დიდ სარეწაოთა ხარჯებისა და თემებზე გადაცემული თანხების გამოკლებით) შეადგენდა 1913/14 წ.: 7085,9, 1923/24 წ.: 7050,3 მილ. მარკას. თუ, ამრიგად, მართველობის საერთო ხარჯი 1913/14 წლიდან არ გაზრდილა, სამაგიეროდ გასავლის ცალკე მუხლთა ხვედრი, უპირველეს ყოვლისა იმპერიაში, ძლიერ შეიცვალა. ასე მაგ., გასავალი ჯარსა და ფლოტზე 1913 წელთან შედარებით ოთხჯერ შემცირდა, სახელდობრ, 1849,5 მაგიერად 455,9 მილ. მ. 1924/25 წელს. მაგრამ შედარებით ის მაინც დიდია, ვინაიდან ჯარისკაცთა დღევანდელი რიცხვი მხოლოდ მერვედ ნაწილს შეადგენს 1913/14 წლისას. მსოფლიო ომმა უმთავრესად საპენსიო ფონდის გაზრდა გამოი-

წვია, სახელდობრ 142,5 მაგივრად 894,3 მილ. მარკა. იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს გასავალი 159-დან 219 მილიონამდის გაიზარდა, თუმცა ზოგი უწყება მისგან სხვა სამინისტროებზე გადავიდა. შრომის სამინისტროს, რომელიც 1913 წ. ჯერ კიდევ არ არსებობდა, სჭირდება 45± მილ., აქედან 280 მილ. უმუშევართა დასახმარებლად და 170 მილ. სოციალური დაზღვევისათვის. საფინანსო სამინისტროს გასავალი 1924/25 წ. შეადგენს 340 მილიონს, წინააღმდეგ 1913/14 წლის 44 მილიონისა; ზრდა თითქმის მთლიანად გამოწვეული იმ საფინანსო დაწესებულებათა ხარჯებით, რომელნიც ხარკთა უზრავლესობის იმპერიაზე გადაცემის გამო დაარსდნენ. ამასთან მხედველობაში მისაღებია, რომ, რათა 1924/25 წლის გასავლის 1913/14 წელთან შესადარებლად სწორი საფუძველი გვექნეს, 1924/25 წ. გასავალი, სეცთო სიძვირის გამო, 12-150/0-ით უნდა შემცირდეს. გერმანიის მოსახლეობის ფაქტიური დატვირთვა საიმპერიო და სარესპუბლიკო ხარკებით 1924/25 წელს ნამდვილად გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე 1913/14 წ., ვინაიდან სახალხო შემოსავალი, რომლითაც უნდა იქნეს თითქმის მთლიანად ეს გასავალი დაფარული, ამჟამად, დიდი-დიდი, ამის წინა დროის შემოსავლის 60/0-ს თუ შეადგენს.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი ს მთელი გასავალი შეადგენდა; 1923/24 წ.—2298,1, 1924/25 წ.—2942,6, 1925/26 წ.—4039,2 და 1926/27 წ.—5002,4 მილ. მანეთს; ამრიგად, ოთხი წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა 2170/0-ით. გასავლის ცალკე მუხლთა ხვედრი 1926/27 წ. შეადგენდა: უწყებებსა და დაწესებულებებზე 650/0, სახელმწიფო საკრედიტო სისტემაზე—20/0, ფონდებზე—40/0, სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდებაზე—18/0, ანარიცხებზე სახელმწიფო შემოსავლიდან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ—90/0, საგანგებო სახელმწიფო მარაგის შექმნაზე—20/0. წინა წელთან შედარებით ზრდა განიცადა ყველა ხარჯმა, გარდა ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სახელმწიფო სესხებით გამოწვეულ ხარჯისა. გასავლის ცალკე საგნებიდან ხარჯი: კანონმდებლობასა და უმაღლეს სახელმწიფო მართველობაზე შეადგენს 21.606.732 მან., ანუ წინა წელთან შედარებით —6,20/0, ეკონომიურ და ადმინისტრატიულ გეგმიანობასა და სტატისტიკაზე 38.456.355 მ. ანუ + 41,00/0; უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე—9.049.954 მ. ანუ —8,30/0; შინა-მართველობაზე—44.504.348 მ. ანუ + 2,20/0; სასამართლოსა და გამასწორებელ დაწესებულებებზე—47.529.952 მ. ანუ + 33,30/0; განათლებასა, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე—207.183.900 მ. ანუ + 16,90/0; ჯანმრთელობის დაცვაზე—44.658.531 ანუ + 20,00/0; შრომის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე—145.132.228 მ. ანუ + 38,10/0; საფინანსო მართველობაზე—78.819.209 მ. ანუ —4,70/0; მრეწველობის მოწესრიგებასა და ტრესტების და სინდიკატების მართველობაზე—27.651.829 მ. ანუ —4,00/0; შინა და საგარეო ვაჭრობის მოწესრიგებაზე—16.978.447 მ. ანუ —2,40/0; მიწათმოქმედებასა და სოფლის მეურნეობაზე—57.496.605 მ. ანუ + 24,60/0; საბეითლო საქმეზე—8.659.273 მან. ანუ + 38,10/0; სტყეო მეურნეობაზე—38.966.418 მ. ანუ + 2,00/0; წყლის მეურნეობაზე—5.927.301 მ. ანუ + 14,20/0; ფოსტა-ტელეგრაფსა, რადიოსა და ტელეფონზე—150.764.628 მ. ანუ + 12,70/0; ტრანსპორტზე—1.614.642.618 მ. ანუ + 26,30/0; თავდაცვაზე—692.086.800 მ. ანუ + 14,90/0; სახელმწიფო სესხებზე—99.100.000 მ. ანუ —19,30/0; ფონდებზე—213.933.897 მ. ანუ —25,60/0; სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდებაზე—896.809.100 მ. ანუ + 59,10/0; გადანარიცხზე ადგილობრივი ბიუჯეტისათვის—442.415.383 მ. ანუ + 77,30/0 და საგანგებო სახელმწიფო მარაგის შექმნაზე—100.000.000 მ. ანუ —15,10/0.

§ 19. სათემო ხარჯები.—მე-19 საუკუნეში, გერმანიაში სახელდობრ შტეინის საქალაქო წესდების შემდეგ, თემების თვითმართველობა კვლავ ფართოვდება და მნიშვნელოვანი ხდება. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდი ქალაქების შესახებ, რომელთა ამოცანები და გასავალი უკანასკნელ ათეულ წლებში დიდად გაიზარდა.

თემებს, უპირველეს ყოვლისა, ექვემდებარებათ კანონით დაწესებული (სავალდებულო) ამოცანები, რომელნიც გამოძინარეობენ თემების განწყობილებიდან სახელმწიფოსადმი და იმ მდგომარეობიდან, რომელიც მათ აქვთ საჯარო მართველობის საერთო ორგანიზმში. მათ მინდობილი აქვთ, თუ უმთავრესს დავასახელებთ, მოქალაქობრზე მდგომარეობის რეგისტრაციის წარმოება. სამართლის წარმოების სფეროში მათ ექვემდებარება დაბალი საფეხურის სასამართლოს პროკურატურა, მომრიგებელი მოსამართლეებისა და საბოლოო საბჭოს არჩევა და სამრეწველო და სავაჭრო სასამართლოების დაარსება. ჯანმრთელობის მართველობის მიერ მათგან მოითხოვება დახმარება გადამდებ სნეულებათა შესახებ კანონმდებლობის გატარებისათვის, საფინანსო მართველობის მიერ—დახმარება ზოგიერთი სახელმწიფო ხარკების გაწერისათვის. გაცილებით უფრო დიდი ვალდებულება აქვთ დაკისრებული თემებს ადგილობრივი პოლიციის მართველობის სახით; სადაც ეს მართველობა, როგორც ამას მრავალ დიდ ქალაქში აქვს ადგილი, სახელმწიფოს ხელშია, თემებს საგრძნობი საწილო ხარჯების გაღება აქვთ დაკისრებული. დიდ ხარჯებს მოითხოვს აგრეთვე ადგილობრივი გზების გაყვანა, ღარიბთა დახმარების საქმე და სახალხო სკოლების გამგებლობა. თემების საქმიანობა საიმპერიო სოციალ-პოლიტიკური კანონმდებლობის სფეროშიც, განსაკუთრებით საიმპერიო დაზღვევის საქმეში, საგრძნობ ხარჯებს იწვევს.

გარდა ამისა, თემებს შეუძლიათ აგრეთვე დამოუკიდებლად მრავალგვარი ადგილობრივი ამოცანები იკისრონ, რომელნიც მათი მოსახლეობის საერთო ინტერესებს ემსახურებიან ან რომელნიც კანონის მიერ დაწესებულ მინიმალურ მოთხოვნილებათა ფარგალს სცილდებიან. ასეთ ამოცანებს ფაქულტატიური ამოცანები ეწოდება. დიდ ქალაქებს ნებაყოფლობითი ამოცანების ფარგლები დიდად გაფართოებული აქვთ. ისინი აარსებენ სხვადასხვა სახის საშუალო სასწავლებლებს, აქა-იქ აგრეთვე უმაღლესსაც, ან მათ დაარსებას ფულადი დახმარების მიცემით შესაძლებელს ჰხდიან. ღარიბთა შესახებ ზრუნვის საქმეში სავალდებულოზე ბევრად მეტს კისრულობენ და სიღარიბესთან ბრძოლას წარმატებით აწარმოებენ.

ჯანმრთელობის დაცვის მხრივ: კანალიზაციისა და წყალსადენის გასაყვანად, აბანოების, სასაქლოებისა და ბაქების, საკვებ საშუალებათა გამოყოფილ დაწესებულებების, სადებინფექციო კამერების, საავათმყოფოების, ბავშვთა თავშესაფრების, კლექის სამკურნალოების, სასაფლაოების და სხვ. დასაარსებლად მათ მნიშვნელოვანი ხარჯები გასწიეს. მათი სოციალური საქმიანობა შრომის ბირჟების გამართვასა, უმუშევართათვის სამუშაოს მიცემასა და ზოგიერთ ქალაქში აგრეთვე უმუშევართა დაზღვევაზეც გავრცელდა. უკანასკნელ ათეულ წლებში აგრეთვე საბინაო საჭიროებისათვის: საბინაო უწყებათა დაარსება, საბინაო ზედამხედველობის შემოღება, ღარიბი კლასებისათვის ბინების აღმშენებლობის წარმოება ან სააღმშენებლო ამხანაგობათათვის დახმარების გაწევა, საშენობო მიწების ფონდის შექმნა, ბაღებისა და სათამაშო მოედნების მოწყობა, -- დიდი ხარჯები იქნა გაწეული. ომის დროს და მის შემდეგ, ნაწილობრივ აგრეთვე ომამდეც, დიდი ქალაქები თავიანთ მოსახლეობას აგრეთვე სურსათ-სანოვაგეს, განსაკუთრებით რძეს, აწვდიდნენ. მრავალი დიდი ქალაქი მნიშვნელოვან ხარჯებს ეწევა თეატრების, ორკესტრების, მუზეუმების, სამხატვრო გალერეების და სხვა მსგავს დაწესებულებათა შესანახად. დასასრულ, თითქმის ყველა დიდ ქალაქს აქვს საკუთარი აირის, ელექტრონის და ტრამვაის სარეწაოები, შემნახველი საღაროები ან კომუნალური ბანკები, რომელნიც ნორმალურ პირობებში მოგებასაც იძლევიან.

მაშინ როდესაც თემები ვიწრო მნიშვნელობით მართველობის ძველ ორგანოებს წარმოადგენენ, რომლებმაც მხოლოდ დროთა ვითარებაში განიცადეს ცვლილება ფორმისა და ამოცანების ფარგლების მხრივ, კომუნალური ანუ თემთა კავშირები სრულიად ახალ, თანამედროვე კანონმდებლობის ქმნილებას წარმოადგენენ. მათი ამოცანების ფარგლები ჩვეულებრივ უფრო ვიწროა, ვიდრე ადგილობრივი თემებისა, მაგრამ უფრო მეტის შემცველი, ვიდრე მიზნობრივი თემების, რომელთაც მხოლოდ განსაზღვრული ამოცანები აქვთ მიზნობრივი. ამ კავშირების დანიშნულებაა -- ადგილობრივი თემები სახელმწიფო მართველობას დაუკავშირონ და თვითმართველობის ძალები სახელმწიფოს სასარგებლოთ გამოიყენონ. მათი წარმოშობა იმით აიხსნება, რომ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მთელი შინაგანი მართველობის ორგანიზაციასთან. კომუნალურ კავშირებს წარმოადგენენ პრუსიაში საოლქო და საპროვინციო თემები, ბავარიაში -- სამაზრო და საოლქო თემები. მათი ამოცანაა თემებს ფინანსური დახმარება გაუწიონ და ისეთი დაწესებულებანი შექმნან, რომელნიც ცალკე თემების ძალდონეს აღემატებიან, ან ისეთი ხასიათის არიან, რომ მათი შემოღება მხოლოდ მსხვილ კავშირთა საშუალებით არის შესაძლებელი. ამგვარია უმთავრესად ხარჯები დარიბთა მზრუნველობის, უმაღლეს და სპეციალ სასწავლებლების, საავათმყოფოების, სულითავათმყოფთა, კრუ-მუნჯთა და ბრმათა სახლების, გზების გაყვანის;

მელიორაციის, მდინარეთა ნაპირების გასწორების, ელექტროსადგურების და სხვ.

ს. ს. რ. კავშირი. ადგილობრივი ფინანსების დებულების თანხმად ადგილობრივ სახსრიდან უნდა დაიფაროს შემდეგი ხარჯები: ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებისა—როგორცაა საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო სასამართლოები, მიწის კომისიები, მილიცია, მაძებარი მილიცია, საპატიმრო ადგილები; ხარჯები კომუნალური ქონებისა და სარეწაოთა, რომელნიც კეთილმოწყობის და კომუნალური აღმშენებლობის მიზნებს ემსახურებიან; სახალხო განათლებისა—როგორცაა დაბალი ტიპის სხვადასხვა პროფესიონალურ-ტექნიკური სკოლები და მოკლევადიანი კურსები, პირველი საფეხურის სკოლები, მეორე საფეხურის სკოლები, შვიდწლედები და ცხრაწლედები, გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, საბავშვო სახლები და ახალშენები, საჯავშო ბაღები, მოედნები, კერები, მოზარდთა სკოლები, ქონსამკითხველოები, გლეხთა სახლები, კლუბები, სახალხო სახლები, წიგნთსაცავები, მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, თეატრები, სტუდიები, გამოფენები, არქივები და სხვ. კულტურულ-განათლებელი ღონისძიებანი ადგილობრივი მნიშვნელობისა; სახალხო ჯანმრთელობისა—როგორცაა სამკურნალო დაწესებულებათა მოსაწყობი და შესანახი ხარჯები, გარდა სახელმწიფოებრივ სახსარზე არსებულისა, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები, დედობისა და ბავშვობის დაცვა, სანიტარული ღონისძიებანი, ავთმყოფთა ტრანსპორტი, სოციალურ და გადამდებ სნეულებათაგან თავდასაცავი და მათთან საბრძოლველი ღონისძიებანი და სხვ.; სოციალური დაზღვევისა—როგორცაა ინვალიდთა დაწესებულებანი, გარდა საერთო-სახელმწიფოებრივ სახსარზე არსებულისა, ინვალიდთა გაერთიანებისათვის სუბსიდიებს მიცემა, მათოვრობასა და პროსტიტუციასთან ბრძოლა, გლეხთა კომიტეტების ორგანიზაცია და დახმარება, ინვალიდებისათვის დახმარების მიცემა, პერსონალური პენსიების გაცემა და სხვ.; სასოფლო მეურნეობისა—როგორცაა საცდელ და საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა; გარდა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ტექნიკური, ამოსაშრობი, მოსარწყავი და ყოველგვარი სამელიორაციო სამუშაოები, სასოფლო-სამეურნეო იარაღთა შესაკეთებლად ადგილობრივი მნიშვნელობის სამკედლოებისა და საჯლოსნოების მოწყობა და შენახვა, გასაქირავებელ პუნქტების, თესლის გამარჩევ სადგურების და თესლის საწყობების მოწყობა-შენახვა, საბეითლო დაწესებულებანი და ღონისძიებანი, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, და სხვ.; ადგილობრივი ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობისა—როგორცაა სოფლის გზების, გზატკეცილების და სხვა ადგილ. მნიშვნელობის გზების მოწყობა-შენახვა; ვაჭრობა-მრეწველობისა—როგორცაა სამეურნეო ანგარიშზე გადაუყვანელ ადგილობრივი საბჭოების სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. სარეწაოთა ორგანიზაცია და ექსპლოატაცია; უწყვერობასთან ბრძოლისა—მონაწილეობა საზოგადოებრივ სამუშაოთა, სარეწაოთა და უმუშევრობის კოლექტივთა მოწყობაში; თავდაცვისა—ბინების მიცემა ლაშქრის სხვადასხვა ნაწილებისა და დაწესებულებათათვის.

მე-3 ნ ა წ ი ლ ი

ს ა ჯ ა რ ო მ ე ძ ო ს ა ვ ა ლ ი

§ 20. ცნება და დანაწილება.—საჯარო-უფლებრივ კავშირთა შემოსავალი ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: სამეურნეო შემოსავლად და გადასახადებად. პირველი ამათგანი მიიღება სამეურნეო სარეწაოებიდან, უკანასკნელი კი გადახდება მეურნეობათ საჯარო-უფლებრივი იძულებითი ძალაუფლების მოთხოვნით საჯარო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და წარმოადგენს გამოსაღებს, საფასურს ან ხარკს. თუ ძველად საჯარო მიწათმფლობელობიდან მიღებული შემოსავალი საკმაო იყო მაშინდელი, შედარებით მცირე, ხარჯების დასათარავად, — შემდეგში, ამოცანების ზრდისა და ნაწილობრივ აგრეთვე მიწათმფლობელობის თანდათან მიწიერების გამო, შედეგად გაჩუქების, დაგირავების თუ სხვა მიზეზებისა, ეს შემოსავალი სამყოფი აღარ შეიქნა. თუმცა მიწათმფლობელობის პირვანდელ შემოსავალს შემდეგში დაერთო შემოსავალი ახალი კერძო-მეურნეობითი სარეწაოებიდან, სავაჭრო-სამრეწველო და სამიმოსვლო საწარმოებიდან, თანამედროვე დიდ ქალაქებში მოგება აირის, ელექტრონის, ტრამვაის და სხვ. სარეწაოებიდან, — მაგრამ იმ გასავლის ხვედრითი წონა, რომლის დაფარვაც ამ წყაროებით შეიძლება, ყველგან თანდათან შემცირდა და მთავარი მნიშვნელობა საგადასახადო ხასიათის შემოსავალს მიეკუთვნა, ზოგან, სახელდობრ გერმანიის მოკავშირე რესპუბლიკებსა და თემებში, დღესაც ხარჯების თვალსაჩინო ნაწილს სამეურნეო შემოსავლით ფარავენ. თვით გერმანიის იმპერია კი, აგრეთვე ინგლისი, საფრანგეთი და იტალიაც, მთლად ან თითქმის მთლად სახარკო მეურნეობას არიან დაყრდნობილი. ძველი სახის სამეურნეო შემოსავალი (მიწათმფლობელობა) აქ თავიდანვე არ იყო ან აღარ არსებობს, ხოლო ახალი დროის სარეწაოები, სამეურნეო და პოლიტიკური მიზეზების გამო, გავრცელებას ვერ პოულობს.

1-ლი თავი

სამეურნეო შემოსავალი

§ 21. ცნება სამეურნეო შემოსავლისა.—ამ სახელით აღინიშნება ის შემოსავალი, რომელსაც საჯარო-უფლებრივი ორგანოები იღებენ სამეურნეო სარეწაოებიდან. იმ საკითხის გასარკვევად, მიეკუთვნება თუ არა ამათ ესა თუ ის საწარმო, გადამჭრელი მნიშვნელობისაა მიზანი, რომელიც უდევს სარეწაოს წარმართვას: უკეთეს საწარმო წმინდა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით არის დაარსებული და წარმართული, იგი სამეურნეო შემოსავლის წყაროთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოთ, თუნდაც მოგების მიღებას ფაქტიურად არც კი ჰქონდეს ადგილი. მოგების მოუცემლობა თავისთავად არ უკარგავს საჯარო სარეწაოს სამეურნეო სარეწაოს ხასიათს ისევე, როგორც კერძო სამეურნეო სარეწაოს არ ეცვლება დანიშნულება იმით, რომ იგი, შეიძლება, ხანდახან მოგებას არ იძლეოდეს. განსხვავება აქ კერძო და საჯარო სარეწაოებს შორის ის არის, რომ კერძო სარეწაო როცა მოგებას არ იძლევა,—ველარ იარსებებს, რამდენიმე ხნის შემდეგ დაიხურება, მაშინ როდესაც საჯარო სარეწაოებმა ასეთ მდგომარეობაში შეიძლება სახარკო შემოსავლიდან სუბსიდია მიიღონ და ამის წყალობით არსებობა განაგრძონ.

საზოგადოდ ამ სარეწაოებს საჯარო კავშირები წარმართავენ კერძო-სამეურნეო პრინციპების თანახმად; სარეწაონი აწარმოებენ სამახურისა და დოვლათის მიწოდებას კერძო მეურნეობათა მსგავსად და ამ უკანასკნელებთან ხშირად მეტოქეობასაც ეწევიან. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. კერძო მეურნეობაში შექმნისადმი სწრაფვას საზღვარი არ უდევს, გარდა უფლებრივი წყობილებით დაწესებულისა; საჯარო კავშირებს კი, პირიქით, შეუძლიათ სამეურნეო სარეწაოთა წარმოებისას იხელმძღვანელონ აგრეთვე სახალხო-სამეურნეო ან სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. საზოგადოებრივი აზრი ან სახალხო წარმომადგენლობა საწინააღმდეგოდ ხმას აღიმაღლებს, უკეთეს სარეწაოს მეტისმეტად „ფისკალურად“, ე. ი. დიდი მოგების მიზნით აწარმოებენ; დაინტერესებული პირები ცდილობენ თავის დაცვას, როდესაც საჯარო სარეწაოთა მეტოქეობით ზარალობენ. საჯარო სარეწაოთაგან მოითხოვენ აგრეთვე სოციალურ ინტერესებისადმი ყურადღების მიქცევას, მაგ., დაბალი ფასების დაწესებას მცირე შეძლების კლასებისათვის, უკეთეს სამუშაო პირობებს მუშა-მოსამსახურეთათვის. ამის გამო საჯარო სარეწაოთა მოგება

კერძო სარეწაოთა მოგების დონეს იშვიათად აღწევს და, იმ საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც მათს საქმიანობაში გასათვალისწინებელია, მეტნაკლებად ყოველთვის უკან ჩამორჩება. როცა ვადარებთ საჯარო საწარმოთა მოგებას კერძო სარეწაოებისას, ეს გარემოება უნდა გვახსოვდეს.

სახელმწიფოსა და თემების ზოგიერთ საწარმოთ მონოპოლიური ხასიათი აქვთ; ისინი ან ფაქტიურად ან იურიდიულად მეტოქეობისაგან თავისუფალი არიან. ევროპაში ასეთ საწარმოთა ჯგუფს ეკუთვნის სახელმწიფო ფოსტა და რკინისგზები, სათემო—წყლის, აირის, ელექტრონის და ტრამვაის სარეწაოები. ამგვარი სარეწაოების საჯარო-უფლებრივ ორგანოთა მიერ წარმოების მიზეზი თვით ამ სარეწაოთა არსებაში იმარხება. მათი არსებობა წარმოებისათვის საჭიროა ფართო ტერიტორია, მოსახლეობისათვის სამსახურისა და დოვლათის საიმედო და თანაბარზომიერი მიწოდება, ერთიანი ხელმძღვანელობა და დანიხვრა, საზოგადოებრივი ინტერესების მხედველობაში მიღება, — და ყველა ეს ისეთი მოთხოვნილებებია, რომელთა შესრულება ჩვეულებრივ მხოლოდ საჯარო-უფლებრივ კავშირებს შეუძლიათ. ვიდრე ასეთ მონოპოლიურ სარეწაოთა მოგება ზომიერ ფარგლებს არ სცილდება, მსგავსე პირობებში არსებულ კერძო მეურნეობის მოგებას არ აღემატება, მანამდე ეს შემოსავალი არსებითად არაფრით განსხვავდება სამეურნეო შემოსავლიდან. მაგრამ ამათგან განსხვავდებიან ისეთი სარეწაოები, რომლებსაც სახელმწიფო მეტოქეობის გარეშე აყენებს და იმ მიზნით აწარმოებს, რომ პროდუქტის ფასი ცალმხრივად და იმ ზომისა დააწესოს, როგორსაც მხოლოდ ფინანსიური საჭიროება უკარნახებს. ასეთი მონოპოლია წარმოადგენს. ფისკალურ ანუ სახარკო მონოპოლიას, როგორცაა, მაგ., არაყის ან თამბაქოს მონოპოლია. მოგება, რომელსაც სახელმწიფო კერძო მოგების ჩვეულებრივ ნორმაზე მეტს იღებს მონოპოლიის გამო, ხარკს წარმოადგენს.

სამეურნეო შემოსავალს არ მიეკუთვნება შემოსავალი ისეთ სახელმწიფო სარეწაოთა, რომლებსაც არა მოგებისათვის, არამედ მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობისათვის აწარმოებენ, როგორცაა, მაგ., დაზღვევის ზოგიერთი დარგები. ამგვარი საწარმონი სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებათა ხასიათს ატარებენ.

სამეურნეო შემოსავალი სამ ჯგუფად იყოფა: შემოსავალი 1. მიწათმფლობელობიდან, 2. მიმოსვლა-მიმოზიდვისა და ცნობათა გადაცემის სარეწაოებიდან, 3. სავაჭრო, სამრეწველო და სხვა სარეწაოებიდან.

§ 22. დომენები; მიწები და ტყეები. —სიტყვა „დომენებს“ სხვადასხვა აზრით ხმარობენ. თავდაპირველად ამ სახელწოდებით (Domainium) აღნიშნავდნენ სახელმწიფოს ან მთავრის მთელ სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მიწათმფლობელობას და სიტყვის ასეთი ხმარება დღემდე დარჩა. მაგრამ ამ სიტყვას აგრეთვე, ვიწრო მნიშვნელობით, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწების აღსანიშნავად ხმარობენ. რომანულ სახელმწიფოებში ეს ცნება ფართოდ არის გაგებული. საფრანგეთში (აგრეთვე იტალიაშიც) სიტყვა „Domaine“-ით აღნიშნავენ სახელმწიფოს მთელ მიწათმფლობელობას და გაარჩევენ Domaine public-ს (საჯარო დომენს) და Domaine privé-ს (კერძო დომენს). ამ უკანასკნელს მიეკუთვნება შემოსავლის მომცემი მიწები, ხოლო პირველს —სხვა (უშემოსავლო) საჯარო საკუთრება: შენობები, გზები, მოედნები და სხვ..

ძველ გერმანიის იმპერიაში მიწები და ტყეები მეფის შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა და მიწის ლალასა, საპატიო საჩუქრებსა, ქონებრივ ჯარიმასა და პირად სამსახურთან ერთად კმაროდა, დაახლოებით მე-16 საუკუნემდე, განუვითარებელი სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მაშინ როდესაც მიწათმფლობელობა, — გასესხებისა, გაჩუქებისა, დაგირავებისა თუ სხვა გზით, — იმპერიას თანდათან შეუმცირდა, იმპერიის შემადგენელ ტერიტორიალურ სახელმწიფოებში დღემდე თვალსაჩინო ზომისად არის დარჩენილი. ვინაიდან დომენები იმ დროს წარმოიშვა, როდესაც სახელმწიფოსა და მეფის (მთავრის) საკუთრებას შორის განსხვავება არ არსებობდა, ამიტომ ახალი დროის კონსტიტუციების წარმოშობასთან ერთად საჭირო შეიქნა ამ საკუთრების განაწილება სახელმწიფოსა და მეფეს შორის. ეს განაწილება ზოგან იმგვარად მოხდა, რომ დომენები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ზოგან —სახელმწიფოსა და მეფეს შორის განაწილდა ამა თუ იმ შეფარდების მიხედვით, ზოგან კიდევ —მთლად სამეფო ოჯახს მიენიჭა. მაგრამ დომენების თავდაპირველი ხასიათი ამ ახალ განწესრიგებაშიაც გამოსჭვივის: სახელდობრ, სადაც დომენები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, მათი შემოსავალი ხშირად მთლად ან ნაწილობრივ ცივილური ფურცლისთვის (მეფის შესანახად) იქნა დანიშნული, ხოლო იქ, სადაც მეფის მფლობელობაში გადავიდა, სახელმწიფო ხარჯების დასაფარავდაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მონარქიების დამხობის შემდეგ გერმანიის ცალკე სახელმწიფოებსა და წინანდელი მთავრებისა და მეფეების ოჯახებს შორის ახალი მორიგება მოხდა ნებაყოფლობითი შეთანხმების სა-

ფუძველზე, ვინაიდან იურიდიული ურთიერთობა ამ საგნის ირგვლივ არ იყო სავსებით ნათელი და გარკვეული.

გერმანიის მრავალ თემს, მათ შორის ქალაქებსაც, აქვთ სათემო მიწები, განსაკუთრებით ტყეები, რომელნიც ძველ ნაჩუქარს ანდა ძველი მიწათმფლობელობის ნაშთს წარმოადგენენ.

1. მიწები. ძველად მთავრის ან მეფის (იგივე: სახელმწიფო) მიწების დამუშავება სწარმოებდა მათი საკუთარი მეურნეობის გზით ანდა მობეგრე ყმა-გლეხების საშუალებით, რომლებსაც დომენების მართველობა ნატურალურ ღალას იღებდა. მაგრამ შემდეგში, როცა მოხდა სადომენო გლეხების ყმობისაგან განთავისუფლება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ გაუმჯობესება განიცადა, რის გამოც ერთი საერთო წესით ხელმძღვანელობა მთელი მეურნეობისა ძნელი გახდა. როცა კონიუნქტურისა და უაღრესად განვითარებული ტექნიკის გავლენა სასოფლო მეურნეობაშიც თვალსაჩინო შეიქნა და ამიტომ აუცილებელი გახდა მეურნეობის ხელმძღვანელს ჰქონებოდა თვითპასუხისმგებლობისა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა, — მიღებულ იქნა ახალი წესი მიწების სამეურნეო გამოყენებისა, სახელდობრ გაცემა ვადიანი იჯარით, ან იშვიათად სამემკვიდრეო იჯარითაც. პრუსიაში, სადაც სახელმწიფო მიწები ჯერ კიდევ ბლომად მოიპოება, ვადიანმა იჯარამ, — როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე საფინანსო თვალსაზრისით, — დადებითი შედეგები მიიღო. იჯარით გაცემის სასარგებლოდ ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ სახელმწიფო ამით მტკიცე რენტას იღებს, რომ იჯარადართა გარჯისა და გულმოდგინე მუშაობის წყალობით მიწის გამოსავლიანობა მატულობს, რაც სასარგებლოა მთელი სახელმწიფოსათვის, და რომ საქმიან, მაგრამ კაპიტალით სუსტ სოფლის მეურნეებს შრომის საშუალება ეძლევათ. იჯარით გაცემის უარყოფითი მხარეების, განსაკუთრებით კი მიწის მტაცებლური დამუშავებით და იჯარადართა სუსტი გადამხდელობითი უნარით გამოწვეული ზარალის შემცირება შესაძლებელია შესაფერი ზომების მიღებით იჯარის გაცემის დროს: გრძელვადიანი იჯარით, იჯარადართა არჩევით უფრო დიდი საიჯარო ტრასის შემომძღვევლთა შორის, საიმედო გამოცდილ იჯარადართათვის ვადის გასვლისას იჯარის განახლებით და სხვ..

სამემკვიდრეო იჯარა საფინანსო თვალსაზრისით არაა ხელსაყრელი, ვინაიდან აქ საიჯარო გადასახადი უცვლელია და ფულის ფასეულობის დაცემის დროს სახელმწიფო ზარალს განიცდის. მაგრამ სხვაგვარად, სახელდობრ დადებითად, უნდა შევაფასოთ სა-

მემკვიდრეო იჯარა, უკეთეს იგი შინაგანი კოლონიზაციის მიზნებს,—საშუალო და მცირე გლეხთა მოსახლეობის შექმნას ემსახურება.

გასული საუკუნის ნახევრამდე, ლიბერალური მიმართულების თანახმად, ხშირად მოითხოვდნენ მიწების, როგორც სახელმწიფოსათვის არახელსაყრელი სარეწაოების, გაყიდვას. მაგრამ ეს მოთხოვნა აღარ გაისმის მას შემდეგ, რაც, უშემოსავლო საკუთარი მეურნეობის წარმოების ნაცვლად, იჯარით გაცემა იქნა შემოღებული. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფო მიწათმფლობელობა წარმოადგენს ძვირფას რეზერვს სამერმისო კოლონიზატორული და სოციალ-პოლიტიკური მიზნებისათვის და რომ შემოსავალი, რომელსაც ეს მიწები იძლევიან, ხარკის გადამხდელთ ტვირთს უმსუბუქებს. ესევე ეხება თემების მიწათმფლობელობასაც. უკანასკნელ ხანებში ქალაქები არა თუ მიწათმფლობელობის შემცირებას—პირიქით, მის გაფართოებას ცდილობენ, რათა ნაწილობრივ საკუთარი საჭიროებისათვის გამოიყენონ, ნაწილობრივ—მიწის ფასეულობის ზრდით სარგებლობა მიიღონ, ნაწილობრივ—სარძეო ფერმები გამართონ და ქალაქის მოსახლეობას რძე მიაწოდონ, ნაწილობრივ კიდევ—ღარიბი მოსახლეობისათვის საბოსტნო და საშენობო მიწები მოიმარაგონ.

საკმაოდ დიდი სივრცის სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მიწები აქვთ პრუსიას, ანჰალტს და ორივე მეკლენბურგს. სასოფლო თემებსაც მოეპოებათ სასოფლო-სამეურნეო მიწები, განსაკუთრებით თვალსაჩინო ზომისა—სამხრეთ გერმანიაში. ამ მიწების სამეურნეო გამოყენება ან თვით თემების ხელშია უშუალოდ, ანდა—განსაზღვრულ „მოსარგებლეთა“ ხელში, რომელნიც ნაწილობრივ თვითონ უშუალოდ ეწევიან ამ საქმეს და ამ შემთხვევაში სათანადო ფასს უხდიან თემს, ნაწილობრივ—იჯარით გასცემენ მიწებს. მრავალი ქალაქი უკანასკნელ ხანებში, მიწის ფასის სწრაფი ზრდის გამო, იძულებული გახდა საკუთარი ფონდი შეექმნა მიწების შესასყადად. მართალია, აქ განზრახვა მიმართულია არა სამეურნეო შემოსავლის მიღებისაკენ, არამედ საშენობო მიწების დროული შექმნისაკენ მართველობის სხვადასხვა მიზნებისა, საერთო საბინაო აღმშენებლობისა, ბაღებისა და სხვა მსგავს მოწყობილობისათვის. მაგრამ ეს მიწათმფლობელობის გაფართოება იმ განზრახვითაც ხდება, რომ მიწების ფასეულობის ზრდიდან ქალაქმაც წილი მიიღოს და შემდეგში მიწების აწეულ ფასებში გაყიდვით ვალების დაფარვის წყარო მოიპოვოს და სხვ. ზარალმა, რომელიც შედეგად იქონია თემების თინანსებისათვის თემთა მიწათმფლობელობის შემცირებამ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, გამოიწვია ახალ სათემო წესდებებში განსაკუთრებული მუხლის შეტანა, რომლითაც სათემო მიწების გაყიდვა მხოლოდ ზედამხედველი უწყებების ნებართვით იქნა დაშვებული.

ს. ს. ს. ქ ა ვ შ ი რ შ ი მთელი მიწა-წყალი სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს. ყველა მიწები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: ა) სპეციალი დანიშნულე-

ბის მიწები და ბ) სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწები. პირველ ამთავანს მიეკუთვნება მიწები, რომელიც უჭირავს ტყეებს, სამთამადნო სამუშაოებს, რკინის გზებს, ციხე-სიმაგრეებს, ბანაკებს, საბანაკო ნაკვეთებს, სასროლ მოედნებს, პოლიგონებს, აეროდრომებს, სამხედრო ყაზარებს, სასწავლო და საბავშვო დაწესებულებებს, სარეწაოებს. მეორე ჯგუფში შედის: ა) მიწები, რომელიც მშრომელ მიწათმოქმედთა და მათი გაერთიანებების უშუალო სარგებლობაშია (უვადოდ), ბ) მიწები, რომელიც ქალაქებს და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებს ეკუთვნის და გ) უშუალოდ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მიწები. უკანასკნელი ჯგუფის მიწები, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწებად იყოფა, იყოფება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში, რომელნიც ამ მიწებს სასოფლო მეურნეობისათვის ან თვითვე გამოიყენებენ, ან სწვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირთ გადასცემენ სასარგებლოდ.

სახელმწიფო მიწები სამგარია: 1) საბჭოთა მეურნეობანი, 2) საშემოსავლოდ გამოსაყენებელი და გ) სახელმწიფო მიწების მარაგი.

საბჭოთა მეურნეობებს გადაცემული აქვთ: ძვირფასი კულტურისა და რთული ტექნიკური მოწყობილობის მქონე მამულები; მამულები მესაქონლეობის სპეციალი დარგებით; მამულები განვითარებული სამრეწველო საქმიანობით; ტბებიანი მამულები სამრეწველო მეთევზეობის განსავითარებლად; სასოფლო-სამეურნეო სარეწაოები და მიწის ნაკვეთები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სამეცნიერო-საჩვენებელი და კულტურულ-განმანათლებელი საქმისათვის. საბჭოთა მეურნეობების მიზანია: სასოფლო მეურნეობის პროდუქციის მაქსიმალური გაზრდა შრომის ნაყოფიერობის აწევით და ნათესი სივრცის გაფართოებით, პირობების შექმნა კომუნისტურ მიწათმოქმედებაზე გადასასვლელად; კულტურულ აგრონომიული ცენტრების შექმნა და განვითარება, მოკლედ, — სამეცნიერო-ტექნიკური საფუძველის შექმნა სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და განსაზოგადოებისათვის.

საშემოსავლოდ გამოსაყენებელ მიწებად იგულისხმება ის სამეურნეო ერთეულები, რომლებიც სახელმწიფო მიწების ფონდიდან გამოიყოფა და რომელთა გამოყენება ხდება ხელშეკრულობის საფუძველზე სასყიდლიანი გადაცემით საადგილ-მამულო საზოგადოებებსა, სარეწაოებსა, ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა, არტელებსა და აგრეთვე კერძო პირებს, განსაზღვრული ვადით.

სახელმწიფო მიწის მარაგს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის ყველა მიწა, რომელიც რაიმე მიზეზის გამო არ იყოფება მუდმივ ან ვადიან სარგებლობაში. ის წარმოადგენს მიწის ფონდს, რომელიც დანიშნულია უმიწაწყო ან მცირემიწაწყოიან მოქალაქეთათვის მიწის მისაცემად, ახალ საბჭოთა მეურნეობის და შემოსავლიან წყაროთა შესაქმნელად, გადასასახლებლად და დასახლებლად, საკონცესიო სარგებლობაში გადასაცემად, უწყება-დაწესებულებათათვის სპეციალი დანიშნულების ნაკვეთების მისაცემად და დროებითი ან შეუძლებელით გამოყენებულ შემოსავლას მისაღებად.

სახელმწიფო მიწების გამოყენება ოთხგვარი წესით ხდება: 1) როდესაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები აწარმოებენ მიწის ექსპლოატაციას; 2) როდესაც სახელმწიფო მამული გადაეცემა სახელმწიფო სარეწაოებს საწესდებო კაპიტალში; 3) როდესაც მიწა იჯარით

გაიკემა და ლ) როდესაც საადგილ-მამულო ორგანოები მიწის დამუშავებას სამეურნეო წესით თვითვე აწარმოებენ.

მიწების შემოსავალი შედის სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტში, იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობისაა შემოსავლიანი მამული ან სარეწაო, საერთო-სახელმწიფო მიწების შემოსავლიდან 50% გადაირიცხება თემების სასარგებლოდ. 1926/27 წელს მიწების შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა 12,9 მილ. მან. ანუ მთელი შემოსავლის 0,37%-ს, კერძოდ საქართველოში—30% ათას მან. ანუ 2,7%-ს.

2. ტყეები. აქ საქმე უფრო მარტივია, როგორც გაყიდვის საკითხის, ისე მართველობის მხრივაც. ტყეების გაყიდვას სრულიად არა ჰყავს პრინციპიალური დამცველები. სახელმწიფო ტყეების სახელმწიფოს ხელიდან გაუშვებლობა, უპირველეს ყოვლისა სახალხო-სამეურნეო მოსახრებებით, მეტად სასურველია. კერძო მრეწველობისათვის მათი გადაცემა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შექმნიდა ტყის დაუზოგავი გაჩენის საფრთხეს, რაც მით უფრო საშიშია, რომ ტყის გაზრდას დიდი დრო სჭირდება, ადამიანთა რამდენიმე თაობამ უნდა განვლოს, ვიდრე ახალი, მოსაჭრელად გამოსადეგი ტყე წარმოიზრდებოდეს. ტყე წარმოადგენს ბუნებრივ მოვლენათა (წყალდიდობის, ნამქერის და მეწყერის) საწინააღმდეგო ზღუდეს, ჰავის მომწესრიგებელს, ზოგიერთი ადგილისათვის ერთადერთ შესაძლებელ კულტურას, წყაროს სიგრილისა და საწვავ, სააღმშენებლო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქიროებათა მასალისას, უადვილებს ხელმოკლე ადამიანს არსებობას, — აძლევს დამატებით შემოსავალს. საფინანსო მეურნეობის თვალსაზრისითაც ტყეების დაცვა საჭიროა, ვინაიდან შემოსავალი, რომელიც ტყიდან საშუალოდ მიიღება, დამაკმაყოფილებელია და ხარკის გადამხდელთათვის მნიშვნელოვან შემსუბუქებას წარმოადგენს.

ტყეების მართველობა, სატყეო მეურნეობის ხასიათის გამო, საუკეთესოდ მოსახერხებელია მხოლოდ სახელმწიფოს უშუალო გამგებლობის გზით. აქ, სატყეო მეურნეობაში, შესაძლებელია მთლიანი ხელმძღვანელობა განსაზღვრული პრინციპების თანახმად. ადვილია აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის გაწევა; თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის ფარგალი აქ შეზღუდულია საწარმოო გეგმებით. საერთოდ, ტყეების მართველობის დროს, მიუხედავად საერთო კეთილდღეობისადმი ყურადღების მიქცევის საჭიროებისა, შესაძლებელი დიდი წმინდა შემოსავლის მიღწევის მიზნად დასახვა არ არის უარსაყოფელი. ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა გარკვევას სატყეო მეურნეობის მოძღვრება იძლევა.

სადაც თემები ტყეებს ფლობენ, ხოლო ამას გერმანიაში ხშირად აქვს ადგილი, მათი გამოყენების საქმეში ისინი არ არიან თავისუფალნი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ თავიდან იქნას აცილებული საშიშროება ტყეების არარაციონალურად დამუშავებისა, რაც შესაძლებელია წარმოსდგეს ამა თუ იმ თემში ხმოსანთა შემთხვევითი უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძვლით. ამიტომ სახელმწიფო ამ საქმეში ფართო ზედამხედველობას ეწევა. ეს გამოიხატება ტექნიკურ ზედამხედველობაში: საწარმოო გეგმებს ზედამხედველი უწყებები ამტკიცებენ და გეგმის თანახმად საქმიანობას მეთვალყურეობენ. კიდევ უფრო დიდია სახელმწიფოს ზედამხედველობა ტყის გაშენებისას, როცა სახელმწიფო მოხელეები თემების ხარჯზე აწარმოებენ სატყეო მეურნეობას.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ნაწილობრივ ა. სმიტის იდეების გავლენით, ნაწილობრივ საფინანსო გაჭირვების გამო, ტყეების გაყიდვას ხშირად ჰქონდა ადგილი, გერმანიაში სახელმწიფო ტყეები მაინც თვალსაჩინო სივრცისაა: დაახლოებით უდრის საქსონიაში—43, ბავარიაში—34, პრუსიაში—33, ვიურტემბერგში—310/0-ს მთელი ტყეებისას. ბავარიაში ტყეების წმინდა შემოსავალი 1925 წლისათვის მთელი შემოსავლის 120/0-ით არის ნაანგარიშები. სათემო ტყეები გერმანიაში მრავალი ციფრით მთელი ტყეების 160/0-ს შეადგენს (პრუსიაში—13,30/0-ს).

ს. ს. რ. კავშირში ყველა ტყეები და მიწის ნაკვეთები, რომელიც ტყის აღმოსაგენებლად და სატყეო მეურნეობის საქიროებისათვის არის დანიშნული, სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს. მთლიანი სახელმწიფო სატყეო ფონდი შესდგება: 1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან, რომელნიც დანიშნული არიან მშრომელ მიწათმოქმედთა სარგებლობისათვის, და 2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან, რომელნიც თავის მხრივ იყოფიან ა) საანგებო დანიშნულების ტყეებად (დაცული ტყიანი აგარაკები, საკონცესიო ტყეები, სასწავლო-სადავლი ტყეები, სამთამადნო, სატრანსპორტო და სამრეწველო საჭედელებისათვის გადაცემული ტყეები, სატყეო მრეწველობის საქიროებისათვის დანიშნული ტყეები) და ბ) საკუთრივ სახელმწიფო ტყეებად, რომელნიც სატყეო შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენენ. სახელმწიფო სატყეო შემოსავალს შეადგენს: 1) მერქანის ფასი მორების ან ხის ძირების მიწედვით, 2) სატყეო კანონებისა და წესების დარღვევისათვის გადასდევინებული ჯარიმა და 3) შემოსავალი ტყეების სხვადასხვაგვარი სარგებლობისათვის (სამოვრები, სათიბები, მეფუტკრეობა, ნადირობა და სხვ.).

გაყიდული ხე-ტყის აღსარიცხავად გამოიყენება შემდეგი წესები: ა) აღრიცხვა მოედნის მიხედვით, რომლის დროსაც მყიდველს ხე-ტყის მასალის დამუშავების უფლება ეძლევა განსაზღვრულ ვადაში განსაზღვრული სივრცის ტყეში; ბ) აღრიცხვა მორების მიხედვით, რომლის დროსაც გაყიდული და მოსაქრელი ხეები წინასწარ ინიშნება არჩევით; გ) აღრიცხვა დამზადებული მასალის მიხედვით და დ) ხე-ტყის მასალის დამუშავებელი ქარხნების ზომისა ან დამუშავებული პროდუქტების რაოდენობის მიხედვით.

შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს მორგების და ხის ძირების მოხედვით გადახდევინებული მერქანის ფასი, რომელიც სატყეო ნიხრის საფუძველზე გამოიანგარიშება. ეს ფასი სხვადასხვა ოდენობისაა მყიდველთა კატეგორიების მიხედვით, რომელთაგან სახელმწიფო და კოოპერატიულ სარეწაოებს შედავათი ეძლევათ მერქანის ფასის გადახდის ვადების მხრივ, ხოლო მშრომელ მოსახლეობას შედავათიან ფასებში ეძლევა ხე-ტყე; ეს უკანასკნელნი, ზოგ შემთხვევებში, სარგებლობენ აგრეთვე ხე-ტყის მასალის უფასოდ მიღების უფლებითაც.

სატყეო შემოსავალი ეკუთვნის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, საიდანაც 40% ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად გადაირიცხება. 1926/27 წ. სატყეო შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა 195,8 მილ. მან. ანუ მთელი შემოსავლის 3,80%-ს, ხოლო კერძოდ საქართველოში--1,2 მილ., მან. ანუ 10,4%-ს.

§ 23. ცნობათა გადაცემის და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებანი.—1. ფოსტა. ძველ გერმანიის იმპერიაში ფოსტა იმპერიას ექვემდებარებოდა და რეგალს წარმოადგენდა. მე-16 საუკუნის დასაწყისში აქ საფოსტო საქმის წარმოება სახელმწიფოს მიერ ტაქსის საგვარეულო ოჯახს გადაეცა სამემკვიდრეოდ, რომელიც გერმანიაში 1868 წლამდე ეწეოდა ამ საქმეს. მაგრამ ტაქსის საფოსტო ტერიტორია თავიდანვე შეზღუდული იყო და შემდეგში კიდევ უფრო შეკვეცილ იქნა, ვინაიდან დიდმა სამთავროებმა საფოსტო რეგალი თავისად გამოაცხადეს. არა თუ ძველად, არამედ გასული საუკუნის დასაწყისშიც კი წერილების გადაცემ-გადმოცემა, რაც იმ ფოსტის უმთავრეს საგანს შეადგენდა, ძალიან ბრკოლდებოდა მეტისმეტად მაღალი ნიხრისა და საფოსტო ორგანიზაციის სიტლანქის წყალობით. ვითარება შეიცვალა მე-19 საუკუნის მეორეოთხეულში, როდესაც შემოღებულ იქნა წერილების მარკა, რთული ტარიფი გამარტივდა და იმ ხანებში გაყვანილი რკინიგზების გამოყენებით ფოსტის გადაზიდვის ხარჯები დიდად შემცირდა. ზარალი, რომელიც ნიხრის გაიაფებით უნდა წარმომდგარიყო, მალე აანაზღაურა კორესპოდენციის არაჩვეულებრივმა ზრდამ.

ამჟამად ყველა კულტურულ სახელმწიფოში ფოსტა, ან ყოველ შემთხვევაში მისი უმთავრესი დარგები (კორესპოდენციის, ნაბეჭდი ნაწარმოების და გაზეთების გადაცემა) მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს უფლებას შეადგენს. ასევეა საქმე სახელმწიფოთა უმრავლესობაში ტელეგრაფისა და ტელეფონის შესახებაც. საფოსტო და აგრეთვე სატელეგრაფო-სატელეფონო საქმის პირობები ისეთია, რომ მათი სახელმწიფოს ხელში არსებობა ბუნებრივად არის მისაჩნვევი. სახელმწიფო თვითვე საჭიროებს თავის მართველობის დარგებისათვის საიმედო და რეგულიარულ ფოსტას. საფოსტო საქმე, რათა უსარგებლო ხარჯები თავიდან აცილებული იქნეს და ყველ-

გან მთელ სახელმწიფოში საფოსტო სამსახური თანაბრად განაწილდეს, მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას და ცალკე ხაზების რაციონალურ დაკავშირებას ერთმანეთთან, ერთი სიტყვით - მოითხოვს მონოპოლიურ წარმოებას. ასეთი ფართო მონოპოლიის კერძო პირთა ხელში ჩაგდება, პოლიტიკური და სხვა მოსაზრებებით, სახიფათო იქნებოდა და, რადგან აქ უდიდესი მოგების მიღებისაკენ სწრაფვას ექნებოდა ადგილი, ეს ფოსტით სარგებლობის საგრძნობ გაძვირებასაც გამოიწვევდა. სახელმწიფო კი, პირიქით, როგორც მესარევე, მოგებისადმი მისწრაფებას ისეთ საზღვრებში მოაქცევს, რომელიც საზოგადო ინტერესებს ეგუება.

რაც შეეხება საფოსტო საქმის საფინანსო მხარეს, ზოგჯერ ფიქრობდნენ - ფოსტას კულტურული მისია აქვს, იგი დაწესებულებაა საერთო კეთილდღეობისათვის და ამიტომ მისი წარმოებისას სახელმწიფო მოგებას არ უნდა ეძიებდესო. მაგრამ საფოსტო საქმე სრულიადაც არ სდგას იმავე ხაზზე, როგორც, ვთქვათ, სამონეტო საქმე; მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს ის ფრიად სხვადასხვა ზომით უწევს სამსახურს, — საქმიან წრეებს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა წრეებს, და უსამართლობა იქნებოდა, რომ პირველთა ამ უკანასკნელთა ან ხარკის გადახდელთა ხარჯზე უპირატესობა მიენიჭოს. ამიტომ ფოსტის მართველობის ისეთი სატარიფო პოლიტიკა, რომელიც ხარჯებს სრულიად ფარავს და ზომიერ მოგებას იძლევა, არ არის უარსაყოფელი.

გერმანიის იმპერიაში საფოსტო იძულება წერილებისა და გაზეთებისათვის, ე. ი. ვალდებულება მოსახლეობისა — საფოსტო სადგურების მქონე ადგილებს შორის წერილებისა და კვირეულზე უფრო ხშირად გამოცემული გაზეთების გზავნა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ფოსტის საშუალებით აწარმოოს, — შემოდებულია 1871 წ. 2 ოქტომბრის საიმპერიო კანონით. 1899 წ. 20 ოქტომბრის კანონს შემდეგ საფოსტო იძულებას დეკლავაციას აგრეთვე საფოსტურგადახდილი წერილების გზავნა ადგილობრივად. ბავარიასა და ვიურტემბერგს საკუთარი ფოსტა ჰქონდათ, რომელიც 1920 წლის 1 ივნისიდან იმპერიის ხელში გადავიდა. ფოსტის წმინდა შემოსავალი ფაქტიურად, თუ რკინისაგზების მიერ ფოსტისათვის გაწეულ სამსახურსაც ანგარიშში მივიღებთ, უმნიშვნელო იყო. 1917 წლიდან დაიწყო დეფიციტი, რამაც რევოლიუციის შემდეგ, ფულის ფასეულობის დაკემისა და მოსამსახურეთა რიცხვის უზომოდ ზრდის გამო, სახიფათო ზომა მიიღო. 1924 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა 1924 წლის 18 მარტის საიმპერიო ფოსტის საფინანსო კანონი, რომელმაც საფუძველი უნდა მისცეს ახალ განვითარებას. ამ კანონის თანახმად, „გერმანიის საიმპერიო ფოსტა“ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარეწაოს, რომლის სათავეში საიმპერიო ფოსტის მინისტრი სდგას. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია რეინსტაგის წინაშე საქმის წარმოებისათვის, ხოლო თვით მას საფოსტო მართველობის აპარატი ექვემდებარება. განზრახვა ისაა, რომ საფოსტო საქმის წარმოება და მართველობა კომერ-

ციულ და კერძო-სამეურნეო პრინციპებზე იქნეს დამყარებული. სახელმწიფო ბიუჯეტთან ფოსტა აღარაა დაკავშირებული: ფოსტა საკუთარ ბიუჯეტს ადგენს, რომელშიაც შემდეგი პრინციპი უნდა ტარდებოდეს: არც ერთი ხარჯი შემოსავლით დაუფარავად. რადგან სახელმწიფო დახმარებას აღარ იძლევა, ხოლო ტარიფის აწევა ეკონომიური მოსახრებების გამო განუხორციელებელია, ამიტომ მარტლდა ეს გამოსავალი გზა რჩება: რაციონალურად წარმართვა მთელი საფოსტო საქმისა.

2. რკინისგზები. რკინისგზების მიმართაც ხშირად დასმულა კითხვა იმის შესახებ, თუ რომელს — სახელმწიფო თუ კერძო — წარმოებას უნდა მიეცეს უპირატესობა. იყო ორი მთავარი საფუძველი, რომელმაც, მიმოსვლა-მიმოზიდვის ამ ახალი საშუალების წარმოშობისას, ხელი შეუწყო კერძო სარეწაოთა შექმნას: ერთია — უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო სარეწაოსადმი საერთოდ; რომელიც ფრიტრედერული იდეების გავლენით გაძლიერდა, ხოლო მეორე — მორსმჭკრეტელობის ნაკლებობა, რის გამოც რკინისგზების არაჩვეულებრივი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის თავიდანვე ჯეროვანად ვერ იქნა შეფასებული. მაგრამ იყო აგრეთვე სხვა მიზეზიც: შიში რისკისა და ახალი სახელმწიფო ვალების აღების წინაშე.

უნდა ვსცნათ, რომ კაპიტალით ღონიერ ქვეყნებში კერძო კაპიტალს სააქციო საზოგადოების ფორმით შეეძლო თავისთავად სარკინისგზო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ გამოცდილება, რომელიც კერძო გზებმა მოგვცეს, გვიჩვენებს, რომ სარგებლობა, რომელსაც მათგან მოელოდენ, არ გამართლდა და რომ საერთო საზოგადოებრივი ინტერესები ხშირად შეილახა. თავისუფალ მეტოქეობასა და მით გამოწვეულ იაფ ტარიფებზე, რაც კერძო სარეწაოთა სასარგებლოდ მალაღებელ გარემოებად იქნებოდა მისაჩნევი, სარკინისგზო საქმეში ლაპარაკიც კი არ შეიძლება; სადაც კი დროგამოშვებით მეტოქეობას ადგილი ჰქონებია, კერძო კაპიტალს იგი, შეთანხმებისა და გაერთიანების გზით, ყოველთვის მალე მოუხსნია. სარკინისგზო საქმეს თავის ბუნების მიხედვით მონოპოლიური ხასიათი აქვს და ფართო ცენტრალიზაციას მოითხოვს. მაგრამ კერძო საზოგადოების ხელში მონოპოლია საშიშია, ვინაიდან მალალი დივიდენდების მიღების ინტერესი უფრო ძლიერია, ვიდრე რკინისგზების საზოგადოებრივი ხასიათის გათვალისწინება. სახელმწიფოს მხრივ ზედამხედველობა და პარლამენტის კრიტიკა, უკეთეს ეს საერთოდ მსხვილ საზოგადოებათა გავლენის გამო სრულიად მიჩუმებული არ არის, საკმაო მფარველობას ვერ ასრულებს. გარდა ამისა, კერძო საზოგადოებებს მხოლოდ ისეთი ხაზები გაჰყავთ, რომელ-

თავანაც კარგი შემოსავალია მოსალოდნელი; ნაკლებ მომგებიან ხაზებს გაუყვანელს სტოვებენ ან გაჰყავთ მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო დახმარებას აღუთქვამს. სახელმწიფოს ხელში კი რკინისგზების ქსელი თანაბარზომიერად ვითარდება და დიდშემოსავლიანი ხაზების მოგება მცირეშემოსავლიანთა გასაყვანად გამოიყენება. დანარჩენი მხარეების მხრივ კი რკინისგზისთვისაც იგივე მოსაზრებებია ძალაში, რაც სახელმწიფო ფოსტის სასარგებლოდ მოვიხსენიეთ.

რაც შეეხება სახელმწიფო რკინისგზების ექსპლოატაციას ფინანსური თვალსაზრისით, წმინდა შემოსავლის მიღება, რამდენადაც ეს საზოგადოებრივ ინტერესებს ეგუება, არაა უარსაყოფელი. რკინისგზების სამსახური ცალკე პირთ ისე სხვადასხვაზომისად უწევთ და იმდენად დიდ სარგებლობას აძლევს მით უმუშალო მოსარგებლებს, რომ ხარჯების დასათარავად სახელმწიფოს საერთო სალაროდან დახმარების მიცემა არავითარ შემთხვევაში არაა მართებული. პრინციპიალურად მოგების მიღება დასაშვებია. შემოსავლის სიდიდისათვის გადაიწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაგებობის ხარჯს კილომეტრობით, ხაზის არჩევას, გზით სარგებლობის ინტენსივობას, მართველობის და სატრანსპორტო ნაწილის ორგანიზაციას, ტარიფებს და სარკინისგზო მართველობის კომერციულ უნარიანობას.

სარკინისგზო პოლიტიკა სახელმწიფოთა სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებმა მიმოსვლა-მიმოზიდვის ამ ახალი საშუალების წარმოშობისთანავე დაიწყეს სახელმწიფო რკ. გზების გაყვანა. პრუსიამ და უცხო სახელმწიფოთა უმრავლესობამ რკ. გზების გაყვანა კერძო საზოგადოებებს დაუთმეს. ინგლისში კერძო რკინისგზების სისტემა დღემდეა გაბატონებული, საფრანგეთშიც ეს სისტემა სკარბოს, პრუსიამ, განსაკუთრებით მე-1870 წლების დასასრულიდან, კერძო გზების შესყიდვით სახელმწიფო გზების მთლიანი ქსელი შექმნა. შვეიცარიაში კერძო გზების ნაკლები ნაგებობა გამოიწვია მიზანშეწონილი გასახელმწიფოების პოლიტიკა; იტალიაში გზები, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ კერძო საზოგადოებებზე იყო იჯარით ვაცემული, 1905 წლიდან სახელმწიფომ აიღო საკუთარ მართველობაში. ბოლო ხანებში გერმანიაში, ყველა გზები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უმნიშვნელო მოკლე ხაზებს, გერმანიის შემადგენელ სახელმწიფოთა მფლობელობასა და განკარგულებაში იყო. 1920 წლის 1 აპრილს ყველა სახელმწიფო რკინისგზები ცალკე რესპუბლიკებისა, 1919 წლ. 11 აგვისტოს საიმპერიო კონსტიტუციის (თავი 89) და 1920 წლის 31 მარტის საგანგებო ხელშეკრულობათა თანახმად, ყიდვით, იმპერიის ხელში გადავიდა. რკინისგზის ვალები იმპერიის დაეკისრა და ნაყიდობის ფასიდან იქნა გამოკლებული მართველობა საიმპერიო მიმოსვლის მინისტრს დაექვემდებარა. „საიმპერიო რკ. გზები“ თუმცა ბიუჯეტში იქნა ჩარიცხული, მაგრამ 1924 წლის 12 თებერვლის კანონს შემდეგ დამოუკიდებელ სარეწაოს წარმოადგენდა საკუთარი ანგარიშა-

ზომებით და თავის გასავალი თვითვე უნდა დაეფარა და სარეზერვო ფონდიც შეექმნა. მოგება საიმპერიო ბიუჯეტში უნდა შესულიყო. ფაქტიურად საიმპერიო გზებს ომის შემდეგ დიდი დეფიციტი ჰქონდათ. მთავარი მიზეზი ამისა იყო მთელი ტექნიკური აპარატის მოშლა, ორთქლმავალებისა და რონოდების გადაცემა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებზე, რაც აუცილებელს ჰდოდა დიდი ხარჯების გაწევას მათი შეკეთებისა თუ ახალთა შექმნისათვის, მთელი ტრანსპორტის დაუძლურება, მეტისმეტი სიჭარბე მოსამსახურეთა დემობილიზაციის დროს, სახელოსნოების ნაყოფიერობის დაცემა, მასალების და ნახშირის გაძვირება და სხვ. ტარიფების ხშირი აწევით გაზრდილი ხარჯები მაინც ვერ დაიფარა. ამჟამად კი, ლონდონის კონფერენციის რეზოლიუციის თანახმად, 1924 წლის 30 აგვისტოს გამოცემული კანონით, დაარსებულია „გერმანიის საიმპერიო რკ. გზების საზოგადოება“, რომელსაც იმპერიამ, კანონში აღნიშნული პირობებით, იმპერიის რკინისგზების ექსპლუატაციის მონოპოლიური უფლება გადასცა 1924 წლის დამლევაზღვე (იხ. ქვევით § 33-ის შენიშვნის მე-3 მუხლი).

ს. ს. რ. კავშირში ყველა რკინისგზები სახელმწიფოს საკუთრებაა და რეგალს წარმოადგენს. რკინისგზების მთელი შემოსავალი, რომელიც მთლიანად საერთო-საკავშირო ბიუჯეტში შედის, 1926-27 წელს შეადგენდა 1631,2 მილ. მან. ანუ შემოსავლის 32,6%-ს.

§ 24. სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სარეწაოები.—ასეთ საწარმოებს სახელმწიფოს მფლობელობა და გამგებლობაში მრავლად ვპოულობთ მერკანტილიზმის ეპოქაში, ე. ი. მე-16. საუკუნიდან მე-18-მდე. ასეთი იყო, მაგ., მაუდის, აბრეშუმის და ფაიფურის მანუფაქტურები, შპალერისა და ნოხების ფაბრიკები და სხვ. ასეთი საწარმონი მაშინ წარმოიშვენ უფრო მეფის სასახლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით: თუ სახალხო-სამეურნეო მოსაზრებათა გავლენით, ვიდრე ფინანსიური განზრახვით. რამდენადაც მათ წარმოშობაში სახალხო-სამეურნეო მოსაზრებებს ჰქონდა ადგილი, ისინი კერძო მრეწველობისათვის სანიმუშო და სამაგალითო დაწესებულებებად უნდა გამხდარიყვნენ. მას შემდეგ, რაც თავიანთი ამოცანა შესრულეს, ეს საწარმონი თანდათან ვაჰქრენ, მცირე ნაშთს გარდა (მაგ., ფაიფურის მანუფაქტურა). სახელმწიფო ბანკები ერთეულ შემთხვევათა სახით დაარსდნ მე-18 საუკუნეში, აქა-იქ შემდეგაც. მე-17 საუკუნის დასაწყისში პირველად იქნა შემოღებული ლატარია, რომლისთვისაც სახელმწიფომ რეგალი გამოაცხადა, — მისი წარმოების მონოპოლიური უფლება მიინიჭა. გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოებში დღემდე არის დარჩენილი მდენები სახელმწიფო მფლობელობაში. ეს უმთავრესად წარმოშობილია ძველ სამთო რეგალიდან, რომლის წყალობით სახელმწიფოს ყველა ან უმნიშვნელოვანეს სამთამადნო პროდუქტთა მოპოება და დამუშავება უზრუნველყოფილი ჰქონდა, ვიდრე სამთამადნო თავისუფლება დაწესდებოდა მე-19 საუკუნეში. სამონეტო საქმეც ძველად ამგვარადვე რეგალს წარმოად-

გენდა და შემოსავლის წყაროდ იყო გამოყენებული, ვიდრე შეგნებული არ იქნა ის მავნებლობა, რომელიც ამას მოჰქონდა ფულის საქმისა და, საერთოდ, სახალხო მეურნეობისათვის. თემების სამრეწველო სარეწაოები, რომელნიც შესაძლებელია აქ ნათქვამთან დაკავშირებით იქნენ მოხსენებულნი, მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოიშვნ.

ს. ს. რ. კავშირში თითქმის მთელი მსხვილი მრეწველობა ნაციონალიზაციაქმნილია და სახელმწიფოს მფლობელობაში იმყოფება. სახელმწიფოს შემოსავალი მრეწველობიდან, — გარდა კონცესიით გაცემულისა, — წარმოების საორგანიზაციო სახის მხრივ, ორგვარია: შემოსავალი სამრეწველო წარმოებიდან, 1) რომელიც (წარმოება) მთლად სახელმწიფოს ეკუთვნის, და 2) რომელშიც სახელმწიფო მხოლოდ მონაწილეა.

1. სამრეწველო სარეწაოს კაპიტალი, სრულად სახელმწიფოს საკუთრებაა არის ან პაიებად დაუნაწილებელი, ან — დანაწილებული. პირველ შემთხვევაში სარეწაოს საორგანიზაციო ფორმაა — სახელმწიფო ტრესტი; ხოლო მეორეში — სახელმწიფო სააქციო (საპაიო) საზოგადოება.

ა. სახელმწიფო სამრეწველო ტრესტად ითვლება სახელმწიფო სამრეწველო სარეწაო, მოწყობილი განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, ვითარცა დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული, იურიდიული პირის უფლებებით და პაიებად დაუყოფელი კაპიტალით, რომელიც იმყოფება წესდებაში აღნიშნული ერთი სახელმწიფო დაწესებულების გამგებლობაში და მოქმედობს კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე იმ საგეგმო ამოცანებთან შეფარდებით, რომელსაც ეს დაწესებულება ამტკიცებს. ტრესტის დაარსების ნებართვის იძლევა შრომისა და თავდაცვის საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიური უათბირი ან სათანადო ადგილობრივი ადმინისტრაციული კომიტეტი, იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობისაა ადგილობრივი სამრეწველო წარმოება. ტრესტების მოწყობა შეუძლიათ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებს, რამდენადაც ასეთი უფლება მათ კანონით აქვთ მინიჭებული. ყოველწლიურად, კანონით დადგენილი წესის საფუძველზე, ტრესტების წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცების დროს, ირკვევა მათი მოგების ან ზარალის ოდენობა გასული საოპერაციო წლისათვის. ტრესტის მოგებიდან პირველ რიგში გადაიხდება საშემოსავლო ხარკი; შემდეგ — დაიფარება წარსული წლების ზარალი, თუ ასეთი არსებობს, ხოლო ნაშთიდან გადაირიცხება: 100/0-მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, 100/0-სათადარიგო ფონდში (ვიდრე ის საწესდებო კაპიტალის ნახევარს მიაღწევს), 100/0-გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებებში (სპეციალი სახელმწიფო კაპიტალის შესადგენად), 25/0-სარეწაოს გასაფართოებელ კაპიტალში, 1/4 0/0-წასაქმებელი ჯილდოს ფონდში; მოგების დანარჩენი ნაწილი, გარდა პროცენტული ანარატივისა, რომელიც სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით სპეციალი კაპიტალის შესადგენად მიდის, მიიტკევა სახელმწიფო შემოსავალში საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური ან ადგილობრივი ბიუჯეტით. უკეთეს ტრესტის ოპერაციები დასრულებული იქნა ზარალით, უკანასკნელი დაიფარება სათადარიგო ფონდით (კაპიტალით), ხოლო თუ ეს საკმაო არ შეიქნა,

ზარალი რჩება ტრესტის ბალანსზე და მისი დაფარვა შეიძლება შემდგომი წლების მოგებით ან ტრესტის საწესდებო კაპიტალის შემცირებით.

ბ. სახელმწიფო სამრეწველო სააქციო (საპაიო) საზოგადოებად ითვლება ისეთი სააქციო (საპაიო) საზოგადოება, მოწყობილი განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, იურიდიული პირის უფლებით და თანაბარ ნაწილებად (აქციებად, პაიებად) დაყოფილი კაპიტალით, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სარეწაოებს უნდა ეკუთვნოდეს. სახელმწიფო სააქციო (საპაიო) საზოგადოება წარმოადგენს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სარეწაოს, რომელსაც სახელმწიფო დაწესებულება განაგებს; მისი დაარსება შეუძლიათ საკავშირო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს, ადგილობრივ საბჭოებს, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სარეწაოებს, რკინისგზათა მართველობას და სხვა დაწესებულებებს, რომელთაც ამის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული. სახელმწიფო სააქციო (საპაიო) საზოგადოების აქციებზე დივიდენდი გაიცემა იმ წმინდა მოგებიდან, რომელიც კანონის ან წესდების მიერ დადგენილი ანარიცხების შემდეგ დარჩება. სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა ან სარეწაოთა კუთვნილი დივიდენდი მთლიანად შედის, ქვემდებარებისამებრ, საკავშირო, ფედერატიულ ან რესპუბლიკურ ბიუჯეტში. თუ დივიდენდი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებას ან სარეწაოს ეკუთვნის, მაშინ 70% გადაირიცხება სთანადო სახელმწიფო ბიუჯეტში, 10%—მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში, ხოლო დანარჩენი—ამ დაწესებულების ან სარეწაოს განკარგულებაში რჩება.

2. სამრეწველო სარეწაოს ფორმა, რომელშიც სახელმწიფო მხოლოდ მონაწილეა, არის შერეული სააქციო საზოგადოება, მოწყობილი განსაკუთრებული წესდების საფუძველზე კერძო იურიდიული პირის უფლებით და თანაბარ ნაწილებად (აქციებად, პაიებად) დაყოფილი კაპიტალით. აქ სახელმწიფო დაწესებულებებს ან სარეწაოებს უნდა ეკუთვნოდეს: არა ნაკლებ საწესდებო კაპიტალის ნახევარისა; ან—საზოგადოების არჩეულ ორგანოებში ადგილების ნახევარი, ანდა—უფლება საზოგადოების ოპერაციებიდან ნახევარი დივიდენდის მიღებისა. შერეულ სააქციო საზოგადოებათა იმ აქციებს, რომელიც წესდების მიხედვით სახელმწიფო დაწესებულებებს ან სარეწაოებს უნდა ეკუთვნოდეს, სახელმწიფო აქციები ეწოდება და მისი განსწავლა არაა დაშვებული (მიღებული დივიდენდის გამოყენების შესახებ იხ. ზევით).

მრეწველობის შემოსავალი 1926/27 წლის ბიუჯეტით მთელს კავშირში ნაღარაუდვეი იყო 17მ,2 მილ. მ. ანუ შემოსავლის 3,69%, ხოლო კერძოდ საქართველოში—475 ათა'ი მ. ანუ—6,79%.

სახელმწიფოს შემოსავალი ვაქრობიდანაც, ვაქრობის სარგანიზაციო სახის მხრივ, ორგვარია: შემოსავალი სავაქრო სარეწაოდან, 1) რომელიც მთლად სახელმწიფოს ეკუთვნის, და 2) რომელშიც სახელმწიფო მხოლოდ მონაწილეა.

1. სავაქრო სარეწაოს კაპიტალი, რომელიც სრულად სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, არის ან პაიებად დაუნაწილებელი, ან—დანაწილებული. პირველ შემთხვევაში სავაქრო სარეწაოთა ფორმაა—სახელმწიფო სავაქრო სარეწაო; ხოლო მეორეში—სახელმწიფო-სავაქრო სააქციო (საპაიო) საზოგადოება.

ა) სახელმწიფო სავაჭრო სარეწაოდ ითვლება ისეთი სავაჭრო სარეწაო, მოწყობილი განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, ვითარცა დამოუკიდებელი სამეთრნეო ერთეული, იურიდიული პირის უფლებებით და პაიებად დაუყოფელი კაპიტალით, რომელიც იმყოფება წესდებაში აღნიშნული ერთი სახელმწიფო დაწესებულების გამგებლობაში და მოქმედობს კომერციული (სამეთრნეო) ანგარიშის საფუძველზე იმ საგეგმო ამოცანებთან შეფარდებით, რომელსაც ეს დაწესებულება ამტკიცებს. სახელმწიფო სავაჭრო სარეწაოთა მოწყობა შეუძლიათ, კანონის თანახმად, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებს. ყოველწლიურად, სავაჭრო სარეწაოს წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცების დროს, ირკვევა მისი მოგება-ზარალის ოდენობა გასული საოპერაციო წლისათვის. სავაჭრო სარეწაოს მოგებიდან პირველ რიგში გადაიხდება საშემოსავლო ხარკი, შემდეგ—დაიფარება წარსული წლების ზარალი, თუ ასეთი არსებობს, ხოლო ნაშთი—ნაგადაირიცხება 20%—სათადარიგო ფონდში (ვიდრე ის საწესდებო კაპიტალის ნახევარს მიაღწევდეს); მოგების დანარჩენი ნაწილი, გარდა პროცენტული ანარიცხებისა, რომელიც სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით სპეციალი კაპიტალების შესაქმნელად მიდის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების და წასაქმებულ ჯილდოს ფონდებისათვის გადაიდება, მიიქცევა სახელმწიფო შემოსავალში საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური ან ადგილობრივი ბიუჯეტით.

ბ) სახელმწიფო სააქციო (საპაიო) საზოგადოებათა მიმართ იგივე წესებია ძალაში, რაც სახელმწიფო სამრეწველო სააქციო (საპაიო) საზოგადოებათა მიმართ (იხ. ზევით).

2. სავაჭრო სარეწაოს ფორმა, რომელშიც სახელმწიფო მხოლოდ მონაწილეა, არის შერეული სავაჭრო სააქციო (საპაიო) საზოგადოება. ამგვარ საზოგადოებათა მიმართაც იგივე წესებია ძალაში, რაც შერეულ სამრეწველო სააქციო (საპაიო) საზოგადოებათა მიმართ (იხ. ზევით).

ვაჭრობის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა 1926/27 წლის ბიუჯეტით—20,7 მილ. მ. ანუ საერთო შემოსავლის 0,40%-ს, ხოლო კერძოდ სავაჭროვებში—210 ათას მ. ანუ—1,8%-ს.

1. მადნები. სახელმწიფო მადნების უმრავლესობა ნახშირის ან მარილის მადნებია, მაგრამ შიგადაშიგ სახელმწიფოს აქვს აგრეთვე რკინის და სხვა მადნეულობის მალაროები მადნის გასამდიდრებელი და გადასადნობი ქარხნებითურთ. დაახლოებით იმ ხანებში, როდესაც სახელმწიფო მიწათმფლობელობას მრავალი იდეური მოწინააღმდეგე და უარყოფელი ჰყავდა, სახელმწიფოს მიერ მადნების მფლობელობის წინააღმდეგაც სწარმოებდა ბრძოლა. ამჟამად კი ამის შესახებ სხვა თვალსაზრისია გაბატონებული. მოსახრებები, რომელიც სახელმწიფო მფლობელობის დასაცავად მოჰყავთ, ნაწილობრივ საფინანსო და ნაწილობრივ ეკონომიური ხასიათისაა. ეს მოსახრებები არსებითად შემდეგია: მადნების შემოსავალი ამსუბუქებს სახარკო ტვირთს; სახელმწიფოს მიერ მეურნეობის წარმოება,

უკეთუ მას მარჯვე კომერციული მართველობა ჰყავს, კერძო საზოგადოებათა წარმოებას არ ჩამოუვარდება; სახელმწიფო მადნები ისეთ პროდუქტებს იძლევა, რომელთაც თვით სახელმწიფო მართველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ; სახელმწიფოს, ვითარცა მადნების მქონეს, შეუძლია აგრეთვე კარტელების ფასების პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს. მოსახლეობისათვის ნახშირის, რკინის, კალიუმის და სხვ. წესიერი და მუდმივი მიწოდების მნიშვნელობამ უკანასკნელ ხანებში გამოიწვია სამთამადნო წარმოების „სოციალიზაციის“ ლოზუნგი, ე. ი. მოთხოვნა მადნების სახელმწიფოსათვის გადაცემისა, ან, ყოველ შემთხვევაში, კერძო სარეწაოთა საქმიანობაზე ფართო ზეგავლენისა. ამ მოთხოვნას არსებითად ეს მიზანი აქვს, — რომ სახელმწიფომ კერძო საზოგადოებათა მოგებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდვას.

სამთამადნო საქმესთან დაკავშირებით მოსახსენებელია ის შემოსავალიც, რომელსაც სახელმწიფო იღებს აბანოებისა და მინერალური წყაროებიდან.

მნიშვნელოვან სამთამადნო მფლობელობას ვპოულობთ გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოებში. რაც უმოაგრესად საბოლოო რეგალის დროიდან არის წარმოშობილი. ნახშირის მაღაროები (მათ შორის 23 ქვანახშირის მაღარო) აქვს პრუსიას. მარილის მადნები აქვს პრუსიას, ბავარიას, კალიუმის მადნები — ბრაუნშვეიგს და ანჰალტს. კალიუმის წარმოებისათვის, რომელზეც გერმანიას უკვე ჰქონდა მონაპოვია, 1916 წლის 25 მაისის კანონით დაწესებულ იქნა საწარმოო ნორმა და სავალდებულო გაერთიანება სინდიკატის სახით. პრუსიაში, სადაც უკვე 1905 წელს სამთამადნო თავისუფლება ქვა-ნახშირისა, მარილისა და კალიუმისათვის დროებით გაუქმებული იყო, ეს თავისუფლება დასახვლებულ მინერალებისათვის (მცირე გამოწვევის გარდა) საბოლოოდ იქნა გაუქმებული და სახელმწიფოს უპირატესობის უფლება მიენიჭა.

ს. ს. რ. კავშირში მიწის წიაღში არსებული მთელი სიმდიდრე სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს. ყველა ამ სიმდიდრის — მაგარის, თხილის და პირისებურის — განკარგულება და აგრეთვე სამთამადნო საქმის საერთო ხელმძღვანელობა და მისი განვითარებისათვის ზრუნვა, კერძოდ — გაცემა საკვლევ და საექსპლოატაციო სამუშაოების ნებართვისა და ზედამხედველობა სამუშაოთა წარმოებაზე, დაკისრებული აქვს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო მრეწველობის მთავარ სამმართველოს.

სამთამადნო სამუშაოთა წარმოების უფლება აქვს, კანონში აღნიშნული პირობების დაცვით, ს. ს. რ. კ.-ის ყველა მოქალაქეს და იურიდიულ პირს; ასეთი უფლება უცხოელთაც ენიჭებათ, მხოლოდ — სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო ნებართვის საფუძველზე. მიწის ზედამირზე მდებარე სამთამადნო სივრცის ძიება, მისი გეგმის გადაღება, მთის ჯიშების ნიმუშთა წყურება, გეოლოგიურ, მაგნიტომეტრიულ, ელექტროულ და სხვ. გამოკვლევათა წარმოება, რომელიც მიწის სამუშაოებს არ მართხვავს, დაშვებულია ყველგან, საგანგებო ნებართვის გარეშე; ხოლო მიწის სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირ-

რებული ძიება შეიძლება ამ ზედაპირის მოსარგებლესთან შეთანხმებით, ანდა სამთო მრეწველობის მთავარი სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვით და იმ დაწესებულებებთან შეთანხმებით, რომელთა განკარგულებაში იმყოფება მიწის ზედაპირი. კვლევის საწარმოებლად, რომელსაც მიზნად აქვს გამოარკვიოს აღმოჩენილი სამთო სიმდიდრის უახლოესი თვისებები, მადნიანი მიწის სივრცე გაიცემა ხუთი წლის ვადით; ამ ვადის გასვლის შემდეგ იმ პირს, რომელმაც დაამთავრა საკვლევ სამუშაოთა წარმოება იმის გამოსარკვევად, არის თუ არა მადნეულის ზუღობი დასამუშავებლად გამოსადეგი, უფლება აქვს მიიღოს დასამუშავებლად განსაზღვრული სივრცის წილი, როგორც მის მიერ ნაკვლევ მიწის ფარგლებში, აგრეთვე ნაწილობრივ მის გარეშეც. უკვე აღმოჩენილ საბუღოთა საექსპლოატაციოდ გაცემას აწარმოებს ს. მ. უ. ს. სამთო მრეწველობის მთავარი სამმართველო იმ კანონთა საფუძველზე, რომელიც საერთოდ სახელმწიფო სარეწაოთა იჯარით გაცემას ეხება. ბუღობების საბოლოო დამუშავების შემდეგ, დამუშავებული მიწის სივრცე საერთო-სახელმწიფო მიწის ფონდის შემადგენლობაში გადადის.

გაცემულ სამთო ნაკვეთებით სარგებლობისათვის სამთო მრეწველნი იწდიან, გარდა სარეწავ და სხვა ხარკებისა და აგრეთვე კვლევის საფასურისა, შემდეგ გადასახადს: ა) როდესაც ნაკვეთი გაცემულია კვლევის მწარმოებელ პირზე (ე. ი. მადნეულობის აღმოჩენზე)—ქირას დესიატინების მიხედვით და საწილო ანარიტხს მოპოებული პროდუქტიდან; სადესიატნო გადასახადი შეადგენს 50 კაპ. წლიურად, ხოლო საწილო ანარიტხი, რომელსაც ს. მ. უ. ს. სამთო მრეწველობის მთავარი სამმართველო აწესებს, არ უნდა აღემატებოდეს 50/1-ს; ბ) როდესაც ისეთი სამთო ნაკვეთი გაიცემა, რომლის მადნეულობა უკვე აღმოჩენილი და ცნობილი იყო, იჯარადარს, გარდა საიჯარო ქირისა, რომელსაც ს. მ. უ. ს. სამთო მრეწველობის მთავარი სამმართველო აწესებს, გადახდება წლიურად 1 მან. თითოეულ დესიატინაზე. დამოუკიდებლად ამისა, სამთო ნაკვეთის გაცემის სისრულეში მოსაყვანად, სამთო მრეწველებმა, საგანგებო ნიხრის მიხედვით, განსაკუთრებული გადასახადი უნდა გაიღონ.

მიწის წილის შემოსავალი 1926/27 წლის ბიუჯეტით მთელს კავშირში ნავარაუდევია 44,4 მილ. მ. ანუ შემოსავლის 0,90%, ხოლო კერძოდ საქართველოში—18 ათასი მ. ანუ 0,20%.

2. სახელმწიფო ბანკები. უდიდესი სახელმწიფო ბანკები, გერმანიაში—პრუსიის და ბავარიისა,—წარმოიშვა როგორც სახელმწიფოს მოთხოვნილებით, ისე სახალხო მეურნეობის საჭიროებით. მათი საქმე უნდა ყოფილიყო ერთის მხრივ სახელმწიფოსთვის მოკლე და გრძელვადიანი ვალების აღების გაადვილება, ხაზინის თავისუფალი ორგანიზაციის სარგებელიანად მოთავსება და სახელმწიფოს სალაროდან და სალაროსათვის ფულის მიღება-გაცემის მეშვეობითი საქმიანობის წარმოება, ხოლო მეორეს მხრივ სათამასუქო, სადებოზიტო და სალომბარდო ოპერაციების წარმოებით სახალხო მეურნეობისათვის ხელის შეწყობა და დახმარება. ასეთი აზრი და დანიშნულება აქვს დღესაც მათ საქმიანობას. გერმანიის პატარა სახელმწიფოებშიაც არსებობენ სახელმწიფო საბანკო დაწესებულებანი, რომელნიც სათაბოტეკო, შემნახ-

ველ სალაროთა და სალომბარდო ოპერაციებს აწარმოებენ,—მაშასადამე, ნაწილობრივ ისეთ საქმიანობას ეწევიან, რომელიც უფრო დიდ სახელმწიფოებში საქალაქო თემებს აქვთ მიკუთვნებული.

გერმანიის საიმპერიო ბანკი, რომელსაც ბანკოტების გამოშვების უფლება აქვს მინიჭებული, წინადაც არ წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკს ნამდვილი მნიშვნელობით და მით უფრო ნაკლებ შეიძლება იგი სახელმწიფო ბანკად ჩაითვალოს ამჟამად,—მას შემდეგ, რაც 1924 წლის 30 აგვისტოს კანონით, ლონდონის კონვენციის გადაწყვეტილების თანახმად, ავტონომიურ ბანკადაა გამოცხადებული, ექვემდებარება გერმანელებისა და უცხოელებისაგან შემდგარ კომისიის ზედამხედველობას და მის ხელმძღვანელ ორგანოებს იმპერია უკვე აღარ ნიშნავს. ექვივალენტად საემისიო პრივილეგიისათვის საიმპერიო ბანკი მოგებიდან წილს ამღევს სახელმწიფოს და ამას გარდა უსასყიდლოდ აწარმოებს ცალკე განყოფილებაში საიმპერიო მთავარი სალაროს ოპერაციებს (იხ. გვ. 34).

სახელმწიფო ბანკები აქვთ პრუსიასა და ბავარიას. მათ შუამავლობა უნდა გაუწიონ სახელმწიფოს სესხის აღებისას, მათ განკარგულებაში მყოფი კაპიტალები სარგებლობით გამოიყენონ სათამასუქო, სადემოზიტო და სალომბარდო ოპერაციებში, კრედიტის მიწოდებით ხელი შეუწყონ სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას და ვაჭრობას. პატარა სახელმწიფოებს აქვთ სასოფლო საკრედიტო და შემნახველი სალაროები; როგორც, მაგ., ბრაუნშვეიგს, ოლდენბურგს და წინანდელ ტიურინგიის სახელმწიფოებს.

აქაიქ არსებობს აგრეთვე საქალაქო ბანკები, რომელთა დანიშნულებაა—თამასუქების განადგებთა და სალომბარდო სესხის მიცემით დახმარების გაწევა მრეწველობისათვის. თრიად გავრცელებულია გერმანიაში საქალაქო შემნახველი ბანკები ანუ სალაროები. ასეთი სალაროები აქვთ აგრეთვე კომუნალურ კავშირებსაც. თუმცა შემნახველი სალაროები დარიზიკლასებისათვის დანიშნულ დაწესებულებებს უნდა წარმოადგენდნ და მოგებას მთლად თავისთვის (სათადარიგო ფონდის შესაქმნელად) და მიმბარებელთათვის (დიდი სარგებლის მისაცემად) უნდა იყენებდნ, მაგრამ მრავალ ადგილას ამ სალაროთა თვალსაჩინო მოგების ნაწილი თვით ქალაქს შიამქვს, ნაწილობრივ ასეთი დასაბუთებით: რომ შემნახველ სალაროებისათვის ქალაქი გარანტიას და ზედამხედველობას ეწევა, ზოლო ნაწილობრივ დაუსაბუთებლადაც: ქალაქის საზოგადო მოთხოვნილებისა ან სპეციალი საჭიროებისათვის (დარიბთა თავშესაფრების, სკოლების ან საავთმყოფოების ასაგებად).

ს. ს. რ. კავშირში სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებანი წარმოიშვენ 1921 წლიდან: მაშინ დაარსებულ იქნა სახელმწიფო ბანკი (რ.-ს. რ.-ში), შემდეგ—მთელი რიგი სხვა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა. საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობას საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწესრიგებს, ზოლო საკრედიტო სისტემის უშუალო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბანკს. სახელმწიფო საკრედიტო სისტემში შემდეგ დაწესებულებებს შეიცავს:

1. სახელმწიფო ბანკი, რომლის კაპიტალი საერთო სახელმწიფო სახსრებიდანაა გადადებული, გარდა იმისა, რომ საემისიო ბანკს წარმოადგენს და საკრედიტო დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას ეწევა, კრედიტს აწვდის: ა) საკრედიტო დაწესებულებებს, ბ) პურისა და ნედლეულის (საგარეო ვაჭრობის ბანკისადმი მიკუთვნებულს გარეშე) დაშხადე-

ბის ოპერაციებისათვის, გ) მსხვილ სახელმწიფო სავაჭრო სარეწაოებს, დ) მსხვილ სამრეწველო სარეწაოებს და მათ გაერთიანებებს, ე) მსხვილ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ვ) ადგილობრივ სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო სარეწაოებს. სახელმწიფო ბანკსევე აქვს დაკისრებული სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ასასრულებლად სასაღარო ოპერაციების წარმოება (იხ. გვ. 37 და შემდ.).

2. სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, დაარსებული 1922 წ. სააქციო ბანკის სახით სახელმწიფო ტრესტებისა და სინდიკატების მიერ, ანხორციელებს: ა) გრძელვადიანი კრედიტის მიწოდებას მრეწველობისათვის, გარდა საბინაო აღმშენებლობისა და ელექტრომრეწველობის და აღმშენებლობისა; ბ) გრძელვადიანი კრედიტის მიწოდებას მრეწველობისათვის (გარდა იმ სარეწაოებისა, რომლებსაც კრედიტს აწვდის სახელმწიფო ან სხვა ბანკი).

3. საგარეო ვაჭრობის ბანკი, რომელიც 1922 წ. დაარსდა კომერციული ბანკის სახელწოდებით, ჯერ უცხოეთის (შვეიცია) კაპიტალით არსებობდა, ხოლო შემდეგ მისი აქციები საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო ბანკმა შეიძინა. საგარეო ვაჭრობის ბანკის დანიშნულებაა—კრედიტის მიწოდება მხოლოდ სახელმწიფო საგარეო ვაჭრობისათვის.

4. საელექტროფიკაციო სააქციო ბანკი ანხორციელებს ელექტროაღმშენებლობისა და ელექტრომრეწველობისათვის გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტის მიწოდებას და თავის მუშაობაში იყენებს სახელმწიფო ბანკის, სავაჭრო-სამრეწველო ბანკის, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ ბანკთა აპარატს.

5. ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი, დაარსებული 1924 წ. სააქციო საზოგადოების სახით, სთავადასთავებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელ სისტემას (მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ამხანაგობანი) და გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტს აწვდის ინდივიდუალურ და კოლექტიურ გლეხურ მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციას და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სარეწაოებს და ორგანიზაციებს წარმოების და გასაღების მიზნებისათვის.

6. კოოპერატიული ბანკები. პირველი ასეთი ბანკი (სააქციო) დაარსებულ იქნა 1922 წ. კრედიტს აძლევს ყველა სახის და სფეროს კოოპერაციას (იმთ გარდა, რომელთაც კრედიტს სახელმწიფო ბანკი აწვდის); მისი საკრედიტო საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში გამიჯნულია სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქმიანობისგან.

7. კომუნალური მეურნეობის და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური ბანკი, რომელიც 1922 წ. დაარსდა, გრძელვადიან და აგრეთვე მიზნობრივ მოკლევადიან კრედიტს აწვდის ყველა სახის კომუნალურ მეურნეობასა და საბინაო აღმშენებლობას, როგორც უშუალოდ, ისე ადგილობრივი კომუნალური ბანკების მეშვეობით.

8. ადგილობრივი კომუნალური ბანკები, რომელთა დაარსება 1923 წლიდან დაიწყო სააქციო ბანკების სახით, აწვდიან: გრძელვადიან კრედიტს—ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობას და საბინაო აღმშენებლობას, მოკლევადიან მიზნობრივ კრედიტს—საბინაო აღმშენებლობას და აგრეთვე მოკლევადიან კრედიტს—ადგილობრივი მნიშვნელობის კომუნალურ, სამრეწველო და სავაჭრო სარეწაოებს.

ამ საკრედიტო დაწესებულებათა გარდა, რომელნიც კავშირის ფარგლებში საქმიანობენ, ბანკები დაარსებულია უცხოეთშიც, მაგ., ლონდონში—მოსკოვის სახალხო ბანკი, რიგაში—კოოპერატიული სატრანზიტო ბანკი, ხარბინში—შორეული აღმოსავლეთის ბანკი და სხვ. წმინდასაკრედიტო ფუნქციებს გარდა, ამ ბანკების დანიშნულებაა ს. ს. რ. კ.-ის ვალიუტის გავრცელებისა და კურსისათვის ხელის შეწყობა.

ბანკების წმინდა მოგება ასე ნაწილდება: სახელმწიფო ბანკის მოგებიდან 25% გადირიცხება სათადარიგო კაპიტალში, 10%—მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად, ხოლო დანარჩენი—სახელმწიფოს შემოსავალში მიდის. სხვა სააქციო ბანკების მოგებიდან განსაზღვრული %/ო გადირიცხება სათადარიგო ფონდსა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში, ხოლო ნაშთი, თუ სხვა დანიშნულება არ მიეცა აქციონერთა ან პაიების მფლობელთა საერთო კრების დადგენილებით, დივიდენდით გაიცემა.

ბანკების შემოსავალი 1926/27 წლის ბიუჯეტით მთელს კავშირში ნავარაუდევო რყო 57,4 მილ. მ. ანუ შემოსავლის 1,3%⁰, ხოლო კერძოდ საქართველოში—5,5 ათასი მ. ანუ—0,5%⁰.

სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებთან დაკავშირებით მოხსენებულ უნდა იქნენ აგრეთვე სახელმწიფო შემსახველი საღაროები, რომელთა წმინდა მოგებიდან სახელმწიფოს შემოსავალში მიდის 35%⁰.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ საქალაქო ლომბარდები, რომელნიც მოკლევადიანი სესხის გაცემას აწარმოებენ ნივთების და სავალიუტო ფასეულობათა გირავნობით.

3. სამონეტო საქმე. ვინაიდან აშეამად სამონეტო საქმეს ყველა კულტურულ სახელმწიფოში ძველებური რეგალის ხასიათი აღარ აქვს და მთავარი ანუ სავალიუტო მონეთი, რომელიც კანონიერ საგადასახადო საშუალებას წარმოადგენს და რომლის ფასეულობა ზედმიწევნით იგივეა, რაც იმ ლითონის, რომლისაგანაც არის მოჭრილი,—ამიტომ სამონეტო რეგალით სახელმწიფოს არავითარი მოგება არ ეძლევა. მხოლოდ კერძო პირთა მიერ მიტანილ სავალიუტო ლითონის მონეტად მოჭრისათვის იღებს სახელმწიფოთა უმრავლესობა განსაზღვრულ სამონეტო საფასურს. სამაგიეროდ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვს ნაშალი მონეთის მოჭრიდან, რომლის შინაგანი ფასეულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნამდინალური ფასეულობა. მაგრამ მეტად ძვირი დაჯდება და საქიროც არ არის, რომ ნაშალი მონეთები სრული ფასეულობისა მოიჭრას, ვინაიდან ამგვარი მონეთის აღება გაცვლა-გამოცვლაში და ანგარიშგასწორებაში ყველგან მხოლოდ მცირე რაოდენობითაა სავალდებულოდ დაწესებული. რათა შემოსავლის ეს წყარო მთავრობამ ბოროტად არ გამოიყენოს, გამოცემულია კანონი: რომ ბრუნვაში დასაშვებია ნაშალი მონეთი მხოლოდ განსაზღვრული თანხისა მოსახლეობის თითოეულ სულზე:

4. სახელმწიფო ლატარია. არსებობს სახელმწიფო ლატარიის ორი სახე: ლოტო და სასერიო ლატარია. პირველი, რომელიც ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს, მასში მდგომარეობს, რომ მართველობა თავის მხრივ სანაძლეოდ იღებს კონს, რომელსაც მოთამაშენი ხუთი რიცხვიდან ერთი ან რამდენიმე რიცხვის გამოსვლაზე სდებენ. რადგან სანაძლეო ანუ კონი პატარა თანხისაა არის დაშვებული და გათამაშება ყოველკვირეულად ხდება, ამიტომ ღვივდება ძლიერი მისწრაფება თამაშისადმი. სახელმწიფოს შემოსავალი აქ იქიდან წარმოსდგება, რომ მოგებათა ჯამი გაცილებით ნაკლებია კონად დადებულზე. სასერიო ლატარიის დროს გამოცხადდება გარდაკვეთილი ფულადი მოგება, რომელიც განსაზღვრული რაოდენობის ხვედრებად არის განაწილებული; მათ მტკიცე ფასებში ჰყიდიან და რამდენიმე ტირაჟში გაითამაშება. ლატარიის სალაროს მოგება უმთავრესად იმ ანარიცხში მდგომარეობს, რომელსაც განსაზღვრულ პროცენტებში აიღებენ გასათამაშებელი თანხიდან. მრავალჯერ ყოფილა ხაზგასმით იღნიშნული, რომ თამაშისადმი მისწრაფების სახელმწიფოს მიერ გამოყენება შემოსავლის მისაღებად სახელმწიფოს ღირსებასა და ზნეობრივ ამოცანებს ეწინააღმდეგება. მაგრამ ხარკის გადიდების შიში ხელისუფლებისათვის ყოველთვის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მორალური აუციანობის მორიდება.

გერმანიაში 3 სახელმწიფო სალატარიო სარეწაო არსებობს: ჰამბურგის, საქსონიის და პრუსიის - სამხრეთგერმანიის სალატარიო გაერთიანება. ეს უკანასკნელი წარმოსდგა მრავალრიცხოვანი პატარა სახელმწიფო ლატარიებისა და სალატარიო დაწესებულებათა გაერთიანებით პრუსიის მიერ, რომელსაც შეუერთდნენ სამხრეთგერმანიის სახელმწიფოებიც. ამ უკანასკნელთ აქამდე სასერიო ლატარია არ ჰქონდათ; ეს გაერთიანება 1912 წელს დასრულდა.

ქალაქების უმნიშვნელოვანეს სამრეწველო სარეწაოებს, რომელთაც მოგება აქვთ მიზნად, წარმოადგენს წყალსადენი, აირის წარმოება, ელექტროსადგურები და ტრამვაი. ვგრედწოდებული მუნიციპალური სოციალიზმი, ე. ი. აღნიშნულ სარეწაოთა კერძო მფლობელობიდან ქალაქთა ხელში გადასვლა ან მათი დაარსება ქალაქების მიერ, ინგლისში გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო წყალსადენით; შემდეგ მას დაერთო აირსადენი - 1870 წელს, ტრამვაი - 90-იან წლებში, დასასრულ - ელექტროსადგურები მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. გერმანიაშიც მსგავსავე განვიქარებას აქვს ადგილი, მხოლოდ ეს აქ უფრო გვიან დაიწყო, ხოლო საფრანგეთი კი ნელა ჰბაძავს ინგლისსა და გერმანიას. ომის დაწყების წინ გერმანია საქალაქო სარეწაოების რაოდენობის მხრივ, გარდა ტრამვაისა, სხვა სახელმწიფოებზე წინ იდგა. საკუთარი წყალსადენი აქვს ყველა მოდიო ქალაქს; ქალაქების მულობელობაში იყო 1907 წელს აირსადენების 36% ინგლისში, ხოლო გერმანიაში - 65%, ცხენის

რკინისგზების—56⁰/₀ ინგლისში, 32⁰/₀—გერმანიაში, ელექტროსადგურებისა კი 62⁰/₀ ინგლისში, ხოლო 41⁰/₀—გერმანიაში. მაგრამ ამასთან აღსანიშნავია, რომ ინგლისის კომუნალური ელექტროსადგურები თითქმის მხოლოდ განათებას ემსახურებიან. აირსადენთა, წყალსადენთა და ელექტროსადგურების მოგება გერმანიის 70 დიდ ქალაქში ომის წინ სახარკო შემოსავლის 1/3—1/4-ს შეადგენდა. საერთოდ ამ სარეწაოთა მომგებიანობის სწორი გამოანგარიშება და საჯარო და კერძო სარეწაოთა შედარება, ანგარიშწარმოების სხვადასხვაობისა, შესაფერი მასალების მოპოვების სიძნელისა და მრავალ სხვა პირობათა გამო, ძნელია. სხვადასხვა საფუძველი, რომელიც დასახლებულ სარეწაოთა ქალაქებისათვის გადაცემის სასარგებლოდ მოჰყავთ, უფრო რეალ-პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ზოგად თეორიულისა: ესაა ერთის მხრივ ახალი შემოსავლის წყაროთა საქიროება, მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ კერძო სარეწაოთა საზოგადოებრივ ინტერესებს შესაფერ ანგარიშს არ უწყევნ. თავისუფალ მეტოქეობას (კონკურენციას), რომელსაც შეიძლება ზღვარი დაედო კერძო ინტერესისათვის, აქ ძალია ადარ აქვს, ვინაიდან ამ სარეწაოთ. მონომოლიური ხასიათი აქვთ. რეგლამენტაციის სიადვილე და ტიპური ნორმების მიხედვით საქმის წარმოების შესაძლებლობა ხელს უწყობს ამგვარ სარეწაოთა საჯარო სარეწაოებად გარდაქმნას. დასახლებულ სარეწაოთა ექსპლოატაციას ზოგჯერ რამდენიმე ქალაქი ერთად, ან კომუნალური კავშირები (ელექტროსადგურები) აწარმოებენ. ომის წინა წლებში ე. წ. შეერეული სამეურნეო სარეწაოები (განსაკუთრებით ელექტროსადგურები) წარმოიშვა სააქციო საზოგადოებათა სახით, რომლებშიც ქალაქები ან კომუნალური კავშირები აქციების, ჩვეულებრივ აქციათა უმრავლესობის, მფლობელთა სახით მონაწილეობენ. საქმის ასეთი ორგანიზაციის კურსი იმ მიზნითაა ადებული, რომ დატულ იქნეს ყველა ის უპირატესობა, რომელიც კერძო სარეწაოს აქვს (მეტი მოძრავა ხასიათი, კომერციული ხელმძღვანელობა და სხვ.), და იმავე დროს არ ეწინააღმდეგებოდეს ერთიმეორეს ინტერესი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი სარგებლობისა.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ შ ი უმთავრესი კომუნალური სარეწაოებია წყალსადენი, კანალიზაცია, ტრამვაი, ელექტროსადგური, სასაკლოო და იმყოფება ადგილობრივი საბჭოების მფლობელობაში. ამთ საკუთრებას შეადგენს აგრეთვე სხვა, შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი, სარეწაოებიც, როგორც, მაგ., ცხენის რკინისგზები, ნაოსნობისა და მდინარეზე გადასვლის საშუალებანი, მიკროსკოპიული სადგურები, სატრანსპორტო ქარავანი, აბანოები, სასტუმროები და სხვ. უკანასკნელ ხანამდე ეს სარეწაოები სამეურნეო (კომერციული) ანგარიშის საფუძველზე საქმიანობდნ და ადგილობრივ ბიუჯეტში მხოლოდ თავიანთი გარდამეტით მონაწილეობდნ. 1927/28 წლიდან კი ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელი შემოსავალ-გასავლით შედიან ადგილობრივ ბიუჯეტში. კომუნალური მეურნეობის შემოსავალი საქართველოში 1926/27 წ. შეადგენდა 14,5 მილ. მან., ანუ ადგილობრივი ბიუჯეტის მთელი საშემოსავლო ნაწილის 32,6⁰/₀-ს.

მ ე - 2 თ ა ვ ი .

გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი .

§ 25. არსი და სახეები.—გადასახადი არის ფულადი გამო-საღები ან ფულადფასეული ნივთიერი გამოსაღები, რომელსაც სა-ჯარო კავშირები იძულებით და ცალმხრივი გარდაკვეთის საფუძვე-ლით ახდევინებენ პიროვნებებსა და პიროვნებათა კოლექტივებს, თანახმად სათანადო კანონებისა. გადასახადის სიდიდისათვის, უპირველეს ყოვლისა, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს საჯარო კავშირთა საჭიროებას; გადასახადი დანიშნულია სახელმწიფოსა და სხვა საჯარო კავშირთა გასავლის დასაფარავად, რამდენა-დაც ამისათვის საკმარისი არ არის სამეურნეო ქონება-წარმოებისა და სხვა წყაროდან მიღებული შემოსავალი. ამიტომ მას დამხმარე, სუბსიდიარულ შემოსავალსაც უწოდებენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ოდენობის მხრივ ის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ე. წ. პირ-ველადი შემოსავალი.

გადასახადი არის ან საზოგადო (გენერალური), როდესაც ისეთი საჯარო საჭიროებისათვის არის დანიშნული, რომლის ხარჯები შეუძლებელია გამოთვლილ იქნეს ერთეულ პიროვნებათა საწილოდ ცალცალკე, ან საგანგებო (სპეციალი), როდესაც ასეთი გამოთვლა შესაძლებელია და გადასახადი განსაზღვრულ მარ-თველობის დაწესებულებების ან საქმიანობის ხარჯების დაფარვას ემსახურება. პირველგვარ გადასახადებს ხარკი ეწოდება, ხოლო უკანასკნელს—საფასური და გამოსაღები. ფულადი ჯარიმა, რომელიც აგრეთვე იძულებით გადაიხდევინება და საჯარო-უფლებ-რივ კავშირთა სასარგებლოდ მიდის, გადასახადად ვერ ჩაითვლება აღნიშნული აზრით, ვინაიდან აქ ჩადენილი უკანონობის გამოსყიდვაა მხედველობაში მიღებული და არა შემოსავლის მიღება.

1. ს ა ფ ა ს უ რ ე ბ ი .

§ 26. საფასურის ცნება და ნიშნეულობანი.—საფასური არის საგანგებო გადასახადი იმ პირთა, რომელნიც თავიანთი მოქმედებით მართველობის საქმიანობას იწვევენ ან მართველობას თავიანთი ინ-ტერესებისათვის ასაქმიანებენ. ეს არის ცალმხრივი, მტკიცედ გან-

საზღვრული ჯილდო მართველობის ორგანოთა სამსახურისათვის, როდესაც ეს უკანასკნელი საჯარო-უფლებრივი ამოცანების განხორციელებისათვის ცალკე პირთა მოწოდებით, მიზეზით, ან მათ სასარგებლოდ მოქმედებენ. დაწესებულება, უწყება საერთო ინტერესებისათვის არის დაარსებული, მაგრამ ცალკე პირთა სხვადასხვა ოდენობით უწევს სამსახურს. სასამართლომ უნდა იარსებოს მაშინაც კი, როდესაც დროგამოშვებით პროცესს არ აწარმოებს; მართლმართლ მისი არსებობა უზრუნველყოფს ყველასთვის სამართლის დაცვას. მაგრამ ვინაიდან სისხლის და სამოქალაქო პროცესების დროს ყოველთვის საქმე ეხება სასამართლოს საქმიანობის გამოწვევას ცალკე პირთა მიერ, რომელთაც უფლებრივი წყობილება დაარღვიეს, აპიტომ მათ საფასურის გადახდევინებით ეკისრება მონაწილეობა სამართლის წარმოების ხარჯებში. გარდა იმისა, რომ დაწესებულებათა მიერ მსგავსი მართველობითი სამსახურის უსასყიდლოდ გაწევა გამოიწვევდა დაწესებულებათა საქმიანობის უზომო გადიდებას, ვინაიდან, რახან სამსახური მუქთი იქნებოდა, დაწესებულებისადმი მიმართვას აღარავინ მოერიდებოდა, — უსამართლოც იქნებოდა, რომ კერძო უფლებრივი დავის და სხვა მსგავსი საქმეების ხარჯებში მთელს საზოგადოებას დაკისრებოდა. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე შემდეგი დებულება: რომ საფასური მით ნაკლები ზომისა უნდა იყოს, რაც უფრო საზოგადო ინტერესებითაა გამოწვეული უწყებათა საქმიანობა (სასამართლო, სასწავლებლები), და მით მეტი უნდა იყოს, რაც უფრო კერძო პირთა სასარგებლოდ სწარმოებს მათი საქმიანობა (პატენტების გაცემა, ნიმუშების მფარველობა, კონცესიების გაცემა და სხვ.). პირველ შემთხვევაში საფასური პრინციპიალურად გამოწვეული ხარჯების მიხედვით უნდა განისაზღვროს, მეორე შემთხვევაში კი — გაწეული სამსახურის ფასეულობის მიხედვით. საფასურთა შესახები პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს პრინციპები ურყევლად არსად არაა გატარებული; ნაცვლად ხარჯების მიხედვით გამოანგარიშებისა, — რაც, მართალია, ცალკე შემთხვევაში სისწორით ყოველთვის შესაძლებელი არაა, — ადგილი აქვს საფასურის განსაზღვრას უფრო ადვილხელჩასაჭიდი გარეგანი ნიშნეულობის მიხედვით, — მაგ., სამართლის წარმოებაში სადაო საგნის ფასეულობის მიხედვით. ადგილი აქვს აგრეთვე საფასურის შემცირებასა და მთლად მოხსნასაც, როდესაც სახელდობრ საფასურკუთვნილი საქმიანობა უამისოდ, მის მომთხოვნელთა სიღარიბის გამო, აუსრულებელი დარჩებოდა.

სათფასური, ვითარცა სახელმწიფოს შემოსავალი, უწყებათა საქმიანობასთან არის შეკავშირებული; წინად კი ის მოხელეთა შემოსავალს შეადგენდა (დამატებითი შემოსავლის სახით). ხშირად სათფასური იმდენად ფისკალური ხასიათისაა, რომ მას მარტოდენ ხარჯების დაფარვა არ უდევს საფუძვლად. ზოგიერთი გადასახადი, რომელსაც დღემდის სათფასურს უწოდებენ, მაგ., მფლობელობის ხელიდან ხელში გადასვლის გადასახადი ან მემკვიდრეობის სათფასური, ფაქტიურად ხარკს წარმოადგენს.

ხარკის აგან სათფასური იმით განსხვავდება, რომ ხარკის გადახდევინება სახარკო ტერიტორიაზე ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, ხოლო სათფასურის გადახდას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი ენება საჯარო დაწესებულების საქმიანობას მოითხოვს თავის საჭიროებისათვის; ხარკი ზოგადი საზომის მიხედვით დაეკისრება გადახდელთ და საერთო გასავლის დაუფარავი ნაწილის დაფარვას ემსახურება, ხოლო მეორე — უწყებათა საგანგებო ადმინისტრაციული საქმიანობის ხარჯების გასასწორებლად და დაწესებული. სამეურნეო შემოსავლისაგან კი სათფასური იმით განსხვავდება, რომ პირველგვარი შემოსავალი მატერიალური ხასიათის სამსახურის (ნივთიერი დოვლათი, სამსახურის გაწევა) ფასს წარმოადგენს, მაშინ როდესაც სათფასური ნაცვალგებაა საჯარო-უფლებბრძივი საქმიანობისათვის. საგნის არსი არ იცვლება იმით, რომ სამეურნეო სამსახურის ფასს ზოგჯერ სათფასურს უწოდებენ (მაგ. ფოსტაში: „წერილების სათფასური“, „დეკემის სათფასური“). ამ სახელწოდებით, ისევე როგორც ასეთით: „სავექილო სათფასური“, „სანოტარო სათფასური“, „საექიმო სათფასური“ და სხვ. — მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ფასი მტკიცე, ცალმხრივად დაწესებული ნიხრის მიხედვით არის გადასახდელი.

სხვადასხვა ქვეყნებში სათფასურების მხრივ დიდი სხვადასხვაობა არსებობს. განსაკუთრებით ბევრია სათფასური საფრანგეთში; ფისკალური ტენდენცია, რომელიც აქ გატარებულია სათფასურებში, ხშირად უშუაღებელს ხდის ხარკებისა და სათფასურების გამოჯენას. დიდ ბრიტანეთშიც, სადაც სათფასურების რიცხვი მცირეა, სათფასურებსა და ხარკებს (მიმოქცევის ხარკებს) შორის გამოჯენა თითქმის სრულიად არაა გატარებული. გერმანიაშიც უკანასკნელ ხანამ მრავალ ისეთ გადასახადს უწოდებდენ სათფასურს, როგორც, მაგ., სამემკვიდრეო, უძრავი ქონების და თამასუქის საღერბო სათფასურები, რომელნიც ფაქტიურად ხარკებს წარმოადგენენ. სახელმწიფო კანონმდებლობა, პირიქით, საკმაოდ მკაცრად ანსხვავებს ხარკებსა და სათფასურებს და ამ უკანასკნელთა რამდენსამე სფეროს ერთგვაროვანად აწესრიგებს; ასე, მაგ., უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს საფასურებს, საზომ-საწონის შესამოწმებელს, მოქალაქობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის, პატენტის და სასაქონლო ნიშნების დაცვის სათფასურებს და სხვ. გერმანიაში ცალკე სახელმწიფოებში უკანასკნელი დროის კანონებმა სათფასურების რამდენიმე

ფართო დაყოფა მოახდინეს. საფასურების სამშობლო სამართლის წარმოების სფეროში მდებარეობს. საფასურები აქ ნაწილობრივ სადაო საგნის ფასეულობის მიხედვით, ანდა ჯარიმის ოდენობის მიხედვით არის დანაწილებული, ნაწილობრივ—სასამართლოთა ინსტანციების მიხედვით. მრავალი საფასური არსებობს შინაგანი მართველობის დარგებშიც. რამდენადაც ისინი ნებაართვის საფასურებს წარმოადგენენ, როგორც, მაგ., საფასურები: სასტუმროების, სამიკიტნოების, ემიგრაციისა და დაზღვევის სარეწაოთა და სხვ., ხშირად სახარკო ხასიათს ატარებენ.

გერმანიის თემებში საფასურებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სახელმწიფო კანონმდებლობამ თემებს განსაკუთრებით შემოსავლის ეს წყარო დაუთმო, და შემდეგ იმიტომაც, რომ გადასახადის ეს სახე მრავალნაირ ფორმას შეიცავს და შეიძლება შეგუებულ იქნას იმ ახლო დამოკიდებულებასთან, რომელიც არსებობს სათემო მართველობასა და მოსახლეობას შორის. არსებითად საფასურები აქ მართველობის საფასურებს ან სარგებლობის საფასურებს წარმოადგენენ. მართველობის საფასური ნაცვალგებაა საერთო ადმინისტრაციული ორგანოების განსაზღვრულ საქმიანობისათვის, მაგ., ქაღალდების დამოწმებისა, აღმშენებლობის მეთვალყურეობა, თემში მიღების ან მისგან გასვლის ნებართვის, აგრეთვე საპასპორტო საფასური და სხვ. ხშირად ამ საფასურებს მტკიცე განაკვეთების მიხედვით ახდენენებენ. სარგებლობის საფასური წარმოადგენს ნაცვალგებას ქალაქის მოწყობილობით სარგებლობისათვის, როგორც, მაგ., ქუჩების გაწმენდისა, ნაგვის და განავალის გატანისა, დეზინფექციისა, სასაკლავოსა, დახურული ბაზრისა, ნავთსადგურისა, საქონლის ბაქებისა და სხვ. დაწესებულებებით სარგებლობისათვის, აღნიშნული სახის ზოგიერთი საფასური საწილო გამოსადების ან სამეურნეო შემოსავლის ხასიათს ატარებს. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაწესებულება მოგებას იძლევა, როგორც მაგ., წყალსადენი. რათა მოსარგებლეთა მიერ გადახდილი ნაცვალგება ნამდვილად საფასურს წარმოადგენდეს; საჭიროა, — დაწესებულება საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურებოდეს და მისი შემოსავალი ხარჯების დასაფარავ ოდენობას ირ აქარებდეს. საფასურების დაწესება ჩვეულებრივ თემების შეხედულებასა და გადაწყვეტილებასზეა დამოკიდებული; მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ., პრუსიაში, პრუსიის კომუნალური გადასახადების კანონის მიხედვით) არსებობს მათი აკრფის ვალდებულება, იმ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის დაწესებულება თემის ცალკე წევრებს ან კლასებს განსაკუთრებულ სარგებლობას აძლევს და რამდენადაც არ ხდება სარგებლობის გათანაბრება გამოსადების აკრფით (იხ. § 28), ან მეტ-ნაკლები დაბეგვრით. სარგებლობის საფასურებიც პრინციპიალურად წინასწარ მტკიცე ნორმებით და ოდენობით უნდა იყოს განსაზღვრული, ასე რომ გადახდელს თვითვე უნდა შეეძლოს თავისე ვალდებულების გამოანგარიშება. საფასურების ოდენობის განსაზღვრისა და ხარისხებად დანაწილების მხრივ თემებს საკმაოდ ფართე თავისუფლება აქვთ მინიჭებული.

§ 27. საფასურის სახეები.—1. საფასურის საფასურად დასაშვანად უნდა იქნას საფასური.—საფასურად საფასური უშუალოდ შედის სახელმწიფოს ან თემის სალაროში; სამხელეო საფასური (დამატებითი შემოსავალი) შეადგენს მოხელეთა შემოსავლის ერთ ნაწილს ან მთელი მათი შემოსავლის (ჯამაგირის) სამაგიეროს. ეს საფასურები წინადა დიდ ბოროტმოქმედებათა წყაროს წარმოადგენდა; ახალს

დროში საფასურები სახელმწიფო და სათემო მოხელეთათვის თანდათანობით მოისპო. სანოტარო და მსგავსი საფასურები, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სხვა ხასიათისაა.

2. საცალო და სანარდო საფასურები. საცალო საფასურები დაკავშირებულია უწყებათა საქმიანობის ცალკე აქტებთან. სანარდო საფასური კი ადმინისტრაციული საქმიანობის საერთოდ ყველა აქტებისთვისაა დაწესებული, თუმცა ზოგჯერ ეს აქტები ცალკე ჯგუფებადაცაა დაყოფილი.

3. მტკიცე და ცვალებადი საფასურები. პირველს ახდევინებენ ყველა ერთგვარი სახის საფასურკუთვნილ აქტებისათვის თანაბარი რაოდენობით, ცვალებადს კი — სხვადასხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან შეფარდებულად. უკანასკნელი სახის საფასურები იყოფა: განსაზღვრულ ფარგლებში მდებარე საფასურებად, როდესაც დაწესებულებას უფლება აქვს საფასურის ოდენობა განსაზღვროს დაწესებულ მინიმუმ და მაქსიმუმ ოდენობას შორის, ან გრადაციულ საფასურებად, როდესაც საფასურებს ახდევინებენ განსაზღვრული ნიშნულობის, მაგ., საქმიანობის ხანგრძლივობის, ფურცლების რაოდენობის ან საქმის ფასეულობის მიხედვით; ფასეულობის მიხედვით ასაღები საფასურები შეიძლება გადახდევინებულ იქნეს კლასებად დაყოფილი ტარიფის ან ფასეულობის პროცენტების მიხედვით.

საფასურების გადახდა ხდება, საფასურკუთვნილი აქტის შესრულებამდე დაწესებულების მიერ, ნაწილობრივ ნაღდად, თვით დაწესებულებაში, ან საგანგებო სალაროში, ნაწილობრივ — საღერბო მარკების ან საღერბო ქალაღდების გამოყენებით. ეს უკანასკნელი წესი გადახდისა გულისხმობს თანვე წერილობით საქმის ქალაღდებს, რომელსაც მარკები დაეკვრის ან რომელზეც სათანადო აქტი დაიწერება, აგრეთვე — საფასურის გამოანგარიშების სიაღვილეს და ზედმიწევნით კონტროლს სიყალბისა და სათანადოზე ნაკლების გადახდის საწინააღმდეგოდ.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი. ზოგიერთ გადასახადს, რომელიც არსებითად ხარკის ხასიათს ატარებს, დღემდე საფასურის სახელი აქვს შერჩენილი, როგორც მაგ., სამემკვიდრეო საფასური, საბაჟო საფასური და სხვ. თვით სახარკო კანონმდებლობაშიც მკაცრი განსხვავება არაა გატარებული ხარკებსა და საფასურებს შორის; ასე მაგ., უმნიშვნელოვანესი საფასური — საღერბო — ამავე დროს ნაწილობრივ მიმოქცევის ხარკსაც წარმოადგენს.

ს ა ღ ე რ ბ ო სა ფ ა ს უ რ ი ს ახალი წესდება, გამოცემული 1927 წ. 14 სექტემბერს, ძალაშია ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. საფასური ეხება საგანგებო წესსაში ჩამოთვლილ: ა) წერილობით და ტელიგრაფით მიმართვებს მთავრობის

დაწესებულებებისა და თანამდებობის პირთადმი, ბ) ამით მიერ გაცემულ წერილობით და ტელეგრაფით პასუხებს და სხვა საბუთებს და გ) გარიგებათა საბუთებს. საფასურის გადახდას და მთავრობის დაწესებულებათა ან თანამდებობის პირთადმი მიმართველი, გარიგებაში მონაწილე მხარეები და აგრეთვე ის პირები, რომლებზედაც გადადის, საბუთების გადაცემის დროს, გარიგებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობა. საფასურიდან თავისუფალი არიან ყველა საბუთების მხრივ, გარდა თამასუქების, აქციების (პაიების) და ობლიგაციებისა; მთავრობის დაწესებულებანი და თანამდებობის პირნი სამსახურის მოვალეობის ასრულებისას, სარეწაოები, ორგანიზაციები და პირები, რომლებიც საგანგებო ნუსხაში არიან ჩამოთვლილნი; საფასური არ ეხება აგრეთვე ზოგიერთ: საერთო ხასიათის საქმეთა საბუთებს, სასამართლო და სანოტარო, მეურვეობის, სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების, სოფლის მოსახლეობის, სასოფლო მეურნეობის და პროდუქციის რეალიზაციის, ვაჭრობა-მრეწველობის, კოოპერატივების და ნებაყოფლობითი, საზოგადოებათა, საფინანსო და საკრედიტო, დაზღვევის, ტრანსპორტის და კავშირის, საბაჟოს და მუშა-მოსამსახურეთა საქმეების საბუთებს და ამ მანეთზე მცირე თანხის გარიგებათა საბუთებს.

სადერბო საფასური იყოფა მარტივად და პროპორციულად. მარტივი საფასური გადაიხდება ქაღალდის ან საბუთის ხასიათის მიხედვით და შეიცავს მტკიცე განაკვეთებს: 1) 1 მ. 65 კ., 2) 1 მ., 3) 15 კ. და 4) 6 კაპ. პროპორციული საფასური კი გადაიხდება არა მარტო საბუთის ხასიათის, არამედ იმ თანხის მიხედვითაც, რომელზეც ის გაიცემა; განაკვეთი შეადგენს საბუთის თანხის 1) 0,50/100, 2) 0,25/100 და 3) 0,15/100-ს. ამა თუ იმ საბუთის მიკუთვნება პროპორციულ თუ მარტივ საფასურისადმი გათვალისწინებულია სათანადო ნუსხაში. სადერბო საფასური გადაიხდება, განსაზღვრულ ვადაში, სადერბო ნიშნებით (სადერბო მარკით ან ქაღალდით), რომელთა გაუქმება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესით სწარმოებს, ანდა—ნაღდი ფულით ან შერეული წესით, ე. ი. ნაწილობრივ სადერბო ნიშნებით და ნაწილობრივ—ნაღდი ფულით.

სასამართლოს საფასური ეხება ყოველ პირველდაწყებით ენ შეხვედრითი სამოქალაქო სარჩელის განცხადებას სასამართლოში. საზომ საფუძველს წარმოადგენს სასარჩელო ფულადი თანხა ენ სასარჩელო ქონების ფასეულობა მოსარჩელეს შეფასების მიხედვით. სასამართლოს საფასური გადაიხდება ნაღდი ფულით ან საგანგებო მარკებით.—სანოტარო საფასური გადაიხდება სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ გაწეული სამსახურისათვის (საბუთების დამოწმება; თამასუქების პროტესტი და სხვ.), საკონსულტაციო საფასური—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და მისი ორგანოების მიერ გაწეული სამსახურისათვის, სალიცენზიო საფასური—საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ნებართვისათვის.

დანარჩენებიდან აღსანიშნავია საფასური: სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანისათვის, უცხოეთის პასპორტებისა, ვიზისა და სცხოვრებელი ნებართვისათვის, ნაწარმოებთა წარმოშობის დამამოწმებელ საბუთებისათვის, ორთქლის ქვაბების და უშიშროების ტექნიკურ ზედამხედველობისათვის, სავაჭრო ნიშნების რეგისტრაციისათვის, სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციისათვის, ჯამოგონების პატენტებისათვის, ზღრუფის გარეშე გარიგებათა რეგისტრაციისათვის,

ინტერპარტის და კონსამენტების, ხელშეკრულებათა რეგისტრაციისათვის, ნადირობისათვის, ნავთსადგურით სარგებლობისათვის, საზომ-საწონის შემოწმებისათვის, თევზის ქერის უფლებისათვის და სხვ..

საფასურების შემოსავალი 1926/27 წლის კავშირის ბიუჯეტით ნავარაუდები იყო 173,2 მილ. მ. ანუ მთელი შემოსავლის 3,4% ი, ხოლო კერძოდ საქართველოს ბიუჯეტით—370,9 ათასი მ. ანუ—3,2%.

ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ თავიანთ სასარგებლოდ დანარიცხები სასამართლოს, სანოტარო, სამონადირო საფასურებზე. მათვე აქვთ უფლება ზოგიერთი ახალი საფასურების შემოღებისა, როგორც, მაგ. საზოგადო სასწორით სარგებლობისათვის, საბეითლო-სასანიტარო შემოწმებისათვის, საჩასაწერო და სხვ..

2. გამოსაღები.

§ 28. ცნება და სახეები.—ცნება გამოსაღებისა შეიძლება ფრიად სხვადასხვანაირად იქნეს განმარტებული. ერთგვარი გარკვეული შემოფარგვლა მიიღო ამ ცნებამ უკანასკნელ ათეულ წლებში გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოს (პრუსიის, ვიურტემბერგის, ბადენის, ჰესენის და სხვ.) ქალაქთა ფინანსებში. გამოსაღები აქ ჩვეულებრივ ისეთ გადასახადად არის მიჩნეული, რომელიც, საჯარო ინტერესებისათვის დანიშნული მოწყობილობის გამო, თემის ისეთ წევრებს გადახდება, რომელნიც ამ მოწყობილობისაგან განსაკუთრებულ სარგებლობას იღებენ. საფასურისგან, რომელსაც ეს გადასახადი ემსგავსება და რომელშიც ხშირად გადადის, არსებითად იმით განსხვავდება, რომ დაწესდება მხოლოდ ისეთ მოწყობილობათა გამო, რომელნიც მიწათმფლობელობასა და პიროვნებათა განსახლვრული ჯგუფის,—მიწათმფლობელთა და მესარეწეთა ინტერესებს შეეხებიან. შემდეგი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საფასური უკვე დაწესებული სამსახურის ნაცვალგებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც გამოსაღები სამერმისო მოწყობილობათა ხარჯების დასაფარავდაც შეიძლება დაწესებულ იქნეს. მათ ადგილი აქვთ, უმთავრესად, ქუჩების, მოედნების, კანალიზაციის, ამოსაშრობ, მოსარწყავ და განათების ნაგებობათა მოწყობის, სანაპიროების, ნავთსადგურების, ვერფების და სხვ. შენება-აგებისას. გამოსაღებს ახდევინებენ ასაგები მოწყობილობის მოსახლვრე მფლობელთ ან დაინტერესებულ პირთ საერთო დადგენილების ან საგანგებო ხელშეკრულობის საფუძველზე. არის შემთხვევები, რომ, გარდა ერთდროულ გამოსაღებთა, მოწყობილობის დასაარსებლად, ადგილი აქვს აგრეთვე გამოსაღებთა გადახდევინებას ყოველწლიურადაც თვით იმ მოწყობილობა-დაწესე-

ბულებებით სარგებლობისათვის, — მაგ., გამოსაღები არხებისა და ქუჩების გაწმენდისათვის და სხვ., რასაც ხშირად საფასურს უწოდებენ, თუმცა იგი ნამდვილად საფასურად ვერ ჩაითვლება. გამოსაღების აკრეფის ვალდებულება ჩვეულებრივ მაშინ არსებობს, როდესაც უამისოდ, გამოსაღების აუკრეჯავად, მოწყობილობათა ხარჯები, დახარჯული კაპიტალის სარგებლისა და დაშრეტის ჩათვლით, სახარკო შემოსავლითაა დასაფარავი. გამოსაღების განსაზღვრის საზომად გამოყენებულ უნდა იქნეს სამეურნეო სარგებლიანობა, მაგრამ ხშირად ზოგადი ვარაუდით, — გარეგანი ნიშეულობის, მაგ., მიწის ნაკვეთის ფასადის სიგრძის მიხედვით გამოიანგარიშება. იმ გარემოების საფუძველით, რომ ხსენებულ მოწყობილობებს არა მარტო განსაზღვრულ ჯგუფის პირთათვის აქვთ სარგებლიანობა, არამედ საერთოდ მთელი მოსახლეობისთვისაც, უმრავლეს შემთხვევაში წესად მიღებულია, რომ გამოსაღები მთელ ხარჯებს არ უნდა ფარავდეს.

სახელმწიფოს ფინანსებში გამოსაღებთ იშვიათად აქვთ ადგილი. არსებობს, მაგ., დიდ ქალაქთა გამოსაღებები საპოლიციო მართველობისათვის, როდესაც ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფოებრივი მდინარეების კალაპოტის გასწორებისას ან ჩქარ მდინარეთა ჯებირების აშენებდს დროს გამოსაღები ეკისრება დაინტერესებულ პირებს და ხშირად აგრეთვე დაინტერესებულ თემებსა და თემთა კავშირებს. ფართო მნიშვნელობით შეიძლება გამოსაღები ვუწოდოთ აგრეთვე იმ დახმარებას, რომელსაც თემები, ფულადი თანხების მიცემით თუ მიწის ნაკვეთების დათმობით, სახელმწიფოს უწევენ, რათა თავიანთთვის უზრუნველჰყონ ამა თუ იმ სასარგებლო მოწყობილობისა თუ დაწესებულების დაარსება, როგორც, მაგ., სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, გარნიზონის დაწესება, რკინისგზის ხაზის გატარება და სხვ.

გერმანიის რევოლიუციის წინა დროის ფინანსების თავისებურობას წარმოადგენდა მატრიკულარული გამოსაღები. ის იყო ძველი გერმანიის იმპერიის „მატრიკულარულ გამოსაღებთა“ მიბაძვა და შემოღებულ იქნა 1871 წლის საიმპერიო კონსტიტუციით, რომლის თანახმად აღნიშნული გამოსაღები მოკავშირე სახელმწიფოთაგან იმპერიას ეძლეოდა, თუ იმპერიის ხარკები ხარჯებს არ დაფარავდა; ეს გამოსაღები დაკისრებული ჰქონდა მოკავშირე სახელმწიფოებს მოსახლეობის რიცხვის მიხედვით და მათი ბიუჯეტიდან იფარებოდა. როდესაც შემდეგ, 1871 წლის საბაჟო და სახარკო რეფორმამ საკუთარ საიმპერიო შემოსავალთა გაზრდა შესაძლებელი გახადა, მატრიკულარული გამოსაღებები ზედმეტად იქნა

მიჩნეული; მაგრამ რეიხსტაგმა, რომელსაც პოლიტიკური მოსახრებების გამო არ სურდა ამ გამოსაღებთა გაუქმება, ხელოვნური დეფიციტი შექმნა იმით, რომ იმპერიის მოსალოდნელ გადიდებულ შემოსავალს საგრძნობი ნაწილი მოსჭრა და ანარიცხებად დაუნიშნა მოკავშირე სახელმწიფოებს, მათი მოსახლეობის რიცხვის შესაფერად. ასეთი ანარიცხები შემდეგშიც რეგულიარულად იქნა წარმოებული, რამდენადაც იმპერიის სახარკო შემოსავალი იზრდებოდა. მაშასადამე, გერმანიაში ასეთი წესი იყო: ყოველწლიურად საიმპერიო სალაროდან უკალკე სახელმწიფოებს ანარიცხები ეძლეოდათ, მაგრამ ამ უკანასკნელებს თავის მხრივაც საიმპერიო სალაროში ყოველწლიურად მატრიკულარული გამოსაღები შეჰქონდათ. 1898 წლიდან ანარიცხები ვეღარ ფარავდა მატრიკულარულ გამოსაღებებს და ამიტომ წარმოსდგა ე. წ. „დაუფარავი მატრიკულარული გამოსაღები“. ამ სახის გამოსაღების გადახდის ვადა ერთხანად გაგრძელებულ იქნა, ხოლო შემდეგ ის იმპერიამ აიღო თავის თავზე. 1909 წლის 15 ივლისის კანონით შემოღებულ იქნა მტკიცე მატრიკულარული გამოსაღები, სულზე 80 პფ.. ანარიცხებისა და მატრიკულარულ გამოსაღებთა მთელი ეს სისტემა დიდ გაურკვევლობასა და მერყეობას ჰქმნიდა საიმპერიო და ცალკე სახელმწიფოთა ბიუჯეტებში და იწვევდა უსარგებლო გადარიცხვ-გადმორიცხვას იმპერიასა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის. 1919 წლის 11 აგვისტოს საიმპერიო კონსტიტუციით მატრიკულარული გამოსაღები გაუქმებულ იქნა.

3. ხ ა რ კ ე ბ ი.

ა. ზოგადი სახარკო მოძღვრება.

§ 29. ცნება ხარკისა. ხარკის მნიშვნელობა.—ხარკი არის ნივთიერი დოვლათით მისაგებელი, ამჟამად, ჩვეულებრივ ფულადი სახის მისაგებელი სახელმწიფოსა და სხვა საჯარო კავშირებისათვის, რომელსაც ეს უკანასკნელნი იძულებითა და ცალმხრივად განსაზღვრული წესითა და ოდენობით ჰკრეფენ კოლექტიური ხარჯების დასაფარავად. ხარკი ნივთიერი დოვლათით მისაგებელს წარმოადგენს; პირადი სამსახური, ოუნდაც იძულებითი, ამ ცნებაში არ შედის. ხარკი საფასურისაგან განსხვავდება გამომწვევი საფუძველის ხასიათით, ოდენობის განსაზღვრის წესით და გამოსავლის სხვადა-

სხვა გამოყენებით. 1. საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოს-
დგება საჯარო უწყებათა სამსახურით სარგებლობისას; სახარკო ვალ-
დებულება კი იმ ფაქტთანა დაკავშირებული, რომ პიროვნება ან მისი
შემოსავლის წყარო სახარკო ტერიტორიის ფარგალშია მოქცეული.
2. საფასურის ოდენობა გამოწვეულ ხარჯებსა ან უწყებათა მიერ გა-
წეული საქმიანობის ფასეულობას შეესაბამება, ხარკის ოდენობის
განსაზღვრა კი ზოგად საფუძველთა მიხედვით ხდება (ხარკვალდებუ-
ლის შემოსავალი, ქონება, მოხმარება და სხვ.). 3. საფასურის დანიშ-
ნულებაა მართველობის იმ დარგის ხარჯების დაფარვა, რომელშიც
აიღება; ხარკებმა კი საერთო სახელმწიფო ან სათემო ხარჯები
უნდა დაფარონ, რომელიც სხვა შემოსავალით ვერ იფარება.

ხარკის ამ განსაზღვრაში ხარკვალდებული არაა აღნიშნული;
არაფერია თქმული იმის შესახებ, თუ რომელ პირებს ეკისრებათ
ხარკის გადახდა. ამის ორიოდ სიტყვით გარკვეულად აღნიშვნა
ძნელადაა მოსახერხებელი, ვინაიდან სახარკო ვალდებულება განსა-
ზღვრულ სუბიექტიური და ობიექტიური ხასიათის საფუძველბთანაა
დაკავშირებული (იხ. § 33).

სახარკო საქმე საფინანსო მეცნიერებისა და საფინანსო პოლი-
ტიკის უმნიშვნელოვანესი საგანია. ამ სფეროშია უძნელესი და უუმ-
ნიშვნელოვანესი პრობლემები, მის გარშემო სწარმოებს უდიდესი
ბრძოლა. ხარკი გაცილებით უფრო მეტად ეხება სახალხო მეურნეო-
ბას და კერძო სამომხმარებლო მეურნეობას, ვიდრე საჯარო-უფლებ-
რივი შემოსავლის დანარჩენი წყაროები. მოქალაქეს, რომელიც ხარ-
კების მხოლოდ უშუალო გავლენას აქცევს ყურადღებას და ხარკის
ამღების იდეურ მნიშვნელობას ჯეროვანად ვერ აფასებს, ხარკი სა-
არსებო მდგომარეობისა და ქონების შექმნის დამაბრკოლებელ მოვ-
ლენად ეჩვენება. ვინაიდან ხარკვალდებულთა შორის სახარკო ტვირ-
თის განაწილებისათვის ობიექტიური საზომი არ არსებობს, ვინაი-
დან ეს განაწილება შეუძლებელია ერთგვარ თვითნებობისაგან იყოს
თავისუფალი, რადგან ის ყოველთვის პოლიტიკურ და სამეურნეო
ძალთა ურთიერთობის, ეპოქის მიმართულებისა და იდეების შედე-
გია, ამიტომ სახარკო საქმე ხშირად გაცხარებული ბრძოლისა და
არადამაკმაყოფილებელი კომპრომისების ნიადაგს წარმოადგენს.
პრობლემის გადაჭრა კიდევ უფრო ძნელდება იმ გარემოებით, რომ
პრაგმატი ხარკვალდებული თავის მისწრაფებებს უფრო საკუთარ ინ-
ტერესთა დაცვას უფარდებს, ვიდრე სამართლიანი დაბეგვრის მო-
თხოვნილებას.

გერმანიის საიმპერიო საგადასახადო კანონი ხარკს დამაკმაყოფილებლად ვერ საზღვრავს; იქ ნათქვამია: ეს არის „ერთდროული ანუ მიმდინარე ფულადი მისაგებელი, რომელიც სპეციალი სამსახურის ნაცვალგებას არ წარმოადგენს და საჯარო-უფლებრივი კავშირის მიერ, შემოსავლის მისაღებად, დაეკისრება ყველას, ვინც იმგვარ პირობებშია, რომელსაც კანონი გადამჯდულობის ვალდებულებას უკავშირებს“.

ხარკი ჩვეულებრივ ფულად მისაგებელს წარმოადგენს. მაგრამ საშუალო საუკუნეებში საკმაოდ ხშირი იყო ხარკი პურის, სავაქრო საქონლის (საქალაქო ქიშკრის ხარკის) და სხვ. ფორმით. განუვითარებელი ფულადი მეურნეობის მქონე ანალშენებში, ფულად ხარკს გარდა, ადგილი აქვს ხარკებს შედარებით გამძლე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახითაც. აქამადაც რომ ზოგჯერ შესაძლებელია, სახარკო ვალდებულების შესასრულებლად, ფულს გარდა სხვა საშუალების გამოყენებაც, ამას მოწმობს 1919 წლის 31 დეკემბრის გერმანიის საიმპერიო კანონი ერთდროული საქონება ხარკის შესახებ, რომლის თანახმად ხარკის გადახდა შეიძლებოდა, ნაღდი ფულის ნაცვლად, განსაზღვრულ პირობებში. აგრეთვე ომის სესხის ობლიგაციებითაც.

§ 30. დაბეგვრის დასაბუთება და მიზანი.—სახელმწიფოს და სხვა საჯარო-უფლებრივი კავშირების აუცილებლობა კაცობრიობის სულიერ და სამეურნეო განვითარებისათვის, შეიძლება ვთქვათ, საყოველთაოდ აღიარებულია. ამ აუცილებლობის აღიარებიდან გამომდინარეობს ის, რომ საჯარო ხარჯების დასაფარავად, სხვა წყაროთაგან შემოსავლის არარსებობის ან არასაკმარისობის დროს, ყველა იმათ, რომელნიც საჯარო-უფლებრივი კავშირების დაწესებულებათა არსებობით სარგებლობას ჰპოებენ, ვალდებულება ეკისრებათ მონაწილეობა მიიღონ საჭირო საშუალებათა მოგროვებაში. საკითხს ხარკების უფლებრივი საფუძვლის შესახებ დროის განმავლობაში სხვადასხვაგვარად განმარტავდენ, სახელმწიფოს წარმოშობის, არსისა და დანიშნულების შესახებ არსებულ შეხედულებათა ცვალებადობის მიხედვით. თითოეული თეორია განსაკუთრებულ სახარკო სისტემას, განსაკუთრებული ფორმისა და ზომის ხარკს მოითხოვდა. პირველი ამ თეორიათაგან მე-17 საუკუნეში წარმოიშვა და მე-18 საუკუნეში განვითარდა. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ქვეშევრდომთა მიერ დადებული ხელშეკრულობის საფუძველზეა წარმომდგარი და ამიტომ ხარკიც ხელშეკრულობაზეა დამყარებული და წარმოადგენს ექვივალენტს და ფასს იმ სარგებლობისათვის, რომელსაც სახელმწიფო აძლევს მოქალაქეებს. ამ თეორიას უწოდებენ ექვივალენტურ ან სარგებლიანობის, ანუ ინტერესთა თეორიას. მასთან ახლო დგას დაზღვევის თეორია, რომელიც განსაკუთრებით მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში წარმოიშვა. ეს თეორია ხარკს სთვლის დასაზღვევ პრემიად საჯარო კავშირების მიერ მოქა-

ლაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვისათვის. ეს თეორია ეხება აგრეთვე ხარკის საზომს და ასეთად შემოსავლისა და ქონების პროპორციული დაბეგვრა მიაჩნია. სისწორის მხრივ ამ თეორიების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: მართალია ის აზრი, რომ სახელმწიფოს და კიდევ უფრო მეტად თემების განსაზღვრულ დაწესებულებებსა და ღონისძიებებს შეიძლება სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ზოგიერთ წრეებისათვის განსაზღვრული სარგებლიანობა ჰქონდეს და რომ ამგვარი დაწესებულებანი მათთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ; ასე, მაგ., მიწათ და სახლთმფლობელები დიდად დაინტერესებული არიან და დიდ სარგებლობას პოულობენ ისეთ ღონისძიება-მოწყობილობათაგან, რომელთა ზეგავლენით უძრავი ქონების ფასეულობა იზრდება. რამდენადაც ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს და განსაკუთრებული სარგებლობა, რომელიც აღნიშნულ ჯგუფთ ხვდება, მიწისა და სახლის მფლობელობაზე დაკისრებული საფასურითა ან გამოასაღლებით არ ამოიწურება, მათი უფრო ძლიერად დაბეგვრა უსამართლოდ ვერ ჩაითვლება. მაგრამ სახარკო ვალდებულების დასასაბუთებლად კი ორივე თეორია უვარგისია. საჯარო-უფლებრივი ორგანოები საარსებო საჭიროებას წარმოადგენენ და აუცილებელი არიან როგორც ცალკე ადამიანთა, ისე საერთოდ კაცობრიობის არსებობისა და წარმატებისათვის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სახელმწიფოსა და საერთოდ საჯარო კავშირებს უფლება აქვთ თავიანთ წევრებს არსებობისათვის საჭირო სახსარი მოსთხოვონ. ასეთ შეხედულებას სახელმწიფოს შესახებ ორგანიული მსოფლმხედველობა ეწოდება. ამ თვალსაზრისით ხარკი არის-მისაგებელი, მსხვერპლი; რომელიც ხარკვალდებულებმა უნდა გაიღონ. რადგან ხარკი სამეურნეო მსხვერპლს წარმოადგენს და მეორეს მხრივ შეუძლებელია ის დანაწილებული იქნეს იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც ცალკე პირს აძლევს საზოგადოებრივი ცხოვრება, ვინაიდან ეს სარგებლობა კონკრეტ ფულად თანხაში კი არ გამოისახება, არამედ განუყოფელი ხვედრია ყველა შოქალაქეთა, — ამიტომ სახარკო ტვირთის საზომად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამეურნეო გადამხდელითი უნარი ხარკვალდებულთა. პრობლემა, რომელიც აქ გასარკვევია, შემდეგში მდგომარეობს: როგორ უნდა მოხერხდეს სახარკო ტვირთის სამართლიანად განაწილება გადამხდელითი უნარის მიხედვით (ამის შესახებ იხ. § 35).

ხარკი პირველად წარმოადგენდა ერთდროულ გადასახადს საგანგებო მანებისათვის, ასე, მაგ., საომარი ხარჯების დასაფარავად, ვალების გასასტუმრებლად და სხვ., რომელიც მთავრის (შეფის) თხოვნის თანახმად წესდებოდა წო-

დებათა წარმომადგენლობის მიერ. ამგვარ ერთჯეროვლ გადასახადებს მხოლოდ თანდათანობით მიეცა რეგულიარულ გადასახადთა ხასიათი საჯარო ხარჯების დასაფარავად. მიზნობრივი ხარკები სახელმწიფო და სათემო ფინანსებში ნაწილობრივ დღემდეა დაცული. ინგლისის თვითმართველობათა ხარკები უმთავრესად სპეციალი მიზნებისათვის აიღება და გამოიყენება (მაგ., ღარიბთა დახმარებისათვის დანიშნული ხარკი). უკანასკნელი დროის სახელმწიფო ხარკებიდან ამის მაგალითს წარმოადგენს ომის ხარკი; შემდეგ: გერმანიაში—1913 წლის თავდაცვის ხარკი,—ერთდროული გადასახადი ქონებასა და შემოსავალზე ჯარისა და ფლოტის ერთდროული ხარჯების დასაფარავად, 1919 წლის საიმპერიო „გაქირვების შესაწირი“ (საქონებო ხარკი) საიმპერიო ვალების დასაფარავად, 1923 წლის 11 აგვისტოს დაწესებული გადასახადი რეინ-რუტრის ოლქის საჭიროებისათვის ამ ადგილების საფრანგეთ-ბელგიის მიერ ოკუპაციის გამო, 1923 წლის 23 ივლისის დაწესებული გადასახადი პურის გასაიაფებლად, აგრეთვე 1923 წლის საწარმოთა გადასახადი და სასოფლო გადასახადი ვალიუტის გაჯანსაღების მიზნით. ამავე ჯგუფს ეკუთვნის სავალდებულო ხარკებიც.

ამგვარ ხარკებისაგან უნდა განვსხვავოთ ისეთი ხარკები, რომელთაც დამატებითი მიზნები აქვთ. აქ განსაზღვრული მიზანი ან ფაქტიურად მიიღწევა ხარკის წყალობით, ანდა—ასეთი მიზნის მიღწევა განზრახულია ხარკის დაწესებისას. მაგ., არაყის მოხმარებაზე დაწესებული დიდი გადასახადით შეიძლება დაბრკოლდეს ალკოჰოლიზმის გაძლიერება, ანდა ძაღლებზე დაწესებული დიდი ხარკით,—შესუსტდეს ადამიანთა მიერ ძაღლების ხელში აყვანის ჩვეულებაც; უნივერსალურ მადანზე ან მოძრავ ვაჭრობაზე დაწესებულ გადასახადს ის მიზანიც აქვს, რომ ამით წვრილ ვაჭრობასა და ბინადარ სავაჭრო სარეწაოებს მთარველობა ექნეს გაწეული პირველთა მკოჭების წინააღმდეგ.

ს. ს. რ. კავშირში დაწესებული მიზნობრივი ხარკები და მიზნობრივი ანარიცხ-დანარიცხებიდან მოხსენებულ უნდა იქნეს: საბინაო ხარკი, რომელსაც მიზნად აქვს საბინაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის სახსართა გაძლიერება (იხ. § 66-ის შენ.), საკურორტო ხარკი—კურორტების კეთილმოწყობისათვის, სარკინიგზო, სანაოსნო და საჰაერო მიმოსვლის ბილეთებზე დაწესებული გადასახადი—წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის საზოგადოებათა სასარგებლოდ, გასართობ დაწესებულებათა ბილეთებზე დაწესებული გადასახადი (ქალაქ ადგილებში)—წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის საზოგადოებათა სასარგებლოდ, წყლით ჩამოზიდულ მერქანის ხარკი—წყლით ჩამოსაზიდ გზების გაუმჯობესებისათვის, რადიო-ნაწარმოებზე დაწესებული გადასახადი—რადიოგადაცემის საქმიანობის დასახმარებლად, დანარიცხი დვინის, ლუდის და თამბაქოს ნაწარმოებთა გაყიდვის უფლების პატენტზე (იხ. §§ 62 და 63-ის შენ.)—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, საფუთო ხარკი ვოლგა-კასპის არხში გატარებულ საქონელზე—კალაპოტის გაღრმავების ხარჯებისათვის, სატრანსპორტო ხარკი (რკ. გზის ბილეთებსა და გადაზიდულ ბარგსა და ტვირთზე)—ტრანსპორტზე მომუშავეთა განათლების საჭიროებისათვის, დანარიცხი სოციალური დაზღვევისათვის შეტანილ თანხაზე—საბინაო აღმშენებლობის ფონდისათვის, დანარიცხი სათამაშო ქალაქის ფასზე—ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ფონდისათვის, დანარიცხი ლუდის აქციზზე (იხ. § 62-ის შენ.)—იმავე ფონდისთვის, ანარიცხი ზემდეტი მოგების ხარკის გამოსავლიდან (იხ. § 47-ის შენ.)—იმავე ფონდისთვის, ჩაის ფასის ანარიცხი—ჩაის კულტურის განვითარების ფონდისთვის, წანახშის ანარიცხი—წანახშის დამუშავების ადგილებში მალარიასთან საბრძოლველად.

§ 31. სპეციალი სახარკო თერმინები.—ვიდრე ხარკების დაწვრილებით გარკვევაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაზღვროთ ის სპეციალი თერმინები, რომლებიც იხმარება სახარკო საქმეში.

ხარკის წყარო არის დოვლათთა ის ფონდი, რომლიდანაც გადაიხდება ანდა, კანონმდებლის აზრით, უნდა იქნეს გადახდილი ხარკი. საბოლოოდ ამ წყაროს წარმოადგენს ხარკვალდებულთა მთლიანი შემოსავალი ან მისი შემადგენელი ნაწილები, რომელთაგანაც საერთო შემოსავალი შესდგება, როგორც, მაგ., საქონებო-საშემოსავლო ხარკი, რომლის დროსაც ხარკის წყაროდ ჩვეულებრივ რაიმე ობიექტის გამოსავალია მიჩნეული. ამასვე აქვს ადგილი იმ შემთხვევებშიც, როდესაც ხარკი უშუალოდ შემოსავლიდან კი არ აიღება, არამედ შემოსავლის გამოყენება, ხარჯვა ან მოხმარება იბეგრება. გამონაკლისის სახით ხარკის წყაროს წარმოადგენს ქონებაც, სახელდობრ, როდესაც ხარკი იმდენად დიდია, რომ მის დასაფარავად შემოსავალი აღარ კმარის. მაგრამ ასეთი ხარკი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები, ვინაიდან, უკეთეს იგი რეგულიარული იქნება, ქონებისა და შემოსავლის უკანსვლას გამოიწვევს.

ხარკის საზომი საფუძველი არის ოდენობა შემოსავლისა (საშემოსავლო ხარკისათვის), გამოსავლისა ან ქონებისა (საქონებო-საშემოსავლო ხარკებისათვის), რაოდენობა ან ფასეულობა ხარკკუთვნილ პროდუქტთა (სამომხმარებლო ხარკებისათვის), ფასეულობა საგანთა ან უფლებათა (სააღებმიცემო ხარკებისათვის), რომელნიც ხარკით იბეგრებიან. ხარკის ობიექტს წარმოადგენს საგანი (მაგ., შემოსავალი, ლუდი, შაქარი, თამბაქო), ან ფაქტი (მაგ., მიწის ყიდვა, კაპიტალის ბრუნვა), რომელთანაც არის ხარკი დაკავშირებული ან რომლის მიხედვითაც ჩვეულებრივ ხარკს სახელი ეძლევა. (საშემოსავლო, საქონებო-საშემოსავლო, ლუდის, შაქრის, თამბაქოს, მიწის ყიდვის და კაპიტალის ბრუნვის ხარკები). სახარკო ერთეული არის ის კონკრეტი მასშტაბი, რომელიც ხარკვალდებულთა სახარკო ვალდებულების გამოსაანგარიშებლად გამოიყენება, მაგ., განსაზღვრული ფულადი თანხა საშემოსავლო ხარკისთვის, ფასეულობა განსაზღვრული სივრცის მიწისა (1 ჰექტარი) საადგილ-მამულო ხარკისთვის, განსაზღვრული წონის ერთეული (მაგ., 100 კილო) შაქრის ხარკისთვის, სითხის განსაზღვრული რაოდენობა ფასეულობის საზომთან დაკავშირებით ან დაუკავშირებ-

ლად (მაგ., ჰექტოლიტრი ლუდი 9—14% ძირითადი სვიის შემცველი ან 10 მარკად ღირებული ბოთლი ღვინო) ლუდისა და ღვინის ხარკისთვის და სხვ. სხა ხარკო განაკვეთი არის ფულადი თანხა, რომელიც სახარკო ერთეულზე აიღება და რომელსაც ხარკის ნორმას უწოდებენ, როდესაც ხარკი პროცენტებშია გამოსახული (მაგ., 50 მარკა ხარკი 100 კილო შაქარზე, 10% ხარკი 10.000 მარკა შემოსავალზე).

ხარკის სუბიექტი ანუ ხარკვალდებულებული ეწოდება იმას, ვისაც კანონი ავალებს ხარკის გადახდას (გაღებას, გაცემას), ხარკის დესტინატარია ის, ვისაც კანონმდებლის განზრახვით ხარკის ზიდვა (ტვირთი) უნდა დაეკისროს, ხოლო ხარკის მზიდველია ის, ვინც ხარკს ფაქტიურად იხდის თავის შემოსავლიდან ან ქონებიდან. მრავალ შემთხვევაში ხარკვალდებულებული იმავე დროს არის ხარკის დესტინატარი და ხარკის მზიდველიც, ე. ი. ის არა თუ იხდის ხარკს, არამედ აგრეთვე მანვე უნდა ზიდოს ხარკის ტვირთი და ზიდავს კიდევ ფაქტიურად. მაგრამ ხშირად, კერძო სამეურნეო აღებმიცემაში, დაბეგრული ობიექტის ფასის აწევით, ხარკვალდებულებული ახერხებს ხარკის გადაკისრებას მყიდველზე (მაგ., სახლის მეპატრონე ბინის ქირის აწევით სახლის ქირაზე დაწესებული ხარკის გადიდებისას), ასე რომ იგი აქ თუმცა ხარკის სუბიექტი და დესტინატარია, მაგრამ ხარკის მზიდველი კი დამკირავებელი არის. მრავალ სხვა შემთხვევაში კიდევ (ასე, მაგ., მოხმარების ხარკთა უმრავლესობისათვის) კანონმდებელს სრულიადაც არ სურს, რომ ხარკის გადამხდელი (გამღები) მისი მზიდველიც იყოს; მისი განზრახვაა—ხარკის მზიდველი იყოს ხარკკუთვნილი საგნების გამომყენებელი ან მომხმარებელი. მაგრამ ვინაიდან მოხმარების თითოეული აქტის დაბეგვრა ტექნიკურად შეუძლებელია, ამიტომ ხარკის მწარმოებლისა ან ვაჭრისაგან იღებს და ამ უკანასკნელს ანდობს, ფასების წამატების საშუალებით, ხარკი მომხმარებელთა ან გამომყენებელთაგან აინაზღაუროს (სხვა ამის შესახებ იხ. § 34).

სახარკო კადასტრის უწოდებენ ნუსხას, რომელშიც ყველა ის ფაქტებია აღნუსხული, რომელთაც ხარკის სუბიექტის ან ობიექტის გასარკვევად მნიშვნელობა აქვთ. ხარკებს, რომლებსაც კადასტრის მიხედვით ჰკრეფენ, ამის გამო აგრეთვე შეწერილ ხარკებს უწოდებენ. სახარკო ტარიფი არის ნუსხა სახარკო ერთეულების და განაკვეთებისა განსაზღვრული ობიექტისათვის; რომელთა მიხედვით სათანადო შემთხვევებში ხარკი გამოიანგარიშე-

ბა. ასეთ ხარკებს სატარიფო ხარკები ეწოდება. სახარკო ნუსხას ხარკის სუბიექტთა და მათი სახარკო ვალდებულების სიას უწოდებენ.

§ 32. ხარკების დანაწილება.—ხარკების ჯგუფებად დანაწილება შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით: ნაწილობრივ—აკრეფის, ნაწილობრივ—შეწერის, ნაწილობრივ კიდევ—მათი შინაგანი კავშირის მიხედვით, აგრეთვე სხვა ნიშნულობათა მიხედვითაც.

1. ყველაზე უფრო ცნობილია დანაწილება პირდაპირ და არაპირდაპირ ხარკებად. მაგრამ ეს დანაწილება ერთაზროვანი არაა და მის შესახებ სხვადასხვაგვარ განმარტებას ჰქონდა ადგილი. ყველაზე უფრო ძველი და, ასე ვთქვათ, უფრო ბუნებრივი არის დანაწილება აკრეფის წესის მიხედვით. ამ საფუძვლის თანახმად, პირდაპირ ხარკად ჩასათვლელია ისეთი, რომელსაც უშუალოდ იმათგან ჰკრეფენ, ვინც ის უნდა ზიდოს; არაპირდაპირ ხარკს კი, ტეხნიკური საფუძვლით, სხვას (არა მზიდველს) ახდევინებენ, —პროდუქტის მწარმოებელს ან ვაჭარს, რომელნიც შემდეგ საქონლის ფასში ჩათვლით მას ნაწარმოების მომხმარებლებსა და მოსარგებლეთ გადააკისრებენ. მწარმოებელი ან ვაჭარი მხოლოდ სახარკო შუამავალს წარმოადგენს სახელმწიფოსა თუ სხვა ხარკის ამღებ ორგანოსათვის; ხარკი აქ არაპირდაპირი გზით აიღება იმათგან, ვისაც ის უნდა ხვდეს საზიდავად. ამჟამად „პირდაპირი“ და „არაპირდაპირი“ ხარკების აღსანიშნავად ხმარობენ აგრეთვე გამოთქმებს: „საკუთენი“ და „საავანსო“ ხარკები. სხვა მნიშვნელობით კიდევ პირდაპირს უწოდებენ ისეთ ხარკებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ხარკვალდებულთა გადამხდელობით უნართან, ხოლო არაპირდაპირს—ისეთებს, რომელნიც გადამხდელობითი უნარის გარეგან ნიშნებთან არიან დაკავშირებულნი, ვინაიდან ამგვარუგანი ნიშნების მიხედვით იგულისხმება სათანადო გადამხდელობითი უნარი ხარკვალდებულთა. ამ აზრით, საშემოსავლო, საქონებო და საქონებო-საშემოსავლო ხარკები პირდაპირია, ხოლო მოხმარების ე. ი., სხვა სიტყვებით, შემოსავლის გამოყენების ხარკი და ქონების მიმოქცევის ხარკთა უმრავლესობა არაპირდაპირ ხარკებს მიეკუთვნება. უმრავლეს შემთხვევაში ხარკთა გამიჯვნა აკრეფის წესის მიხედვით შეესაბამება მათ გამიჯვნას გადამხდელობითი უნარის მიხედვით; მაგრამ არის ზოგიერთი გამონაკლისიც. ბინებსა, ავტომობილებსა ან ძაღლებზე დაწესებული ხარკი, რომელიც გადამხდელობითი უნარის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გათვალისწინების მიხედვით არაპირდაპირს ეკუთვნის, —აკრეფის თვალსაზრისით, თუ სწორად

ვიტყვი, პირდაპირს უნდა მიეკუთვნოს. გაურკვევლობა აკლია ცნების ხმარებას ქონების მიმოქცევის ხარკებისთვისაც, რომელიც ხან პირდაპირს, ხან არაპირდაპირს მიეკუთვნებიან. ცნების განსაზღვრის ასეთი მერყეობის გამო იქნებ უფრო მიზანშეწონილი იყოს ხარკთა პირდაპირად და არაპირდაპირად დანაწილებაზე სრულიად ხელი ავიღოთ და მის ნაცვლად მივიღოთ ხარკების შინაგანი კავშირის მიხედვით დანაწილება.

2. მე-18 საუკუნის დასასრულიდან მომდინარეობს ხარკების დანაწილება კადასტრიანად და დანიხრულად, ანუ გაწერილ და სატარიფო ხარკებად. პირველი სახელწოდებით იგულისხმება ისეთი ხარკი, რომელიც სახარკო კადასტრში სახელდობრ შეტანილ პირთ გადახდებათ იმავე კადასტრში სრულის განსაზღვრულობით აღნიშნული ობიექტების მიხედვით. დანიხრული ხარკი ისეთია, რომელიც სახარკო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევებში, საერთო საზომისა და განაკვეთის მიხედვით, — მაშასადამე, ნიხრის მიხედვით გამოიანგარიშება-გადაიხდევინება. კადასტრიანი ხარკია, მაგ., საადგილ-მამულო ხარკი, რომლისათვის ხარკვალდებული პირი და მისი ადგილ-მამულის სიდიდე და ღირსება საადგილ-მამულო კადასტრშია აღნიშნული; დანიხრული ხარკია, მაგ., ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვაზე დაწესებული ხარკი, რომელიც, მიწათმფლობელობის ცვლილების შემთხვევაში, გადახდება მტკიცე ნიხრის მიხედვით (ფასეულობის პროცენტებით) ყიდვა-გაყიდვაში მონაწილე პირთ (ან მათში ერთ-ერთ მხარეს). ხარკთა ასეთი დანაწილება, რომელსაც დღემდე უპირატესობას აკუთვნებს პრაქტიკა, ხშირად პირდაპირ და არაპირდაპირად დანაწილების შესაბამისად მიიჩნევა: კადასტრიანი ხარკები პირდაპირთ შესაბამება, ხოლო დანიხრული — არაპირდაპირთ. მაგრამ აქაც ზოგიერთი ხარკის შესახებ არაა ნათელი, თუ რომელ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს იგი.

3. პირადი ხარკის (სუბიექტიური ხარკის) სახელწოდებით იგულისხმება ისეთი ხარკი, რომელიც პიროვნების გამამხდელობით უნარს უკავშირდება, უმთავრესად თვით პიროვნების გაცხადების მიხედვით და იმგვარ ინდივიდუალურ მომენტებზე დაყრდნობით, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ გამამხდელობითი უნარის ვადიდებისა თუ შემცირებისათვის (ხარკის წყარო, შემოსავლის მოპოების ხარჯები, ოჯახური პირობები და სხვ.). რეალი ხარკი (ობიექტიური ხარკი) ეწოდება ისეთს, რომელიც გამოიანგარიშება მხოლოდ სახარკო ობიექტის განსაზღვრული ნიშნების მიხედვით (მაგ., მიწის ნაკვეთის სიდიდის ან ფასეულობის მიხედვით, ანდა

სამრეწველო საწარმოში მოთავსებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით და სხვ.), ასე რომ მხედველობაში არ მიიღება მეურნე სუბიექტის ინდივიდუალური პირობები და ის გავლენა, რომელიც მის პირად უნარს აქვს ობიექტის გამოსავლიანობაზე. ასეთი დანაწილება—პირად და რეალ ხარკებად—გამოსაყენებელია მხოლოდ საშემოსავლო ხარკისა და საქონებო-საშემოსავლო ხარკების მიმართ, რომელთაგან პირველი პირად ხარკად ითვლება, ხოლო უკანასკნელი — ნაწილობრივ რეალ ხარკებს წარმოადგენენ (საადგილ-მამულო და საშენობო ხარკი, სარეწავი ხარკი) და ნაწილობრივ—პირად ხარკებს (კაპიტალის რენტის ხარკი, ხელფასსა და ჯამაგირზე დაწესებული ხარკი). მაგრამ საზღვარი ხსენებული ორი ჯგუფის ხარკებს შორის მერყევი: რამდენადაც ესა თუ ის რეალი ხარკი ობიექტის ნამდვილ (წმინდა) გამოსავლიანობას ეყრდნობა და ანგარიშს უწევს, იმ პირობებს, რომელთაც ხარკვალდებულის გადამხდელობით უნარზე გავლენა აქვთ, იმდენადვე იგი უახლოვდება პირად ხარკს.

4. ამჟამად მცირე მნიშვნელობა აქვს ხარკების დაყოფას განსაწილებელ (კონტინგენტდებულ) და განსაწილებულ (ქვოტიტატიურ) ხარკებად. პირველი ხასიათის ხარკისთვის თავიდანვე გაირკვევა ეს თანხა, რომელიც ამ ხარკით უნდა შესდგეს, ხოლო შემდეგ ამ საერთო ჯამის მიხედვით განისაზღვრება ის თანხა თუ განაკვეთი, რომელიც გადასახდელად უნდა დაეკისროს სახარკო სუბიექტებსა და ობიექტებს. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ხარკის საერთო ჯამი ხანგრძლივი დროისთვისაა კონტინგენტგარკვეული და ამიტომ იგი ადვილად იღებს დამეგრირლ ობიექტთან განუყრელად შეკავშირებული გადასახადის ხასიათს. წინადაც საადგილ-მამულო ხარკი არა იშვიათად გასანაწილებელ ხარკს წარმოადგენდა. ჩვეულებრივი მოვლენაა ქვოტიტატიური ხარკი, ე. ი. ისეთი, რომლის დროსაც ხარკის განაკვეთი თითოეული სახარკო ერთეულისათვის განსაზღვრულია, ასე რომ საერთო ჯამი ყველა სახარკო ხვედრთა შეჯამებით მიიღება. საფინანსო საჭიროების მიხედვით ხდება ხარკის განაკვეთის გადიდება ან შემცირება.

5. ჩვეულებრივი ხარკები ეწოდება ისეთებს, რომელნიც ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად არიან დანიშნულნი; არაჩვეულებრივი კი ისეთი ხარკებია, რომელნიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებაში აიღებიან არაჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად, მაგ., ომის ხარჯების ან სახელმწიფო ვალის გადასახდელად. უმრავლეს შემთხვევაში ისინი აგრეთვე მიზნობრივ ხარკებსაც წარმოადგენენ (იხ. ზევით გვ. 89 და 90).

წ. ხარკების სისტემატიური დანაწილება, რომელსაც უპირატესობა აქვს ზევით ჩვენ მიერ განმარტებული ფორმალური დანაწილების წინაშე, ხარკების არსს იღებს საფუძვლად და ჯგუფებად მათი შინაგანი კავშირის მიხედვით ჰყოფს. არსებითად გააჩვენებს სამ ჯგუფს: ა) საშემოსავლო და საქონებო, ბ) სამიმოქცევო და გ) სამომხმარებლო ხარკებს. პირველი ჯგუფი შეიძლება სამ ქვე-ჯგუფად დაიყოს: საქონებო-საშემოსავლო, საშემოსავლო და საქონებო ხარკებად. პრაქტიკული თვალსაზრისით ჩვენ ამათ ვუმატებთ კიდევ ერთ ჯგუფს: საგანგებო (სპეციალ) საშემოსავლო და საქონებო ხარკებს. მაშასადამე, ჩვენ ვადგენთ სულ 6 ჯგუფს: 1. საქონებო-საშემოსავლო, 2. საშემოსავლო, 3. საქონებო, 4. სპეციალი საშემოსავლო და საქონებო, 5. ქონების მიმოქცევის, და 6. მოხმარების ხარკები; ეს დანაწილება საფუძვლად უდევს სახარკო მოძღვრებას ამ წიგნში (იხ. ქვევით ბ).

§ 33. სახარკო სუვერენობა. — 1. სახარკო სუვერენობა გამომდინარეობს საფინანსო სუვერენობიდან, ე. ი. საჯარო-უფლებრივი კავშირის უფლებიდან, რომელიც გულისხმობს თავისი ფინანსების მოწესრიგებას დამოუკიდებლად, — გარეშე სხვა საჯარო ხელისუფლებათა ვავლენისა. სახარკო სუვერენობა ვიწრო აზრით ნიშნავს კანონმდებლის სრულ უფლებას სახარკო სფეროში, — მაშასადამე, ხარკის სუბიექტის, ობიექტის, განაკვეთის და სახარკო შემოსავლის თავისუფლად, საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოყენების უფლებას. თავისუფალი ხელშეკრულობა სხვა სახარკო ხელისუფლებასთან ხარკების ცალკე საკითხთა შესახებ; როგორც, მაგ., ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, სახარკო სუვერენობის შეზღუდვას არ მოასწავებს.

სახარკო სუვერენობა პირველ რიგში ხორციელდება სახელმწიფოს იმ ქვეშევრდომთა მიმართ, რომელნიც სახელმწიფოს ფარგალში ცხოვრობენ. მათ შეეხება ყველაფერი ის, რაც ზევით ხარკების დასასაბუთებლად აღვნიშნეთ; ბოლოს და ბოლოს მათთვისაა ის ზრუნვა, რომელსაც მიზნად აქვს ხარკების რაც შეიძლება სამარჯოლიანად და მიზანშეწონილად დაწესება. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, რომ იმ პირთ, რომელნიც სახელმწიფოს ქვეშევრდომები არ არიან, მაგრამ ხანგრძლივად ცხოვრობენ ამ სახელმწიფოში, ან აქ ადგილ-მამული აქვთ ანდა სამეურნეო საქმიანობას ეწევიან, უსასყიდლოდ, ე. ი. სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ხარჯზე, გასწეოდათ მფარველობა და მისცემოდათ წარმატება. მეორეს მხრივ, სიმკაცრე იქნებოდა სრული ზომით დაბეგვრა სახელმწიფოს იმ ქვეშევრდომთა

რომელნიც უცხოეთში ხანგრძლივად ცხოვრობენ.. გერმანიის ახალი კანონმდებლობა საშემოსავლო და საქონებო ხარკისათვის განასხვავებს შეზღუდულ და შეზღუდულ სახარკო ვალდებულებას. სრული სახარკო ვალდებულება დაკისრებული აქვთ (მცირე გამონაკლისს გარდა) ყველა პირთ, — სახელმწიფოს ქვეშევრდომთ და არა ქვეშევრდომთ, — რომელთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი გერმანიის სახელმწიფოშია; შეზღუდული სახარკო ვალდებულება ეკისრება ისეთ უცხოელებს, რომელნიც შემოსავალს იღებენ ადგილობრივი მიწათმფლობელობიდან ან მრეწველობიდან, ან ადგილობრივი სამეურნეო საქმიანობიდან, ანდა რომელნიც ადგილობრივი საჯარო ხელისუფლებისგან ფულს იღებენ აწინდელი ან წარსული სამსახურისა და თანამდებობისათვის. შეზღუდული სახარკო ვალდებულება, მაშასადამე, შეეხება მხოლოდ შემოსავლის (ან ქონების) ნაწილებს და მხედველობაში არ იღებს ხარკვალდებულთა შესახებ სხვა პირობებს, რომელნიც გადამხდელობითი უნარის მიხედვით დაბეგვრისას გაითვალისწინებიან. ცხადია, რომ სახარკო ვალდებულების განსაზღვრისას, როგორც ეს ახალ სახარკო კანონმდებლობას აქვს მიღებული, ყურადღება ექცევა უფრო სამეურნეო დამოკიდებულებას, რომელიც ხარკვალდებულთ სახარკო ხელისუფლებასთან აქვთ, ვიდრე პოლიტიკურ მომენტს, ე. ი. სახელმწიფოს ქვეშევრდომობას თუ არქვეშევრდომობას. ეს კრიტერიუმი შეეთანხმება იმ ფაქტსაც, რომ საზოგადოდ ხარკი სამეურნეო შისაგებელს წარმოადგენს. გარდა ამისა, უცხოელები, რამდენადაც ისინი სახელმწიფოს ფარგალში ცხოვრობენ, მოხმარების ხარკებსაც იხდიან, რაც თავისთავად იგულისხმება ამ ჯგუფის ხარკთა აკრეფის წესის გამო; აგრეთვე იხდიან მიმოქცევის ხარკებსაც.

2. ვინაიდან ყოველი სახელმწიფო ცდილობს ყველა მისაწვდომი სახარკო წყარო გამოიყენოს და ვინაიდან თანამედროვე საღებ-მიცემო პირობებში ხარკის სუბიექტი ხშირად სხვადასხვა სახელმწიფოთა სახარკო ხელისუფლებას ექვემდებარება, — იმის გამო, რომ მას სხვადასხვა სახელმწიფოში აქვს ბინა, ანდა ადგილ-მამული, საპრეწველო საწარმო და სხვ., — ამიტომ იშვიათი არაა ორმაგი დაბეგვრა. ორმაგ დაბეგვრას, ვიწრო მნიშვნელობით, ადგილი აქვს სახელდობრ მაშინ, როდესაც ორი დამოუკიდებელი სახარკო ხელისუფლება ერთსადაიმავე ხარკის სუბიექტს ერთიდაიგივე ხარკის ობიექტის მხრივ ბეგრავს; როდესაც, მაგ., შვეიცარიელი, რომელიც თავის ქვეყანაში ცხოვრობს და გერმანიაში სარეწაო აქვს, ამ სარეწაოს შემოსავლიდან ხარკს იხდის როგორც გერმანიაში, ისე

შვეიცარიაში. ასეთი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულობის დადებით. ცალკე სახელმწიფოშიაც, — სახელდობრ შეერთებულ (საკავშირო) სახელმწიფოებში, შესაძლებელია ხშირი იყოს ორმაგი დაბეგვრა, უკეთეს კანონმდებლობამ, სათანადო დადგენილების გამოცემით, არ იზრუნა ამის თავიდან ასაცილებლად. რამდენადაც ორმაგი დაბეგვრა შესაძლებელია არსებობდეს თემების სახარკო საქმეში, ხარკვალდებულთა საცხოვრებელი ბინისა და შემოსავლის წყაროების სხვადასხვა ადგილას მდებარეობის გამო, ანდა მათი საწარმოს რამდენიმე თემის ფარგალში მოხვედრის გამო, სახელმწიფოს კანონმდებლობას აქაც სჭირდება განსაზღვრული მოწესრიგების შეტანა.

3. სრული სახარკო სუვერენობა მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს ეკუთვნის. მხოლოდ მას აქვს შეუზღუდველი სახარკო ძალაუფლება ყველას მიმართ, ვინც მისი ქვეშევრდომია, ან ვინც მის საზღვრებს შიგნით ცხოვრობს, აგრეთვე ყველა იმ სახარკო ობიექტების მიმართ, რომელიც მის ტერიტორიაზე მოიპოვება. საკავშირო სახელმწიფოში, როგორც, მაგ., გერმანიის იმპერიაში, მოკავშირე სახელმწიფოთა გვერდით თვით კავშირსახელმწიფოც არის თანამატარებელი ან მთავარი მატარებელი სახარკო სუვერენობისა. როგორც ერთის, ისე მეორის სახარკო კომპეტენცია კონსტიტუციით არის მოწესრიგებული. მტკიცე საზღ ამ სფეროში არ არსებობს. რამდენადაც იცვლება შეხედულება ამოცანათა დანაწილების მიზანშეწონილობის შესახებ, რამდენადაც უნიტარისტული ან ფედერალისტური მიმართულება იმარჯვებს, იმდენადვე გადანაცვლება ხდება სახარკო კომპეტენციებშიც. დამაკმაყოფილებლად განწესრიგება კომპეტენციებისა მნიშვნელოვანიცაა და ძნელიც. იგი ნიშნავს საქმიანობის სფეროს სისწორით გამიჯვნას ორსავე სახელმწიფოებრივ ერთეულს შორის, თითოეულისათვის შესაფერი სახარკო წილის უზრუნველყოფას და ისეთი ხარკების მიკუთვნებას, რომელიც მის არსსა და ამოცანების წრეს საუკეთესოდ ევსება. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე პოლიტიკურად სუვერენულ სახელმწიფოს სახარკო სუვერენობა შეზღუდული ჰქონდეს, სახელდობრ, როდესაც ის სხვა სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ იმყოფება და სახარკო კანონმდებლობასა და სახარკო შემოსავლის გამოყენებაში განსაზღვრული ნორმებით არის ფარგალშემოვლებული. თ ე მ ე ბ ს და თ ე მ თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ს მხოლოდ შეზღუდული სახარკო სუვერენობა აქვთ; იმათი სახარკო უფლებები იმდენადვეა ფართო, რამდენადაც ამას მათ სახელმწიფო — საკავშირო სახელმწიფოებში აგრეთვე კავშირსახელმ-

წიფოც—მიაკუთვნებს. ვინაიდან სახელმწიფოც და თემებიც ერთდამივე სახარკო წყაროებს მიმართავენ, სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს არ დაუშვას სახელმწიფოსათვის სახარკო წესით გამოყენება ამ წყაროებისა თემების მიერ. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრივ უნდა მოეწოდოს იმ საფრთხესაც, რომ სათემო წარმომადგენლობის უმრავლესობამ თავისი ძალაუფლება ცალმხრივად ამა თუ იმ კლასის სასარგებლოდ არ გამოიყენოს. ამიტომ თემებს ან სახელმწიფო ხარკებზე კანონის მიერ განსაზღვრული დანარიცხები აქვთ დანიშნული, ან განსაზღვრული ხარკები აქვთ მიკუთვნებული თუ ნებადართული, ანდა, რამდენადაც საკუთარი ხარკების უფლება აქვთ მიცემული, მათ ევალება სახელმწიფოს სათანადო უწყებათა ღირებულების მიხედვით საქმიანობა. ხარკების ან სახარკო დანარიცხების თემებისათვის მისაკუთვნებლად ისეთი ხარკები უნდა იქნეს არჩეული, რომელნიც თემთა არსსა და მოვალეობას შეეფერებიან.

როდესაც კავშირსახელმწიფო ყველა სახარკო წყაროებს დაეუფლება თავისი შემოსავლის უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გერმანიის იმპერიაში არის,—აუცილებელია, რომ მან თავის მხრივ თავისი სახარკო შემოსავლის ნაწილი ან ხარკთა დანარიცხები დაუთმოს მოკავშირე სახელმწიფოებსა და თემებს საარსებო უნარის დასაცავად.

1. შედარებით მარტივია საკითხი სახარკო კომპეტენციების განრიგებისა მთლიან სახელმწიფოში, სადაც საქმე ეხება მხოლოდ სახელმწიფოს და თემებს (თემთა კავშირებითურთ) და საბოლოო გადამწყვეტი ხმა ყოველთვის მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. ვაცოცხლებით უფრო ძნელია ეს საკავშირო სახელმწიფოში და განსაკუთრებით ძნელია იქ, სადაც, როგორც ამას გერმანიის იმპერიის დაარსებისას ჰქონდა ადგილი, საკავშირო სახელმწიფოს წარმოშობამდის მის შემადგენელ სახელმწიფოებს უკვე დიდი ხნის განმავლობაში ხელთ ჰქონდათ თითქმის ყველა ხარკები საკუთარი საქიროებისათვის გამოსაყენებლად. მაგრამ გერმანიის იმპერიის დაარსებისას საქმე შაინც რაშდენადმე გაადვილებული იყო იმით, რომ ბაუები და მოხარების მნიშვნელოვანი ხარკები (მარილსა, თამბაქოსა, შაქარსა, არაყსა და ლუდზე) საბაჟო კავშირს ეკუთვნოდა და მის ანგარიშზე იკრიფებოდა. ეს ბაუები და ხარკები იმპერიაზე გადავიდა მცირედი გამოწაკლისით: სახელმწიფო, ხომალტ გერმანიის სახელმწიფოებმა თავისთვის დაიტოვეს არაყისა (1887 წლამდე) და ლუდის (1920 წლამდე) აქციზი და სამაგიეროდ იმპერიისთვის განსაზღვრული თანხის გადახდა იკისრეს. ამას გარდა, იმპერიას მიეცა მოკავშირე სახელმწიფოთა საკავშირო გამოსადები (მატრიკულარული გამოსადები, იხ. ზევით გვ. 87 და 88), ხოლო შემდეგ სათამაშო ქაღალდისა და თამასუქის სადგებო ხარკები. იმპერიის ხარჯების სწრაფმა ზრდამ მალე გამოიჩინა სახარკო შემოსავლთა გადიდება. გადიდება წარმოსდგა ბაუების გადიდებით, 1879 წლის ტარიფების რეფორმის შედეგად, თამბაქოს ხარკის გადიდებით (იმავე წელს) და მიმოქცევის ხარკთა სისტემის დაწესებით, რომელიც შეიცავდა ხარკებს აქციებსა, რენტებსა, ობლიგა-

ციგბსა, საბირჟო ბიულეტენებსა და ლატარიის ბილეთებზე. შემდეგშია იმპერიის გაზრდილი საფინანსო საქიროება აქციების, მიმოქცევის ხარკების და საბაჟო ტარიფების გადიდებით იღებდა დაკმაყოფილებას. საქონებო და საშემოსავლო ხარკები დარჩა შეუვალ სფეროდ ცალკე სახელმწიფოთა, რომელნიც იმპერიის ყოველგვარ შეცილებას ამ სფეროში, თუნდაც ეს უფლებრივად შესაძლებელიც ყოფილიყო, საკუთარი ამოცანების განხორციელების ინტერესისათვის ყოველთვის უარსკოფდენ. პირველად 1906 წლიდან, იმპერიამ, იმპერიის საფინანსო გაქირვებით იძულებულმა, აიღო თავისთვის საქონებო და ნაწილობრივი საშემოსავლო ხარკები (მაგ., 1906 წელს—სამემკვიდრო ხარკი, 1911 წელს—ფასეულობის ზრდის ხარკი); 1913 წელს ამას დაერთო თავდაცვის გადასახადი (ერთდროული ხარკი ქონებასა და შემოსავალზე ჯარისა და ფლოტის ერთდროული საქიროებისათვის) და ქონების ზრდის ხარკი იმავე წლისა, შემოდებული მშვიდობიანი დროის შეიარაღებული ძალების გადიდებით წარმომდგარი ხანგრძლივი ზედმეტი ხარჯების დასაფარავად (იხ. § 49 და 50). ამ განსაკუთრებული ხარკების დაწესებისათვის, რომლებითაც, სამემკვიდრო ხარკს გარდა, არაერთი ცვლილება არ შეტანილა მოკავშირე სახელმწიფოთა სახარკო მფლობელობაში, ცალკე სახელმწიფოებმა იმპერიას თანშობა მისცეს, თუმცა არა სიამოვნებით. ომის დროს იმპერია თავის გაზრდილ საქიროებათა დაკმაყოფილებას ცდილობდა მოხმარების და მიმოქცევის არსებული ხარკების გადიდებით, ამგვარივე ახალი ხარკების (ნახშირის, ბრუნვის, ტრანსპორტის ხარკები) შემოღებით და სხვადასხვა ომის გადასახადებით (იხ. § 51).

სრულიად ახალი განრიგება კომპეტენციებისა იმპერიასა და ცალკე სახელმწიფოებს შორის. მოხდა რევოლიუციის შემდეგ. უკვე 1919 წლის 11 აგვისტოს საიმპერიო კონსტიტუციამ იმპერიას შეუზღუდველი სახარკო უფლება მიანიჭა, —მხოლოდ ეს შეზღუდვა დაუდო (მუხ. 8), რომ იმ ხარკების თავისთვის აღების დროს, რომელთაც აქამდე მოკავშირე სახელმწიფონი ჰკრეფდენ, იმპერიამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ სახელმწიფოთა საარსებო ფინანსიური უნარის დაცვის საქიროებას. იმპერიის შემადგენელი რესპუბლიკების წინანდელ სახარკო უფლებას ზღუდავს აგრეთვე მე-11 მუხლი საიმპერიო კონსტიტუციისა, რომლითაც დაწესებულია, რომ იმპერიის კომპეტენციას შეადგენს რესპუბლიკურ გადასახადთა დაწესებისა და აკრეფის ძირითად საფუძველთა შემუშავება იმ მიზნით, რომ იმპერიის შემოსავალი არ დაბრკოლდეს და ორმაგ დაბეგვრას აღგილი არ ექნეს. საიმპერიო კონსტიტუციის ამ პრინციპებმა პრაქტიკული გამოყენება და ფორმა მიიღეს 1923 წ. 30 მარტს გამოცემულ კანონში რესპუბლიკურ ხარკთა შესახებ, ხოლო შემდეგ მის სამაგიეროდ 23 ივნისს გამოცემულ საფინანსო განრიგების კანონში. ეს უკანასკნელი კანონი, რომელმაც 1924 წლის 14 თებერვალს გამოცემული მე-3 სახარკო წესდებით არსებითი ცვლილებები განიცადა, ძალაში იყო 1925 წლის 1 აპრილამდე. მნიშვნელოვანი ცვლილებები დაწესდა კვლავ 1925 წლის 10 აგვისტოს კანონით.

სახარკო სუვერენობის განრიგებისათვის კანონში შემდეგი პრინციპებია აღიარებული: ხარკებს, რომლებიც იმპერიისთვისაა დანიშნული, მოკავშირე რესპუბლიკები და თემები თავისთვის ვერ გააწერენ და ვერ აკრეფენ, უკეთეს საიმპერიო კანონით სათანადო ნებართვა არაა მიცემული. ასევე არ შეუძლიათ მათ საიმპერიო ხარკებზე დანარიცხები დააწესონ და აკრიფონ, უკეთეს ეს სპეციალი საიმპერიო კანონით არაა ნებადართული, არც ისეთი ხარკები შემოიღონ, რომლებითაც საიმპერიო შემოსავალს ზიანი მიეცემა; უკვე დაწესებული ხარკები

უნდა გააუქმონ ან შესცვალონ, უკეთეს ისინი იმპერიის საფინანსო ინტერესებს ეწინააღმდეგებიან. საიმპერო კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მოცემულ საზღვრებში მოკავშირე სახელმწიფოებსა და თემებს უფლება აქვთ ხარკები და მოუკიდებლად დააწესონ და აკრიფონ. მაგრამ ამ ვიწრო ფარგლებშიც იმპერიას ბრძანებლობისა და აკრძალვის უფლება აქვს. მოკავშირე რესპუბლიკებმა და თემებმა მათ განკარგულებაში არსებული ხარკები საქიროებისა და მიხედვით უნდა გამოიყენონ; დადგენილებები ხარკების დაწესებისა და აკრფის შესახებ უნდა შეეთანხმონ 1919 წლის 13 დეკემბრის საიმპერო სავადასახადო დებულებას. მოკავშირე რესპუბლიკებმა ხარკები უნდა აიღონ ადგილ-მამულსა და მრეწველობაზე, მაგრამ ვალდებული არიან ამით საშემოსავლო ხარკის სახე არ მისცენ. როდესაც დაბეგრა ფასეულობის მიხედვით ხდება, მას საფუძვლად უნდა დაუდგან 1925 წლის 10 აგვისტოს საიმპერო შეფასებითი კანონით დაწესებულ სერთიულთა ფასეულობა. საგანგებო დადგენილებები მოიპოვება 1924 წლის 14 თებერვლის მე-III სახარკო დებულებასა და 1925 წლის 10 აგვისტოს საფინანსო განრიგების კანონის მე-11 §-ში შესახებ სარესპუბლიკო ხარკისა სახლების შემოსავალზე. იგივე მე-III სახარკო დებულება მოკავშირე რესპუბლიკებს აკუთვნებს საგზაო ხარკს გზების შესახად და ფულის ფასეულობის დაცემის სანაცვალგებო ხარკს ცარიელ (უშენობა) მიწებსა და სახელმწიფო თუ სათემო ტყეებიდან გაცემულ ხეტყის მასალაზე. თემებმა უნდა აიღონ ხარკი გასართობ დაწესებულებებზე, რომელთა შესახებ საიმპერო საბჭოს მიერ 1923 წ. 7 ივნისს და 1924 წ. 10 აპრილს დადგენილებებია გამოცემული. მოკავშირე რესპუბლიკებს და თემებს საიმპერო ხარკებიდან მხოლოდ ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის ხარკზე შეუძლიათ დანარიცხების დაწესება. თემებს ნებადართული აქვთ (1927 წლის 31 მარტამდე) დააწესონ ხარკი ღვინის (შუშუნა ღვინისა და ღვინის მსგავს სასმელების ჩარიცხვით), ლუდის და არაყის ადგილობრივ მოხმარებაზე. აკრძალულია განსაკუთრებული ხარკების დაწესება სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის საწარმოო საშუალებებზე. ნაწილობრივ წინადაცემული კანონების საფუძველზე ყველგან აკრძალულია ნახშირის დაბეგრა (მე-III სახარკო დებულება) და ასევე თემებს აკრძალული აქვთ პურისა და შინაური საქონლის დაბეგვრა (საბაჟო ტარიფების კანონი 1902 წლის 25 დეკემბრისა). (იმ ხარკების შესახებ, რომელნიც მოკავშირე რესპუბლიკებსა და თემებს აქვთ მიკუთვნებული, იხ. § 78-ის შენიშვნა).

იმპერიის მიერ ხარკის ყველა გამოსავლიანი წყაროების თავისთვის გამოყენების გამო მოკავშირე რესპუბლიკებსა და თემებს აღარ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი მოთხოვნილებანი საკუთარი სახარკო შემოსავლით დაიკაყოფილონ და ამიტომ აუცილებელი ხდება იმპერიამ მათ დოტაცია, ე. ი. იმპერიის ხარკები დასწილი აძლიოს. ეს წილი ამჟამად შეადგენს საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკებზე 75%/ს-ს (წინადაცემული 90%/ს-ს) მოკავშირე რესპუბლიკებისთვის, რომელთაც აქედან ნაწილი თემებს უნდა მისცენ. ბრუნვის ხარკიდან მოკავშირე რესპუბლიკებს და თემებს ეძლევა 35%/ს (წინადაცემული 20%/ს, 1926 წლის 1 აპრილს შემდეგ—30%/ს). 1925 და 1926 საანგარიშო წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკებს და თემებს საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკებიდან უზრუნველყოფილი აქვთ მინიმალური წილი 2100 მილ. მარკა, ბრუნვის ხარკიდან—1500 მილ. მარკა. მოკავშირე რესპუბლიკებზე სავსებით გადაიცემა (მართველობის ხარჯებისათვის 4%/ს-ის გამორიცხვით) ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის ხარკიდან შემოსული თანხა, იმ პირობით კი, რომ ნახევარი თემებს გადაეცეს; ასევე მთლად გადაიცემა სა-

დოდო სანაძლეს (ტოტალიზატორის) ხარკი,—იმ ვალდებულებით, რომ შესამედი ადებულები თანხისა ცხენების ჯიშის გასაუმჯობესებლად იქნეს გამოყენებული, და საავტომობილო ხარკიც,—იმ პირობით, რომ არა ნაკლებ ნახევრისა გზების შეკეთება-შენახვის მოხმარდეს.

2. სახარკო კომპეტენციების განაწილების გარდა სხვადასხვა საჯარო-უფლებრივ კავშირებს შორის მოწესრიგებული უნდა იქნეს საკითხი: შეიძლება თუ არა თვით ამ კავშირებს ევალეზოდეთ ხარკის გადახდა და—რა ზომისად? ამ მხრივ წინადაცხადია იყო 1911 წლის 15 აპრილის საიმპერიო დაბეგვრის კანონი, მაგრამ 1925 წ. 10 აგვისტოს გამოცემული იქნა ამის სამაგიეროდ კანონი იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და თემების საუბრთო დებეგვრის უფლების შესახებ. გარდა ამისა, ამავე საგნის შესახებ არის საგანგებო დადგენილებებიც ცალკე სახარკო კანონებში. სათანადო უფლებრივი მდგომარეობა ამჟამად ასეთია: 1. იმპერია. იმპერიას (ე. ი. საიმპერიო დაწესებულებებს) ევალეზა გადახდა საიმპერიო ხარკებისა მიმოქცევასა და მოხმარებაზე. საქონელხარკისგან ის თავისუფალია (უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა). საკორპორაციო ხარკს ის იხდის (იმპერიის სამეურნეო სარეწაოებისათვის, ე. წ. სამომარაგო საწარმოთა გამოკლებით, იხ. ქვევით § 47-ის შენიშვნა ბ), ასევე ბრუნვის ხარკსაც,—ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის გამოკლებით. მოკავშირე რესპუბლიკების საადგილ-მამულო და საშენობო ხარკების გადახდა შეიძლება იმპერიას დაევალოს,—იმ მიწებისა და შენობების გამოკლებით, რომელიც საჯარო მიხნებს ემსახურებიან; მრეწველობის ხარკიც—იმავე მოცულობით, როგორც საკორპორაციო ხარკი. მოკავშირე რესპუბლიკების სამომოქცევე და მოხმარების ხარკების გადახდა იმპერიას დაკისრებული აქვს იმ შეზღუდვით, რომ ყოველი მოქმედება, რომლითაც იმპერია მისდამი მიკუთვნებულ საჯარო ფუნქციებს ასრულებს (მაგ., საიმპერიო საფოსტო საქმეში), ხარკისგან თავისუფალია და რომ იმპერიას არ შეიძლება ეს ხარკები უფრო ფართო მოცულობით დაეკისროს, ვიდრე თვით მოკავშირე რესპუბლიკები არიან ხარკვალდებულნი. 2. მოკავშირე რესპუბლიკები. ამთ შესახებ საქონელო და საკორპორაციო ხარკების მხრივ, აგრეთვე საიმპერიო ბრუნვის ხარკის მხრივ (რომლის გადახდა რესპუბლიკურ დაწესებულებებს ევალეზათ), გარდა აირსადენის, ელექტროსადგურების, წყალსადენის და სასაკლაოებისა, და იმპერიის სამომოქცევე და მოხმარების ხარკების მხრივ იგივე ითქმის, რაც იმპერიის შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკები თავისუფალი არიან ფასეულობის ზრდის ხარკისგან იმ ადგილ-მამულისათვის, რომელიც მათი ტერიტორიის ფარგალში არის. თუ რამდენად დაეკისრება მოკავშირე რესპუბლიკებს სარესპუბლიკო და სათემო ხარკები, ამას მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა განსაზღვრავს. 3. თემები. ესენი საიმპერიო ხარკების გადახდის მხრივ იმდენადვე არიან თავისუფალი, რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკები. ხარკისგან თავისუფალ საიმპერიო საწარმოებს დაეალეზებული აქვთ, იმ თემებს, რომელთაც მათი მუშები ეკუთვნიან ბინადრობით, მოთხოვნილებისამებრ განსაზღვრული სუბსიდიის აძლიონ მართველობის ხარჯების დასათარავად. თუ რამდენად თავისუფალი არიან თემები სარესპუბლიკო და სათემო ხარკების გადახდისაგან, ამას მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა განსაზღვრავს.

3. თუ, ერთის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკების სახარკო სუვერენობა ღრიალ შეკვეცილია, მეორეს მხრივ—საფინანსო და სახარკო სუვერენობა თვით იმპერიისაც არსებითად შეკვეცილია 1919 წლის 28 ივნისის ვერსალის ხელ-

შეკრულებით და 1924 წლის 16 აგვისტოს ლონდონის კონფერენციის დადგენილებით, გერმანიის სარეპარაციო გადასახადები და ვალდებულებანი, ლონდონის კონფერენციის დადგენილებათა მიხედვით, მილიონ ოქროს მარკებში, შეადგენენ:

	1-ლ წელში (1924/25)	მე-2 წელში (1925/26)	მე-3 წელში (1926/27)	მე-4 წელში (1927/28)	მე-5 წელში (1928/29)
საგარეო სესხით	800	—	—	—	—
რკინისგზის ობლიგაციების სარგებელი და დასაშრეტი ხვედრი	200	595	550	660	660
მრეწველობის ობლიგაციების სარგებელი და დასაშრეტი ხვედრი	—	125	250	300	300
შემოსავალი სატრანსპორტო ხარკიდან სხვა გადასახადები	—	250	290	290	290
საიმპერიო ბიუჯეტით მისაცემი	—	—	110	500	1250
ს უ ლ	1000	1220	1200	1750	2500

სულ, მაშასადამე, შემდეგი ვალდებულებები: 1. რკინისგზების ვალდებულება. რკინისგზები იმპერიამ, როგორც ზევით (გვ. 67) იყო მოხსენებული, უცხოეთის კონტროლს ქვეშ მყოფ საზოგადოებას გადასცა. მოკავშირეებს გადაეცა 11 მილიარდი მარკის სარეპარაციო ობლიგაციები, რისთვისაც საიმპერიო რკინისგზა დაწინდრებულია და წლიურად 5% -ს სარგებელს იხდის და მე-4 წლიდან — 10% -ს (დასაშრეტი შემცირებული სარგებლის ჯამის დამატებითურთ) ვალის დასაშრეტად. მე-4 წლამდე გადასახდელის შეღავათია გათვალისწინებული. გარდა ამისა, სატრანსპორტო ხარკის შემოსავალი (იხ. ქვევით § 66, მუხლი 5) სარეპარაციო გადასახადად არის დანიშნული. 2. მრეწველობის ვალდებულება. მრეწველობა მოკავშირეების სასარგებლოდ 5 მილიარდ ოქროს მარკის ვალს იღებს, რისთვისაც წლიურად იხდის 5% სარგებელს და 10% -ს -- დასაშრეტად. აქაც იმპერიული ხაზი წლისათვის გადასახდელის შეღავათებია დაშვებული. 3. საიმპერიო ბიუჯეტის ვალდებულება. პირველ წელს არაფერია გადასახდელი. გადახდა სწარმოებს ე. წ. დაუესის სესხით, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებმა მისცეს გერმანიას. ამ სესხის გადახდისათვის საგანგებო უზრუნველყოფაა დანიშნული. სესხი 25 წლის განმავლობაში უნდა იქნეს გადახდილი. უზრუნველყოფის მიუხედავად, გერმანიისთვის ეს სესხი, დაბალი საქმისით კურსისა და ბანკების საკომისიო პროცენტების გამო, მეტად ძვირი დაჯდა; სესხის ნომინალური თანხა, მრგვალი ციფრით, 960 მილ.

მარკას შეადგენს. „სხვა გადასახადების“ 250 მილ. ოქროს მარკა წარმოადგენს რკინისგზის პრივილეგიური აქციების გაყიდვით მიღებულ თანხას, რომლებიც საიმპერიო მთავრობის მფლობელობაში იმყოფებოდა. საიმპერიო ბიუჯეტით გადასახადელი იწყება 1926|27 წელს 110 მილიონით და 1928-29 წელს აღწევს უმაღლეს ხვედრს,—1250 მილიონს; სხვადასხვა გადასახდელის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე რკინისგზების საზოგადოების მიერ გადასახდელის დამატებითი უზრუნველყოფისთვის იმპერია იძულებული გახდა ბრუტტო-შემოსავალი ბაჟებიდან, თამბაქოს, ლუდის და შაქრის აქციებიდან და წმინდა შემოსავალი არაყის მონოპოლიდიდან დაეგირავებია; ყველა ეს წყაროები ექვემდებარება საგანგებო კომისიის ზედამხედველობას, რომელიც მათ კონტროლს უწევს და შემოსავლიდან ყოველთვის ურად განსაზღვრულ თანხას სარეპარაციო გადასახადის აგენტს გადასცემს, ნაწილს კიდევ სარეზერვო ფონდში გადარიცხავს, ხოლო რაც მორჩება, — იმპერიას უბრუნებს.

4. შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში კავშირის სახარკო შემოსავალი მკვეთრად არის განსაზღვრული. რამდენადაც კავშირის უფლება ხაზგასმით არაა აღნიშნული, მოკავშირე სახელმწიფოებს სრული თავისუფლება აქვთ თავიანთი სახარკო საქმის მოწყობაში. ორივე ქვეყანაში კავშირს ეკუთვნის ბაჟები, შემდეგ: შეერთებულ შტატებში — საშემოსავლო ხარკი, გარეგების ხარკი, ხარკი საჯარო ნაგებობის ფასიან ქალღებზე, სპირტსა და თამბაქოზე, შვეიცარიაში — არაყის მონოპოლია და თამბაქოს ხარკი.

5. ორმაგ დაბეგვრას, ფართო აზრით, ადგილი აქვს ყოველთვის, როდესაც სახარკო სუბიექტის ერთიდაიგივე სახარკო წყარო იბეგრება ერთიდაიმავე ან სხვადასხვა სახარკო ხელისუფლების მიერ. როდესაც, მაგ., შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო ხარკის საშუალებით და ამას გარდა კიდევ შემოსავლის ცალკე ნაწილები — საქონებო-საშემოსავლო ხარკის საშუალებით, ან როდესაც თემები სახელმწიფოს მიერ დაბეგრულ წყაროებს კვლავ ბეგრავენ, სახელმწიფო ხარკებზე დანარიცხების საშუალებით ხდება ეს თუ საკუთარი ხარკებით, — ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას. ორმაგი დაბეგვრა, ვიწრო მნიშვნელობით, მხოლოდ მაშინაა, როდესაც ადგილი აქვს საქმის ისეთ ვითარებას, რომელიც ზევით ტექსტში აღვნიშნეთ. საკავშირო სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარეობს ზრუნვა და დონისძიებათა მიღება იმისათვის, რომ კავშირის ფარგალში არ ხდებოდეს ორმაგი დაბეგვრა. შვეიცარიაში 1862 და 1875 წელს, სამხრეთ გერმანიის კავშირში და გერმანიის იმპერიაში 1870 წ. 13 მაისს და 1916 წ. 22 მარტს გამოცემული იქნა კანონები ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად. 1920 წლის 30 მარტს გამოცემული კანონი სარესპუბლიკო დაბეგვრის შესახებ აწესებს, რომ საიმპერიო ხარკების მსგავს ხარკთა დაწესება და აკრეფა მოკავშირე რესპუბლიკებისა და თემების მიერ დაუშვებელია; რომ საადგილ-მამულო და სარეწავი ხარკი მოკავშირე სახელმწიფოს მხოლოდ იმ ადგილ-მამულსა და სარეწავი შეუძლია დაადგოს, რომელიც მის ფარგალში მდებარეობს; რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში სარეწავი მხოლოდ ხვედრითი დაბეგვრა უნდა ხდებოდეს, როდესაც ამ სარეწავი საწარმონი რამდენიმე სახელმწიფოში მდებარეობენ და სხვ. ხელშეკრულობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად გერმანიის იმპერიას დადებული აქვს გერმანულ ავსტრიასთან, ჩეხო-სლოვაკიასთან და დანციგთან. დადგენილება საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად საარის ოლქისათვის გამოცემული იქნა 1921 წლის 11 ოქტომბერს.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ შ ი კავშირი აწესებს საერთო-საკავშირო ხარკებს და საფასურებს, აგრეთვე სახარკო ანარიცხ-დანარიცხებს მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების შესაქმნელად და—ანარიცხებს ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტებისათვის; მისივე ნებართვით ხდება დამატებითი ხარკების და საფასურების დაწესება მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მათი ბიუჯეტების საშემოსავლო წყაროებად, აგრეთვე დაწესება ადგილობრივ ხარკთა, საფასურთა და სახარკო დანარიცხებისა.

საბიუჯეტო უფლებების დებულების თანახმად (25. V. 27 წ.), საერთო-საკავშირო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ჩაირიცხება შემდეგი ხარკების და საფასურების შემოსავალი: სასოფლო-სამეურნეო ხარკის—10%, სარეწავის—10%, საშემოსავლო ხარკის—10%, ზედმეტი მოგების ხარკის—100%, არაპირდაპირი ხარკების: ღვინის, სპირტის, ლუდის და თაფლის, საფუარის, შაქრის, ჩაის, ასანთის, თამბაქოს, პარფიუმერიის და კოსმეტიკის ნაწარმოებთა, ნავთის პროდუქტების, სანთლის, საფეიქრო ნაწარმოების და კალოშების აქციზებისა—100%, ბაჟების—100%, საღებო საფასურის და ფასეულობათა ბრუნვის ხარკის (გარდა ყოველწლიურად მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადასაცემი წილისა), სასამართლოს და სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანის საფასურის (საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოსულის)—100%, სანავთსადგურო საფასურის—100%, საკონსულო საფასურის—100%, სალიცენზიო და სასაქონლო საფასურის—100%, პურეულის შემოწმება-ანალიზისა—100%, ლითონის სინჯვა-ანალიზის საფასურის (საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოსულის)—100%, ორთქლის ქვაბების და უშიშროების ტექნიკური ზედამხედველობის საფასურის (საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოსულის)—100%, გამოგონების პატენტის, სამრეწველო ნიმუშების და სავაჭრო ნიშნების საფასურისა—100%, სავაჭრო რეგისტრაციის საფასურის (ს. ს. რ. კ.-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შემოსულის)—100%, საფრანკტო გარიგებათა რეგისტრაციის საფასურის—100%, საზომ-საწონის დადაღვის საფასურის—100%.

მოკავშირე რესპუბლიკებს მიკუთვნებული აქვთ შემოსავლად შემდეგი ხარკები და საფასურები: სასოფლო-სამეურნეო (99%), სარეწავი (99%), საშემოსავლო (99%), სამეცკვიდრო და ჩუქების (100%) ხარკები; საღებო საფასური (განსაზღვრული ანარიცხი ყოველწლიურად), სასამართლოს (მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფის) საფასური (100%), სანოტარო საფასური (100%), სასამართლოს და სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანის საფასური (მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოსული),—100%, საფასური უცხოეთის პასპორტებისა, ვიზისა და საცხოვრებელი ნებართვისათვის (შემოსული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში,—100%), ლითონის სინჯვა-ანალიზის საფასური (მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემოსული,—100%), საფასური იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სავაჭრო რეგისტრაციისა (იმთ გარდა, რომელთა რეგისტრაცია ს. ს. რ. კ.-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში სწარმოებს,—100%), სამონადირო საფასური (100%), საზომ-საწონის დადაღვის საფასური (90%), ბირჟის გარეშე გარიგების სარეგისტრაციო საფასური (100%).

(მოკავშირე) ამიერ-კავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებსა და ფედერაციას შორის ზემოაღნიშნულ სახარკო შემოსავალთა

განრიგებისათვის ფედერაციის საკანონმდებლო აქტი ჯერ არ არის გამოცემული. 1927—28 წლის ამიერ-კავკასიის ერთიან ფედერატიულ ბიუჯეტში, აღნიშნული 1927 წ. 25 მაისის საბიუჯეტო უფლებების დებულებით, მოკავშირე რესპუბლიკისადმი მიკუთვნებულ სახარკო შემოსავლათაგან, ფედერატიულ ნაწილში შეტანილია შემდეგი შემოსავალი: მთლიანად—ლითონის სინჯვა-ანალიზის, ორთქლის ქვაბების და უშიშროების ტექნიკური ზედამხედველობისა და სავაჭრო რეგისტრაციის საფასურები, ხოლო საღებრო და სასამართლოს საფასურების—ნაწილი; დანარჩენი შემოსავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებშია ჩარიცხული.

ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ, 1926 წლის 25 აპრილის (კავშირის მიერ) და 1926 წლის 9 აგვისტოს (ამიერ-კავკასიის მიერ) გამოცემული ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, დააწესონ შემდეგი ხარკები: სარენტო, საშენობო, რკინისა და წყლის გზებით შემოზიდულ-გაზიდული საქონლის, ბირჟაში შესრულებულ ან გატარებულ გარიგებათა, ოქროს სამრეწველო სარეწაოთა და სამრეწველო ბაღების და ბოსტნების ხარკები, ხოლო საფასურებიდან—მერქანის და საბეითლო-სასანტარო საფასური. სახელმწიფო ხარკებიდან და საფასურებიდან ადგილობრივ საბჭოებს ეძლევათ შემდეგი ანარიცხები: ა) სარეწავი ხარკიდან—50%/ო, ბ) სასოფლო-სამეურნეო ხარკიდან—66 $\frac{2}{3}$ %/ო, გ) სამემკვიდრო და ჩუქების ხარკიდან—50%/ო, დ) ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასამართლო დაწესებულებათა მიერ აღებული სასამართლოს საფასურიდან—100%/ო, ბირჟის გარეშე გარიგების სარეგისტრაციო საფასურიდან—66 $\frac{2}{3}$ %/ო. ადგილობრივ საბჭოებსვე უფლება აქვთ დააწესონ დანარიცხები შემდეგ სახელმწიფო ხარკებსა და საფასურებზე: ა) სარეწავ ხარკზე: 1) ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 100%/ო-ისა; სათანაბრო გამოსადგების და პირადი სარეწავი პატენტის ფასის არა უმეტეს 100%/ო-ისა; 2) ადგილობრივად მოსახმარებელი მაგარი სასმელების სავაჭროებისგან—ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 200%/ო-ისა და მათივე სათანაბრო გამოსადგების 150%/ო-ისა; 3) ადგილობრივად მოსახმარებელი საქმელის და მაგარი სასმელების სავაჭროებისგან, რომელნიც ვაჭრობას 22 საათზე გვიან აწარმოებენ,—ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 300%/ო-ისა და მათივე სათანაბრო გამოსადგების 200%/ო-ისა; 4) სასმელების და თამბაქოს ნაწარმოებთა ვაჭრობის სავანგებო პატენტის ფასის არა უმეტეს 100%/ო-ისა; 5) სახელმწიფო ტრესტების, სინდიკატების, სააქციო საზოგადოებების, ბანკების, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა და კოპერატივთა კავშირების სათანაბრო გამოსადგების—100%/ო; ბ) საერთო საშემოსავლო ხარკზე—არა უმეტეს 25%/ო-ისა; საშემოსავლო ხარკზე სახელმწიფო და კოპერატიულ სარეწაოებისა და შერეულ საზოგადოებებიდან—25%/ო; გ) სამონადირო საფასურზე—არა უმეტეს 50%/ო-ისა; დ) სასამართლოს საფასურზე—არა უმეტეს 100%/ო-ისა; ე) სანოტარო საფასურზე: შენობების ან აღნაგობის უფლებების განსაცემების აქტებისათვის—არა უმეტეს 200%/ო-ისა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში—არა უმეტეს 100%/ო-ისა; ვ) სახალხო სასამართლოების მიერ ასლების, ხელმოწერის და სხვ. შემოსულების საფასურზე—არა უმეტეს 100%/ო-ისა.

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ ნება დართონ ადგილობრივ საბჭოებს სხვა ხარკებიც დააწესონ, —სახელმწიფო ისეთ ობიექტებზე, რომელნიც საერთო-სახელმწიფო ხარკებით არ

არიან დაბეგრლინი (ამიერ-კავკასიაში, ზემოაღნიშნული 1926 წ. 9 აგვისტოს გამოცემული ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, ეს უფლება მიკუთვნებულთა აქვს ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ც. ა. კ.-ებს).

არასახარკო შემოსავლიდან კავშირს ეკუთვნის შემდეგი საშემოსავლო წყაროები: ტრანსპორტი, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო და სხვა სარეწაოები, საგარეო ვაჭრობა, საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ ორგანოთა მონაწილეობა სააქციო საზოგადოებებში, საკავშირო მნიშვნელობის კონცესიები (50%), სესხების დაბრუნება, სახაზინო ოპერაციები, საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და სარეწაოთა ქონების რეალიზაცია, საკავშირო ორგანოების მიერ დადებული ჯარიმები და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მიერ სააქციო წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმები, საკავშირო ორგანოების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება და საბიუჯეტო სახსართა თავისუფალი ნაშთი.

მოკავშირე რესპუბლიკებს კი ეკუთვნის შემდეგი საშემოსავლო წყაროები: ტყეები, წანახშირის ქაობები, მიწის წიაღი, სათევზაო ადგილების იჯარა, რესპუბლიკური მნიშვნელობის სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო და სატრანსპორტო სარეწაოები, მოკავშირე რესპუბლიკისათვის სამანდატო მართველობის წესით გადაცემულ საკავშირო სარეწაოთა წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც კავშირის საბიუჯეტო შემოსავალს მიეკუთვნება (50%), მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ ორგანოთა მონაწილეობა სააქციო საზოგადოებებში, მატერიალური ფონდების რეალიზაცია, მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულება-სარეწაოთა ქონების რეალიზაცია, რესპუბლიკური მნიშვნელობის კონცესია, საკავშირო მნიშვნელობის კონცესია (50%), სესხების დაბრუნება, მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სესხთა რეალიზაცია, საკავშირო სახელმწიფო სესხთა ანარიცხი, მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ ორგანოთა მიერ დადებული ჯარიმები, გარდა სააქციო წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმებისა, ხარჯების დაბრუნება, ბეთლმანი და უპატრონო ქონება, სახსართა თავისუფალი ნაშთი.

(მოკავშირე) ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებსა და ფედერაციის შორის ზემოაღნიშნულ არასახარკო შემოსავალთა განრიგებისთვისაც ფედერაციის საკანონმდებლო აქტი ჯერ არ არის გამოცემული. 1927—28 წლის ამიერ-კავკასიის ერთიან ფედერატიულ ბიუჯეტში, აღნიშნული 1927 წ. 25 მაისის საბიუჯეტო უფლებების დებულებით მოკავშირე რესპუბლიკისადმი მიკუთვნებულ არასახარკო შემოსავლიდან; ფედერატიულ ნაწილში მთლიანად არის შეტანილი მხოლოდ-საგარეო ვაჭრობის შემოსავალი, ასევე მთლიანად გადაცემულია რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის—ტყეების, მიწების, სათევზაო ადგილების, სას.-სამეურნეო სარეწაოების და მრეწველობის შემოსავალი,—ხოლო დანარჩენ წყაროთა შემოსავალი შეტანილია, მხოლოდ—სხვადასხვა ზომით,—როგორც ფედერატიულ, ისე რესპუბლიკურ ბიუჯეტებს საშემოსავლო ნაწილში.

ადგილობრივ საბჭოებს ეკუთვნის შემდეგი არასახარკო შემოსავლის წყაროები: სხვადასხვა შენობები, ქალაქის მიწები და აგრეთვე მათ განუკარგულებად გადაცემული წიაღი, ტყეები და სათევზაო ადგილები, ადგილობრივი მნიშვნელობის კომუნალური, სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სარეწაოები, სააქციო საზოგადოებებში და

სხვა სარეწაოებში მონაწილეობა, ხე-ტყის დამუშავება და სარგებლობა, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ფონდების რეალიზაცია, ადგილობრივი საბჭოების სხვა ქონებათა შემოსავალი, მათ მიერვე დაწესებული ჯარიმები, გარდა სპეციალი. დანიშნულების ჯარიმებისა, იმ სარეწაოთა და ღონისძიებათა შემოსავალი, რომელთა შენახვა ან განზორციელება ადგილობრივ სახსარზეა, გარდა საერთო სახელმწიფო შემოსავლისადმი მიკუთვნებულისა.

სახელმწიფო არასახარკო შემოსავლიდან, იმავე ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, ადგილობრივ საბჭოებს ეძლევათ შემდეგი ანაზღაურებები: ა) სატყეო შემოსავლიდან—40%/; ბ) სახელმწიფო მნიშვნელობის მიწების შემოსავლიდან—50%/; გ) სახელმწიფო წინახშიან ქაობების შემოსავლიდან—50%/; დ) სათევზაო. ადგილების ხჯარიდან—50%/; ე) სახელმწიფო დაზღვევის მოგებიდან: სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის. ოპერაციებიდან—50%/, სხვა ოპერაციებიდან—20%/; ვ) რესპუბლიკური სახელმწიფო ფონდების რეალიზაციიდან—რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ განსაზღვრული რაოდენობით; ზ) საკავშირო მნიშვნელობის იმ სარეწაოთა მოგებიდან, რომელნიც გადაცემული არიან მოკავშირე რესპუბლიკის ან ადგილობრივი ორგანოებისათვის სამანდატო მართველობის წესით,—მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული რაოდენობით; თ) იმ სახელმწიფო ორგანოების და სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა მოგებიდან, რომელნიც აწარმოებენ ბეწვეულის, პურეულის და სხვ. ნედლეულთა დამზადებას და გასადებას,—საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მიხედვით.

§ 34. ზოგადი პრინციპები სახარკო საქმეში. — მას შემდეგ, რაც ხარკები მუდმივ დაწესებულებად გადაიქცა, თეორია ცდილობს მათი დაწესებისა, დანაწილებისა და ოდენობისათვის განსაზღვრული პრინციპების შემუშავებას. მე-18 საუკუნის ავტორთა შორის ცნობილი არიან თავიანთი „სახარკო წესებით“ ა. სმითი და გერმანელი კამერალისტი იუსტი. ა. სმითი მოითხოვს: 1. რომ ქვეშევრდომები იბეგრებოდნენ შეძლებისამებრ სრულის შეფარდებით მათს უნარიანობასთან ანუ, რაც მისი აზრით იგივეა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც თითოეული კპოებს სახელმწიფოს არსებობით; 2. რომ ხარკის ოდენობა, გადახდის ვადა და სახე კანონით იყოს განსაზღვრული და ადგილი არ ჰქონდეს თვითნებობას; 3. რომ ხარკი იმ დროს და იმგვარად იქნეს აკრეფილი, როდესაც და როგორც ეს უმჯობესია ვადამხდელთათვის; 4. რომ ხარკვალდებულნი რაც შეიძლება ნაკლებ იბეგრებოდნენ იმაზე მეტად, რაც ნამდვილად შედის სახელმწიფოს სალაროში. იუსტი ს მოთხოვნილებანი სახარკო საქმის მიმართ იმაში გამოიხატება, რომ 1. ხარკი არ უნდა ვნებდეს ადამიანის თავისუფლებას და მრეწველობას, 2. რომ იგი უნდა იყოს სამართლიანი და თანაბარზომიერი, 3. რომ მას არ უნდა ჰქონდეს ყალბი საფუძველი, 4. რომ მოხელეებისა და სალაროთა რიცხვი, ე. ი. აკრეფის ხარჯები, მცირე უნდა იყოს. მაშინ რო-

დესაც სმითის პრინციპები მხოლოდ ხარკის გადამხდელის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, იუსტი მხედველობაში იღებს აგრეთვე სახალხო მეურნეობასაც. მე-19 საუკუნის განმავლობაში ეს ძირითადი წესები ნაწილობრივ უფრო მკვეთრად იქნა გამოსახული, ნაწილობრივ შეივსო და შეეგუა სახელმწიფოსა და სამეურნეო ცხოვრების შესახებ შეცვლილ შეხედულებებს. ყველაზე უფრო ცნობილია ა. ვაგნერის კლასიფიკაცია სახარკო პრინციპებისა. მისი მოძღვრებით, ეს პრინციპები სულ ოთხი ჯგუფისაა, რომელთაგან თითოეული ისევ სპეციალ მოთხოვნილებებად იყოფა: 1. ფინანსიურ-პოლიტიკური პრინციპები (ხარკის საკმარისობა და ელასტივობა), 2. სახალხო-სამეურნეო პრინციპები (სახარკო წყაროს სწორად არჩევა, ცალკე ხარკთა გავლენის გათვალისწინება); 3. სამართლიანობის პრინციპები (დაბეგვრის საყოველთაობა და თანაბარზომიერება); 4. სახარკო მართველობის პრინციპები (დაბეგვრის გარკვეულობა და მოხერხებულობა, მისწრაფება აკრეფის ხარჯების შემცირებისაკენ).

თუ აქედან უკანასკნელ ჯგუფს გამოვრიცხავთ, ვინაიდან ის, ცხადია, პირველ სამთან ერთ ხაზზე მოსათავსებელი არაა, შეგვიძლია ვაგნერის პრინციპები მივიჩნიოთ ისეთ დედუქტიურ დებულებებად, რომელნიც სახელმძღვანელოდ გამოადგება პრაქტიკულ საფინანსო პოლიტიკას, თუმცა, მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ამ პრინციპების მოთხოვნილებები რელატიური ხასიათისაა, რომ გარემოების მიხედვით მათ შეიძლება სხვადასხვაგვარი ახსნა-ვანმარტება მიეცეს, რომ ფაქტიურად ხან ერთი მოთხოვნილება დგას პირველ რიგში და ხან მეორე, რომ ზოგჯერ შესაძლებელია ისინი ერთმანეთს კიდევაც ეწინააღმდეგებოდნენ და რომ სახარკო კანონმდებლობის პრაქტიკული შედეგი ყოველთვის ამ მოთხოვნილებათა ასე თუ ისე ერთმანეთთან შეთანხმების მეტნაკლებ დამაკმაყოფილებელი ცდის გამომსახველი არის:

1. ბუნებრივია საფინანსო მეურნეობის მოთხოვნილებათა, რომ ხარკები საკმაო იყოს ხარჯების დასაფარავად. ვინაიდან საჯარო-უფლებრივ კავშირთა ხარჯები, როგორც გამოცდილება გვეუბნება, მუდამ იზრდება, ამიტომ უეჭველად სასურველია ხარკებს ელასტივობა ჰქონდეს, რათა, უსამართლობისა; უთანასწორობისა და ახალი სახარკო ბრძოლის გამოუწვეველად, შესაძლებელი იყოს მათი შეგუება გაზრდილ მოთხოვნილებებთან. მართალია, ხელსაყრელ სამეურნეო პირობებში ყველა ხარკების ან ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობის გამოსავლიანობა მატულობს, მაგრამ საჯარო მოთხოვნილება შესაძლებელია არახელსაყრელი სამეურნეო

პირობების დროსაც გაიზარდოს და ასეთ შემთხვევაში არსებული ხარკების ადვილად გადიდების შესაძლებლობა საჯარო-უფლებრივ კავშირს თავიდან აშორებს საზოგადოებრივ აღელვებას და დროის დაკარგვას, რაც ახალი ხარკის შემოღებას მუდამ თან ახლავს. ამ მხრივ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე უფრო გამოსაყენებელია საერთო საშემოსავლო ხარკი, უკეთეს სახელდობრ მისი საფუძველი საიმედოა და სახარკო ტვირთის განაწილება სამართლიანობის იდეებს შეეფერება. ხარკთა საკმარისობის მოთხოვნილება ნორმალურ პირობებში, — როდესაც ხარჯები არ იზრდება ან მხოლოდ ნელნელა იზრდება, — თავისთავად პოულობს განხორციელებას და მაშინ პირველ რიგში დგება სახალხო-სამეურნეო პრინციპები ან ხარკის სამართლიანი განაწილების მოთხოვნილებები. მაგრამ ისეთ არაჩვეულებრივ ხანაში, როდესაც სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას ანდა, როგორც ამჟამად გერმანია, აუტანელი ხარჯებით და მოკავშირეთათვის გადასახდელით არის დატვირთული, ხარკთა საკმარისობის მოთხოვნილება პირველ ადგილს დაიჭერს და სამართლიანობის პრინციპს დაჩრდილავს.

სახელმწიფო საჭიროებათა ზრდის შესაფერად ხარკის ფართოდ გამოყენების სანიმუშო მაგალითს იძლევა ინგლისის საშემოსავლო ხარკი, რომელიც ყოველთვის საჭიროებისამებრ — ხან დიდი, ხან კი ნაკლები განაკვეთების მიხედვით — აიღება და რეგულიარულად ომის დროსაც არაჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად გამოიყენება.

2. სახალხო-სამეურნეო პრინციპები შეეხება ერთის მხრივ ხარკის წყაროს არჩევას, ხოლო მეორეს მხრივ — დაბეგვრის ეკონომიურ გავლენას.

ხარკის წყაროს, როგორც ეს უკვე ზევით (გვ. 91) იყო მოხსენებული, საბოლოოდ ყოველთვის შემოსავალი (ანდა შემოსავლის ნაწილები) ან ქონება წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ხარკის წყაროდ ძირითადი ქონების გამოყენება რეგულიარულად შეუძლებელია, ვინაიდან ამით ხარკვალდებულთა სამეურნეო მდგომარეობა გაუარესდებოდა, მომჭირნობისადმი მისწრაფება შესუსტდებოდა, სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის წინსვლა შეფერხდებოდა და, მაშასადამე, თავის სახარკო ძალებს თვით საჯარო კავშირი მოსპობდა. მხოლოდ უკიდურესი საფინანსო საჭიროებით შეიძლება გამართლებულ იქნეს ქონების შეხება სახარკო მიზნით. მაგრამ შეხებაც არის და შეხებაც. საყურადღებოა არა ხარკის სახელწოდება, არამედ მისი არსი და ოდენობა. შესაძლებელია „საქონებო ხარკი“ თავისი ხასიათით არსებითად საშემოსავლო ხარკს

წარმოადგენდეს, უკეთუ მისი ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ის შეიძლება ქონების შემოსავალით დაითაროს. მეორეს მხრივ შესაძლებელია საშემოსავლო ხარკი იმდენად დიდი იყოს, რომ ხარკვალდებულებული აიძულოს თავის ქონებას მოაკლოს, ან, ყოველ შემთხვევაში, ქონების გაზრდაზე ხელი აიღოს. ამიტომ კანონმდებელს აწევს ვალდებულება სახარკო კანონის გამოცემისას ყოველთვის გაითვალისწინოს ის გავლენა, რომელიც შესაძლებელია ამ კანონმა მოახდინოს სამეურნეო ცხოვრებაზე. მაგრამ გავლენა აქვს არა მარტო ხარკის ოდენობას, არამედ აგრეთვე ხარკის სახეს, მის გაწერასა და საზომი საფუძვლის არჩევას. ერთნაირი მნიშვნელობისა არ არის, სარქწავი ხარკი მთელი შემოსავლიდან აიღება თუ—წმინდა შემოსავლიდან, საზომად ბრუტო-ბრუნვა იქნება მიჩნეული თუ—გადახდილი ხელფასის ჯამი, აქციზების დაწესებისას ნედლი მასალა იქნება დაბეგრული თუ—ფაბრიკატი.

§ 35. სამართლიანობა სახარკო საქმეში.—სახარკო საქმეში სამართლიანობის განხორციელება პრაქტიკული სახარკო პოლიტიკის ამოცანაა. იმ საკითხთა ნათელყოფა, რომელთაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ სამართლიანობის განხორციელებისას, გამოკვლევა ხარკთა გავლენისა ხარკვალდებულებზე; იმ მომენტების განხილვა და აწონ-დაწონვა, რომელნიც მხედველობაში უნდა იქნენ მიღებულნი სახარკო ტვირთის განაწილების დროს,—ყველა ეს, გასული საუკუნის შუა წლებიდან დაწყებული, სახარკო თეორიის მთავარ საგანს წარმოადგენს. დასკვნა ამ კვლევა-ძიებიდან ის არის, რომ სახარკო საქმე სამართლიანობის მოთხოვნილებას მაშინ შეეფერება, როდესაც დაბეგვრა საყოველთაო და თანაბარ ზომიერია. აქ, მაშასადამე, ორი პრინციპია წარმოდგენილი, რომელნიც, თავისთავად რაც უნდა სწორი იყვნენ, მაინც ნათელ შინაარსს მოკლებული არიან და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის მრავალგვარი გზა არის შესაძლებელი.

1. დაბეგვრის საყოველთაობის აზრის ნათელყოფა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ის შეიძლება გამოვსთქვათ როგორც უარყოფითი (ნეგატიური) ფორმით, ისე—დადებითით (პოზიტიურით). ნეგატიური ფორმა ეს იქნება: არავინ არ უნდა რჩებოდეს ხარკისგან თავისუფალი, ხოლო პოზიტიურად დებულება ასე გამოითქმება: ყველა უნდა იყოს მონაწილე სახარკო ტვირთისა. ეს მოთხოვნილება თავდაპირველად იმ მრავალრიცხოვანი პრივილეგიების გამო წარმოიშვა, რომელიც ძველი დროიდან ახალ დროს გადმოეცა. ეს სახარკო პრივილეგიები, როგორც, მაგ., ძველ გერმანიაში ე. წ. იმ-

პერიის უშუალო ქვეშევრდომთა“ (თავად-აზნაურობის უმაღლესი ფენის) პრივილეგიები, თუმცა დამყარებული იყო ხელშეკრულებებსა და კანონებზე, მაგრამ დროის განმავლობაში თანდათან უსამართლოდ იქნა მიჩნეული. სახელმწიფოზე თანამედროვე შეხედულების თანახმად, მოქალაქის პოლიტიკური უფლებამოსილება გულისხმობს იმავე დროს ხარკის გადახდის ვალდებულებას. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისია დღეს აღიარებული და კანონებშიც მეტნაკლებად გატარებული. მათში ძირითადი მნიშვნელობისაა ხარკისაგან განთავისუფლება ისეთი სუბიექტებისა, რომელთა შემოსავალი (ან ქონება) იმდენად მცირეა, რომ მათგან ხარკის აღება მათ არსებობას საფრთხეში ჩააგდებდა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ცნება საარსებო მინიმუმისა, რაც ნიშნავს შემოსავლის (ქონების) განსაზღვრულ ოდენობას, რომლის მიღწევამდე სახარკო ვალდებულებას ადგილი არა აქვს. მაგრამ საარსებო მინიმუმის გათვალისწინება მხოლოდ ე. წ. გაწერილი ხარკებისათვის არის შესაძლებელი (იხ. ზევით გვ. 92). მიმოქცევისა და მოხმარების ხარკების მიმართ თვით აკრეფის ტენჯიკა შეუძლებლად ხდის გადახდისაგან განთავისუფლებას. კერძოდ მოხმარების ხარკის გადახდისაგან თავის განთავისუფლება ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ დაბეგრული საგნის მოხმარებაზე ხელს აიღებს. გარდა ამისა, მიზანშეწონილობის მოსაზრებით, ხარკისაგან თავისუფლდებიან ისეთი პირები და დაწესებულებანი, რომელნიც საჯარო ამოცანებს ემსახურებიან და რომელ ამოცანათა შესრულებისათვის უიმათოდ თვით სახელმწიფოს დასჭირდებოდა ხარჯების გაწევა. ასევე, მხოლოდ—საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე, განსაზღვრული ხარკებისაგან თავისუფლდებიან ელჩები და სხვ. მსგავსი უცხოეთის წარმომადგენლები.

სხვადასხვა სააქციო საზოგადოებათა, აგრეთვე კორპორაციებისა და კავშირების წარმოშობამ და გამრავლებამ, რომელთა საქმიანობას მიზნად მოგების მიღება აქვს დასახული, წარმოშვა საკითხი ფიზიკურ პირებთან ერთად მათი დაბეგრისაც. საკითხი აქაც არსებითად საშემოსავლო, საქონებო-საშემოსავლო და ზოგიერთი სამომოქცევო ხარკით დაბეგრას შეეხება. თანამედროვე სახარკო კანონმდებლობა ამ საკითხს დადებითად სწყვეტს,—რომ აღნიშნული ხასიათის საზოგადოებანი, კორპორაციები და კავშირები უნდა დაიბეგრონ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აქციონერ-წევრებამდე არ აღწევს, როგორც, მაგ., საზოგადოებათა მიერ სათადარიგოდ გადარიცხული თანხები, საქმის გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარ-

ჯები და სხვ., აქ დაუბეგრავი დარჩებოდა, მაშინ როდესაც ასეთივე შემოსავალი არა სააქციო და საკორპორაციო საწარმოთა მეკატრონებისა დაბეგრილი იქნებოდა (გერმანიის საიმპერიო საკორპორაციო ხარკის შესახებ იხ. § 47).

1. ხარკისგან თავისუფალი არიან განსაზღვრული გამოწვევისით (იხ. ზემოთ შენიშვნა გვ. 102, მუხლი მე-2) თვით სახარკო ხელისუფლების მატარებელი, —მაშასადამე, გერმანიის იმპერიაში იმპერია, მოკავშირე რესპუბლიკები და თემები, უმრავლეს შემთხვევაში აგრეთვე რელიგიური საზოგადოებანი, რამდენადაც მათთვის განთავისუფლების საერთო დადგენილებები არსებობს, როგორც, მაგ., საკორპორაციო, საქონებო, სამემკვიდრო და მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკთა შესახებ კანონებში. უმრავლეს შემთხვევაში კანონები შეიცავს განთავისუფლების შუბლებს ისეთი სარეწაოებისათვის, რომელთა შემოსავალს მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული საჯარო-უფლებრივი კავშირები იღებენ, აგრეთვე განსაზღვრულ დაწესებულებათათვის, რომელნიც საჯარო ამოცანებს ასრულებენ (უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლები; საიმპერიო ბანკი, სახელმწიფო ბანკები, საჯარო შემნახველი საღაროები, საიმპერიო დაზღვევის დაწესებულებანი), შემდეგ — ისეთი წარეწაოებისათვის, რომელნიც მარტოდენ საქველმოქმედო ან საერთო სასარგებლო მიზნებს ემსახურებიან (დამხმარე საღაროები გაკირვების ან უმუშევრობის შემთხვევებისათვის, კანონიერი პროფესიონალური და სამეურნეო-ინტერესთა წარმომადგენლობანი, საურთიერთო დამზღვევი კავშირები, კოოპერატიული ცენტრალური დაწესებულებანი, პოლიტიკური პარტიები და სხვ.).

2. ხარკისგან თავისუფალი საარსებო მინიმუმი შეადგენდა, მაგ., პრუსიის 1891 წლის საშემოსავლო ხარკის კანონით—900 მარკას, ბავარიის 1910 წლის კანონით—600 მარკას. 1920 წლის 29 მარტის საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონით თითოეული შემოსავლიდან 1500 მარკა თავისუფალი იყო გადასახადისაგან. 1921 წლის 24 მარტის კანონით საარსებო მინიმუმის განთავისუფლების საკითხი ამგვარად მოწესრიგდა: შემოსავლი ნაწილის განთავისუფლების მაგივრად შემოდებულ იქნა განსაზღვრული ნაწილის გამორიცხვა გადასახადელი თანხიდან. 1925 წლის 10 აგვისტოს გამოცემული საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონით კვლავ შემოსავლის ნაწილის განთავისუფლებაა შემოდებული, —სახელდობრ 1100 მარკაზე მცირე შემოსავალი ხარკისგან განთავისუფლებულია. განთავისუფლებული თანხა უფრო დიდია, უკეთეს გადამხდელს ცოლი და ბავშვები ჰყავს (იხ. ქვევით § 47-ის შენიშვნა).

2. უფრო ძნელია პასუხის გაცემა იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს დაბეგვრის თანახმად რომელიც ჩვეულებრივ პასუხი ასეთია: თითოეული ხარკვალდებულის მისი გადამხდელობითი უნარის მიხედვით უნდა დაიბეგროს, ან: ხარკი თითოეული ხარკვალდებულისათვის თანაბარი ოდენობის მსხვერპლს უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ—გადამხდელობითი უნარი და მსხვერპლის ოდენობა კონკრეტულ ფაქტების საფუძველზე უნდა გაიზომოს და ფულად თანხაში გამოისახოს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი სახარკო გათვალისწინება. ხარკი ფულად თანხაში გამოი-

სახეობა და ამის გამო მისი განზომების საფუძველსაც ფულადი გამო-
სახულება უნდა ჰქონდეს. სამეურნეო გადამხდელითი უნარი, თუ
მის განმსაზღვრელ სხვა გარემოებათ ჯერჯერობით მხედველობაში
არ მივიღებთ, თავის გამოხატულებას პოულობს შემოსავალში.
შემოსავლის ოდენობასთან პარალელურად მიდის შესაძლებლობა
ხარჯვისა, — მაშასადამე, შესაძლებლობა ხარჯების გადახდისაც სა-
ხელმწიფოს სასარგებლოდ. ასეთ ვითარებასთან ხარკის შესაგუებლად
ნაცადია ორგვარი წესი დაბეგვისა: პროპორციული და პრო-
გრესიული. პროპორციული დაბეგვა, რომელიც შეესაბამება
შენედულებას ხარკზე, ვითარცა დაზღვევის პრემიაზე, შემოსავლის
ყოველ ოდენობას ერთიდაიმავე სახარკო ნორმის მიხედვით ბეგ-
რავს. პროპორციულად, — მაგალითად, თუ სახარკო ნორმად 5%-ია
აღებული, 1000 მარკა შემოსავალზე — 50 მარკა აიღება და 100.000
მარკა შემოსავალზე — 5000 მარკა. უკანასკნელ ათეულ წლებში პრო-
პორციული დაბეგვა აღიარებულ იქნა უსწორო გზად სახარკო სა-
ქმეში; ის მიჩნეულია უფარგისად დაბეგვაში ნამდვილი თანაბარ-
ზომიერების განსახორციელებლად. პროპორციულად დაბეგრილ გა-
დამხდელთაგან გაღებული მსხვერპლი თანაბარი არაა. იმას, ვისაც
100.000 მარკიდან ხარკად 5000 მარკა გამოერთმევა, სრულიადაც
არ დასჭირდება ამის გამო თავისი მოთხოვნების შეზღუდვა; ასევე
იმასაც, ვინც 10.000 მარკიდან 500 მარკას იხდის; დანარჩენი 9500
მარკით შეუძლია დაკმაყოფილება ყველა საარსებო მოთხოვნების
და ზოგი რამ ფუფუნებისაც. მაგრამ ის, ვინც იმავე 5%-ის ნორ-
მის საფუძველზე 1000 მარკიდან 50 მარკას იხდის, იძულებულია
თავისი მოხმარების ფარგალი შეზღუდოს და თვით უსაჭიროეს მო-
თხოვნებებზეც კი ხელი აიღოს. რაც უფრო და უფრო რეალური
მოსაზრებები გზას პოულობდა სახარკო საქმეში და ღარიბი კლასე-
ბი ადგილს პოულობდენ სახალხო წარმომადგენლობაში, მით უფრო
მეტ მომხრეებს პოულობდა პროპორციული დაბეგვის საწინააღმ-
დეგო აზრი და ძლიერდებოდა მიდრეკილება პროგრესიული დაბეგვ-
რისადმი. ამიტომ პროგრესიული წესი დაბეგვისა ისეთი ხარკების
მიმართ, რომლებისთვისაც საზოგადოდ იგი გამოსაყენებელია (სა-
შემოსავლო, საქონებო და სამემკვიდრო ხარკები), ამჟამად ყველა
კულტურულ სახელმწიფოში მეტნაკლებ უკვე განხორციელებულია.
პროგრესიული ხარკის ცნება გულისხმობს, რომ ხარკი შემო-
სავლის უდიდეს საზღვრამდე თანდათან იზრდება; თუ იგი მხოლოდ
შემოსავლის შედარებით დაბალ დონემდე იზრდება, ხოლო შემდეგ
ზევითკენ მარტოოდენ პროპორციულია, მაშინ ადგილი აქვს დეგ.

რეკრუტ დაბეგვრას. სახარკო პროცენტულს უწოდებენ განსაზღვრულ სახარკო განაკვეთს, დაწესებულს საშუალო ზომის შემოსავლისთვის (ან ქონებისთვის) ნორმის სახით, მაშინ როდესაც მცირე შემოსავლიდან ხარკი აიღებენ ნორმაზე ნაკლები განაკვეთით, ხოლო დიდი შემოსავლიდან—ნორმაზე მეტით.

ძლიერი სახარკო პროგრესიის შესასუსტებლად ხმარობენ ე. წ. ინტერვალების წესს ან შტაფელურ (საფეხურიან) ტარიფებს. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ შემოსავლი ან ქონება საფეხურებად (შტაფელებად) იყოფა და თითოეული საფეხურისთვის დაწესებულია სახარკო ნორმა ისე, რომ იგი საფეხურიდან საფეხურზე იზრდება, მაგალითად, პირველი 10.000 მარკისთვის დაწესებულია 10%, შემდეგი 10.000 მარკისთვის—15%, კიდევ შემდეგი 20.000 მარკისთვის—20%, და ასე შემდეგ, ხარკის საერთო თანხა, რომელიც უწევს აქ გადასახდელად ხარკვალდებულს, გამოიანგარიშება ცალკე საფეხურთა სახარკო ნორმების შესაფერი თანხების შეჯამებით. მოხსენებულ მაგალითში 40.000 მარკის ხარკვალდებულ შემოსავლისთვის ხარკი შეადგენს $1.000 + 1.500 + 4.000 = 6.500$ მარკას, — მაშასადამე, საშუალოდ 16,25%-ს.

მოსაზრებანი, რომელნიც პროგრესიული ხარკების წინააღმდეგ ყოფილან გამოთქმული, ნამდვილად უფრო პროგრესიის შესაძლებელ ბოროტგამოყენებას შეეხებიან, ვიდრე თვით პროგრესიულობის იდეას. მართლაც, არ არსებობს ობიექტური საზომი სამართლიანი პროგრესისათვის; დაწესებული სახარკო პროგრესია ყოველთვის შედეგია მთავრობისა და სახალხო წარმომადგენლობის სუბიექტური შეგრძნება-შეხედულებებისა, პოლიტიკური პარტიების ძალთა განწყობილებისა, სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებათა და პარლამენტის უმრავლესობისა. შესაძლებელია ისეთი ძლიერი პროგრესია იქნეს აღებული, რომელიც თუმცა ღარიბ წრეებს ტვირთს შეუმსუბუქებს და დააკმაყოფილებს, მაგრამ სამაგიეროდ ეჭონომაღური საქმიანობის ხალისს და მომჭირნეობისადმი მისწრაფებებს შეასუსტებს, კაპიტალს უცხოეთში წასვლას აიძულებს და საერთოდ სახალხო მეურნეობას დიდ ვნებას მიაყენებს.

გერმანიაში ომის წინადროის საშემოსავლო ხარკის კანონები სცნობდნენ მხოლოდ ზომიერ პროგრესიას, რომელიც ამასთანავე შედარებით პატარა ოდენობის შემოსავლის საფეხურზე თავდებოდა. მაგ., პრუსიის საშემოსავლო ხარკი 1891 წლის იწყებდა 900 მარკაზე მეტი შემოსავლიდან 2,5%-ით და თავდებოდა პროგრესიის 4%-ით 100.000 მარკაზე. ბავარიის იგივე ხარკი 1910 წლის იწყებდა 600—700 მარკის შემოსავლიდან 1,5%-ით და მატულობდა 5%-ის 300.000-ზე მეტი შემოსავლისათვის. სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობაშიც

პროგრესია 4—5⁰/ო-ზე მეტს არ აღწევდა. შტაფელური პროგრესია, რომელიც 500.000 მარკის შემოსავლისთვის 60⁰/ოს აღწევდა, დაწესებულ იქნა 1920 წლის 23 მარტის საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონით. ახალი საიმპერიო საშემოსავლო ხარკიც საფუძვრებადაა დაყოფილი; პირველი საფუძვრი 8.000 მარკამდე იზღვრება 10⁰/ო-ით, მეორე საფუძვრი 8—12.000 მარკამდე—12¹/₂⁰/ო-ით, და ასე მატულობს და აღწევს უმაღლეს 0/ო-ს (40⁰/ო-ს) 80.000 მარკაზე მეტი შემოსავლისთვის. სახარკო პორიზონტალით იწყება საიმპერიო საქონეზო ხარკი. ხარკის ძირითადი ნორმაა 5⁰/ც, რომელიც შედარებით მცირე ქონებისთვის კლებულობს, ხოლო დიდისთვის—მატულობს: 10.000, 25.000 ან 50.000 მარკის ქონებისთვის შეადგენს—2⁰/ო, 3⁰/ო და 4⁰/ო-ს, ხოლო 250.000 მარკაზე მეტი ქონებისთვის—5⁰/ო-ს. 1927 წლიდან დანარიცხი ემატება (იხ. ქვევით § 50-ის შენიშვნა):

მაგრამ ხარკის სუბიექტის გადამხდელობითი უნარი დამოკიდებულია არა მარტო მისი შემოსავლის სიდიდეზე, არამედ მრავალ სხვა გარემოებაზეც, განსაკუთრებით კი—იმ წყაროზე, საიდანაც შემოსავალი მიიღება, და მის საგანგებო ინდივიდუალურ გარემოებებზე.

შემოსავალი შეიძლება იყოს ფუძიანი ან უფუძო. პირველი გამომდინარეობს მხოლოდ ქონებიდან (შემოსავალი რენტორის, ადგილ-მამულისა და სარეწაოს იჯარით გამცემის), ანდა შრომის და ქონების დაკავშირებიდან (შემოსავალი დამოუკიდებელი სოფლის მეურნის, მესარეწის და სხვათა), ხოლო მეორე სახის შემოსავალი წარმოსდგება მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალის გამოყენებით. სამუშაო ძალას გარს სხვადასხვა საფრთხე ახვევია, რომლის ფაქტიურად წარმოდგომისას შესაძლებელია ის დასუსტდეს ან სრულიად მოისპოს. ვინც მხოლოდ მასზე არის დაყრდნობილი, უკეთუ წინდახედულია, თავისი შემოსავლის ერთი ნაწილი ასეთი შემთხვევებისთვის უნდა გადასდოს. ვისაც ფუძიანი შემოსავალი აქვს, ამ ზომისად თადარიგის გაწევას არ საჭიროებს, ვინაიდან ავადმყოფობის, ინვალიდობის და სხვა მსგავს შემთხვევების დროს მას შეუძლია თავისი ქონებით ისარგელოს, იგი გაყიდოს ან იჯარით გასცეს. ამ საფუძველზეა დამყარებული მოთხოვნილება, რომ ფუძიანი შემოსავალი უფრო მეტად უნდა იზღვრებოდეს, ვიდრე უფუძო, ან რომ, დაბეგვრის ტვირთის გასათანასწორებლად, ქონებას სპეციალი ხარკი უნდა ჰქონდეს დაკისრებული.

განსაკუთრებულ ინდივიდუალურ პირობებად, რომელნიც სახარკო სუბიექტის გადამხდელობით უნარს ზღუდავენ, მისაჩნევია: ხანგრძლივი ავადმყოფობა, განსაკუთრებული უბედური შემთხვევები, დავალიანება და სხვა მსგავსი გარემოება; შემდეგ—ოჯახური პირობები, —ე. ი. ცოლიანობა, წერილშვილიანობა,

საარსებო სახსარ მოკლებულ წევრთა შენახვის ვალდებულება. ხშირად ასეთი ინდივიდუალური პირობები კანონის მიერ აღიარებულია საფუძვლად გადამხდელისთვის სახარკო შეღავათის მისანიჭებლად ან საერთოდ, ანდა — შემოსავლის (გინა ქონების) ასეთ თუ ისეთ უმაღლეს საზღვრამდე ოჯახური პირობების მხედველობაში მიღებას შეღავათად „ოჯახურ პრივილეგიას“ უწოდებენ.

1. ფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერად დაბეგვრა შეიძლება, საშემოსავლო ხარკთან ერთად, განხორციელებულ იქნეს ან საქონებო ხარკით, რომელიც მფლობელობიდან მიღებულ შემოსავალს დაეკისრება გადასახდელად, ან საქონებო-საშემოსავლო (საადგილ მშულო, სარეწავი და კაპიტალის) ხარკის დაწესების გზით, ანდა (როგორც იტალიაშია) თვით საშემოსავლო ხარკის ფარგალში, როცა, სხედლობრ შემოსავლის ის ნაწილები, რომელიც ქონების დახმარებით მიიღება, უფრო მეტად იბეგრება, ვიდრე წმინდა შრომითი შემოსავალი. გერმანიაში დაბეგვრა ხდება როგორც საიმპერიო საქონებო ხარკით, ისე კაპიტალის შემოსავალზე დაწესებულ საიმპერიო ხარკით (რომელიც ამაჟამად აღარ იკრითება), აგრეთვე რესპუბლიკური საადგილ-მამულო და სარეწავი ხარკით (იხ. ქვევით § 41—44 და 48).

2. მხედველობაში მიღება ოჯახურ და სხვა პირობათა, რომელნიც გადამხდლობით უნარს ზღუდავენ, ომის წინადროინდელი გერმანიის სახარკო კანონმდებლობით იმგვარად იყო მოწესრიგებული, რომ, როცა უმაღლეს საფესურამდე არსებული შემოსავალი (ან ქონება) დაწესებულ უმაღლეს საზღვარს არ აღემატებოდა, მცირეწლოვან ბავშვთა ან დახმარების მიღების უფლების მქონე ოჯახის წევრთა რიცხვისა ანდა სხვა მხედველობაში მისაღები გარემოების მიხედვით, შესაძლებელი იყო ხარკი 1, 2 ან მეტი სახარკო საფესურით შემცირებულყო. 1920 წლის 24 მარტის საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონი ხარკისგან ანთავისუფლებდა ყოველ შემოსავლიდან 1.500 მარკას და ამას გარდა კიდევ ოჯახის თითოეული წევრისათვის, რომლის შემოსავალი ხარკვალდებულს მიერიცხებოდა, — 500 მარკას. საშემოსავლო ხარკის ახალი კანონის მიხედვით, დასაბეგრავე შემოსავლიდან ცოლისა და თითოეული ბავშვისათვის განსაზღვრული თანხა უნდა გამოირიცხოს (იხ. შენიშვნა § 47). აგრეთვე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, 30.000 მარკის შემოსავლამდე, განსაკუთრებული სამეურნეო პირობები, რომელნიც ხარკვალდებულის გადამხდლობით უნარს საგრძნობად ასუსტებენ.

ს. ს. რ. კ ა გ შ ი რ შ ი :

1. ფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერი დაბეგვრა გატარებულია საშემოსავლო ხარკში (კანონი 14 დეკემბრის 1927 წლისა), რომელიც განასხვავებს ხარკვალდებულ შემოსავლის წყაროთა 4 ჯგუფს: ა) ხელფასი და პენსია; ბ) ლიტერატურული შრომა, საავტორო უფლებების გამოყენება, სახვითი ხელოვნება, სარეწავ კოოპერატიულ ამხანაგობებში და შრომის არტელეგში მუშაობა; გ) პირადი შრომა არა დაქირავებით, საშინამრეწველო და სახელოსნო წარმოება არა უმეტეს სამი დაქირავებული მუშით, ისეთი საეაქრო და სარეწავო საქმიანობა, რომლისათვის დაწესებულია უფასო ან დაკლებული ფასის პატენტი, ან I ხარისხის თუ პირადი სარეწავი საქმიანობის პატენტი, ანდა შემოსავლის წყაროა შენობების გაქირავება; დ) საეაქრო-სამრეწველო სარეწავოებში მონაწილეობა მფლობელის, თანამფლობელის,

იჯარადაროს, შთის მფლობელების და სხვ. სახით და საერთოდ ყოველგვარი სავაჭრო, საშუაშაგლო, სამაქლელო, საბირჟო და სხვ. მსგავსი საქმიანობა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა. ერთიდაიგივე ოდენობის შემოსავლი, იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის საშემოსავლო წყაროდანაა მიღებული, შემდეგი ოდენობის ხარკით იბუგრება:

დასაბუჯრი შემოსავალი	ხ ა რ კ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა										
	„ა“ ჯგუფი		„ბ“ ჯგუფი		„გ“ ჯგუფისთვის			„დ“ ჯგუფისთვის			
	მან.	%/o	მან.	%/o	მან.	%/o		მან.	%/o		
						„ა“	„ბ“		„ა“	„ბ“	„გ“
					ჯგუფ. მიმარ.	ჯგუფ. მიმარ.		ჯგუფ. მიმარ.	ჯგუფ. მიმარ.	ჯგუფ. მიმარ.	
1.000	6	100	7	116,6	25	416,6	357,1	30	500,0	428,5	120,0
1.200	7	„	9	128,5	32	457,1	355,5	40	571,4	444,4	125,0
1.800	15	„	18	120,0	65	433,3	361,1	82	546,6	455,5	126,1
2.400	27	„	30	111,1	113	418,5	376,6	136	503,7	453,3	120,3
3.000	44	„	45	102,2	176	400,0	391,1	220	500,0	488,8	125,0
4.000	73	„	75	102,7	306	419,1	408,0	300	534,2	520,0	127,4
5.000	107	„	110	102,8	456	426,1	414,5	590	551,4	536,3	129,3
6.000	165	„	170	103,0	626	379,3	368,2	830	503,0	488,2	132,5
7.000	252	„	260	103,2	816	323,8	313,8	1110	440,4	426,9	136,0
8.000	370	„	380	102,7	1026	277,2	270,0	1430	386,4	376,3	139,3
10.000	668	„	700	104,7	1486	222,4	212,2	2130	318,8	304,2	143,3
12.000	1055	„	1100	104,2	1986	188,2	180,5	2910	275,3	264,5	146,5
14.000	1514	„	1560	103,0	2526	166,8	161,9	3770	249,0	241,6	149,2
16.000	1994	„	2080	104,3	3126	156,7	150,2	4710	235,2	226,4	150,6
20.000	3063	„	3200	104,4	4406	143,8	137,6	6710	219,1	209,6	152,2
24.000	4246	„	4360	102,7	5766	135,8	132,2	8830	207,9	202,8	153,1

ამრიგად, ყველაზე ნაკლებ იბეგრება უფუძო შემოსავალი („ა“, „ბ“ და—ნაწილობრივ—„გ“ ჯგუფი), განსაკუთრებით—მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფო პენსიონერთა შემოსავალი (ხელფასი და პენსია), ხოლო უფუძიანი შემოსავალი („დ“ ჯგუფი) უდიდესად არის დაბეგრული. მაგ., მუშა-მოსამსახურე 1200 მან. შემოსავლიდან, სადაც ამ ზომის შემოსავალს, მისი საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის მიხედვით (იხ. ქვევით შენ. 2), დაბეგვრა უწყევს, იხდის 7 მანეთს, მაშინ, როდესაც ამავე ზომის უფუძიანი შემოსავლიდან (ჯგუფი „დ“) აიღება 40 მან. ანუ 481,4%-ით მეტად. საერთოდ უფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერ დაბეგვრას ადგილი აქვს განსაკუთრებით დაბალ და შუა საშემოსავლო საფეხურებზე, ხოლო უფუძიანთა შემადარებით ნაკლებია უმაღლეს საფეხურებზე. უკანასკნელი გარემოება მათ აიხსნება, როგორც ს. ს. რ. კ.-ში მაღალი საფეხურის კერძო შემოსავლის ოდენობა შედარებით მცირეა და ამიტომ სახელმწიფოს, საფინანსო ბუღალსურისით, შეიძლება დაბეგვრის მიზნით დაბალი და შუა საფეხურის შემოსავალთა უფრო ძლიერად გამოყენება.

2. დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი და შედარებითი რეკონსტრუქციის გამო გატარებული საშემოსავლო და სასოფლო-სამეურნეო ხარკების შესახებ მოსავლო ხარკის კანონით (14 დეკ. 1927 წ.) „ა“ ჯგუფისთვის ეს მინიმუმი შეადგენს თვითურად: I სარტყელში (ტფილისი, ბაქო)—100 მან.

I სარტყელში (ბზოზომი, ქუთაისი, ქრეჯანი, ლენინბაყანა) — 90 მან., III სარტყელში (დანარჩენი ქალაქები) — 80 მან. და IV სარტყელში (დანარჩენი ადგილები) — 75 მან., როდესაც მუშა-მოსამსახურეს რამოდენიმე შემოსავალი აქვს სხვადასხვა ადგილას მუშაობა-სამსახურით, — იბეგრება ცალკე თითოეულ სამუშაოს ან სამსახურის ადგილას მიღებული ზღოფისი, თუ აღქმატება აღნიშნულ მინიმუმს; „ბ“ ჯგუფისთვის — წლიურად: I სარტყელში — 1200 მან., II-ში — 1080 მან., III-ში — 960 მან. და IV-ში — 900 მან.; „გ“ და „დ“ ჯგუფებისთვის (აგრეთვე იურიდიული პირებიც) დაუბეგრავი მინიმუმი მცირდება და შეადგენს: I სარტყელში — 800 მან., II-ში — 700 მან., III-ში — 600 მან., და IV-ში — 500 მან..

გარდა აღნიშნულისა, მუშა-მოსამსახურენი და სახელმწიფო პენსიონერები („ა“) უკეთეს მათი დასაბეგრი შემოსავალი თვითურად 350 მანეთს არ აღემატება, აგრეთვე — „ბ“ და „გ“ ჯგუფის გადამხდელები, უკეთეს მათი დასაბეგრი შემოსავალი წლიურად 3000 მანეთს არ აღემატება, სარგებლობენ შემდეგი შედავითით ოჯახურ პირობების გამო: თუ მათ ხარჯზე იყოფება სამი სული — ხარკის ჯამი მცირდება $\frac{1}{3}$ -ით, ხოლო თუ 4 ან მეტი სული, — $\frac{1}{4}$ -ით;

სასოფლო-სამეურნეო ხარკის კანონითაც (2 აპრილის 1927 წლისა, იხ. § 41-ის შენ.) დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებული. არ იბეგრება შემოსავალი, რომელიც არ აღემატება: 90 მანეთს, თუ მეურნეობაში 1-2 მკამელია; 100 მან., — თუ 3-4 მკამელია, 110 მან., — თუ 5 და მეტი მკამელია; ხარკი არ იიდება აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის შემოსავლიდან, თუ ეს 20 მან. არ აღემატება მკამელზე. ყველა მეურნეობისთვის, რომელშიც ერთი მკამელია; ხარკი მცირდება 30%-ით, ხოლო რომელშიც ორი მკამელია, — 20%-ით, ხოლო თუ საზოგადოდ მკამელ პირთაგან ერთი მაინც შრომის უნარს არის მოკლებული, — ხარკი მცირდება 30%-ით.

§ 36. ხარკის გადაკისრება. — ხარკის გადაკისრების სახელწოდებით გულჩხმობენ ისეთ მოვლენას, რომლითაც, კერძო სამეურნეო ალებ-მაცემებში ფასების წამატების საშუალებით, ხარკი, მთლანად ან ნაწილობრივ, ხარკის გადამხდელებისგან სხვა პირებზე გადაიტანება, რომელნიც ამის გამო ხარკის მზიდველები ხდებიან. უბიძგის მოვლენაა ხარკის წინაგადაკისრება, — ე. ი. გადაკისრება ფასის აწევით ერთი პირისგან ალებ-მაცემებში წინამდგომ მეტად პირზე. უტრო იშვიათია უკუგადაკისრება, რაც სწარმოებს ფასის დაკლებით და ნიშნავს სახარკო ტვირთის გადატანას წინამდგომისგან უკუდგომ პირზე. ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, როდესაც ადგილ-მამულის მყიდველი ამ მამულისათვის მერმისში გადასახდელი ხარკის კაპიტალიზაციას ახდენს, კაპიტალის სარგებლის არსებული ნორმის მიხედვით, და ამ თანხის თანაბრად გამოიდევლოს ფასს შემცირებს.

მრავალ შემთხვევაში გადაკისრება გათვალისწინებულია სხარკო ხელისუფლების მიერ და ის წინასწარი პირობაა კანონმდებლის განზრახვის ასასრულებლად. ამათ ადგილი აქვს არაპირდაპირი მოხმარების ხარკების მიმართ. როდესაც სახარკო ხელისუფ-

ლება ხარკკუთვნილ საქონელთა ვაჭრებს ან მწარმოებლებს. ხარკის აკრეფაში შუამავლებად იყენებს, მაგ., ლუდის და თამბაქოს მწარმოებლებს, ბაჟკუთვნილ საქონელთა ვაჭრებს და სხვ. კანონმდებელი გულისხმობს, რომ მწარმოებლებს და ვაჭრებს საკუთარი ინტერესი აიძულებს მათ მიერ წინასწარ გადახდილი ხარკი თავიანთი საქონლის მყიდველებისგან აინაზღაურონ ფასში ჩარიცხვის საშუალებით. გაუთვალისწინებელ გადაკისრებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ხარკის სუბიექტი, რომელიც კანონმდებლის განზრახვისამებრ, ხარკის მზიდველი უნდა ყოფილიყო, ახერხებს სამეურნეო აღებ-მიცემაში ეს ხარკი სხვებს გადააკისროს.

ყველა დავა-კამათი სხვადასხვაგვარ ხარკთა. ღირსება-ნაკლებევანების შესახებ ამ წინამძღვარს ეყრდნობა, რომ სახარკო სუვერენობის მატარებელი ხელისუფლების მიერ ნაგულისხმევი განაწილება სახარკო ტვირთისა სინამდვილეში მართლა ხორციელდება. მაგრამ ნამდვილად ცხოვრებაში ამას ყოველთვის არ აქვს ადგილი, — პირიქით, არნაგულისხმევი გადაკისრების შემთხვევები ფრიად ხშირი არის. ეს გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ კერძო-სამეურნეო თვალსაზრისს, რომლის თანახმად ხარკი წარმოადგენს ხარჯს, რომელიც მეურნეს ცხოვრებას უძნელებს, ქონების მონაგრობას უფერხებს და სამეურნეო საქმის გაფართოების შესაძლებლობას უმცირებს. ხარკვალდებულ პირი ხარკში ხედავს წარმოება-მოპოვების ხარჯების ერთ-ერთ ელემენტს ან თავისი მოხმარების შემცირებას და მისი მისწრაფებაა ეს გასავალი შემოსავლის გადიდებით დაფაროს; ამის მიღწევას ცდილობს მიწათმფლობელი, მრეწველი და ვაჭარი თავის ნაწარმოებთა და საქონელთა ფასების აწევით, სახლას პატრონი — ქირის გადიდებით, მუშა და მოსამსახურე — ხელფას-ჯამაგირის გადიდების გატარებით. ხარკის გადახდევინება, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში მოასწავებს არა სახარკო ტვირთის საბოლოო განაწილებას, არამედ — გაცხარებული ბრძოლის დაწყებას სახალხო მეურნეობის წევრებს შორის ტვირთის გადასაკისრებლად; ეს ბრძოლა სწარმოებს ნაწილობრივ აშკარად, ნაწილობრივ — ფარულად; თუ რა საბოლოო შედეგს იძლევა ეს ბრძოლა, ამის ზედმიწევნით გამოცნობა ფრიად ძნელია. ზოგადად კი შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ბრძოლა ცხვა საფასო ბრძოლის ანალოგიურად გადაიჭრება სამეურნეო ცხოვრებაში. როდესაც დაბევრილი ობიექტისათვის მოთხოვნა დიდია და მიწოდება — მცირე, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგ., ბინებისათვის მოსახლეობის ძლიერი მატების მქონე ქალაქებში, ასეთი ობიექტის მფლობელს არ გაუძნელდება ხარკი ამ საგნის მყიდველისა ან მით

მოსარგებლისაგან აინაზღაუროს. მოახერხებენ თუ არა მუშა-მოსამ-
 სახურენი, მაგალითად, საშემოსავლო ან მოხმარების ხარკებით და-
 ბეგვრის ანაზღაურებას ხელფასის მომატებით, — ეს დამოკიდებულია
 მათი ორგანიზაციის სიძლიერესა და სამუშაო ძალის მოთხოვნაზე,
 სამრეწველო მესარეწეთა მიერ გადაკისრების შესაძლებლობა, ერთის
 მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ ისინი რამდენად მოახერხებენ
 შეთანხმების გზით წარმოების შემცირებას ბაზარზე დიდი ფასების
 გამოსაწვევად, ხოლო, მეორეს მხრივ, იმაზე, თუ რა განწყობილება
 ექნება მოთხოვნას შემცირებული მიწოდების მიმართ. იმ მწარმოე-
 ბელთ, რომელთაც წარმოებაში აქვთ დიდი ძირითადი კაპიტალი
 ან ისეთი ნაგებობა, რომელიც მხოლოდ წარმოების განსაზღვრული
 დარგისთვისაა გამოსაყენებელი, აგრეთვე იმათაც, რომელთა
 ნაწარმოებია ადვილად შეიძლება შეცვლილ იქნეს სუროგატე-
 ბით ან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წრიდან გამორიცხულ
 იქნეს, გადაკისრების განსახორციელებლად მეტი სიძნელე და დაბ-
 რკოლება ექნებათ დასაძლევია, ვიდრე იმათ, რომელნიც უმ-
 თავრესად მოძრავი კაპიტალით მუშაობენ და აუცილებელ ან საზო-
 გადო მოთხოვნის საგნებს აწარმოებენ. მნიშვნელოვანია აქ ისიც, თუ
 რამდენად აქვს გავლენა უცხოეთის მეტოქეობას ადგილობრივ ფა-
 სებზე. როგორც აღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელია არნაგუ-
 ლისხმევ გადაკისრებას ექნეს ადგილი ისევე შესაძლებელია მოხმა-
 რების ხარკებისათვის ნაგულისხმევი გადაკისრება ნამდვილად არ
 მოხდეს, უკეთეს ხარკის გადიდებას თან ახლავს ხარკუთვნილ ნა-
 წარმოებთა მოხმარების შემცირება და მწარმოებელს თავისთვის
 უფრო ხელსაყრელად მიაჩნია მოგების ნაწილზე ხელის ალება, ვიდ-
 რე წარმოების შემცირება. რაც უფრო ახლოა ხარკის ალება მოხ-
 მარებასთან, მით უფრო მეტია ალბათობა ნაგულისხმევი გადაკისრე-
 ბის განხორციელებისა. სახარკო ბრძოლა, მაშასადამე, არსებითად
 ძალთა ბრძოლაა. არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ
 ეს ბრძოლა, როგორც ამას ფრიტრედერული სკოლის ოპტიმიზმი
 გულისხმობდა, ხარკების სამართლიან განაწილებას გამოიწვევს.
 ამიტომ, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელობას მოკლებულია დავა-კამათი
 საუკეთესო სახის ხარკთა შესახებ, ვინაიდან, გარდა სამემკვიდრო ხარ-
 კისა, ყველა ხარკის შესახებ შესაძლებელია გადაკისრებას ჰქონდეს
 ადგილი და ამით კანონმდებლის საუკეთესო განზრახვაც კი შეუსრუ-
 ლებელი და ფუჭი გამოდგეს. გადაკისრების მისაღწევად წარმოებუ-
 ლი ბრძოლის შედეგისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ
 სამეურნეო პროცესის რა ადგილს ეხება დაბეგვრა და აგრეთვე —

ეკონომიურად და სოციალურად მიზანშეწონილი სახარკო საბაჟო გამოიხატება.

ფართო ხარკთა გადაკისრების, ვიწრო მნიშვნელობით, სინამდვილეში ადგილი აქვს მთელ კლასთა და ცალკე პირთა სხვაგვარ ცვლას ხარკის ასარიდებლად. საშუალო საუკუნეებსა და ახალ დროში რომ თავად-აზნაურობას და სასულიერო წოდებას სახარკო პრივილეგიები ჰქონდათ, ეს მოასწავებდა მათ მიერ ხარკის არჩლებას მოსახლეობის სხვა კლასების ხარჯზე, — ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან მაინც, როცა მოისპო ხარკისგან განთავისუფლების უქვივალენტად მისაჩნევი საჯარო სამსახური პრივილეგიან წრეთა. ცალკე პირთა მიერ ხარკისგან თავის განთავისუფლება უკანონოდ, თავის სახარკო ვალდებულების შესახებ ყალბი ჩვენების მიცემით, კონტრაბანდით, ქრთამით და სხვ. — ხშირია. ესეც იმასვე მოასწავებს, — დანაშაურობა გადამხდულთა ზედმეტად დაბეგვრას იმათ სასარგებლოდ ვინც უკანონო გზით ხარკისგან თავს ინთავისუფლებს.

დასასრულ, ხარკისგან თავის განთავისუფლება გადამხდელის მხრე შესაძლებელია საწარმოს გაუმჯობესებით, რაც შესაძლებლად ხდის საწარმოო საშუალებათა უფრო რაციონალურ გამოყენებას, ანდა — საწარმოო ხარჯების შემცირებით: ამ შემთხვევაში მწარმოებელი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, რის გამოც მას შეუძლია, მაუხტადვად ხარკის გადიდებისა, თავისი ნაწარმოები, ღირსების შეფასებულად, მაინც წინანდელ ფასებში ჰყიდოს. ამ მოვლენას მოხდენილად უწოდებენ ხარკის ანაზღაურებას. „ანაზღაურებას“ უჭირბო დიდ საწარმოებში აქვს ადგილი განსაკუთრებით ისეთი ხარკისთვის, რომელიც ნედლ მასალაზეა დაწესებული. ხარკის ანაზღაურებას სახალხო მეურნეობისთვის სასარგებლოა.

§ 37. ერთადერთი ხარკი თუ — ხარკთა სისტემა. — ვცნობდნენ ყველა რეგულიარული ხარკი, მათ შორის მოხმარებისა და მიმოქცევის ხარკებიც, საბოლოოდ შემოსავლიდან უნდა იქნეს გადახდილი, ამიტომ დიდი ყურადღება და დამცველი ჰყოფა მე-19 საუკუნეში წინააღობიდან გადმოცემულ, ხშირად სრულიად არარაციონალურ ხარკთა სიმრავლის ერთადერთი საშემოსავლო ხარკით შეცვლის იდეამ. ამ ხარკს მისი დამცველნი პროგრესიულ ხარკად გულისხმობენ; მხოლოდ სოციალიზმი, კერძო საკუთრებისაღმებ თავისი პრინციპიული განწყობილებით თანახმად, საჭიროდ სცნობს დამატებად ძლიერ საქონელს და სამემკვიდრო ხარკს. ანდა — მემკვიდრეობათა მთლად სახელმწიფოს ხელში გადასვლას. თავისთავად ერთადერთი ხარკის იდეა მიმზიდველია; ერთადერთი საშემოსავლო

ხარკი აკრეფის ხარჯებს საგრძნობად შეამცირებდა, ვადამხდელუბისთვისაც, ყოველ შემთხვევაში ვარეგნულად მაინც, უფრო მოხერხებულ იქნებოდა და სამეურნეო ცხოვრებას ააშორებდა ყველანაირ დაბრკოლებასა და შევიწროებას, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია მიმოქცევისა და მოხმარების ხარკებთან. მაგრამ ერთადერთი ხარკის განხორციელება, სხვადასხვა საფუძველით, შეუძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ა) ფსიხოლოგიური მხრივ, ე. ი. დაბეგვრის მნიშვნელობის მხრივ ხარკვალდებულთა გრძნობა-განწყობილებისათვის სახარკო ტვირთის მიმართ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკმაყოფილებას გრძნობა, რომელიც ხარკის გადახდას თან ახლავს, მით მეტია, რაც უფრო დიდია ერთბაშად ხარკვალდებულის მიერ გადასახდელი ხარკის თანხა. ხარკის სიდიდესთან ერთად იზრდება ცდა ხარკის არიდებისა აკრძალული (ყალბი სახარკო განცხადებებით) ან არაკრძალული საშუალებებით (გადაკისრებით) და ძლიერდება ბრძოლა ხარკის განაკვეთისა და პროგრესიის გამო. როდესაც სახარკო ტვირთი სხვადასხვა სახის ხარკად და სხვადასხვა გადახდის ვადებზეა დანაწილებული, მისი სიმძიმე ნაკლებ საგრძნობია და უარყოფითი გავლენაც შესუსტებულია.

ბ) სხვადასხვა მოთხოვნილება, რომელიც სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს, ერთადერთი ხარკის დროს ვერ მიიღებს დაკმაყოფილებას. ასე, მაგ., მოთხოვნილება ფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერად დაბეგვრისა (იხ. ზევით გვ. 116). ერთადერთი საშემოსავლო ხარკი ანგარაშს ვერ გაუწევს აგრეთვე იმ დებულებას, რომ გადახდებლობითი უნარის მიხედვით დაბეგვრის განსახორციელებლად საჭიროა, სათანადო პირობებში, მოქალაქეთა დამატებით დაბეგვრა იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც ისინი ღებულობენ საჯარო-უფლებრივ კავშირთაგან.

გ) ერთადერთი ხარკის დროს თითოეული შეცდომა შექმნილია აუცილებლად დიდი ზომისა იქნება. ასეთი შეცდომა საზოგადოდ თავიდან ვერ აიცილება ხარკვალდებულთა არასაკმაო სინდისიერებისა და სწორი კონტროლის შეუძლებლობის გამო. მაგრამ როდესაც ხარკთა მრავლობის სისტემა არსებობს, რომელიც შემოსავლის, მფლობელობის, მიმოქცევის და მოხმარების სხვადასხვა მომენტს უკავშირდებიან, მეტი საფუძველია ვიტიქროთ, რომ სახარკო ტვირთი უფრო თანაბარზომიერად იქნება განაწილებული.

ამგვარად, ხარკთა სიმრავლეს უპირატესობა აქვს ერთადერთი ხარკის წინაშე, მაგრამ—ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვადა-

სხვა ხარკები ერთმანეთთან რაციონალურ კავშირში არიან და მიზანშეწონილ სახარკო სისტემას წარმოადგენენ. არსებითი მნიშვნელობისა აქ ის არის, რომ სხვადასხვა სახის ხარკი ისეთ მომენტებს უკავშირდებოდეს, სადაც, — ფინანსიურად და ფსიხოლოგიურ-ეკონომიურად, — მოსალოდნელია მეტი შედეგი და მეტი შესაძლებლობა იმისა, რომ ხარკთა სიმრავლე ერთმანეთს შეავსებს და საერთოდ გადასახადი სამართლიანად იქნება განაწილებული. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მიზანი მიღწეულია. სახელმწიფოს მოთხოვნილებათა არაჩვეულებრივმა გაზრდამ ომის დროს და ომის შემდეგ სამართლიანობის იდეებზე და სახალხო მეურნეობის დაზოგვის მოსაზრებანი უკანა რიგში დააყენა ხარჯების დაკმაყოფილების საჭიროებასთან შედარებით და ისეთი ხარკების შემოღება გამოიწვია (მაგ., ნახშირის და ბრუნვის ხარკები გერმანიის იმპერიაში), რომელიც ომის წინ წარმოუდგენელი იყო. მაგრამ მაინც საერთოდ მე-19 საუკუნის სახარკო კანონმდებლობა მიმართული იყო სახარკო სისტემის გამარტივებისა და გვემაშეწონილ განვითარებისაკენ.

კ. ე. ნ. ს. და მე-18 საუკუნის სხვა ეკონომისტების ერთადერთი ხარკი (impôt unique) სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე ასახსნელი და გასაგებია. ფიზიკრატების მოძღვრებით, რომლის თანახმად მხოლოდ სასოფლო მეურნეობა იძლევა წმინდა შემოსავალს, აგრეთვე მიწათმფლობელობის რეფორმისტების (პ. ჯორჯი და სხვ.) ერთადერთი ხარკი აიხსნება ამ მოძრაობის სახალხო-სამეურნეო მიზნებით.

სახარკო სისტემის მაგალითებად მოვიხსენიებთ გერმანიის იმპერიის, ინგლისის და საფრანგეთის სახარკო სისტემებს:

გერმანიის იმპერიის სახარკო სისტემა ქვემოთაღნიშნულ ხარკებიდან შესდგება. 1. საშემოსავლო და საქონეო ხარკები: საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკი, ქონების ხარკი, ქონების ზრდის ხარკი (1928 წ. 31 დეკემბრამდე არ აიკრიფება), კაპიტალის მოგების ხარკი (ამჟამად არ აიკრიფება). 2. ქონების მიმოქცევის ხარკები: სამეფვიდრო, მიწის ყიდვა-გაყიდვის, კაპიტალის მიმოქცევის ხარკი (სახელდობრ, ფასიანი ქაღალდების, საბირჟო ბოუნების), სათამაშუო ხარკი, სადასაზღვევო, სატოტალიზატორო და სალატარიო ხარკი. 3. მოხმარების ხარკები: ბრუნვის ხარკი, ლუდის და ღვინის ხარკი, არაყის მონოპოლია, ძმრის, მარილის და შაქრის ხარკი, სახარინის მონოპოლია, თამბაქოს, ასაფეთქებელ ნივთიერებათა, გასანათებელ საშუალებათა, სათამაშო ქაღალდის, ტრანსპორტის და ავტომობილების ხარკი.

მოკავშირე რესპუბლიკები იღებენ ნაწილს ზოგიერთ საიმპერიო ხარკებიდან (იხ, ზევით გვ. 101) და მათ უნდა დააწესონ უძრავი ქონების (მიწისა და შენობების) და სარეწავი ხარკი. შემდეგ — შენობებიან მიწაზე — ფულის ფაქულტეტის დაცემის გამთანაბრებელი ხარკი და ფასეულობის ზრდის ხარკი იმ მიწებზე, რომელიც 1919 წლის 1 იანვრიდან 1924 წლის 31 დეკემბრამდე იქნა შექმნილი. საიმპერიო კანონმდებლობა მოკავშირე რესპუბლიკებს აკუთვნებს აგრეთვე საგზაო ხარკს, რომელიც გზების მოვლა-შეკეთების დანიშნულებით აიღება

ეტლების მიერ გზებით სარგებლობისათვის, შემდეგ.—ფულის ფასეულობის დაცემის გათანაბრების ხარკს ცარიელ (უშენობო) მიწის ნაკვეთებზე და სახელმწიფო ტყეებიდან ხე-ტყის გაყიდვაზე. სხვა ხარკებიდან მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ გარეთვე მოძრავი რეწვის და მოძრავი საწყობის ხარკი და ზოგიერთი სადგრო ხარკები. მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ აიღონ დანარიცხები მხოლოდ მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკზე, არა უმეტეს ხარკვალდებული ფასეულობის 4%-ისა, ხოლო 1927 წლის 31 მარტიდან მხოლოდ 2%-მდე. თ ე მ ე ბ ი თავიანთ ხარკებით დასაფარავ საჭიროებას, რამდენადაც მათთვის დაწესებული ანარიცხი საიმპერიო ხარკებისა არ ჰყოფნით, იკმაყოფილებენ დანარიცხებით რესპუბლიკურ საადგილ-მამულს, საშენობო და სარეწავ ხარკებზე ანდა, რამდენადაც ეს რესპუბლიკების კანონმდებლობით დაშვებულია,—ამ ხარკების დამოუკიდებლად გაწერით. გარდა ამისა, მათ უნდა აკრიფონ ხარკი გასართობ დაწესებულებებზე, რომლის საფუძველი საიმპერიო კანონმდებლობის მიერაა დაწესებული. მათ შეუძლიათ ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის ხარკზე, რესპუბლიკის კანონმდებლობის ნებართვით, აიღონ დანარიცხები, მხოლოდ—რესპუბლიკური და სათემო ანარიცხები სერთოდ არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს, ხოლო 1927 წლის 31 მარტიდან—2%-ს. ხარკი დენინოსა, ლუდსა და არაყზე, რომელიც თემებისთვის ნებადართული იყო, არ შეიძლება განაზღვრულ იქნეს და 1927 წლის 31 მარტიდან ისპობა. დანარჩენში თემებს მხოლოდ პატარა დამოუკიდებელი ხარკის წყაროები აქვთ მიკუთვნებული, როგორც, მაგ., ხარკი სამიკიტნობებზე, ძაღლებზე, საბინაო ფუფუნების ხარკი, ფასეულობის ზრდის ხარკი მიწების გაყიდვისას, ფუფუნების ეტლებისა და ცხენების ხარკი და სხვ..

დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს სახარკო სისტემა შემდეგი ხარკებიდან შესდგება: 1. საშემოსავლო და საქონეო ხარკები: საშემოსავლო ხარკი და დამატებითი ხარკი, საადგილ-მამულსა და სამთამადნო ხარკი; საკორპორაციო, საშენობო და საადგილ-მამულსა ფასეულობის ხარკი რამდენიმე ხნის წინად გაუქმებულ იქნა. 2. სამომოქცევო ხარკები (სამეკვიდრო, საზოგადოებათა დაბრუნების, თსიანი ქაღალდების, გამოცემის, საბირჟო ბრუნვის, თამასუქის, ჩეკის, ჩუქების და დაზღვევის ხარკები). ამათვე შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე ლიცენზიები განსაზღვრულ პროფესიებისათვის (მაგ., ადვოკატურისათვის). 3. მოხმარების ხარკები, სახელდობრ: დენის, არაყის, ადგილობრივ დამზადებული შაქრის და თამბაქოს, გასართობ დაწესებულებათა და კიდევ რამდენიმე სხვა; შემდეგ—ლიცენზიები იმ პირთათვის, რომელნიც განსაზღვრული საქონლებით, განსაკუთრებით სსმელებით, ვაჭრობას ეწევიან; დასასრულ, მეტად შემოსავლიანი საფინანსო ბაჟები. თ ვ ი თ მ ა რ თ ე ლ ო ბ ა ნ ი (თემები) იღებენ დარიბთა ხარკს (poor rate) მიწისა და შენობების ფასეულობიდან, რომელსაც ჩვეულებრივ იჯარადარი ან დამკირავებელი იხდის. ამ ხარკით მიღებული შემოსავალი, გარდა დარიბთა დახმარებისა, სხვა მიზნებსაც ემსახურება და, მის გარდა, იმავე ობიექტებიდან ხარკი აგრეთვე სხვა მიზნებისთვისაც აიღება. თემებსვე აქვთ მიკუთვნებული რამდენიმე ფუფუნების ხარკი, როგორც, მაგ., ხარკი ავტომობილებსა, მამრობითი სქესის შინა-მსახურებსა, ღერებებსა, იარაღსა და ძაღლებზე. აგრეთვე ანარიცხები სახელმწიფო ხარკებიდან.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს სახარკო სისტემა შემდეგ ხარკებს შეიცავს: 1. საშემოსავლო ხარკი: საერთო საშემოსავლო ხარკი და 7 სპეციალი საშემოსავლო ხარ-

კი (impôts cédulaires) შემდეგ შემოსავალზე: ა) უწინააღმდეგარა და ბ) უწინააღმდეგარა მიწებიდან, ც) და ძ) კაპიტალიდან, ე) ვაჭრობა-მრეწველობიდან, ფ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან, გ) ხელფასისა და ჯამაგირიდან, ხ) თავისუფალი პროფესიებიდან. საერთო საშემოსავლო ხარკი შეეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს, სპეციალი საშემოსავლო ხარკი კი აგრეთვე კორპორაციებსაც. შემოსავლი სამთავრო მადრო საქმიდან იბეგრება საგანგებო სამთავროდ ხარკით (სარეწავი ხარკის მაგიერად). 2. სამიმოქცევო ხარკები: სამემკვიდრო და ჩუქების ხარკები, გადასახადი ქვლევის ხელში გადასულ ქონებაზე, საღერბო გადასახადი ხელშეკრულებებსა და საბუთებზე, უფლების განსხვისების ხარკი (ადგილ-მამულის გადაცემა, სამეურნეო საქმიანობის განსხვისება); ფასიანი ქაღალდების და ბირჟის ხარკი. 3. მოხმარების ხარკები: ბრუნვის, თუთუნების (ეტლებსა, ცხენებსა, გასართობებსა, ბილიარდსა და მსგავს ობიექტებზე), მაგარი სასმელების, შაქრის და რამდენიმე სხვა-საგნის (როგორცაა, მაგ., მინერალური ზეთი, სხარინი) ხარკი, თამბაქოს, ასანთის და თოფის წამლის მონოპოლია, სატრანსპორტო და საავტომობილო ხარკი. თემების და დეპარტამენტების სახარკო შემოსავალი დაფუძნებულია დანარბიციებზე ძველ საქონებო-საშემოსავლო ხარკებისა, რომელიც ეხლა სახელმწიფოსთვის აღარ აიკრთუებიან: საადგილ-მამულო, კარ-ფანჯრის, სარეწავი, პირადი, მოძრავი ქონების და კუპონის ხარკებისა, რომლებშიც ზოგიერთი ცვლილებები შეტანილი. ამას გარდა კომუნალური შემოსავლის თვალსაჩინო ნაწილი შესდგება საკიშკრო გადასახადიდან ქალაქებში (ე. წ. Oktrois), რომელიც სასმელებსა, საკვებ საგნებსა და სარეწავი მასალაზე აიღება. არის ხარკი ძაღლებზე, რომლის დაწესება კანონით სავალდებულოა. თემებს აქვთ რამდენიმე დამოუკიდებელი ხარკიც.

ს. ს. რ. კავშირის სახარკო სისტემა შემდეგ ხარკებს შეიცავს:

I, პირდაპირი:

ა. ხარკები ქონებასა და შემოსავალზე: 1) სასოფლო-სამეურნეო (ადგილ. საბჭ. —ანარიცხი), 2) სარენტო (ადგილ. საბჭ.), 3) სამრეწველო ბადაზმის ხარკებისა (ადგილ. საბჭ.), 4) საშენობო (ადგილ. საბჭ.), 5) სარეწავი (ადგილ. საბჭ.—ანარიცხი და დანარიცხი), 6) ფასეულობათა ბრუნვისა, 7) ოქროს სამრეწველო სარეწავოთა (ადგილ. საბჭ.), 8) სოციალური დაზღვევისა (მიზნ. დანარიცხით), 9) საშემოსავლო (ადგილ. საბჭ.—დანარიცხი), 10) ხელმეტი მოგებისა და 11) სამხედრო ბეგარის სანაცვლო (სპეც. ფონდ.).

ბ. ქონების მიმოქცევის ხარკები: 1) სამემკვიდრო და ჩუქებისა (ადგილ. საბჭ.—ანარიცხი), 2) ბირჟაში შესრულებულ ან გატარებულ გარიგებათა (ადგილ. საბჭ.), 3) სხვადასხვა ქონების მიმოქცევისა (სადღერბო საფასური: თამასუქის, უწინააღმდეგარა გაყიდვის, სარეწავი გაყიდვის და სხვ.).

II. არაპირდაპირი:

გ. მოხმარების ხარკები: 1) აქციები და მოწმარებებს მიზნობრივი ხარკები [შაქრის, სასმელების, ღვინის (და ვაჭრობისათვის საგანგებო საპატენტო გამოსაღები, მიზნობრივი დანიშნ. და ადგილ. საბჭ.—დანარიცხით), სპირტის (მონოპოლია, ზოგიერთ რესპუბლიკებს გარდა, და წარმოება-ვაჭრობისათვის საგანგებო საპატენტო გამოსაღები, მიზნობრივი დანიშნ. და ადგილ. საბჭ.—დანარიცხით), ლუდის (და წარმოება-ვაჭრობისათვის საგანგებო საპატენტო გამოსაღები, მიზნობრივი დანიშნ. და ადგილ. საბჭ.—დანარიცხი)].

თაფლის და საფურის; ჩაის, თამბაქოს (და ვაქრობისათვის საგანგებო საბა-
ტენტო გადასახადი, მიზნობრივი დანიშნ. და ადგილ. საბჭ. — დანარიცხით) კი-
ლოზის, ასანთის, ნავთის პროდუქტების, სანთლის, საფეიქრო ნაწარმოების, პარ-
ფიუმერის და კოსმეტიკის ნაწარმოებთა, რეზინის კალოშის, სათამაშო ქაღალ-
დის (მონოპ., მიზნობრივი დანარიცხით), ოპიუმის, პლატინის, პელიუმის და რა-
დიუმის (მონოპ.), საფუთო გადასახადი რკინისა და წყლის გზებით შემოზიდულ-
გაზიდული საქონლისა (ადგილ. საბჭ.); მიზნობრივი: საზინაო, საკურორტო, გა-
სართობების, მიმოსვლის ბილეთების, ვოლგა-კამის არხით გადაზიდულ, ტვირთისა,
ბარგის, ტვირთის და სარკინისგზო ბილეთებისა, რადიო-ნაწარმოებთა, ჩაის (ყა-
სის დანარიცხი), წანახშისა და წყლით ჩამოზიდული მერქანისა; 2) სამიჯნო
ბაჟები (სახარკო შემოსავლის განაწილების შესახებ კავშირსა, მოკავშირე რეს-
პუბლიკებსა და ადგილობრივ საბჭოებს შორის იხ. ზევით გვ. 105 და შემდ.).

ხარკთა ასეთი დანაწილება, რომელიც ამ წიგნის სათანადო ადგილებშია
გატარებული დამატებათა სახით, გამომდინარეობს არა ფორმალური კანონ-
მტებლობითი სახელწოდებიდან, არამედ — გადასახადთა შინაგანი არსიდან. ამ
თვალსაზრისით, მაგ., სოციალური დაზღვევისათვის გამოსაღები, რომელსაც დამ-
კირავებელი იხდის, წარმოადგენს ხარკს ქონებასა და შემოსავალზე, სადგრო სა-
ფასური — ნაწილობრივ მიმოქცევის ხარკს (იხ. ზევით გვ. 82) და სხვ., რო-
გორც ეს აქ არის მოყვანილი.

§ 38. ხარკის შეწერა და აკრეფა. — 1. შეწერა. ხარკის შე-
წერა ნიშნავს ხარკის სუბიექტის, ობიექტის, ხარკის ერთეულის და
განაკვეთის შესახებ კანონის დადგენილების მიხედვით სახარკო ვალ-
დებულების განსაზღვრას თითოეულ კონკრეტ შემთხვევაში.

დარიცხვა ხარკის სუბიექტისა (ხარკვალდებულისა) და იმ ობი-
ექტიური ფაქტების, რომელნიც სახარკო ვალდებულებასა და მის ოდენ-
ობას განსაზღვრავენ, ჩვეულებრივ ხდება, სათანადო ორგანოს მო-
თხოვნის თანახმად ან უამისოდაც, თვით ხარკვალდებულთა მიერ.
მიწოდებული ცნობების მიხედვით და სახარკო დეკლარაციის
საფუძველზე, რომელიც მათი სახარკო ვალდებულების მაჩვენებელ
სწორ ცნობებს უნდა შეიცავდეს. ამ დეკლარაციის სისწორესა და
სისრულეს სახარკო უწყება გასინჯავს. როდესაც ეჭვო დაიბადება,
სათანადო ორგანო თვით შეეცდება ტექსტირება ძიების წესით
გამოარკვიოს. ხარკვალდებულებმა უნდა მისცენ, მოთხოვნისამებრ,
ზეპირი ან წერილობითი ცნობები და საჭირო შემთხვევებში დავთ-
რები და სხვა საჭირო საბუთებიც წარუდგინონ. თუ სახარკო უწყე-
ბამ ამ გზით მიზანს ვერ მიაღწია, შეუძლია მიმართოს ცნობების
მისაღებად სახელმწიფო უწყებებს და პროფესიონალურ დაწესებუ-
ლებებს, აგრეთვე კერძო პირთა, რომელნიც ვალდებული არიან მას
დახმობა გაუწიონ თავისი აზრისა და ცნობების მიწოდებით, წუ-

რილობით თუ სიტყვიერად. ზოგ შემთხვევაში სახარკო უწყებას შეუძლია ხარკვალდებულებსა და მცოდნე პირთ მოსთხოვოს ცნობების მიცემა ფიცს ქვეშ. მასვე შეუძლია აგრეთვე საბოლოოდ ხარკვალდებულთა ჩვენება საკუთარი შეფასებით შეცვალოს.

(იხ. საიმპერიო საგადასახადო დებულების დადგენილებანი, §§ 162—192, 204—210.—ინდივიდუალური დაბეგვრის სამაგიერო საოჯახო დაბეგვრის შესახებ იხ. საშემოსავლო ხარკი).

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ისეთი ხარკის გაწერა, რომელიც, როგორც, მაგ., საქონებო, სამიმოქცევო ან საქონებო-საშემოსავლო ხარკები, ზოგჯერ აგრეთვე საშემოსავლო ხარკიც, ხარკკუთვნილი ობიექტის „ფასეულობის“ მიხედვით არის საანგარიშებელი. მრავალ შემთხვევაში (მაგ., სამიმოქცევო ხარკი) საზომ საფუძვლად ჩვეულებრივ გამოიყენება ობიექტის ფაქტიური ე. ი. ნაყიდობის ფასი. მოხმარების ხარკებისთვის, რომელიც ფასეულობის მიხედვით აიღება, საზომს წარმოადგენს ნაწილობრივ—დაბეგრილი ნაწარმოების საბოლოო ფასი (მაგ., ღვინის ან თამბაქოს ფაბრიკატების საცალო ფასი), ნაწილობრივ—ფაქტურები, საფაბრიკო ან საბითუმო ფასები (მაგ., ბაჟებისთვის). სხვაგვარადაა საქმე საქონებო, საქონებო-საშემოსავლო და საშემოსავლო ხარკებისთვის. ხარკკუთვნილ ობიექტთა შეფასება აქ არ შეიძლება დაეყრდნოს აღებმიცემის აქტს და ფასს, ვინაიდან საგანი მესაკუთრის ხელთ არის და იქვე რჩება. ასეთ შემთხვევაში სავარაუდო შეფასებას უნდა ექნეს ადგილი, რისთვისაც სათანადო დადგენილებები გამოიცემა კანონმდებლობის გზით. საიმპერიო საგადასახადო კანონის თანახმად, აქ საფუძვლად ასაღებია „საერთო ფასეულობა“, ე. ი. ის ფასი, რომელსაც ჩვეულებრივ აღებ-მიცემაში, საგნის ღირსებისა და ფასზე გავლენის მქონე ყველა გარემოების მხედველობაში მიღების საფუძველზე, განსაზღვრული ობიექტის პატრონი აიღებდა, უკეთუ მის გაყიდვას ისურვებდა. ასეთივე შეფასების წესია უძრავი ქონებისთვისაც, მხოლოდ აქედან ისეთის შეფასებას, რომელიც სასოფლო და სატყეო მეურნეობისთვის ანდა მებაღეობისა და სამრეწველო მიზნისთვისაა გამოყენებული, შემოსავლიანობითი ფასეულობა ედება საფუძვლად. საზოგადოდ „საერთო ფასეულობას“, ვითარცა შეფასების საფუძველს, მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს, — იმით ხელმძღვანელობა. მხოლოდ იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც კანონებში ცალკე ხარკებისა და ხარკის ობიექტებისათვის შეფასების საგანგებო წესი არაა დადგენილი. ამ მხრივ დაწვრილებითი და ნათელი დადგენილებების გამოცემა აუცილებელია.

ლად საჭიროა საერთო სახალხო-სამეურნეო, საწარმოო და სახარკო ტენიკის თვალსაზრისით; ამის საჭიროების მკარნახებელია აგრეთვე შეფასების პრობლემის დიდი სირთულე და მნიშვნელობა.

დადგენილებები ხარკის ობიექტის შეფასების შესახებ მოიპოება ნაწილობრივ საიმპერიო სავადასახადო დებულეჯაში, ნაწილობრივ — ხარკების შესახებ გამოცემულ ცალკე კანონებში, ნაწილობრივ კიდევ — 1925 წლის 10 აგვისტოს საიმპერიო შეფასების კანონში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საიმპერიო სავადასახადო დებულებიდან § 137, რომელიც ამბობს: თითოეული სამეურნეო ერთეული უნდა ცალკე შეფასდეს და მისი საერთო ფასეულობა უნდა გაირკვეს, თუ რა არის მისი ნევი სამეურნეო ერთეულად, — ეს ადებ-მიცემაში არსებული შეხედულების მიხედვით უნდა გადასწყდეს. მხედველობაში მისაღებია ადგილობრივი ადამი, ფაქტიური პრაქტიკა, აგრეთვე ობიექტთა დანიშნულება და მათი სამეურნეო მთლიანობა ან ურთიერთისგან დამოკიდებულება; § 139, ნაწილი 2: საწარმოში ხანგრძლივად გამოყენებული საგნების შეფასებისთვის საფუძვლად ასაღებია ნაყიდობისა და დამზადების ფასი შესაფერი გაცემის გამოკლებით, — შესაძლებელია ადებულ იქნას უფრო დაბალი ფასიც, უკეთეს ბალანსს შედგენის დროისთვის ნამდვილ ფასს შეესაბამება; § 141, ნაწ. 1: ფასიანი ქაღალდები, რომელსაც გერმანიაში საკურსო ფასეულობა აქვს, ამ საკურსო ფასეულობის მიხედვით უნდა შეფასდეს, აგრეთვე ობლიგაციები, რომელიც საჯარო-უფლებრივი ორგანოების ვალის დაფთარშია შეტანილი, მათი საკურსო ფასით უნდა აღინიშნოს (შეად. აგრეთვე § 152 ნაწ. 3. ცალკე ხარკების შესახებ ახ. 1923 წ. 19 დეკ. და 1924 წ. 14 თებ. მე-2 და მე-3 სახარკო დებულებების დადგენილებები შეფასების შესახებ; შემდეგ — მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკის § 11, ბრუნვის ხარკის § 8 ნაწ. 3 და სხვ.). ძირითადი იდეა ახალი საიმპერიო შეფასების კანონისა არის შეფასების ერთიანი წესის შემოღება იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და თემების ყველამ ხარკებისათვის და თავიდან აცილება ერთი დამზავე ქონების ფასეულობის სხვადასხვაგვარად შეფასებისა იმპერიის და მოკავშირე რესპუბლიკების საქონებო ხარკებისათვის, — ე. ი. საიმპერიო საქონებო და სამემკვიდრო ხარკებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საადგილ-მამულო, საშენობო და სარეწავი ხარკებისთვის. ამ ხარკებისთვის ობიექტთა ფასეულობის გამორკვევა ხდება მხოლოდ ერთხელ და შემდეგ აღარ იცვლება. ამით შესაძლებელი ხდება საქის გამარტივება საფინანსო უწყებისათვის, ხოლო ხარკვალდებულთათვის — თანაბარ-ზომიერი დაბეგვრა.

გადამხდელთა სახარკო ვალდებულების გამორკვევის შემდეგ სახარკო უწყებას ჩვეულებრივ, — სახელდობრ ისეთი ხარკების შესახებ (მაგ., საშემოსავლო, საქონებო, სამემკვიდრო), რომელიც რთულ ფაქტიურ ვითარებას უკავშირდებიან, გამოაქვს წერილობითი და დგენილებაც, რომელშიც აღინიშნება ხარკის ოდენობა, უმრავლეს შემთხვევაში აგრეთვე ცნობები შესახებ დაბეგვრის საფუძვლისა, ხარკის გამომანგარიშების განსხვავებისა სახარკო დეკლარაციისაგან, უკეთეს ამას ადგილი აქვს, და სხვ. ამ დადგენილებას წინასწარი დადგენილების მნიშვნელობა აქვს, როდესაც ხარკის განსაზღვრისათვის საჭირო ნიშნეულებანი დადგენილების გამოტანის დროს ჯერ

კიდევ არ არიან გამორკვეული, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში— დადგენილება საბოლოოა. ხანდახან დადგენილება არაა საქირო: როდესაც ხარკი სახარკო ნიშნების (მაგ., თამბაქოს ხარკი—ბანდეროლის) ყიდვით გადაიხდება, ან როდესაც ის წინასწარ, სხვების საშუალებით გადაიხდება, როგორც, მაგ., ხელფასის ან კაპიტალის მოგების ხარკის აღების დროს (იხ. საიმპერიო საგადასახადო დებულება § 211).

თუ, ერთის მხრივ, სახარკო უწყების უფლებასა და მოვალეობას შეადგენს ზრუნვა ხარკვალდებულთა რაც შეიძლება სწორი და სრული დაბეგვრისათვის, მეორეს მხრივ საქიროა ხარკის გადამხდელთათვისაც უზრუნველყოფილი იყოს შესაძლებლობა თავდაცვისა სახარკო უწყების შეცდომებისა და თვითნებობისაგან. ამ მიზნისათვის მათ სხვადასხვა უფლებრივი საშუალება აქვთ: პროტესტი, დავა, ჩივილი და განსაჩივრება, რომელსაც ნაწილობრივ ის უწყება განიხლავს, ვისი დადგენილების წინააღმდეგაც არის მიმართული დაზარალებულად თავის მიმჩნეველის საჩივარი; ნაწილობრივ კი—უმალესი უწყება ან კომისიები, რომელნიც მოხელეებისა და საქმის მცოდნე კერძო პირთაგან შესდგებიან. გერმანიის ახალი საიმპერიო სამართალი მოქალაქეთა ამ უფლებრივ გზას ჩვეულებრივ სასამართლოებისაკენ არ აძლევს მიმართულებას,—სახარკო საქმეში უფლებრივ დაცვას მხოლოდ კომპეტენტურ მართველობის დაწესებულებებს აკისრებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხარკი კუთვნილზე მეტია გადახდილი, გადამხდელს მისი უკან მიღების უფლება აქვს. ასეთი შემთხვევებია: ხარკის შეცდომით გადახდა იმ პირის მხრივ, რომელიც არაა ხარკვალდებული ან რომლისთვის ხარკი მისი წარმომადგენლის მიერ უკვე გადახდილია; ხარკის შეცდომით გადახდევინება ხელისუფლების მიერ; ხარკის წინასწარ გადახდა უფრო დიდი ზომისად, ვიდრე ეს ნამდვილად საქიროა, გაუსაღებლობა ან გაფუჭება იმ საქონლისა, რომლისთვისაც ხარკი უკვე გადახდილია და სხვ.. ხარკის უკან დაბრუნებას შესაძლებელია ადგილი ექნეს აგრეთვე. სამართლიანობის მოსაზრებითაც.

1. გერმანიის იმპერიისათვის სახარკო საქმეში მოქალაქეთა დასაცავად უფლებრივი საშუალებანი გათვალისწინებულია საიმპერიო საგადასახადო დებულებაში (§§ 217—247). იქ აღნიშნულია სამი ასეთი საშუალება: ჩივილი, დავა და განსაჩივრება. საჩივრის წესით განიხილება საფინანსო ორგანოთა ისეთი დადგენილებანი, რომელნიც „სახარკო დადგენილებებს“ არ წარმოადგენენ. საჩივრის საგნის განხილვას ჯერ ის დაწესებულება აწარმოებს, რომელმაც დადგენილება გამოიტანა; თუ მან საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია, მაშინ

ეს საქმე უახლოეს უმაღლეს ორგანოს უნდა წარედგინოს გადასაქრელად. ზოგ შემთხვევებში, გაძლიერებული უფლებრივა დაცვის სახით, დაშვებულია საჩივრით მიმართვა საიმპერიო საფინანსო პალატისადმი. „დავის წესს“ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საჩივარი შეეხება დადგენილებებს ბაჟებისა და მოხმარების ხარკების სფეროში. აქაც საქმე ჯერ დაბალი საფეხურის ორგანომ უნდა განიხილოს და თუ არ ჰპოვებს საფუძველს დადგენილების შესაცვლელად, მთელი საქმე მასაღებიტურთ მოკავშირე რესპუბლიკის საფინანსო უწყებას უნდა წარუდგინოს გადასაწყვეტად. ამ უკანასკნელის განაჩენის წინააღმდეგ დაშვებულია საჩივრის შეტანა საიმპერიო პალატაში. განსაჩივრების წესით სწარმოებს განილვა საჩივრისა, რომელიც სხვა ხარკებს (გარდა ბაჟების და მოხმარების ხარკებისა) შეეხება. ამგვარი საგნის გამო აღძრული პირველი საჩივარი, რომელსაც აქ კანონი „პროტესტს“ უწოდებს, იმ საფინანსო ორგანომ უნდა განიხილოს და მის შესახებ განაჩენი გამოიტანოს, რომლის დადგენილებასაც საჩივარი შეეხება. ხოლო, უკეთეს ეს საჩივარი („პროტესტი“) მის მიერ უყურადღებოდ იქნება დატოვებული;—დაინტერესებულ პირს შეუძლია საქმე განსაჩივროს საფინანსო სასამართლოში, რომელიც, წინააღმდეგ „დავის წესისა“, როდესაც დავის საგნად გამხდარი დადგენილების ფაქტიური საფუძველი გაისინჯება უმთავრესად, მთელ შემთხვევას განიხილავს უფლებრივად და ფაქტიურად როგორც წინანდელის, ისე ახალი ფაქტებისა და დამატაციკებელი საბუთების საფუძველით. საწინანსო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საიმპერიო საფინანსო პალატაში, მხოლოდ—არა ყოველთვის, კრამედ განსაზღვრულ შემთხვევებში (სახელდობრ, როდესაც მიღებული გადაწყვეტილებისათვის არ იყო გამოყენებული ან მცდარად იყო გამოყენებული მოქმედი კანონი, ან როდესაც გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქმის საბუთების შინაარს ანდა სასამართლოს საქმის წარმოებას არსებითი ნაკლულევალება ახლავს).

2. გადახდილი ხარკის უკუდაბრუნების შესახები საჩივრებისათვის იხ. საიმპერიო საგადასახადო დებულება § 127—136. რამდენადაც ხარკის უკუმიღების უფლება საერთო კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული, იგი აღინიშნება—სპეციალ სახარკო კანონებში,—ასეა, მაგ., სამეშკვიდრო ხარკის (§ 45), მიწის ყიდვა-გაყიდვის (§ 23), ლუდის, ღვინის, განათების საშუალებათა და სხვა ხარკების კანონებში. განსაზღვრულ შემთხვევებში ადგილი აქვს გადახდილი ხარკის ჩათვლას სამერმისო გადასახდელში, სახელდობრ, დაბეგრულ ნაწარმოებთა საზღვარგარეთ გატანისას.

2. ხარკის აკრეფა. წინანდელ დროში ხშირად ადგილი ჰქონდა საჯარო-უფლებრივ კავშირთა მიერ ხარკების იჯარით გაცემას,—ნაწილობრივ იმიტომ, რომ მაშინ მათ არ ჰყავდათ მომზადებული და საიმედო მოხელეები და ეს წესი სახარკო შემოსავლის მიღების უფრო მოხერხებულად მიჩნდათ, ნაწილობრივაც—სესხის აღების მიზნით, აგრეთვე სხვა მიზეზების გამოც. თანამედროვე სახელმწიფოსთვის სრულიად შეუფერებელი და მიუღებელია ისეთი წესი, როდესაც ხარკის აკრეფა კერძო პირთა მოგების წყაროდ და ხარკვალდებულთა შევიწროების საშუალებად გადაიქცევა. ეხლანდელი წესი ის არის, რომ საჯარო ხელისუფლება ხარკებს თვითვე ჰკრეფს

ხარკვალდებულთაგან ან ხარკების მიღებას სახარკო საღაროების საშუალებით აწარმოებს საჯაროდ გამოქვეყნებულ ვადებში. მაგრამ ამასთანავე არის შემთხვევები, რომ, აკრეფის გასაიაფებლად, ან გასამარტივებლად, თემებს აქვთ მინდობილი ხარკის თანხის აკრეფა, სახელდობრ როდესაც ამათი ხვედრიცაა მასში მოქცეული ან რომ, როგორც, მაგ., გერმანიის იმპერიაში; კავშირსახელმწიფო მოკავშირე სახელმწიფოების ხარკების აკრეფასაც აწარმოებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბეგრილ ობიექტებზე ნიშნის აღბეჭდვა დაწესებული, ხარკი ამ აქტის დროს გადაიხდება, ხოლო როდესაც სათანადო სახარკო მარკების დაკვრაა გავალისწინებული, ხარკის გადახდა ხდება დაბეგრილ საგნებზე მარკებისა და ბანდეროლის დაკვრით (ასეა, მაგ., თამასუქისა და თამბაქოს ხარკისთვის).

როდესაც ხარკვალდებულნი ხარკის გადახდას თავის დროზე არ ასრულებენ, ხელისუფლებას უფლება აქვს ხარკის იძულებით გადახდევინების გზას მიმართოს, ე. ი. ხარკი და ყველა მასთან დაკავშირებული მისაგებელი (სარგებელი, დანარიცხები, ხარჯები და სხვ.) ხარკვალდებულს იძულების წესით გადახდევინოს.

1. გერმანიის თანამედროვე სახარკო სამართალში, იმპერიის შიშვე სავალიუტო მდგომარეობის რამდენადმე შემსუბუქების მიზნით, სხვადასხვა ხარკებისთვის, მაგ., საშემოსავლო და საკორპორაციო, საქონეზე, ბრუნვის და სხვ. ხარკისთვის, წინასწარ გადახდა დაწესებული; ხოლო ვინც დააგვიანებს, დახანებასათვის სახარკო თანხის სარგებელი უნდა გადაიხადოს. იმის მიხედვით: საბოლოო სახარკო ვალდებულება წინასწარ გადახდილ თანხასთან შედარებით მეტი იქნება თუ—ნაკლები, განსხვავება ხარკვალდებულმა დამატებით უნდა გადაიხადოს ან ხელისუფლებამ მას უნდა დაუბრუნოს. ზოგიერთ შემთხვევაში (ბაჟებისა და ზოგ მოხმარების ხარკებისთვის) ხარკვალდებულს გადახდის ვადის გაგრძელების უფლება აქვს თავმდე, მხოლოდ—გადასახდელის უზრუნველყოფითა და სარგებლის გადახდით; შესაძლებელია სამართლიანობის მოსაზრებითაც გაუგრძელდეს მას გადახდის ვადა და ნაწილ-ნაწილ გადახდის ნებაც მიეცეს (იხ. საიმპერიო საგადასახადო დებულება §§ 102—119 და შემდ., აგრეთვე 1923 წ. 29 იანვრის კანონი ვადის გაგრძელების შესახებ დამატებითურთ).

2. ხარკის იძულებითი გადახდევინების წესის შესახებ იხ. საიმპერიო საგადასახადო დებულება § 298—353.

§ 39. ღონისძიებანი სახარკო შემოსავლის უზრუნველსაყოფად.—ამით იგულისხმება ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიიღება იმისათვის, რომ ხარკვალდებულმა თავისი სახარკო ვალდებულება ვერ დაარღვიოს, —უპირველეს ყოვლისა, მაშასადამე, დაბეგვრას განზრახ თავი ვერ დააღწიოს და ამით სახარკო შემოსავლის შემცირ-

რება არ გამოიწვიოს. წინანდელ დროში სახარკო დანაშაულს მხატვრულ უცქეროდენ და მკაცრად არ აფასებდენ, მაგრამ, განსაკუთრებით ახალი დროის, სამწუხარო გამოცდილებამ სახარკო მორალის სფეროში გააძლიერა მოთხოვნა სპეციალ ღონისძიებათა მიღებისა სახარკო შემოსავლის უზრუნველსაყოფად და უპატიოსნო ხარკვალდებულთაგან სინდისიერ გადამხდელთა დასაცავად. როდესაც სამეურნეო ცხოვრება ისე გართულებულია, გადაზიდულთა შემოსავლის პირობები და სახარკო ფაქტები იმდენად ძნელი გასარკვევია და ხარკთა გადახდის საქმეში სიყალბის ჩასადენად იმდენი სხვადასხვაგვარი შემთხვევა და შესაძლებლობა არის, როგორც ეხლანდელ დროში, — საქმის შევლის იმედი მხოლოდ მკაცრ სასჯელზე შეიძლება დავამყაროთ, რომლითაც ჩადენილი უკანონობისათვის, რაც კი ხელისუფლების ცნობამდე მიაღწევს, დამნაშავეს სასტიკი საზღაური დაეკისრება და რომელიც, ამრიგად, ბოროტების ჩადენის მსურველთა დამშინებელი იქნება. სასჯელი დაწესებულია ხარკის დამალვისთვის, ხარკის დანაკლულებისა და ხარკის მოპარვის დაფარვისთვის. ხარკის დამალვა არის ხარკვალდებულის მიერ ყოველი განზრახ მოხდენილი შემცირება გადასახდელი ხარკისა, იქნებ ეს სახარკო ვალდებულებისგან მთლად ან ნაწილობრივ თავის დაღწევის გზით, ან — არა სათანადო შეღავათით სარგებლობის გზით, თუ — ხარკისგან თავის დასაღწევად განსაზღვრული ფაქტების დაშლავით. ხარკის დანაკლულება ნიშნავს სახარკო შემოსავლის შემცირებას დაუდევრობით. ხარკის მოპარვის დაფარვა ნიშნავს იმ საგნების ყიდვას, დამალვას ან გასაღებას, რომელთა შესახებ შემძენმა იცის, რომ მათზე ხარკი არაა გადახდილი. სასჯელი მოელის აგრეთვე ყალბი სახარკო ნიშნების დაშლავას ან სახარკო ნიშნების გაყალბებას, მათ გაყიდვას, მოპოვებას ან გამოყენებას, აგრეთვე ერთხელ უკვე გამოყენებული ნიშნების ხელახლა გამოყენებას. გერმანიის ახალი სახარკო სამართალი, მძიმე შემთხვევაში, გარდა ფულადი ჯარიმისა, აწესებს აგრეთვე თავისუფლების აღკვეთასაც.

დასჯას აღარ ექნება ადგილი, უკეთუ ხარკვალდებულის მიერ ჩადენილი ხარკის დამალვისა ან დანაკლულების შემდეგ თვითვე გაასწორებს თავის ყალბ ჩვენებას მანამდენ, ვიდრე ამის შესახებ ხელისუფლებამდის ცნობა მიაღწევდეს ან გამოძიება დაიწყებოდეს და თუ ამავე დროს მას მისი ბრალიანობის აღმოჩენის საფრთხე უშუალოდ არ მოელის. ხანდახან კანონმდებელი აგრეთვე ცდილობს ახალი ხარკის დაწესების დროს გადამხდელთა დეკლარაციის

ბის სისწორე იმით უზრუნველყო, რომ წინანდელი ხარკის დამალვისათვის ხარკვალდებულს სასჯელისა და დამატებითი გადადისაგან ანთავისუფლებს. ამას სახარკო შენდობა ეწოდება. ასეთი ღონისძიება, თუ მას ეთიური თვალსაზრისით განვიხილავთ, მეტად სადაო ღირსებისაა და მისი პრაქტიკული შედეგებიც საეჭვოა.

გერმანიის ახალი დროის სახარკო კანონმდებლობა პრევენტიული ღონისძიებების საშუალებითაც ცდილობს სახარკო შემოსავლის შემცირების თავიდან აცილებას. ეს ღონისძიებები გულისხმობს ნაწილობრივ სახარკო ხელისუფლების აღჭურვას ცნობებით და კონტროლის უფლებით ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთა საფუძვლით შესაძლებელია აზრისა და დასკვნის შედგენა გადამხდელთა სახარკო ვალდებულების შესახებ, ნაწილობრივაც—ხარკვალდებულ პირთა გადასახლების ან მათი ქონების უცხოეთში გატანის დაბრკოლებას, —მაშასადამე, ხარკისა და კაპიტალის გაპარვის აკრძალვას.

1. სახარკო დანაშაულისათვის სასჯელის საკითხი საიმპერიო ხარკების შესახებ მოწესრიგებულია საიმპერიო საგადასახადო დებულებაში, ნაწილი III. მთავარი სასჯელია ფულადი ჯარიმა. დაპატიმრება შეიძლება მიესაჯოს ხარკის დამალვისა და მოპარვის დაფარვისათვის, აგრეთვე ამ საქმეში პირადი სარგებლობის მიზნით დახმარებისა და ხელის შეწყობისათვის; დანაშაულის განმეორებისას დატუსაღების მისჯა სივალდებულოა. დაპატიმრებაა დაწესებული აგრეთვე ფულადი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევისთვის. სასჯელის ზომა ცალკე სახარკო კანონებშია გარკვეული. დამატებით სასჯელად საიმპერიო საგადასახადო დებულება აწესებს ხარკკუთვნილი საგნების ან მათი ფასეულობის ჩამორთმევას (სახელდობრ, როდესაც აღვლით აქვს ხარკის დამალვას და სახარკო ნიშანთა შესახებ დანაშაულს); მთელი მარაგის და საწარმოო იარაღების ჩამორთმევას (როდესაც მესარეწმე ხელისუფლებას არ წარუდგინა საწარმოს შესახები განცხადება); სამრეწველო წარმოების აკრძალვას და ამის საყოველთაოდ გამოცხადებას, სამოქალაქო უფლების ჩამორთმევას და ამ სასჯელის საჯაროდ გამოქვეყნებას.

2. სახარკო შენდობა გამოცხადებულ იქნა 1913 წლის თავდაცვის გამოსაღების კანონით, აგრეთვე იგი გამოცხადდა 1920 წ. 3 იანვ. კანონით იმათთვის, ვინც წინა დღე დაფარულ შემოსავალს ან ქონებას სწორად უჩვენებდა ომის შემდეგი დროის დიდი გადასახადებისათვის (ომის გადასახადი ქონების ზრდაზე, საიმპერიო საქონეზე ხარკი).

3. პრევენტიული ღონისძიება სახარკო დანაშაულობათა საწინააღმდეგოდ, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ სახარკო კანონებით დაგითარწარმოების ვალდებულებაა დაწესებული ხარკვალდებულთათვის (ბრუნვის, მოხმარების ხარკები და სხვ. შეად. სახარკო დებულების 1 და 2 მუხლი და 1924 წლის 25 იანვ. კანონი, რომელთაგან პირველი მოითხოვს საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკისათვის დაეთარწარმოებას მტკიცე ვალიუტის საფუძველ-

ზე, ხოლო მეორე—ინვენტარისა და დაწყებითი ბალანსის შედგენას 1924 წლის 1 იანვრიდან ოქროს მარკებში). შემდეგ,—პრევენტიული ღონისძიება იმაშია ც გამოხატება, რომ სახარკო უწყობას უფლება აქვს მინიჭებული სააღებ-მიცემო დავითრები და შენიშვნები ყოველჯამს განიხილოს მათი სისრულისა და სისწორის მხრივ, რომ აკრძალულია ანგარიშის ყალბ სახელზე გახსნა, რომ სახლის პატრონებს ჯალდებულება აქვთ დაკისრებული ხელისუფლებას მობინადრთა სიები წარუდგინონ და სხვ.. იმ საწარმოებზე, რომელნიც ხარკუთვნილ საქონელს ამზადებენ ან დასაბეგრ სააღებ-მიცემო აქტებს ასრულებენ, სახარკო ხედამხედველობა დაწესებული. ეს გამოისახება ასეთ საწარმოთა შესახებ განცხადების წარდგენის ჯალდებულებაში, ასევე საწარმოო ნაგებობათა გეგმების წარდგენის საჯალდებულად გამოცხადებაში და სახარკო უწყების მიერ კონტროლის გაწევის უფლებაში. ამ ღონისძიებათა შეფარდება სხვადასხვა ხარკებთან და საწარმოს ხასიათთან შესაფერ სახარკო კანონებშია გატარებული (სხვა მხრივ იხ. ამის შესახებ საიმპერიო საგადასახადო დებულება, §§ 162—203).

ღონისძიებათა შემოღება ხარკის და კაპიტალის გაპარვის წინააღმდეგ იწყება 1918 და 1921 წლიდან. ხარკის გაპარვის შესახებ კანონი 1918 წ. 26 ივლისის იქნა გამოცემული და 1919 წ. 24 ივნისის კანონით დამატებული. 1925 წ. 1 იანვრიდან იგი გაუქმებულია. ამ კანონის თანახმად, იმპერიის ქვეშევრდომები, რომელნიც თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს სტოვებდნენ, 1924 წ. 31 დეკემბრამდე პერსონალურ ხარკს ექვემდებარებოდნენ და ჯალდებული იყვნენ ხარკის გადასახდის უზრუნველსაყოფად თავიანთი ქონების 20%—გარემოების მიხედვით 50%—მდეც, საწინდრად დაეტოვებიათ. 1921 წ. 4 ივლისის კანონით კაპიტალის გაპარვის შესახებ (შემდეგში მრავალი ცვლილებით და დამატებით) უასიანი ჯალდების და ფულის უცხოეთში გაგზავნა ან წაღება მხოლოდ ბანკების საშუალებით შეიძლება და ბანკებს ამგვარ დაჯალდებათა შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, უკეთუ გაგზავნის საგანი და მიზანი გარკვეული იყო და თან ნებადართულიც სათანადო საფინანსო უწყების მიერ. ამ მხრივ ბანკების საქმიანობა საგანგებო მოხელეებს უნდა შეემოწმებიათ. კაპიტალის გაპარვის შესახებ არსებული მთელი კანონმდებლობა 1924 წ. 31 დეკემბრის და 1925 წ. 31 აგვისტოს გამოცემული კანონებით გაუქმებულია.

ბ. ცალკეული ხარკები:

I. საქონეო-საშემოსავლო ხარკები:

§ 40. შესავალი.—საქონეო-საშემოსავლო, (ანუ იგივე: სამეურნეო ობიექტთა გამოსავლიანობის) ხარკები ისეთი ხარკებია, რომელიც ხარკვალდებულთა გადამხდლობით უნარს შემოსავლის ცალკე ობიექტების (წყაროების) ან სახეების დაბეგრის გზით დაეკისრება. თითოეული ობიექტის გამოსავლიანობა, ე. ი. თითოეული ობიექტის გამოყენების გზით მიღებული შემოსავალი არის ნაწილი საერთოდ შემოსავლისა. ასეთი ნაწილობრივი შემოსავალი არის გა-

მომდინარე ან ადგილ-მამულის და სახლების მფლობელობიდან (უძრავი ქონება), ან სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობიდან, ან გასესხებული კაპიტალიდან, ანდა შრომიდან. და საქონებო-საშემოსავლო ხარკი ერთ-ერთ ამ წყაროთა (ობიექტთა) გამოსავლიანობაზე დაწესებულ ხარკს წარმოადგენს. რათა დაბეგვრის ტვირთი მთელს გადამხდელობით უნარს შეეხოს, რამდენადაც ეს უნარი სხვადასხვაობიექტებიდან მიღებული შემოსავლით განისაზღვრება, — საჭიროა ყველა საშემოსავლო ობიექტები იქნეს დაბეგრილი. ამიტომ სრული საქონებო-საშემოსავლო ხარკთა სისტემა შეიცავს: საადგილ-მამულო ხარკს, საშენობო ხარკს, სარეწავ ხარკს, კაპიტალის რენტის ანუ შემოსავლის ხარკს და შრომის შემოსავლის (მაშასადამე, ხელფასის, ჯამაგირის, ჰონორარის) ხარკს, და ზოგჯერ კიდევ ხარკს სხვა ისეთ შემოსავალზე, რომელიც სახარკო ტეხნიკის გამოისობით ჩამოთვლილ ხარკთა ფარგალში ვერ თავსდება.

საქონებო-საშემოსავლო ხარკის სუბიექტს წარმოადგენს ის, ვინც შემოსავალს იღებს რაიმე ობიექტიდან: მიწის ან სახლის მფლობელი, ვაჭარ-მრეწველი, კაპიტალისტი, ხელფასის, ჯამაგირის და ჰონორარის მიმღები. როდესაც ასეთი შემოსავალი ორ პირზეა განაწილებული, როგორც, მაგ., მიწის ან სამრეწველო სარეწაოს იჯარით გაცემის დროს, მაშინ ორივე მონაწილეა ხარკვალდებული, თუმცა ხშირად სხვადასხვა სახელწოდების ხარკით.

ხარკის წყაროს წარმოადგენს ობიექტის გამოსავალი (ობიექტიდან მიღებული შემოსავალი). სამართლიანი დაბეგვრის პრინციპის თანახმად, ხარკის საფუძვლად ობიექტის წმინდა გამოსავალი უნდა აიღებოდეს, — რაც ყოველთვის არ ხდება, — ვინაიდან მხოლოდ ეს უკანასკნელი რჩება მეურნეს. მთლიანი გამოსავალი წარმოების ხარჯებსაც შეიცავს, რომელიც თავის მხრივ სხვა პირთა შემოსავალს შეადგენს, როგორც, მაგ., ნედლი და დამხმარე მასალის ხარჯი, სამუშაო ხელფასი, ვალის სარგებელი, დაზღვევის და შეკეთების ხარჯები, განახლების და ამორტიზაციის ხვედრი და სხვ. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ვალის სარგებლის გამორიცხვა, ვინაიდან ვალი თავისთავად არ შეიცავს ბუნებრივ ნიშანს, მისი ცალკე ობიექტებზე განაწილების მაჩვენებელს, — პირიქით, ვალი უფრო პიროვნულ ხასიათს ატარებს და შესაძლებელია ისეთი მიზეზებიდან წარმოიშვას, რომელთაც საშემოსავლო ობიექტებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგრამ უკანასკნელი დროის კანონმდებლობა ცდილობს, საქონებო-საშემოსავლო ხარკი ნაწილობრივ საშემოსავლო ხარკს დაუახლოვოს, რისთვისაც წარმოება-მოპოვების

ხარჯებისა და ვალის სარგებლის გამორიცხვას მეტ-ნაკლები ზომით აწესებს და განსაკუთრებულ პირობებს, რომელნიც ხარკვალდებულთა გადამხდელობით უნარს ამცირებენ (როგორც, მაგ., ბავშვთა რიცხვი, ნათესავების შენახვა, ავთმყოფობა), ხარკის ოდენობის განსაზღვრისათვის მხედველობაში იღებს.

საქონებო-საშემოსავლო ხარკის შეწერის მეთოდი მეტად მრავალგვარია, ხარკის ობიექტთა სხვადასხვაობის მიხედვით. შეწერა ხდება ნაწილობრივ გარეგანი ნიშნეულობის მიხედვით, ნაწილობრივ ხარკის ობიექტის ფასეულობის მიხედვით, ნაწილობრივაც — გამოსავლიანობის მიხედვით. ცხადია, საზომ საფუძველთა ასეთი სხვადასხვაობის გამო ნამდვილი პროპორციულობა ხარკვალდებულთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის მიუღწეველია. ასეთი პროპორციულობა ერთდამთავრე ჯგუფშიაც ვერ დაიცვება, ვინაიდან ხშირად ნამდვილი გამოსავლიანობის მაგივრად საფუძვლად იღებენ ნაგარაუდესს, ხოლო მეურნე სუბიექტის გავლენას ობიექტის გამოსავლიანობაზე არასაკმაოდ — ან სრულებით არ — იღებენ მხედველობაში.

საქონებო-საშემოსავლო ხარკით დაბეგვრა საშუალო საუკუნეებიდან იწყება; ის წარმოიშვა ქონების ხარკიდან, რომლისათვის ქონება მის შემადგენელ ნაწილებად (მიწის შენახვა, საქონლის კაპიტალი, სარენტო კაპიტალი და სხვ.) იყოფოდა. მე-18 საუკუნეში დაიწყო ხარკის დაკავშირება ქონების ცალკე ობიექტთა გამოსავლიანობასთან, სახელდობრ ადგილ-მამულის შემოსავლთან და ამ უკანასკნელის გამორკვევას ცდილობდნ კადასტრის საშუალებით. საქონებო-საშემოსავლო ხარკის გავრცელებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო სტრანჯეთის მაგალითმა. რევოლიუციის დროს აქ დაიწყო საქონებო-საშემოსავლო ხარკის სისტემის აგება და ეს განაგრძეს შემდეგ ხანშიაც. სტრანჯეთის მართველობის სხვა მრავალ დაწესებულებასთან ერთად ეს სისტემა სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოებში (ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, აგრეთვე პესსენდ) გადავიდა, აქ მრავალგვარი ცვლილება განიცადა და უნაკლები სისტემის სახით ჩამოყალიბდა. შუა და ჩრდილოეთ გერმანიის სახელმწიფოებში სავსებით განვითარებულ საქონებო-საშემოსავლო ხარკის სისტემას ვბოლობთ მხოლოდ აქა-იქ, ასე, მაგ., ორივე მეკლენბურგში; ისე კი სხვადასხვა საქონებო-საშემოსავლო ხარკები (საადგილ-მამულო, საშენობო და სარეწავი), სხვა შეწერილ ხარკებთან ერთად, ყველგან იყო. გერმანიის გარდა სხვა სახელმწიფოებშიაც იყო და ნაწილობრივ ამჟამადც დიდად გავრცელებული არის მეტნაკლებ განვითარებული ფორმის საქონებო-საშემოსავლო ხარკით დაბეგვრა. ასეა, მაგ., ავსტრიასა, უნგრეთსა, ესპანეთსა, ბელგიასა და ბალკანეთის სახელმწიფოებში, გერმანიაში 1870-იან წლებიდან წარმოიშვა ძლიერი მიმდინარეობა, საერთო საშემოსავლო ხარკის სახარგებლოდ, რომელიც თანდათან გამოარჯვებით დასრულდა. მსოფლიო ომის დაწყების წინ გერმანიის ყველა სახელმწიფოში იყო საშემოსავლო ხარკი და მთავარ ხარკს წარმოადგენდა. ამ საქმეში სანიმუშო მაგალითი პრუსიას ეკუთვნის, რომელმაც 1891 და 1893 წლებში საშემოსავლო ხარკი და მის დამატება

შესავსებად საქონებო ხარკი შემოიღო. ამით იქ მნიშვნელობა დაეკარგა საქონებო-საშემოსავლო ხარკებს, ყოველ შემთხვევაში როგორც სახელმწიფოს შემოსავლის წყაროს. პრუსიაში არსებული სამი საქონებო-საშემოსავლო ხარკი,—საადგილ-მამულო, საშენობო და სარეწავი,—თემებს გადაეცა. ასევე მოხდა ჩრდილოდა შუა გერმანიის მრავალ სახელმწიფოში. სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებში კი, პირიქით, საადგილ-მამულო, საშენობო, სარეწავი და კაპიტალის ხარკი დასტოვეს შემცირებული განაკვეთებით, საშემოსავლო ხარკის გვერდით, ფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერად დაბეგვრის მიზნით. გერმანიის იმპერიამ, მას შემდეგ რაც 1920 წ. 29 მარტის კანონით საშემოსავლო ხარკი მიიკუთვნა, ფუძიანი შემოსავლის უფრო ძლიერად დაბეგვრა იმგვარადვე განხორციელა, როგორც ამას მანამდე სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებში ჰქონდა ადგილი. იმპერიამ თავისთვის მხოლოდ კაპიტალის შემოსავლის ხარკი დაიტოვა, ხოლო მთავარი რესპუბლიკებს, 1920 წ. 30 მარტის სახარკო კანონით, სავალდებულოდ დაუწესა საადგილ-მამულო (საშენობო) და სარეწავი ხარკის შემოღება. ასეთი წესი იმ მოსაზრებაზეა დაყარებული, რომ უძრავი ქონებისა და ვაჭრობა-მრეწველობის ფასეულობა და გამოსავლიანობა პირველ რიგში უფრო ვიწრო ფარგლის პოლიტიკური კავშირების,—მოკავშირე რესპუბლიკების და თემების,—სამეურნეო განვითარებასა და მართველობის ღონისძიებებზეა დამოკიდებული, ხოლო მოძრავი კაპიტალის გამოსავლიანობაზე, პირიქით, უფრო მეტად მთელი საკავშირო სახელმწიფოს განვითარებას აქვს გავლენა. მოკავშირე რესპუბლიკებს სავალდებულო დირექტივი აქვთ მიცემული, რომ მათ უძრავი ქონებისა და სარეწავ ხარკს საშემოსავლო ხარკის სახე არ უნდა მისცენ. დაბეგვრის ნიშნეულობანი, რომელთა მხედველობაში მიღებას ხარკვალდებულის გადამხდელობითი უნარის გათვალისწინება აქვს მიზნად, არ უნდა იქნენ საფუძვლად მიღებულნი; ნებადართულია უძრავი ქონებისა და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს დაბეგვრა ფასეულობის, გამოსავლიანობის, უძრავი ქონების და საჩუქაოს შემოსავლიანობის ან სიდიდის მიხედვით. სარეწავის სამეურნეო ხასიათი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. თემებს, რამდენადაც მათ; მოკავშირე რესპუბლიკების სამართლის საფუძველზე, უფლება აქვთ ასეთი ხარკები საკუთრივ მოაწესრიგონ, მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა განუსაზღვრონ ხარკის მაქსიმუმი. ასეთი წესის არასასურველი შედეგი ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საქონებო-საშემოსავლო ხარკთა შეწერის წესი და ოდენობა მეტად ქრელია. ამიტომ 1925 წ. 10 აგვისტოს საიმპერიო შეფასებითი კანონი სავალდებულოდ ხდის იმ ხარკების ერთგვაროვანად შეფასებას, რომელთაც ქონების ფასეულობის მიხედვით აწესებენ; ამ დადგენილების განხორციელება მოკავშირე რესპუბლიკების არსებულ ხარკებში ცვლილებებს გამოიწვევს (დანარჩენი ამვე საგნის შესახებ იხ. ცალ-ცალკე საქონებო-საშემოსავლო ხარკთა განხილვის ადგილას).

§ 41. საადგილ-მამულო ხარკი.—საადგილ-მამულო ხარკი არის ხარკი სასოფლო და სატყეო მეურნეობის მიწების გამოსავლიანობაზე, რომელიც ჩვეულებრივ მესაკუთრემ უნდა გადაიხადოს. მიწის იჯარით გაცემის დროს იჯარადარი ხარკვალდებულია მისი შრომის შემოსავლისთვის (საიდანაც გადასახადი აიღება საშემოსავლო ან საგანგებო ხარკის საშუალებით).

საადგილ-მამულო ხარკი ერთ-ერთი უძველესი ხარკია და საშუალო საუკუნეებსა და ახალი დროის დასაწყისში უმნიშვნელოვანეს გადასახადს წარმოადგენდა. მე-18 საუკუნიდან იწყება მისთვის რაციონალური სახის მიცემა (პირველად 1718 წ. მილანის Censimento-ში) და შედგენა საადგილ-მამულო კადასტრებისა, ე. ი. ნუსხების, რომლებშიაც ხარკის გასაზომავად მნიშვნელობის მქონე ფაქტები შეჰქონდათ. თანამედროვე კადასტრი ან მამულის გამოსავლიანობის კადასტრს წარმოადგენს, ან—ფასეულობის კადასტრს.

გამოსავლიანობის კადასტრში შეიტანება კულტურის სახეთა მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, ტყე და სხვ.) დანაწილებული და ხარისხებად დაყოფილი მიწების ზომა. ხარისხებად დაყოფა იმაში მდგომარეობს, რომ მიწის თითოეულ ნაკვეთს ბუნებრივი ნაყოფიერების მიხედვით შეაფასებენ და სათანადო ხარისხის ჯგუფში (კატეგორიაში) მოაქცევენ. ფართობისა და ხარისხის საფუძველზე გამოიანგარიშება თითოეული ნაკვეთის ნატურალური და ფულადი გამოსავალი და ამ უკანასკნელის განსაზღვრული პროცენტი ხარკად დაწესდება. გამოსავლიანობის კადასტრი შეიძლება იყოს სამამულო ანდა სანაკვეთო კადასტრი. პირველი ამათგანი ერთეულად იღებს მთელ მამულს ყველა მისი ნაკვეთებითურთ, მეორე კი, რომელიც ჩვეულებრივი წესია, ვინაიდან მარტივია, თითოეულ მიწის ნაკვეთს ცალკე ერთეულად აღნიშნავს.

ფასეულობითი კადასტრით დაბეგვრას საფუძვლად ედება საერთო ან სააღებ-მიცემო ფასეულობა, გასაყიდ ან საიჯარო ფასებთან შეთანაბრებით აღებული. აქ სახელმძღვანელოდ ის აზრია მიღებული, რომ სააღებ-მიცემო ფასეულობასა და გამოსავლიანობას შორის პროპორციულობა არსებობს და რომ პირველი სხვას არას წარმოადგენს, თუ არ განსაზღვრული პროცენტული ნორმის მიხედვით კაპიტალიზაციაქმნილ წლიურ გამოსავალს. ჩვეულებრივ კი სააღებ-მიცემო ფასეულობა, მიწის ნაკვეთებზე არსებული დიდი მოთხოვნის გამო, ნამდვილ გამოსავლიანობით ფასეულობაზე მაღლა დგას. ამიტომ საადგილ-მამულო და საქონებო ხარკის ახალი კანონებით ნებადართულია ხარკის საზომად გამოსავლიანობითი ფასეულობის აღება, სააღებ-მიცემო ფასეულობის ნაცვლად.

ორივე შემთხვევაში, როგორც გამოსავლიანობითი, ისე ფასეულობითი კადასტრის დროს, აიღება არა ნამდვილი, არამედ ნაფარულდები გამოსავალი და ამასთან—არა წმინდა გამოსავალი, არამედ საშუალო—წმინდასა და მთელ გამოსავალს შორის. დავალიანება

მხედველობაში არ მიიღება. მაშინაც, როცა დაბეგვრა ვითომ წმინდა გამოსავლის მიხედვით ხდება,—მაგ., სამუშაო ხელფასის, თესლის და პატივის გამოორიცხვის შემდეგ,—აღებული გამოსავლიანობა მაინც საშუალოა, სახელდობრ ისეთი, რომელიც მეურნეობის ჩვეულებრივი წესითა და სამეურნეო ხელმძღვანელის ნორმალური უნარით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ დაბეგვრა არ არის თანაბარი, რომ დაეალიანებული,—მაშასადამე, წარმატების არ მქონე მეურნე უფრო ძლიერად იბეგრება, ვიდრე დაუვალეალიანებული და წარმატებული.

აქ, ისევე როგორც სხვა ქვევით მოხსენებულ საქონებო-საშემოსავლო ხარკებისათვის, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ გერმანიის სახარკო წყობილებიდან. პ რ უ ს ი ა.—1923 წ. 14 თებერვალს გამოცემულ იქნა კანონი უძრავ ქონებაზე დროებითი ხარკის დაწესების შესახებ, რომელმაც შეჰდეკ მრავალგვარი ცვლილება განიცადა, უკანასკნელად—1925 წ. 25 ივნისის კანონით. ხარკი ეხება საადგილ-მამულო ქ-ნებას შენობების ჩარიცხვით, აგრეთვე სასოფლო ან სატყეო მეურნეობაში გამოყენებული მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის ჩათვლით. ხარკისგან თავისუფალია უმოკლესად საზოგადოებრივი მიხვნებისათვის დანიშნული მიწის ნაკვეთები; შემდეგ—მთლიანად ან ნაწილობრივ მიწის ნაკვეთები, რომელნიც სოფლად ხალხის დასახლებლად არიან დანიშნულნი ან პატარა ბინების აღმშენებლობისთვის გამოიყენებიან საჯარო კავშირების ან მანანგობების საშუალებით. ხარკვალდებელია მიწის მკსაკუთრე, მაგრამ ხარკისთვის პასუხისმგებელია აგრეთვე მოსარგებლე, იჯარადარი კი—მხოლოდ მაშინ, თუ ის ინვენტარის მფლობელია და ამ შემთხვევაშიაც—მხოლოდ ამ ინვენტარის ფასეულობის ფარგალში. ხარკის საზომს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის ფასეულობა, რომელიც 1893 წლის დამატებითი ხარკის უკანასკნელი შეწერის დროს იყო გამოკვეული, მაგრამ მასში თანამედროვე მდგომარეობისა და დანიშნულების შესაფერად შესწორებები შეიტანება. ეს საზომად აღებული ფასეულობა არსებობად გამოსავლიანობითი ფასეულობაა. ხარკის ერთეულს წარმოადგენს ფასეულობის თითოეული 1000 მარკა. ხარკი შეადგენს თვითურად თითოეულ 1000 მარკის ფასეულობაზე შენობებიანი მიწისთვის 0,20 მარკას, სასოფლო და სატყეო მეურნეობისა და საბადო მიწებისათვის—0,25 მარკას, მაგრამ თუ სამეურნეო ერთეულის ფასეულობა 200.000 მარკაზე მცირეა, პირველი 10.000 მარკისთვის აიღება მხოლოდ 0,10, შემდეგი 30.000 მარკისთვის—მხოლოდ 0,15 და შემდეგი 60.000 მარკისთვის—მხოლოდ 0,20 მარკა; ყველა დანარჩენ მამულებზე—0,25 მარკა. შემდგომი საბოლოო მოწესრიგება ამ ხარკისა მოხდენილია 1925 წ. 10 აგვისტოს გამოცემული საიმპერიო შეუასკებითი კანონის მიხედვით.

თემებს შეუძლიათ დააწესონ დანარიცხი თემებში მდებარე (ცარიელი და შენობიანი) მიწის ნაკვეთების სახელმწიფო ხარკებზე, მხოლოდ ეს დანარიცხი 150%-ს არ უნდა აღემატებოდეს და როდესაც 100%-ს გადააქარბებს, სავალდებულოა სახელმწიფოსაგან ნებართვის გამოთხოვა. მაგრამ მათ შეუძლიათ ამ დანარიცხის დაწესება მათ მიერ არჩეული ნიშნეულობის მიხედვით;—განსაკუთრებით წმინდა შემოსავლის ანდა სარგებლობის ფასეულობის მიხედვით, ქირის ანდა სიჯარო ფასეულობის მიხედვით, საერთო ფასეულობის ანდა აღნიშნულ საზომთა კომბინაციის მიხედვით.

ბავარიის საადგილ-მამულო ხარკი შეეხება წმლოდ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მიწებს. არსებითად ჯერ კიდევ სახელმძღვანელოდ არის დატოვებული 1828 წ. 15 აგვისტოს კანონი, 1910 წ. 4 ნოემბრის კანონისა და რამდენიმე შემდეგი დროის დადგენილების დამატებით. ხარკი დამყარებულია შემოსავლის კადასტრზე. საზომს, „სახარკო მიმართებით რიცხვს“ წარმოადგენს მიწის სიგრცისა და ნატურალური გამოსავლიანობის მიხედვით გამოანგარიშებული გამოსავალი. „სახარკო მიმართებითი რიცხვის“ ერთეულიდან წლიურ ხარკად იღება 4 პფ. და ამჟამად (1924 წ. 5 მაისის კანონის თანახმად)—ორმ გი განაკვეთი. საადგილ-მამულო ხარკის ნორმალურ განაკვეთებზე თუმეხს, პროვინციებს და ოლქებს შეუძლიათ დანარიცხების აღება (იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთაც ახალი საიმპერიო შეფასებითი კანონი იწვევს, იხ. ზევიტ, გვ. 138).

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი :

1. მთლიან რ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც ერთადერთი ხარკის სახითაა სოფლისთვის შემოღებული, დაწესებულ იქნა 1923 წ. 10 მაისის დეკრეტით; მას შემდეგ მასში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. ამჟამად ძალაშია 1927 წ. 2 აპრილის დებულება. დაბეგრლია მეურნის შემოსავალი სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან, როგორცაა მემინდვრობა და მეველეობა, მჭსაქონლეობა, მეზოსტენობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა, მეფუტკრეობა და სხვ., აგრეთვე არასამიწათმოქმედო შრომით მიღებული შემოსავალი. ხ ა რ კ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ თ ა ლ ი ა : მთლიანად საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი საცდელი, საცდელ-საჩვენებელი, სასელექტიო, თესლმომყვანი და საქონლის მომშენებელი სადგურები, ჯიშის გამომჯობესებელი და ცხენსამეზი მეურნეობანი; სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა საცდელი და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობანი; სკოლების, საბავშვო დაწესებულებების, საპატიმროების მეურნეობანი, აგრეთვე იმ სამკურნალოების მეურნეობანი, რომელიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ეკუთვნიან; საზოგადოებრივი ნათესები, რომელთაც სასწავლო-საჩვენებელი მნიშვნელობა აქვთ, ან რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის კულტურულ-განმანათლებელ ორგანოთა დაწესებულებებს სურსათ-სანოვაგეს აწვდიან; საზოგადოებრივი ნათესები იმ მიწებზე, რომელიც მაზრის და რაიონის ფონდიდან არის გამოყოფილი და რომელსაც გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებანი და სხვა მსგავსი ორგანიზაციები თავის მიზანთა განსახორციელებლად იყენებენ; საზოგადოებრივი ნათესები იმ მიწებზე, რომელიც სასოფლო საზოგადოებათა დადგენილებით საზოგადოებრივი ფონდიდან არის გამოყოფილი და დათესილია სოფლის საზოგადოების საშუალებით, ხელუხლებელი სათესლე ფონდის მარაგის შესაქმნელად; ის სათიბები, რომელიც საზოგადოებრივ ნაკვეთებიდან ან სახელმწიფო მამულთა შემადგენლობიდან არის გამოყოფილი საჯარო საგრილობლად დანიშნულ მომშენებელთათვის (თითო სულ საქონელზე სამ დესიატინამდე); გამოუსადეგარი მიწა, სახნავად ან საბალახედ ახლად გაკაფული ტყე, ახალი ხეხილის სანერგეები, ახლად გაშენებული ხეხილი და ვენახი და სხვ., ოთხთვესა საქონლიდან—მომშენებელი ბუდა, ჯიშისანი რქიანი საქონელი და სხვ..

სასოფლო-სამეურნეო ხარკისაგან თავისუფალია სოფლად აგრეთვე, ვინაიდან სამაგიეროდ სარეწავი და საშემოსავლო ხარკით იბეგრება: 1) ვაქრობა, 2) სამრეწველო დაწესებულებანი, გარდა იმ სარეწავითა, რომლებშიც ხელოსნები,

შინამრეწველები და სხვ. ნარტო ან ოჯახის წევრთა დახმარებით მუშაობენ, ან—არა უმეტეს სამი დაქირავებული მუშით,—თუ ეს პირნი სასოფლო მეურნეობას ეწევიან; ამათი შემოსავალი რეწვიდან სასოფლო-სამეურნეო ხარკით დასაბეგრ შემოსავალს მიერიცხება; 3) წისკვლები საბაზრო საფქვავისათვის; 4) ხელფასი, მიღებული: ა) შრომის ბეგარის წესით ასრულებულ სამუშაოდან, ბ) მოჯამაგირეობიდან, გ) საბჭოთა დაწესებულებებსა, გლეხთა კომიტეტებსა და სოფლის კოოპერატივებში (ამორჩევით) მუშაობიდან, დ) სასოფლო საქიმო და საბეითლო პერსონალის მუშაობიდან, და სხვ..

ხ ა რ კ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ა ა მთელი სოფლის მეურნე მოსახლეობა, აგრეთვე კოლექტიური (კომუნა, ნადი, ამხანაგობა) და საბჭოთა მეურნეობანი, რომელნიც ზევით აღნიშნული წყაროებიდან იღებენ შემოსავალს.

ხ ა რ კ ი ს ს ა ზ ო მ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს წარმოადგენს ოჯახური მეურნეობის საერთო შემოსავალი და მკამელ პირთა რიცხვი მასში. დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა ირკვევა ნათეს, სახნავ, სათიბ და სპეციალი კულტურებით დაქერილი მიწის სივრცის და საქონლისა და სკის რაოდენობის მიხედვით.

თითოეული დასაბეგრი მეურნეობის შემოსავალი გამოიანგარიშება ფულად ერთეულში. შემინდვრეობის შემოსავალი იანგარიშება, დაწესებისამებრ, ან მთელი სახნავი მიწის, ან—ფაქტიურად დათესილი ფართობის მიხედვით (საქართველოში, მაგ., 1927-28 წ. შემინდვრეობის შემოსავალი ნათესების მიხედვით იანგარიშება: ახალქალაქის, ახალციხის, ლეჩხუმის, რაჭის და შორაბნის მაზრებში, სამხრეთ ოსეთსა, აფხაზეთსა და აჭარისტანში; დანარჩენ ადგილებში კი—სახნავი მიწის მიხედვით); მევლეობის შემოსავალი გამოიანგარიშება ყოველგვარი სათიბების მიხედვით; მესაქონლეობის შემოსავლის გამოსაანგარიშებლად აიღება: ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი, პქლემი—4 წლის ასაკს ზევით, მსხვილი რქიანი საქონელი (გარდა ხარ-კამეჩისა)—3 წლის ასაკს ზევით, თხა და ცხვარი—ზამთარგავილი, ღორი—(ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში) 8 თვის ასაკს ზევით; მებაღეობის, მებაღეობის, მევენახეობის და მეთამბაქოობის შემოსავალი გამოიანგარიშება ამ კულტურების სივრცის მიხედვით, ხოლო მეფუტრეობისა—სკების რაოდენობის საფუძვლით; სახელფასო შემოსავლისთვის აღირიცხება მომუშავეთა მიერ ფაქტიურად მიღებული ხელფასი, რომლიდანაც მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალს მიეკუთვნება არა უმეტეს 100/0—150/0-ისა; შინამრეწველობის, ხელოსნობის და სხვა არასამიწათმოქმედო მონაგარი (გარდა ხელფასისა) მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალში ჩაირიცხება მხოლოდ განსაზღვრული პროცენტი (ა/კ. ფედერაციაში: შინამრეწველობის და ხელოსნობისა—50/0, ხოლო სხვა მონაგარის—70/0).

სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის შემოსავლიანობის სხვადასხვა საშუალო ნორმა დაწესებული; ასე, მაგ., ა/კ. ს. ფ. ს. რ.—სათვის საშუალო შემოსავლად არის მიღებული დესიატინასახნავი მიწისთვის—30 მ., ნათესისთვის—45 მ.; შემოსავლად ერთ სულ საქონელზე: ცხენზე—15 მ., ხარზე—13 მ., ცხვარზე და თხაზე—2,5 მ. მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ ამ ნორმების შეცვლა, საქიროებისდა მიხედვით, ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის, მხოლოდ—ისე, რომ აღნიშნული ნორმების საფუძველზე მისადები დაბეგვრის საერთო თანხა შეცვლილი არ იქნეს. ბოსტან-ბახჩებისა, ვენახებისა, ბაღებისა, თამბაქოს ნათესისა და სკის შემოსავლის გამოსაანგარიშებლად სოარიენტაცია (სამაგალითო) ნორმებია დაწესებული; ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში ის შეადგენს: ბოსტან-ბახჩისათვის—140 მ., ვენახისა-

თვის—200 მ., ბაღისათვის—170 მ., თამბაქოს ნათესისათვის—150 მ., ჩარჩოინი სკისათვის—5 მ., როფი სკისათვის—2 მ. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ამ ნორმებით ხელმძღვანელობენ და თავის მხრივ საორიენტაციო ნორმებს აწესებენ გუბერნიებისა და ოლქებისათვის, ხოლო ეს უკანასკნელნი, ამის საფუძველზე, მტკიცე ნორმებს ამყარებენ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის, მიწათმოქმედების გარეშე მიღებულ შემოსავალს ყოველ ცალკე მეურნეობისათვის სათემო სახარკო კომისია არკვევს.

სასოფლო-სამეურნეო ხარკით არ იბეგრება, როგორც ეს ზევითაც არის ნათქვამი (იხ. გვ. 119) ის მეურნეობა, რომლის შემოსავალი შემდეგ მინიმუმს არ აღემატება: როდესაც მეურნეობაში 1 და 2 მჭამელია—90 მან., როდესაც 3—4 მჭამელია—100 მან., ხოლო როდესაც 5 და მეტი მჭამელია—110 მან.; ხარკით არ იბეგრება აგრეთვე ისეთი კოლექტიური მეურნეობა, რომლის დასაბეგრი შემოსავალი 20 მან. არ აღემატება მჭამელზე.

სახარკო განაკვეთი შეადგენს რ. ს. ფ. ს. რ.-სა, ბელარუსიის ს. ს. რ.-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში თითო მჭამელზე:

20 მანეთამდე შემოსავლის დროს		2 კაბ. ყოველი მანეთიდან,	
20—30	"	3	"
30—40	"	5	"
40—50	"	10	"
0—60	"	17	"
60—80	"	21	"
80—100	"	23	"
100 მანეთზე მეტი	"	25	"

კანონი ხარკის დაკლებას აწესებს შემდეგ შემთხვევებში: იმ მეურნეობისათვის, რომელშიც ერთი მჭამელი პირია, ხარკი მცირდება 30%/ით, ხოლო რომელშიაც ორი მჭამელი პირია—20%/ით და თუ ამ მჭამელთაგან ერთი მინც შრომის უნარს არის მოკლებული, —ხარკი 30%/ით მცირდება.

ამგვარად, სულ 3 პროგრესიული განაკვეთია დაწესებული. ხარკის თანხა თითოეულ მჭამელზე გამოიანგარიშება საშემოსავლო საფეხურებისთვის გამოთვლილი სახარკო თანხების შეჯამებით, მაგ., 3 მჭამელიან ოჯახზე, რომელიც უშეღავათა და რომელსაც 360 მან. შემოსავალი (მჭამელზე 120 მან.) აქვს, ხარკი შეადგენს:

20	×	2 კაბ.	=	0,40 მან.
10	×	3 "	=	0,30 "
10	×	5 "	=	0,50 "
10	×	10 "	=	1,00 "
10	×	17 "	=	1,70 "
20	×	21 "	=	4,20 "
20	×	23 "	=	4,60 "
20	×	25 "	=	5,00 "

120 მან. 17,70 მან. × 3 მჭამ. = 53,10 მან.

გარდა აღნიშნულისა, სხვა შედეგებზეცაა დაწესებული სახელადობრ, ხარკიდან გამოირიცხება: ა) კოლექტიურ მეურნეობათათვის 25%/ი, უკეთეს მჭამელზე საშუალო შემოსავალზე მეტი არ მოდის; ბ) კოოპერატიულ მეურნეობათათვის, რომელნიც მიწების საზოგადოებრივ დამუშავებას აწარმოებენ—10%/ი; გ) წითელ ლაშქარში მოსამსახურე პირნი და ომისა და შრომის ინვალიდები

მკამელებად ითვლებიან რმ ოჯახებში, რომელთაც ეკუთვნიან, და მათ გამო იმ ოჯახებს, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ან ხარკისგან სრული განთავისუფლება ეძლევათ, ანდა -- ხარკის შემცირება $\frac{1}{4}$ -დან $\frac{3}{4}$ -მდე. შემდეგ: კანონით დაწესებულია „ფ-ნდი“ შედავათებისა ან სრულიად განთავისუფლების მისანიჭებლად მოსახლეობის უფრო დარიბი ნაწილისათვის, რომელსაც დაუბეგრავ მიწებში მეთი შემოსავალი აქვს. საერთო ჯამი ამ შედავათებისა არ უნდა აღემატებოდეს (ა/კ. ს. ფ. ს. რ.-სათვის) 20% -ს. საკავშირო ც. ა. კ.-ის 1927 წ. 15 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად 1927/28 წელში ხარკისაგან განთავისუფლებულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვი ამატებულია საერთო რიცხვის 35% -მდე.

ხარკის გადასახდელად მოკავშირე რესპუბლიკებში სხვადასხვა ვადებია დაწესებული; ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში, მაგ., დაწესებულია 3 ვადა; რესპუბლიკაში გამოანგარიშებული ხარკის თანხიდან 1 ნომბრისთვის შეტანილ უნდა იქნეს 25% , 1 იანვრისთვის — 50% , 1 თებერვლისთვის — 25% .

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის გამოსავალი ნაწილდება საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. ანარიცხი ადგილობრივი ბიუჯეტისათვის ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში შეადგენს შემოსული თანხის $66 \frac{2}{3}\%$ -ს (ანუ ორ მესამედს). ეს ანარიცხი შემდეგნაირად ნაწილდება: ყოველ მაზრასა, რაიონსა და მსგავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულში შემოსული ხარკის 40% ($\frac{2}{5}$) ჩაირიცხება ამ ერთეულის ბიუჯეტში; ყოველ ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, გუბერნიაში, მაზრაში (ა/კ. ს. ფ. ს. რ.) შემოსული ხარკის $16 \frac{2}{3}\%$ ($\frac{1}{3}$) ჩაირიცხება ამავე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამაზრო, სარაიონო და მსგავს ბიუჯეტების გასაძლიერებლად, აგრეთვე — სხვა ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო წყაროთა გასაძლიერებლად; დანარჩენი 10% ($\frac{1}{10}$) ნაწილდება რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მხარეების, ოლქების, გუბერნიების და მაზრების ბიუჯეტებს შორის, მათი ეკონომიურ-ფინანსირი მდგომარეობის მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო ხარკის შემოსავალი შეადგენდა კავშირში: 1924/25 წ. — 326.223 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის $10,9\%$ -ს, 1925/26 წ. — 251.742 ათას მ. ანუ — $6,3\%$ -ს, (წინა წელთან შედარებით — $77,1\%$ -ს), 1926/27 წ. ნავარაუდები იყო 300.552 ათასი მ. ანუ — $6,0\%$ (1924/25 წ. შედარებით — $92,1\%$), ა/კ. ფედერაციაში შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ. — 7.026 ათას მ. ანუ — 35% -ს, 1925/26 წ. — 4.911 ათას მ. ანუ $13,4\%$ -ს, (წინა წელთან შედარებით — $69,9\%$ -ს), 1926/27 წ. — 6.067 ათას მ. ანუ — $10,6\%$ -ს (1924/25 წ. შედარებით — $86,3\%$ -ს); კერძოდ საქართველოში: 1924/25 წ. — 2.788 ათას მ. ანუ — $34,1\%$ -ს, 1925/26 წ. — 1.464 ათას მ. ანუ — $14,8\%$ -ს. (წინა წელთან შედარებით — $52,5\%$ -ს), ხოლო 1926/27 წ. — 1.775 ათას მ. ანუ $13,4\%$ -ს (1924/25 წ. შედარებით — $63,6\%$ -ს).

2. 1923 წლის 12 ნომბრის კანონით ქალაქის ფარგლებში მდებარე და ტრანსპორტისათვის დანიშნულ მიწებზე დაწესებულ იქნა სარენტო ხარკი, რომელც ძირითად და დამატებით რენტად ნაწილდებოდა. ძირითადი რენტა, რომლის შემოსავალი მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის შემოსავლად იყო დანიშნული, ეხებოდა ქალაქად მდებარე ყველა, გაშენებულ თუ გაუშენებელ, მიწებს და ტრანსპორტისათვის დანიშნულ მიწებს; დამატებითი რენტაკი, დანიშნული ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლად, იკრიფებოდა მიწების შემოსავლიანობის, ადგილმდებარეობის და სხვა პირობათა მიხედვით. ამ კანონში შემ-

დღე ცვლილებები იქნა შეტანილი, უკანასკნელად—1927 წლის 17 აგვისტოს გადაცემული კანონით, რომელიც ძალაშია 1927 წ. 1 ოქტომბრიდან. ხარკი ეხება გაშენებულ თუ გაუშენებელ ქალაქის მიწებს, რომელიც იმყოფება დაწესებულგზათა, სარეწაოთა, ორგანიზაციითა და სხვადასხვა პირთა სარგებლობაში,—თუ ისინი ამ მიწებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირას არ უხდიან კომუნალურ შეურნეობას. საიჯარო ქირის დაწესება არაა დაშვებული და, მაშასადამე, შეიძლება სარენტო ხარკით დაიბეგროს შედეგი მიწები: ა) კერძო თიზიკურ და იურიდიულ პირთა კუთვნილი შენობებისათვის დანიშნული მიწები; ბ) სახელმწიფო სარეწაოებისათვის, წესდების ან დებულების საფუძველზე, გადაცემული მიწები; გ) სახელმწიფო შენობებისათვის დანიშნული მიწები, გარდა ადგილობრივი საბჭოების შენობებისა; დ) საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწები.

ს ა რ კ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა: შენობის მესაკუთრე ან დაწესებულება, სარეწაო და ორგანიზაცია, რომელსაც გადაცემული აქვს, სათანადო წესით, მიწის ნაკვეთი ან მასზე აგებული შენობა. ხარკისგან თავისუფალია: მიწები, დაქვრილი სასაფლაოებით, ბანაკებით, სასროლ მოედნებით, აეროდრომებით, ციხე-სიმაგრეებით; ტრანსპორტისათვის, საგანგებო დებულების საფუძველზე, გადაცემული მიწები; მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკით დაბეგრული სასოფლო-სამეურნეო მიწები, აგრეთვე შენობებიანი მიწები, რომლებიც სასოფლო მეურნეობასთანაა დაკავშირებული; მიწები, დაქვრილი: სახელმწიფო დაწესებულებებისა და სარეწაოების შენობებით, ელექტროგადაცემის ხაზის, ტელეფონის, ტელეგრაფის და სხვ. მსგავს ტექნიკურ ხაგებობით, და სხვ.

ს ა ხ ა რ კ ო გ ა ნ ა კ ვ ე თ ი ს დასაწესებლად მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი ქალაქებს კლასებად ჰყოფს, ხოლო დაყოფის საფუძველს და კლასთა რაოდენობას ს. ს. რ. კ.-ის სახალხო კომისართა საბჭო აწესებს; იგივე განსაზღვრავს თითოეული კლასისათვის რენტის უმაღლეს განაკვეთს მოსარგებლეთა კატეგორიების (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) და მიწების კატეგორიების (საეზოვე, ბაღი, ბოსტანი, შენობების ქვეშ მდებარე მიწა და სხვ.) მიხედვით. თითოეულ ქალაქისათვის კი რენტის განაკვეთს აწესებს სათანადო ადგილობრივი საბჭო ქალაქის ნაწილებისა (რაიონები, უბნები, ქუჩა) და მოსარგებლეთა და მიწების კატეგორიების მიხედვით. ს ა ხ ა რ კ ო ე რ თ ე უ ლ ს წარმოადგენს მიწის სივრცე (1 კვ. მეტრი).

სარენტო ხარკის დაწესების უფლება მინიჭებული აქვთ ადგილობრივ საბჭოებს, რომელთა შემოსავალშიც მიიქცევა ხარკის გამოსავალი.

ძ ი რ ი თ ა დ ი რ ე ნ ტ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი შეადგენდა მთელს კავშირში: 1924/25 წ.—2.702 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 1,0%-ს, 1925/26 წ.—5.919 ათას მ. ანუ—0,29%-ს (წინა წელთან შედარებით—219,0%-ს), 1926/27 წ. ნავარაუდვე იყო 6.009 ათასი მ. ანუ—0,19% (1924/25 წ. შედარებით—223,3%/); ა/კ. ფ ე დ რ ა ც ი ა შ ი შემოსავალი შეადგენდა: 1925/26 წ.—149,9 ათას მ. ანუ—0,49%-ს, 1926/27 წ.—183,9 ათას მ. ანუ—0,39%-ს (წინა წელთან შედარებით—122,69%-ს); კერძოდ საქართველოში: 1925/26 წ.—63,8 ათას მ. ანუ—0,69%-ს, 1926/27 წ.—81,1 ათას მ. ანუ—0,69%-ს (1925/26 წ. შედარებით—127,19%-ს) და მ ა ტ ე ბ ი თ ი რ ე ნ ტ ი ს შემოსავალი საქართველოში. შეადგენდა: 1925/26 წ.—98,9 ათას მ. ანუ მთელი ადგილობრივი შემოსავლის 0,49%-ს, ხოლო 1926/27 წ. ნავარაუდვე იყო 130,9 ათასი მ. ანუ 0,39% (წინა წელთან შედარებით—132,39%).

3. ამავე ჯგუფის ხარკებს მიეკუთვნება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლად დაწესებული გადასახადის ამრეწველ ბაღებსა და ბოსტნებს. ხარკი ეხება ყველა იმ ხეხილის ბაღებს, ვენახებს, მარწყვეულისა და სვიის ადგილებს, ბოსტნებს და ბაღებს, რომელნიც სარეწავი ხარკის ადგილმდებარეობის ნუსხის მიხედვით; პირველ სამ: მაღალ, საშუალოზე მაღალ და საშუალო კლასში მოქცეულ ქალაქთა ფარგალში მდებარეობენ (იხ. ქვევით § 43-ის შენ.), აგრეთვე რომელნიც მდებარეობენ რესპუბლიკების დედა-ქალაქების ფარგალს გარეთ, არა უშორეს 10 ვერსის მანძილისა. რესპუბლიკების ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ, ერთმანეთთან შეთანხმებით, აღმასრულებელ კომიტეტთა შეამდგომლობის საფუძველზე, ხარკი გააზრცილონ სხვა ადგილებზეც, უკეთეს ამ ადგილებში ხელსაყრელი პირობები იქნება სამრეწველო მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის (ბაზრის სიახლოვე, გასადგობის პირობები და სხვ.). ხარკისგან თავისუფალია: ა) ბაღი და ბოსტანი, რომლის ექსპლოატაციას სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატების ორგანოები აწარმოებენ მათ მიერ ინტერნატებში შესანახ პირთა უშუალო საპრობისათვის; ბ) ბაღი, რომელიც ქალაქად წითელი ლაშქრის და ფლოტის სამსახურში მყოფ პირის ოჯახის სარგებლობაშია და უშუალოდ ამ ოჯახის წევრთა მიერ მუშავდება დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, უკეთეს ოჯახზე 120 კვ. საყენზე მეტი არ მოდის; გ) ხეხილის ბაღი, ვენახი, მარწყვეულისა და სვიის ადგილი, სივრცით არა უმეტეს 7, დესიატინისა, რომელიც სოფლად ერთი მეურნეობის სარგებლობაშია; დ) ბოსტანი და ბაღი, რომელიც ქალაქად ერთი მეურნეობის მფლობელობაშია და $\frac{1}{10}$ დესიატინაზე მეტი სივრცე არ უჭირავს, ხოლო სოფლად— $\frac{1}{2}$ დესიატინაზე მეტი, უკეთეს ასეთ ბოსტანში სამრეწველო დანიშნულების სათბურით არ მოიპოვება და სხვ.—სასოფლო სამეურნეო ხარკისაგან ამ ხარკით დაბეგრული სამრეწველო ბაღ-ბოსტნები არ თავისუფლდება.

სამრეწველო ბაღ-ბოსტნების გადასახადის შემოსავალი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლო ნაწილის ფრიად მცირე წილს შეადგენს. საქართველოში, მაგ. შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ.—1496 მ. ანუ მთელი ადგ. შემოსავლის—0,011/0-ს, 1925/26 წ.—461 მ. ანუ—0,0011/0-ს, ხოლო 1926/27 წლისათვის ნავარაუდები იყო—2507 მ. ანუ—0,0059/0-ს.

§ 42. შენობების (სახლების) ხარკით, რომელიც წინადახმარად დაკავშირებული იყო საადგილ-მამულო ხარკთან, რასაც ზოგან ამჟამადაც აქვს ადგილი, იბეგრება შენობების შემოსავალი ქალაქად და სოფლად, ჩვეულებრივ, როგორც საცხოვრებლად, ისე სამრეწველო მიზნებისათვის დანიშნული შენობებისა. ხარკი გადაიხდება არა თუ შემოსავლისთვის, არამედ—სარგებლობისთვისაც, სახელდობრ როდესაც პატრონი თვითონ სარგებლობს თავისი სახლით ან მისი ნაწილით. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შენობებისთვის, ვინაიდან მათი შემოსავალი საადგილ-მამულო და სარეწავი ხარკითაც იბეგრება, ჩვეულებრივ უფრო მცირე სახარკო განაკვეთებია დაწესებული, ვიდრე სხვა შემთხვევებში.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ან გაქირავებით მიღებული ნამდვილი შემოსავალი, ან შენობის მიკუთვნება განსაზღვრულ, კანონის მიერ გათვალისწინებულ, საშენობო კლასისადმი, ან შენობის ფასეულობა, ანდა შენობით მოცული მიწის ფართობი ეზოსთან ერთად.

სახლის ქირითი შემოსავალი საშენობო ხარკის საფუძვლად გამოიყენება ქალაქებსა და იმ ადგილებში, სადაც გაქირავება ჩვეულებრივი მოვლენაა. იმ სახლის ქირითი ფასეულობა, რომელშიც თვითონ პატრონი ბინადრობს და, მაშასადამე, ქირას არ იხდის, გაიგება ამგვარსავე გაქირავებულ შენობასთან შედარებით. ხარჯები: შეკეთების და მართველობის, ცეცხლისაგან დაზღვევის პრემიები და სხვ. (გარდა ვალებისა), ახალი დროის კანონების მიხედვით, შემოსავლიდან გამოირიცხება. ქირითი შემოსავლის გამორკვევა ხდება შესაკუთრეთა დეკლარაციის თანახმად, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, მდგმურთა და დამქირავებელთაგან მიღებული ცნობებით კონტროლს უწევს სახარკო უწყება. სახარკო ვალდებულება ქირითი შემოსავლის პროცენტებში გამოიანგარიშება. სოფლად, სადაც სახლების გაქირავება იშვიათი მოვლენაა, დაბეგვრა ხდება არეალის ანუ ფართობის ხარკის ფორმით, ე. ი. შენობით მოცული მიწისა და ეზოს ფართობის მიხედვით, რომლის ფასეულობა უმაღლესი საკადასტრო ხარისხის შესაფერად იანგარიშება. საუკეთესო წესია საკლასო სქემის მიხედვით დაბეგვრა. აქ ხარკის საზომად აღილება საცხოვრებელი ფართობი ან მთელი რიგი განსაზღვრულ ნიშნეულობათა, როგორცაა სახე შენობისა, სართულების რიცხვი და სიდიდე სადგომებისა, ანდა, როგორც წინააღმდეგობაში, გარეთ გამავალ კარ-ფანჯრების რიცხვი. უკანასკნელ დროს უპირატესობა ეძლევა დაბეგვრას საერთო ფასეულობის მიხედვით.

პრუსიაში შენობებიანი მიწები იბეგრება საადგილ-მამულო ხარკით (იხ. ზევით 140 გვ.). სახლიდან მიღებული შემოსავლისთვის საადგილ-მამულო ხარკზე დაწესებულია დანარიცხი 700/0, რომელიც ზოგიერთ შენობებისთვის შეიძლება დაყვანილ იქნეს 500/0-მდე, მხოლოდ პატრონის საბინადროდ გამოყენებულ სახლებისთვის—400/0-მდეც. ხარკის ნაწილი საბინაო მშენებლობას ხმარდება (თემთა ხარკების შესახებ იხ. საადგილ-მამულო ხარკის შენიშვნა). ბავარიის საშენობო ხარკი დამყარებულია 1828 წ. 15 აგვისტოს კანონსა და 1910 წ. 14 აგვისტოს, 1918 წ. 17 აგვისტოს და 1924 წ. 31 მარტის კანონებზე. სოფლისთვის ის დაწესებულია ფართობის ხარკის სახით და შემოსავლიად ეზოსა და შენობიანი მიწის თითოეულ არზე (22 კვ. საუ.) 40 მარკა იანგარიშება. ხარკის ნორმა 20/0-ს შეადგენს. ქალაქებში ის დაწესებულია ქირის ხარკის სახით, ომის წინადროინდელი ქირის 20/0-ის რაოდენობით. ამას გარდა, ორივე შემთხვევაში ამჟამად აღილება დამატება 550/0-ის რაოდენობით, საბინაო აღმშენებლობისა და

უზღუდული მიზნებისათვის სახსრის მოსაპოვებლად, ნორმალურ სახარკო განაკვეთზე (უდამატებოდ) ოლქებს და თემებს შეუძლიათ დანარიცხების აღება.

1924 წლის 14 თებერვლის მე-3 სახარკო დებულებისა და 1925 წ. 10 აგვისტოს საფინანსო განრიგების კანონის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკები ვალდებული არიან ყოველგვარ შენობებიან მიწებზე ფულის ფასეულობის სანაცვალგებო ხარკი დააწესონ, რომლიდანაც ომის წინადროინდელი ქირის 20-30% საერთო საფინანსო საჭიროებას მოხმარდება, ხოლო ნაშთი საბინაო აღმშენებლობისათვის (პატარა ბინების მშენებლობა და სხვ.) გამოიყენება.

ს. ს. რ. კავშირში 1926 წლის 25 აპრილის (კავშირის) და 1926 წ. 9 აგვისტოს (ამიერ-კავკასიის) ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ საშენობო ხარკი. ხარკი ეხება საცხოვრებელ სახლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, საწყობებს, საეაქრო სადგომებს, თეატრებსა და ყოველგვარი სხვა სახის შენობებს, რომელნიც კერძო პირთა, საზოგადოებათა, სარეწათა და სახელმწიფო და კომერციულ დაწესებულება-სარეწათა სარგებლობას ან მფლობელობაში იმყოფებიან.

ხარკვალდებულია შენობის მფლობელი ან იმით მოსარგებლე. ხარკისგან თავისუფალია: შენობები, დაქერილი სამხედრო ნაწილების და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მიერ, რკინისგზის ტრანსპორტის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის დანიშნული შენობები, პროფესიონალური კავშირების, მათა ორგანოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და ინვალიდთა დაწესებულებების მიერ დაქერილი შენობები, ის საცხოვრებელი შენობები, რომელიც აგებულია ან აღდგენილია აღნაგობის უფლების ხელშეკრულობის საფუძველზე (აგება-აღდგენიდან—სამი წლის განმავლობაში), წითელი ლაშქრის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების კლთვნილი შენობები, კონსერვაციამნილი სახელმწიფო სამრეწველო სარეწაოების შენობები, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკით დაბეგრილ მეურნეობათა შენობები და სხვ..

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს შენობის მატერიალური ღირებულება, რის გამორკვევაც ხდება შეფასებით, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული წესების საფუძველზე. სახარკო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ღირებულების $\frac{1}{4}\%$ -ს.

საშენობო ხარკის შემოსავალი შეადგენდა მთელს ა/კ. ფედერაციის: 1924/25 წ.—180,7 ათას მ. ანუ მთელი ადგილობრივი შემოსავლის 0,5%-ს, 1925/26 წ.—281,8 ათას მ. ანუ—0,5%-ს (წინა წელთან შედარებით—155,90%-ს), ხოლო 1926/27 წ. ნეარაუდვეი იყო 593,9 ათასი მ. ანუ—0,9% (1924/25 წ. შედარებით—328,70%); საქართველოში შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ.—108,8 ათას მ. ანუ—0,5%-ს, 1925/26 წ.—117,8 ათას მ. ანუ—0,4%-ს (წინა წელთან შედარებით—08,90%) ხოლო 1926/27 წ. შემოსავლად ნეარაუდვეი იყო 292,7 ათასი მ. ანუ—0,7% (1924/25 წ. შედარებით—269,00%).

§ 43. **სარეწავი ხარკი.**—სარეწავი ხარკის ობიექტი და სახარკო წყარო არის საეაქრო-სამრეწველო საქმიანობის შემოსავალი; ხარკვალდებულია სარეწაოს პატრონი, იჯარის დროს კი ხარკვალდებულია იჯარადარი, ხოლო მესაკუთრე საიჯარო შემოსავლისათვის სხვა ხარკით (უმთავრესად საშემოსავლო ხარკით) იბეგრება. ცნება „რეწვის“, „მრეწაობისა“ სახარკო კანონებში მეტად ფართოდ

იგულისხმება. ყოველგვარი სახის ჩვეულებრივ სამრეწველო საწარმოთა გარდა მასში შედის აგრეთვე სამთამადნო საქმე, ვაჭრობა ნისი დამხმარე სარეწაოებითურთ, საბანკო, სატრანსპორტო და დამზღვევი სარეწაოები, მექარვასლეობა (სასტუმრო საქმე) და პირადი სამსახური. ჩვეულებრივ სარეწავი ხარკი სააქციო საზოგადოებათა სარეწაოებზედაც ვრცელდება. ძველ სახარკო კანონებში, ასე, მაგ., საფრანგეთის 1878 წლის საპატენტო (სარეწავი) ხარკის კანონში, აგრეთვე სამხრეთ გერმანიაში, დაბეგვრა დაწესებული იყო გარეგან ნიშნეულობათა მიხედვით, — ერთის მხრივ იმ ადგილის სიდიდის მიხედვით, სადაც სარეწაო იყო გამართული, ხოლო მეორეს მხრივ თვით საწარმოს ნიშნეულებათა მიხედვით: მაგ., მუშა-ხელის რიცხვის, დამზადებულ ნაწარმოებთა რაოდენობისა ან დამუშავებული ნედლეულის მიხედვით. ამგვარად, ხარკი ეხებოდა არა სარეწაოს ნამდვილ გამოსავლიანობას, არამედ — ნავარაუდევს: სარეწაოს ხელმძღვანელის პირადი გავლენა შემოსავლის ოდენობაზე, ორგანიზაციისა და კაპიტალის გამოყენების სხვადასხვაობა, რასაც სარეწაოს გამოსავლიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მხედველობაში არ მიიღებოდა, ასევე — წარმოება-მოპოვების ხარჯებიც და ვალის სარგებელიც. მე-19 საუკუნეში, სამრეწველო სარეწაოთა დიფერენციაციასა და წსხვილ სარეწაოთა წარმოშობასთან ერთად, რომელთა ძველ სქემაში მოთავსება არ ხერხდებოდა, ხარკის რეფორმა შეიქნა აუცილებელი. ეს რეფორმა იმაში გამოიხატა, რომ სარეწავი ხარკი სავაჭრო-სამრეწველო შემოსავლის ხარკს დაუახლოვდა, შეფასებითი გამოსავლიანობის ნაცვლად აღებულ იქნა ნამდვილი გამოსავლიანობა გადამხდელთა დეკლარაციის საფუძველზე და დაშვებულ იქნა საწარმოო ხარჯებისა და სარეწაოს ვალების გამორიცხვა. ზოგიერთ სახარკო კანონში, ამას გარდა, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სიდიდეც იქნა ხარკის საზომ საფუძველად მიჩნეული. სარეწავი ხარკი ამ ფორმით სავაჭრო-სამრეწველო შემოსავლისა და სავაჭრო-სამრეწველო ქონების ხარკთა შეერთებას წარმოადგენს.

მავალი ანუ მოძრავი მრეწაობა უმრავლეს შემთხვევაში სავანგებო გადასახადით, — მოძრავი ვაჭრობის ხარკით იბეგრება. ამ გადასახადის სახარკო განაკვეთები ჩვეულებრივ უფრო დიდია, ვიდრე საერთო სარეწავი ხარკის, კიდევ უფრო დიდი განაკვეთებია დაწესებული უნივერსალური მაღალეებისა; მოძრავი საწყობებისა და აუქციონებისა და სასტუმრო-სამიკიტნოებისათვის. უნივერსალური მაღალეების დაბეგვრის სა-

ზომად ხშირად მთლიანი (ბრუტო) ბრუნვის სიდიდეს იღებენ, რაც სამართლიანი დაბეგვრისათვის გამოსადეგ საფუძველს არ წარმოადგენს. შედარებით დიდი განაკვეთების დაწესება ამ სპეციალი ხარკებისთვის აიხსნება იმ საგანგებო მიზნებით, რომელიც მათ ახლავს უნივერსალური მალაზიებისა და მოძრავი საწყობების უფრო ძლიერად დაბეგვრით მთარველობა ეძლევა წვრილ და ბინადარ ვაჭრობას, ხოლო სასტუმრო-სამიკიტნოების მეტად დაბეგვრით მათი რიხი უნდა შეიზღუდოს.

პ რ უ ს ი ა.—(კანონები: 1923 წ. 23 ნოემბ., დამატებანი 1924 წ. 16 თებერვ., 1925 წ. 28 მარტის, 6 ივნისის და 27 ივლისის). ხარკვალდებული ბინადარი ვაჭრობა-მრეწველობა (სამთამადნო მრეწველობის ჩათვლით), რომლის სარეწაოები პრუსიაში მდებარეობენ; საქველმოქმედო და საზოგადო სარგებლობის სარეწაოები, შესაძლებელია, შუამდგომლობისამებრ, გადასახადისგან განთავისუფლებულ იქნენ. ხარკვალდებულია მეპატრონე. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს: 1. რეწვითი შემოსავალი საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონის მიხედვით, მაგრამ ვალის სარგებლის მხედველობაში მიუღებლად, 2. სარეწაოს კაპიტალი საიმპერიო საქონეზე ხარკის კანონის მიხედვით; ამის ნაცვლად შესაძლებელია სათემო დაბეგვრისას გამოყენებულ იქნას, თემის გადაწყვეტილების მიხედვით, ხელფასად გადახდილი თანხა. ხარკი შეადგენს: სარეწაოს გამოსავლიანობაზე 1—2⁰/₁₀₀-ს და კაპიტალზე—1—1¹/₂⁰/₁₀₀-ს. გამოსავლიანობითი სახარკო განაკვეთი დიდდება, როდესაც გამოსავლიანობა კაპიტალის 50⁰/₁₀₀-ს აღემატება. სახარკო განაკვეთი სახელფასო თანხისთვის შეადგენს ამ თანხის 1⁰/₁₀₀-ს, მაგრამ დიდდება, როდესაც სარეწაოს გამოსავლიანობა ხელფასის თანხას აღემატება. სარეწაო ხარკს თუმცა სახელმწიფო აწესებს, მაგრამ არ ჰკრეფს: ეს ხარკი თემებს აქვთ გადაცემული. თემების მხრივ დანარიცხები აღნიშნული გამოსავლიანობისა და კაპიტალის (და სახელფასო თანხის) დაბეგვრაზე თანაბარი უნდა იყოს; თუ დანარიცხი 200⁰/₁₀₀-ს აღემატება, სავალდებულოა ნებართვის აღება. სარეწაოთა ფილიალებისა და სასტუმროების შესახებ ნებართულია სპეციალი დანარიცხი 20⁰/₁₀₀-მდე. მოძრავი მრეწაობის და მოძრავი საწყობების ხარკს სახელმწიფო იღებს; ამთგან პირველზე თემებს შეუძლიათ დანარიცხი აიღონ (100⁰/₁₀₀-მდე, ზევით კი—ნებართვია საჭირო).

ბ ა ვ ა რ ი ა.—ბავარიის სარეწავი ხარკი შესდგება სარეწაოს კაპიტალის და გამოსავლიანობის ხარკისგან. პირველის საზომს წარმოადგენს საწარმოო კაპიტალი, ძირითადი კაპიტალის ჩარიცხვით და ვალების გამორიცხვით (მაშასადამე, მანქანები, წყლის ძალა, მარაგი, ნედლი და დამზარე მასალი, საშემოსავლოდ გამოსაყენებელი უფლებები, ნაღდი ფული და სხვ.); სახარკო განაკვეთი საფეხურებდა და დანაწილებული (შტაფელიანი). სარეწაოს გამოსავლიანობის ხარკის საზომს წარმოადგენს წმინდა გამოსავალი, რომელიც გაირკვევა საიმპერიო საშემოსავლო ანდა საკორპორაციო ხარკის კანონის დადგენილებათა მიხედვით; აქაც სახარკო განაკვეთი საფეხურებდა და დანაწილებული.

ს ა ქ ს ო ნ ი ა.—ძალაშია 1921 წ. 6 ოქტ. კანონი. ხარკვალდებულია საქონლის ბინადარი ვაჭრობა-მრეწველობა, აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის საწარმონი, მებადეობა და სხვ., თავისუფალი პროფესიის პირთა (ექიმების, ვეკილების და სხვ.) პროფესიონალური საქმიანობა და სამეცნიერო, სახელოვნო, სალიტერატურო და სხვ. საქმიანობა. დაბეგვრის საზომი არის: 1. ძირითადი და

საბრუნავი კაპიტალი (იმ ნაწილის გამოკლებით, რომელსაც საადგილ-მამულო ჭარკი ეხება), განსაზღვრული შეფასების წესის თანახმად (ვალების გამოურიცხავად); 2. სარეწაოს გამოსავლიანობითი ფასეულობა, რომელიც გამოიანგარიშება ნამდვილი გამოსავლიანობისა, გამოყენებულ სადგომთა ქირითი ფასეულობისა და მუდმივი მუშების რიცხვის მიხედვით. სახარკო განაკვეთი შეადგენს სერთოდ კაპიტალზე $1\frac{1}{2}\%$ -ს, სარეწაოს გამოსავლიანობაზე $—1\frac{1}{2}$ — $2\frac{1}{6}\%$ -ს, რასაც დაერთვის ქირითი ფასეულობის 5% და ყოველ მუშა-მოსამსახურეზე 5 მარკა. 1924 წ. 10 მაისის კანონით, ასეთი შეწერის მაგივრად, დაწესებულ იქნა დროებით ხარკის წინასწარ გადახდა ამ ზომისად: 1. გადასახადი გადახდილი ხელფასისა და ჯამაგირის მიხედვით (ე. წ. „შრომის დამქირავებელთა გადასახადი“), 2. გადასახადი 30 მარკის ოდენობით, 3. გადასახადი საწარმოო ქონებისა 1% -ის ოდენობით, უკეთეს მესარეწე საზოგადოდ საქონებო გადასახადისთვის ხარკვალდებულისა. თემთა და ოლქთა კავშირების დანარიცხები „შრომის დამქირავებელთა გადასახადზე“ არ ვრცელდება.

როგორც საიმპერიო საშემოსავლო ხარკისთვის, ისევე მოკავშირე რესპუბლიკების სარეწავი ხარკისთვისაც 1922-24 წლებში სწორი შეწერა განუხორციელებელი შეიქნა, ფულის ფასეულობის დაცემის გამო, და ამიტომ აქაც წინასწარი გადახდის წესი მოიშველიეს.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი:

1. ს ა რ ე წ ა ვ ი ხ ა რ კ ი. შემოდებულ იქნა (რ. ს. ფ. რ.-ში) 1921 წლის 26 ივლისის დეკრეტით, რომელშიც შემდეგ მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. ამჟამად: ძალაშია მთელი კავშირისთვის 1926 წ. 24 სექტემბრის დებულება, 1927 წ. 14 დეკემბრის დადგენილებების; დამატებით. ხარკი ეხება ყველა სავაჭრო და სამრეწველო სარეწაოს და იმ სარეწავ საქმიანობას, რომელიც სავანგებო ნუსხაშია შეტანილი (მაგ., სახელოსნო და საშინამრეწველო წარმოება, ტვირთზიდვის რეწვა, ნოქრები, აგენტები და სხვ. მოსამსახურენი განსაზღვრული ხარისხის სავაჭრო-სამრეწველო სარეწაო-ებში, დირექტორები, ბაჟიანი საქონლის ექსპედიტორები და სხვ.). ხარკისგან თავისუფალია: სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო და კომუნალური სარეწაოები, რომელთა ექსპლოატაცია უშუალოდ სწარმოებს (იჯარით გაუცემლად) და კერძო საქიროებათა დაკმაყოფილებას არ ემსახურება, აგრეთვე ასეთებიც (კერძო საქიროების სარეწაოები),—თუ მათი მიზანია საზოგადოებრივი კეთილმოწყობა, მიმოსვლის გაადვილება, ჯანმრთელობის დაცვა და მოსახლეობის ჭურსათით უზრუნველყოფა; სახელმწიფო რკინის გზები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო დახდევია ყველა ოპერაციებისთვის, გარდა სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებისა, კომუნალური მეურნეობის და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური და რესპუბლიკური ბანკები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებანი, ტელეგრაფის სააგენტო, წითელი ლაშქრის მომარაგების საგანთა დამზადების ოპერაციები (სახელმწიფო სარეწაოთა), საზოგადო სარგებლობის ელექტროსადგურები, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის: საკურორტო პანსიონები, ლაბორატორიუმები, სასტუმროები, სასადლოები და სხვ. (1929 წლის 1 აპრილამდე); წითელი ჯვრის საზოგადოებათა სარეწაოები (იჯარით გაუცემელი), სამეცნიერო, ტექნიკური, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებანი, მუზეუმები, თეატრები, კონცერტები, ცირკები-აგრეთვე კინოები (მხოლოდ დაწესებულებებსა, სარეწაოებსა, სამხედრო ნაწილებსა, სასწავლებლებსა და პროფესიონალურ კავშირებთან არსებულს); სახელმწიფო, კოლმურატიული, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პროფესიონალური ორ-

განიზაცების წიგნების გამომცემლობა და მით ვაქრობა; ავტორთა მიერ საკუთარ ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემა-გაყიდვა; სასოფლო-სამეურნეო ხარკით დაბეგრული სოფლის მეურნეობის დარგები; კოლპე-რატიული ორგანიზაციები სხვადასხვა სახისა (განსაზღვრული პირობების მიხედვით); შრომის და ომის ინვალიდთა ზოგიერთი პირველადი გაერთიანება და მათი კავშირები, პირველი შჯულის ინვალიდთა სარეწავი საქმიანობა, საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწავი საქმიანობა დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, თუ მათელი გამოუმუშავებული ნაწარმოები არტელს გადაეცემა; სატყეო-სამონადირო, სათევზაო და სამთო რეწვითი საქმიანობა დაქირავებული შრომის გამოუყენებლად; ოქროს, პლატინის და რადიუმის ძიება, კვლევა და მოპოება, ხოლო სხვა ლითონთა—ზოლოდ ძიება და კვლევა; საკუთარი ნაწარმოებით ვაქრობა, თუ ეს საგანგებო საეაქრო სადგომში არ სწარმოებს, შემთხვევითი ვაქრობა ნახშირი საოჯახო ნივთებით, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებით ვაქრობა ხელზე, კალათებით, მოძრავი მაგიდებით და სხვ. საგანგებო ნუსხაში გაუთვალისწინებელი განთავისუფლება ხარკისაგან, განსაზღვრულ ფარგლებში, შეიძლება დაწესდეს საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების და საკავშირო სახალხო კომისარიატების მიერ.

ს ა რ კ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა სარეწავის მეპატრონე ან ის პირი, რომელიც სარეწავ საქმიანობას ეწევა. სარეწავი ხარკი შესდგება საპატენტო და სათანაბრო გამოსადებისაგან. საპატენტო გამოსადების განაკვეთის გამოსარკვევად საეაქრო სარეწავი იყოფიან 6 ხარისხად:

პ ი რ ვ ე ლ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს პ ა ტ ე ნ ტ ი დაწესებულია საგანგებო ნუსხაში ჩამოთვლილი საგნებით (მაგ., სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, შეშა, ნახშირი, თიხა, კირი, ცარცი, გამომცხვარი პური, მარილი, თევზი, რძის პროდუქტები, მწვანე მწიფე-ლობა, ხილი, გამაგრებელი სასმელები, საჭმელები, საფუარი, იაფი ტკბილეულობა და სხვ.) წვრილი ვაქრობისათვის ბაზრებსა და სხვა ადგილებში, როდესაც ვაქრობა ერთპიროვნულად იწარმოება, საქონელი ხელიდან ან მიწაზე გაშლით გაიყიდება, ანდა ყუთებსა და კალათებში ჩაფარებით, რომელთა გადატანა, საქონელთან ერთად, ერთ ადამიანს შეუძლია, აგრეთვე—სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა მცირე შესყიდვისათვის (100 მ. თვიურად), იჯარა-ჩაბარებისათვის (1000 მანეთამდე) და სხვ.

მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ი ს პ ა ტ ე ნ ტ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ა ერთპიროვნულად ან ოჯახის ერთი წევრის დახმარებით ყოველგვარი საქონლით ვაქრობა, გარდა საგანგებოდ ჩამოთვლილისა (მაგ., ძვირფასი ქვა, ოქროს, პლატინის, ვერცხლის და ზოგიერთი სხვა ლითონის ნაწარმოები, ძველებური ნივთები, ალიუმინის, სპილენძის და ნიკელის ქურტლები, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვ. ხელსაწყოები, ელექტრო-მოწყობილობა, საკერავი და საქსოვი მანქანები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ.), მოძრავი ან პატარა მულმივი სადგომებიდან, რა უმეტეს 5 კვ. მეტრის ფართობისა; ამავე ხარისხს მიეკუთვნება აგრეთვე პროდუქტთა შესყიდვა 300 მანეთამდე თვიურად, იჯარა-ჩაბარება—2500 მან.-დე და სხვ.

მ ე ს ა მ ე ხ ა რ ი ს ხ ი ს პ ა ტ ე ნ ტ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ა ყოველგვარი საქონლის საცალო ვაქრობა, თუ მასში 4 პირზე მეტი არ მოსაქმეობს, პროდუქტთა შესყიდვა 800 მან.-დე თვიურად, იჯარა-ჩაბარება—2500—2700 მან.-დე და სხვ.

მ ე ო თ ხ ე ხ ა რ ი ს ხ ი ს პ ა ტ ე ნ ტ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ა: საცალო ვაქრობა, თუ მასში 5—8 პირზე მეტი არ მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაქრობა საგანგებო ნუსხაში ჩამოთვლილი საქონლით (ხორბლეული, ფქვილი, შეშა, მადნეული, ნა-

ვით, ბამბა, ბაწარი. და სხვ.), თუ მასში 5 პირზე მეტი არ მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაჭრობა ყოველგვარი სხვა საქონლით, თუ მასში 3 პირზე მეტი არ მოსაქმეობს; პროდუქტთა შესყიდვა 2000 მან.-დე თვიურად და იჯარა-ჩაბარება 7000—18.000 მან.-დე და სხვ..

მეხუთე ხარისხის პატენტკუთვნილია: საცალო ვაჭრობა, თუ მასში 9—15 პირი მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაჭრობა იმგვარივე საქონლით, როგორც მეოთხე ხარისხისთვისაა აღნიშნული, თუ მასში 6—8 პირი მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაჭრობა ყრველგვარი სხვა საქონლით, თუ მასში 4—6 პირი მოსაქმეობს; საბითუმო ვაჭრობა იმგვარივე საქონლით, როგორც ნახევრად საბითუმო ვაჭრობისთვისაა აღნიშნული, თუ მასში 3 პირზე მეტი არ მოსაქმეობს; შესყიდვა 5000 მან.-დე თვიურად, იჯარა-ჩაბარება 18.000—40.000 მან.-დე და სხვ..

მეექვსე ხარისხის პატენტკუთვნილია: საცალო ვაჭრობა, თუ მასში 15 პირზე მეტი მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაჭრობა იმგვარივე საქონლით, როგორც მეოთხე და მეხუთე ხარისხის ვაჭრობა, თუ მასში 8 პირზე მეტი არ მოსაქმეობს; ნახევრად საბითუმო ვაჭრობა ყრველგვარი სხვა საქონლით, თუ მასში 6 პირზე მეტი მოსაქმეობს; საბითუმო ვაჭრობა იმგვარივე საქონლით, როგორც ნახევრად საბითუმო ვაჭრობა, თუ მასში 5 პირზე მეტი მოსაქმეობს; საბითუმო ვაჭრობა ყოველგვარი სხვა საქონლით, თუ მასში 3 პირზე მეტი მოსაქმეობს; შესყიდვა 5000 მანეთზე მეტი ფასის პროდუქტთა თვიურად, იჯარა-ჩაბარება—40.000 მანეთზე მეტი და სხვ..

სავაჭრო სარეწაოთათვის საპატენტო გამოსადგების განაკვეთი დაწესებულია ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით; 1-ლ (უმაღლეს) კლასში შედის: ტუფლისი, ბაქო, კიევი, ლენინგრადი, ადესა, დონის როსტოვი ნახიჩევანით და ხარკოვი; მე-2 (საშუალოზე მაღალ) კლასში—პათომი, ერევანი, განჯა და სხვ. ქალაქები, აგრეთვე—დედა-ქალაქის და 1-ლი კლასის ქალაქთა განაპირა ადგილები; მე-3 (საშუალო) კლასში—ქუთაისი, სოხუმი, ფოთი, ლენინაკანი და სხვ. ქალაქები, აგრეთვე დედა-ქალაქის და 1-ლი და მე-2 ხარისხის ქალაქთა მხარეები; მე-4 (საშუალოზე დაბალ) კლასში—სხვა დასახლებული ადგილები ქალაქური ხანისა და მე-3 კლასის ქალაქთა მხარეები; მე-5 (დაბალ) კლასში—დანარჩენი სოფლის ადგილები. კლასს გარეშეა—მოსკოვი. წლიური საპატენტო განაკვეთი ამათვის, სავაჭრო სარეწაოთა ხარისხების მიხედვით, შეადგენს (მან.):

სარეწაოს-ხარისხი	მოსკოვი	კლასები (ადგილები ს)				
		1-ლი	მე-2	მე-3	მე-4	მე-5
I	25	18	14	10	7,5	6
II	43	31	24	17	13	11
III	130	93	72	51	39	33
IV	360	260	200	140	110	90
V	860	620	480	340	265	215
VI	1800	1300	1000	700	550	450

სამრეწველო სარეწაოებისთვის დაწესებულია საპატენტო გამოსადგების ხუთმეტრი ხარისხი, მუშათა რიცხვის და ნაწილობრივ პროდუქტის მიხედვით; ზოგიერთ სამრეწველო სარეწაოსთვის დაწესებულია ხარისხის ამატება ერთი საფეხურით,—ესეთია, მაგ., მატყლის სართავი და საქსოვი ფაბრიკები, აბ-

რეშუმის ფაბრიკები, ქიმიური ქარხნები, ტყავის წარმოება, ბრინჯაოს და ალიუმინის წარმოება და სხვ.. განაკვეთი აქაც ადგილმდებარეობის ხუთი კლასის მიხედვით არის დაწესებული და შეადგენს (მან.):

სარეწაოს ხარისხი	მოსკოვი	კლასები (ადგილები ს)				
		1-ლი	მე-2	მე-3	მე-4	მე-5
I	15	11	9	7	4,5	5
II	31	23	18	14	9	16
III	60	44	35	28	18	13
IV	96	72	60	48	33	26
V	134	104	86	72	52	44
VI	190	150	128	110	83	73
VII	250	202	176	155	123	110
VIII	312	253	232	208	174	160
IX	400	344	312	288	248	232
X	504	448	416	392	352	336
XI	680	624	600	576	540	520
XII	1024	984	960	944	912	896
XIII	1520	1520	1520	1520	1520	1520
XIV	2080	2080	2080	2080	2080	2080
XV	2880	2880	2880	2880	2880	2880

განსაკუთრებული პატენტია დაწესებული სავაქრო-სამრეწველო სარეწაოთა საწყობებისათვის სარეწაოს ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. სარეწავი საქმიანობისთვის, საგანგებო ნუსხის თანახმად, დაწესებულია ხუთი ხარისხის პატენტი საქმიანობის ხასიათის მიხედვით, ხოლო საპატენტო განაკვეთი—მ ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით და შეადგენს (მან.):

სარეწავი საქმიანობის ხარისხი	მოსკოვი	კლასები (ადგილები ს)				
		1-ლი	მე-2	მე-3	მე-4	მე-5
I	12	9	7		3,5	2,5
II	17	13	10	8	5	4
III	29	22	17	14	8,5	7
IV	46	36	27	22	14	11
V	75	57	44	36	22	18

ფუფუნების საგანთა (ძვირფასი ტყავეულობა, დამუშავებული ბეწვეული, უცხოეთის აბრეშუმის ქსოვილები, ხვერდელულობა, ქალის ქუდეები ძვირფასი ფრთებით და ყვავილებით, და სხვ.) წარმოებისა და ვაჭრობისათვის დამატებითი საპატენტო გამოსაღებია დაწესებული: წარმოებისთვის—ძირითადი საპატენტო გამოსაღების ღირებულების 50%, ხოლო ვაჭრობისთვის—მე-3 ხარისხის სავაჭრო სარეწაოთა ძირითადი საპატენტო გამოსაღების 100—300%-მდე.

საგანგებო საპატენტო გამოსაღებია დაწესებული მაგარი სასმელების ვაჭრობისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ.—წარმოებისთვისაც) და თამბაქოს ნაწარმოებთა ვაჭრობისათვის (იხ. § 62 და 63-ის შენ.).

სათანაბრო გამოსაღები, რომელშიც ჩაირიცხება გადახდილი საპატენტო გამოსაღების ნახევარი (გარდა საწყობების, ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობის და პირადი სარეწავი საქმიანობის პატენტებისა)*), ეხება ყველა სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოს, რომელიც ვალდებულია პატენტი აიღოს, გარდა 1-ლი ხარისხისა ან მხოლოდ ბაზრობაზე წარმოებული ვაჭრობისა, აგრეთვე გარდა 1—3 დეკარავებული მუშით მოსაქმე შინამრეწველ-ხელოსნებისა, რომელნიც სათანაბრო გამოსაღების მაგივრად გადახდილი ფასის 1-ლი ხარისხის პატენტს იღებენ.

სათანაბრო გამოსაღების საზომ საფუძველს წარმოადგენს ბრუნვა. ბრუნვად კანონს მიჩნეული აქვს: 1) ვაჭრობისთვის—სარეწაოს მთელი გამოსავლიანობა; 2) სამრეწველო სარეწაოსთვის, ა) რომელიც თვით აწარმოებს ნედლეულის მოპოვებას ან საკუთარი მასლით ნაწარმოებთა დამზადებას,—ნედლეულის ან ნაწარმოების გაყიდვით ადებული ფასი, ბ) რომელიც მუშაობას სხვისი ნედლეულით აწარმოებს,—მთელი მონაგარი, სხვისი ნედლეულის ღირებულების ჩაუთვლელად; 3) სატრანსპორტო, სატვირთო დედა და შრომის არტელთა სარეწაოსთვის,—მთელი შემოსავალი; 4) საშუაშელო, საკომისიო და სექსპედიციო სარეწაოსთვის—მთელი მიღებული გასამრჯელო; 5) საკრედიტო დაწესებულებათათვის—მთელი მოგება (სარგებელი, კომისია და სხვ.), ხოლო სავაჭრო ოპერაციებით—მთელი ანაღები თანხა; 6) ერთ წელზე უფრო ხანგრძლივი იჯარა-ჩაბარებისათვის—თანხა, რომელიც წინა წელში შესრულებული საქმისთვის არის მიღებული, ხოლო უფრო მოკლე ვადის იჯარა-ჩაბარებისთვის—ის თანხა, რომელიც საერთოდ შესრულებული საქმეებით მიიღება. სათანაბრო გამოსაღების განაკვეთის საერთო ნორმაა: საბითუმო ვაჭრობისთვის—10%, საცალო ვაჭრობისთვის—1 1/2%, ხოლო მრეწველობისთვის—1 1/3%. ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის სათანაბრო გამოსაღების განაკვეთი დიდდება და შეადგენს: წარმოებისა და საბითუმო ვაჭრობისთვის—40%-ს, ხოლო საცალო ვაჭრობისთვის—60%-ს. ვაჭრობა-მრეწველობის ცალკე დარგებისთვის კი, ამ ნორმების საფუძველზე, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი მეტნაკლებ განაკვეთებს აწესებს. 1927 წ. 19 დეკემბერს დამტკიცებული ნუსხის თანახმად ეს განაკვეთები შეადგენს: საბითუმო ვაჭრობისთვის—0,1—40%-ს, საცალო ვაჭრობისთვის—0,6—60%-ს, მოპოვებელი მრეწველობისთვის—0,25—1,50%-ს, ფაბრიკა-ქარხნებისთვის—0,25—30%-ს და სხვ.

*) იხ. სარეწავი ხარკის დებულება, § 10. არის პრაქტიკული საპატენტო გამოსაღების სათანაბროში ჩათვლის გაუქმების შესახებ; რომელსაც, ამ წიგნის ბეჭდვის დროს, საკანონმდებლო სანქცია არ აქვს მიღებული.

სათანაბრო გამოსაღებით და ბეგვრა ორგვარი წესით ხდება: „ცენტრალიზაციური“ და „საერთო“ წესით. ცენტრალიზაციური წესით იბეგრებიან, გამგეობათა საყოფადგილების მიხედვით, სახელმწიფო ტრესტები (კომბინატები), სახელმწიფო სავაჭრო სარეწაოები, სინდიკატები, სააქციო (საპაიო), საზოგადოებანი, ბანკები, სასურთიერეთო კრედიტის საზოგადოებანი და კოოპერატივთა კავშირები. ამათვის დასაბეგრ ბრუნვად ჩაითვლება როგორც გამგეობის, ისე სარეწაოს კუთვნილ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საერთო. ბრუნვა; საქონლის მოძრაობა. სარეწაოს შიგნით კი დასაბეგრ ბრუნვაში არ ჩაირიცხება. აღნიშნულ სარეწაოთა გამგეობანი საგანგებო სახარკო კომისიაში წარადგენენ, დაწესებულ ვადებში, ყველა გაერთიანებულ სარეწაოთა დაწვრილებით სიას გადახდილი საპატენტო გამოსაღების თანხის აღნიშვნით, აგრეთვე — ანგარიშს სარეწაოს ყველა დაწესებულებათა ბრუნვის შესახებ. თუ ეს ანგარიში სათანადო ვადაში არ იქნა წარდგენილი, სათანაბრო გამოსაღებით მათი დაბეგვრა ხდება. საგანგებო სახარკო კომისიის განკარგულებაში არსებული მასალის საფუძველზე, საერთო წესით იბეგრება ყველა დანარჩენი სარეწაო, რომელთა მეპატრონენი ვალდებული არიან, სარეწაოს მოკმედების დაწყებიდან 1½ თვის განმავლობაში, თინანსთა ინსპექტორს წარუდგინონ განცხადება სარეწაოს ბრუნვის შესახებ. ბრუნვის გამორკვევა ხდება როგორც ამ განცხადების, ისე — სავაჭრო დავთრების, საბუთების და სხვა ცნობათა საფუძველზე.

გადამხდელთათვის განსაზღვრულ შემთხვევებში შედგათუბია დაწესებული. ხარკი უმცირდება: მოხმარებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, თუ ისინი მხოლოდ თავიანთ წევრებს ემსახურებიან, — 25%-ით, ხოლო თუ სხვებსაც, — 10%-ით; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც მხოლოდ თავიანთ წევრებს ემსახურებიან, — 50%-ით; სარეწავ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც თავიანთ პროდუქციას მხოლოდ თავიანთ წევრებსა, კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებზე ასაღებენ, — 50%-ით; დაზღვევის კოოპერატიულ ორგანიზაციებს — 50%-ით; სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს — 25%-ით, და სხვ.

ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ სარეწავ ხარკზე შემდეგი დანარიცხები დააწესონ: ა) ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 100%-ისა; ყველა სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოთა სათანაბრო გამოსაღების და პირადი სარეწავი საქმიანობის პატენტის ფასის არა უმეტეს 100%-ისა; ბ) ადგილობრივად მოსახმარებელი მაგარი სასმელების სავაჭროებისგან — ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 200%-ისა და მათივე სათანაბრო გამოსაღების 150%-ისა; გ) ადგილობრივად მოსახმარებელი საქმლის და მაგარი სასმელების სავაჭროებისგან, რომელნიც ვაჭრობას 22 საათზე გვიან აწარმოებენ, — ფუფუნების საგანთა წარმოება-ვაჭრობისათვის ძირითადი და დამატებითი პატენტის ფასის არა უმეტეს 300%-ისა და მათივე სათანაბრო გამოსაღების 200%-ისა; დ) სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმოებით ვაჭრობის საგანგებო პატენტის ფასის არა უმეტეს 100%-ისა. ადგილობრივ საბჭოებსვე აქვთ მიკუთვნებული ხარკის გამოსავლიანობიდან ანარიცხი — 50% (იხ. ზევით, გვ. 106).

სარეწავი ხარკის შემოსავალი შეადგენდა მთელს კავშირში: 1924/25 წ. — 157.308 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 5,30%-ს, 1925/26 წ. 229.207 ათას მ. ანუ — 5,70%-ს (წინა წელთან შედარებით — 145,70%-ს); 1926/27 წ. ნავიარაუ-

დევნი იყო 290,535 ათასი მ. ანუ—6,9% (1924/25 წ. შედარებით—184,60/); ა/კ. ფედერაციაში შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ. 6.042 ათას მ. ანუ—30,10/0-ს, 1925/26 წ.—8.406 ათას მ. ანუ—22,10/0-ს (წინა წელთან შედარებით—139,10/0-ს), ხოლო 1926/27 წ.—13.429 ათას მ. ანუ—23,60/0-ს (1924/25 წ. შედარებით—222,20/0-ს); კერძოდ საქართველოში: 1924/25 წ.—2.544 ათას მ. ანუ—31,10/0-ს, 1925/26 წ.—3.721 ათას მ. ანუ—37,80/0-ს (წინა წელთან შედარებით 146,20/0-ს), ხოლო 1926/27 წ.—5.751 ათას მ. ანუ—41,40/0-ს (1924/25 წ. შედარებით—226,00/0-ს).

2. 1927 წლის 14 სექტემბრის კანონით 1927 წლ. 1 ოქტომბრიდან დაწესებულ იქნა ფასეულობათა ბრუნვის ხარკი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი იმავე წლის 21 დეკემბრის კანონით. ხარკვალდებულისა ყველა ის სავაჭრო-სამრეწველო სარეწაო, რომელიც სათანაბრო გამოსაღებით იბეგრება (იხ. ზევით გვ. 155). ხარკისგან თავისუფალია: სარეწაო, რომლისთვისაც სათანაბრო გამოსაღების მაგივრად საპატენტო გამოსაღების გადახდა დაწესებული ჯერადად, სარეწავი კოოპერატიული ორგანიზაციები ყველა ხარისხისა, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების არარეგისტრირებული საქონელთა სექსპორტო ოპერაციები, აგრეთვე—სახელმწიფო სარეწაოთა ოპერაციები წითელი ლაშქრის მობარაგების საგანთა დასამზადებლად.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს საგასაწერო წლის წინა წლის ბრუნვა. ბრუნვად აქ კანონს მიჩნეული აქვს იგივე, რაც სათანაბრო გამოსაღებისათვის.

სახარკო განაკვეთი შეადგენს: ყველა სარეწაოს ბრუნვისათვის, გარდა ქვევით დასახელებულთა,—0,70/0-ს; სახელმწიფო სანაოსნო (მდინარეებზე) საზოგადოებათა, საზოგადოება „კასპის ნაოსნობის“ და მდნის, ნახშირის, ნავთის, ლითონის და ელექტროტექნიკის საგანთა საწარმოო-სავაჭრო სარეწაოების ბრუნვისათვის—0,30/0-ს; საცალო ვაჭრობის სარეწაოთა და პირველი სამი ხარისხის პატენტკუთვნილ სამრეწველო სარეწაოთა ბრუნვისათვის—0,40/0-ს; კოოპერატიული ორგანიზაციათა ბრუნვისათვის: საცალო ოპერაციებით—0,20/0-ს, ხოლო საბითუმო ოპერაციებით—0,40/0-ს; საკომისიო ოპერაციების მწარმოებელ სარეწაოთა ბრუნვისათვის—20/0-ს; სინდიკატების ბრუნვისათვის (საკუთარ წევრთა პროდუქციის გასაღების ოპერაციებით): მდნის, ნახშირის, ნავთის, ლითონის და ელექტროტექნიკის საგანთა რელიზაციისა—10/0-ს, ხოლო დანარჩენ საგანთა რელიზაციის—1,50/0-ს.

3. ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ და აკრიფონ ადგილობრივ სახსართა გზა საძლიერებლად ოქროს სამრეწველო სარეწაოთა ხარკი. ხარკი ეწება ყველა ისეთ სარეწაოს, რომელსაც მიზნად აქვს ოქროს ძიება, კვლევა და მოპოება. სახარკო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ფაქტიურად მოპოებულ ოქროს ღირებულების 20/0-ს.

§ 44. კაპიტალის ხარკების (რენტის) ხარკია ისეთი ხარკი, რომელსაც სასესხო კაპიტალის მფლობელი იხდის კაპიტალის შემოსავლიდან. სხვა საქონებო-საშემოსავლო ხარკებთან შედარებით იგი უფრო გვიან წარმოიშვა,—სახელდობრ გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც მოძრავი ქონება გაიზარდა, კაპიტალის გასესხე-

ბა და კაპიტალისტების მონაწილეობა სააღებ-მიცემო საზოგადოებებში ხშირი შეიქნა, წარმოიშვა საკრედიტო დაწესებულებები და კაპიტალისტებისა და რენტორთა კლასი გაჩნდა. წინანდელ კანონებში ამ ხარკს გარეგნულად კაპიტალის ხარკის სახე ჰქონდა, ვინაიდან იგი გასესხებული კაპიტალის ნომინალური ოდენობის მიხედვით გაიზომებოდა; მაგრამ ამ ფორმითაც ნამდვილად მისი დანიშნულება იყო არა თავნი კაპიტალის დაბეგვრა, არამედ—მისგან მიღებული სარგებლის.

დაბეგრილი რენტისა და სარგებლის სახეთა მხრივ კანონმდებლობანი ერთმანეთისაგან განირჩევიან დეტალებში. შეიძლება მაინც საერთოდ ითქვას, რომ, ჩვეულებრივ, ხარკვალდებულთა ყველა სახის სასესხო კაპიტალის შემოსავალი (ობლიგაციებისა და საჰიპოტეკო ფურცლების სარგებელი, დივიდენდები, ზოგჯერ ვაღიანი და სასიცოცხლო რენტა) და აგრეთვე სახაზინო ვალდებულებათა სარგებელი და თამასუქების დისკონტის თანხები. სახელმწიფოს სესხის დაბეგვრის სისწორე და კანონიერება, მიუხედავად ამის ზოგჯერ საეჭვოდ მიჩნევისა, ვერ უარიყოფა, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ სარგებლის დაპირება და დაბეგვრა სხვადასხვა იურიდიულ საფუძველზეა დამყარებული და ერთმანეთთან მათ თავისთავად კავშირი არა აქვთ, თუ რომ თვით სახელმწიფო ამა თუ იმ სესხის ხარკისგან განთავისუფლებას საგანგებოდ არ ჰპირდება თავის კრედიტორებს (მევალებებს). წინად (გამონაკლისის სახით ამჟამადაც) სახელმწიფო საზოგადოდ მის მიერ აღებული სესხის ან ზოგი სესხის სარგებელს ხარკისგან ანთავისუფლებდა, რათა ამით ხელსაყრელი პირობები შეექმნა სესხის ასაღებად. სახარკო ვალდებულება არ შეეხება საჯარო შემნახველი საღაროების, საჯარო საკრედიტო დაწესებულებების, საკრედიტო ამხანაგობების, სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საჰიპოტეკო ბანკების, მზრუნველობის და საქველმოქმედო დაწესებულებების, დამზღვევი სარეწაოების (პრემიების მარაგის მხრივ) ოპერაციებს და ზოგიერთ სხვა შემთხვევებს.

უკანასკნელი დროის გერმანიის კაპიტალის რენტის სახარკო კანონებით დაშვებულია ვალების გამოორიცხვა, დაწესებულია პროგრესიული სახარკო განაკვეთები და ხარკისგან განთავისუფლებულია მცირე რენტა, როდესაც ის რენტორის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს.

ხარკის შეწერა ხდება ან ხარკვალდებულთა დეკლარაციის საფუძველზე,—რაც, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელი შედეგების

მომცემი არ არის, ვინაიდან კაპიტალის დამალვა ადვილია, — ანდა ხარკს „წყაროსთანვე“ იღებენ, ე. ი. იქ ჰკრეფენ, სადაც სარგებელი გადაიხდება: სარგებლის გადამხდელი (გამცემი) დაწესებულება ხარკის წილს სარგებლიდან კრედიტორს გამოუტაცხავს და სახარკო უწყებებს გადასცემს. აკრეფის ასეთი ფორმა (ე. წ. საკუპონო გადასახადი) მარტივია და საიმედო, რამდენადაც სარგებლის გადახდა საჯარო სალაროების, შემნახველი სალაროების, ბანკების და სხვა მსგავს დაწესებულებათა საშუალებით სწარმოებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ურთიერთობა წმინდა პირადი ხასიათისაა (მაგ., კერძო საპროტეკო კრედიტი), ან კაპიტალი უცხოეთშია მოთავსებული, ან სადისკონტო სარგებელი აიღება, — ეს წესი (წყაროსთან) ხარკის აღებისა არ გამოდგება. მაშინ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ხარკვალდებულთა დეკლარაცია, შეესებულ მოვალეთა ვალდებულებით, — რომ მისცენ ხელისუფლებას ცნობები იმის შესახებ, თუ ვისგან, რამდენი და რა პირობით აქვთ ნასესხები. წყაროსთან ხარკის აკრეფას ის დიდი უარყოფითი მხარეც აქვს, რომ აქ შეუძლებელია როგორც ხარჯის (პასივი სარგებლის) გამოორიცხვა, ისე სახარკო განაკვეთების საფხურებად განაწილება, — მასში პროგრესიის გატარება, ვინაიდან არ ჩანს, მთლად რამდენი შემოსავალი აქვს ხარკვალდებულ პირს კაპიტალიდან.

გერმანიის იმპერიაში ხარკი კაპიტალის შემოსავალზე დაწესებულია 1920 წ. 29 მარტის კანონით; ხარკის შემოსავალი მთლიანად საიმპერიო სალაროში შედის. კაპიტალის შემოსავლად ითვლება: 1. დივიდენდი და სარგებელი, მიღებული საბანკო დაწესებულებებსა, სააქციო საზოგადოებებსა და აშხანაგობებში აქციებისა და საწილო პაიების სახით მონაწილეობიდან; 2. სარგებელი საჯარო სესხის და ობლიგაციების, სამრეწველო ობლიგაციების და გირავნობის ფურცლების; 3. პრემიების რეზერვის სარგებელი; 4. სარგებელი სესხის, საგირავნო უზრუნველყოფით გასესხებული თანხის, შემნახველ სალაროებსა და ბანკებში ანაბარების, მიმდინარე ანგარიშის თანხების და სხვ.; 5. საპროტეკო, საადგილ-მამულო და სარენტო სესხის სარგებელი; 6. სამემკვიდრო რენტა; 7. დისკონტის თანხები, რამდენადაც აქ კაპიტალის მოთავსებას აქვს ადგილი. 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული კაპიტალის შემოსავალი ყოველთვის ხარკვალდებულია, როდესაც მოვალეს სახელმწიფოს შიგნით აქვს საცხოვრებელი ადგილი ან ბინადრობა; მე-3 მუხლში მოხსენებული შემოსავალი ხარკვალდებულია, როდესაც დაგირავებული მამული სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს; მე-4, 6 და 7 მუხლში მოხსენებული და აგრეთვე უცხოეთში მოთავსებული კაპიტალის შემოსავალი მხოლოდ მაშინ არის ხარკვალდებული, როდესაც კრედიტორი სახელმწიფოს შიგნით საშემოსავლო ან საკორპორაციო ხარკის გადამხდელია. დაბეგრულია კაპიტალის მთელი გამოსავლიანობა, — პასივი სარგებლისა და მოპოების ხარჯების გამოუტაცხავად; მაგრამ ნებადართულია უცხოეთში მოთავსებული კაპიტალის შემოსავლიდან ამგვარივე სახის უცხოეთის გადასახადის გამოორიცხვა.

ხარკისგან თავისუფალია: კაპიტალის შემოსავალი, რომელიც შემოსდით საჯარო შემნახველ საღაროებს, რეგისტრაციაქმნილ კოოპერატიულ ამანაგობებს (უკეთეს მათი სამეურნეო საქმიანობა წვერთა წრეს არ სცილდება) და მათ ცენტრალურ გაერთიანებას, საიმპერიო დაზღვევ დაწესებულებათ, ჯამაგირის და პენსიის საჯარო საღაროებს და სხვ., აგრეთვე ისეთ საზოგადოებათა და დაწესებულებათ, რომელნიც, უკეთეს საქმარისი საკუთარი სახსარი არ ექნებათ, სპეცმწიფოს ხარჯზე უნდა იქნენ შენახულნი.

სახარკო განაკვეთი შეადგენს კაპიტალის შემოსავლის 10⁹/₁₀₀-ს. ხარკის აღება, ჩვეულებრივ, იმ ადგილას ხდება, სადაც კრედიტორებს სარგებელი ეძლევათ (ბანკი და სხვ.). ყოველი ასეთი დაწესებულება ვალდებულია კაპიტალის სარგებლის მიღებას ხარკი გამოურიცხოს და საფინანსო უწყებას გადასცეს. პასივი სარგებლის გამოარიცხვას და ინდივიდუალურ გარემოებათა მხედველობაში მიღებას ადგილი არა აქვს.

1923 წლის აპრილიდან ამ ხარკის აკრეფა, მოძრავი კაპიტალის შემცირებით გამოწვეული მცირე შემოსავლიანობის გამო, შესწყდა, ვადის განუსაზღვრელად (საშემოსავლო ხარკისთვის კაპიტალის შემოსავლიდან გადასახადის გამოარიცხვის შესახებ იხ. ქვევით, § 47-ის შენ.).

§ 45. შრომის შემოსავლიანობის ხარკი.—სრულ საქონებო-საშემოსავლო ხარკთა სისტემაში ჩვეულებრივ არის აგრეთვე ხარკი იმ შემოსავალზე, რომელიც, სუბიექტის მიერ საკუთარი შრომით—ე. ი. სამეურნეო მიზნისაკენ მიმართულ საქმიანობით—მოიპოება. ასეთ შემოსავალს ეკუთვნის ხელფასი და ჯამაგირი, თავისუფალი პროფესიის პირთა ჰონორარი და სამეცნიერო, სალიტერატურო და სახელოვნო საქმიანობით მიღებული შემოსავალი. ზოგან ამ ხარკს საშემოსავლო ხარკი ეწოდებოდა, თუმცა, სწორი განსაზღვრით, ის ასეთად არ იყო მისაჩნვეი, ვინაიდან, ვითარცა უკანასკნელი წევრი საქონებო-საშემოსავლო დაბეგვრისა, ისეთ შემოსავალს ეხებოდა, რომელიც სხვა საქონებო-საშემოსავლო ხარკით არ იბეგრებოდა. წინანდელ სახარკო კანონებში თავისუფალ პროფესიათა ჰონორარი ხშირად სარეწავ ხარკს ექვემდებარებოდა; გამონაკლისის სახით ამას ამჟამადაც აქვს ადგილი (იხ. ზევით გვ. 150). ასეთი წესი სწორად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან თავისუფალი პროფესიების შემოსავალი, წინააღმდეგ რეწვითი შემოსავლისა, არაა ან მხოლოდ მცირე წილად არის დაფუძნებული ნივთიერ დამხმარე საშუალებებზე; ის პირად შრომაზეა დაფუძნებული. ფუძიან შემოსავალს უახლოვდება მხოლოდ მტკიცე შტატის მოხელე-მოსამსახურის შემოსავალი, რამდენადაც ამით, გარდა ჯამაგირისა, იგულისხმება აგრეთვე პენსია და ქვრივ-ობლების უზრუნველყოფა.

შრომის შემოსავლიანობის ხარკის შეწერა და აკრეფა მარტივია, როდესაც გარდაკვეთილ ხელფას-ჯამაგირთან გვაქვს საქმე. ამ ხარკის აღება შეიძლება „წყაროსთან“, ე. ი. ხელფასის და სამსა-

ხურის მიმცემთან, რომელიც დაწესებულ გადასახადს ხელფასიდან და ჯამაგირიდან გამორიცხავს და სახარკო უწყებას გადასცემს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხარკი უშუალოდ ხელფასის და ჯამაგირის მიმღებზე აიღება, მუშა-მოხელეების მიერ მოცემულ ცნობებს შეიძლება კონტროლი გაეწიოს სამუშაოს მიმცემის დაკითხვის საშუალებით. მაგრამ თავისუფალი პროფესიების, სამეცნიერო, სალიტერატურო და სახელოვნო საქმიანობის შემოსავლის კონტროლი, ჩვეულებრივ, შეუძლებელია და ამიტომ ამ ჯგუფის გადამხდელთა სახარკო დეკლარაციები, რასაკვირველია, ხშირად სწორი არ იქნება.

შრომის წმინდა შემოსავლიანობის დაბეგვრის მისაღწევად, როგორც ამას თეორია მოითხოვს, მთელი შემოსავლიდან უნდა გამოირიცხებოდეს შემოსავლის მოპოების ხარჯები (მუშებისათვის—სამუშაო ტანსაცმელის და სამუშაო ადგილამდე მიმოსვლის ხარჯი, მოხელეებისათვის—სასამსახურო ხარჯების ანაზღაურება, მეცნიერებისა და მწერლებისათვის—წიგნების შეძენის ხარჯი, ექიმებისთვის—ხელსაწყო-იარაღების ხარჯი და სხვ.). მაგრამ, ვინაიდან ცნება „მოპოების ხარჯები“ მტკიცედ ფარგალშემოვლელი არაა და ამ ხარჯების გამორკვევა ცალკე შემთხვევებში ძნელია, —კანონმდებლობა მათ ნაწილობრივ უყურადღებოდ სტოვებს, ნაწილობრივ —განსაზღვრული ხარჯების გამორიცხვის ნებართვას იძლევა, ანდა განსაზღვრული კატეგორიებისათვის მთელი შემოსავლიდან ერთი გარდაკვეთილი თანხის გამორიცხვას აწესებს.

გერმანიის იმპერიაში საერთო საშემოსავლო ხარკის შემოდების შემდეგ შრომის შემოსავლიანობის ხარკი აღარ არსებობს (საშემოსავლო ხარკისთვის ხელფასიდან გამოსარიცხი წილის შესახებ იხ. ქვევით § 47-ის შენ.).

2. საშემოსავლო ხარკი.

§ 46. საშემოსავლო ხარკის წინამორბედნი.—შემოსავალზე დაწესებული ხარკი სასუბიექტო ხარკს წარმოადგენს. თავისი განვითარებული ფორმით ის ცდილობს ინდივიდუალურ გადამხდელობით უნარს დაუკავშირდეს და სახარკო სიმძიმე მას შეუფეროს. სანამ საშემოსავლო პირობები, ფართო მასებში მაინც, არ იყო ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული, სამართლიანი დაბეგვრის იდეები განუვითარებელი იყო და ხარკის შეწერის ტენჯიკა და საფინანსო მართველობის ორგანიზაცია საკმაოდ მოწესრიგებული არ იყო, — შეიძლებოდა პერსონალური (პირადი) დაბეგვრის მარტივი ფორმებით დაკმაყოფილება. პირვანდელ ტლანქ ფორმას სასულხო ხარკი წარმოადგენდა, რომლის დროსაც ხარკვალდებული პირი ერთსა-

დაიმავე დროს დაბეგვრის სუბიექტიც და ობიექტიც იყო დაყველა სუბიექტს ერთნაირი ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა. მაგრამ ასეთი გადასახადის უსამართლობის თანდათანობით შეგნებისა და მისი მცირე შემოსავლიანობის გამო უკვე მე-15 საუკუნეში იგონისეთი ხარკით შეცვლილ ან დამატებულ იქნა, რომელიც წოდებებისა ან კლასების მიხედვით გაიწერებოდა და სხვა ხარკებთან, განსაკუთრებით ქონების ხარკთან დაკავშირებით, რაოდენადმე უფრო თანაბარი დაბეგვრის განხორციელებას ხდიდა შესაძლებლად. ძველი სასულლო ხარკის ნაშთმა მაინც აქა-იქ სულ უკანასკნელ დრომდე მოალწია,—ასე, მაგ., საფრანგეთში „პირადი ხარკი“ (Contribution personnelle), რომელიც ხელფასისა, ჯამაგირისა და თავისუფალი პროფესიის პირთა ჰონორარიდან მტკიცე განაკვეთებით $1\frac{1}{2}$ — $4\frac{1}{2}$ ფრ.—დის აიღებოდა; პრუსიაში 1811—20 წლებში სოფლისთვის დაწესებული იყო სასულლო ხარკი,—წლიურად $\frac{1}{2}$ ტალერი სულზე 14 წლის ასაკს ზევით.

საკლასო საშემოსავლო ხარკი, რომელიც წინად გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოში არსებობდა და პრუსიაში გაუმჯობესებული ფორმით 1891 წლამდე მოალწია, ცნების მხრივ და ისტორიულად წარმოადგენს შუა და გარდამავალ საფეხურს სასულლოდან საერთო საშემოსავლო ხარკზე. ხარკის ოდენობა აქ, რაოდენადმე მაინც, გადამხდელით უნარს უფარდდება იმით, რომ, შემოსავლის ოდენობის სხვადასხვაობის მხრივ, რამდენიმე საზოგადოებრივი კლასი ან ჯგუფია გათვალისწინებული და თითოეულ გადამხდელს განსაზღვრული გარეგანი ნიშნეულობის მიხედვით ამათუ იმ ჯგუფის შესაფერისად შეაფასებენ და მასში ჩარიცხავენ დაბეგვრის მიზნით.

პრუსიაში საკლასო ხარკი შემოდებულ იქნა, ვითარცა სოფლის ხალხის გადასახადი, 1820 წ. 30 მაისის კანონით; ხარკის გადახდა დაკისრებული ჰქონდა ყველას (მცირე გამონაკლისით) 14 წლის ასაკს ზევით. 4 მთავარ კლასად იყოფოდა და თითოეული—3 ჯგუფად (ქალაქებში სამაგიეროდ—დაბეგვრის გასათანაბრებლად, დაწესებული იყო საფეხავის და საკლავის ხარკი). 1851 წ. 1 მაისის კანონით ის შეცვლილ იქნა საკლასო და კლასიფიციური საშემოსავლო ხარკით; პირველი (საკლასო) წინანდებულად მხოლოდ სასოფლო ხარკი იყო 1000 ტალერამდე შემოსავალზე (მარტო კლასთა დანაწილება შეიცვალა რამდენიმედ); მეორე კი (კლასიფიციური) შეეხებოდა სახელმწიფოს მთელს, უფრო დიდი შემოსავლის მქონე, მოსახლეობას. 1873 წ. 25 მაისის კანონით საფეხავის და საკლავის ხარკი გაუქმებულ იქნა, როგორც სახელმწიფო ხარკი, და სამაგიეროდ ქალაქებში მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვისაც საკლასო ხარკი იქნა შემოდებული. 1891 წ. 24 ივნისის კანონით წინანდელი დაბეგვრა საერთო საშემოსავლო ხარკით შეიცვალა.

§ 47. საერთო საშემოსავლო ხარკი.—1. საერთო საშემოსავლო ხარკის იდეა და საკითხი იწყება და აზროვნების საგანი ხდება უკვე მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ინგლისის მაგალითით, სადაც პირველად 1798 წ. დააწესეს საშემოსავლო ხარკი, შემდეგ კვლავ—1803—1816 წლებში ოპის ხარკად შემოიღეს, ხოლო 1842 წლიდან—რეგულიარულ და მთავარ ხარკადაა დაწესებული, ხელი შეუწყო კვლევა-ძიების გაცხოველებას. ეს ხარკი გადაიქცა ლიბერალური პარტიების პროგრამის მუხლად და განსაკუთრებით სოციალისტი მწერლების მოთხოვნის საგნად (ქონების და სამემკვიდრო ხარკთან დაკავშირებით). გერმანიის მეცნიერებაც მხურვალედ მხარს უჭერდა მის შემოღებას. სამეურნეო ცხოვრების სწრაფმა განვითარებამ, შემოსავლის ძლიერმა დიფერენციაციამ, სამეურნეო წარმატების საქმეში სამეურნეო ხელმძღვანელის პიროვნების გავლენისა და მნიშვნელობის თანდათანმა ზრდამ, სპრეწაოს ახალი ფორმების შემოღებამ, შემოსავლის შეფასების არსებული წესის ნაკლმა, ახალ სოციალ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმოშობამ და სხვ.—გამოიწვია უარყოფა საქონებო-საშემოსავლო ხარკთა სისტემისა, რომელიც, ამასთანავე, ბევრ სახელმწიფოში შემოსავლის ყველა წყაროსაც არ ეხებოდა, და სურვილი მისი საშემოსავლო ხარკით შეცვლისა. ამ მხრივ გერმანიისთვის გადამჭრელი გავლენა იქონია პრუსიამ, რომელმაც 1891 წელს საშემოსავლო ხარკი შემოიღო და 1893 წ. იგი ქონების ხარკით შეაგოს.

2. საშემოსავლო ხარკის საგანს, წყაროს და საზომს აფუძველს შემოსავალი წარმოადგენს. „შემოსავლის“ ცნება ყოველთვის ერთგვარად არაა განსაზღვრული,—იგი ორგვარი მოხაზულობით გვხვდება კანონმდებლობაში. გერმანიის სახელმწიფოთა საშემოსავლო ხარკის კანონში, 1920 წლის 29 მარტის საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონის გამოცემამდე, შემოსავლად ითვლებოდა ჯამი ყველა წმინდა შემოსავალთა ხანგრძლივი წყაროებიდან,—მასასადამე, ადგილ-მამულისა და შენობებიდან, სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოდან, კაპიტალის ფლობიდან, საჯარო ან კერძო სამსახურში გაწეული შრომიდან, თავისუფალი პროფესიის საქმიანობიდან, ანდა ხანგრძლივი შემოსავლის მომცემი უფლებებიდან (წყაროთა თეორია). 1920 წლის საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონს კი აშკარა მიდრეკილება ემჩნევა შანცის შემოსავლის ცნებისაკენ. ამ კანონის თანახმად, შემოსავალს წარმოადგენს ქონების წმინდა მატება სამეურნეო პერიოდის განმავლობაში და ამის მიხედვით შემოსავლის ცნებაში შედის ყოველგვარი სახის ერთდროული შემოსავალიც. ცნების ამგვარ

განსაზღვრის შესაფერად შესაძლებელი შეიქნა საშემოსავლო ხარკს დაქვემდებარებოდა აგრეთვე ლატარიაში მონაგები, სპეკულიატიური მოგება და სხვ.. ცნების ამგვარი მოხაზულობის ფარგალში მოექცევა აგრეთვე ქონების ზრდა მემკვიდრეობისა და ჩუქების გზით, თუმცა მიღებულ განსაზღვრიდან ასეთი ლოდიკური დასკვნა აღარ იქნა გამოტანილი, ე. ი. ამ სახის შემოსავალზე საშემოსავლო ხარკი არ იქნა გავრცელებული; ეს მოხდა ნაწილობრივ იმის გამო, რომ მემკვიდრეობა და ნაჩუქები ქონება ძირითადი ქონების მატებად მიიჩნის, ხოლო ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას უკვე სპეციალი ხარკით (სამემკვიდრო და ჩუქების ხარკით) საკმაოდ დაბეგრილად სთვლიან. სხვა მხრივაც კანონში, — სამართლიანობისა და სხვა მოსაზრებებით, — ქონების წმინდა მატების თეორია არაა კონსექვენტურად გატარებული. მიზეზი, რომელმაც კანონმდებელი აიძულა რევოლიუციის შემდეგი დროის საშემოსავლო დაბეგვრაში შანცის შემოსავლის ცნებით ეხელმძღვანელნა, იმ მოსაზრებაში მდგომარეობს, რომ უამისოდ, — თუ წინანდელი წესი იქნებოდა უცვლელად დატოვებული, — შემთხვევითი მოგება, რომელიც ინფლიაციის ხანას ახლდა, დაუბეგრავი დარჩებოდა. მაგრამ გამოცდილებამ მალე ცხადჰყო, რომ შემთხვევითი მოგების („სხვადასხვა შემოსავალთა“) დაბეგვრა პრაქტიკულად განუხორციელებელი და ფინანსურად უმნიშვნელო იყო. ამის გამო საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონის 1921 წლის დამატებამ უარჰყო შანცის თეორია იმით, რომ, ნაცვლად საზოგადოდ ყველა შემთხვევითი მოგების ძიებისა დასაბეგრავად, სახარკო ვალდებულება მხოლოდ სპეკულიატიური მოგებით შეხლულა, რომელიც უკვე წინანდელი სახარკო კანონებითაც — წყაროთა თეორიის გაფართოების თანახმად — დაბეგრილი იყო. 1925 წლის ხარკის ახალი კანონი ეყარება აღნიშნული კანონის დამატების მიერ შექმნილ მდგომარეობას და სპობს წინანდელი კანონის ბუნდოვანობას იმით, რომ დასაბეგრ შემოსავალს 8 ჯგუფად ჰყოფს.

დასაბეგრ ე. ი. ხარკვალდებულ შემოსავალს წარმოადგენს საზოგადოდ, მეტნაკლები ფარგლის შემოვლებით, მხოლოდ შემოსავლის გარდამეტი გასავალზე, სახელდობრ რაც რჩება მთელი შემოსავლიდან წარმოებამოპოების ხარჯების გამორიცხვის შემდეგ. წარმოება-მოპოების ხარჯებია ყველა ის ხარჯი, რომლის ვალემა საჭიროა შემოსავლის მისაღებად, საქმისათვის აღებული ვალის სარგებლის ჩათვლით. არ გამოირიცხება მესარეწის მიერ თავის საცხოვრებლად დანახარჯი, საწარმოს გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯები, არც შემოსანახად ან ქონე-

ბის მისამატებლად გადადებული წილი შემოსავლისა, რამდენადაც კანონმდებლობა ამ მხრივ, სოციალ-პოლიტიკური და სხვა მოსაზრებებით, სპეციალ ნებართვას არ იძლევა,—მაგ., სიცოცხლის დაზღვევის პრემიებისა, სოციალური დაზღვევისა ან სამარხ სალაროში შესატანისათვის და სხვ..

ვ. ხარკის სუბიექტი არის ის, ვინც განსაზღვრული დროის (საკალენდარო ან სამეურნეო წლის) განმავლობაში დასაბეგრ შემოსავალს იღებს. თანამედროვე კანონმდებლობა სახარკო ვალდებულებას ავრცელებს როგორც ფიზიკურ, ისე არაფიზიკურ პირებზე. საფუძველი, რომელიც ამ უკანასკნელთა დაბეგვრას ასაბუთებს, ზევით (გვ. 112) მოვიხსენიეთ. არაფიზიკურ პირთა დაბეგვრა საშემოსავლო ხარკის საშუალებით მოხდება, თუ, როგორც ეს გერმანიასა და შეერთებულ შტატებშია, სპეციალი საკორპორაციო ხარკის დაწესების გზით,—ამას თავისთავად მნიშვნელობა არა აქვს. ფინანსიურ და სხვა მოსაზრებათა ზეგავლენით ახალ კანონებს ახასიათებს მისწრაფება: სახარკო ვალდებულება რაც შეიძლება ფართო წრეებზე გავრცელდეს და მას არა მარტო სახელმწიფოს ქვეშევრდომი, არამედ ყველა შემოსავლის მიმღები დაექვემდებაროს, ვინც კი განსაზღვრული ხნის განმავლობაში სახელმწიფოს შიგნით ცხოვრობს ანდა საჯარო სალაროებიდან შემოსავალს (ჯამაგირს და სხვ.) იღებს, სახელმწიფოში უძრავი ქონება ან სამრეწველო სარეწაო აქვს, ან მასში მონაწილე არის.

რათა საშემოსავლო ხარკი ნამდვილად იყოს მატარებელი იმ უპირატესობისა, რომელიც მას ინდივიდუალურ გამამხდელობით უნართან შეფარდებულობისათვის მიეწერება, საჭიროა კანონი ხარკისგან ანთავისუფლებდეს ისეთ შემოსავალს, რომელიც მხოლოდ აუცილებელი საარსებო საჭიროებისათვისაა საკმარისი, — მაშასადამე, ფიზიოლოგიურ საარსებო მინიმუმს წარმოადგენს. სახელდობრ, ასეთ მინიმუმად აღიარებული უნდა იყოს ოჯახის საარსებო მინიმუმი, ე. ი. დაწესებული უნდა იყოს ხარკისგან განთავისუფლება განსაზღვრული შემოსავლისა არა მარტო ოჯახის მეთაურის საარსებოდ, არამედ აგრეთვე მისი ცოლისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის. ეს შეიძლება იმგვარად მოხდეს, რომ ან თითოეულ ოჯახის უფროსს მისთვის, მისი ცოლისა და ბავშვებისათვის დასაბეგრი შემოსავლიდან ან ხარკის თანხიდან განსაზღვრული თანხა გამოერიცხება, ანდა უცოლშვილოებისთვის დაწესებული შემოსავლის ოდენობა, ვთქვათ, 1000 მარკამდე, სათანადოდ დიდდება ცოლშვილიანებისთვის. გარდა ამისა, ხარკის დაკისრებისას, სამარ-

თლიანობის თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება სხვა პირობებიც, რომელნიც ხარკვალდებულთა გადამხდელობით უნარს ასუსტებენ: უსახსრო ოჯახის წევრთა შენახვის ვალდებულება, ავათმყოფობა, განსაკუთრებული უბედური შემთხვევები და სხვ..

საარსებო მინიმუმის დაწესება, რომელიც ოჯახურ მდგომარეობასთანაა შეფარდებული, გულისხმობს ოჯახურ დაბეგვრას, ინდივიდუალური დაბეგვრის ნაცვლად. თუ ერთის მხრივ ოჯახის მეთაურს საარსებო მინიმუმით შეღავათი ეძლევა ყველა იმ პირებისთვის, რომელნიც მის ოჯახს ეკუთვნიან, — მაშასადამე, პირველ რიგში ცოლისა და მცირეწლოვან ბავშვებისათვის, მეორეს მხრივ ისეთი ოჯახი, სადაც ცოლს ან ბავშვებს საკუთარი შემოსავალი აქვთ და ამით მთელ ოჯახს გადამხდელობითი უნარი უდიდდება და ამასთან საერთო ოჯახური მოხმარების საფუძველზეც ცხოვრება შედარებით უფრო იაფად უჯდება, სამართლიანობა მოითხოვს სახარკო ერთეულად იქნეს მიჩნეული და ამის გამო, მისი მაღალი სახარკო საფეხურის შესაფერად, უფრო დიდი განაკვეთით დაიბეგროს, ვიდრე ისეთი ოჯახი, სადაც ამას ადგილი არა აქვს.

როგორც უკვე იყო მოხსენებული (იხ. ზევით გვ. 116), პრინციპი გადამხდელობითი უნარის მიხედვით დაბეგვრისა მოითხოვს, რათა ფუძიანი შემოსავალი უფრო მეტად დაიბეგროს, ვიდრე არა ფუძიანი. ამის განხორციელება კი, როგორც ამას ინგლისისა და უფრო განვითარებულად კიდევ იტალიის საშემოსავლო ხარკში აქვს ადგილი, იმით შეიძლება, რომ შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც უმთავრესად ან მთლიანად ქონების გამოყენებიდან გამომდინარეობს, უფრო დიდი ხარკი ედება, ვიდრე შრომით შემოსავალს. მაგრამ რადგან ფუძიანი შემოსავლის მეტი გადამხდელობითი უნარი საბოლოოდ ქონების მფლობელობაზეა დამყარებული, ამიტომ უფრო მარტივად და მიზანშეწონილად შეიძლება ამ შემოსავლის მეტად დაბეგვრა სპეციალი ხარკის საშუალებით, იქნება ეს საქონეზე თუ ქონების ხარკისებური საქონეზე-საშემოსავლო ხარკი. ეს არის გერმანული მეთოდი, რომელიც პირველად (1893 წ.) პრუსიაში იქნა მიღებული. სამართლიანი დაბეგვრის განსახორციელებლად საშემოსავლო ხარკისთვის პროგრესიული სახის მიცემის საჭიროების შესახებ ნათქვამი არის ზევით (გვ. 113 და შემდ.).

4. საერთო საშემოსავლო ხარკი ნორმალური დროის პირობებშია ნაცადი და უპირატესობა, რომელსაც მას თეორია მიაწერს, ნორმალური დროის გამოცდილებაზეა დაფუძნებული. მაგრამ ერთ რამეში მან ვერ გაამართლა იმედი, — გერმანიაში მაინც. ფიქრობდენ,

რომ საშემოსავლო ხარკი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დიდი საფინანსო საჭიროების დროს, სწრაფი და თანაბარზომიერი სათანადო დამატების გზით, საჭირო სახსარი იქნეს მიღებული სახელმწიფოს მიერ. მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სამეურნეო ცხოვრებისა და ვალიუტის დაშლის ხანაში იგი სრულიად უძლეურია. ასეთ დროში იგი არა თუ მოკლებულია ზრდის უნარს, არამედ მისი გამოსავალი მცირდება კიდევ, ვინაიდან იგი შემოსავალთა გადანაცვლებას და ფულის ფასეულობის დაცემას მხარიმხარ, უკან ჩამოურჩენლად, ვერ მიჰყვება და თვით სახარკო ხელისუფლებაც ამ პირობებში ვერ ახერხებს როგორც მთელი მეურნეობის, ისე ერთეულ მეურნეობათა მდგომარეობის სისწორით გათვალისწინებას. ფრიად დამაბრკოლებელია ასეთ ხანაში სხვადასხვა სახარკო წყაროთა დაბეგვრის არათანაბარი შესაძლებლობა. მრავალი სახარკო წყარო, სახარკო მორალის დაცემის გამო, დაუბეგრავი რჩება, ან მათზე ხარკი მხოლოდ მაშინ გადაიხდება, როდესაც ხარკის თანხა, ფულის ფასეულობის დაცემის გამო, სრულიად უმნიშვნელო ხდება, ხოლო ხელფასი და ჯამაგირი, მაგ., ხელფასიდან გადასახადის გამორიცხვის მეთოდის დროს, ყოველ ჟამს მდგომარეობის მიხედვით იბეგრება. ამრიგად შეიძლება იდეურად უუსამართლიანესი ხარკი ნამდვილად სამართლიანობის სრულ უარყოფად გადაიქცეს.

ყველაზე უფრო ძველია და ცნობილი ინგლისის საშემოსავლო ხარკი, რომელიც პირველად 1798 წელს იქნა დაწესებული ომის ხარკის სახით. ნაპოლეონის ომებს შემდეგ ინგლისმა ის გააუქმა, ხოლო 1842 წ. ხელახლა შემოიღო და მას შემდეგ დღემდე შეუწყვეტლად არსებობს. სახარკო განაკვეთი ყოველწლიურად საფინანსო კანონით განისაზღვრება, საჭიროების მიხედვით, გირვანქა სტერლინგიდან განსაზღვრული რაოდენობის შილლინგებსა და პენსებში. ომიანობის დროს განაკვეთს, ჩვეულებრივ, ადიდებდენ ომით გამოწვეულ ხარჯების ნაწილის დასაფარავად. დიდ ხანს ეს ხარკი პროპორციული იყო. ერთგვარი პროგრესია პირველად 1910 წელს იქნა შემოღებული იმით, რომ 700 გირ. სტერლინგამდე შემოსავალზე ნაკლები განაკვეთები დააწესეს, ხოლო შემოსავალს 5000 გირ. სტერლ. ზევით დანარიცხებო მიუმატეს. იმავე წლიდან შრომით შემოსავალს სხვა წყაროების შემოსავალთან შედარებით სახარკო შედავთები აქვს მიანიჭებული. ომის დროს ცვლილებათა შესახებ იხ. ჩემი Finanzwissenschaft, მე-18¹⁸ გამოც. გვ. 315. ამჟამად ასეთი წესია: დაქორწინებული სუბიექტის შემოსავლიდან გამოირიცხება 225 გირ. სტ. (თუ ბავშვები ჰყავს, — კიდევ მეტი), ხოლო დაუქორწინებელთა შემოსავლიდან — 135 გირ. სტ. ეს არის ყველასთვის დაწესებული საარსებო მინიმუმი. ნაშთი წარმოადგენს ხარკვალდებულ (დასაბეგრ) შემოსავალს. სახარკო განაკვეთია 20%/ც. მაგრამ შედარებით მცირე შემოსავლის პატრონთათვის შედავათია დაწესებული. სახელდობრ, საარსებო მინიმუმის გამოირიცხვის შემდეგ ყველა შემოსავლიდან 225 გირ. სტერლინგამდე ხარკად განაკვეთის ნახევარი აიღება, ხოლო უფრო დიდ შემოსავალზე — მთელი განაკვეთი

შრომით შემოსავალს სპეციალი შედავათერც აქვს: მიგან $\frac{1}{10}$ გამოირიცხება (არ იბეგრება), მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ ამ გამოირიცხული $\frac{1}{10}$ -ის საერთო ჯამი 200 გირ. სტერლინგს არ აღემატებოდეს. ფიზიკური პირები 2000 გირ. სტერლინგზე მეტი შემოსავლიდან პროგრესიულ დამატებით ხარკს იხდიან (super-tax). შემოსავლის სულ უმაღლეს საფეხურზე ეს ხარკი თითქმის 50%-ს შეადგენს.— 1914 წლის 15 ივლისის კანონით, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, საფრანგეთში სპეციალური შემოსავლო ხარკი, რომელიც ომის დროს გარდაქმნილ და საგრძნობად გადიდებულ იქნა (იხ. I. ს., გვ. 318 და შემდ.). ინგლისსავით აქაც ხარკის ერთი საერთო განაკვეთია დაწესებული, მხოლოდ იმის მიხედვით ხარკი გადაიხდებიან და შემოსავალზე,—550.000 ფრანკზე, ხოლო როდესაც შემოსავალი ამაზე ნაკლებია, მაშინ შემოსავლის მხოლოდ $\frac{1}{25}$, $\frac{2}{25}$ და ასე მიყოლებით (სიდიდის მიხედვით) არის ხარკვალდებული. მცირე შემოსავლის პატრონთ, ოჯახური პირობების მიხედვით, სპეციალი შედავათები აქვთ მინიჭებული. პირველი 6.000 ფრ. ხარკისგან სრულიად თავისუფალია.

გერმანიაში, პრუსიის მაგალითის მიხედვით, საშემოსავლო ხარკითანდათანობით ყველა სახელმწიფოებმა შემოიღეს. სახარკო განაკვეთი ყველგან ძალიან ზომიერად პროგრესიული იყო. საღებმიცემო საზოგადოებანი საშემოსავლო ხარკის ფარგლებში იბეგრებდნენ. საიმპერიო საშემოსავლო ხარკის შემოღებით მოკავშირე სახელმწიფოებს დასკირდათ თავიანთ საშემოსავლო ხარკზე ხელის აღება. სააქციო და მსგავს საზოგადოებათა მოგება ამაჟამად სპეციალი საკორპორაციო ხარკით არის დაბეგრული, რომელიც საშემოსავლო ხარკის დამატებას წარმოადგენს. საშემოსავლო ხარკზე ხელის აღების სამაგიეროდ მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლევათ წილი ორივე (საშემოსავლო და საკორპორაციო) ხარკის გამოსავლიდან. ეს წილი პირველად (1920 წლის 30 მარტის მოკავშირე რესპუბლიკების სახარკო კანონის თანახმად) $\frac{2}{3}$ -ს შეადგენდა, 1923 წ. 23 ივნისის საფინანსო განრიგების კანონით—90%-ს, ხოლო ამაჟამად, 1925 წ. 10 აგვისტოს საფინანსო განრიგების კანონით,—75%-ს (იხ. ზევით გვ. 101). მოკავშირე რესპუბლიკები ვალდებული არიან თავის მხრივ აქედან თემებს მისცენ წილი.

ა. 1920 წლის 29 მარტს გამოცემულმა საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონმა შემდეგში მრავალი ცვლილება განიცადა, რომელსაც უმთავრესად მიზნად ჰქონდა კანონის შეფარდება ფულის ფასეულობის შეუჩერებლივ დაცემასთან. ეს მიზანი იმ ცვლილებებით მაინც ვერ იქნა მიღწეული. ამიტომ 1923 წელში ხელისუფლება იძულებული გახდა ხარკის ფორმალურ გაწერაზე ხელი აეღო და, გარდა ამ წლის ხარკად გადამხდელთაგან ავანსის სახით აკრეფილისა, წლის დასასრულს „საბოლოო გადასახდელის“ მოკრეფით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც დაახლოებითი გარაუდის საფუძველზე იყო. გამოანგარიშებული და რაოდენადმე ხარკვალდებულთა გადამხდლობით უნარს ანგარიშს უწყევდა. საშემოსავლო ხარკის რეფორმა საჭირო იყო, მაგრამ უფრო საშური საქმეების გამო იგი დროებით უკანა რიგში იქნა ჩამოყენებული და 1924 წლისთვის მარტოდოდენ საგანგებო დადგენილება გამოიკა, რომლითაც საშემოსავლო ხარკი მთელ რიგ სპეციალ ხარკად იქნა დანაწილებული, თითოეულისათვის სეგანგებო შეწერის წესის შემოღებით. ეს კია, რომ ყველა შემთხვევაში შეწერა ოქროს მარკებში ანგარიშით იყო ნაგულისხმევი. საშემოსავლო ხარკის ახალი კანონი 1925 წლის 10 აგვისტოს იქნა გამოცემული. ამ კანონით შექმნილი უფლებრივი მდგომარეობა ასეთია:

I. პირადი სახარკო ვალდებულება. ის ვრცელდება ყველა ფიზიკურ პირზე, რომელიც შემოსავალს იღებს, — შემოსავალს კანონის მიერ გაგებით. განსხვავებაა გატარებული შეუზღუდავად და შეზღუდულად ხარკვალდებულთა შორის. შეუზღუდავად, ე. ი. მთელი თავისი შემოსავლით, ხარკვალდებულთა ყველა, ვისაც გერმანიაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან დროებითი ბინადრობა აქვს (ჩვეულებრივ 6 თვეზე მეტ ხანს), შემდეგ — საშასხურის გამო უცხოეთში მცხოვრები მოხელეები, აგრეთვე საიმპერიო რკინისგზათა საზოგადოებისა და საიმპერიო ბანკის მოხელეები. შეზღუდულად ხარკვალდებულთა არის ყველა პირი, სახელმწიფოს ქვეყნის საზღვრებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, რომელიც სახელმწიფოს ფარგლებში იღებს შემოსავალს სასოფლო და სატყეო მეურნეობიდან, ვაჭრობა-მრეწველობიდან, დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობიდან, არადამოუკიდებელი შრომიდან, აგრეთვე უძრავი ქონების გაქირავებისა და იჯარით გაცემიდან, კაპიტალიდან, ადგილ-მამულის გაყიდვიდან და, ეხლანდელი ან წინანდელი სამსახურის გამო, ადგილობრივ საჯარო საღაროთაგან რეგულიარულად მიღებული შემოსავლიდან. პერსონალურად თავისუფალი არიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც, საერთაშორისო სამართლის ან უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული საგანგებო ხელშეკრულების საფუძველზე, ამის უფლება აქვთ.

II. ნივთიერი სახარკო ვალდებულება. შემოსავლად კანონს მიჩნეული აქვს ნაწილობრივ მოგება, ნაწილობრივ შემოსავლის გარდამეტი გასავალზე. იგი ხარკვალდებულთა შემოსავლის 8 სახეს გაარჩევს:

1. შემოსავალი სასოფლო და სატყეო მეურნეობიდან, მებაღეობიდან და სხვა არასამრეწველო მიწის დამუშავებიდან.

2. შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოებიდან, სამთამადნო საქმისა და სრულ სავაჭრო და საკომანდიტო ამხანაგობებში მონაწილეობით მიღებული შემოსავლის ჩარიცხვით, აგრეთვე სარეწაოთა მთლიანად გაყიდვით მიღებული შემოსავლის ჩათვლით.

3. შემოსავალი სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობიდან, — მაშასადამე, თავისუფალი პროფესიებიდან (ხელოვანი, მწერალი და სხვ.), ექიმების, ვექილების, სტრომოდერების და ინჟინრების პროფესიონალური საქმიანობიდან, აგრეთვე გარდამავალი საქმიანობიდან (საკონკურსო ქონების გამგებლობა, საანდერძო ნების აღმსრულებლობა), სახედამხედველო საბჭოში მონაწილეობისათვის მიღებული ტანტემიდან და სხვ..

4. შემოსავალი არადამოუკიდებელი შრომიდან (სამუშაო ხელფასი, ჯამაგირი, პენსია და სხვ.).

5. შემოსავალი კაპიტალის ფლობიდან, ე. ი. დივიდენდები, სარგებელი, შემოსავალი აქციებიდან, სამთამადნო პაიებიდან, სავაჭრო ნდობის ამხანაგობებში მონაწილეობიდან, სარგებელი საჯარო სესხის, პიპოტეკების, შემნახველ საღაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ანაბარების, თამასუქების სადისკონტო თანხები და სხვ..

6. შემოსავალი უძრავი ქონებისა და უფლებების, გემების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, საწარმოს მოძრავი ქონების და სხვ. გაქირავებისა და იჯარით გაცემისგან, საკუთარ სახლში დაკავებული ბინისათვის ქირის ჩარიცხვით.

7. სხვა რეგულიარული შემოსავალი, განსაკუთრებით სამარადისო (სამემკვიდრო), სასიცოცხლო და ვადიანი რენტა, სიცოცხლის ხანგრძლივობით განსაზღვრული სარგებლობა და სხვ.

8. სხვადასხვა შემთხვევითი მოგება ან შემოსავალი, მაგ., სპექულიატიური მოგება, სააღებშიცემო შუამავლობიდან ან მოძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი და სხვ.

კანონის მიხედვით შემოსავლად არ ითვლება ქონების ერთგზისი შემატება, როგორცაა ჩუქება, მემკვიდრეობა, მზითვეი, სალატარიო მოგება, სიცოცხლის დაზღვევიდან დანაზღვევი თანხის მიღება. ამას გარდა შემოსავლად არ იანგარიშება ზოგიერთი სპეციალი ხასიათის შემოსავალი, როგორცაა სამზრუნველო დახმარება ომის გარემოების გამო ან დასახიჩრებულთა და მოხუცებულთათვის დაწესებული დახმარება თუ სარგოს დამატება, სამხედრო საპატიო ჯილდო, უპირატესობის რენტა, ავთომყოფობისას დამხდვევ სალაროდან მინაღები და ზოგიერთი კიდევ სხვა.

III. შემოსავლის გამოანგარიშება. ხარკვალდებული შემოსავლიდან განსაზღვრული თანხა უნდა გამოირიცხოს, რის შემდეგ ნაშთი წარმოადგენს დასაბეგრ შემოსავალს (წმინდა შემოსავალს). გამოსარიცხია შემდეგი თანხები:

1. წარმოება-მოპოების ხარჯები, ე. ი. შემოსავლის შესაძენად, უზრუნველსაყოფად და დასაცავად გაწეული ხარჯები. ამ ხარჯებს ეკუთვნის ყოველწლიური ანარციბი ამორტიზაციისა (მანქანების და საწარმოს სხვა ინვენტარის, შენობების), ნივთიერების შემცირებისა (სამთამადნო წარმოებაში), საქონებო-საშემოსავლო ხარკისა და საწარმოსთან დაკავშირებულ დაზღვევისათვის; აგრეთვე ბინიდან საწარმომდე მიმოსვლის ხარჯები და ზოგიერთი სხვა.

2. ზოგიერთი სპეციალი გადასახადები, როგორცაა გამოსაღები საჯარო დაზღვევისთვის, სამარხი სალაროსთვის, პროფესიონალური კავშირებისა და წარმოადგენლობისთვის, სიცოცხლის დაზღვევის პრემიები, საეკლესიო გამოსაღები და სხვ.; მაგრამ ყველა ამის საერთო ჯამი სახარკო პერიოდში 480 მარკას არ უნდა აღემატებოდეს, ზოლო თუ გადაზხდელი. ცოლშვილიანია, იანგარაშება კიდევ ცოლისა და თითოეული ბავშვისათვის არა უმეტეს 100 მარკისა; 180 მარკა საბუთების მიუღებლად თვით სახარკო უწყებამ უნდა გამოირიცხოს შემოსავლიდან. სპეციალ გადასახადად ითვლება აგრეთვე ვალის სარგებელი, გასაცემი რენტა, შესასრულებელი ვალდებულება, რამდენადაც ეს წარმოება-მოპოების ხარჯებში არაა ჩათვლილი. სამუშაო ხელფასის შემოსავლისთვის სპეციალ გადასახადად ჩასათვლელი ხარჯების შესახებ იხ. ქვევით.

არაა გამოსარიცხი დანარჩენი ხარჯები,—მისასადამე, ხარჯი, გაწეული შემოსავლის წყაროს შესაძენად, გასაუმჯობესებლად და გასაზრდელად, საქმიანობის გასათართობლად, კაპიტალის მოსათავსებლად, აგრეთვე—ვალის დაშრეტა, მოხმარების ხარჯები საკუთარ ოჯახში, საწარმოში მოთავსებული საკუთარი კაპიტალის სარგებელი.

გამოსარიცხი თანხები გამოირიცხება ნაწილობრივ ცალკე წყაროებიდან მიღებული წმინდა შემოსავლის გამორკვევის დროს, ნაწილობრივ კი ბრუტტო- (მთლიანი) შემოსავლიდან. თუ აღმოჩნდება, რომ გადაზხდელს მოგებასთან ერთად ზოგიერთ დარგში ზარალიც ჰქონია, ეს ზარალი მოგებიდან უნდა იქნეს გამოირიცხული (სპექულიატიური ზარალის შესახებ ეს უფლება შეკვეცილია).

ცალკე შემოსავლის გამოანგარიშების დროს ვჯგუთე განირჩევა:

1. შემოსავალი სასოფლო და სატყეო მეურნეობიდან, სავაჭროდან, სამრეწველო წარმოებიდან და დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობიდან. შემოსავლად აქ ითვლება „მოგება“, ე. ი. შემოსავლის გარდამეტი გასავალზე და-

პატებით იმ ეტი ან გამოკლებით იმ ნაკლები ფასეულობისა, რომელიც ნაწარმოებთ, საქონელთ, მარაგს და მოძრავ ძირითად კაპიტალს აქვს სახარკო პერიოდის დასასრულს დასაწყისთან შედარებით. ამით შეფასებისათვის საფუძვლად აღიღება საერთო ფასეულობა. გადამხდელს შეუძლია ამის სანაცვლოდ მოპოების ან დამზადების ფასი აიღოს შეფასების საფუძვლად, წარმოება-მოპოების ხარჯების გამორიცხვით. ისეთი საგნებისათვის, რომელნიც უკვე წინა სახარკო პერიოდის დასასრულს საწარმოს ქონებას ეკუთვნოდნენ, მაშინდელი შეფასების წესია მისაღები სახარკო პერიოდის დასასრულსაც. ამ შეფასებაში ცვლილების შეტანა მაშინ არის დასაშვები, თუ საგანი ნაკლებ ფასადაა საანგარიშზედელი. იმ ხარკიანობაში, რომელთა საწარმოო ქონებას სახარკო პერიოდის დასასრულს არსებითი მერყეობა არ ემჩნევა და რომელთა საქონლის მარაგი სახარკო პერიოდის დასასრულს ჩვეულებრივ რაოდენობას არ აღემატება,—მოგებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შემოსავლის გარდამეტი გასაფაღზე. იმათთვის კი, რომელნიც სავაჭრო სამართლის საფუძველზე მოვალენი არიან დავთრები აწარმოონ, ან ამ უკანასკნელთ სავაჭრო კანონების დადგენილების თანახმად ფაქტიურად კიდევ აწარმოებენ, მოგებად ჩაითვლება წესიერად წარმოებული დავთრების მიხედვით გამორკვეული საწარმოს ქონების გარდამეტი წინა სახარკო პერიოდის დასასრულს არსებულ საწარმოს ქონებაზე; ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია დადგენილებები საკუთარ საწარმოდან პირად სახარჯოდ წანადების შესახებ, გამოსარიცხი ხარჯების და შეფასების შესახებ. ამ ჯგუფის შემოსავალზე ხარკის პირველი შეწერის წესისათვის არსებობს აგრეთვე რამდენიმე სპეციალი დადგენილება.

2. შემოსავალი არადამოუკიდებელი შრომიდან (სამუშაო სელფისი), კაპიტალის ქონებიდან, გაქირავებისა და იჯარით გაცემიდან და რეგულიარული მიზნადიდან. შემოსავლად აქ მიჩნეულია შემოსავლის გარდამეტი გასავალზე იჯარისა ანდა გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ კანონი განმარტავს, რომ იჯარადარის ან დამქირავებლის მიერ გაწეული სამსახური იჯარის გამცემის სასარგებლოდ, უკეთუ ამას ადგილი აქვს, აგრეთვე ამ უკანასკნელისთვის ხელშეკრულობით გათვალისწინებული სარგებლობა სიჯარო ქირას მიეკუთვნება და რომ ამ შემოსავლიდან გამოსარიცხად აღიარებული ხარჯები გამოირიცხება.

3. სხვა საქმიანობითი მოგება. აქაც, როგორც მე-2 ჯგუფში, შემოსავლად მიჩნეულია შემოსავლის გარდამეტი გასაფაღზე. შემთხვევითი საშუამავლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი 500 მარკამდე ხარკისგან თავისუფალი რჩება; ყიდვა-გაყიდვიდან წარმომდგარი შემოსავლისთვის შემოსავლად მიჩნეულია საგნის გასაყიდი ფასი, ხოლო გასავლად, მოპოების ხარჯთან ერთად, ნასყიდობის ფასი.

ზოგიერთ შემთხვევებში დაბეგვრის საფუძვლად, შემოსავლის მაგივრად, შეიძლება აღებულ იქნეს მოხმარება (მოხმარების დაბეგვრა),—სახელდობრ მაშინ, როდესაც გამორკვეული შემოსავალი აშკარად არ შეეფერება ხარკვალდებულის მოხმარებას. ასეთი შეფუთვებლობის ფაქტი იგულისხმება ყოველთვის, როდესაც მოხმარება, სულ მცირე, ნახევრად მაინც მეტია აღრიცხულ შემოსავალზე. მოხმარების 15.000 მარკის ოდენობამდე საზოგადოდ მოხმარების მიხედვით დაბეგვრას ადგილი არ აქვს.

IV. სახარკო პერიოდი. სხვადასხვა ჯგუფის ხარკვალდებულობის სხვადასხვა პერიოდი. ჩვეულებრივ სახარკო პერიოდს შეადგენს საკალენდარო წელიწადი. იმ ხარკვალდებულობისთვის, რომელნიც შემოსავალს სასოფლო და

სატყეო მეურნეობიდან იღებენ, სახარკო პერიოდად ითვლება სამეურნეო წელიწადი 1 ივლისიდან 30 ივნისამდე; ვაჭარ-მრეწველთათვის, რომლებმაც ანგარიშის დამთავრება სავაჭრო კოდექსის მიხედვით უნდა აწარმოონ რეგულიარულად, ან ამას ფაქტიურად აწარმოებენ, პერიოდად ითვლება სამეურნეო (საოპერაციო) წელიწადი. თუ სასოფლო და სატყეო მეურნეობის ან მრეწველობის შემოსავალს სხვა შემოსავალიც უკავშირდება, მაშინ ამ სხვა შემოსავლისთვის სახარკო პერიოდად სამეურნეო ან საოპერაციო წელიწადი ითვლება; ხოლო როდესაც მეურნის ხელში რამდენიმე ისეთი საწარმოა, რომელთაც სხვადასხვა სამეურნეო წელიწადი აქვთ, მაშინ ხარკისათვის პერიოდად ჩაითვლება ის სამეურნეო წელიწადი, რომელიც ყველაზე უკანასკნელად თავდება საკალენდარო წელიწადში. ხარკის შეწერა ხდება იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც სახარკო პერიოდში მიიღება. შეწერა სწარმოებს სახარკო პერიოდის გასვლის შემდეგ; იმ ხარკვალდებულთათვის, რომელთა სახარკო პერიოდი წლის პირველ ნახევარში თავდება, — ამ სემესტრის გასვლის შემდეგ, ხოლო დანარჩენთათვის, — საკალენდარო წლის გასვლის შემდეგ.

V. ოჯახური დაბეგვრა. იმ პირთა დასაბეგრად, რომელნიც ერთ ოჯახში ცხოვრობენ, განსაზღვრულ შემთხვევებში მათი შემოსავალი ერთად იანგარიშება. სახელდობრ, ცოლ-ქმარი, როდესაც ორივე საერთო სახარკო ვალდებულებას ექვემდებარება და ერთმანეთისგან განცალკევებით არ ცხოვრობენ ხანგრძლივად, ერთად იბეგრება, ე. ი. ცოლის შემოსავალი ქმრის შემოსავალს მიეწერება; არ მიეწერება და, მაშასადამე, ცოლი ცალკე (დამოუკიდებლად) დაიბეგრება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავის შრომით შემოსავალს იმ საწარმოდან არ იღებს, საიდანაც ქმარი. საერთო დაბეგვრისას ორივე მეუღლე — ქმარი და ცოლიც — პასუხისმგებელია ხარკის გადახდისათვის. ასევე ოჯახის უფროსს მიეწერება მისი ოჯახის მცირეწლოვან ბავშვთა შემოსავალი და იგი ამათთან ერთად დაიბეგრება. ბავშვების ცალკე (დამოუკიდებლად) დაბეგვრა ნხოლოდ მაშინ სწარმოებს, როდესაც მათ შრომითი შემოსავალი აქვთ.

V.I. ტარიფი. ნორმალური ტარიფი ასეთია:

პირველი	8000 მარკისთვის		10%
შემდეგი	4000	(მაშასადამე, 12.000-მდე)	12 1/2%
"	4000	(" 16.000 ")	15 "
"	4000	(" 20.000 ")	20 "
"	8000	(" 28.000 ")	25 "
"	18.000	(" 44.000 ")	30 "
"	34.000	(" 80.000 ")	35 "
"	თანხისათვის		40 "

ტარიფი საფეხურებად იყოფა (შტაფელიანია, იხ. გვ. 115). ამ საფეხურების მიხედვით 100.000 მარკის შემოსავალს, მაგალითად, 30.000 მარკის = 30%-ის გადასახადი უწევს.

ხარკისაგან თავისუფალია 1100 მარკაზე მცირე შემოსავალი. ეს (განთავისუფლებული) თანხა მატულობს ცოლისა და პირველი ბავშვისათვის 100 მარკით, მეორე ბავშვისთვის — 180 მარკით, მესამისთვის — 360 მარკით, მეოთხისა და თითოეული შემდეგისათვის — 450 მარკით, მაგრამ უკეთეს მცირეწლოვანთ 18 წლის ზევით შემოსავალი აქვთ არადამოუკიდებელი შრომიდან ან დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობიდან, მათ წილად გასანთავისუფლებელი თანხა არ იანგარიშება; რამდენადაც ხარკისგან სრულიად განთავისუფლების

შემთხვევას ადგილი არ აქვს (ე. ი. ხარკვალდებულის შემოსავალი აღნიშნულ საარსებო მინიმუმზე მეტია), შემდეგი შედეგათებია დაწესებული: თვით ხარკვალდებულისათვის—600 მარკის გამორიცხვა შემოსავლიდან, თუ შემოსავალი 10.000 მარკას არ აღემატება; შემდეგ—ცოლისა და თითოეული ბავშვისათვის, შემოსავლის ოდენობის მიუხედავად, თითოეულზე შემოსავლის 8⁰/₁₀₀-ის გამორიცხვა, 600 მარკის გამოკლების შემდეგ. მცირე შემოსავლის მქონე ხარკვალდებულს, 8⁰/₁₀₀-ის ნაცვლად, ცოლშვილის წილად შემოსავლიდან ის თანხები გამოერიცხება, რაც—ხარკისგან განთავისუფლებულს, უკეთეს ამ წესით განთავისუფლებული თანხის ჯამი მეტია, ვიდრე—8⁰/₁₀₀-ის საფუძველზე მისაღები. მთლად ან ნაწილობრივ სამუშაო ხელფასით მიღებული შემოსავლიდან გამოსარიცხი თანხების შესახებ იხ. ქვევით.

აგრეთვე ზოგიერთ სხვა შემთხვევებშიც (როდესაც შემოსავალი არარეგულიარული ხასიათისაა,—მაგ., მოგება ან შემოსავალი საპირო საზოგადოებებში მონაწილეობიდან) ადგილი აქვს ხარკის შემცირებას. საშემოსავლო ხარკის შეწერისას შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, გადასახადის შემცირებით ან სულ მოხსნით, განსაკუთრებული სამეურნეო პირობები, რომელნიც ხარკვალდებულთა გადამხდელით უნარს არსებითად ზღუდავენ, განსაკუთრებით—არაჩვეულებრივი სიმძიმე ბავშვების შენახვის და აღზრდის ხარჯებისა, უსახსრო ოჯახის წევრთა შენახვა, ავადმყოფობა, დავალიანება ან უბედური შემთხვევა,—უკეთეს შემოსავალი 30.000 მარკას არ აღემატება.

VII. შეწერის და გადახდის წესი.—სახარკო დეკლარაციის წარდგენა ევალდება ყველას, ვინც 8000 მარკაზე მეტ შემოსავალს იღებს, ვინც მოგებას თავისი დაეთრების დამთავრების საფუძველზე არკვევს ან ვისაც ამას საფანგობოდ მოსთხოვს სახარკო ხელისუფლება. ვინც სხვა პირეს ჯავაგირით, ხელფასით ან სხვაგვარი გასამრჯელოთი 2 თვეზე მეტ ხანს ამუშავებს, ვალდებულია ამ პირთა ვინაობა, მდგომარეობა, ბინა და აგრეთვე ამსგან მათ შიერ მიღებული შემოსავალი საფინანსო უწყებას აცნობოს. მესარეწეთა მოგების შთილიანი წევით გამორკვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთდამივე საწარმოსა ან სარეწაოში რამდენიმე პირი მონაწილეობს, როგორც, მაგ., სრულ სავაქრო საზოგადოებებსა, საკომანდიტო საზოგადოებებსა, სასოფლო და სატყეო მეურნეობის საერთო საწარმოებსა და სხვ.-ში.

ხარკის შეწერის შესახებ გადამხდელს წერილობითი ცნობა-დადგენილება უნდა გაუზგავნოს საფინანსო უწყებამ (შეწერის დროის შესახებ იხ. ზევით IV).

ხარკის გადახდის მხრივ შემდეგი წესია: გამორკვეული სახარკო ვალდებულებების ოდენობის მიხედვით უახლოესი (მიმდინარე) საკალენდარო წლის სახარკო ვალდებულებების ანგარიში წინასწარი გადახდა ხდება, სახელდობრ 15 თებერვალს, 15 მაისს, 15 აგვისტოს და 15 ნოემბერს, მეოთხედ-მოციხედის გადახდით. სასოფლო მეურნეობისთვის გადახდის პირველი ვადა 16 აგვისტო და ამიტომ 15 ნოემბერს მეორე ნახევარი უნდა იქნეს გადახდილი. ზოგიერთ შემთხვევებში დაშვებულია წინასწარი გადახდის გადიდება და შემცირებაც. სახარკო ვალდებულებების ნაშთის გადახდა ხდება ცალკე,—საბოლოო გადახდის სახით. ამისათვის იანგარიშება ხარკად გამონარიცხი თანხები ხელფასიდან და კაპიტალიდან, აგრეთვე ყველა წინასწარ გადახდილი, და გამოიყვანება ნაშთი, რომელიც უნდა გადაიხადოს ხარკვალდებულმა მისთვის წერილობითი უწყების წარდგენის შემდეგ.

საგანგებო დადგენილებები არსებობს ხელფასისა და კაპიტალის შემოსავლის დაბეგვრის შესახებ, ხელფასის დაბეგვრის შესახებ უკანასკნელი კანონი გამოცემულია 1926 წ. 19 დეკემბერს, რომელიც დაბეგვრას როდენადმე ამტკიცებს.

ხელფასის ხარკი ეხება სამუშაო ხელფასს და მისი აკრეფა ხდება ხელფასიდან გამორიცხვის წესით. ხელფასი არის მთელი თანხა შემოსავლისა, რომელსაც არადამოუკიდებელი პირები,—მუშები და მოსამსახურენი, კერძო ან საჯარო სამსახურში იღებენ სხვადასხვა სახით (ჯამაგირი, სარგო, ხელფასი, პირადი, საქვრივო და საობლო პენსია და სხვ.). ხელფასის ხარკი შეადგენს გადასახადისგან თავისუფალი (საარსებო მინიმუმად დაწესებული) თანხის გარდამეტის 10%-ს. 1926 წ. 1 იანვრიდან ხარკისგან თავისუფალი ხელფასის თანხა 1200 მარკამდეა გადიდებული. ოჯახური მდგომარეობის გამო შედავთად დაწესებულია შემოსავლიდან გამორიცხვა: ცოლისთვის—100 მარკის, მცირეწლოვან ბავშვებისთვის: 1-ლისთვის—100 მარკ., მეორისთვის—180 მარკ., მესამისთვის—360 მარკ., მეოთხისთვის—720 მარკ., მეხუთისა და შემდეგებისთვის—თითოეულზე—960 მარკ. წლიურად. თუ მუშა-მოსამსახურემ რეგულიარულ შემოსავალს გარდა ერთდროული დაჯილდოება ან მსგავსი შემოსავალი მიიღო, აღნიშნული შედავათები აღარ იანგარიშება, მაგრამ ამ შემთხვევაში სახარკო განაკვეთი 10%-ით მცირდება ცოლისა და თითოეული ბავშვის გამო. ხელფასიდან სახარკო გამორიცხვას ადგილი არ აქვს, როცა გამორიცხვით მისაღები თვიურად 0,80 მარკის არ აღემატება. გარდა ამისა, სხვა შედავათები შუამდგომლობის მიხედვით ეძლევა ხარკვალდებულ მუშა-მოსამსახურეს, უკეთეს განსაკუთრებული გარემოებები არსებობს, რომელნიც ხარკის შემცირებას ამართლებენ (იხ. ზევით), ან გადამხდელი დამტკიცებს, რომ შემოსავლის მისაღებად შედარებით დიდი ხარჯები აქვს გასაწევი ან განსაკუთრებით მძიმე სახარჯო ტვირთი აკისრია.

თითოეული ხელფასის ხარკვალდებულ პირისთვის, ახალი საკალენდარო წლის დასაწყისში, სათემო მართველობა სახარკო ბარათს ადგენს, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნულია ყველა მინიჭებული შედავათებიც. დამჭირავებელმა (ხელფასის მიმცემმა) მხოლოდ ბარათში მოხსენებული შედავათების გათვალისწინებით უნდა დაუქიროს ხელფასიდან გადასახადი მუშა-მოსამსახურეს და საფინანსო უწყებას გადასცეს. დამჭირავებელნი და დაჭირავებულნი სოლიდარულად პასუხისმგებელნი არიან იმპერიის წინაშე ხარკის გადახდისათვის.

როდესაც მუშა-მოსამსახურის შრომითი შემოსავალი 8000 მარკას და ამავე დროს სხვა მისი შემოსავალი 500 მარკას არ აღემატება, მაშინ საშემოსავლო ხარკი გადახდილად ჩითვლება, თუ ხელფასიდან სახარკო გამონარცხი დადგენილებათა თანახმადაა დაჭერილი და ხაზინაში წარდგენილი. ხარკის ნაწილობრივ შეწერას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არა უმეტეს 8000 მარკის შრომითი შემოსავლის გარდა სხვა შემოსავალი 500 მარკას აღემატება. ამ შემთხვევაში ხელფასის ხარკი გადახდილად ითვლება გამონარცხით და გადამხდელს მხოლოდ სხვა შემოსავალზე შეეწერება ხარკი. 8000 მარკაზე მეტი შემოსავლის დაბეგვრა კი ყოველთვის შეწერის წესით სწარმოებს. ამ შემთხვევაში ხარკვალდებულნი ცალკე იხდის იმ თანხას, რომლითაც საერთო წესების თანახმად განაწილებული მისი სახარკო ვალდებულება აკარბებს. სამუშაო ხელფასიდან იმავე საკალენდარო წელიწადში დაჭერილ თანხას.

კაპიტალის მოგების ხარკიც ამგვარადვე გამორიცხვის წესით აიღება, რამდენადაც საქმე ეხება კაპიტალის გამოსავალს სახელმწიფოს შიგნით აქციებით, საიმპერიო ბანკის პაიებით, კოლონიალურ საზოგადოებებსა, სამთამადნო კავშირებსა და სხვადასხვა საზოგადოებებსა და ამხანაგობებში მონაწილეობით, სესხის სარგებლით და სხვა. გამონარცხი შეადგენს 10¹/₁₀-ს (გალისა, სარგებლისა და ხარჯების გამოუკლებლად) და იხდის მოვალე, რომელიც, ვადაზე, გამოსარიცხს თვით აიღებს და საფინანსო უწყებას წარუდგენს. დანარჩენის მხრივ იგივე წესია, რაც ხელფასის ხარკის შესახებ.

ბ. საკორპორაციო ხარკის საიმპერიო კანონი საიმპერიო საშემოსავლო ხარკის კანონის დამატებას წარმოადგენს და არაფიზიკურ პირთ შეეხება. ის გამოცემულ იქნა 1920 წლის 30 მარტს, ხელახლა— 1922 წ. 2 მაისს, ხოლო 1923 წლის 20 მარტს ფულის ფასეულობის დაცემის კანონით და 1923 წ. 19 დეკ. და 1924 წ. 14 თებ. მე-2 და მე-3 სახარკო დებულებებით შეცვლილ იქნა. ამჟამად ძალაშია 1925 წ. 10 აგვისტოს კანონი.

ი. პირადი სახარკო ვალდებულება. შეუზღუდავად ხარკვალდებულნი არიან მთელი თავიანთი შემოსავლით შემდეგი კორპორაციები, თუ მათი მართველობის სამყოფი ადგილი გერმანიაში არის:

1. სააღმშენებლო საზოგადოებანი, ე. ი. ყველა სააქციო და საკომანდიტო-სააქციო საზოგადოებანი, კოლონიალური საზოგადოებანი, უფლებამოსილი და არაუფლებამოსილი სამთამადნო კავშირები და საზოგადოებანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებანი, ამხანაგობანი, შემდეგ—სამეურნეო საწარმოთა მქოხე პიროვნებათა კავშირები, რომელთა მიზანი უმთავრესად მოგების მიღებაათვის ან თავის წევრთა სასარგებლოდ, აგრეთვე ზოგიერთი განსაზღვრული ხასიათის დაწესებულებანი. სააღმშენებლო საზოგადოებად არ ითვლებიან კოოპერატიული ამხანაგობანი და საურთიერთო დამზღვევი კავშირები, რომელთა სარეწაონი მხოლოდ წევრებს ემსახურებიან, და კოოპერატიულ ამხანაგობათა ცენტრალები.

2. სამოქალაქო სამართლის ყველა დანარჩენი კორპორაციები და ქონების მასები.

3. საჯარო-უფლებრივი სამეურნეო საწარმონი, „მიმწოდებელ საწარმოთა“ გამოკლებით, ე. ი. ისეთ საწარმოთა, რომელნიც წყლის, აირის ან ელექტროძალის მიწოდებას ან საზოგადო მიმოსვლა-მიმოზიდვას და სანავთსადგურო საქმეებს ემსახურებიან, აგრეთვე გამორიცხვით ისეთ საწარმოთა, რომელნიც საჯარო ხელისუფლების საქმიანობას ან საზოგადო სარგებლობის, ქველმოქმედებისა და ეკლესიის მიზნებს ემსახურებიან.

4. არაუფლებამოსილი კავშირები ხარკვალდებულნი არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი შემოსავალი უშუალოდ სხვა ხარკვალდებულებთან არაა დაბეგრული. ამათ ეკუთვნიან განსაკუთრებით სრული სავაჭრო და საკომანდიტო საზოგადოებანი.

შეზღუდული, ე. ი. მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით მოპოვებული შემოსავლით, ხარკვალდებულნი არიან ყველა საზოგადოებანი, რომელთა მართველობა უცხოეთში არის. ამრიგად, კაპიტალის ნაციონალური შემოსავლით ხარკვალდებულნი არიან ყველა ზევით დასახელებული კორპორაციები და ქონების მასები მათი მართველობის ადგილმდებარეობის მიუხედავად.

ხარკისგან თავისუფალია საიმპერიო ფოსტა, საიმპერიო მონოპოლიი მართველობა, სახელმწიფო ლატარიის დაწესებულებანი, საიმპერიო რკინისგზების საზოგადოება, საიმპერიო ბანკი, სახელმწიფო ბანკები, საჯარო შემნახველი საღაროები, რომელნიც არსებითად დამზოგველობის საქმეს ემსახურებიან, კორპორაციები და ქონების მასები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო, საზოგადო სარგებლობისა ან საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებიან, პროფესიონალური კავშირები და სხვები.

II. ნივთიერი სახარკო ვალდებულება. შემოსავლის ცნება და სხვები აქაც ისე იგულისხმება, როგორც საშემოსავლო ხარკისთვის, მხოლოდ იმ შემოსავალთა ფარგალი, რომელთაც გადასახადი არ ეკისრება, გაფართოებულია. ასე, მაგ., არ იბეგრება საჯარო-უფლებრივ საწარმოს შემოსავალი სასოფლო და სატყვეო მეურნეობიდან, შემნახველ საღაროთა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მათი უშუალო ფუნქციების გარეშე მდებარე საქმიანობიდან გამომდინარეობს, სხვა საზოგადოებაში არა ნაკლებ ერთი მეოთხედი წილის მქონებელ საადემიციუმო საზოგადოებათა ის მოგება, რომელიც ამ მონაწილეობით წარმოსდგება; არ იბეგრება ამ ხარკით აგრეთვე პიროვნებათა კავშირებში წევრების საწილო შესატანი, პოლიტიკური კავშირების შემოსავალი, რამდენადაც ეს საკუთარ სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოდან არ გამომდინარეობს და სხვ. გამოსარიცხ ხარჯებისა და ვალის სარგებლისთვისაც შეიძლება საშემოსავლო ხარკზე მიეკუთვნოს, მხოლოდ აქ რამდენიმე დამატებითი თანხებია გამოსარიცხად ნებადართული, — ასე, მაგ., საზოგადო სარგებლობისთვის შენაწირი, პასივის დასაფარავად გადარიცხული თანხები და სხვ. არაა გამოსარიცხი, გარდა საშემოსავლო ხარკისთვის დასახელებულისა, სხვათა შორის, თვით კორპორაციის მიზნებისათვის გაწეული ხარჯები; რომელიც ფიზიკურ პირთა საოჯახო ხარჯებს შეეფერება, შემდეგ — ზედამხედველ საბჭოს ტანტიემები და სხვ.

III. მინიმალური დასაბეგრ შემოსავლად ითვლება ზედამხედველ საბჭოს წევრთა და დირექტორ-მოსამსახურეთა ტანტიემები გაცემული დივიდენდების მიმატებით, რამდენადაც ეს ისეთი თანხებიდან არაა წარმომდგარი, რომელიც უკანასკნელი მ წლის განმავლობაში იყო დაბეგრილი, ვითარცა შემოსავალი.

IV. სახარკო პერიოდები ისეთივეა, როგორც საშემოსავლო ხარკისთვის.

V. ტარიფი. ხარკის საზომ საფუძველს შემოსავალი შეადგენს. სახარკო განაკვეთია: 1. საადემიციუმო საზოგადოებისა და სარეწაოებისთვის 20%. 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის შინაური საზოგადოებებისა და ზოგიერთ კოოპერატიულ ამხანაგობებისთვის, რომელთა საპაიო კაპიტალი და აგრეთვე უკანასკნელად ხარკშეწერილი ქონება 50.000 მარკას არ აღემატება, ძალაშია საშემოსავლო ხარკის განაკვეთები, მხოლოდ — ისე, რომ ხარკი 20%-ს არ უნდა აღემატოს. 3. დანარჩენ ხარკვალდებულთათვის განაკვეთი 10%-ს შეადგენს.

VI. შეწერის და გადახდის წესი. აქაც სათანადოდ ძალაშია საშემოსავლო ხარკის კანონის დადგენილება, რომელიც შეეხება გადამხდელთა მხრივ ცნობების მიცემის ვალდებულებას, შეფასებას, კაპიტალის შემოსავლიდან გამოსარიცხვის წესით ხარკის აღებას, წინასწარი და საბოლოო გადახდის წესს.

ს. ს. რ. კავშირი:

1. პირადი დაბეგვრის პირველდაწყებით ფორმას წარმოადგენდა 1922 წ. 11 თებერვალს დაწესებული „საერთო-საქოქალაქო ხარკი“, რომელიც საერთო ხასულო ხარკს უახლოვდებოდა. 1922 წ. 16 ნოემბრის კანონით ის შეცვლილ იქნა საშემოსავლო-საქონებო ხარკით; ხარკი ეხებოდა ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეთ და იურიდიულ პირთ (გარდა სახელმწიფო და კოოპერატიულთა. ეს უკანასკნელნი, აგრეთვე — შერეული საზოგადოებანი, საშემოსავლო ხარკით დაბეგრილ იქნენ 1923 წ. 20 ივნისის დეკრეტ-თ საგანგებო საფუძველზე, რომელიც შეიცვალა 1926 წ. 15 ოქტომბრის დებულებით). 1923 წ. 27 ივლისს გამოცემულ დეკრეტით საშემოსავლო-საქონებო ხარკის განაკვეთები კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის მტკიცე გამოანგარიშებზე იქნა გადაყვანილი. საშემოსავლო-საქონებო ხარკის 1923 წლის 12 ნოემბრის დებულებით კი ხარკ-ვალდებულნი დაბეგვრის მიზნით კატეგორიებად დაიყო, დაწესდა მტკიცე ძირითადი და პროგრესიული განაკვეთი (მთელ შემოსავალზე), ხოლო ქონების დაბეგვრა გაუქმებულ იქნა. ამ დებულებაში ცვლილება იქნა შეტანილი 1924 წლის 29 დეკემბერს გამოცემული დებულებით, ხოლო არსებითად იქნა შეცვლილი საშემოსავლო ხარკის 1926 წლის 24 სექტემბრის დებულებით, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 1 ოქტომბრიდან. 1927 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაშია იმავე წლას 14 დეკემბრის დებულება საშემოსავლო ხარკის შესახებ, რომლითაც შემდეგი უფლებრივი მდგომარეობაა შექმნილი:

I. პირადი სახარკო ვალდებულება. ის ვრცელდება:

1) ფიზიკურ პირებზე, რომელთაც დამოუკიდებელი შემოსავალი მოგობა-გებათ ს. ს. რ. კ.-ის ფარგლებში არსებულ საშემოსავლო წყაროებიდან და რომელიც ცხოვრობენ კავშირსა ანდა უცხოეთში, ქვეშევრდომობისა მიუხედავად;

2) სააქციო საზოგადოებებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობებზე, რომელთა გამგეობა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება (გარდა სახელმწიფო სარეწაოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეული საზოგადოებებისა, რომელთა დაბეგვრა საგანგებო დებულების საფუძველზე ხდება, — იხ. ქვევით), — აგრეთვე საურთიეროთო საკრედიტო საზოგადოებებზე;

3) უცხოეთის საზოგადოებებსა და ამხანაგობებზე, ს. ს. რ. კ.-ის ფარგლებში წარმოებული ოპერაციებისათვის.

ხარკისგან თავისუფალი არიან: ის პირნი, რომელთაც შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნიათ, გარდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკით დაბეგრილისა; სეზონობით და დროებით მოსაქვე მუშები; შემდეგი პირნი — თუმათ შემოსავლის სხვა წყარო არ აქვთ, გარდა ჯამ. გირისა: წითელი ლაშქრის სამხედრო მოსამსახურენი, მილიციის მწყობრი შემადგენლობის პირნი და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომენი; უცხოეთის დიპლომატიურ შემადგენლობაში შემავალი პირნი; უცხოეთის საკონსულო წარმომადგენლები და დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენელთა თანამშრომლები, რომელნიც უცხოეთის მოქალაქენი არიან (საურთიეროთო მაგიერობის საფუძველზე).

II. ნივთიერი სახარკო ვალდებულება. კანონი ხარკვალდებული შემოსავლის ოთხ ჯგუფს გაარჩევს:

ა) შემოსავალი სამუშაო ხელფასიდან და პენსიიდან.

ბ) შემოსავალი ლიტერატურული შრომიდან, საავტორო უფლებების გამოყენებიდან, სახვითი ხელოვნებიდან, სარეწავ კოოპერატიულ ამხანაგობებსა (არტელებსა) და წესდებითი შრომის არტელებში მუშაობიდან.

გ) შემოსავალი პირადი შრომიდან არა დაქირავებით, საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწავოდან არა უმეტეს სამი დაქირავებული მუშით; ისეთი სავაჭრო და სარეწავი საქმიანობიდან, რომლისთვისაც დაწესებულია უფასო ან დაკლებული ფასის პატენტი (ბაზრობაზე წარმოებული ვაჭრობის პატენტებს გარდა), ან 1-ლი ხარისხის სავაჭრო სარეწავოს თუ პირადი სარეწავი საქმიანობის პატენტი; შენობების გაქირავებიდან, და სხვა წყაროებიდან, გარდა „ა“, „ბ“ და „დ“ ჯგუფში მოხსენებულთა.

დ) შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო სარეწავლებში (აგ“ ჯგუფში მოხსენებულ სარეწავლებს გარდა) მონაწილეობიდან მფლობელის, თანამფლობელის, იჯარაღარის, პაის მფლობელის და სხვ. სახით და საერთოდ ყოველგვარი სავაჭრო, საშუამავლო, სამაკლერო, საბირჟო და სხვა მსგავსი საქმიანობიდან; ფულადი კაპიტალიდან და სარგებლიანი ქაღალდებიდან, ხუ ეს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

III. შემოსავლის გამორგება. დასაბეგრ შემოსავლად კანონს მიჩნეული აქვს სხვაობა ხარკვალდებულის მიერ მიღებულ მთლიან (ფულად და ნატურალურ) შემოსავალსა და შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის; მთლიანი შემოსავლიდან ეს ხარჯები უნდა გამოირიცხოს, რის შემდეგ ნაშთი წარმოადგენს დასაბეგრ შემოსავალს.

დაქირავებული მუშაობის ან სამსახურის დასაბეგრ შემოსავლად ითვლება: ყოველგვარი სახის სამუშაო ხელფასი და წარსამატებელი ჯილდო, ტანტიშმა და დასახურება. დასაბეგრ შემოსავალში არ ჩაირიცხება: სოციალური დაზღვევის დახმარება, დაქირავებულისაგან მიღებული დახმარება ავთომყოფლობის გამო, გამოლუყენებელი შევებულების კომპენსაცია, მივლინებისა და ადგილიდან გადაყვანისათვის ანადები, სამსახურის საქმეების გამო მიღებული სამომოსვლო ბილეთების დირებულება, მუშაობის დროს გამოყენებული საკუთარი იარაღებისა და სპეცტანსაცმელის კომპენსაცია, შრომის ხელშეკრულობის გაუქმებისას მიღებული დახმარება და პავის გამო ღანიშნული ჯამაგირის დამატება.

„ბ“ ჯგუფის (ლიტერატურული შრომა და სხვ.) დასაბეგრ შემოსავალს შეადგენს ყოველგვარი სარგო, ფულადი და ნატურალური, მიღებული ხარკვალდებულის მიერ სახარკო პერიოდის განმავლობაში.

პირადი შრომის (არა დაქირავებით) მთლიან შემოსავალს შეადგენს ყოველგვარი გასამრჯელო, მიღებული ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა დავალებით ან მათ სასარგებლოდ შესრულებული სამსახურისა და მოქმედებისათვის. აქედან გამოირიცხება, დასაბეგრი შემოსავლის მისაღებად, შემდეგი ხარჯები: პროფესიონალურ საქმიანობისათვის საჭირო სადგომებზე დაქირავებისა, შენახვისა და შეკეთებისათვის, თანაშემწეებს და მოსამსახურეების სარგოსათვის, პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებული მიმოსვლისათვის, მასალების შექენისა და იარაღების შენახვა-ადგენისათვის, სადგომების, მასალების და იარაღების დაზღვევისათვის, აგრეთვე შემოსავლის მიღებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა საჭიროებისათვის.

ს ა ჯ ა კ რ ო - ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო სარწაოს ან სხვა ქონების მთლიან შემოსავლად ითვლება: საქონლის გაყიდვით მიღებული თანხა, მიწების, შენობების, გადაზიდვის საშუალებათა და სხვა ქონების შემოსავალი, ფასიანი ქაღალდების (გარდა საშემოსავლო ხარკისგან განთავისუფლებულისა) დივიდენდი და სარგებელი, აგრეთვე—ანაბარის სარგებელი (გარდა შემნახველ სალაროებსა და საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებში შეტანილი ანაბარებისა), მომგებიანი სესხის მოგება (გარდა საშემოსავლო ხარკისგან განთავისუფლებულისა) და სხვ. იურიდიულ პირთათვის, გარდა ამისა, აგრეთვე—სხვაობა მათ მიერ გამოცემული აქციების, პაიების და ობლიგაციების გაყიდვით აღებულ ფასსა და საემისიო ფასს შორის; საკრედიტო დაწესებულებათათვის კი—საანგარიშო წელს ყველა აქტიური ოპერაციებით კუთვნილი სარგებელი. მთლიანი შემოსავლიდან გამოირიცხება ხარჯები, ჭაჭრობის საგანთა და წარმოების მასალის ფასი, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი; კანონის მიერ დაწესებული კომპენსაციები და სოციალური დაზღვევისათვის გადასახადი, სადალოლო გასამრჯელო, მიწების იჯარისა და დამუშავების ხარჯი, ვალის სარგებელი, ხარკები (ქვევით დასახელებულთა გარდა) და საფასურები, ქონების დაზღვევის ხარჯი, შენობების და მანქანების ამორტიზაცია და სხვ.; იურიდიულ პირთა მთლიანი შემოსავლიდან აგრეთვე: გამგობის, საბჭოს და სხვ. ორგანოთა შესანახი ხარჯები და ეკონომიური და სტატისტიკური გამოკვლევებისა, გამოფენებისა და მუზეუმების მოსაწყობი ხარჯები (არა უმეტეს დასაბეგრი შემოსავლის 1⁰/₀-ისა).

ფიზიკურ პირთა დასაბეგრი შემოსავლიდან გამოირიცხება აგრეთვე ზარკვალდებულისა და მისი ოჯახის წევრთა სიცოცხლის დაზღვევის პრემიებად გადახდილი თანხა (300 მან. ფარგალში).

საზოგადოდ მთლიანი შემოსავლიდან არაა გაშროსარიცხი დანარჩენი ხარჯები: ხარკვალდებულისა და მისი ოჯახის წევრთა გასამრჯელო და შესანახი ხარჯები, ქონების გასადიდებლად, დასაზოგად ან კაპიტალად გადასარიცხი თანხები, შეწირულებად ან საჩუქრად გაცემული და სხვა, შემოსავლის მიღებასთან არა დაკავშირებული, მიზნისთვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე საშემოსავლო, ზედმეტი მოგების, სამხედრო და საბინაო ხარკის გადასახდელად და ვალის დასაშრეტად გაცემული თანხები.

IV. სახარკო პერიოდი. იურიდიულ პირთათვის სახარკო პერიოდად ითვლება წინა საოპერაციო (სამეურნეო) წელიწადი 1 ოქტომბრიდან 30 სექტემბრამდე, თუ რომელიმესთვის საგანგებოდ სხვაგვარი საოპერაციო წელიწადი არაა დაწესებული. ფიზიკურ პირთათვის (გარდა მუშა-მოსამსახურეთა და პენსიონერთა) ხარკის შეწერა ხდება იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც საგასაწერო წლის წინა საოპერაციო წელს იქნა მიღებული; მუშა-მოსამსახურეთა და პენსიონერთათვის კი—ყოველთვისად მიღებული ხელფასის ან პენსიის მიხედვით.

V. ტარიფი. ტარიფი შტაფელიანია, ოთხ ნუსხაში მოქცეული (1, 1ა, 2 და 3) და შემოსავლის სახეთა მიხედვით (იხ. ზევით ნივთიერი სახარკო ვალდებულება) შემდეგს შეადგენს:

დასაბეგრი შემოსავალი (თეიური)	სახარკო განაკვეთი „ა“ ჯგუფისთვის (1 ა ნუსხით)	დასაბეგრი შემოსავალი (წლიური)	ს ა ხ ა რ კ ო ბ ა ნ ე კ ი მ ე თ ი		
			„ბ“ ჯგუფისთვის (1-ლი ნუსხით)	„გ“ ჯგუფისთვის (მე-2 ნუსხით)	„დ“ ჯგუფისთვის (მე-3 ნუსხით)
პირველი 85 მ.-თვის	0,60%	პირვ. 1000 მ.-თვის	0,70%	2,50%	3,00%
შემდეგი 15 „ (ე.ი. 100 მ.-დე)	1,0 „ + 50 კ.	შემდ. 200 „ (ე.ი. 1200 მ.-დე)	1,0 „ + 7 მ.	3,5 „ + 25 მ.	5,0 „ + 30 მ.
„ 50 „ („ 150 „)	1,3 „ + 65 კ.	„ 600 „ („ 1800 „)	1,5 „ + 9 მ.	5,5 „ + 32 მ.	7,0 „ + 40 მ.
„ 50 „ („ 200 „)	2,0 „ + 1 მ. 30 კ.	„ 600 „ („ 2400 „)	2,0 „ + 18 მ.	8,0 „ + 65 მ.	9,0 „ + 82 მ.
„ 50 „ („ 250 „)	2,8 „ + 2 მ. 30 კ.	„ 600 „ („ 3000 „)	2,5 „ + 30 მ.	10,5 „ + 113 მ.	14,0 „ + 136 მ.
„ 80 „ („ 330 „)	3,0 „ + 3 მ. 70 კ.	„ 1000 „ („ 4000 „)	3,0 „ + 45 მ.	13,0 „ + 176 მ.	17,0 „ + 220 მ.
„ 80 „ („ 410 „)	3,5 „ + 6 მ. 10 კ.	„ 1000 „ („ 5000 „)	3,5 „ + 75 მ.	15,0 „ + 306 მ.	20,0 „ + 390 მ.
„ 90 „ („ 500 „)	5,5 „ + 8 მ. 90 კ.	„ 1000 „ („ 6000 „)	6,0 „ + 110 მ.	17,0 „ + 456 მ.	24,0 „ + 590 მ.
„ 85 „ („ 685 „)	8,5 „ + 13 მ. 85 კ.	„ 1000 „ („ 7000 „)	9,0 „ + 170 მ.	19,0 „ + 626 მ.	28,0 „ + 830 მ.
„ 85 „ („ 670 „)	11,5 „ + 21 მ. 08 კ.	„ 1000 „ („ 8000 „)	12,0 „ + 260 მ.	21,0 „ + 816 მ.	32,0 „ + 1110 მ.
„ 160 „ („ 830 „)	15,5 „ + 30 მ. 86 კ.	„ 2000 „ („ 10.000 „)	16,0 „ + 380 მ.	23,0 „ + 1026 მ.	35,0 „ + 1430 მ.
„ 170 „ („ 1000 „)	19,0 „ + 55 მ. 66 კ.	„ 2000 „ („ 12.000 „)	20,0 „ + 700 მ.	25,0 „ + 1486 მ.	39,0 „ + 2130 მ.
„ 170 „ („ 1170 „)	22,5 „ + 87 მ. 06 კ.	„ 2000 „ („ 14.000 „)	23,3 „ + 1100 მ.	27,0 „ + 1986 მ.	43,0 „ + 2910 მ.
„ 160 „ („ 1330 „)	25,0 „ + 126 მ. 20 კ.	„ 2000 „ („ 16.000 „)	26,6 „ + 1560 მ.	30,0 „ + 2526 მ.	47,0 „ + 3770 მ.
„ 330 „ („ 1650 „)	27,0 „ + 166 მ. 20 კ.	„ 4000 „ („ 20.000 „)	28,0 „ + 2080 მ.	32,0 „ + 3126 მ.	50,0 „ + 4710 მ.
„ 340 „ („ 2000 „)	29,0 „ + 255 მ. 30 კ.	„ 4000 „ („ 24.000 „)	29,0 „ + 3200 მ.	34,0 „ + 4406 მ.	53,0 „ + 6710 მ.
„ თანხისათვის	30,0 „ + 353 მ. 90 კ.	„ თანხისათვის	30,0 „ + 4360 მ.	35,0 „ + 5766 მ.	54,0 „ + 8830 მ.

იურიდიულ პირთა დაბეგვრა სწარმოებს მე-3 ნუსხის („დ“ ჯგუფის) თანახმად.

ამრიგად, აღნიშნული განაკვეთების მიხედვით, მუშას ან მოსამსახურეს, რომლის შემოსავალი ხელფასით ან ჯამაგირით თვიურად 160 მანეთს (წლიურად 1920 მანეთს) შეადგენს, ხარკად უწევს: 150 მანეთისთვის 1 მ. 30 კ. + 2% 10 მანეთიდან (20 კ.) = 1 მ. 50 კ. თვიურად, ხოლო წელიწადში $\times 12 = 18$ მან..

უფრო ან და უფრო შემოსავლის დაბეგვრის შედარებისა და განსხვავების შესახებ იხ. ზევით გვ. 117 და 118.

დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი შეადგენს, როგორც ეს ზევითაც (გვ. 118 და 119) იყო მოხსენებული, „ა“ ჯგუფისათვის თვიურად: I სარტყელში (მოსკოვი, ტფილისი, ბაქო და სხვ.)—100 მან., II სარტყელში (ბათოში, ქუთაისი, ერევანი, ლენინჯანი და სხვ.)—90 მან., III სარტყელში (დანარჩენი ქალაქები)—80 მან. და IV სარტყელში (დანარჩენი ადგილები)—75 მან.; „ბ“ ჯგუფისათვის წლიურად: I სარტყელში—1200 მან., II-ში—1080 მან., III-ში—960 მან. და IV-ში—900 მან.; „გ“ და „დ“ ჯგუფისა და აგრეთვე იურიდიულ პირთათვის წლიურად: I სარტყელში—800 მან., II-ში—700 მან., III-ში—600 მან. და IV-ში—500 მან.. ამას გარდა, მუშა-მოსამსახურენი და სახელმწიფო პენსიონერები („ა“), უკეთეს მათი დასაბეგრი შემოსავალი თვიურად 350 მან. არ აღემატება, აგრეთვე „ბ“ და „გ“ ჯგუფის გადამხდელები, უკეთეს მათი დასაბეგრი შემოსავალი წლიურად 3000 მან. არ აღემატება, ოჯახური პირობების გამო, შემდეგი შედავითი სარგებლობენ: თუ მათ ხარჯზე სამი სულია, —ხარკი მცირდება $\frac{1}{3}$ -ით, ხოლო თუ ოთხი ან მეტი სულია, — $\frac{1}{3}$ -ით.

VI. შეწერის და გადახდის წესი. მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფო პენსიონერთა („ა“) დასაბეგრი შემოსავალს (ხელფასისა და პენსიიდან) და ხარკის ოდენობას ყოველთვიურად არკვევს დამჭირავებელი (პირი ან დაწესებულება), რომლისგანაც ხარკვალდებულებული პირი ხელფასს იღებს, ან—დაწესებულება, საიდანაც მას პენსია ეძლევა. როდესაც მუშა-მოსამსახურე რამდენიმე ადგილიდან ლეგულობს ხელფასს, —დასაბეგრი შემოსავლისა და ხარკის ოდენობის გამორკვევა ცალ-ცალკე სწარმოებს.

ფიზიკურ პირებს, —გარდა მუშა-მოსამსახურეებისა ხელფასისათვის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებსაც ხელფასს გარდა სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლისათვის, —როდესაც მათი შემოსავალი დაუბეგრავ მინიმუმს აღემატება, ევალებათ სახარკო დეკლარაციის წარდგენა პირდაპირ ხარკთა ინსპექციაში. საგანაწერო წლის წინა წლის შემოსავლის შესახებ. დეკლარაციის შესამოწმებლად გადამხდელებს შესაძლებელია მოეთხოვოს ახსნა-განმარტებანი და საბუთები, მათ შორის საჯაპრო დავთრებიც, თუ გადამხდელი ვალდებულია ეს აწარმოოს. იურიდიული პირები, მათი დასაბეგრი შემოსავლისა და ხარკის ოდენობის გამოსარკვევად, საგანგებო სახარკო კომისიაში წარადგენენ საოპერაციო წლის დასრულებულ ბალანსს და ანგარიშს, აგრეთვე—მათ მიერ გადასახდელი ხარკის გამოანგარიშებას; თუ ეს ცნობები არ იქნა წარდგენილი, შემოსავალი გამოანგარიშება წარსული წლის შემოსავლის ოდენობისა და სხვა ცნობების საფუძველზე. ხარკის ოდენობას აღნიშნულ ფიზიკურ პირთათვის განსაზღვრავს, საუბნო სახარკო კომისიის მიერ გამორკვეული დასაბეგრი შემოსავლის საფუძველზე, პირდაპირ ხარკთა ინსპექტორი, ხოლო იურიდიულ პირთათვის—სა-

განგებო სახარკო კომისია, რის შემდეგაც გადამხდელთ წერილობითი ცნობა ეგზავნებათ, ხარკის გადახდის ვადისა და გასაჩივრების წესის აღნიშვნით.

როდესაც ხარკვალდებულებული რამდენიმე საშემოსავლო წყაროდან ღებულობს შემოსავალს, მისი დაბეგვრა შემდგენიარად სწარმოებს: ხარკვალდებულის ყველა შემოსავლის გამორკვევის შემდეგ ხარკი იანგარიშება მთელი შემოსავლიდან (მუშა-მოსამსახურისთვის: ხელფასის ჩათვლელად) ცალკაღკ თითოეული სათანადო ნუსხის (1-ლი, მე-2, მე-3) მიხედვით; ამის შემდეგ გამოირკვევა ცალკე ნუსხების მიხედვით დასაბეგრ შემოსავალთა წილი მთელ შემოსავალში და ხარკის ოდენობა ამ წილის საფუძველზე იანგარიშება თითოეული ნუსხის თანახმად; ცალკე ნუსხების საფუძველზე გამოანგარიშებულ ხარკის ოდენობათა ჯამი წარმოადგენს გადამხდელის სახარკო ვალდებულებას. ასე, მაგ., შემოსავალი ლიტერატორისა, რომელსაც აგარაკი აქვს და ამავე დროს თანამფლობელია სტამბისა, ზევით თქმულის თანახმად, შემდეგი წესით დაიბეგრება: ვთქვამთ სახარკო პერიოდის განმავლობაში მან მიიღო შემოსავალი ლიტერატურული შრომიდან 2000 მ., აგარაკიდან—500 მ., ხოლო სტამბიდან—1500 მ., ე. ი. სულ—4000 მ. ხარკი იანგარიშება თითოეული ნუსხის თანახმად მთელი შემოსავლისათვის. 4000 მანეთისათვის 1-ლი ნუსხით ხარკი შეადგენს 75 მან., მე-2 ნუსხით—30 მან., ხოლო მე-3 ნუსხით—390 მ. ვინაიდან შემოსავალი ლიტერატურული შრომიდან მთელი შემოსავლის $\frac{1}{2}$ -ს შეადგენს, აგარაკიდან $\frac{1}{3}$ -ს, ხოლო სტამბიდან— $\frac{1}{6}$ -ს, ამიტომ ხარკის 75 მან. ოდენობიდან (1-ლი ნუსხით) აიღება $\frac{1}{2}$ ანუ 37 მ. 50 კ., 30 მ.-დან (მე-2 ნუსხით)— $\frac{1}{3}$, ანუ 38 მ. 25 კ. და 390 მ.-დან (მე-3 ნუსხით)— $\frac{1}{6}$ ანუ 146 მ. 25 კაბ.. ამრიგად, ლიტერატორის ზევით აღნიშნული მთელი შემოსავლისათვის (4000 მ.) ხარკის ოდენობა შეადგენს 222 მ. (37 მ. 50 კ.+38 მ. 25 კ.+146 მ. 25 კ.).

ხარკის გადახდის მხრივ ასეთი წესია: ფიზიკური პირები, გარდა მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფო პენსიონერთა, ხარკს იხდიან მეოთხედ-მეოთხედობით ოთხ ვადაში, სახელდობრ 15 მარტს, 1 მაისს, 15 ივნისს და 15 ივლისს (საკაეშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის 1928 წ. 29 თებერვლის დადგენილება), მუშა-მოსამსახურენი და სახელმწიფო პენსიონერები ხარკს იხდიან ხელფასიდან და პენსიიდან გამორიცხვის წესით ყოველთვიურად, რასაც ხელფასის და პენსიის გამკემი დაწესებულება-სარეწაოები და პირნი ასრულებენ: ეს უკანასკნელნი, ხარკის სისწორით გამოანგარიშებისა და გამორიცხვის მხრივ, სახარკო უწყების ზედამხედველობას ექვემდებარებიან და აკრეფილი ხარკი მათ, სათანადო ვადაში, სასაღარო დაწესებულებებში შეაქვთ.

იურდიული პირები ხარკს იხდიან ოთხ ვადაში შემდეგი წესით: ბალანსისა და ანგარიშის წარდგენასთან ერთად, მაგრამ არა უგვიანეს საპი თვისა საოპერაციო წლის დასრულებიდან, გადაიხდება $\frac{1}{4}$ ხარკისა გადამხდელის გამოანგარიშების საფუძველზე; სიგანგებო სახარკო კომისიისაგან უწყების მიღების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში გადაიხდება $\frac{1}{3}$ უწყებაში აღნიშნული თანხისა, წინასწარ გადახდილი ხვედრის გამორიცხვით; $1\frac{1}{2}$ თვის შემდეგ—ნახევარი დარჩენილი თანხისა, ხოლო კიდევ $1\frac{1}{2}$ თვის შემდეგ—დანარჩენი თანხა.

2. სახელმწიფო სარეწაოების, კოოპერატიული ორგანიზაციების და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილედ მქონე სააქციო (საპარო) საზოგადოე-

შათა საშემოსავლო ხარკით დაბეგვრა, როგორც უკვე აღნიშნეთ, განწყობი-
ლებულია 1926 წ. 15 ოქტომბრის საგანგებო დებულებით, რომლისათვის უკანას-
კნელად 1927 წლის 14 დეკემბერს დამატებაა გამოცემული. ამის საფუძველზე შემ-
დეგი უფლებრივი მდგომარეობაა:

I. პირადი სახარკო ვალდებულება ეხება: ა) სახელმწიფო სა-
რეწაოს, რომელიც კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მოქმე-
დობს; ბ) კოოპერატიულ ორგანიზაციას; გ) სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამ-
ხანაგობას), რომლის აქციები, არა ნაკლებ 50% ითვალის; სახელმწიფო. დაწესებულებე-
ბებს, სარეწაოებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეკუთვნის.

ხარკისგან თავისუფალია: სახელმწიფო სარეწაოები, აგრეთვე კომუნა-
ლური სარეწაოები, რომელთა ექსპლოატაცია უშუალოდ (იჯარით გაუცემ-
ლად) სწარმოებს და მიზნად აქვთ: საზოგადოებრივი კეთილმოწყობა (კანალიზა-
ციის, წყლის მიწოდების, ასენიზაციის და სხვ. სარეწაოები) და ჯანმრთელობის
დაცვა (დასახელებელი სახლები, ლაბორატორიუმები, აბანოები, სადენიფექციო
კამერები და სპროტეზო სახელოსნოები); სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშ-
ვნელობის კურორტები და საკურორტო ტრესტები იმ სარეწაოთა და იმ ოპერა-
ციების მხრივ, რომელნიც საოქროს ხარკისგან არიან თავისუფალი (1929 წლის
1 აპრილამდე); სახელმწიფო სარეწაოთა შემოსავალი წითელი ლაშქრის მომარა-
გების საგანთა დამზადებისათვის; სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო დაზღვევის
ორგანოები ყველა ოპერაციებისათვის, გარდა სააკრო-სამრეწველოსი; კომუნა-
ლური მეურნეობის და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური, რესპუბლიკური
და ადგილობრივი ბანკები და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებანი;
სახელმწიფო ნიშანთა დამზადებელი სამმაროველო; სახელმწიფო სარეწაოთა,
კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სააქციო საზოგადოებათა შემოსავალი ოქ-
როს ძიების, კვლევის და მოპოვების ოპერაციებიდან, ხოლო სხვა მდებარეობისათვის —
ძიების და კვლევის ოპერაციებიდან; ტელეგრაფის სააგენტო, გამომცემლობანი,
ს.მეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებუ-
ლებანი; სამკურნალო დაწესებულებანი; უბილეს სასწავლებლებსა და სამეცნიე-
რო დაწესებულებებთან არსებული კომერციულ ანგარიშზე მოქმედი დამხმარე
სარეწაოები; სახელმწიფო სარეწაოები მუზეუმების, თეატრების, კონცერტების,
რადიო-კონცერტების და ცირკების მოწყობისა და შენახვისათვის; კინემატოგრა-
ფიული ფილმების გადაღებისა და დამუშავების მწარმოებელი სარეწაოები ამ
ოპერაციებით მიღებული შემოსავლის მხრივ; საბინაო-საიჯარო და მუშათა სა-
ბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობანი, აგრეთვე ყველა საფეხურის
საბინაო კოოპერაციის კავშირები და სხვ. გარდა ამისა, ხარკისგან თავისუფალია
შავთოდ ყველა (აქ აღნიშნული) იურიდიული პირი, რომლის წმინდა შოგება
წელიწადში 1500 მანეთს არ აღემატება.

შემდეგი შეღავათებია დაწესებული კოოპერატიული ამხანაგობისა-
თვის: მომხმარებელი კოოპერატიული ამხანაგობის დასაბეგრი შემოსავლიდან გა-
მოირიცხება ის პრემიები, რომელიც წევრებზე არის გაცემული ნავაჭრის მიხედ-
ვით, ხოლო ყველა სახისა და საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციებს (გარ-
და დამზღვევი ამხანაგობებისა) სახარკო თანხა უმცირდებათ 25% ით.

II. ნივთიერი სახარკო ვალდებულება. შემოსავლად კანონს
შიჩნეული აქვს წმინდა შოგება, რომელსაც აღნიშნული იურიდიული პირები იღე-
ბენ ყოველგვარი საშემოსავლო წყაროებიდან.

III. წმინდა მოგების გამოანგარიშება. სახელმწიფო სარეწაოებისა და სააქციო საზოგადოებათათვის, რომლებშიაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, წმინდა მოგება ითვლება მოგება ბალანსის მიხედვით (საბალანსო მოგება), რომელიც შედგენილ და დამტკიცებულ უნდა იქნეს საგანგებო კანონით დადგენილი წესით. დანარჩენ იურიდიულ პირთათვის წმინდა მოგებად (საგადასახადო მოგებად) ითვლება სხვაობა, ერთის მხრივ, საერთო შემოსავალსა და, მეორეს მხრივ, ხარჯებსა და ანარიცხებს შორის.

მთლიანი შემოსავლის ცნება აქაც იმგვარად იგულისხმება, როგორც საერთო საშემოსავლო ხარკისთვის (იხ. ზევით), მხოლოდ მთლიან შემოსავალს არ მიეთვლება: ა) შენატანი აქციების (პაიების) სასყიდლად მათი საქმისიო ფასის მიხედვით; ბ) საპაიო და შესასვლელი გადასახადი, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციების სპეციალი კაპიტალის დასაარსებლად გადადებული თანხები და მთელი ის ფაქტობა, რომელიც ამა თუ იმ კოოპერატიულ ორგანიზაციაზე გადავა მასთან შეერთებული კოოპერატიული ორგანიზაციის აქტივისა და პასივის მიღებით; გ) დაუბრუნებელი დანარჩენების სახით მიღებული თანხები და დ) ქონების ღირებულება, რომელიც კოოპერაციას მთავრობის სპეციალი დადგენილების საფუძველზე უბრუნდება.

წმინდა მოგების მისაღებად მთლიანი შემოსავლიდან გამოირიცხება შემდეგი ხარჯები და ანარიცხები: სავაქრო, საწარმოო, სათბობი და საფუთავი მასალის შექმნა და გადაზიდვა; ხელფასი და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (კომპენსაცია, სოციალური დაზღვევა და სხვ.); საკომისიო და საკურტაჟო გასამრჯელო, საბირჟო რეგისტრაციის და სამაკლერო და სანოტარო გამოსადები; სასამართლოს ხარჯები; საკანცელარიო ხარჯები; მიწის იჯარით აღებისა და დამუშავების ხარჯები; გათბობა, წყლის მომარაგება, განათება და სისუფთავის დაცვა; სარგებლის გადახდა სხვადასხვა ვალდებულებებით; სახელმწიფო და ადგილობრივ ხარკთა და საფასურთა გადახდა, გარდა საშემოსავლო ხარკისა; ქონების დაზღვევა და ამორტიზაცია (სხვადასხვა ნორმები ქონების სახეთა მიხედვით), წესდებით გათვალისწინებული ეკონომიურ-სტატისტიკური გამოკვლევების, გამოფენების და მუზეუმების მოწყობის ხარჯები (არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 1%-ისა) და სხვ..

IV. სახარკო პერიოდს შეადგენს საგანაკვეთო წლის წინა საოპერაციო (სამეურნეო) წელი.

V. ტარიფი. სახარკო განაკვეთი შეადგენს წმინდა მოგების 81/100-ს. უკეთეს ამ განაკვეთის საფუძველზე გამორკვეული სახარკო ვალდებულება იმაზე მეტი აღმოჩნდება, რაც მოგების ამ თანხას საერთო საშემოსავლო ხარკის დებულების მე-31 ნუსხის („დ“ ჯგუფის) თანახმად (იხ. ზევით) დაეკისრებოდა, მაშინ ხარკის ოდენობა ამ ნუსხის მიხედვით აიღება.

VI. შეწერის და გადახდის წესი. დასაბეგრი წმინდა მოგებას და ხარკის ოდენობის აღნუსხვას იურიდიული პირის გამგეობა აწარმოებს; ის ვალდებულია, საოპერაციო წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, სათანადო სახარკო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს ბალანსის ასლი ხვედრი ხარკის გამოანგარიშებასთან ერთად, — თუ საქმე ეხება სახელმწიფო სარეწაოებსა და სააქციო საზოგადოებებს (რომელშიც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს), ხოლო სხვა იურიდიულ პირთა გამგეობანი ვალდებული არიან. წარადგინონ წლიური

ანგარიში და თან დაურთონ ბალანსი და დასაბეგრი მოგებისა და ხარკის ოდენობის გამოანგარიშება.

ბალანსის წარდგენასთან ერთად იურიდიული პირის გამგეობა ვალდებულია სასალოარო დაწესებულებებში შეიტანოს საშემოსავლო ხარკის თანხა იმ გამოანგარიშების მიხედვით, რომელიც მის მიერ ბალანსთანაა შეთანხმებული. იმ შემთხვევაში, როდესაც ბალანსის წარდგენის ვადა გადადებულია, ხოლო ხარკის გადახდისა კი არაა, ხარკის თანხა შეტანილ უნდა იქნეს სახარკო პერიოდის წინა წლის წმინდა მოგების საფუძველზე. ბალანსის საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ კი იურიდიული პირის გამგეობა ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს სახარკო კომისიის თავმჯდომარეს ზევით აღნიშნული ცნობები შესწორებული გამოანგარიშებით. თანადროულად წარდგენილ უნდა იქნეს სასალოარო დაწესებულებათა ქვითარი ხარკის დამატებითი თანხის შეტანის შესახებ, უკუთუ დამტკიცებული ბალანსით წმინდა მოგების თანხა წინასწარ ანგარიშთან შედარებით მეტია, ანდა, — თუ ეს თანხა ნაკლებია, — განცხადება ზედმეტად გადახდილი ხარკის თანხის დაბრუნების შესახებ. ამის შემდეგ სახარკო კომისია საბოლოოდ არკვევს ხარკის ოდენობას, რომლის დროსაც კანონიერი წესით გამარკვეული წმინდა მოგების თანხა სახელმწიფო სარეწაოებისა და საქციო სპეზოგადოებათა (რომლებშიც სახელმწიფო კაპიტალი სტარბოხს) არ საქიროებს შემოწმებას, ხოლო დანარჩენ იურიდიულ პირთ შესაძლებელია მოეთხოვოთ განმარტება-დასაბუთებანი.

იურიდიული პირი, რომელიც დაწესებულ ვადაში ანგარიშსა და ბალანსს არ წარადგენს, დაიბეგრება იმ ცნობების თანახმად, რაც სახარკო კომისიის განკარგულებაში იქნება და ამისთანავე მას ფულადი ჯარიმა დაედება.

ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ს ა ბ ჯ ო ე ბ ს უფლება აქვთ, ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, საშემოსავლო ხარკზე დააწესონ და აკრიფონ დ ა ნ ა რ ი ც ხ ი, არა უმეტეს 25%-ისა.

საშემოსავლო ხარკის გამოსავალი შეადგენდა მთელს კავშირში: 1924/25 წ. 94,290 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის — 3,20%-ს, 1925/26 წ. — 151,435 ათას მ. ანუ — 3,50%-ს (წინა წელთან შედარებით — 160,60%-ს), ხოლო 1926/27 წ. ნავარაუდვე იყო შემოსავლად 168,150 ათას მ. ანუ — 3,40% (1924/25 წელთან შედარებით — 178,30%); ა მ ი ე რ - კ ა ვ კ ა ს ი ის ფ ე დ რ ა ც ი ა შ ი შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ. 2,837 ათას მ. ანუ შემოსავლის 14,10%-ს, 1925/26 წ. — 4,762 ათას მ. ანუ — 13,10%-ს (წინა წელთან შედარებით — 167,90%-ს), ხოლო 1926/27 წ. — 8,507 ათას მ. ანუ — 14,90%-ს (1924/25 წელთან შედარებით — 299,90%-ს); კ რ დ ო ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი: 1924/25 წ. — 1,431 ათას მ. ანუ — 17,50%-ს, 1925/26 წ. — 2,096 ათას მ. ანუ — 21,30%-ს (წინა წელთან შედარებით — 146,50%-ს), 1926/27 წ. — 2,682 ათას მ. ანუ — 19,40%-ს (1924/25 წელთან შედარებით — 187,40%-ს).

3. 1926 წ. 18 ივნისის კანონით დაწესებულ იქნა ზედმეტი მოგების ხარკი, რომელიც შეიცვალა 1927 წ. 18 მაისის კანონით. ხარკვალდებული არიან: ა) ფიზიკური პირები, რომელნიც შემოსავალს იღებენ მფლობელის ან თანამფლობელის სახით სავაჭრო სარეწაოებიდან (არა უმეტერეს მე-2 ხარისხისა) ანდა მრეწველობის იმ დარგთა სარეწაოებიდან, რომელნიც სათანაბრო გამოსადებით ბრუნვის საფუძველზე იბეგრებიან და რომელთა სიას საქავშირო ფინანსთა კომისარიატი აწესებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ვაჭრობის კომისარიატთან შეთანხმებით; ბ) ფიზიკური პირები, რომელნიც საშუა-

მავლო, სამაკლერო და სხვა მსგავს ოპერაციებს აწარმოებენ უკანტოროდ, გარდა საქონლის და საფონდო ბირჟის მაკლერებისა; გ) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებანი, აგრეთვე სააქციო (საპაიო) საზოგადოებანი და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამანაგობანი, რომელთა გამგეობა ს. ს. რ. კ.-ის ტერიტორიაზე იმყოფება (გარდა საშემოსავლო ხარკით საგანგებო დებულების საფუძველზე დაბეგრულ სახელმწიფო, კოოპერატიულ და შერეულ საზოგადოებათა, იხ. ზვეით გვ. 182 და შემდ.) და რომელნიც შემოსავალს იღებენ სავაჭრო და აქვე „ა“ მუხლში აღნიშნულ სამრეწველო სარეწაოებიდან, ასევე უცხოეთის საზოგადოებანი და ამხანაგობანი, — ს. ს. რ. კ.-ის ტერიტორიაზე წარმოებული ოპერაციებისათვის. ხარკი აღნიშნულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთ მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხება, თუ მათი შემოსავალი სარეწაოს ან მოხსენებული პირადი საქმიანობიდან საგანაკვეთო წლის წინა წელს საშემოსავლო ხარკისთვის დაწესებული სარტყელების მიხედვით აღმატებოდა: I სარტყელში—3200 მ., II-ში—2800 მ., III-ში—2400 მ. და IV-ში—2000 მანეთს და ამასთან—თუ აღნიშნულ სარეწაოთა შემოსავალი ნორმალურ შემოსავალს (იხ. ქვევით) აჭარბებდა.

ხარკისგან თავისუფალია შემოსავალი: სარგებლიანი ქალაქებიდან, საკრედიტო დაწესებულებათა ანაბარებიდან, აქციებიდან (როგორც კერძო, ისე შერეულ სააქციო საზოგადოებათა) და იმ სამრეწველო სარეწაოებიდან, რომელნიც ზედმეტი მოგების ხარკით დასაბეგრთა საგანგებო ნუსხაში არ არიან შეტანილნი (1927/28 წ. დასაბეგრთა ნუსხაშია: ტყავის, ბამბის, მატყლის და დაუქვის მრეწველობა).

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ზვეით—„ა“ და „ბ“ მუხლში—მოხსენებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის სხვაობა საშემოსავლო ხარკით დასაბეგრად გამორკვეულ შემოსავალსა და ნორმალურ შემოსავალს შორის, წილი „ბ“-ში მოხსენებულ ფიზიკურ პირთათვის ის თანხა, რომელიც ზვეით აღნიშნულ დაუბეგრავ მინიმუმს აღმატება. სარეწაოთა ნორმალური შემოსავალი ირკვევა სათანაბრო გამოსადებისათვის გამორკვეული ბრუნვისა და სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოთა ცალკე სახეებისა და დარგებისათვის დაწესებული მომგებიანობის ნორმის საფუძველზე, რასაც საგუბერნიო, საოლქო და სხვ. მსგავსი საფინანსო განყოფილება ადგენს ვაჭრობის კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმებით იმ დირექტივების საფუძველზე, რომელიც გაიცემა მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა კომისარიატის მიერ მოკ. რესპუბლიკის ვაჭრობის კომისარიატთან შეთანხმებით და საკავშირო ფინანსთა და ვაჭრობის კომისარიატების საერთო დირექტივებთან შეთანხმებით. საქართველოს ფინანსთა სახ. კომ. მიერ 1928 წ. 7 თებერვალს დამტკიცებული ნუსხის თანახმად, ნორმალური მომგებიანობის პროცენტი კერძო სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოთათვის 1927/28 წ., სარეწაოს სახისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, შემდეგს შეადგენს: ვაჭრობისათვის—I სარტყელში (ტფილისი)—7—200/0-ს, II-ში (ქუთაისი, ტფილისის მაზრა)—8—220/0-ს, III-ში (ყველა დანარჩენი ქალაქები და მე-2 სარტყელის ქალაქთა განაპირა ადგილები)—10—250/0-ს და IV-ში (დანარჩენი ადგილები)—10—250/0-ს; მრეწველობისათვის (ტყავის, ბამბის, მატყლის და დაუქვისა)—I სარტყელში—13—200/0-ს, II-ში—15—200/0-ს, III-ში—17—220/0-ს და IV-ში—17—220/0-ს.

სახარკო განაკვეთი წლიურია და მის საფუძველზე გამორკვეული სახარკო ვალდებულება არ უნდა აღმატებოდეს ხარკვალდებულის მიერ გადასახდელი საშემოსავლო ხარკის 500/0-ს.

სავაჭრო სამრეწველო სარეწაოთათვის სახარკო განაკვეთი, — იმის მიხედვით, თუ რამდენი პროცენტით აღემატება მიღებული შემოსავალი ნორმალურ მოგებას, ანუ, რაც იგივეა, რა პროცენტული ოდენობისაა ზედმეტი მოგება ნორმალურ შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით, — შეიძლება:

ზედმეტი მოგება (მან.)	ზედმეტი მოგების მიმართება ნორმალურ შემოსავლისადმი (0/0-ში).					
	100/0-მდე	200/0-მდე	300/0-მდე	400/0-მდე	500/0-მდე	500/0-ს ზევით.
	1.000-მდე, სახარკო განაკვეთის 0/0:	6	10	14	18	22
2.000- " " "	10	14	18	22	26	30
3.000- " " "	14	18	22	26	30	34
3.500- " " "	16	20	24	28	32	36
4.000- " " "	18	22	26	30	34	38
4.500- " " "	20	24	28	32	36	40
5.000- " " "	22	26	30	34	38	42
6.000- " " "	24	28	32	36	40	44
7.000- " " "	26	30	34	38	42	46
8.000- " " "	28	32	36	40	44	48
9.000- " " "	30	34	38	42	46	50
10.000- " " "	32	36	40	44	48	50
12.000- " " "	34	38	42	46	50	50
15.000- " " "	36	40	44	48	50	50
20.000- " " "	38	42	46	50	50	50
20.000-ზე მეტი	40	44	48	50	50	50

ამრიგად, ხარკის ოდენობის გამოსაანგარიშებლად, ჯერ საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ რამდენით აჭარბებს (აბსოლუტურად) მიღებული მოგება ნორმალურ მოგებას, ე. ი. რამდენაა ზედმეტი მოგების თანხა და რა პროცენტს შეადგენს იგი ნორმალური მოგებისას, რის შემდეგ, ამ პროცენტისა და ზედმეტი მოგების თანხის მიხედვით, სათანადო სახარკო განაკვეთის 0/0-ის საფუძველზე გამოიანგარიშება ხარკის თანხა. ვთქვათ, სათანადო გამოსაღებით დასაბეგრი ბრუნ-მოიანგარიშება ხარკის თანხა, ვთქვათ, სათანადო გამოსაღებით დასაბეგრი ბრუნ-მოიანგარიშება ხარკის თანხა. ვთქვათ, სათანადო გამოსაღებით დასაბეგრი ბრუნ-მოიანგარიშება ხარკის თანხა. ვთქვათ, სათანადო გამოსაღებით დასაბეგრი ბრუნ-მოიანგარიშება ხარკის თანხა. ვთქვათ, სათანადო გამოსაღებით დასაბეგრი ბრუნ-მოიანგარიშება ხარკის თანხა.

გადასახდელის 50⁰/₀-ს არ აღემატება (6000 მანეთის შემოსავალს საშემოსავლო ხარკად უწევს 830 მან.,—შეად. მე-3 ნუსხა ზევით გვ. 180).

პირადი საქმიანობისათვის სახარკო განაკვეთი დაწესებულია ზედმეტი მოგების თითოეულ ათას მანეთზე ცალცალკე და შეადგენს:

პირველი	ათასი მანეთისთვის	25 ⁰ / ₀ -ს,
მეორე	„ „	30 „ „
მესამე და მეოთხე	„ „	33 „ „
მეხუთე და მეექვსე	„ „	35 „ „
შეშვიდე და შემდეგი	„ „	40 „ „

მაშასადამე, 5500 მანეთის შემოსავლიდან, რომელიც ხარკვალდებულმა, ვთქვათ, მე 2 სარტყელში მოიპოვა პირადი მოსაქმეობით, ზედმეტ შემოსავლად (მოგებად) ჩასათვლელი იქნება (5500—2800=) 2700 მან., რომლის ხარკი შეადგენს (პირველი ათასი მ. 25⁰/₀—250 მ., მეორესთვის 30⁰/₀—300 მ. და მესამესთვის —700 მ. 33⁰/₀—231 მ.) სულ 781 მანეთს, რაც შემცირებულ უნდა იქნეს საშემოსავლო ხარკის 50⁰/₀-მდე, ე. ი. 355 მანეთამდე, ვინაიდან აღნიშნული ზომის (5.500 მ.) შემოსავალს საშემოსავლო ხარკად უწევს (მე-3 ნუსხით, შეად. ზევით გვ. 180) 710 მან.

ზედმეტი მოგების ხარკით დასაბეგრი შემოსავლის გამორკვევას და ხარკის შეწერას ფიზიკურ პირთათვის აწარმოებენ საუბნო სახარკო კომისიები და პირდაპირ ხარკთა ინსპექტორები, ხოლო იურიდიულ პირთათვის—საგანგებო სახარკო კომისიები. ხარკის ოდენობის გამორკვევის შემდეგ გადასხედლთ ეგზავნებათ უწყება იმავე წესით, როგორც საშემოსავლო ხარკისთვისაა დადგენილი. ხარკი გადაიხდება ნახეპარ-ნახეკრად საშემოსავლო ხარკის გადასახდელად დაწესებულ პირველ ორ ვადაში (იხ. ზევით გვ. 182).

ხარკის გამოსავლი დან 25⁰/₀ მიიქცევა ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

ამ ხარკით მისაღები შემოსავალი მთელს კავშირში 1926/27 წ. ნავარაუდები იყო 7.500 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 0,2⁰/₀.

3. საქონე ბო ხარკი.

§ 48. საქონე ბო ხარკის არსი და სახეები.—ხარკი, რომლისთვის საგანსა და საზომს ქონება ან ქონების ნაწილი წარმოადგენს, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში არსებობდა Schatzung-ის სახელწოდებით. მაშინ იგი უმთავრესად წესდებოდა ქონების სხვადასხვა ობიექტზე (მამულზე, შენობაზე, ზოგჯერ მოძრავ ფასიან ნივთებზე) სააღებ-მიცემო ფასეულობის მიხედვით, რომელიც ვარაუდით იანგარიშებოდა. ბუნებრივია, რომ ხარკების წარმოშობის პირველ ხანებში, როდესაც წარმოადგენა გამოსავლიანობასა და შემოსავალზე ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო, ხარკს სხვადასხვა ისეთ ობიექტს უკავშირებდნენ, რომელიც თავისთავად ადვილად შესამჩნევი იყო და რომლის შეფასებაც იმდროინდელ მარტივ და ნათელ პირობებში არავითარ განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ეხლანდელ დროის საქონებო ხარკი, ვიწრო მნიშვნელობით, წარმოადგენს ქონების მფლობელობაზე დაწესებულ რეგულიარულ გადასახადს და ამით იგი განირჩევა სამემკვიდრო ხარკისგან, რომელიც თუმცა ქონებას შეეწერება, მაგრამ—მხოლოდ დროგამოშვებით, მემკვიდრეობის შემთხვევის წარმოდგომისას; განირჩევა ქონების მიმოქცევის ხარკისგანაც, რომელიც ქონების ობიექტთა ხელისგასვლიდან ხელში გადასვლის აქტს თუ მომენტს უკავშირდება.

იმ აზრით, რომელიც კანონს აქვს მიღებული, ქონებას წარმოადგენს პირველ რიგში ყველა ის დოვლათი, რომელიც სარგებლობის მომცემია ან მოცემა შეუძლია,—მაშასადამე, მიწა და შენობები, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, სასესხო კაპიტალი, შემოსავლის (რენტის, დოტაციის და სხვ.) მიღების უზრუნველყოფი უფლებები. ახალი სახარკო კანონები ბევრავს აგრეთვე ძვირფას სახმარ ქონებასაც (ძვირფასი ლითონები, სამკაულები, კოლექციები და სხვ.), რომელიც მფლობელის სურვილით საშემოსავლოდ გამოყენებას აცდენილია და მის უფრო დიდ გადამხდელით უნარს მოწმობს. ჩვეულებრივი მოსახმარი ქონება კი არ იბეგრება. ქონებაზე მდებარე ვალი ქონების ფასეულობიდან გამორიცხულ უნდა იქნეს.

ხარკის საზომ საფუძველს ჩვეულებრივ წარმოადგენს საერთო ანუ სააღებ-მიცემო ფასეულობა, რომლის გარკვევისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სამეურნეო პირობებიც, მიწისთვის—გამოსავლიანობითი ფასეულობაც, რომელიც ხშირად ნაკლებია, ვიდრე სააღებ-მიცემო ფასეულობა, ფასიან ქალაქდებისათვის—რამდენიმე წლის საშუალო კურსი.

ხარკის სუბიექტი არის ქონების მესაკუთრე. მაშინ როდესაც ომის წინა დროის კანონით (გერმანიაში) ხარკვალდებულნი მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ, 1922 წლის 8 აპრილის საიმპერიო ქონების ხარკის კანონი მრავალ საზოგადოებებსა და კავშირებზეც ვრცელდება; მცირე ქონება ხარკისგან თავისუფალია. პროგრესიული სახარკო განაკვეთი ან საფეხურებად დაყოფილი (შტაფელიანი) ტარიფი აქაც ისევე ჰპოებს გამართლებას, როგორც საშემოსავლო ხარკისთვის.

რაც შეეხება ხარკის წყაროს ანუ ფონდს, საიდანაც ხარკი ფაქტიურად გადაიხდება, გასარჩევია ორგვარი მდგომარეობა: ხარკის გასტუმრება ქონების შემოსავლიდან, ან—მისი გადახდა თვით ქონებიდან. პირველ შემთხვევაში არსებობს ნომინალური საქონებო ხარკი, ვინაიდან მისი წყარო ქონების შემოსავალია, ხოლო მეორეში—იგია რეალური საქონებო ხარკი, ვინაიდან მას ქონება

ჰკეზავს. დამტკიცებას არ საჭიროებს ის დებულება, რომ რეალი საქონებო ხარკის დაწესება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლისის სახით,—სახელმწიფოს ფინანსიური ხელმოკლეობის დროს, როდესაც სხვა სახსარი არ არსებობს,—უკეთეს სახელმწიფოს არ სურს საფრთხეში ჩააგდოს სამეურნეო ცხოვრება და ხარკის მუდმივი წყაროები. რეალი საქონებო ხარკი, გარდა ამისა, ხარკვალდებულებს მეტად სხვადასხვანაირად ეხება ქონების სახისა და იმ შესაძლებლობის მიხედვით, რომელიც ქონების რეალიზაციისათვის არსებობს, რითაც პატრონმა ხარკის გადასახდელად ქონების ლიქვიდობა უნდა მოიპოვოს. ამიტომ რეგულიარული, საყოველწლოდ ასაკრეფი, საქონებო ხარკი ნამდვილად მხოლოდ ნომინალურია; აქ თუმცა ობიექტს და საზომ საფუძველს ქონება წარმოადგენს, მაგრამ სახარკო განაკვეთები ისეთ ფარგლებშია მოქცეული, რომ ხარკის გადახდა ქონების შემოსავლიდან არის შესაძლებელი.

საქონებო ხარკის ადგილი სახარკო სისტემაში მისი არსითაა მოცემული. მისი ამოცანაა საერთო საშემოსავლო ხარკის შეესება და იმ წყაროების უფრო ძლიერად დაბეგვრა, რომელზედაც ფუძიანი შემოსავალია დამყარებული. მთავარ ხარკად ის არ გამოდგება, ერთი იმიტომ, რომ მისი შემოსავალი, თუ მცირე სახარკო განაკვეთს ვიგულისხმებთ, შედარებით უმნიშვნელო იქნება, ხოლო მეორე—იმის გამო, რომ ქონებასთან არაა უეჭველად შეკავშირებული სათანადო ზომის შემოსავალიც, რადგან სხვადასხვაგვარი ქონება, თუნდაც ერთიდაიმავე სააღებ-მიცემო ფასეულობისა, დროისა და ადგილის მიხედვით სხვადასხვა წმინდა შემოსავალს იძლევა, და დასასრულ—იმიტომაც, რომ საქონებო ხარკი ანგარიშს ვერ გაუწევს იმ ინდივიდუალურ გავლენასა და მნიშვნელობას, რომელიც სხვადასხვა მესაკუთრეებს აქვთ ქონების გამოყენების საქმეში.

გერმანიაში პირველი საქონებო ხარკი 1893 წლის 14 ივლისს იქნა შემოღებული პრუსიაში, რომელსაც თანდათან გერმანიის სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს. მანამდე არსებობდა საქონებო ხარკი პოლანდიაში, შვეიცარიაში რამდენიმე კანტონში და ჩრდილოეთ ამერიკის მრავალ შტატში.

გერმანიის იმპერიაში საქონებო ხარკი შემოღებულ იქნა 1922 წლის 8 აპრილის კანონით, რომელშიაც ცვლილება იქნა შეტანილი 1923 წლის 20 მარტის ფულის ფასეულობის დაცემის კანონით და 1923 წლის 19 დეკემბრის მე-2 სახარკო დებულებით, ხოლო გამოცვლილ იქნა 1925 წლის 10 აგვისტოს საქონებო და სამემკვიდრო ხარკის კანონით. ამასვე შეეხება აღნიშნულ რიცხვს გამოცემული საიმპერიო შეფასებითი კანონიც.

I. პირადი სახარკო ვალდებულება. შეუზღუდავად, ე. ი. მთელი თავიანთი ქონებით ხარკვალდებულნი არიან: 1. ფიზიკური პირები იმგვარადვე, როგორც საშემოსავლო ხარკის შესახებ (იხ. ზევით გვ. 169); 2. შემდეგი

გაერთიანებანი, რომელთა მართველობა სახელმწიფოს შიგნით იმყოფება: ა) სა-
აქციო და საკომანდიტო-სააქციო საზოგადოებანი, კოლონიალური საზოგადოე-
ბანი, უფლებამოსილი სამთამადნო კავშირები და არაუფლებამოსილი სამთამად-
ნო საზოგადოებანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებანი, კოოპერა-
ტიული ამხანაგობანი, საურთიერთო დამზღვევი კავშირები, საპროტეკო და გე-
მების დამგირავებელი ბანკები; ბ) უფლებამოსილი და არაუფლებამოსილი კავში-
რები, დაწესებულებანი, სამოქალაქო სამართლის სხვა მიზნობრივი ქონებანი და
კორპორაციები; გ) სრული სავაჭრო და საკომანდიტო საზოგადოებანი; დ) სა-
ჯარო-უფლებრივი საკრედიტო დაწესებულებანი.

შ ე ზ ლ უ ლ ა დ, ე. ი. მხოლოდ შიგნითი სასოფლო-სამეურნეო, სა-
ტყეო-სამეურნეო და საბაღოსნო ქონებით, საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის
სახის ქონებით ხარკვალდებულნი არიან ყველა ფიზიკური პირები, რომელთაც
შეუზღუდავი ხარკვალდებულება არ ეკუთვნით, და კორპორაციები, რომელთა
მართველობა უცხოეთშია.

პიროვნულად თავისუფალი არიან სხვადასხვა საჯარო ბანკები, სა-
ქველმოქმედო და მსგავსი საზოგადოებანი, პროფესიონალური კავშირები და სხვ.,
იმის მსგავსად, რასაც საკორპორაციო ხარკისთვის აქვს ადგილი.

II. ნ ი ვ თ ი ე რ ი ს ა ხ ა რ კ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა. ქონების ცნება მი-
ღებულია საიმპერიო შეფასებითი კანონის მნიშვნელობით, ე. ი. ქონებად ითვლე-
ბა სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო და საბაღოსნო ქონება, საბრუნავი
და ძირითადი კაპიტალის სახის ქონება, აგრეთვე სხვა ქონება. დაუბეგრავ ქონებას
ეკუთვნის: საოჯახო ავეჯი და სხვა მოძრავი საგნები, რომელნიც საგანგებოდ არ
არიან მოხსენებულნი, ქონება, რომელიც მხოლოდ საქველმოქმედო ან საზოგადო
სარგებლობის მიზნებისათვის აღის გადადებული, ზოგიერთი უფლება რენტის და
კაპიტალის მიღებისა, წილი სრულ სავაჭრო და საკომანდიტო საზოგადოებებში,
შემდეგ—საგანმანათლებლო ხელოვნების, მწერლობის და მუსიკის საწარმოებში,
აგრეთვე საავტორო უფლებები,—ავტორის, ქვრივის ან ობლების საკუთრებაში.

ნივთიერი ქონებიდან გამოირიცხება: ა) ვალი, თუ ის უკვე საწარმოო ქო-
ნების გამორკვევისას მხედველობაში არ იყო მიღებული; ბ) გასაცემი რენტა; გ)
ნაღდი ფული; ანბარი და თანხები ბანკებში, რამდენადაც ეს უკანასკნელი სამი
თვის ხელფასსა და ჯამაგირს შეეფერება (კვარტალის გამორიცხვა) და ზოგიერთი
სასოფლო-სამეურნეო მოგება.

III. შ ე ფ ა ს ე ბ ა. ქონება უნდა შეფასდეს ფასეულობის ერთეულის მი-
ხედვით, რომელიც მთელი ქონებისათვის საიმპერიო შეფასებითი კანონისა და
საიმპერიო საგადასახადო დებულების თანახმად უნდა იქნეს გამორკვეული. შე-
ფასება, ამრიგად, საწარმოებს ნაწილობრივ საერთო ფასეულობის მიხედვით, ნაწი-
ლობრივ კი—შემოსავლიანობითი ფასეულობის მიხედვით. მაგ., შემოსავლიანო-
ბითი ფასეულობის საფუძველზე შეფასდება: სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამე-
ურნეო და საბაღოსნო ქონება, შენობებიანი მიწები, სადაც შენობები ადგილობრივი
აღათის მიხედვითაა აგებული ანდა სამრეწველო მიზნებისათვის; საერთო ფასეუ-
ლობის მიხედვით: საწარმოო ქონება, აგრეთვე „სხვა ქონებაც“; სახარკო კურსის
მიხედვით—ისეთ საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების სახარკო კურსი გა-
მორკვეულია.

IV. შ ე წ ე რ ი ს დ რ ო ა ყ ო ვ ე ლ ი წ ლ ი ს I ი ა ნ ვ ა რ ი, დ ა მ ა ტ ბ ი თ ი დ ა ა ხ ა-
ლი: შეწერისთვის კი—ყოველი დრო საჭიროებისამებრ.

V. ტარიფი: ხარკი შეადგენს:

მარკამდე	ლირებული	ქონებისთვის	2 0/0-ს
10.000			3
25.000	"	"	4
50.000	"	"	5
250.000	"	"	5 1/2
1.000.000	"	"	6
2.500.000	"	"	6 1/2
5.000.000	"	"	7 1/2
მეტე ღირებულების			

მაგრამ იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ქონებას საქონებო-საშემოსავლო ხარკიც აწევს, სიმპერიო საქონებო ხარკის განაკვეთი 5 1/2-ზე მეტი ვერ იქნება.

თავისუფალი არიან მხოლოდ შეუზღუდავად ხარკვალდებულნი და მათში ისეთნი, 1) რომელთა დასაბეგრი ქონება 5.000 მარკას არ აღემატება, 2) რომელთა დასაბეგრი ქონება 10.000 და შემოსავალი 3000 მარკას (ორი ბავშვი თუ ჰყავს — 4.000-ს, თუ 3 და 4 ბავშვი — 5000-ს, თუ მეტი — 6000 მარკას) არ აღემატება, და ბოლოს, 3) წვრილი რენტორები, რომელნიც 60 წელზე უფრო ხნიერნი ან მონაგრობის უნარს მოკლებულნი არიან და მათში პირველთა დასაბეგრი ქონება 20.000 მარკას და შემოსავალი 5000 მარკას და მეორეთა ქონება 30.000 მარკას და შემოსავალი 4000 მარკას (თუ ბავშვები ჰყავს, — კიდევ მეტს) არ აღემატება.

შეწერის და აკრეფის წესი. შეწერა ხდება მთელი ქონების გამოკვევასთან ერთად მთავარი შეწერის დროისათვის, ე. ი. 1 იანვრისათვის (იხ. ზევით). საფინანსო უწყება გამოიკვლევს ხარკვალდებულთა ქონების სპეციალ ნაწილებს (უძრავი ქონება, საწარმოო ქონება და სხვ.), შეათასებს, ამის მიხედვით თითოეულისათვის სახარკო ვალდებულებას გამოიანგარიშებს და გადაიხდელს სათანადო წერილობით ცნობას უგზავნის. ცოლქმარი ერთად იბეგრება, თუ, სიმპერიო შეუასებითი კანონის თანახმად, მათი ქონება ერთად არის საანგარიშებელი. გადახდის ვადები იგივეა, რაც საშემოსავლო ხარკისათვის. სახარკო ვალდებულების ოდენობის საბოლოოდ გამორკვევამდე ხარკვალდებულმა წინასწარი გადახდა უნდა აწარმოოს წინა წელში გადახდილის მიხედვით.

4. შემოსავლის და ქონების სპეციალი ხარკები.

§ 49. შემოსავლის და ქონების ერთდროული ხარკი. — ერთდროული ხარკები სპეციალი მიზნებისათვის საერთოდ დაბეგვრის სათავეს წარმოადგენს. მათ ადგილი ჰქონდათ საშუალო საუკუნეებში და არა იშვიათად ახალ დროშიც. მაგრამ ამგვარ ხარკებს მნიშვნელობა დაკარგა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს წინანდელი არაჩვეულებრივი მოთხოვნები თანდათან ჩვეულებრივ მოთხოვნებად გადაიქცა და მათ დასაკმაყოფილებლად ჩვეულებრივი შემოსავალი იქნა დანიშნული, ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ხარჯები ერთმანეთისაგან გამიჯნულ იქნა და არაჩვეულებრივ მოთხოვნებათა დაკმაყოფილება სახელმწიფომ სესხის აღებით დაიწყო. მსოფლიო ომის წინა ათეულ წლებში იშვიათი იყო ასეთ ხარკთა დაწესების შემთხვევები; მაგრამ ომს შემდეგ სხვადასხვა სახელმწი-

ფოებმა, თუ ვალების მოსაშორებლად (გერმანიის იმპერია, ავსტრია), თუ სხვა მიზნებისათვის (მაგ., ჩეხო-სლოვაკიამ ვალიუტის გასაჯანსაღებლად) ძალიან გაახშირეს არაჩვეულებრივ ერთდროულ ხარკთა შემოღება. ამ ხარკთა ობიექტს წარმოადგენს ან მხოლოდ ქონება, ან შემოსავალი, ანდა ორივე ერთად.

1. შემოსავლისა და ქონების ერთდროულ დიდ ხარკს წარმოადგენდა გერმანიის იმპერიაში თავდაცვის გამოსაღები (Wehrbeitrag), რომელიც 1913 წ. 3 ივლისის კანონის საფუძველზე იქნა აკრეფილი 1 მილიარდი მარკის რაოდენობით ერთდროული ნივთიერი საჭიროების (შეიარაღების და სხვ.) დასაკმაყოფილებლად, რაც მშვიდობიანი დროის სამხედრო ძალების გადიდებასა და ახალი ნაწილების შექმნასთან იყო დაკავშირებული. თავისთავად ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად სესხის აღება მართებული გზა იქნებოდა; მაგრამ რეინსტაგი ამ საჭიროებისა და აგრეთვე სამერმისო-დაც სამხედრო ხარჯების გადიდების (იხ. ქვევით ქონების ფასეულობის ზრდის ხარკი, § 50, 2) ცნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუ ორივე საჭიროება, — ერთდროული და მუდმივიც, — „ქონებაზე დაწესებული ხარკით“ იქნებოდა დაფარული. ამ მოთხოვნას საფუძვლად ჰქონდა ერთის მხრივ შიში საიმპერიო ვალების უფრო მეტად გაზრდის, რომელიც იმ დროს 5 მილიარდს აღწევდა, და მეორეს მხრივ კიდევ უფრო მეტად — რეინსტაგის აზრი, რომ ქვეყნის უზრუნველყოფა გაძლიერებული სამხედრო დაცვით უფრო მეტ სარგებლობას მფლობელ კლასებს აძლევს, ვიდრე სხვებს. ყოველ შემთხვევაში, ის მისწრაფებდა, რომ ეს ერთდროული დიდი ხარჯი თანამედროვე თაობას დასწოლოდა ტვირთად და არა სამერმისოს, მნიშვნელოვანი და მოსაწონი იყო, და მოლოდინი გაამართლა კიდევ საქმის წარმატებით დასრულებამ. კანონი თავდაცვის გამოსაღების შესახებ იმ მხრივ იყო და არის მნიშვნელობის მქონე, რომ მაშინდელი შეწერის მასალა საფუძველს წარმოადგენს ქონების ზრდის გამოსაანგარიშებლად ე. წ. მფლობელობის ხარკის (ქონების ზრდის ხარკის) შეწერისათვის, აგრეთვე ქონების ფასეულობის გამოსაანგარიშებლად საქონებო ხარკის შეწერის მიზნით.

2. როგორც მოვიხსენიეთ, ერთდროული დიდი საქონებო გადასახადი ომის შემდეგ მრავალ სახელმწიფოში იქნა შემოღებული, — უმთავრესად ომით გამოწვეული ვალების ნაწილის დასაშრეტად. ამგვარი ერთდროული საქონებო გადასახადი გერმანიაში ცნობილია საიმპერიო შესაწირის (Reichsnotopfer) სახელწოდებით (1919 წ. 31 დეკ. კანონი). მისი შემოღება დასაბუთებულ იქნა ვა-

ლების შემცირების საჭიროებით, რათა ამით შემცირებულიყო გადასახდელი სარგებელი, რომელმაც საიმპერიო ბიუჯეტში კოლოსალურ თანხებს მიიღწია. ვალის საჩქაროდ გადახდა მით უფრო იყო საჭირო, რომ ომის ვალების ერთი ნაწილი ფასდაცემული ფულით იყო აღებული და, მაშასადამე, მისი გადახდა ამგვარივე ფულით შეიძლებოდა; გადახდის დახანება კი საზარალო იქნებოდა, ვინაიდან შემდეგში, როცა ფულის ფასეულობა აიწვედა, — მართალია სარგებლისა და დაშრეტის თანხა ხომინალურად უცვლელი დარჩებოდა, მაგრამ რეალურად მისი ფასეულობა ისევე გაიზრდებოდა, როგორც — ვალად აღებული კაპიტალისა. ამ გადასახადის საწინაღმდეგოდ, რომელსაც, დიდი სახარკო განაკვეთის გამო, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, რეალი საქონებო ხარკის ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მისი გადახდა მხოლოდ ქონებიდან ნაწილის აღებით შეიძლებოდა, ეს მოსაზრებები იყო ყურადღების ღირსი: რომ ეს ხარკი კერძო მეურნეობებს აცლიდა კაპიტალს, რომელიც სწორედ მაშინ განსაკუთრებით საჭირო იყო დაშლილი სამეურნეო ცხოვრების აღდგენისათვის, რომ იგი ხარკვალდებულებს, მათი ქონების ლიქვიდობის მიხედვით, სხვადასხვაგვარი სიმძიმით დააწვეებოდა ტვირთად, და რომ ის, ვითარცა ერთდროული ხარკი, მხოლოდ იმას დაეკისრებოდა, ვინც ხარკვალდებულ ქონებას ფლობდა იმ დროს, როდესაც ხარკი დაწესდა, ხოლო ამის შემდეგ ქონების შემძენთ ან გამდიდებელთ ხარკისგან თავისუფალს სტოვებდა.

მაგრამ ეს გადასახადი განუხორციელებელი აღმოჩნდა. ნაცვლად ერთდროული გადახდისა დაშვებულ იქნა, პრაქტიკული მოსაზრებებით, ნაწილ-ნაწილ გადახდა, რაც, მაგ., მიწათმფლობელობისათვის 45 წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო. ფულის ფასეულობის სწრაფი დაცემის გამო ეს ხარკი ფრიად უმნიშვნელო შემოსავალს იძლეოდა, ასე რომ მცირე ნაწილის გადახდევინების შემდეგ ხელისუფლება მალე იძულებული შეიქნა მის აკრეთაზე სრულიად ხელი აეღო.

1. თავდაცვის გამოსადეგი (1913 წ. 3 ივლისის კანონი) შეიკავდა ორგვარ ხარკს: ხარკს ქონებაზე და ხარკს შემოსავალზე. საქონებო ხარკის ობიექტს შეადგენდა მთელი ქონება, ვალებისა და სავალდებულო გასაცემთა გამორიცხვის შემდეგ, იმ მდგომარეობის მიხედვით, რასაც ეს ქონება წარმოადგენდა 1913 წლის 31 დეკემბერს ან უკანასკნელი საოპერაციო წლის დასასრულს. ქონება საზოგადოდ იანგარიშებოდა სერთო (გასაყიდი) ფასეულობის მიხედვით, სსოფლო და სატყეო მეურნეობის და საბაღო მიწები კი — გამოსავლიანობითი ფასეულობის მიხედვით, ფასიანი ქაღალდები — საბირჟო კურსის საფუძველზე და სხვ. ქონება 10.000 მარკამდე გადასახადისგან თავისუფალი იყო. აგრეთვე თავისუფალი იყო 50.000 მარკის ქონება, უკეთეს მის პატრონს 2000 მარკაზე მეტი

შემოსავალი არ ჰქონდა, ასევე 30.000 მარკის ქონება, თუ მისი მფლობელის შემოსავალი 2000-დან 4000 მარკას არ აღემატებოდა. ხარკვალდებული შემოსავალი გამოირკვეოდა მოკავშირე სახელმწიფოთა საშემოსავლო ხარკის კანონის საფუძველზე. შემოსავალი 5000 მარკამდე თავისუფალი იყო. იმ პირთ, რომელთაც ქონება ჰქონდათ და შემოსავალიც, ქონების 50%-ის სარგებლის შესაფერი თანხა გამოერიცხებოდათ დასაბეგრი შემოსავლიდან.

ფიზიკურ პირთა სუბიექტიური სახარკო ვალდებულება ისევე იყო განწესებული, როგორც 1920 წ. 29 მარტის საშემოსავლო ხარკის კანონში. ამას გარდა ხარკვალდებულნი იყვნენ სააქციო და საკომანდიტო-სააქციო საზოგადოებანი უკანასკნელი საოპერაციო წლის სარეზერვო (სათადარიგო) თანხით და მოგების ნაშთით, უცხოეთის საზოგადოებანი—მათი ადგილობრივი (სახელმწიფოს შიგნით მდებარე) ძირითადი და საბრუნავი კაპიტალით. გამოსაღებისგან თავისუფალი იყვნენ მცირე შემოსავლიანი, აგრეთვე (განსაზღვრული პირობების მიხედვით) მხოლოდ საზოგადო სარგებლობისათვის მოსაქმე საზოგადოებანი. ფიზიკურ პირთა დაბეგვრისას შეუძლებოდა ქონება ერთად ინგარიშებოდა. არა უმეტეს 200.000 მარკის ქონებისა და 20.000 მარკის შემოსავლის დაბეგვრისათვის, განსაზღვრულ შემთხვევებში, შედგაათები იყო დაწესებული. სახარკო განაკვეთი იწყებოდა ქონების 0,150%-ით და შტაფელიანი ტარიფის მიხედვით აღწევდა 1,50%-ს 5 მილ. მარკის ქონებისათვის. შემოსავლიდან ასაღებისთვის განაკვეთი იწყებოდა 10%-ით და 500.000 მარკაზე მეტი შემოსავლისთვის აღიოდა 80%-მდე განაკვეთი აქ უშტაფელო იყო.

2. საიმპერიო შესაწირი (1919 წ. 31 დეკემბრის კანონი, 1920 წ. 22 დეკემბრის დამატებით) უნდა ყოფილიყო ქონების ერთდროული დიდი გადასახადი იმპერიის ვალების ნაწილობრივ დასაფარავად. იგი ეხებოდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს 1919 წ. 31 დეკემბრის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. შეფასება სწარმოებდა საიმპერიო საგადასახადო დებულების საფუძველზე, მხოლოდ—ადგილ-მამულის ფასეულობა გამოსავლიანობის 20-ჯერ გამრავლებით (ნაცვლად 25-ჯერ გამრავლებისა) გამოიანგარიშებოდა და საწარმო-საბრუნავი ქონება ღირებულების მხოლოდ 80%-ით ჩაითვლებოდა. საიმპერიო შესაწირი არსებითად რეალ საქონებო ხარკს წარმოადგენდა, ვინაიდან ფიზიკურ პირებს უნდა გადაეხადათ ქონების 10—650/0, ხოლო იურიდიულ პირებს—100/0,—მოსასაღამე, ჩვეულებრივად იგი ქონებიდან უნდა გადახდილიყო. მაგრამ ერთდროული ობის ან ერთჯერადობის იდეა არ იქნა განხორციელებული, ვინაიდან ხარკვალდებულებს არჩევანი მიეცათ,—გადასახადი ან დაუყოვნებლივ, ან 6¹/₂0-იანი ყოველწლიური დასაშრეტი ხვედრით 28 წლის განმავლობაში გადაეხადათ (მიწათმფლობელებს—45 წლის განმავლობაში 5¹/₂0-იანი წლიური ხვედრით). ნაღდად გადახდის ნაცვლად შეიძლებოდა ხარკვალდებულს ხარკი ომის სესხის ობლიგაციებით გადაეხადა, თუ ეს ობლიგაციები მას ხელმოწერის გზით ჰქონდა შექმნილი. თუ გადასახადში ამგვარი ობლიგაციების გაცემას არ მივიღებთ მხედველობაში, საერთოდ ეს ხარკი ისე მცირე ზომისად იქნა განადგებული, რომ 1920 წ. 22 დეკემბრის კანონმა საიმპერიო შესაწირის 1/3-ის, ყოველ შემთხვევაში ქონების 100%-ის, დაჩქარებით გადასავალდებულოდ დააწესა. იმის ნაშთის აკრეფა, რაც თავდაპირველად იყო გათვალისწინებული, შეუძლებელი აღმოჩნდა, ფულის ფასეულობის დაცემისა და სხვა ეკონომიური მიზეზების გამო. მხოლოდ გადასახადის დაჩქარებით გადასანდელი ნაწილი დიდი ქონების მფლობელთათვის

(1.027.000 მარკისა და მეტის) 33¹/₁₀-დან 40⁰/₁₀-მდე იქნა გადიდებული და სა-
აღებ-მიცემო საზოგადოებებს დაეკისრათ მათზე შეწერილი გადასახადის კვლავ ნა-
ხევრის გადახდა.

§ 50. სხვა საგანგებო ხარკები.—ამ ჯგუფშიაც ყველა ისეთი ხარკი მოექცევა, რომელიც ნაწილობრივ ერთდროულად და ნაწილობრივ ხანგრძლივად, საგანგებო მიზნებისათვის ან საგანგებო გარემოებათა გამო, ქონების ან შემოსავლის მფლობელს აქვს გადასახდელად დაკისრებული. ამ ხარკთა, რომელთაც სხვა მხრივ ერთმანეთთან საერთო არა აქვსთ რა და თითოეული მათგანი ცალკე თავისთავად არის განსახილველი, დამახასიათებელი ისაა, რომ მათ გამო სახარკო ვალდებულება არა ყველას, არამედ მხოლოდ განსახილველ პირებს ეხება, სახელდობრ იმათ, რომელთა შესახებ ადგილი აქვს სახარკო კანონის მიერ გათვალისწინებულ გარემოებას.

1. სამხედრო ხარკი (სამხედრო ბეგარის სანაცვლო გადასახადი). ეს არის გადასახადი იმ პირთა ან მათ ხარჯზე მყოფი ოჯახის წევრებისა, რომელნიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში არ გაიწვევიან, ან ვალდებულების მხოლოდ ნაწილობრივ (შეზღუდვით) შესასრულებლად გაიწვევიან. ასეთი გადასახადი შესაძლებელია მხოლოდ საყოველთაო სავალდებულო სამსახურის სისტემის დროს, როდესაც ფულადი გადასახადი, ვითარცა პირადი სამსახურის სამაგიერო, გამომდინარეა სამსახურის საყოველთაობის იდეიდან. დასაბუთება მას ეძლევა ამ მოსაზრებით: რომ ის ტვირთი, რომელსაც სამხედრო სამსახური წარმოადგენს, იმათაც უნდა ხვდეს, — სამეურნეო გამოსაღების სახით, — რომელნიც არ მსახურობენ, რათა ამით მიღწეულ იქნეს მისი ერთგვარი გათანაბრება მოქალაქეთა შორის. მისი დასაბუთება შეიძლება მიღებულ იქნეს აგრეთვე დასკვნად სახელმწიფოებრივი კავშირის ძირითადი იდეიდან: რომ სახელმწიფოებრივი კოლექტივობის არსებობის უზრუნველყოფა მოითხოვს ყველას მხრივ სათანადო მონაწილეობას და რომ კერძოდ იმ შემთხვევაში, როცა სამხედრო საჭიროებას, ზოგიერთ პირთა გამოუყენებლობის გამო, ნაკლები ფიზიკური ძალღონე ხმარდება, საჭიროა ეს დანაკლისი სამეურნეო ძალით (ფულადი გადასახადით) იქნეს შევსებული.

მათავარი მოსაზრება სამხედრო ხარკის საწინააღმდეგოდ ის არის, რომ ის მსხვერპლი და, გარემოების მიხედვით, ის ხიფათი, რომელიც სამხედრო სამსახურს თან ახლავს, შეუძლებელია ფულად იქნეს გამოანგარიშებული და თან ისე, რომ ეს ნაანგარიშევი თანხა სამსახურისგან განთავისუფლებულისათვის, მის შემოსავალსა და ქონებასთან შეფარდებით, თანაბარ მსხვერპლს წარმოადგენდეს. ექვს გარეშეა, რომ სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლებული პირები

სამსახურში მყოფებთან შედარებით ეკონომიურად მოგებაში არიან; მათ შეუძლიათ თავიანთ საქმიანობას მისდიონ, იქნებ—სამხედრო ბეგარის გადამხდელთა ადგილიც დაიკავონ ცხოვრებაში, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი სამსახურის დროის განმავლობაში იძულებული არიან შემოსავლის მომცემ სამეურნეო საქმიანობას მოსწყდნენ, ანდა თავისი საპროფესიო საქმიანობისთვის მზადება დროებით შესწყვიტონ. სამსახურისგან განთავისუფლებულთა მიერ ხარკის გადახდით მათ სარგებლობა არა ეძლევათ რა. სარგებლობა მაშინ ექნებოდათ, თუ რომ ხარკის გამოსავალი, სახელმწიფოს კი არა,—მათ გადაეცემოდა. მაგრამ მსხვერპლის ამგვარი გათანაბრების განხორციელებას დაუძლეველი დაბრკოლებები ხვდება წინ. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ ამ ხარკის გადახდევინება დიდ სიმკაცრეს მოასწავებს, როდესაც სახელდობრ ისეთ პირებს აქვს დაკისრებული, რომელნიც მზად არიან იმსახურონ, მაგრამ, რახან სახელმწიფო მათ სამსახურს არ საჭიროებს, სამხედრო ბეგარას არ ასრულებენ. ესევე უნდა ითქვას იმ შემთხვევების შესახებაც, როდესაც სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას ისეთი ფიზიკური ნაკლი იწვევს, რაც განთავისუფლებულთა სამეურნეო საქმიანობის უნარს ზღუდავს.

სადაც ეს ხარკი დაწესებულია, შეეწერა ჩვეულებრივ ხდება ხარკვალდებულთა ან მათ მშობელთა შემოსავლის (ან ქონების) საფუძველზე. სამხედრო ხარკის დაწყების დრო და მისი ხანგრძლივობა სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობასთანაა შეთანხმებული. ადგილი აქვს სახარკო განაკვეთის გადიდებას ომისა და მობილიზაციის დროს. ჩვეულებრივ კი სამხედრო ხარკის განაკვეთი რეგულიარული ხარკების განაკვეთზე უფრო დიდია. ხარკიდან მიღებული შემოსავალი ნაწილობრივ სახელმწიფო სალაროში შედის საერთო მოთხოვნილებათა დასაფარავად, ხოლო ნაწილი სამხედრო მიზნებისათვის მოიხმარება.

სამხედრო ხარკი არსებობდა მოკლე ხანს 1860-იან წლების დასასრულს ბავარიასა და ვიურტემბერგში. საიმპერიო მთავრობამ სცადა (1881 და 1908 წ. წ.) მისი შემოღება, მაგრამ—უშედეგოდ. ვველაზე ცნობილია შვეიცარიის სამხედრო ხარკი (იქ სანაცვლო გადასახადი ეწოდება), ომის დროს ასეთი გადასახადი შემოღებულ იქნა საფრანგეთსა, იტალიასა და რუსეთში. საფრანგეთში ის ერთხელ წინეთაც არსებობდა (1889—1907 წ.). (სხვა ცნობებისთვის ამის შესახებ იხ. ჩემი *Finanzwissenschaft*, 1874 გამოც., გვ. 337 და შემდ.).

ს. ს. რ. კავშირი.—სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკი „სპეციალი სამხედრო ხარკის“ სახელწოდებით, შემოღებულ იქნა 1925 წ. 6 ნოემბრის კანონით და ნაწილობრივ შეცვლილი 1926 წ. 31 დეკემბრის კანონით.

ხარკვალდებულო არიან ზურგის ლაშქარში ჩარიცხული მოქალაქენი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის 1925 წ. 18 სექტემბრის კანონით ზურგის ლაშქარში ჩარიცხებიან და, მაშასადამე, სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკს ექვემდებარებიან: ის მოქალაქენი (21—40 წლის ასაკამდე), რომელნიც მოკლებული არიან აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას, აგრეთვე—სასამართლოს დადგენილებით უფლებამართმეულნი და ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი (უფლების წართმევის ან გადასახლების ხანგრძლივობის მიხედვით).

ხარკის განაკვეთები და აკრეფის წესი შემდეგია: 1) მოქალაქენი, რომელნიც სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკთან ერთად საშემოსავლო ხარკითაც იბეგრებიან, ხარკს ამ უკანასკნელთან ერთად იხდიან: ა) ზურგის ლაშქარში ყოფნის პირველი ორი წლის განმავლობაში—საშემოსავლო ხარკის ოდენობის 250/ო-ს, მაგრამ არა ნაკლებ 100 მ. წლიურად; ბ) ზურგის ლაშქარში ყოფნის დანარჩენი წლების განმავლობაში—საშემოსავლო ხარკის ოდენობის 100/ო-ს.

2) მოქალაქენი, რომელნიც სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკთან ერთად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკითაც იბეგრებიან, ხარკს ამ უკანასკნელთან ერთად იხდიან: ა) ზურგის ლაშქარში ყოფნის პირველი ორი წლის განმავლობაში—ხარკვალდებულის ოჯახის (მეურნეობის) კუთვნილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის ოდენობის 250/ო-ს, მაგრამ არა ნაკლებ 50 მ. წლიურად; ბ) ზურგის ლაშქარში ყოფნის დანარჩენი წლების განმავლობაში—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის ოდენობის 100/ო-ს.

3) მოქალაქენი, რომელთაც თუმცა დამოუკიდებელი საშემოსავლო წყაროები მოეპოვებათ, მაგრამ არ იბეგრებიან არც საშემოსავლო და არც სასოფლო-სამეურნეო ხარკით, სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკს იხდიან შემდეგი ოდენობით: ა) ზურგის ლაშქარში ყოფნის პირველი ორი წლის განმავლობაში—საშემოსავლო ხარკის მე-3 ნუსხით (იხ. ზევით გვ. 177 და შემდ.) დაბეგრილი მინიმალური (ამ ადგილისათვის) შემოსავლის 1,20/ო-ს; ბ) დანარჩენი წლების განმავლობაში—ნახევარს.

ხარკის გადაამხდელია ხარკვალდებულო, ხოლო თუ მას დამოუკიდებელი შემოსავალი არ მოეპოვება,—ხარკვალდებულის მშობლები ან ის პირნი, რომელთა ხარჯზეც ის იმყოფება.

სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკის გამოსავალი დანიშნულია სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისათვის, მიიქცევა სოციალური უზრუნველყოფის ფონდში და გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო ომის ინვალიდთა დასახმარებლად.

ხარკის შემოსავალი საქართველოში შეადგენდა: 1925/26 წ.—376 მ., ხოლო 1926/27 წ.—8951 მ..

2. ქონების ზრდის ხარკი. ეს ხარკი ანუ, როგორც მას გერმანიის კანონი უწოდებს, მფლობელობის ხარკი გერმანიის იმპერიაში შემოღებულ იქნა 1913 წლის 3 ივლისის კანონით ხარჯების იმ რეგულიარული გადიდების დასაფარავად, რომელიც მაშინ გამოწვეული იყო მშვიდობიანი დროის სალაშქრო კონტინგენტის გადიდებით და სხვა სამხედრო მოთხოვნილებით. ის წარმოადგენდა დამატებას თავდაცვის გამოსახლებისა (იხ. ზევით გვ. 193),

რომლითაც მიღებულ იქნა სახსარი იმავე მიზნისათვის გასაწევი ერთდროული ხარჯების დასათარავად. ხარკის ობიექტს წარმოადგენდა მატება, რომელსაც ყოველი 3 წლის პერიოდის განმავლობაში განიცდიდა გადამხდელის მთელი ქონება უკანასკნელად დაბეგვისათვის გამორკვეულ ოდენობასთან შედარებით. აკრეფის პირველი ვადა იყო 1916 წ. 31 დეკ.; დასაყრდნობ საფუძველს ხარკის გამოსაანგარიშებლად წარმოადგენდა თავდაცვის ხარკის კანონის მიხედვით 1913 წ. 31 დეკემბრისათვის გამორკვეულ ქონება. ხარკი პროგრესიული იყო და შეადგენდა ქონების არა უმეტეს 50.000 მარკის ზრდისათვის მატების 0,75%-ს და აღწევდა (დანარიცხებით) 10 მილ. მარკამდე მატებისას 2,5%-ს. ხარკვალდებული იყო აგრეთვე მემკვიდრეობის მიღების გზით წარმომდგარი ქონების მატება. ასეთი ხარკის არჩევა დასაწესებლად, რომელიც მანამდე უცნობი იყო და რომლის წინამორბედად მხოლოდ 1911 წ. 14 თებერვალს იმპერიისათვის დაწესებული საადგილ-მამულო ფასეულობის ზრდის ხარკი შეიძლება ჩავთვალოთ, პოლიტიკური მიზეზებით უნდა აიხსნას. რადგან მოკავშირე სახელმწიფოები იმპერიის ჩარევას რეგულიარულ საშემოსავლო და საქონეზო ხარკთა სფეროში ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო მეორეს მხრივ რეისხტაგი ახალ ხარჯებს ჯარისა და ფლოტისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში რთავდა ნებას, თუ ის „მფლობელობის ხარკების“ საშუალებით იქნებოდა დაფარული, — უნდა გამონახულიყო ისეთი გზა, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოებსაც და რეისხტაგსაც დააკმაყოფილებდა, და ასეთად მიჩნეული იქნა ქონების ზრდის ხარკი. 1920 წელს იგი, თუმცა მის პირვანდელ საფუძველს ადგილი აღარ ჰქონდა, ახალი ხარკით იქნა შეცვლილი.

ქონების ზრდის ხარკი იმ მოსაზრებაზეა დაფუძნებული, რომ ქონების ზრდა თავისთავად გადამხდელობითი უნარის გაღებებს მოასწავებსო. მაგრამ თუ ქონების ზრდის წყაროებს მივაქცევთ ყურადღებას, ამ მოსაზრებას სავსებით ვერ გავიზიარებთ. ქონების ზრდა წარმოიშობა ან შემოსავლის დანაზოვიდან, ან ქონების ობიექტის ფასეულობის მატებიდან, როგორც, მაგ., მიწის ნაკვეთების და აქციებისა, — სამეურნეო კონიუნქტურის გამო, ან ქონების არაჩვეულებრივი მატებიდან მემკვიდრეობის მიღების წყალობით, ან სალატარიო და სპეკულიატიური მოგების გამო. შემოსავლის დანაზოვი შესაძლებელია დაბეგრულ იქნეს პროგრესიული საშემოსავლო ხარკით ან რეგულიარული საქონეზო ხარკით, ასე რომ საგანგებო დაბეგვრას არ საჭიროებს, განსაკუთრებით ცუდ სამეურნეო პირო-

ბებში. ქონების ფასეულობის მატება ძნელი გამოსარკვევია, ჩვეულებრივ ის არ არის გადამხდელიობითი უნარის ზრდის მომასწავებელი, ვიდრე სახელდობრ ობიექტის გაყიდვით რეალიზაცია არ მისცემია, და არა იშვიათად ფასეულობის აწევას დაწევაც მოჰყვება.

რამდენიმე სხვა საგანგებო ხარკი, რომელიც დაწესებულ იქნა გერმანიაში ერთდროულად უკანასკნელ წლებში საგანგებო მიზნებისათვის, მოკლედ და გადმოცემული ქვევით მოყვანილ შენიშვნაში.

1. გერმანიის იმპერიის ქონების ზრდის ხარკი ახლად განწესებულ იქნა 1922 წ. 8 აპრილის კანონით. სუბიექტიური სახარკო ვალდებულება ისეთივეა, როგორც საქონებო ხარკისათვის, მაგრამ—გრაცულდებამხოლოდ ფიზიკურ პირებზე. დაბეგვრის საგანს წარმოადგენს ხარკუთვნილი ქონების ზრდა, ე. ი. სხვაობა უკანასკნელი საქონებო ხარკის და წინა საქონებო ხარკის შესაწერად აღრიცხულ ქონებას შორის. ქონების ზრდა ყოველი 3 წლის გასვლისას ირკვევა და იბეგრება. ხარკისგან თავისუფალია ქონების ზრდა, წარმოშობილი მემკვიდრეობით, ჩუქებით და ზოგიერთი ანგარიშის გასწორების საფუძველზე მიღებული კაპიტალით. ცოლქმრის ქონება ერთად იანგარიშება. სახარკო განაკვეთი შტაფელიანია და 1—10%—ს აღწევს. პირველი შეწერა ხარკისა უნდა შეხებოდა ქონების იმ ზრდას, რომელიც 1923 წლიდან 1925 წლამდე წარმოდგარია. მაგრამ, 1925 წლის 10 აგვ. საქონებო ხარკის კანონის მე-26 §-ის თანახმად, ამ ხარკის აკრეფა 1928 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერებულ იქნა.

2. სხვა არაჩვეულებრივი საიმპერიო ხარკები.—ა) პურის გადასახადი (1923 წ. 23 ივნისის კანონი, შეცვლილი 1923 წ. 11 აგვისტოს კანონით). ის იყო ერთდროული ქონების გადასახადი და დაწესებული იმ მიზნით, რომ მოსახლეობის დარბი ნაწილისათვის პური, პურის საჯარო მომარაგების გაუქმების შემდეგ, გაიფუტულიყო. აღებულ იქნა ორ ნაწილად ქონებიდან, რომელიც იძულებითი სესხის (იხ. § 69) ქვემდებარე იყო. თითოეული ნაწილი ქვავის ფასების მიხედვით იქნა გამოანგარიშებული. გადასახადისგან თავისუფლებული იყო ქონების ის ნაწილები, რომელთა ფასეულობა ფულის ფასეულობის დაცემას არ უფარდებოდა (კაპიტალი ქაღალდის ფულის სახით, საცხოვრებელი შენობები, საშენობო მიწები და სხვ.).

ბ) 1923 წ. 11 აგვისტოს დაწესებული საწარმოს ხარკი. ამ ხარკის საშუალებით ის დეფიციტი უნდა დაფარულიყო, რომელიც ვალიუტის დაცემით და სხვა ხარკთა არასაკმარისობით იყო გამოწვეული საიმპერიო შემოსევაში. ის იყოფოდა მუშის და მჭირავებელთა და სასოფლო გადასახადად. გადასახადი ეხებოდა ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს მებატრონე ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც დაქირავებული მუშები ჰყავდა, და შეადგენდა ორმაგს იმ თანხისას, რომელიც ხელფასის ხარკის სახით იმპერიისათვის მუშებს გამოერიცხებოდა ხელფასიდან. სასოფლო გადასახადი ეკისრებოდა ყველა სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და საბადოსნო მიწის მესაკუთრეს. ხარკის საზომ საფუძვლად მიღებული იყო მიწის ის შეფასება, რომელიც, ვალუტისა და გადასახადთა გამოუკლებლად, მოხდენილი იყო თავდაცვის გამოსაღების შესაწერად; გადასახადი შეადგენდა ფასეულობის თითოეულ 2000 მარკაზე 1,5% მარკას თვიურად. საერთოდ საწარმოს ხარკი 6 თვის განმავლობაში უნდა აკრე-

ფილიყო, მაგრამ მისი აკრეფა ამ ვადაზე აღრე იქნა შეჩერებული, საშემოსავლო და საქონელო ხარკის ახალი წესდების გამოცემის გამო.

გ) 1923 წ. 11 აგვისტოს კანონით და იმავე წლის 15 აგვისტოს დადგენილებით დაწესებული სარეინ-რურო გადასახადი დანიშნული იყო რუროს ოკუპაციის ხარჯების დასაფარავად და იყოფოდა საავტომობილო გადასახადად და საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკზე დანართიც გადასახადად. საავტომობილო გადასახადი შეადგენდა 1923 წ. 1 სექტემბრისთვის გადასახდელი არსებული წლიური საავტომობილო ხარკის 50-ჯერ გადიდებულთანხას. მეორე გადასახადი კი, რომელიც ვწილად იყო გადასახდელი, საშემოსავლო ხარკის მხოლოდ იმ გადამხდელთ ეხებოდა, რომელთაც გადიდებული ზომისად ხარკის წინასწარი გადახდა ჰქონდათ დაკისრებული, —სახელდობრ, მთმე-3 და მე-4 კვარტალში საშემოსავლო ხარკად შესატანის ორმაგი თანხა უნდა გადაეხადათ დამატებით. საშემოსავლო ხარკის სხვა გადამხდელებს ეს გადასახადი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხებოდა, თუ მათი შემოსავალი 1922 წლისთვის 1 მილ. მარკას აღემატებოდა. მე-3 წილის გადახდისას ხარკი შეადგენდა 0,50 ოქროს მარკას წლიური სახარკო ვალდებულების (ხელფასის ხარკის გამორიცხვის შემდეგ) ყოველ 1000 (ქადალდის) მარკაზე, ხოლო თუ საოპერაციო წლის დასრულების მომენტი 1922 წლის 1 ივლისის წინ მდებარეობდა, —2 მარკას. იურიდიულ პირთაც (საადგილობრივი საზოგადოებებს) დაკისრებული ჰქონდათ ეს გადასახადი: უნდა გადაეხადათ $1\frac{1}{2}$ იმისა, რასაც ფიზიკური პირნი იხდიდნენ.

დ) 1924 წ. 14 თებერვლის სახარკო კანონით დაწესებულ იქნა ე. წ. შეფასების ხარკი, ვითარცა ერთგვარი სანაცვლო გადასახადი იმ მოგებისთვის, რომელსაც ფულის ფასეულობის დაცემა მოვალეებს ანიჭებდა. სახელდობრ, იმპერიის სასარგებლოდ შემოდებულ იქნა გადასახადი ობლიგაციებზე და ვალდებულებების ხელწერილებზე, რომელიც მოვალეებს (ფიზიკურ და არაფიზიკურ პირებს) დაეკისრათ გადასახდელად იმის გამო, რომ მათი ნომინალური ვალი რეალურად მხოლოდ 150/0-ით შეფასდებოდა, ანდა იმიტომ, რომ, კანონის თანახმად, მოვალეს უფლება ჰქონდა თავისი ვალი მვეალესთვის ფასეულობა-დაკარგული ფულის მიცემით გაესწორებია. ხარკი შეადგენდა ობლიგაციებისა და ვალდებულების ხელწერილთა ოქროს ვალიუტით ნაგულისხმევი თანხიდან ნამდვილ ფასეულობად მისაჩნევი 150/0-ის გამორიცხვის შემდეგ დარჩენილი ნაშთის 20/0-ს; ისეთი ობლიგაციებისა და ხელწერილებისთვის, რომელთა ნომინალური სავალი თანხის დაშრეტა მოვალემ 1924 წლის 15 თებერვლამდე 150/0-ზე ნაკლები თანხით შესძლო, კანონმა შესაფერი დამატებითი გადასახადი დააწესა.

მოკავშირე რესპუბლიკებსა და თემებსაც აქვთ თავიანთი „შეფასების ხარკი“, შენობებზე დაწესებული. ეს იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს და თემებს მიაქვთ ხარკის სახით ნაწილი იმ გადიდებული საბინაო ქირისა, რომელიც იმის გამოა წარმომდგარი, რომ ხელისუფლებამ, ოქის დროს და ომის შემდეგ არსებული საბინაო ქირის იძულებითი ნორმების სისტემიდან კვლავ თავისუფალი ხელშეკრულობის ურთიერთობაში გადასვლის გასაადვილებლად, ბინის ქირის ნორმები შესამჩნევად გააღიდა. ამ გადასახადით მიღებული შემოსავლიდან არა ნაკლებ 100/0-ისა ახალი აღმშენებლობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს გამოყენებული.

ს. ს. რ. კ ა ე შ ი რ ი.—ამ წ-ის ხარკთა ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ სავალდებულო შესატანი სოციალური დაზღვევისათვის. შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, სოციალური დაზღვევა ვრცელდება ყველა დაქირავებულ პირზე, დამოუკიდებლად იმისა, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო, შერეულ თუ კერძო სარეწაოებსა, დაწესებულებებსა და მეურნეობაში მუშაობს იგი. სოციალური დაზღვევა შეიცავს შემდეგი სახის დახმარებათ: ა) საექიმოს, ბ) შრომის უნარის დროებით დაკარგვისათვის, გ) უმუშევრობისათვის, დ) ინვალიდობისათვის და ე) გარდაცვალებისა ან უგზო-უკვლოდ დაკარგვისათვის (ოჯახის წევრთა სასარგებლოდ).

სოციალური დაზღვევისათვის დაწესებულია სადასაზღვევო შესატანი, რომელსაც იხდიან ის სარეწაოები, დაწესებულებანი, მეურნეობანი და პირნი, რომელნიც დაქირავებული შრომით სარგებლობენ, მაგრამ—იმ პირობით, რომ ეს შენატანი მათ დაზღვეულებს არ დააკისრონ ან მათი ხელფასიდან არ გამოარიცხონ.

საზომ საფუძველს წარმოადგენს დაქირავებულის მიერ მიღებული ხელფასი, რომლის მიმართაც გამოიანგარიშება შესატანი პროცენტულად.

სადასაზღვევო შენატანის განაკვეთი 1925 წ. 26 თებერვლის კანონით (1925 წ. 18 სექტემბრის, 1926 წ. 15 თებერვლის, 5 მარტის, 30 აპრილის და 13 აგვისტოს, 1927 წ. 18 იანვრის, 25 მაისის და 15 ივნისის დამატებით) შემდეგს შეადგენს: 1) ნორმალური ტარიფით: ყველა დაწესებულებებისა და სარეწაოებისათვის, გარდა ქვევით დასახელებულთა: საშიშროების ან მავნებლობის I ხარისხისა—ხელფასის 16⁰/₀-ს, II-ისა—18⁰/₀-ს, III-ისა—20⁰/₀-ს და IV-ისა—22⁰/₀-ს; 2) შეღავათიანი ტარიფით: ა) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სარეწაო-დაწესებულებათა, სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სამრეწველო სარეწაოთა, სახელმწიფო სამთამადნო (გარდა ნავთის, მარილის, ოქროს, პლატინის და რადიუმისა), სამეტალურგო და სალექტრო-ტენნიკო სარეწაოთა, კომუნალური მეურნეობის არამომგებიან სარეწაოთა, სახელმწიფო ორგანოების გასართობ დაწესებულებათა, სახელმწიფო გამომცემლობისა, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციებისათვის და სხვ.—10⁰/₀-ს; ბ) გზათა სახალხო კომისარიატის სარეწაოთათვის—12⁰/₀-ს და გ) სატყეო მრეწველობის საქსპორტოდ მომუშავე სარეწაოთათვის—14⁰/₀-ს.

1927 წ. 15 ივნისის კანონით მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ, სოციალური დაზღვევის შესატანზე, 1926 წ. I ოქტომბრიდან, დაწესებულია მიზნობრივი დანარიცხი მუშათა საბინაო აღმშენებლობის სპეციალი ფონდისათვის; ყველა დაწესებულებანი, სარეწაოები, მეურნეობანი და პირნი, რომელნიც იხდიან სადასაზღვევო შესატანს, ამასთან ერთად იხდიან აგრეთვე: ხელფასის 10⁰/₀-ის (შესატანის) გადახდისას—ხელფასის 0,75⁰/₀-ს, 12⁰/₀-ისას—0,90⁰/₀-ს, 14⁰/₀-ისას—1⁰/₀-ს, 16⁰/₀-ისას—1,20⁰/₀-ს, 18⁰/₀-ისას—1,30⁰/₀-ს, 20⁰/₀-ისას—1,50⁰/₀-ს და 22⁰/₀-ისას—1,60⁰/₀-ს (ამას გარდა, სოციალური დაზღვევის ორგანოებს მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდში შეაქვთ სადასაზღვევო შენატანის ანარიცხი—1/2⁰/₀ მთელი ხელფასიდან).

სადასაზღვევო შენატანისა და დანარიცხის აკრეფას სოციალური დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ.

სოციალური დაზღვევის შენატანის შემოსავალი საქართველოში შეადგენდა: 1924/25 წ.—5.247 ათას მ., 1925/26 წ.—7.400 ათას მ. (წინა

წელთან შედარებით—1410/0-ს), ხოლო 1926/27 წ. (მიზნობრივი დანარიცხით)—
9,676 ათას მ. (1924/25 წ. შედარებით—1810/0-ს).

§ 51. ომის (ომის დროს მონაგების) ხარკები.—ფართო მნიშვნელობით ეს სახელწოდება—ომის ხარკი—შეიძლება ვაკუთვნოთ ყველა ხარკს, რომელიც ომით გამოწვეული ხარჯების დასაფარავლად დანიშნული. ვიწრო მნიშვნელობით კი, რომლითაც ჩვენ მას აქ ვხმარობთ, ეს ისეთი ხარკია, რომელიც მსოფლიო ომის განმავლობაში იქნა შემოღებული ომის დროს მონაგების დასაბეგრავად. მოთხოვნა ასეთი ხარკის შემოღებისა მალე ომის დაწყების შემდეგ იქნა წამოყენებული. პირველი ასეთი ხარკი იტალიამ შემოიღო 1915 წელს; 1916 წელს ის გერმანიაშიც შემოიღეს; ამავე წელს, ან მალე მის შემდეგ, ის შემოღებულ იქნა სხვა მეომარ და მრავალ ნეიტრალ სახელმწიფოშიც. საფუძველი მისი შემოღებისა ნაწილობრივ ეთიური და ნაწილობრივ ფინანსიური ხასიათისა იყო. ომის კოლოსალურმა ხარჯებმა და ვალებმა აუცილებელი გახადა შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვა, და სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი წყარო იმ პირთა წრეში იქნა აღმოჩენილი, რომელთაც ომმა საზღაპრო ქონებრივი სარგებლობა მოუტანა.

თავდაპირველად აზრად ჰქონდათ მხოლოდ ისეთი მოგების დაბეგვრა, რომელიც ომის მიხეზით ან ომთან ასე თუ ისე მიზეზობრივად დაკავშირებით წარმოიშვა, — მაშასადამე, სამხედრო საქმეების იჯარადარ-ჩამბარებელთა და ვაჭარ-მრეწველთა მოგების დაბეგვრა. ამ აზრის მიხედვით, თუმცა ზოგიერთი თავისებურობით კერძობაში, იქნა განხორციელებული ეს დაბეგვრა ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიაში. მაგრამ სხვა ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში და ავსტრიაში, დაბეგვრა გავრცელებულ იქნა ომის დროს მიღებულ ყველა მოგებაზე, დამოუკიდებლად იმისა, როგორ და რა მიზეზითაც უნდა ყოფილიყო ეს მოგება წარმომდგარი. ვინაიდან ომიანობით შექმნილი კონიუნქტურით სარგებლობას ჰპოებდა არა მარტო რეგულიარული ალებ-მიცემით მოსაქმე ხალხი, არამედ—მრავლად სხვა პირნიც, — შემთხვევითი მოსაქმეობის წარმოების გზით, ამიტომ ომის დროს ყველა მონაგებზე გავრცელება დაბეგვისა უფრო სწორად არის მისაჩნვეი.

ხარკი ჩვეულებრივ ეხებოდა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს (სააქციო საზოგადოებებს). საზომ საფუძველს წარმოადგენდა უმთავრესად შემოსავლის მატება საშესაწერო პერიოდების განმავლობაში, საზოგადოებათათვის კი—მოგების გადიდება მშვიდობიანობის დროინდელთან შედარებით. გერმანია-

ში, სადაც მოკლე ხნის წინად აღდილი ჰქონდა ქონების ხარკის შეწერას თავდაცვის გამოსაღებისათვის (იხ. ზევით გვ. 193), გადასწყვიტეს, რახან მაშინ ჯერ კიდევ საიმპერიო საშემოსავლო ხარკი არ იყო შემოღებული, ფიზიკურ პირთა ომის დროს მონაგების დაბეგვრა ქონებასთან დაკავშირებით მოეხდინათ და ამიტომ ხარკის საზომ საფუძვლად ქონების მატება იქნა აღიარებული. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ასეთი წესის გამო მოგების დიდი ნაწილი დაუბეგრავი რჩებოდა, ვინაიდან მოგება არა თუ ქონების გასადიდებლად, არამედ ფართო ცხოვრებისა ან სამკაულისა და ფუფუნების საგნების შეძენისთვისაც გამოიყენებოდა, რაც ხარკის შეწერისას აღარ იყო ან არ ჩნდა. ამიტომ ომის ხარკის მე-2 და მე-3 კანონმა შემოსავლის მატება აღიარა დაბეგვრის საგნად. სააქციო საზოგადოებებისთვის კი, რახან მათი მშვიდობიანობის დროინდელი ბალანსი შეიძლებოდა შედარების საფუძვლად გამოყენებულიყო, იმავე ვითრე ხარკის ობიექტს მოგების მატება წარმოადგენდა.

სახარკო განაკვეთი დიდად აღემატებოდა სხვა ხარკების განაკვეთებს, ვინაიდან აქ საქმე ეხებოდა უმთავრესად დაუმსახურებელ მოგებას და დროით ფარგალშემოვლებულ ხარკს. შემდეგ წლებში ის კიდევ უფრო იქნა გადიდებული და ბოლოს ინგლისსა და საფრანგეთში 80%-ს მიაღწია. გერმანიის იმპერიაში, ომის ხარკის 1919 წლის კანონის მიხედვით, ეს განაკვეთი შეადგენდა ფიზიკურ პირთა ზედმეტი შემოსავლის 70%-ს, ხოლო საზოგადოებათა—80%-ს.

გერმანიის იმპერიაში 1-ლი ომის ხარკის კანონი 1916 წ. 21 ივნისს იქნა გამოცემული. ხარკვალდებული იყო ყველა ფიზიკური პირი, რომელიც 1913 წ. 8 ივლისის ქონების ზრდის ხარკის კანონის თანახმად ხარკვალდებულად ითვლებოდა და რომლის ქონება 1916 წლის 31 დეკემბრისათვის გაზრდილი იყო, ან არ იყო შემცირებული 10%-ზე მეტად. ხარკის ობიექტს წარმოადგენდა ქონების ზრდა საფეხურიანი (შტაფელიანი) ტარიფის მიხედვით, რომელიც პირველი 10.000 მარკის მატებისათვის 5%-ს და 1,1 მილ. ზევით მატებისათვის 50%-ის შეადგენდა; შემდეგ—თანხა, რომლითაც ქონება ზრდის ხარკისათვის (1913 წ.) აღრიცხული ქონების 90%-ს აღემატებოდა, დაბეგრული იყო 10%-ით. ომის ხარკი იურიდიულ პირთათვის (საზოგადოებებისათვის) დაწესებული იყო ზედმეტი მოგების მიხედვით (უკანასკნელი 5 მშვიდობიანი წლის საშუალო მოგებასთან შედარების საფუძველზე, საუკეთესო და ყველაზე ცუდი საოპერაციო წლების ჩათვლელად) და მერყეობდა 10% და 45%-ს შორის. 1917 წ. 9 აპრილის კანონით ამ წლისათვის ომის ხარკზე დაწესებულ იქნა 20%-იანი დანარაიტი.

1918 წ. 20 ივნისს გამოცემული ომის ხარკის მე-2 კანონით, 1918 წ. ანგარიშო წლისათვის, ქონების ზრდის მიხედვით დაბეგვრა ფიზიკურ პირთა შე-

ცელილ იქნა ზედმეტი შემოსავლის დაბეგვრით. ხარკის ობიექტს წარმოადგენდა სხვაობა მშვიდობიანობის დროინდელსა და 1918 წლის შემოსავალს შორის, თუ ის 3000 მარკას აღემატებოდა. განაკვეთი საფეხურების მიხედვით იყო დაწესებული და შეადგენდა 5⁰/₀—50⁰/₀-ს. ამასთან ერთად დაწესებული იყო ქონების გადასახადი 1916 წ. 31 დეკემბრისთვის გამორკვეულ ქონებაზე, რაც ისევე საფეხურების მიხედვით 1⁰/₀—5⁰/₀-ს შეადგენდა. საზოგადოებათათვის ხარკის საზომი საფუძველი იგივე დარჩა, რაც წინეთ იყო, მაგრამ სახარკო განაკვეთი საერთოდ იქნა დაწესებული ზედმეტი მოგების 60⁰/₀-ის ოდენობით. დაშვებული იყო ხარკის შემცირება 10⁰/₀—50⁰/₀-ით მცირე ზომის ზედმეტი მოგებისათვის.

1919 წ. 10 სექტ. ომის ხარკის მე-3 კანონით ფიზიკურ პირთათვის სახარკო განაკვეთი გადიდებულ იქნა 5⁰/₀—70⁰/₀-ით. ხარკი შეადგენდა, საფეხურების შეჯამების საფუძველზე, მაგ., 500.000 მარკის ზედმეტი შემოსავლისთვის 48,5⁰/₀-ს; საზოგადოებებისთვის ხარკი გადიდებულ იქნა 80⁰/₀-ით; შედავათები იგივე დარჩა, რაც წინა წელს იყო.

დაბოლოს, 1919 წ. 10 ივნისის კანონით დაწესებულ იქნა საბოლოო გადასახადი ქონების ზრდაზე. ის მხოლოდ ფიზიკურ პირებს ეხებოდა. ხარკის საგანს წარმოადგენდა ქონების ზრდა რომელიც 1919 წლის 30 ივნისის აღმოჩნდებოდა 1913 წ. 31 დეკემბ. მდგომარეობასთან შედარებით. ეს ხარკიც შტაფელიანი იყო; სახარკო განაკვეთი შეადგენდა 10⁰/₀—100⁰/₀-ს და აღწევდა, მაგ., 600.000 მარკის ხარკვალდებული ქონების ნამატისათვის 60⁰/₀-ზე ცოტა მეტს.

5. ქონების მიმოქცევის ხარკი.

§ 52. ზოგადი შენიშვნები.—ხარკები, რომელნიც ქონების მიმოქცევასთან, ე. ი. ქონების ნაწილების, ქონებრივი უფლებების და სხვ.) ხელიდან ხელში გადასვლასთან არიან დაკავშირებულნი, დიდი ხანია არსებობენ. წინაღ მათ სხვა სახელწოდება (საფასურები, აქციზები) და სახე ჰქონდათ და თავდაპირველად დაკავშირებულნი იყვნენ მიმოქცევის მხოლოდ ისეთ ცალკე მოვლენებთან, რომელთა შემჩნევა ადვილი იყო და რომელთა შესასრულებლად სახელმწიფოს ორგანოების მხრივ განსაზღვრული საქმიანობის გაწევა იყო საჭირო, —ასე, მაგ., მამულის ყიდვა-გაყიდვისა და მემკვიდრეობის მიღების დროს. მიმოქცევის დაბეგვრისათვის სისტემატიური აგებულების მიცემის, მისი ყველა ან ყოველ შემთხვევაში მრავალ მნიშვნელოვან მიმოქცევის აქტზე გავრცელებისა და დანარჩენ სახარკო სისტემაში ჩაქსოვის ცდა სულ ახალ დროს ეკუთვნის.

გარეგნულად მიმოქცევის ხარკს ზოგიერთი მსგავსება აქვს ქონების ხარკთან, საფასურებთან, ზოგჯერ მოხმარების განსაზღვრულ ხარკებთანაც. მაგრამ ქონების ხარკისგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ეხება მესაკუთრის ხელში მყოფ ქონებას და ჩვეულებრივ რეგულიარულ-პერიოდულად მეორდება, მაშინ როდესაც მიმოქცევის ხარკს მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქონებრივი

ფასეულობა მიმოქცევაში გადადის. საფასურებისგან ის განსხვავდება გამომწვევი მიზეზით და ფინანსიური მიზნით. საფასური გადაიხდება სახელმწიფოს დაწესებულებათა საქმიანობის გამომწვევის გამო და მისგან მიღებული შემოსავლით ამ საქმიანობის ხარჯები უნდა დაიფაროს მთლად ან ნაწილობრივ; მიმოქცევის ხარკის საგანს კი წარმოადგენს ქონების მოძრაობა და მისი მიზანია სახელმწიფოს შემოსავალი მოუპოვოს საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. როდესაც მოხმარების ხარკი ქონების მოძრაობასთანაა დაკავშირებული, როგორც, მაგ., გერმანიის ბრუნვის ან ტრანსპორტის ხარკი, მაშინაც იმ პირთა დაბეგვრა კი არ არის განზრახული, რომელნიც ბრუნვას ან ტრანსპორტს აწარმოებენ, არამედ ბოლოს და ბოლოს—იმათი, რომელნიც ხარკვალდებული ობიექტებისა ან სამსახურის მომთხოვნელ-გამომყენებელნი არიან.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს, ჩვეულებრივ, გასასყიდი ფასი ან საერთო ფასეულობა, ფასიანი ქალაქებისთვის —საკურსო ფასეულობა. როდესაც მიმოქცევის აქტის შესახებ წერილობითი საბუთი სდგება, ხშირად ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხარკის ობიექტს. ხარკვალდებული ან სააღებმიცემო ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე, ან კანონი ხარკვალდებულად ხდის ორთავეს,—გამყიდველს და მყიდველს,— ვითარცა საერთო მოვალეებს ხაზინის წინაშე; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნებადართულია კერძო შეთანხმება მხარეებს შორის, რომ ხარკის გადახდა ერთმა მხარემ იკისროს. ხარკის გადახდა ხდება ნაწილობრივ ფულის ნაღდად შეტანით საჯარო სალაროებში, ნაწილობრივ საღებრო მარკების დაკვრით იმ საბუთებზე, რომელიც მიმოქცევის აქტის შესახებ სდგება.

ძნელია პასუხის გაცემა საკითხზე ხარკის წყაროს ე. ი. დოვლათთა ფონდის შესახებ, რომლიდანაც ხარკი ფაქტიურად გადაიხდება; ძნელია ეს უკვე იმიტომაც, რომ, როგორც მოვიხსენიეთ, ხარკის ტვირთის განაწილება მხარეთა შორის, საგანგებო მორიგების საფუძველზე, შეიძლება სხვაგვარად მოეწყოს, ვიდრე კანონმდებელს აქვს განზრახული ან სამართლიანობას შეეფერება. ზოგადად, —თუ ქვევით სპეციალურად მიმოქცევის ცალკალკე ხარკთა შესახებ აღსანიშნავს აქ მხედველობაში არ მივიღებთ,— შეიძლება ვთქვათ, რომ ხარკის წყაროს წარმოადგენს ნაწილობრივ მოგება ანუ შემოსავალი, რომელიც მფლობელობის ცვლას (მიმოქცევის აქტს) მოჰყვება შედეგად, ნაწილობრივაც,—სახელდობრ, როდესაც მოგებას ადგილი არა აქვს,— ხარკის მზიდველის სხვა შემოსავალი ან ქონება.

პირველ შემთხვევაში ამ ხარკს ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც სპეციალ საშემოსავლო ხარკს, მეორე შემთხვევაში კი—როგორც დამატებას ანუ დანარიცხს სხვა საშემოსავლო და საქონებო ხარკზე.

ქონების მიმოქცევის ხარკის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თავდაპირველად ის მხოლოდ ქონების მიმოქცევის ცალკე სახეებთან იყო დაკავშირებული და მისი წარმოშობა მარტოდენ ფისკალური მოსაზრებით იყო გამოწვეული. მხოლოდ შემდეგში, როდესაც, კაპიტალების გამრავლებასა, სააქციო საზოგადოებათა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ზრდასა და ბანკების და ბირჟების განვითარებასთან ერთად, მოძრავი ქონების სამეურნეო მნიშვნელობა უაღრესად საყურადღებო გახდა და სახელმწიფოსათვის შემოსავლის ახალ წყაროთა გამონახვის საჭიროება გაიზარდა,—მიმოქცევის დაბეგვრის ფარგალში ახალი ობიექტები იქნა შეტანილი. იმავე დროს დაწყებულ იქნა ცდა და მეცადინეობა მისი დანარჩენ სახარკო სისტემასთან შეთანხმებისა და მისი კანონიერების დასაბუთებისა. მიმოქცევის ხარკის არსებობის გამართლება-დასაბუთება დამოკიდებულია ამ საკითხზე: სახარკო სისტემაში არსებული ნაკლებობის შესავსებად არის ის გამოსადეგი, თუ —მის დასამატებლად? რომ ასეთ ნაკლებობას მართლა აქვს ადგილი, რომ უსაფუძვლოა ის ოპტიმიზმი, რომელსაც ჰგონია, რომ მხოლოდ საშემოსავლო, საქონებო და საქონებო-საშემოსავლო ხარკთა სისტემის საფუძველზე არის შესაძლებელი სამართლიანი და სახელმწიფოს საჭიროებისთვის საკმაო დაბეგვრის განხორციელება, —ეს ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ ხაზგასმით: ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალის შემოსავალი, კონიუნქტურული და სპეკულიატიური მოგება ხშირად თავს აღწევს დაბეგვრას და აქ საჭირო და გამოსადეგია მიმოქცევის ხარკთა მთელი ქსელი, რომელიც მიმოქცევის სფეროს. შესაბამისი ადგილების მიხედვით უნდა იყოს განაწილებული.

ქონების მიმოქცევის დროს უძრავი და მოძრავი ქონება გადადის ხელიდან ხელში ან ალებმიცემობის გზით ცოცხალთა შორის, ანდა მესაკუთრეთა გარდაცვალების გამო—ახალ მფლობელთა განკარგულებაში. ამის მიხედვით შეიძლება ქონების მიმოქცევის ხარკთა შემდეგი დანაწილება მივიღოთ:

1. ხარკი მიმოქცევისა ცოცხალთა შორის: ა) უძრავი და ბ) მოძრავი ქონების მიმოქცევისა, რომლიდანაც, გერმანიის სახარკო სამართლის თანახმად, კაპიტალის მიმოქცევისა და სხვა დანარჩენი ხარკები ცალცალკე უნდა განვიხილოთ.

2. ხარკი გარდაცვალების გამო წარმოშობილი მიმოქცევისა: სამემკვიდრო ხარკი (ჩუქების ხარკის მირიცხვით).

§ 53. უძრავი ქონების მფლობელობის ცვლის (ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის) ხარკი.—ეს ხარკი, სხვადასხვა სახელწოდებით და ფორმით, უკვე რამდენიმე საუკუნის წინეთაც არსებობდა. თანამედროვე კანონების მიხედვით, სახარკო ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც უძრავი ქონების (მიწისა და შენობის) მესაკუთრის პიროვნება იცვლება გაყიდვის, გაცვლის, იძულებითი საჯარო ვაჭრობის ან განსხვისების გზით. ხარკვალდებულად არის აგრეთვე აღიარებული ზოგი ისეთი გარიგებაც, რომლის საშუალებით გადამხდელი შესძლებდა ხარკისგან თავის განთავისუფლებას, უკეთეს ის გარიგება დაუბეგრავად იქნებოდა დატოვებული. ასეთია სახელდობრ, სამოქალაქო სამართლის თანახმად, სამემკვიდრო დამუშავებისა და სამემკვიდრო იჯარის უფლება, სამთამაღრო საკუთრება და სხვ.. ამ ხარკისგან თავისუფალია ქონების შეძენა მემკვიდრეობისა და ჩუქების გზით, ვინაიდან ეს სპეციალურად სამემკვიდრო და ჩუქების ხარკით იბეგრება. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ხარკკუთვნილი ობიექტის გასაყიდი ფასი ანუ საერთო ფასეულობა და ჩვეულებრივად პროცენტებში გამოისახება. კანონი ხარკვალდებულად სთვლის ხან ადგილ-მამულის შეძენს, ხან კი ხელშეკრულობის დამდებ ორივე მხარეს საერთო მოვალის სახით. ისეთ ადგილ-მამულზე, რომელიც თავისუფალი მიმოქცევიდან გამოირიცხულია, ანდა რომელსაც იშვიათად ეცვლება მესაკუთრე, როგორცაა: მაიორატი, მემკვიდრეობით სასარგებლოდ გადაცემული მამული, საოჯახო-სავაჭარეულო მამული, კორპორაციებისა და პიროვნებათა გაერთიანების მიწათმფლობელობა,—კანონი აწესებს სანაცვლო გადასახადს (სახარკო ექვივალენტს), რომელიც ან ყოველწლიურად ანდა რამდენიმე წლის პერიოდის გასვლისას გადასახდელია განსაზღვრული რაოდენობით, მამულის საერთო ან გამოსავლიანობითი ფასეულობის მიხედვით. ხარკვალდებულია მამულის მესაკუთრე ან მოსარგებლე. მაგრამ ეს სანაცვლო ხარკი, თუ სისწორით ვიტყვით, არ წარმოადგენს მიმოქცევის ხარკს: ნამდვილად იგი დამატებით საქონებო-საშემოსავლო ან სპეციალ საქონებო ხარკად არის ჩასათვლელი.

უძრავი ქონების მიმოქცევის დაბეგვრა ხდება აგრეთვე ფასეულობის ზრდის (მატების) ხარკის ფორმითაც: აქ ხარკი გადაიხდება ნამატ ფასეულობაზე, როგორც იგი ფაქტიურად მამულის გაყიდვისას გამოირკვევა,—ეს არის ფასეულობის ზრდის პირ-

დაპირი ხარკი, — ანდა ყველა მიწა ან ზოგიერთი მიწის ნაკვეთები (შენობების ასაგებად დანიშნული) რეგულიარულად იბეგრება ნავარაუდები ფასეულობის ზრდის მიხედვით, — და ამ შემთხვევაში ეს არის ფასეულობის ზრდის არაპირდაპირი ხარკი. პირველ შემთხვევაში ხარკვალდებულია გამყიდველი და ხარკის ობიექტს წარმოადგენს სხვაობა შეძენისა და გაყიდვის ფასებს შორის; ეს უკანასკნელი (გაყიდვის) ფასი იანგარიშება ადგილის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯების გამოკლებით. ჩვეულებრივ ხარკი პროგრესიულია და სახარკო განაკვეთი იზრდება გაყიდვის ფასის აბსოლუტური ოდენობის მიხედვით, ანდა, რაც უფრო მიზანშეწონილადაა მისაჩნვეი, მოგების შედარებითი ოდენობის მიხედვით. ზოგჯერ მხედველობაში მიიღება ხანგრძლივობაც შეძენასა და გაყიდვას შორის, სახელდობრ იმგვარად, რომ რაც უფრო მოკლეა ეს დრო, მით უფრო დიდია ხარკი. ფასეულობის ზრდის არაპირდაპირი ხარკისათვის ხარკვალდებულია მესაკუთრე; ხარკი ყოველწლიურად გადაიხდება ნავარაუდები ზრდის პროცენტებში, — მაშასადამე, ის წარმოადგენს არა მიმოქცევის, არამედ — საქონებო ობიექტის ან შემოსავლის ხარკს, ყოველ შემთხვევაში წარმოადგენს ამას მანამდე, ვიდრე ფასეულობის ზრდით წარმომდგარ მოგებას რეალიზაცია არ მისცემია მამულის გაყიდვის საშუალებით. ფასეულობის ზრდის პირდაპირი ხარკი კი შესაძლებელია მიმოქცევის ხარკად ჩავთვალოთ. მართალია, აქ განზრახულია დაბეგრვა არა მიმოქცევის, არამედ — მოგების, მაგრამ იგი მაინც მიმოქცევის აქტთან არის დაკავშირებული.

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხარკის და აგრეთვე ფასეულობის ზრდის ხარკის დასასაბუთებლად აღნიშნავდენ იმ სარგებლობას, რომელიც მესაკუთრეს ეძლევა საერთო ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარებისა და განსაკუთრებით ქალაქთა მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებათა წყალობით (ქალაქის საზღვრების გაფართოება, ახალი სააღმშენებლო ხაზები და სხვ.). ეს სარგებლობა იმაში გამოიხატება, რომ იზრდება მიწის რენტა და ადგილ-მამულის ფასი და წარმოსდგება უმეტეს წილად დაუმსახურებელი მოგება, რომელსაც ნორმალური, ჩვეულებრივი დაბეგრვა არ სწვდება. ფასეულობის ზრდის ხარკის დასასაბუთებლად ფისკალურთან ერთად მიწათმფლობელობის რეფორმისა და საბინაო პოლიტიკის მოსაზრებებსაც იხსენიებენ: რომ სახელდობრ ხარკის საშუალებით ერთის მხრივ მიწის ფასეულობის მატებიდან საზოგადოებრივობასაც უნდა ერგოს წილი და მეორეს მხრივ გაძნელებულ იქ-

ნეს საშენობო მიწის ნაკვეთების ცარიელად დატოვება სპეკულია-ტიური განზრახვით. არ შეიძლება არ ვსცნათ ამ მოსაზრებათა საბუ-თიანობა, ყოველ შემთხვევაში ფასეულობის ზრდის ხარკის შესახებ მაინც. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ქალაქების მიერ დაწესე-ბული ფასეულობის ზრდის ხარკის შესახებ, ვინაიდან ქალაქთა სა-მეურნეო განვითარება და მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა სპეციალი ღონისძიება ნამდვილად პირველ რიგში მიწისა და სახ-ლების მფლობელთ აძლევს დაუმსახურებელ მოგებას. მიწის ყიდვა-გაყიდვის საერთო ხარკის საწინააღმდეგოდ შეიძლება ის მოსაზრება იქნეს მოყვანილი, რომ ხარკის შედეგი არაა მყარი და შეუძლებე-ლია მისი წინასწარ სისწორით გათვალისწინება. არ შეიძლება და-ბეჯითებით იმის თქმა, რომ მიწის საკუთრების ცვლის დროს უე-ჭველად ადგილი აქვს მოგებას, არც ის ვიცით, თუ მოგება არის, რომელი მხარე—მყიდველი თუ გამყიდველი—მოიპოებს მას, ეს მხა-რეები სახარკო ტვირთს როგორ გაინაწილებენ ერთმანეთს შორის, არც ის, თუ ხარკი, როდესაც იგი მოგებიდან ვერ დაიფარება, რამ-დენად შეესაბამება ხარკის მზიდველის სხვა შემოსავალს. გარდა ამი-სა, ისიც შესაძლებელია, რომ ხარკმა, როდესაც იგი თვალსაჩინოდ დიდია, გააძნელოს მიწის გადასვლა ეკონომიურად შესაფერ პირთა ხელში, ანდა შეამციროს სამეურნეო უნარი მყიდველისა, როდესაც ეს უკანასკნელია ხარკის მზიდველი.

მიწის მესაკუთრეობის ცვლის ხარკი სხვადასხვა სახელწოდებით გერმანიის ყველა სახელმწიფოს ჰქონდა შემოდებული მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკის საიმ-პერიო კანონის გამოცემაზე. საიმპერიო კანონის გამოცემის შემდეგ ეს ხარკი გაუქმებულ იქნა მოკავშირე სახელმწიფოებში.

1919 წ. 12 სექტემბერს შემოდებული (შემდგში ცვლილებით, უკანასკნე-ლად 1925 წ. 10 აგვ. და 1926 წ. 31 მარტს) მიწის ყიდვა-გაყიდვის საიმპერიო ხარკი გადასახდელია ყოველთვის, როდესაც სახელმწიფოს ში-გნით საადგილ-მამულო საკუთრება ახალ პირზე გადადის; სახარკო ვალდებულა-ბა წარმოიშობა ამ უფლებრივი ცვლილების შეტანით საადგილ-მამულო და-ფარში. რათა ხარკისთვის გვერდის ახვევა. შეუძლებელი იქნეს, მთელი რიგი უფ-ლებრივი ფაქტებისა კანონის მიერ ნამდვილ ყიდვა-გაყიდვის გარიგებანსთანაა გა-თანაბრებული და ზოკადად დაწესებულია, რომ ყოველი უფლებრივი ფაქტი, რომლითაც შესაძლებელია რომელიმე სხვა ხარკკუთვნილი უფლებრივი ფაქტს დაფარვა ან შეცვლა,—ხარკკუთვნილია, ე. ი. მისთვის იგივე ხარკია გადასა-ხდელი, რაც—ყიდვა-გაყიდვისათვის. სუბიექტიურად ხარკვალდებულია ორივე მხარე—მყიდველი და გამყიდველი—საერთო პასუხისმგებლობით; იძულებითი საჯარო ვაჭრობით გაყიდვისა ან განსხვავებისას ხარკი მხოლოდ მამულის შემქნის ეკისრება. ხარკი შეადგენს საერთო ფასეულობის ანდა გაყიდვის ფა-სის—როდესაც ეს პირველზე უფრო დიდია—30%-ს. ხარკი იზრდება 50%-მდე, თუ 3 წლის განმავლობაში შემქნის დროიდან ისეთი მამული, რომელიც სამეურნეო

ერთეულს წარმოადგენს, ნაწილობრივ ან მთლად ცალცალკე ნაკვეთებად დაიყოფა. ხარკისგან პერსონალურად თავისუფალია იმპერია, მოკავშირე რესპუბლიკები, თემები, ნაციონალური რელიგიური საზოგადოებანი, საეკლესიო, საზოგადო სარგებლობისა და საქველმოქმედო მიზნების სასამსახუროდ მომქმედი კავშირები და დაწესებულებანი (იმ მიწებისათვის, რომელნიც აღნიშნულ მიზნებს ემსახურებინ). ხარკი არ აიღება: ისეთ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ფასეულობა ან ფასი 50 ოქროს მარკას არ აღემატება; როდესაც მამული შეიძინება მემკვიდრეობით და მემკვიდრეობის გაყოფით; როდესაც ადგილი აქვს ცოლ-ქმრის ქონების ზიარსაკუთრებად გამოცხადებას ან მის შეცვლას, განგრძობას და გაუქმებას; როდესაც მამულს იძენენ შვილები და შვილისშვილები მამა-პაპისგან, შშობლები—შვილებისგან; როდესაც ადგილი აქვს მიწის ნაკვეთების გაცვლას მამულის დასამრგვალებლად; საზღვრების გასწორებას, სადამშენებლო მიწის ფარგლის გადაწვევად მოწყვეტვას, მოამადნეულიან ადგილებში მიწის ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლას, მიწების გადაცემას სოფლის ხალხის დასასახლებლად ან პატარა ბინების ასაშენებლად, უკეთუ ხელშეკრულებაში მონაწილე ერთერთი მხარე საჯარო ორგანო ან საზოგადო სარგებლობისთვის დაწესებული კავშირი, რომელიც ამ მიზნებს ემსახურება; როდესაც მიწა შეიძინება ქუჩების გასაყვანად, მოედნებისა და ბაღების გასამართავად; როდესაც მიწის შემქმენი ომში დაზიანებული არიან, ან—მათ სიკვდილის შემდეგ დარჩენილი მათი ახლობელნი, რომელნიც დაზარებად მიღებული კაპიტალით იძენენ მიწას (უკეთუ მიწის ფასეულობა ან ფასი დაზარებად მიღებული კაპიტალის 15-მაგ თანხას არ აღემატება). ხარკის შემცირება დაშვებულია იმ პირებისათვის, რომელნიც მამულს იძენენ იძულებითი საჯარო ვაჭრობის წესით, რათა მათ მიერ იმ მამულის გირაოდ აღების საფუძველზე გაცემული სესხი უზრუნველ ჰყონ; ამ შემთხვევაში ხარკი ფასის მხოლოდ იმ ნაწილზე იანგარიშება, რომელიც სესხს და წინა ვალებს აღემატება.

შეკრულ ადგილ-მამულზე, რომელიც თავისუფალი ადებმცემობიდან გამოორიცხებულია დიდი ხნით, დაწესებულია ს ა ნ ა ც ვ ლ ო ხ ა რ კ ი, რომლის პირველად აკრფა 1929 წ. 1 იანვრისთვის არის დანიშნული. ხარკი შეადგენს საერთო ფასეულობის 10/0-ს. 1929 წლის შემდეგ ყოველ 20 წელიწადში 2/0 უნდა იქნეს ხარკად აღებული.

მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკის გამოსავალი, გარდა 40/0-სა, რომელიც იმპერიას მიაქვს მართველობის ხარჯების ასანახდასურებლად, მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლევა იმის მიხედვით, თუ სად რამდენი იქნა აკრფილი. რესპუბლიკებმა არა ნაკლებ ნახევრისა თემებს უნდა გადასცენ. მოკავშირე რესპუბლიკებსა და თემებს შეუძლიათ დააწესონ დანარიცხები, საერთოდ არა უმეტეს 20/0-სა, თუ მათ ამას გარდა ფასეულობის ზრდის ხარკიც აქვთ შემოღებული; წინააღმდეგ შემთხვევაში კი (მხოლოდ 1927 წლის 31 მარტამდე)—საერთოდ არა უმეტეს 40/0-სა. მათვე შეუძლიათ დანარიცხები დაანაწილონ მიწის ნაკვეთების მატერიალურ-ნიშნეულობათა მიხედვით.

ფასეულობის ზრდის ხარკი, ვითარცა სპეციალი გადასახადი ფასეულობის ზრდაზე, შემოღებულ იქნა გერმანიის იმპერიაში 1911 წელს. ფასეულობის ზრდად (მატეზად) მჩანეული იყო სხვაობა მაშულის შეძენისა და გაყიდვის ფასებს შორის. ნებადართული იყო შეძენის ფასს მიმატებოდა შეძენის ხარჯები, აგრეთვე გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები და განსაზღვრული თანხა მფლობელობის ხანგრძლივობისა და შეძენის ფასის ოდენობის მიხედვით: ხოლო გა-

საყრდ ფასს გამოაკლდებოდა გაყიდვის ხარჯები და მამულის გამოსავლიანობის დანაკლისი (განსაზღვრულ ფარგლებში). ხარკი შეადგენდა ამგვარად გამოანგარიშებული ფასეულობის ზრდის 10—30%—ს და მცირდება 1—1^{1/2}%-ით თითოეული მულობელობის წლისათვის. როდესაც 1913 წ. 3 ივლისის კანონით საერთო ქონებ ს ზრდის ხარკი დაწესდა, ფასეულობის ზრდის სპეციალი ხარკი იმპერიისათვის გაუქმებულ იქნა, ხოლო მოკავშირე სახელმწიფოებსა და თემებს ნება მიეცათ საიმპერიო კანონის მიხედვით ის შემდეგშიც აეკრითათ, ან გაეუქმებიათ, ანდა საკუთარი კანონით შეეცვალათ.

§ 54. კაპიტალის მიმოქცევის ხარკი.—ხარკებს, რომელთაც ეს საერთო სახელწოდება აქვთ გერმანიაში და რომელთა ნსგაესი სხვადასხვა სახელით, ზომით და სახით სხვა სახელმწიფოებშიაც არის, მიზნად უდევს დაბეგვრა კაპიტალის გამოყენებისა პატრონის მეურნეობის გარეშე. ასეთ გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც კაპიტალი ვაიცემა სააქციო საზოგადოებათა და „პიროვნებათა კავშირების“ დასაარსებლად, გასაფართოებლად და საწარმოო საშუალებებით შესაიარალებლად; შემდეგ: როდესაც შეიძინება ან გამოიცემა სამიმოქცევოდ დანიშნული სარენტო და სესხის ობლიგაციები,—მაშასადამე, სარგებლიანი გირავნობის ფურცლები, სარკინისგზო ობლიგაციები, აქციები და სხვ.; დასასრულ, ამასვე ეკუთვნის შინაური და უცხო სააქციო-საპაიო საზოგადოებათა („კაპიტალის საზოგადოებათა“) ყველა შესყიდვითი ოპერაციები აქციებისა, საწილო პაიებისა, სარენტო სესხის ობლიგაციებისა, უცხოეთის გადახდის საშუალებათა და საბირჟო აღებმიცემობის საქონელთა შესახებ. კაპიტალის მიმოქცევის ხარკი, მაშასადამე, წარმოადგენს ნაწილობრივ სააღებმიცემო საზოგადოებათა, ნაწილობრივ საემისო ოპერაციებისა და ნაწილობრივ საბირჟო ბრუნვის ხარკს. მხოლოდ—ამ უკანასკნელის შესახებ სახარკო ვალდებულება, რამდენადაც საქმე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას შეეხება, არაა შეზღუდული ბირჟაზე მომხდარი გარიგებებით,—ხარკი გადასახდელია დამოუკიდებლად იმისა, გარიგება ბირჟაზე საბირჟო ადათის მიხედვით დაიდება თუ—თავისუფალ კერძო ურთიერთობაში. მარტო საქონლის ბრუნვის შესახებ არის დაბეგვრა (გერმანიის იმპერიაში ამჟამად გაუქმებულია) შეზღუდული იმ გარიგებებით, რომელთაც ადგილი აქვთ თვით ბირჟაზე საბირჟო წესდების მიხედვით.

ხარკმოვალეა—საზოგადოებათა ხარკისთვის—სააღებმიცემო საზოგადოება; ხარკმოვალეობა წარმოიშობა ხარკკუთვნილი საქმის განხორციელებასთან ერთად,—მაშასადამე, წარმოიშობა მაშინ, როდესაც საზოგადოება გადახდას აწარმოებს სათანადო უფლებების შესაქენად, ანდა როდესაც მის მიერ ნაკისრი ვალდებულების მიხედ-

ღვით გადახდის ვადა დადგება. ასეა ეს სააქციო და მსგავს საზოგადოებათათვის. სხვაგვარ საზოგადოებათათვის კი ხარკმოვალეობა წარმოიშობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთის ქალაქი შესდგება საზოგადოების დაარსების, საზოგადოებაში ახალ წევრთა მიღების, ძირითადი თანხის გადიდების და სხვ. შესახებ; ხარკის გადახდის მოვალეობა აწევს იმას, ვინც საბუთს ღებულობს ანდა ვინც საბუთს ადგენს. ფასიანი ქალაქების (საემისიო) ხარკისთვის ხარკმოვალეობა წარმოიშობა ფასიანი ქალაქების ერთგუნის გამოცემასთან ერთად სახელმწიფოს შიგნით ან სხვა იქეთი საქმიანობის შესრულებისას, რომლითაც მოიპოება განკარგულების უფლება ქალაქებზე. ხარკის გადახდა ევალეობა იმას, ვინც ხარკკუთვნილ საქმიანობას აწარმოებს. რაც შეეხება საბირჟო ბრუნვის ხარკს, მისი გადახდევინება დაკავშირებულია გარიგებათა დაბოლოვებასთან. ხარკის გადახდა ევალეობა ხელშეკრულობის დამდებ ერთ მხარეს ანდა ორივეს—სანახევროდ.

ამ ხარკთა საზომ საფუძველს წარმოადგენს: საზოგადოებათა ხარკისთვის—საზოგადოების უფლებათა ფასეულობა ან მასში შეტანილი კაპიტალი. რამდენადაც ამის შესახებ სპეციალი დადგენილებები არ არსებობს; ფასიანი ქალაქების ხარკისთვის—ნომინალური თანხა, ანდა, თუ სარენტო ობლიგაციებია,—სათანადო თანხა რენტის კაპიტალიზაციის საფუძველზე; ბრუნვის ხარკისთვის—გარიგებითი ფასი, ხოლო როცა ეს არ არის,—საბირჟო ან საბაზრო ფასი საგნებისა.

სახარკო განაკვეთი, უმრავლეს შემთხვევაში, სახარკო საგნის ფასეულობის ან ფასის ასეულ ნაწილებში (პროცენტებში) გამოისახება, ბრუნვის ხარკისთვის—უმთავრესად ათასეულ ნაწილებში ($\frac{1}{100}$); მაგრამ ამასთანავე ის მრავალ საფეხურებადაა დაყოფილი, საზოგადოებათა და ფასიანი ქალაქების სახეთა მიხედვით, აგრეთვე (ბრუნვის ხარკისთვის)—გარიგებაში მონაწილეთა პიროვნების მიხედვით. იმ ხარკისგან, რომელიც საზოგადოებათ ეკისრება, ზოგიერთი საზოგადოებანი თავისუფალი არიან, მაგ., ისეთნი, რომელთა შემოსავალი საჯარო კავშირებს ეძლევა, ან რომლებშიც ეს უკანასკნელი არსებით მონაწილეობას იღებენ, ანდა რომელთაც მარტოოდენ საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნები აქვთ დასახული. ფასიანი ქალაქების ხარკისგანაც ზოგიერთი ქალაქები თავისუფალია, მაგ., ვალისა და რენტის ობლიგაციები იმპერიისა, მოკავშირე რესპუბლიკებისა, თემებისა და იმ საზოგადოებათა ან დაწესებულებათა, რომელთა შექმნასავალი საფსებით სახელმწიფოსა და თემებს ეძლევა; ზო-

გი სხვა ფასიანი ქალაქებისთვის კიდევ სახარკო შელავათებია დაწესებული,—ასეთებია, მაგ, ფასიანი ქალაქები, რომლებიც მიწათმფლობელთა კორპორაციებისგან, საადგილ-მამულო და საპიპოტეკო ბანკებისგან, სარკინისგზო საზოგადოებებისგან და ზოგიერთ საზოგადოებრივი სარგებლობის მსახურ კავშირებისგან არის გამოცემული:

კაპიტალის მიმოქცევის საიმპერიო ხარკის კანონი ამოცემულ იქნა 1922 წ. 8 აპრილს; შეცვლილ იქნა მრავალჯერ: 1923 წლ. ივლისის კანონით, 1923 წ. 19 დეკ. მე-2 სახარკო დებულებით, აგრეთვე რამდენიმე სხვა დადგენილებით და 1925 წ. 10 აგვ. და 1926 წ. 31 მარტის კანონებით. კაპიტალის მიმოქცევისთვის საზოგადოებრივი ხარკია დაწესებული:

1. საზოგადოებრივი ხარკი. მის ობიექტს შეადგენს განსაზღვრული უფლებრივი ფაქტები, რომელიც იმ საზოგადოებებს ეხება. სახარკო ვალდებულების ფარგალი და ოდენობა სხვადასხვაგვარია საზოგადოებების სახეთა მიხედვით; კანონი ამ საზოგადოებათა შორის უფროსს გაარჩევს:

ა) კაპიტალის საზოგადოებანი, სახელდობრ სააქციო-საკომანდიტო საზოგადოებანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებანი, საიმპერიო ბანკი, კოლონიალური საზოგადოებანი, სამთამადნო საზოგადოებანი და სხვა გადასაცემ პაიებზე აგებული იურიდიული პირები, რომელნიც ქონების შექმნის მიზნით არიან დაარსებული, აგრეთვე ასეთი მიზნის მქონე ყველა პიროვნებათა კავშირები, რომელთა წევრები მხოლოდ თავიანთი საწილო მენატრანით აგებენ პასუხს კავშირის ვალდებულების და ამ წილის მესამე პირზე გადატანაც შეუძლიათ. ხარკვალდებულებით უფლებრივი ფაქტებია: მოპოვება ძირითადი ან საბრუნავი კაპიტალისა თავდაპირველად, ანდა უკვე არსებულის გადაღება (დამატებითი აქციები, პაიები), ნებაყოფლობითი შენატანი (გადიდებული უფლებების სამაგიეროდ), განსაზღვრული სახის სესხთა მოპოვება, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მიღება უცხოეთის საზოგადოებისაგან ადგილობრივი განყოფილების მიერ. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა საქმის განხორციელებისას. ხარკის გადახდა ევალება საზოგადოებას; ხარკისათვის პასუხისმგებელია ის, ვინც ხარკკუთვნილი ფაქტით უფლებებს იძენს ან ვალდებულებებს კისრულობს. ხარკის საზომ საფუძველს შეადგენს საგნის საერთო ფასეულობა. სახარკო განაკვეთთია 40/100, რომელიც ზოგიერთ შემთხვევებში 20/100-მდე მცირდება. ხარკისგან თავისუფალი არიან, სხვათა შორის, სააქციო საზოგადოებანი, რომელთა შემოსავალს მხოლოდ იმპერია, მოკავშირე რესპუბლიკები და თემები იღებენ (თემების საკრედიტო დაწესებულებათა გამორიცხვით); საზოგადოებანი, რომლებშიც სახელმწიფო და თემები არსებით მონაწილეობას იღებენ, თუ ისინი განსაზღვრულ საზოგადო სარგებლობის მიზნებს ემსახურებიან (მიმოსვლა, წყალთა მეურნეობა, წყლის, ელექტრონის და აირის მიწოდება, პატარა ბინების აღმშენებლობა, შინაგანი კოლონიზაცია), საზოგადოებანი, რომელთა მიზანი მხოლოდ საზოგადო სასარგებლო და მოსახლეობის-დარბო წრეთა დახმარებას ემსახურება; შემდეგ—სახარკო შედავათების მქონე კოოპერატიულ ამხანაგობათა ცენტრალური და საჯარო კავშირების საკრედიტო დაწესებულებანი (შემნახველი სალონები), რომელნიც მხოლოდ დაზოგვის საქმეს ემსახურებიან.

ბ) სხვა საადრე მიცემო საზოგადოებანი, ე. ი. ყველა კერძო-უფლებრივი იურიდიული პირები და პიროვნებათა კავშირები, რომლებიც კაპიტალის საზოგადოებებს არ წარმოადგენენ (საკომანდიტო საზოგადოებანი და სრული საჯარო ამხანაგობანი). ხარკვალდებულებით ასეთ საზოგადოებათა

დაარსება, საზოგადოების ახალ წევრთა მიღება, შესატანის გადიდება, საზოგადოების უფლებათა სხვაზე გადაცემა, უცხოეთის საზოგადოების მიერ ადგილობრივად განყოფილების დაარსება. ხ ა რ კ ი ს ს ა ზ ო მ ს წარმოადგენს ობიექტის საერთო ფასეულობა, — მაშასადამე, შენატანით და მისი გადიდებით შემდგარი თანხა, სხვაზე გადაცემულ უფლებათა სამაგიეროდ მიღებული ფასეულობა, უცხოეთის საზოგადოებიდან განყოფილებისთვის გადმოცემული კაპიტალი. ამგვარ საზოგადოებათა დაბეგვრა განირჩევა კაპიტალის საზოგადოებათა დაბეგვრისაგან იმით, რომ ხარკი უფლებრივი სიგელის შედგენასთანაა დაკავშირებული, ე. ი. ხარკის გადახდის ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც წერილობითი ს ა ბ უ თ ი შესდგება წარმომდგარი უფლების შესახებ. ხ ა რ კ მ ო ჯ ა ლ ე ა ის, ვინც საბუთს ღებულობს ან ვინც საბუთს აძლევს. ხარკისგან თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა საქველმოქმედო დაწესებულების დაარსება, საზოგადოების განგრძობა მასში გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეთა შესვლით, წევრის მიერ თავისი საზოგადოებო უფლებების გადაცემა ახლობელ ნათესავებზე ან გადაცემა ჩუქების გზით. ხარკი შეადგენს სახარკო საგნის ფასეულობის 50/0-ს; თითოეული საბუთისათვის ის ცალკე გამოიანგარიშება. ზოგიერთ შემთხვევებისთვის მინიმალური თანხა გადასახდელად დაწესებული.

გ) ს ხ ვ ა ი უ რ ი დ ი უ ლ პ ი რ ე ბ ს დ ა პ ი რ ო ვ ე ბ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ს ხარკის გადახდა ევალემათ ერთხელ, — როდესაც მათი დაარსებისათვის წესდება შემუშავდება და საბუთი შესდგება. ხარკი შეადგენს 5 მარკას (კოლონიატურულ ამხანაგობათათვის, რომელნიც სარევიზო კავშირს ეკუთვნიან და რომელთა საქმიანობა, წესდების თანახმად, წევრთა წრეს არ სცილდება, — 3 მარკას). ხარკისგან თავისუფალი არიან საქველმოქმედო დაწესებულებანი, საზოგადო სარგებლობისათვის მოქმედი ამხანაგობანი, იძულებითი დაზღვევის დაწესებულებანი და იურიდიული პირები საჯარო სამართლისა.

2. ფ ა ს ი ა ნ ი ქ ა ლ დ ე ბ ი ს ხ ა რ კ ი. ეშ ხარკი ეხება სამიმოქცევოდ: დანიშნული ობლიგაციების პ ი რ ვ ე ლ გ ა მ ო ც ე მ ა ს, შემდეგ — აქციების, საწილო პაიების, აგრეთვე უცხოეთის აქციების სანაცვლო-სადივიდენდო ბარათების პირველ გამოცემას. გამოცემასთან გათანაბრებულია (ე. ი. იმასავით იბეგრება): ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, დაგირავება და სხვა ოპერაციები, ფასის გადახდა ან ვალის დაფთარში შეტანა. ხ ა რ კ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ის, ვინც ოპერაციას აწარმოებს. ხარკისგან თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა სარენტო და ხესხის ობლიგაციები იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების, თემების და ისეთ საზოგადოებათა, რომელთა შემოსავალი სავსებით სახელმწიფოს ან თემებს ეძლევა, ობლიგაციები თემების საკრედიტო დაწესებულებათა და სააღმზრდელო დაწესებულები შტემპელდასმული უსახელო საპრემიო ფასიანი ქაღალდები. დაბეგვრის საზომს წარმოადგენს ობლიგაციებისთვის ნომინალური ფასეულობა (საიმპერიო მარკებში) ანდა რენტის 25-პაი თანხა, აქციებისა და საწილო პაიებისთვის — გასაყიდი ფასი, მაგრამ არა ნაკლებ ნომინალური თანხისა, აქციების სანაცვლო დროებითი მოწმობებისთვის — შეტანილად აღნიშნული თანხა. ზოგიერთ ნაციონალურ კოროპორაციებისთვის (მიწათმფლობელთა, საპიპოტეკო ბანკების, სარკინისგზო და წყალთა მეურნეობის საზოგადოებისა და პატარა ბინების ამშენებელ ამხანაგობათათვის და სხვ.) ხარკი შეადგენს 1/2/0-ს, უცხოეთის სახელმწიფო ფოთა და თემთა ობლიგაციებისთვის — 20/0-ს, სხვა ობლიგაციებისთვის — 20/0-ს, უცხოეთის კაპიტალის საზოგადოებათა აქციებისა, საწილო პაიებისა და აქციების სანაცვლო-საპრემიო ბარათებისთვის — 10/0-ს.

3. საბირჟო ბრუნვის ხარკი. ამ ხარკს ექვემდებარება ყველა სავაჭრო გარიგება შესახებ: ადგილობრივ და უცხო კაპიტალის საზოგადოებათა აქციების, საწილო პაიების და უფლებებისა; ობლიგაციებისა, რომელთაც ფასიანი ქაღალდების ხარკი ენება; შემდეგ—სავაჭრო გარიგებები შესახებ უცხოეთის გადახდის საშუალებათა (ფული, ასიგნობები, ჩეკები, თამასუქები და სხვ.) და საბირჟო საქონელთა. საბირჟო გარიგებად ითვლება აღნიშნული სახის ყველა გარიგება, თუნდაც ის თვით ბირჟაზე არ დაიდვას. მხოლოდ საქონლის ბრუნვის დაბეგრა არის მარტო ისეთი გარიგებებით შემოფარგლული, რომელიც საბირჟო ადათის მიხედვით დაიდება. ხარკვალდებულება სახელმწიფოს შიგნით დადებული ყველა გარიგება, უცხოეთისა კი—მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულების დადები ერთერთი მხარე მაინც გერმანიაში ცხოვრობს ან აქ აქვს ჩვეულებრივ სამყოფი ადგილი, სამრეწველო განყოფილება ან მუდმივი წარმომადგენლობა. ფასიანი ქაღალდების გადასვლა პირველი შემქმნის ხელში ხარკისგან თავისუფალია, ვინაიდან ეს უკვე კაპიტალის საზოგადოებათა ან ფასიანი ქაღალდების ხარკით არის დაბეგრული. სახარკო მოვალეობა წარმოიშობა გარიგების დასრულებასთან ერთად. ხარკის საზომს წარმოადგენს გარიგების ფასი (საიმპერიო მარკებში) ანდა, როცა ეს არ ჩანს, მის ნაცვლად საბირჟო ან საბაზრო საშუალო ფასი. ხარკვალდებულება პიროვნებისა და სახარკო განაკვეთის ოდენობის მხრივ კანონი განსხვავებს სავაჭრო, სამუშტრო და კერძო გარიგებებს. სავაჭრო გარიგებად ჩათვლილია ყველა ის გარიგება, რომლის მონაწილე ორივე მხარე ვაჭარია (ამასთან ცნება „ვაჭარი“ მტკიცედ არის განსაზღვრული); სამუშტრო გარიგებაში მხოლოდ ერთი მხარე ვაჭარია, ხოლო ყველა დანარჩენი გარიგება—კერძო გარიგებას წარმოადგენს. ხარკი შეადგენს:

	სავაჭრო გარიგებებზე	სამუშტრო გარიგებებზე
1. იმპერიის, რესპუბლიკებისა და თემების სესხის ობლიგაციებისთვის	0,02	0,04
2. ობლიგაციებისთვის მიწათმფლობელთა კორპორაციებისა, საადგილ-მამულო, საჰიმოტეკო და სახომალდო კრედიტის ბანკებისა, რკინისა და წყლის გზების საზოგადოებათა, რამდენადაც ეს ობლიგაციები სახელმწიფოს ნებართვითაა გამოცემული	0,03	0,06
3. სხვა შინაური და ყველა უცხო ობლიგაციებისთვის	0,05	0,10
4. აქციებისთვის, აქციების სანაცვლო-საპრემიო ბარათებისთვის	0,075	0,15
5. საქონლისთვის	0,04	0,04
6. შეზღუდ. პასუხისმგებლობის საზოგადოებათა საწილო პაიებისთვის	0,50	0,50

კერძო გარიგება ისევე იბეგრება, როგორც სამუშაო გარიგება; 1-ლი და მე-2 მუხლის გარიგებისთვის ზოგჯერ ხარკისგან განთავისუფლებაა დაშვებული. საბირჟო ბრუნვის ხარკი საქონელზე ამჟამად არ აიღება.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი. — ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად [1926 წ. 25 აპრ. (საკავშირო) და 9 აგვ. (ამიერ-კავკას.)], ადგილობრივ საბჭოებს უფლება ჰქონდათ შემოედოთ და აეკრიფათ ბირჟაში დადებულ ან რეგისტრაციაში გატარებულ გარიგებათა ხარკი. 1927 წ. 31 აგვისტოს გამოცემული კანონით ეს ხარკი 1927 წ. 1 ოქტომბრიდან შეცვლილ იქნა საბირჟო გარიგებათა ხარკით, რომლის დაწესებისა და აკრეფის უფლება იმავე ადგილობრივ საბჭოებს აქვთ მიკუთვნებული. ხარკის ობიექტი აბირჟაში დადებული ყველა გარიგება, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის მიერ ან რა თანხაზე არის ის დადებული. ხარკვალდებულება გარიგების დამდები მხარეები; ხარკს იხდის გამყიდველი და მყიდველი ნებაყოფლობითი საურთიერთო შეთანხმებით, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, ხარკი გამყიდველს გადახდება.

ხარკისგან თავისუფალია: გარიგება სახელმწიფო მომგებიან სესხთა ობლიგაციების, ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახ. კომისარიატის ცენტრალურ სალაროს საგადასახადო ვალდებულებათა და სახელმწიფო შრომის შემანახველ სალაროთა სერტიფიკატების შესახებ; აგრეთვე — ის გარიგებანი, რომელნიც კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოთა დადგენილებით დაბეგვრისგან არიან განთავისუფლებულნი; ამას გარდა, ადგილობრივ საბჭოებს უფლება ეძლევათ ზოგიერთი კატეგორიის გარიგებანი, საქონლის ბრუნვის ადგილობრივ ბირჟათა მიხედვით, დაბეგვრისგან განთავისუფლონ.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს გარიგების თანხა, რომელიც სათანადო საბირჟო დაფორმება ნაჩვენებია გამოტრეკველი თანხის გარიგებათათვის კი ხარკი გადაიხდება საბირჟო საფასურთან ერთად, გარიგების სრულდასრულების შემთხვევაში თანხის გამორკვევის მიხედვით.

სახარკო განაკვეთს აწესებს ადგილობრივი საბჭო, მაგრამ ეს განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს: იმ გარიგებისათვის, რომელიც საქონლის ბირჟებში დაიდება — 0,10%-ს, ხოლო რომელიც — საფონდო ბირჟებსა და საქონლის ბირჟების საფონდო განყოფილებებში — 0,050%-ს.

ხარკის გადახდის ვადად ითვლება დღე გარიგების რეგისტრაციისა ბირჟის სათანადო ორგანოებში. ხარკის აკრეფას აწარმოებს საბირჟო კომიტეტი, რომელსაც აკრეფილი ხარკი ფინანსთა სახ. კომისარიატის სასალარო დაწესებულებებში შეაქვს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადაში, მაგრამ — ორჯერ მაინც თვეში. ხარკის გამონახარიშების, აკრეფის და შეტანის სისწორის მხრივ საბირჟო კომიტეტებს ზედამხედველობენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოები (საგუბერნიო, სამაზრო და სხვ. საფინანსო განყოფილებანი).

ბირჟაში დადებულ ან რეგისტრაციაში გატარებულ გარიგებათა ხარკის შემოსავალი საქართველოში შეადგენდა: 1925/26 წ. 60 ათას მ. ანუ მთელი ადგილობრივი შემოსავლის 0,20%-ს, ხოლო 1926/27 წ. 83 ათას მ. ანუ — 0,20%-ს (წინა წელთან შედარებით — 131,70%-ს).

§ 55. მოძრავი ქონების მიმოქცევის სხვა ხარკები; თამასუქის, ქვითარის, დაზღვევის, სადოლო სანაძღვეოს და ლატარიის ხარკები. — 1. ამ ხარკთა შორის უძველესია სათამასუქო ხარკი.

გერმანიის სახარკო სამართლის მიხედვით მას ექვემდებარება გადასაცემი და სოლო ვექსილები (თამასუქები) და თამასუქისებური საბუთები. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა მაშინვე, როდესაც თამასუქი მიმოქცევაში შედის და ეხება იმ პირს, რომლის ხელიდანაც თამასუქი გამოდის ამ მომენტში, ანდა, თუ მას არ გადაუხდია,—ვექსილის შემდეგ მეპატრონეს. ხარკი სათამასუქო თანხის პროცენტში გამოისახება და გადახდილ უნდა იქნეს სახარკო ნიშნების დაკვრით თამასუქზე. თუ თამასუქი მიმოქცევაში 3 თვეზე უფრო ხანგრძლივად რჩება,—ხარკი მატულობს ან დამატებითი ხარკია გადასახდელი.

2. საქვითარო ხარკის ობიექტს ქვითარი წარმოადგენს; ხარკის სუბიექტია ქვითარის გამცემი. გადახდა ხდება ზალერბო მარკების დაკვრით, საკლასო ტარიფის მიხედვით. ეს ხარკი არსებითად ემსგავსება დანამატს იმ საგნისა ან სამსახურის ფასზე, რომლის შესახებაც ქვითარი გაიცემა. ამიტომ არ შეიძლება მის სასარგებლოდ მოყვანილ იქნეს ეს მოსაზრება: რომ იმით იბეგრება მოგება, რომელიც უამისოდ დაუბეგრავი დარჩებოდაო. გარდა ამისა, ეს ხარკი ძნელად კონტროლგასაწევია და ხელს უწყობს ფორმამით შემოღობულ მიმოქცევის გაძლიერებას, ვინაიდან სამიმოქცევეო აქტები, ხარკის გვერდასახვევად, ქვითარის გაუცემლად სრულდება. საქვითარო ხარკი აქვს საფრანგეთს. წინეთ იგი იყო შემოღებული გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოში გერმანიის იმპერიაში მთავრობამ რამდენჯერმე სცადა მისი შემოღება (1881, 1893, 1906 წ.წ.), მაგრამ რეისსტაგის წინააღმდეგობის გამო ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. 1916 წლის უკანასკნელ ცდასაც იგივე ბედი ეწვია; მაგრამ ის იმ მხრივ იყო მნიშვნელოვანი, რომ ბრუნვის ხარკის (იხ. § 64) შემოღება გამოიწვია.

3. დაზღვევის ხარკი გერმანიაში ეხება ყოველგვარ დაზღვევას, აგრეთვე ხელშეკრულობას, რომელსაც ასეთივე მიზანი აქვს; რამდენადაც ეს შინაურ ობიექტებს ეხება ან ისეთ დაზღვეულებთან არის დადებული, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი, ბინა ან ხანგრძლივი ბინადრობა გერმანიაში აქვთ. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ნაწილობრივ დაზღვევის თანხა (სეტყვისგან დაზღვევა; სახლების დაზღვევა), ნაწილობრივ — გადახდილი სადასაზღვევო პრემია (დაზღვევის დანარჩენი სახეები). სახარკო განაკვეთი დაყოფილია საფეხურებად დაზღვეული ზარალის სახეთა მიხედვით და შეფარდებულია დაზღვევის დარგთა მეტ-ნაკლებ სამეურნეო მნიშვნელობასთან. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა დაზღვევის პრემიის გადახდას-

თან ერთად; ხარკვალდებულია დამზღვეველი, მაგრამ ხარკს. მის ანგარიშში დამზღვევი იხდის. ის ზიანი, რომელიც საზოგადოდ მზრუნველობა-თადარიგაანობის ღონისძიების დაბეგვრას ახლავს, — და ასეთ მზრუნველობის ღონისძიებას წარმოადგენს დაზღვევა, — აქ იმ გარემოებით სუსტდება, რომ სიცოცხლისა და შინაური საქონლის წვრილი დაზღვევა, აგრეთვე კანონით დაწესებული დაზღვევა მუშა-მოსამსახურეებისა, საპენსიო, საქვრივო და საობლო სალაროებში შესატანი, რომელიც შრომის ხელშეკრულობის საფუძველზე არის გადასახდელი, და სხვ., ხარკისგან თავისუფალია. დაზღვევის ხარკი შემოღებულია სხვა სახელმწიფოებშიც, — მაგ., ავსტრიაში, ინგლისში, საფრანგეთში.

4. სა დ ო ლ ო ს ა ნ ა ძ ლ ე ო ს ხ ა რ კ ი გერმანიის იმპერიაში პირველად საიმპერიო საღერბო კანონით იყო შემოღებული; 1922 წლის 8 აპრილის კანონით (და შემდეგი დამატებებით) ის ახლად იქნა განწესრეგებული. მას ექვემდებარება ტოტალიზატორთან ან სადოლო სანაძლეოს მწარმოებელთან (ბუკმეკერთან) დადებული სანაძლეო ცხენების საჯარო დოლის გამო. ხარკვალდებულია ტოტალიზატორის მესარეწე ან დოლის სანაძლეოს მწარმოებელი (ბუკმეკერი).

5. ლ ა ტ ა რ ი ის ხ ა რ კ ი, რომელიც 1922 წ. 8 აპრილის კანონით ახლად განწესრეგებამდე საიმპერიო საღერბო ტარიფში იყო მოქცეული, ეხება ყველა გერმანიაში მოწყობილ ლატარიას და აგრეთვე უცხოეთის სალატარიო ბილეთებს. ხარკვალდებულია პირველ შემთხვევაში ლატარიის მოწყობი, ხოლო მეორეში — ბილეთების უცხოეთიდან შემომტანი ან პირველი მიმღები. ამ ხარკის საწინააღმდეგოდ ამბობენ, ადამიანთა თამაშისადმი მისწრაფებით სახელმწიფო შემოსავლის მისაღებად არ უნდა სარგებლობდესო; მაგრამ ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ დაუმსახურებელი მოგების დაბეგვრაზე სახელმწიფო უარს ვერ იტყვის, სანამ ის იძულებულია მიმოქცევის ისეთი დარგები დაბეგროს, რომელიც მოგებას არ იძლევა, ან რომელიც, როგორც დაზღვევა, ხელისშეწყობის ღირსია.

1. სა თ ა მ ა ს უ ქ ო ხ ა რ კ ი (კანონები: 1923 წ. 9 აგვ. და 19 დეკ. 1924 წ. 3 იანვრ. და 1925 წ. 10 აგვ.). ეს ხარკი ეხება გადასაცემ და სოლო თამასუქებს და თამასუქისებურ საბუთებს. კანონი გაარჩევს მთავარ და დამატებით ხარკს. მთავარი ხარკი გადასახდელია მაშინ, როდესაც თამასუქი მიმოქცევაში გადაიცემა; ხარკვალდებულია ის, ვისი ხელიდანაც გაიცემა. ხარკი შეადგენს თამასუქის თანხის თითოეულ 100 მარკაზე 0,10 მარკას; ისეთი თამასუქისთვის, რომელშიც გადახდის ვადად განსაზღვრული დღეა აღნიშნული, ხარკი შეადგენს 0,20 მარკას, თუ თამასუქის მიმოქცევის ვადა 3 თვეზე მეტია, ხოლო

როდესაც ის 1 წელს აქარბებს—0,30 მარკას. და მატებით ხარკს ადგილი აქვს მიზნს, როდესაც თამასუქი, რომელიც წარდგენისთანავე ან წარდგენის შემდეგ განსაზღვრულ ვადაზე გასანადგებელია, 3 თვეზე მეტ ხანს არის მიმოქცევაში; ხარკი გადასახდელია ნახევარწლობით, თამასუქის მიმოქცევაში ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით, და შეადგენს 0,10 მარკას. დამატებითი ხარკის გადახდა ევოლუბა თამასუქის პატრონს; სახარკო მოვალეობა წარმოიშობა მიმოქცევის ვადის გასვლისას და ხარკი გადახდილ უნდა იქნეს უახლოესი 3 დღის განმავლობაში. სათამასუქო ხარკის გადახდა ხდება სახარკო ნიშნების დაკრით თამასუქზე. ხარკის გადახდისათვის პასუხისმგებელი არიან ნამდვილ ხარკვალდებულთან ერთად თამასუქის მიმოქცევაში მონაწილე ყველა პირნი. თუ ხარკვალდებულმა პირმა სახარკო ნიშნები არ დააკრა თამასუქს, თამასუქის ყოველი შემდეგი მფლობელი ვალდებულია ეს შეასრულოს.

2. დაზღვევის ხარკი (1922 წ. 8 აპრილის საიმპერიო კანონი 1923 წ. 19 დტკ-ის ცვლილებებით). ხარკის ობიექტს წარმოადგენს დაზღვევის პრემია ანდა დაზღვევის თანხა ისეთი დაზღვევის გამო, რომელიც შინაგან (სახელმწიფოში მყოფ) საგნებს შეეხება ან საიმისო ხელშეკრულობა ისეთ დამზღვეველებთან არის დადებული, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი ან ხანგრძლივი ბინადრობა გერმანიაში აქვთ. დაზღვევად მიიჩნევა აგრეთვე ყველა ისეთი ხელშეკრულობაც, რომლითაც რამდენიმე პირი საზიაროდ გაიზდის დანაქარგს და ზარალს, რომელიც შეიძლება დაუფიქროს დაზღვევის საგანი. ხარკის განთავისუფალია სიცოცხლის დაზღვევა მცირე თანხის (500 მარკამდე კაპიტალი ან 60 მარკამდე რენტა); გადაზღვევა, საიმპერიო სადასაზღვევო კანონის საფუძველზე შესრულებული, და აგრეთვე სხვა საჯარო-უფლებრივი ხასიათის დაზღვევა; ავთმყოფობისაგან დაზღვევა (მცირე თანხისა); შრომის ხელშეკრულობის საფუძველზე შესრულებული დაზღვევა (საბენისო, საქრივო და საობლო საღაროების); უმუშევრობისაგან დაზღვევა; აჯანყება-არეულობისაგან წარმომდგარი ზარალისაგან დაზღვევა; წვრილი შესაქონლების დაზღვევა. ხარკვალდებულია დამზღვეველი, — ამის ხარჯზე იხდის ხარკს დამზღვევი. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა დაზღვევის პრემიის გადახდასთან ერთად. სახლების დაზღვევისა და აგრეთვე სეტყვისაგან დაზღვევისას ხარკი საფეხურებადაა დაყოფილი დაზღვევის თანხის მიხედვით და შეადგენს წლიურად 0,20 მარკას დაზღვევის თანხის ყოველ 1000 მარკაზე, ანდა, — წელიწადზე ნაკლები დროისათვის, — წლიური ხარკის $\frac{1}{10}$ -ს თვიურად. სხვაგვარი დაზღვევისათვის ხარკი განიზომება გადახდილი სადასაზღვევო პრემიის (ნაღდი პრემიის) მიხედვით და შეადგენს სიცოცხლის და სხვა მსგავსი დაზღვევისათვის, აგრეთვე შინაური საქონლის, ჰაეროპლანების და ყოველგვარი გემების დაზღვევისათვის — 20/0-ს, სატრანსპორტო და სადამშენებლო ხიფათისაგან დაზღვევისათვის, — 30/0-ს, ხანძრისაგან დაზღვევისათვის — 40/0-ს, უბედურ და შესარეწეთა საპასუხისმგებლო შემთხვევების და სხვა სპეციალ დაზღვევათათვის — 50/0-ს, შემტვრევით გაქურდვისაგან დაზღვევისათვის, შუშის დაზღვევისათვის და მოძრავი ნივთების მრავალ საშიშროებათაგან ერთიანი დაზღვევისათვის — 100/0-ს.

3. სადოლო სანაძლეოს ხარკი (1922 წ. 8 აპრილის საიმპერიო კანონი დამატებებით). ხარკკუთვნილია სანაძლეო, დადებული ა) ტოტალიზატორთან თანხის 16 $\frac{2}{3}$ /0-ით და ბ) სადოლო მონაძლევესთან (ბუკმეკერთან) — 100/0-ით. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა: პირველ შემთხვევაში (ა) — როდესაც სანაძლეოდ ჩასასვლელი თანხების მიღება ტოტალიზატორის მიერ შეს-

წყდება, მეორე შემთხვევაში (ბ)—სანაძლეო ბარათის გაცემისა ანდა სანაძლეო დავთარში ჩაწერისთანავე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს დოდის გათავებისა. ხარკვალდებულება ტოტალიზატორის მებატრუნე და სადოლო მონაძლევე. ხარკის გამოსავალი მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლევათ (იმპერიის სასრებლოდ მართველობის ხარჯებისათვის 40/0-ის გამორიცხვით),—სახელდობრ, ნახევარი ეძლევა იმ რესპუბლიკას, რომელშიც ტოტალიზატორია გამართული, მეორე ნახევარი კი—სხვა რესპუბლიკებს მოსახლეობის რიცხვის მიხედვით. ამ შემოსავლიდან რესპუბლიკებმა არა ნაკლებ ერთი მესამედისა მეცხენეობის განვითარების საქმეს უნდა მოახსარონ.

4. ლატარიის ხარკი (იგივე კანონი, როგორც მე-3 შენიშვნაში, დამატებით). ხარკკუთვნილია სახელმწიფოს შიგნით წარმოებული ყველა საჯარო ლატარია და მოგებიანი გათამაშება. ხარკისგან თავისუფალია ნივთების გათამაშება, რომელსაც არ ახლავს ბილეთების გაცემა და ფულადი მოგება, შემდეგ—წვრილი ლატარია (რომლის ბილეთების საერთო ფასი 15 ოქროს მარკას არ აღემატება), აგრეთვე მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით გამართული ლატარიები, თუ ბილეთების საერთო ფასი 3000 მარკაზე მეტს არ შეადგენს. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა შინაგანი ლატარიის შესახებ მთავრობის მიერ ნებადართვის გაცემასთან ერთად, უცხოეთის სალატარო ბილეთებისთვის კი—შემოტანასთან ერთად. ხარკის გადახდა ევალება პირველ შემთხვევაში ლატარიის გამმართველს, მეორეში კი—ბილეთების შემომტანს ან პირველ მიმღებს. ხარკი შეადგენს 200/0-ს ბილეთის ფასისა, ხარკის თანხის გამოკლებით, ასე რომ ნამდვილად ის 162/30/0-ს წარმოადგენს; უცხოეთის სალატარო ბილეთებისათვის ხარკი ფასის 250/0-ს შეადგენს.

5. ხარკების ამავე ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე კერძო საემისიო ბანკების საემისიო ხარკი (1924 წ. 30 აგვისტოს კანონი კერძო საემისიო ბანკების შესახებ). მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბანკოტების ბრუნვა განსაზღვრულ ფარგალს გადასცილდება: გარდამეტი იბეგრება საიმპერიო ბანკის სადისკონტო ნორმის 1/2-ისოდენა განაკვეთით, მაგრამ ისე კი, რომ წლიურად 50/0-ზე ნაკლები არ გამოდიოდეს.

სატრანსპორტო და საავტომობილო ხარკს, რომელსაც ზოგჯერ ქონების მიმოქცევის ხარკთა ჯგუფს მიაკუთვნებენ, ჩვენ განვიხილავთ მოხმარების ხარკებთან ერთად, რომელთაც ის თავისი არსებით ეკუთვნის.

ს. ს. რ. კავშირი.—როგორც უკვე მოვიხსენიეთ (იხ. ზევით გვ. 82, 127), სადებო საფასური ნაწილობრივ სხვადასხვა სახის მიმოქცევის ხარკსაც შეიცავს; სახელდობრ, როდესაც ის დაკავშირებულია ქონების მოძრაობასთან.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ხარკკუთვნილი საბუთის თანხა, კერძოდ კი: აქციებისა და ობლიგაციებისთვის—საემისიო ფასი, თამაშქისათვის—ვალის კაპიტალური თანხა, შენობების გაყიდვისათვის—შენობის ღირებულება, მაგრამ არა ნაკლებ სადასაზღვევო ან სახარკო შეფასებისა,—იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო მეტია: ზოგჯერ კი (მარტივი-განაკვეთებით დაბეგრის დროს)—ხარკკუთვნილი საბუთის ხასიათი.

აქაც დაბეგრა მარტივი და პროპორციული განაკვეთებით (იხ. ზევით გვ. 83) ხდება. მარტივი განაკვეთით იბეგრება: სავალიუტო და საფონდო ფასეულობათა ყიდვა-გაყიდვის საბუთები (3000 მან.-დე—15 კპ., 3000-დან 5000 მან.-დე—1 მ., 5000 მან. ზევით—1 მ. 60 კპ.), ბანკების მიერ გა-

ცემული კრედიტები (1000 მან.-დე—15 კაპ., 1000 მან. ზევით—1 მ.), ანდერძი (1 მ.); პ რ ა პ ო რ ც ი უ ლ ი განაკვეთით კი—0,50/0-ით: აქციები, პაიები, მათი სანაცვლო საბუთები, ქვითარები საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებათა საბრუნავ კაპიტალში შენატანის მიღების შესახებ, ხელშეკრულობანი შენობის, სავაჭრო-სამრეწველო სარეწაოს და გემების გაყიდვის შესახებ და ჩუქება; 0,250/0-ით: თამაშუქები და ობლიგაციები; 0,150/0-ით, მაგრამ არა უმეტეს მარტივი განაკვეთის მე-3 ხარისხისა (1 მან.)—წარწერები სახელობითი ფასიანი ქაღალდების გეორგე პირზე გადაცემის შესახებ; 0,150/0-ით, მაგრამ არა ნაკლებ მარტივი განაკვეთის მე-4 ხარისხისა (6 კაპ.)—დაზღვევის ხელშეკრულობანი (პოლისები, ხელშეკრულობის განმარტებელი მოწმობები და სხვ.).

ხარკის გა და ხ დ ის მხრივ იგივე წესია ძალაში, რაც სადერბო საფასურ-სათვის (იხ. გვ. 83).

§ 56. მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკი.—მემკვიდრეობის ხარკი არის ხარკი გარდაცვალების გამო წარმომდგარ ქონების მიმოქცევაზე. ხარკის აღების საბაზს მფლობელის გარდაცვალება წარმოადგენს და უამისოდ სახარკო ვალდებულება არ წარმოიშობოდა. არსებითად ეს ხარკი წარმოადგენს ქონების ხარკს, ვინაიდან მის საზომ საფუძველს შეადგენს ის ქონება, რომელსაც მემკვიდრე იძენს და ჩვეულებრივ ამის მიხედვით აიღება.

გარდაცვალების გამო წარმომდგარ ქონების შეძენად ითვლება არა მარტო მემკვიდრეობისა და ანდერძის გზით წარმომდგარი, არამედ მთელი რიგი სხვაგვარი შეძენაც, რომელიც უფლებრივად გარდაცვალების შემთხვევას უთანაბრდება, როგორც, მაგ., შეკრული ე. ი. თავისუფალ მიმოქცევაში გადაუტანელი ქონების მემკვიდრეობა, გარდაცვალების შემდეგ ნაჩუქარი, მენდერძის მიერ დაკისრებულ გრასაციით წარმომდგარი შეძენა, წილის მიღება მემკვიდრეობის გაყოფისას ან ნაცვალებს კანონიერ წილზე უარის თქმისას.

ხარკის საგანი არის ქონება, რომელსაც აქ მემკვიდრე და სხვ. სათანადო პირი იძენს,—უფრო სწორად რომ ვთქვათ: გამდიდრება ახალი ქონების მიღებით, ვინაიდან თანამედროვე სახარკო კანონით, წინააღმდეგ წინანდელისა, დაშვებულია მიღებული ქონებიდან გამორიცხვა ვალების, გადასახადის და მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯების, როგორიცაა, მაგ., მემკვიდრეობის მოწესრიგების, დამტკიცების, საფლავზე ძეგლის დადგმისა და სხვ. ხარჯები. ქონების შეფასება ხდება საგნის ფასეულობის მიხედვით სახარკო ვალდებულების წარმოშობის მომენტში (საერთო ფასეულობა, ფასიანი ქაღალდების კურსი და სხვ.), გერმანიის იმპერიაში—საიმპერიო შეფასებითი კანონის დადგენილებათა მიხედვით. საზოგადოდ დაბეგვრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ შეღავათებისა და განთავისუფლების შემთხვევებს,

რომელთა შესახებ ცალკე ქვევით მოვიხსენიებთ, მთელ დასაბეგრ სამემკვიდრო ქონებაზე ვრცელდება.

მემკვიდრეობის ხარკი შეიძლება იყოს სამემკვიდრო ქონების ანდა მემკვიდრეობის მიღების ხარკი (მემკვიდრეობის ხარკი ვიწრო მნიშვნელობით). პირველი ეხება მთლიანად სამემკვიდრო ქონებას, ვალებისა და გადასახდელთა გამორიცხვით, ვიდრე ეს ქონება მემკვიდრეთა შორის განაწილდებოდეს; მცირე ქონება ჩვეულებრივ ხარკისგან განთავისუფლებულია. როდესაც აქ სახარკო განაკვეთები საფეხურებადაა დანაწილებული, ეს დანაწილება მთელი ქონების სიდიდის მიხედვითაა აგებული. მემკვიდრეობის მიღებდს ხარკი, პირიქით, ცალცალკე მემკვიდრეთა, ანდერძის ამღებთა და სხვ. მიერ მიღებულ ქონებას შეეხება. ეს ხარკი არის ზოგადი, როდესაც ყველა მემკვიდრეებს,—მეუღლეებს და პირდაპირ შთამომავლობასაც,—ბეგრავს, ანდა—შეზღუდული ანუ კოლატერალური, როდესაც მხოლოდ გვერდითი ხაზის ნათესავებს ბეგრავს. სხვადასხვა სახელმწიფოებს (ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიას) ორივე ეს—სამემკვიდრო ქონებისა და მემკვიდრეობის მიღების—ხარკი აქვთ თანადროულად, როგორც ეს ერთხანად (1919—1922 წ.წ.) გერმანიის იმპერიაშიც იყო.

მემკვიდრეობის მიღების ანუ მემკვიდრეობის ხარკი (ვიწრო მნიშვნელობით) ჩვეულებრივ შეიცავს ორმაგ პროგრესიას: ერთს მემკვიდრეობის დამტოვებლისადმი მემკვიდრეთა ნათესაობის ხარისხის მიხედვით და მეორეს—მისაღები მემკვიდრეობის სიდიდის მიხედვით. ხარკისგან თავისუფალია მცირე ზომის მემკვიდრეობა, ჩვეულებრივი საოჯახო ავეჯი საერთოდ ან ახლო ნათესავებისათვის, მოძრავი სახმარი ქონების სხვა საგნები—უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მეუღლეთა და პირდაპირი შთამომავლობისათვის, აგრეთვე განსაზღვრულ ოდენობამდე შემდეგი უახლოესი საფეხურის ნათესავებისთვისაც, უკეთეს ისინი შეძენის უნარს მოკლებული არიან, ასევე ქონება, რომელიც გადადის საჯარო კავშირების, საეკლესიო და საქველმოქმედო კავშირების ხელში და სხვ...

მემკვიდრეობის ხარკის მოწინააღმდეგენი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სამემკვიდრო ქონება არავითარ ახალ ქონებას არ წარმოადგენს და რომ ხარკი კაპიტალის დაგროვებას, რომელიც სახლხო მეურნეობისათვის სასარგებლოა, ხელს უშლის, განსაკუთრებით როდესაც გარდაცვალება ხშირი შემთხვევაა. ერთსადაიმთხვევით ოჯახში. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდენ მეუღლეთა და პირდაპირი შთამომავლობის დაბეგრას იმ მოსაზრებით, რომ ამათთვის,

უმრავლეს შემთხვევაში, მემკვიდრეობა გამდიდრებას კი არ მოასწავებს, არამედ მხოლოდ აქამდე მემკვიდრეობის დამტოვებელთან საერთო სარგებლობაში არსებული ქონებით სარგებლობის გაგრძელებას, ასე რომ მათი მდგომარეობა, მიუხედავად მემკვიდრეობის მიღებისა, ხშირად უარესდება, ვინაიდან ადგილი აღარ აქვს იმ შემოსავლით სარგებლობას, რონელსაც მემკვიდრეობის დამტოვებელი სხვა სამეურნეო საქმიანობიდან იღებდა.

რაც შეეხება უკანასკნელ მოსაზრებას, — განსაზღვრულ ფარგლებში ის საფუძვლიანად არის მისაჩნვეი. მაგრამ რამდენადაც სახარკო კანონით პატარა ოდენობის მემკვიდრეობა, რომელიც მეუღლეთა და პირდაპირი შთამომავლობისათვის არის დატოვებული, სრულიად თავისუფლდება ხარკისგან და სხვა ამგვარი მემკვიდრეობა ზომიერად იბეგრება, იმდენადვე აღნიშნულ მოსაზრებას აკლდება მნაშენელობა. ყოველ შემთხვევაში შვილებსა და მეუღლეებს, რომელნიც მემკვიდრეობას ღებულობენ, უპირატესი მდგომარეობა აქვთ იმათთან შედარებით, რომელნიც არაფერს არ იღებენ. მემკვიდრეობის ხარკის გამო კაპიტალის დაგროვების სიძნელის შესახებ შეუძლებელია ლაპარაკი, თუ სახარკო განაკვეთი გონივრულ ფარგალშია მოქცეული, ვინაიდან ამის წინააღმდეგ გვიმტკიცებს გამოცდილება იმ ქვეყნებში, რომელთაც უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც მემკვიდრეობის ხარკი აქვთ. ხოლო როცა ეს ხარკი, სახელდობრ ერთსადაიმაცე ოჯახში გარდაცვალების ხშირი შემთხვევების გამო, მართლა დამაბრკოლებელი იქნება კაპიტალის დაგროვებისა, — სახარკო შეღავათების დაწესებით შეიძლება საქმეს მოეწლოს. მემკვიდრეობის ხარკის სასარგებლოდ ის მოსაზრება ლაპარაკობს, რომ მემკვიდრეობა, უმრავლეს შემთხვევაში, დაუმსახურებელ გამდიდრებას წარმოადგენს და რომ ხარკვალდებულს ხარკის გაღება უმთავრესად ქონების ნაშთიდან შეუძლია. ხოლო სადაც ამ უკანასკნელ გარემოებას ადგილი არ აქვს იმ მიზეზით, რომ ქონება, როგორც, მაგ., უძრავი ქონების მემკვიდრეობის შემთხვევაში, არალიქვიდურია, — სახარკო ტვირთის შემსუბუქება შეიძლება ხარკის ნაწილ-ნაწილ გადახდის დაწესებით. იქ, სადაც ფუძიანი შემოსავლის ზედმეტად დაბეგვრა არ არსებობს ან არა საკმაოა, მემკვიდრეობის ხარკი ამის მაგიერობას გასწევს და დამატებითი ხარკის სახით შემოსავლისა და ქონების ისეთ ნაწილებს დაბეგრავს, რომელნიც რეგულიარულ დაბეგვრას არ ექვემდებარებიან. როგორც, მაგ., ძვირფასი საოჯახო ავეჯი. ამ ხარკის გადახდევენებით შესაძლებელი ხდება მემკვიდრეობის დამტოვებლის ქონებას კონტროლი გაეწიოს და დაფარული, განუცხადებელი თანხები,

თუ ასეთები აღმოჩნდება, დამატებით იქნეს დაბეგრილი. მემკვიდრეობის ხარკი წარმოადგენს ერთადერთ ხარკს, რომლის გადაკისრება შეუძლებელია. ის არ იწვევს გადახდელის არავითარ განსაკუთრებულ შეწუხებას, ვინაიდან სამემკვიდრო ქონების გამორკვევა და შეფასება მაინც უნდა მოხდეს მემკვიდრეთა შორის გაყოფის მიზნით.

რახან, ნათქვამის მიხედვით, მემკვიდრეობის დაბეგვრას ამართლებს ერთის მხრივ ხარკვალდებულის გადახდელიობითი უნარის გადიდება და მეორეს მხრივ თვით არსი მემკვიდრეობისა, რომელიც შემთხვევით და დაუშსახურებელ გამდიდრებას წარმოადგენს, ამიტომ არ შეიძლება სამართლიანად არ ვსცნათ ის გარემოება, რომ ამ ხარკის ახალი კანონები სახარკო განაკვეთებს პროგრესიულად აწესებენ ორი მიმართულებით: ერთი — გამდიდრების სიდიდისა და მეორე — ნათესავობის ხარისხის სიშორის მიხედვით, თუმცა ამ ორმხრივ პროგრესიას ადგილი აქვს მხოლოდ მემკვიდრეობის ხარკისთვის ვიწრო მნიშვნელობით და არა სამემკვიდრო ქონების ხარკისთვისაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი, თავისი არსის გამო, შეუძლებელ ჰყოფს ნათესავური დამოკიდებულების გათვალისწინებას.

მემკვიდრეობის ხარკის საჭირო დამატებას წარმოადგენს ჩუქებ ის ხარკი. რათა მემკვიდრეობის ხარკის გვერდის ავლა ვერ მოხერხდეს, სიცოცხლეში ნაჩუქარიც ჩვეულებრივ ისე იბეგრება, როგორც სიკვდილს შემდეგ ნაჩუქარი, მხოლოდ აქ ხარკვალდებულია არა საჩუქრის მიმღები, არამედ გამჩუქებელი. ხარკისგან განთავისუფლებას და შეღავათებს ისევე აქვს ადგილი, როგორც მემკვიდრეობის ხარკისთვის; ხარკისგან თავისუფალია, განსაკუთრებით, ჩვეთლებრივი შემთხვევითი ჩუქება, ჩუქება დასაჩუქრებული პირის შესანახ-აღსაზრდელად ან სასწავლებლად, ღირსეული მზითვის ჩუქება, ჩუქება საჯარო კავშირებისათვის, ეკლესიისა ან მხოლოდ საეკლესიო, საზოგადო სარგებლობის და საქველმოქმედო მიზნების მქონე კავშირებისთვის და სხვ...

მემკვიდრეობის (და ჩუქების) დაბეგვრამ გერმანიის იმპერიაში 1900 წლიდან დიდი ცვლილებები განიცადა. პირველად ის წარმოადგენდა გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა ხარკს, უმთავრესად — მემკვიდრეობის შეზღუდულ ხარკს და, ინგლისისა და საფრანგეთის მემკვიდრეობის ხარკთან შედარებით, მცირე განაკვეთები ჰქონდა. 1906 წ. პიენისის კანონით შემოღებულ იქნა საიმპერიო მემკვიდრეობის ხარკი, რომლის გამოსავალი ნაწილობრივ მოკავშირე სახელმწიფოებს ეძლეოდა; ამ უკანასკნელთ დანარიცხების დაწესება შეეძლოთ, აგრეთვე დაბეგვრაც დაუბეგრავად დატოვებული კატეგორიებისა (მეუღლეთა და შვილებისა). სრული ცვლილება მემკვიდრეობის დაბეგვრამ განიცადა 1919 წ. 10 სექტ.

საიმპერიო კანონით. ინგლისური ხარკის მსგავსად ის იყოფოდა სამემკვიდრო ქონებისა და მემკვიდრეობის (მემკვიდრეობის მიღების) ხარკად. პირველი, რომელიც მთელ სამემკვიდრო ქონებას შეეხებოდა, ვალეებისა და სხვ: გადასახდელთა გამორიცხვით, შტაფელიანი 1—59/6-ის განაკვეთზე იყო აგებული. მემკვიდრეობის მიღების ხარკი კი მემკვიდრეობის ცალკე ნაწილებზე იყო დაწესებული, მემკვიდრეობის დამტოვებლისადმი მემკვიდრის ნათესავური დამოკიდებულების მიხედვით, 6 კლასად (ხარისხად) იყოფოდა და თითოეული კლასის ფარგალში სამემკვიდრო ქონებისა და მემკვიდრის სხვა საკუთარი ქონების ოდენობის მიხედვით განიზომებოდა; ესეც შტაფელიანი იყო და უმაღლეს საფეხურზე მემკვიდრეობის 90%-მდე აღწევდა. მეუღლეთ და შვილებისაც ვვალებოდა ხარკის გადახდა. ეს კანონი 1922 წ. 7 აგვ. კანონით იქნა შეცვლილი, რომელმაც სამემკვიდრო ქონების ხარკი გააუქმა, მეუღლენი ხარკისგან კვლავ გაანთავისუფლა, 6-ის ნაცვლად 5 კლასი (ხარისხი) დააწესა და ხარკის უმაღლესი ნორმა 80%/6-ით განსაზღვრა. არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი 1928 წ. 10 აგვ. ქონებისა და მემკვიდრეობის ხარკის კანონით.

ხარკის საგანია მფლობელის გარდაცვალების გამო წარმომდგარი. შეძენა ქონებისა, ჩუქება ცოცხალთა შორის და მიზნობრივი ნაბოძარი. გარდაცვალების გამო წარმომდგარი შეძენა არის შეძენა მემკვიდრეობის მიღებით, ანდერძით და კანონიერი სამემკვიდრო წილის მიღებით, შეკრული (თავისუფალი მიმოქცევიდან გამორიცხული) ქონების მემკვიდრეობის მიღებით, ჩუქებით სიკვდილს შემდეგ და კიდევ რამდენიმე სხვაგვარი შეძენა, რომელიც იურიდიულად გარდაცვალების შემთხვევასთან არის დაკავშირებული. ჩუქებად მიიჩნევა ყოველგვარი უსასყიდლო გაცემა ქონებისა ცოცხალთა შორის, რამდენადაც ამ მიზანით მიმღებს სიმდიდრე ემატება მიმცემის ხარჯზე, სამაგიეროს მიღება მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის, ქონების მიღება მჩუქებლის მიერ პირობად დადებული გასაცემის საფუძველზე. ღირსეული მშ-თვის მიცემა პირდაპირი შთამომავლობისთვის ჩუქებად არ ჩაითვლება. მიზნობრივ ნაბოძარად ითვლება მესანდერძისა ან მჩუქებლის მიერ რაიმე მიზნის სასარგებლოდ (არა განსაზღვრული პიროვნების სასარგებლოდ) დანიშნული გასაცემელი მემკვიდრეობა—ნაჩუქარიდან, რამდენადაც ამით მემკვიდრეობა-საჩუქარის მიმღებს სიმდიდრის მატება უმცირდება.

ნივთიერი სახარკო ვალდებულება ეხება მთელ ქონებრივ შენაძენს, გამოკლებით ვალეებისა, დამარხვის და სასამართლოს ხარჯებისა, სავალდებულო გასაცემა კანონიერი წილისა, რამდენადაც ადგილი ექნება ამის მოთხოვნას, და აგრეთვე—შთანდერძე-მჩუქებლის მიერ დანიშნული ფულადი გასაცემელისა. პირადი სახარკო ვალდებულებების მხრივ კანონი არჩევს სრულ და შეზღუდულ სახარკო ვალდებულებას. პირველს, რომელიც მთელ მემკვიდრეობას ეხება, ადგილი აქვს, როდესაც ქონების დამტოვებელი ან მიმღები გერმანიის ქვეშევრდომია, მაშასადამე, საშემოსავლო და საკორპორაციო ხარკისათვის სრული სახარკო ვალდებულების მატარებელია. ის ეხება უცხოეთის ქონებასაც, რომლიდანაც გამოირიცხება ის სამემკვიდრო ხარკი, რომელიც ამ ქონებას უცხოეთში იქაური კანონით აქვს დაკისრებული. შეზღუდული სახარკო ვალდებულება ეხება უცხოელებს, რამდენადაც მათი მემკვიდრეობა შეიცავს გერმანიაში მდებარე უძრავ და საწარმოო ქონებას, ამ ქონებით სარგებლობის უფლებას ან სხვა უფლებებს, რომელთა მფლობელობის გადასაცემად საქირთა რეგისტრაციის მოხდენა სათანადო ორგანოთა დაფორმებში. ხარკვალდებულება მფლობელის გარდაცვალების გამო

წარმომდგარი ქონებრივი შენაძენისთვის შემკვიდრების მიზნით, ნაჩუქარისთვის—
გამჩუქებელი და დასაჩუქრებელიც, ხოლო მიზნობრივ ნაბოძარისთვის—ის პირი,
ვისაც ამ ნაბოძარის გაცემის მოხდენა აქვს დაკისრებული. შემკვიდრების მიღებისას
ყველა შემკვიდრენი მისაღები ქონებით სოლიდარულად პასუხისმგებელი არიან
ხარკის გადახდისათვის. საგანგებო დადგენილებები არსებობს შეკრული ქონების
შემკვიდრებისა, უპირატესობის უფლების მქონე შემკვიდრისა და იმ შემთხვევის
შესახებ, როდესაც ცოლქმარი საერთო ანდერძს ადგენს, რომელშიც ერთ-ერთი
მათგანი, გარდაცვლილის შემდეგ ცოცხლად დარჩენილი, ან ამ უკანასკნელის
გარდაცვალების შემდეგ რომელიმე ნათესავი შემკვიდრედ არის გამოცხადებული.

ქონების შეფასება ხდება საიმპერიო შეფასებების კანონის საფუძველზე
(იხ. ზევით გვ. 129) ზოგიერთი ცვლილებით. სახარკო განაკვეთი 22% დადგენილია
ხარკის გამოხადების შემთხვევაში. საფუძველს წარმოადგენს ნათესავ-
ური დამოკიდებულება, 5 კლასად (ხარისხად) დაყოფილი და მიღებული ქონე-
ბის ოდენობა. ძირითადი პროცენტული განაკვეთი შეადგენს:

- I კლასისათვის: მეუღლე (შვილები არა ჰყავს, ხოლო თუ ჰყავს, —თავი-
სუფალია), შვილები-ფართო მნიშვნელობით (გერებიც,
ნაშვილებიც, ქორწინების გარეშე ნაყოლი კანონიერად
აღიარებული შვილებიც) 2%
- II კლასისათვის: I კლასის უშუალო შთამომავლობა 4%
- III კლასისათვის: მშობლები და დედ-მამისნაცვალი, მკვიდრი და ერთი სის-
ხლის და-ქმანი 6%
- IV კლასისათვის: შორეული ნათესავები აღმავალი ხაზით: I ხარისხის შთა-
მომავლობა და ძმობაგან; ცოლქმრის მშობლები და რძალ-
სიძეები 8%
- V კლასისათვის: ყველა დანარჩენები, აგრეთვე მიზნობრივი ნაბოძარი 14%

სახარკო განაკვეთი, 22% საფუძველად დაყოფილი შეადგენს მთლიან შემდგომ
ზომის შემკვიდრება-ნაჩუქარისათვის:

ქონების ფასეულობა საიმპერიო მარკებში	I კლასისათვის	II კლასისათვის	III კლასისათვის	IV კლასისათვის	V კლასისათვის
10.000-მდე	14	14	14	14	14
50.000-მდე	14	14	14	14	14
100.000-მდე	14	14	14	14	14
500.000-მდე	14	14	14	14	14
1.000.000-მდე	14	14	14	14	14
10.000.000-მდე	14	14	14	14	14

ხარკისგან განთავისუფლებას და სახარკო შეღავათებს ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში: ხარკისგან თავისუფალია ქონება არა უმეტეს 5000 მარკისა I და II კლასისთვის, 2000 მარკისა—III და IV კლასისთვის, 500 მარკისა—V კლასისთვის; საოჯახო ავეჯი (თეთრეულიც, ტანსაცმელიც) I და II კლასისთვის, აგრეთვე III და IV კლასისთვისაც, თუ ფასეულობა 5000 მარკას არ აღემატება; სხვა მოსახმარი საგნები ძვირფასი ქვების, თვალმარგალიტის, ხელოვნების საგნების და კოლექციების გამორიცხვით, რამდენადაც ფასეულობა I და II კლასისთვის 5000 მარკას და III და IV კლასისთვის 2000 მარკას არ აღემატება; I და II კლასისთვის—თანამედროვე გერმანულ ხელოვანთა ნაწარმოებნი და კოლექციები, ანდა საზოგადოდ ხელოვნების საგნები და კოლექციები, რამდენადაც მათი ნასყიდობის ფასი 1000 მარკას, ხოლო ერთმანეთთან დაკავშირებული საგნებისათვის—10.000 მარკას არ აღემატება; მეუღლის, შვილების, მშობელთა, დედ-მამინაცვალთა და მშობელთ-მშობელთა მინაღები, რომელიც სხვა მათ საკუთარ ქონებასთან ერთად 5000 მარკას არ აღემატება; იმ პირთათვის ნაანდერძევი, რომელნიც, საკმაო სასყიდლის მიუღებლად, მონადერძეს უვლიდენ ან ინახავდენ ანდა მოანდერძის ოჯახს ან საწარმოში ნაღდი ხელფასის მიუღებლად მსახურობდენ, თუ ნაანდერძევი ქონება შესაფერჯილდოზე მეტი არაა; ჩუქება დასახუქრებული პირის შესანახ-აღსაზრდელად ან სასწავლებლად; ჩვეულებრივი შემთხვევითი ჩუქება; მემკვიდრეობის დატოვება და ქონების შეწირვა იმპერიისა, მოკავშირე რესპუბლიკებისა, თემებისა, ეკლესიისა და მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო, საქველმოქმედო ან საზოგადო სასარგებლო მიზნების მქონე კავშირებისათვის; საწევრო შესატანი და შენაწირი პოლიტიკური კავშირებისათვის 100 მარკამდე; მემკვიდრეობით მინაღები I და II სახარკო კლასში ჩათვლილთა და მშობლების და მშობელთ-მშობლებისა, უკეთეს მათ სხვა ქონებასთან ერთად 10.000 მარკას არ აღემატება და მიმღებნი ქონების შეძენის უნარს მოკლებული არიან. დასასრულს, რათა ხშირი სიკვდილიანობის შემთხვევებში მრავალჯერ დაბეგვრის სიმძიმე შემსუბუქებულ იქნეს, I და II კლასის პირთათვის დატოვებულ მემკვიდრეობაზე ხარკის $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{4}$ არ აიღება, თუ ერთიდაიგივე ქონება უკანასკნელი 5 და 10 წლის განმავლობაში ერთიდაიმავე სახარკო კლასის პირების მიერ მემკვიდრეობით არის მიღებული და ხარკგადახდილი.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი.—სამემკვიდრო უფლება, რომელიც რ. ს. ფ. ს. რ.—ში გაუქმებულ იქნა 1918 წ. 27 აპრილის დეკრეტით, ისევ იქნა ნაწილობრივ ადღგენილი 1922 წ. 11 ნოემბრის დეკრეტით (1923 წ. 1 იანვრიდან; ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში—1924 წ. 1 აპრილიდან); სამემკვიდრო დასატოვებელი ქონების ღირებულება 10.000 მანეთით განისაზღვრა, ხოლო ამაზე მეტად ღირებული—სახელმწიფოს ხელში უნდა გადასულიყო; სამემკვიდრო ხარკი (ანუ „საფასური“, როგორც მას შეუფერებლად უწოდებდნენ) შეიცავდა პროგრესიულ განაკვეთებს—1%—დან 50%/—მდე და აიღებოდა ცალკე მემკვიდრეთა თითოეულ სამემკვიდრო წილიდან. 1926 წ. 29 იანვრის საკავშირო დადგენილებით, მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის მიერ დაწესებული შეზღუდვა მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალი ქონების ოდენობისა გაუქმებულ იქნა 1926 წ. 1 მარტიდან და ამავე დროიდან ძალაში შევიდა დებულება მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალი ქონების ხარკის შესახებ.

1. მემკვიდრეობის წესით გარდამავალი ქონების ხარკი ეხება იმ სამემკვიდრო ქონებას, რომელიც ახალ მფლობელზე გადადის კანონის ძალით ან ანდერძით და ვრცელდება უცხოელ მოქალაქეთა კუთვნილ ქონებაზეც, რო-

დესაც ეს კავშირის ფარგლებში მდებარეობს და მემკვიდრეობით უცხოელ ან ს. ს. რ. კ.-ის მოქალაქეზე გადადის, უკეთუ—ამის შესახებ სხვაგვარი წესი არაა გათვალისწინებული სათანადო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებით. მემკვიდრეობის მიღება კანონის საფუძველზე, აგრეთვე ანდერძით, შეუძლიათ გარდაცვალებულის მხოლოდ პირდაპირ შთამომავალთ (შვილებს, შვილიშვილებს და შვილიშვილის შვილებს), აგრეთვე გარდაცვალებულის ცოცხალ მეუღლეს და იმ პირებს, რომელნიც უქონელნი და შრომის უნარს მოკლებულნი არიან და ფაქტიურად გარდაცვალებულს სრულს ხარჯზე ცხოვრობდნენ. როდესაც გარდაცვალებულს მხრივ ანდერძი (ნოტარიალური) არაა დატოვებული, ყველა ამ პირთ თანასწორი წილი აქვთ სამემკვიდრო ქონებაში. ხარკისგან თავისუფალია სამემკვიდრო ქონება, რომლის ღირებულება 1000 მან. არ აღემატება.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს სამემკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულება მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის. დასაბეგრ სამემკვიდრო ქონებაში არ ჩაითვლება: საოჯახო ავეჯი და საგნები, გადასული იმ პირებზე, რომელნიც მემკვიდრეობის დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდნენ, გარდა—უფუფუნების საგანთა; სადასახლვევო თანხა, რომელიც გაცემული უნდა იქნეს პირადი დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე; ავტორისა და პატენტის მფლობელ პირთა მემკვიდრეობის საფუძველზე გადასული საავტორო უფლება და გამოგონების პატენტი; მემკვიდრეობის დამტოვებლის ანაბარები შრომის შემნახველ საღაროებში. სამემკვიდრო ქონების ღირებულებიდან გამორიცხება: ა) მუსო-მოსამსახურეთათვის მისაცემი სანუშოო ხელფასი და დავალიანება სოციალური დაზღვევისათვის; ბ) ჯილდო სექიმო დახმარებისა და მოვლისათვის, რაც საქირო იყო მემკვიდრეობის დამტოვებელი პირის გარდაცვალების წინადროინდელი ავათმყოფობის გამო; გ) მემკვიდრეობის დამტოვებლის დამარხვის ხარჯები; დ) მემკვიდრეობის დამტოვებლის გადასახდელი ხარკის თანხა და ე) მისი ვალი (გარდა მემკვიდრეობისაღმი ვალისა), საბუთებით (თამასუქით, სავაქრო დავთრებით და სხვ.) დადასტურებული ან სასამართლოს წესით დადგენილი.

სახარკო განაკვეთი, დაწესებული მთელი მემკვიდრეობისათვის, მემკვიდრეთა რიცხვის მიუხედავად, შეადგენს:

1000 მან.-დან 2000 მან.-დე	1%	(= 20 მ.)
შემდეგი 4000 მან.-თვის (ე. ი. 6000 მ.-დე)	5 „ +	20 მ. (= 220 მ. ანუ 3,6%)
„ 4000 „ („ 10.000 „)	8 „ +	220 „ (= 540 „ „ 5,4 „)
„ 30.000 „ („ 40.000 „)	10 „ +	540 „ (= 3540 „ „ 8,8 „)
„ 60.000 „ („ 100.000 „)	25 „ +	3540 „ (= 18.540 „ „ 18,5 „)
„ 100.000 „ („ 200.000 „)	40 „ +	18.540 „ (= 58.540 „ „ 29,2 „)
„ 300.000 „ („ 500.000 „)	60 „ +	58.540 „ (= 238.540 „ „ 47,7 „)
500.000 მან.-ზე მეტი თანხისთვის	90 „ +	238.540 „

ხარკის შეწერისა და გადახდისათვის შემდეგი წესია: მემკვიდრეები, რომელნიც სამემკვიდრო ქონებას დებულობენ, ვალდებული არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან მემკვიდრეობის მიღებისა, სათანადო საფინანსო ორგანოში (საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო საფინანსო განყოფილებაში) წარადგინონ წერილობითი განცხადება სამემკვიდრო ქონების შესახებ, ამ ქონების შემაღწელობისა და ღირებულების აღნიშვნით. საფინანსო ორგანოს მიერ ხარკის აღდგენლობის გამოანგარიშების შემდეგ, გადამხდელთ ცნობა ეგზავნებათ, რის შემდეგაც ყუთი თვის განმავლობაში მემკვიდრეები ვალდებული არიან ხარკი სრულად გადაიხადონ, პროპორციულად მათი ხვედრისა სამემკვიდრო ქონებაში.

2. ჩუქების წესით გარდამავალი ქონების ხარკი ეხება ჩუქების წესით გადასულ მთელ ქონებას, დასაჩუქრებულ პირთა რიცხვის მიუხედავად. ხარკვალდებულება ის პირი, რომელიც საჩუქარსღებულს. ხარკისგან თავისუფალია: ჩუქების აქტით გადასული ქონება 1000 მანეთზე მცირე ღირებულებისა, აგრეთვე შეწირულება—სახელმწიფოსა და საქველმოქმედო, სასკოლო, სასწავლო, სამეცნიერო და სხვ., საგანგებო ნუსხაში შეტანილ, დაწესებულება-ორგანიზაციათა სასარგებლოდ.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ქონების ღირებულება ჩუქების აქტის შესრულების დროისათვის. ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება ვალი და გადასახდელი ხარკები.

სახარკო განაკვეთი შეადგენს მემკვიდრეობის წესით გარდამავალი ქონებისათვის დადგენილი სახარკო განაკვეთის (იხ. ზევით) ნახევარს.

ხარკის შეწერა-გადახდისათვის აქაც იგივე წესია, რაც სამემკვიდრო ხარკისთვის.

სამემკვიდრო და ჩუქების ხარკის გამოსავლიდან, ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე, ადგილობრივ საბჭოებს ეძლევათ ანარიცხი—50%.

ხარკის შემოსავალი შეადგენდა მთელს კავშირში: 1925/26 წ. 260 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 0,010%-ს, 1926/27 წ. ნავარაუდები იყო შემოსავლად 592 ათასი მ. ანუ 0,010% (წინა წელთან შედარებით—2270%), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდებია 967 ათასი მ. ანუ—0,10% (წინა წელთან შედარებით—163,30%); ა/კ. ფედერაციაში შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ. 27 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 0,10%-ს, 1925/26—38 ათას მ. ანუ 0,10%-ს (წინა წელთან შედარებით—140,70%-ს), 1926/27 წ.—72 ათას მ. ანუ 0,10%-ს (1924/25 წ. შედარებით—266%-ს) და 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდებია 110 ათასი მ. ანუ—0,10% (წინა წელთან შედარებით—152,70%); კერძოდ საქართველოში შემოსავალი შეადგენდა: 1924/25 წ. 13 ათას მ. ანუ—0,20%-ს, 1925/26 წ.—5 ათას მ. ანუ 0,05%-ს (წინა წელთან შედარებით—38,40%-ს), ხოლო 1926/27 წ.—12 ათას მ. ანუ—0,09%-ს (1924/25 წ. შედარებით—92,30%-ს) და 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდებია 16 ათასი მ.

6. მოხმარების ხარკები.

§ 57. ცნება და დანაწილება.—მოხმარების ხარკები, რომელთაც წინად ხშირად აქციზებს უწოდებდენ, ისეთი ხარკებია, რომელთაც ხარკკუთვნილი საგნების მომხმარებელი პირები იბეგრებიან.

მოხმარების ხარკის დაწესებისას კანონმდებლის განზრახვაა მოხმარების დაბეგვრის გზით მომხმარებლის შემოსავალი დაბეგროს. მოხმარება მიიჩნევა გამოხატულებად მომხმარებლის გადამხდელობითი უნარისა, რომლის შესახებ იგულისხმება, რომ იგი შეეფარდება შემოსავლის ოდენობას. მოხმარების ხარკი წარმოადგენს, მაშასადამე, შემოსავლის დაბეგვრის მხოლოდ სხვა ფორმას; ხარკის წყარო შემოსავალია.

მოხმარების ხარკებს სახელი ეძლევა უმთავრესად დაბეგრული საგნების მიხედვით,— მაგ., მარილის, ლუდის, თამბაქოს, ასანთის ხარკი და სხვ., ანდა შეწერის ტენიკის მიხედვით,— მაგ., ფაბრიკატის, ქვაბის, ალაოს ჩანახის ხარკი და სხვ.. მაგრამ არის ისეთი მოხმარების ხარკიც, რომელიც საქონელთა და ფულადი ფასეულობის მქონე სამსახურის მთელ მიმოქცევას ეხება, როგორც არის, მაგ., ბრუნვის ხარკი გერმანიის იმპერიაში.

1. აკრეფის სახის მიხედვით მოხმარების ხარკები უმთავრესად არაპირდაპირ ხარკებს მიეკუთვნება. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აიღება უშუალოდ ხარკუთვნილი საგნის მომხმარებლისგან. ტენიკურად შეუძლებელია ხარკის გადახდევინება ცალკე თითოეული მოხმარების აქტისათვის— ლუდის სმისა, თამბაქოს მოწვევისა, მარილის ან შაქრის მოხმარებისათვის. ამიტომ საგანი იქ იბეგრება, სადაც ის ბლომად მოიპოვება და ნამდვილ მოხმარებელთან ჯერ კიდევ არ მიუღწევია,— ე. ი. მწარმოებლებსა და ვაჭრობთან. ეს უკანასკნელნი ხარკს სახელმწიფოს ავანსად უხდიან, შემდეგ მას საქონლის ფასში ჩარიცხავენ და, ამრიგად, მომხმარებლებს გადააკისრებენ (იხ. §5 60 და 75). უშუალოდ (პირდაპირ) მომხმარებლისგან ხარკის აღება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი მოხმარებისათვის, რომელიც ძნელად დასამალავია ან რომელსაც ხანგრძლივობა აქვს, როგორც, მაგ., ბინაში ცხოვრება, შინა-მოსამსახურის ყოლა, ავტომობილის, ძვირფასი ჭურჭლეულობის ფლობა და სხვ..

2. მოხმარების ხარკის დაწესება შესაძლებელია როგორც სახელმწიფოს შიგნით დამზადებულ საგნებზე, ისე უცხოეთიდან შემოტანილზედაც. უკანასკნელ შემთხვევაში მას ეწოდება ბაჟი, ხოლო პირველში— შინაგანი მოხმარების ხარკი (აქციზი). ხანდახან იმგვარადაც ხდება, რომ უცხოეთის საგნები, ბაჟს გარდა, აქციზითაც იბეგრება.

3. ხარკის აკრეფის მეთოდები მეტად სხვადასხვაგვარია, რაც სრულიად ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ დაბეგრულ ობიექტთა სხვადასხვაობას. არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, დაბეგვრას მონოპოლიის საშუალებით აწარმოებს სახელმწიფო, თუ— ობიექტებს თავისუფალ ბრუნვაში ბეგრავს.

ა) მონოპოლიის (საფინანსო, სახარკო მონოპოლიის) არსებობისას მხოლოდ სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული საგნების (მარილის, თამბაქოს, არაყის და სხვ.) დამზადების ან ვაჭრობის უფლება, ანდა ორივე ერთად, ე. ი. დამზადებისა და ვაჭრობისა, მეტოქეობის (კონკურენციის) არ არსებობა შესაძლებლობას აძლევს

მას, მონოპოლიური საგნების ფასი მხოლოდ საფინანსო საჭიროების მიხედვით დააწესოს. მონოპოლია შესაძლებელია გავრცელდეს ნედლი მასალის დამზადებაზე (ნედლეულის მონოპოლია), ან ნედლი მასალის გადამუშავებაზე (წარმოების მონოპოლია), ან ნედლეულითა და ფაბრიკატით ვაჭრობაზე (სავაჭრო მონოპოლია), ანდა ყველა ამათზე. სრულ მონოპოლიას უწოდებენ იმ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფოს აქვს თავისთვის აღებული როგორც საგნის დამზადება, ისე ვაჭრობაც. მონოპოლიის აღებას სახელმწიფო ირჩევს ან იმიტომ, რომ სათანადო პროდუქტის წარმოების ადგილი ძველი დროიდანვე სახელმწიფოს ხელში იყო (მაგ., მარილის), ანდა იმიტომ, რომ მონოპოლიის გზით სახელმწიფო დაბეგრილ საგანთა კონტროლის უკეთესად გატარებასა და დაბეგვრის გამოსავლიანობის გადიდებას მოეღოს.

კანონმდებლობა და სახარკო იურისპრუდენცია საფინანსო მონოპოლიის სთვლის არა სახედ დაბეგვრისა, არამედ—მომგებიან სარეწაოდ და მონოპოლიურ პროდუქტთა ფასი მიაჩნია ჩვეულებრივ ფასად და არა სახარკო ფასად. ეს აზრი ნაწილობრივ სწორია იმ მხრივ, რომ ფისკალური მონოპოლიის მოგებაში მოიპოება მესარეწის მოგებაც, რომელსაც კერძო მესარეწეც მიიღებდა წარმოებით. მაგრამ სახელმწიფო აქ ამით არ კმაყოფილობა,—მას მეტი შემოსავლის მიღება უნდა, ვიდრე ჩვეულებრივ მესარეწის მოგებას შეეფერება. ამ მიზნისთვის იღებს იგი მონოპოლიას. და მეტი შემოსავლის მიღებას იგი იმით აღწევს, რომ იძულების გზით კერძო წარმოების შესაძლებლობას სვობს და, ვითარცა ერთადერთი დამაკმაყოფილებელი მოთხოვნისა, ფასებს ისე აწესებს, როგორც ეს შემოსავლის მიღების საჭიროებას შეეფერება. საქმიანობა აქ არსებითად იმგვარივეა, როგორც დაბეგვრისას: იძულებითი ძალის გამოყენება შემოსავლის მისაღებად. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სახელმწიფო ნაცვლად იმისა, რომ მესარეწენი აიძულოს პროდუქტთა ფასიდან ხარკი გადაიხადონ, თვით აძლევს მონოპოლიის სამმართველოს განკარგულებას იმის შესახებ, თუ რა ფასად უნდა გაიყიდოს საქონელი, რათა მიღებულ იქნეს საჭირო ზომის შემოსავალი. რომ მონოპოლიურ ფასში სახარკო წილიც არის, ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს მაშინ, როდესაც ზოგიერთ მონოპოლიურ საგანთა წარმოება და გასაღება მონოპოლიის შესახები კანონის მიხედვით კერძო მრეწველობას აქვს გადაცემული. ამ შემთხვევაში ამ საგნებზე გადასახადია დაწესებული, რასაც კანონი სწორედ ასე უწოდებს. მაგ., გერმანიის არაყის მონოპოლიის კანონი ანთავისუფლებს პური-

სა და ხილის არაყის გამომხდელთ მათი ნაწარმოების სამონოპოლიო მართველობისთვის ჩაბარების მოვალეობისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ავალებს მათ „არაყის ზედნართის“ ე. ი. ხარკის გადახდას, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ორ ფასს შორის: იმ ფასსა, რომელსაც მონოპოლიის სამმართველო აძლევს მისთვის არაყის ჩამბარებელთ, და იმ ფასს შორის, რომელიც მას აქვს არაყის გასაყიდ ფასად დაწესებული. ამით,—თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ საგნის არსს და არა მარტო ფორმას,—საყვებით მტკიცდება, რომ მონოპოლია მხოლოდ ერთ-ერთი სახეა ხარკის აკრეფისა.

ბ) და ბ ე გ ვ რ ი ს არსებობისას ვიწრო მნიშვნელობით, როდესაც წარმოება და ვაჭრობა თავისთავად თავისუფალია ან მხოლოდ იმდენად არის შეზღუდული, რამდენადაც ეს ხარკის აკრეფის უზრუნველსაყოფადაა საჭირო, და ბ ე გ ვ რ ა დაკავშირებულია წარმოებასთან, ან საქონელთა მიმოქცევასთან ანდა განხორციელება გარდაკვეთილი (სააბონემენტო) და სალიცენზიო გამოსაღების გზით. ხანდახან სხვადასხვა სახე და ბ ე გ ვ რ ისა ერთიმეორესთანაა დაკავშირებული, რათა უზრუნველყოფილ და გაღიღებულ იქნეს ხარკის გამოსავლიანობა.

წარმოების ხარკი შესაძლებელია ხარკუთენილ საგანს წარმოების სხვადასხვა სტადიაში დაედვას. ის იქნება ნედლი მასალის ხარკი, როდესაც გადასამუშავებელი ნედლი მასალა არის აღებული ხარკის საზომ საფუძვლად, როგორც, მაგ., ალაო და ნედლი თამბაქო—ლუდისა და თამბაქოს ნაწარმოების ხარკისათვის. აპარატის ხარკის სახე აქვს მას, როდესაც ისეთ ნიშნეულობათა მიხედვით განიზომება, რომელნიც წარმოების ტექნიკურ პროცესიდან გამომდინარეობენ; აქ განსაზღვრული საწარმოო აპარატის და ჭურჭლის წარმოებითი გამოსავლიანობისა და ტევადობის საფუძველზე,—მაგ., ალაოს ჩანახისა და არაყის სახდელი ქვების სიდიდის მიხედვით, აგრეთვე წარმოების ხანგრძლივობის საფუძველზე,—დასკვნა კეთდება ნაწარმოებთა რაოდენობისა და, გამოყენებული მასალის გათვალისწინებით, ღირსების შესახებ. ნახევარ ფაბრიკატის ხარკს წარმოადგენს ის მაშინ, როდესაც წარმოების შუა სტადიასთანაა დაკავშირებული,—განიზომება, მაგ., ლუდის ტკბილის რაოდენობისა და შეცულობის მიხედვით. დასასრულ. ფაბრიკატის ხარკი ეწოდება, როდესაც მზა ნაწარმოების რაოდენობისა და ღირსების მიხედვით არის გადასახდელი.

მომხარების სამიმოქცევო ხარკი ხან ტრანსპორტისა და ხან ვაჭრობის აქტთან არის დაკავშირებული. ტრანსპორტის

ხარკი აიღება საქონლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასახდის დროს,—სახელდობრ, ვითარცა საჭიშკრო გადასახადი (Oct-
rois) შემოფარგულულ ერთეულებად გამოცხადებულ ადგილებში (უმ-
თავრესად ქალაქებში) შეტანისას, ან ვითარცა გაგზავნის ხარკი,
როდესაც ხარკი გაგზავნის მომენტშია გადასახდელი, ანდა ვითარცა
საწყობის ხარკი, რომელიც გადაიხდება, როდესაც საქონელი საწყო-
ბში მიიტანება. ვაჭრობის ხარკი ვიწრო მნიშვნელობით ისე-
თი ხარკია, რომელიც საქონლის გაყიდვის დროს გადაიხდება,—სა-
ხელდობრ, ან ვითარცა საბითუმო ვაჭრობის ხარკი, ბითუმად მოვა-
ჭრეთაგან, ანდა ვითარცა წვრილი ვაჭრობის ხარკი, წვრილად მო-
ვაჭრეთაგან.

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს დამზადებულ ან
დასამზადებელ საგანთა რაოდენობა, ხშირად ღირსების მიხედვით ხა-
რისხებად დანაწილებული, ან, როგორც ამას უკანასკნელ ხანებში მრავ-
ალი ხარკისთვის აქვს ადგილი, ამ საგანთა ფასეულობა ან გასაყი-
დი ფასი. მხოლოდ ამ უკანასკნელი სახის—ფასეულობის
თუ ფასის ხარკი ეგუება (ვალებად ფასებს ფულის ფასეუ-
ლობის დაცემის ხანაში და იფარავს ხაზინას შემოსავლის დანაკლი-
ნისაგან.

გარდაკვეთილ გადასახადს (აბონემენტს), მტკიცე ტა-
რიფის ანდა სახარკო მართველობასთან წინასწარი შეთანხმების სა-
ფუძველზე, ახდენენენ ზოგიერთ მწარმოებლებსა და ვაჭრებს სპე-
ციალურად გამოანგარიშებულ მოხმარების ხარკთა სამაგიეროდ.
ასეთ გადახდას ადგილი აქვს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში,
როდესაც ჩვეულებრივი წესი მოხმარების ხარკთა გადახდევინებისა
ძვირად დაჯდებოდა და შემავიწროებელიც იქნებოდა,—სახელდობრ
წვირლ მწარმოებელთა და მოვაჭრეთათვის.

დასასრულ, ლიცენზია ისეთი გადასახადია, რომელიც ყო-
ველწლიურად გადაიხდება განსაზღვრულ საგანთა წარმოებისა ან ამ
საგნებით ვაჭრობის უფლების მიღებისათვის, —უპირველეს ყოვლისა
ალკოჰოლიან სასმელებისათვის. ხშირად მას ადგილი აქვს ამა თუ იმ
სახის ნამდვილ ხარკთან ერთად. ლიცენზია მოხმარების ხარკს წარ-
მოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გადახდელი მოა-
ხერხებს მის გადაკისრებას მოხმარებელზე; წინააღმდეგ შემთხვევა-
ში იგი ვაჭრობა-მრეწველობის სპეციალ ხარკს წარმოადგენს.

4. სხვაგვარ დანაწილებას მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ
დაბევრილ საგანთა ადგილს მოთხოვნილებათა დაკმა-
ყოფილების სფეროში. მაშინ ეს ხარკები შეიძლება დაიყოს

ხარკებად აზრსებობისთვის აუცილებლად საჭარო საგნებისა, როგორცაა, მაგ., ფქვილი, ხორცი, მარილი, ასანთი, ჩვეულებრივი ტანსაცმელი და სხვ., შემდეგ—ხარკებად არააუცილებლად საჭირო, მაგრამ მაინც საერთო მოხმარების საგნებისა, როგორცაა ალკოჰოლის სასმელები და თამბაქო; დასასრულს,—ხარკებად ისეთ საგანთა, რომელთა მოხმარება დიდი შემოსავლის მომასწავებელია და მეტნაკლებად ფუფუნების მოხმარებას მიეკუთვნება, როგორც, მაგ., ავტომობილი, ოქრო-ვერცხლის ნივთები, სამკაულები, კონცერტებსა და თეატრებში სიარული, შინამოსამსახურეების ყოლა და სხვ.. ამ დანაწილებას თვალსაჩინო სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რასაც შემდეგ პარაგრაფში დავინახავთ.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი :

ა. აქციზების (მოხმარების ხარკების) და საგანგებო საპატენტო გამოსაღებთა აკრეფისათვის შემდეგი საერთო წესებია დადგენილი (საკავშირო თინანსთა სახ. კომ. 1928 წ. 26 იანვ. დადგენ.):

აქციზების და საგანგებო საპატენტო გამოსაღებთა აკრეფას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკავშირო თინანსთა სახალხო კომისარიატი, ხოლო ამ აკრეფის ორგანიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის თინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება. აქციზის გადახდელ სარეწაოთა წარმოებისა და აქციზკუთვნილ საგანთა შენახვაზე,—აგრეთვე აქციზის და საპატენტო გამოსაღების გადახდაზე მეთვალყურეობას ეწევა არაპირდაპირ ხარკთა ინსპექცია, სარეწაოთა და საწყობთა შემოწმების საშუალებით.

აქციზკუთვნილ საგანთა მწარმოებელი ან გადაამუშავებელი სარეწაოები, მოწყობილი საგანგებო წესების თანახმად, რეგისტრაციაში უნდა იქნენ გატარებული არაპირდაპირ ხარკთა ინსპექტორთან, რომელსაც უნდა წარედგინოს ცნობები სარეწაოს მფლობელის, ადგილმდებარეობის, წლიური წარმოების და სხვ. შესახებ. სარეწაო ვალდებულია იქონიოს აქციზკუთვნილ საგანთა რაოდენობისა და ღირსების გამოსაცნობად ყველა აუცილებელი მოწყობილობა—აპარატები, როგორცაა: სასწორი, ტევადობის და სიგრძის საზომი და სხვ.. როდენაც სარეწაო ერთი მებატრონიდან მეორის ხელში გადადის, იჯარით გაიცემა ან დაიხურება,—სარეწაოს ადმინისტრაცია მოვალეა ამის შესახებ არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციას აცნობოს.

ზოგ შემდგენევაში აქციზკუთვნილ მრეწველობის დარგთა სარეწაოებს უფლება აქვთ გახსნან ისეთი საბაზისო საწყობები, რომლებზეც გადარიცხება აქციზი გადასახდელად. საბაზისო საწყობის გახსნისას შემდეგი წესი უნდა იქნეს დატული: როდესაც სარეწაო და მის მიერ გასახსნელად განზრახული საბაზისო საწყობი სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება,—ნებართვას იძლევა საკავშირო თინანსთა სახალხო კომისარიატი (მრეწველობის ზოგიერთ დარგებისათვის ს. მ. უ. ს.-სა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით); ხოლო თუ ერთიდაიმავე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება,—ნებართვას იძლევა—მოკავშირე რესპუბლიკის თინანსთა სახ. კომისარიატი.

აქტიუკუთენილ საგანთა გამოშვება წარმოების და შენახვის ადგილებიდან შეიძლება მხოლოდ პარტიობით, წონით, ტევადობის მიხედვით ან რიცხვით, არა ნაკლებ მომქმედ წესებსა და ინსტრუქციებში გათვალისწინებული რაოდენობისა. აქტიუკუთენილ საგანთა თითოეულ პარტიას, წარმოების ადგილიდან და სახაზისო ან მის სანაცვლო საბითუმო საწყობიდან გამოშვებისას, თან უნდა ჰქონდეს დართული სათანადო საბუთი; ბანდეროლკუთენილი საგნები კი ბანდეროლ შემოხვეული უნდა იქნეს.

აქტივი იმ პროდუქტსა და ნაწარმოებზე, რომელიც გამოშვებულია წარმოების ან შენახვის ადგილიდან, გადაიხდება მეპატრონის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მისგან კუთვნილი აქტივის თავის დროზე და სრულად შეტანისათვის. წარმოების ან შენახვის ადგილებიდან გამოშვებისას, აქტიუკუთენილი საგნები გასაქვალში ჩამოიწერება (სააღრიცხვო დავთრებით) და აქტივის დარიცხვა მოხდება დადგენილი განაკვეთებისა და იმ საზომი ერთეულის თანახმად, რომელიც აქტიუკუთენილ სამრეწველო დარგშია მიღებული. უცხოეთიდან შემოტანილ საგნებს აქტივი დაერიცხება საბაჟოში. აქტივი შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, რომელნიც სახაზინო ფუნქციებს ასრულებენ, სახელმწიფო ბანკთან არსებულ სახაზინო ნაწილებში და თინ. სახ. კომისარიატის სალაროებში; გადამხდელის მიერ გაცხადების შეტანით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, თუ ვინ იხდის, რა საგნებისათვის იხდის და რომელ სარეწაოდან ან შენახვის ადგილიდან არის გამოშვებული ეს საგნები. აქტივი შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე იმ საბაჟოში, რომელშიც გაივლის აქტიუკუთენილი საგანი.

აქტივი, რომელიც სააღრიცხვო დავთრებით სარეწაოზე ირიცხება, შეღავათიანი ვადის განმავლობაში თავისუფალია გადახდევინების იძულებითი ზომებისგან. ამ ვადის გასვლისას კი აქტივი ნარჩენად ჩაირიცხება და საურავის და სარგებლის დარიცხვით იძულებით გადაიადევინება. ნარჩენთა მოხსნას, გადამხდელთა შუამდგომლობის თანახმად და იმ მიზეზით, რომ მათ მთლად ან ნაწილობრივ დაჰკარგეს გადამხდელობითი უნარი, — აწარმოებს საკუთშინო ფინანსთა სახ. კომისარიატი.

აქტიუკუთენილ საგანთა წარმოებისა და შენახვის ადგილნი ვალდებული არიან; დადგენილი ფორმების თანახმად, ანგარიშგება აწარმოონ პროდუქტთა წარმოების და გამოშვების აღრიცხვისა და აქტივის გადახდის შესახებ, ხოლო იმ წარმოებებში, რომელთა პროდუქტია ბანდეროლკუთენილია, აგრეთვე — ბანდეროლის აღრიცხვის შესახებ.

საგანგებო საპატენტო გამოსადებით იბეგრება: 1) მაგარი სასმელების და 2) თამბაქოს და თამბაქოს ნაწარმოების საბითუმო, საბითუმ-საცალო და საცალო სავაჭროები. საპატენტო გამოსადები დაწესებულია ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით (საგანგებო საპატენტო გამოსადების განაკვეთი და სარეწაოთა ტიპები ამიერ-კავკასიისთვის საგანგებო ნუსხების თანახმადაა დადგენილი იხ. § 62-ის მე-2, მე-3 და მე-4 შენ.). საგანგებო საპატენტო გამოსადებზე დაწესებულია დანარიცხი: (იხ. § 62-ის მე-2, მე-3 და მე-4 შენ. და § 63-ის შენ. 1) წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ (25% — სასმელების პატენტისათვის და 10% — თამბაქოს პატენტისათვის), რომლის აკრეფის და მოხმარების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი იმავე რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით; 2) ადგილობრივ სახაროთა გასაძლიერებლად: იმ ზომით, რომელსაც ადგილობრივი საბჭო დაადგენს ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე.

აქციზკუთენილ-საგანთა წარმოების, შენახვის და ვაჭრობის ადგილზე ზედამხედველობა დაკისრებული აქვს საგუბერნიო (სამაზრო და სხვა) საფინანსო განყოფილებებს და ხორციელდება არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტების მეშვეობით. არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციას ევალება, ერთხელ მაინც თვეში, უცარი რევიზია მოახდინოს აქციზკუთენილი სარეწაოების და აქციზკუთენილ საგანთა შენახვის ადგილებისა; მის მიერ შემოწმებული უნდა იქნეს საბუთების შედგენის და გაცემის, ჩანაწერთა და აქციზის დროზე შეტანის სისწორე, აგრეთვე—დაცულია თუ არა აქციზკუთენილ საგანთა წარმოებისა, შენახვისა, შეფუთვისა და გამოშვებისათვის დადგენილი წესები. გარდა კერძო (პერიოდული) რევიზიისა, არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციას აგენტებს ევალებათ საერთო (გენერალური) რევიზიის მოხდენა. ვაჭრობის ადგილებში ინსპექციის წარმომადგენლები ამოწმებენ როგორც საგანგებო და სარეწაო პატენტების აღების სისწორეს, აგრეთვე—საეტიკეტო ფასების დაცვას, აქციზკუთენილ საგანთა წარმოების კანონიერებას და სხვ.

ბანდეროლის შემოხვევა სავალდებულოა შემდეგი აქციზკუთენილი საგნებისათვის: ყურძნის და ქიწმის ღვინოებისა (1928 წ. 1 ივლისიდან აქციზი უქმდება), სანთლისა და თამბაქოს ნაწარმოებთა, ჩაის, პაპიროსის პილზისა და საფუარისათვის, აგრეთვე—მაგარი სასმელებ-სათვის, რომელიც გაიტანება იმ რაიონიდან, სადაც მათზე დაკლებული სააქციზო განაკვეთებია დაწესებული. ბანდეროლის შემოხვევა აქციზკუთენილ საგნებზე იმგვარად ხდება, რომ შეფუთული საგნის გახსნა, ბანდეროლის გაუხველად, შეუძლებელი იყოს.

სააქციზო წესების დარღვევისათვის მეთვალყურეობა არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტებს ევალება, რომელნიც დამნაშავეებს, მათ პასუხისგებაში მისაცემად, ოქმებს შეუდგენენ. სააქციზო დადგენილებათა დამრღვევი პირების წინააღმდეგ სასამართლოს საშუალებით საქმის აღძვრის წესები გათვალისწინებულია შოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში.

აქციზების საერთო შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. 240.646 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 10,50%-ს, 1924/25 წ.—507.806 ათას მ. ანუ—17,30%-ს (წინა წელთან შედარებით—211,20%-ს), 1925/26 წ.—826.242 ათას მ. ანუ 21,30%-ს (წინა წელთან შედარებით—162,50%-ს); 1926/27 წლის ბიუჯეტით ნავარაუდევია იყო 1.196.950 ათასი მ. ანუ—23,80% (წინა წელთან შედარებით—144,70%), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევია—1.386.000 ათასი მ. ანუ—23,00% (წინა წელთან შედარებით—115,80%).

ბ. ს. ს. რ. კავშირში შემდეგი სახელმწიფო ფისკალური მონოპოლიები, არის დაწესებული:

1. სათამაშო ქაღალდის მონოპოლია, შემოდებული 1924 წ. 1 აგვისტოს კანონით (1926 წ. 17 დეკემბრის კანონის დამატებით). მონოპოლია ვრცელდება ყოველგვარი სათამაშო ქაღალდის წარმოებაზე, ხოლო უცხოეთიდან მისი შემოტანა, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვის გარეშე, აკრძალულია. 1925/26 საბიუჯეტო წლიდან მონოპოლიის შემოსავალი ბ. ს. რ. კ.-ის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში ტარდება შემდეგი წესით: 50%-საერთო საკავშირო, 30%-რუსეთის, 9%-უკრაინის, 4%-ამიერკავკასიის, 2,50%-ბელორუსიის, 2,50%-უზბეკისტანის და 20%-თურქმენისტანის ბიუჯეტებით. მოკავშირე რესპუბლიკის შემოსავლად დანიშნული თანხები მიიქცევა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სპეციალ ფონდში დედობისა და ბავშვობის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საქმეებისათვის სათამაშო ქაღალდის ფასზე დაწესებულია (1926 წ. 13 აგვ. კანონით) მიზნობრივი დანართი ერთ დასტა „ატლასისაზე“—25 კაპ., I ხარისხისაზე—20 კაპ. და II ხარისხისაზე—10 კაპ..

2. ოპიუმის მონოპოლია (1927 წ. 28 მარტის კანონი) ენება ხაშხაშის თესვას და ოპიუმის წარმოებას. კანონის თანახმად, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატთან და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, აწესებს ყოველწლიურად როგორც შინაური მოხმარების, ისე ექსპორტისათვის საჭირო რაოდენობას საექიმო ოპიუმისას და ხაშხაშის ნათესა სივრცეს. ნათესების სივრცის აღნუსხვას აწარმოებს „ოპიუმის აკრეფის და გადამუშავების სააქციო საზოგადოება“, რომელსაც განაცხადი უნდა წარედგინოს ხაშხაშის დათესვის შესახებ. ნედლი ოპიუმის ფასს ყოველწლიურად აწესებს, თესვის დაწყებამდე არა ნაკლებ ერთი თვისა, ს. ს. რ. კ.-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

3. პლატინის მონოპოლია (1923 წ. 27 ივლისის კანონი). კავშირის ტერიტორიაზე მოპოვებული მთელი პლატინა გამოცხადებულია სახელმწიფოს მონოპოლიის საგნად და მხოლოდ სახელმწიფოს, საამისოდ რწმუნებულ ორგანოთა სახით, აქვს უფლება მისი შენახვის, ყიდვა-გაყიდვის, გადაზიდვ-გადმოზიდვის და უცხოეთში გატანისა. იმ სარწმუნოებსა და პირთ, რომელნიც პლატინის მოპოვებას აწარმოებენ, პლატინის შენახვის და გადაზიდვის უფლება აქვთ საგანგებო წესების დაცვით. სამეცნიერო მიზნისათვის პლატინის მიღება შეიძლება თინანსთა სახალხო კომისარიატიდან, სათანადო მოწმობის საფუძველზე. პლატინის მონოპოლიის განხორციელება მოპოვების, გაწმენდის, შედნობის და სინჯის მხრივ დაკისრებული აქვს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხოლო პლატინის შესყიდვისა და რეალიზაციის მხრივ—თანანსთა სახალხო კომისარიატს.

4. ზურმუხტის მონოპოლია (1923 წ. 24 ნოემბრის კანონი) ენება ზურმუხტის ნედლეულის მოპოვებას და კრძალავს კავშირის ფარგლებში როგორც დაუმუშავებელი ზურმუხტის, ისე ზურმუხტის ნახევარფაბრიკატთა ზრუნვას. ზურმუხტის ნედლეულის მოპოვების უფლება კავშირის მთელ ტერიტორიაზე მინიჭებული აქვს მხოლოდ სახელმწიფო ტრესტს „რუსეთის თვითფერები“ („Русские самоцветы“); მასვე აქვს ნებადართული აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები უცხოეთის ბაზარზე ნედლი და წახანგოვანი ზურმუხტის გატანისა.

5. ჰელიუმის მონოპოლია (1924 წ. 5 სექტემბრის კანონი) ენება ჰელიუმის შენახვას და გაცემას, ხოლო მოპოვება თავისუფალია. მთელი მოპოვებული ჰელიუმი უნდა გადაეცეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს; სამეცნიერო მიზნებისათვის ჰელიუმის გაცემა აქაც დაშვებულია.

6. რადიუმის მონოპოლია (შრომის და თავდაცვის საბჭოს 1923 წ. 1 მარტის დადგენილება) ვრცელდება რადიუმის მადნის მოპოვებასა და გადამუშავებაზე, რის უფლებაც მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აქვს მინიჭებული. მთელი მოპოვებული რადიუმი სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხება და ინახება საკავშირო სამეცნიერო აკადემიის რადიუმის ინსტიტუტში; ინსტიტუტს დავალებული აქვს აწარმოოს სწორი აღრიცხვა როგორც გადამუშავებული რადიუმისა, აგრეთვე—სხვადასხვა დაწესებულებათა და პირთა მფლობელობაში არსებული რადიუმისაც. რადიუმის განაწილება ხდება შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

7. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია (დაწესებული რ. ს. ფ. ს. რ.-ში 1918 წ. 22 აპრილის დეკრეტით, შემდეგში მრავალი ცვლილებით). საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას ანხორციელებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომლის ორგანოებს წარმოადგენენ: ა) კავშირის ფარგლებში—მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები, ბ) უცხოეთში—სავაჭრო წარმომადგენლები და გ) საიმპორტ-ექსპორტო ვაჭრობის საგანგებო დაწესებულებანი („სახელმწიფო ვაჭრობა“). ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმიანობა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარგში შემდეგში მდგომარეობს: დამუშავება და განხორციელება იმ ღონისძიებათა, რომელნიც მიმართული არიან უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის განსაჯითარებლად: კავშირის საქსპორტო და საიმპორტო გემების შედგენა და განხორციელება; საგარეო ვაჭრობის ცალკე დარგთა კონცესიით გაცემისა ან სააქციო საზოგადოებათათვის გადაცემის საკითხების დამუშავება; საგარეო ვაჭრობისათვის შერეულ და სხვა სახის საზოგადოება-დაწესებულებათა ორგანიზაცია; საქსპორტ-იმპორტო საქმიანობის მოწესრიგება იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პირთა, რომელნიც საგარეო ვაჭრობის ოპერაციებს აწარმოებენ; მეთვალყურეობა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ გამოცემულა დადგენილებებისა და წესების შესრულებაზე და სხვ..

ვაჭრობის კომისარიატთან ერთად საგარეო ვაჭრობის დამოუკიდებელი ოპერაციების წარმოების უფლება აქვს მინიჭებული აგრეთვე ზოგიერთ, მსხვილ სარეწაოს და გაერთიანებას (მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი, საფეიქრო სინდიკატი, აზნაუთი და სხვ.) განსაზღვრული ოპერაციების მხრივ. საგარეო ვაჭრობის შემოსავალი 1926/27 წ. ბიუჯეტით მთელს კავშირში ნავარაუდევია იყო 13.016 ათასი მან. ანუ მთელის შემოსავლის 0,40%.

8. სპორტის მონოპოლიის შესახებ იხ. § 62-ის მე-4 შენ...

§ 58. მოხმარების ხარკთა მნიშვნელობა და შეფასება.—1. მოხმარების ხარკების სათავე იწყება საზოგადოდ ხარკების დასაწყისიდანვე. მიუხედავად მრავალ მათ საწინააღმდეგო მოსაზრებათა, ნათხე ხელი ვერ აიღო ვერცერთმა სახელმწიფომ; მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგაც სახელმწიფოებმა უფრო მეტად მოჰკიდეს ხელი მათ გამოყენებას. მოხმარების ხარკებით იფარება სახელმწიფოთა სახარკო საჭიროების ნესამედიდან ნახევარი და კიდევ მეტიც. მთავარ საფუძვლად ამ მოვლენისა ის მოსაზრება მოიყვანება, რომ, უკეთეს სახელმწიფოში მარტო შემოსავლისა და ქონების ხარკების საშუალებით მოინდომებდენ სახარკო საჭიროების დაფარვას, სახარკო ტვირთი მეტად საგრძნობი გახდებოდა და გამოიწვევდა დაბეგვრის თავიდან აცილების შეუწყვეტელ ცდას ყოველგვარი საშუალებებით, მაშინ როდესაც მოხმარების ხარკები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა, მოხმარების მრავალ ცალკე აქტებთანაა დაკავშირებული და ჩვეულებრივ მცირე ოდენობებით გადაიხდება. რის გამოც გაცილებით ნაკლებ საგრძნობია.

2. ამ ხარკთა შეფასების დროს უპირველესად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი გავლენა ხარკის მზიდველზე. აუცილებელ საარსებო საგნების ხარკი უეჭველად უარსაყოფელია. რაც უფრო მცირეა შემოსავალი, მით უფრო შედარებით დიდი ნაწილი ამ შემოსავლისა სჭირდება საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაშასადამე, საარსებო საგნებზე დაწესებული ხარკი მით უფრო მძიმე ასატანია, რაც უფრო ნაკლებია შემოსავალი, ანუ, რაც იგივეა, ეს ხარკი იწვევს შედეგად საარსებო საგანთა მოხმარების შეკვეცას და მოკლებას. არასაჭირო (მოსათმენი) მოხმარების ხარკი თავისთავად არაა უარსაყოფი, მაგრამ, მაღალი განაკვეთებითაც, მცირე შემოსავალს იძლევა, ვინაიდან რიცხვი ფუფუნების საგანთა, რომელთა ნაყოფიერად დაბეგვრა შესაძლებელია, მცირეა და, გარდა ამისა, მათ მოხმარებაზე ხელის აღება ან მათ მაგივრად დაუბეგრავე საგნების მოხმარებაზე გადასვლა ადვილი არის. დიდ შემოსავალს იძლევა ყველგან ხარკები, დაწესებული საერთო მოხმარების, თუმცა არა აუცილებელი საჭიროების, საგნებზე, რომელთა მოხმარებას, მათი განსაკუთრებული თვისების გამო, მოსახლეობა მტკიცედ ადგას, როგორც, მაგ., ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოსას. საერთოდ კი განვითარება იქითკენ მიიმართება, რომ საარსებო საგნები თანდათან ხარკისგან განთავისუფლდეს. გამონაკლისი, როგორც, მაგ., ბრუნვის ხარკი გერმანიის იმპერიაში და ნახშირის ხარკი (ეხლა გაუქმებული) შეიძლება მხოლოდ უკიდურესი საფინანსო გაჭირვებით იქნეს გამართლებული. არსებითად მაინც მხოლოდ ისეთი საგნები იბეგრება, რომელთა მოხმარებაზე მომხმარებელს შეუძლია ხელის აღება, როდესაც ეს მისი შემოსავლისთვის აუტანელია. ეს კია, რომ რჩება მაინც გაუმართლებელი მდგომარეობა: მცირე შეძლების მქონებელმა კლასებმა დიდი დაბეგვრის გამო ხელი უნდა აიღონ ისეთ მოხმარებაზე, რომელიც ხელმისაწვდომია შეძლებულებისათვის. შემდეგ — ახალ კანონმდებლობას ემჩნევა მისწრაფება, რომ წინანდელი წესი მოხმარების ხარკთა დაწესებისა რაოდენობის მიხედვით შესცვალოს საფეხურებად დაყოფილი ფასეულობის მიხედვით დაწესებული ხარკებით, ანდა ნაწარმოების ხარისხების მიხედვით აავსოს სახარკო განაკვეთები, რათა ამით ხარკი ხარკის მზიდველის შემოსავალს შეუფარდოს. გარდა ამისა, მოხმარების ხარკთა შეფასების დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ადგილი, რომელიც მათ უკავიათ სხვა ხარკებთან შედარებით სახელმწიფოს სახარკო სისტემაში. რამდენადაც სხვა ხარკების დაკისრების მხრივ დაზოგვილია მცირე შემოსავალი,

იმდენადვე მნიშვნელობა აკლდება საზოგადოდ მოხმარების ხარკთა საწინააღმდეგო მოსაზრებებს.

§ 59. ფქვილის (პურის) და ხორცის ხარკი.—ამ ხარკს მიზნად უდევს დაბეგვრა ფქვილის (პურის) და ხორცის მოხმარებისა, ე. ი. იმ შემოსავლისა, რომელიც ამ მოხმარებაში გამოისახება. წინადაბეგვარ დაბეგვრას ხშირად ჰქონდა ადგილი, — ნაწილობრივ წარმოების ხარკის სახით, რომელიც ხორბლის რაოდენობისა ან წონისა (დასაფქვეად მიტანის დროს) ანდა დასაკლავი საქონლის წონის მიხედვით გადაიხდებოდა, ნაწილობრივაც — ქიშკრის ხარკის სახით, როდესაც ქალაქის ქიშკრით შემოსული ფქვილის (პურის) და ხორცის წონის მიხედვით იყო გადასახდელი; უკანასკნელ შემთხვევაში — ხორცისთვის — ხ. ნდახან ხარკი განსხვავდებოდა სხვადასხვაგვარი საქონლის მიხედვით. სოციალურ და ჰიგიენურ მოსაზრებათა გამო ეს ხარკი თითქმის ყველგან გაუქმებული იქნა. საფქვეის ხარკი მოსახლეობის ღარიბ ფენებს ბევრად უფრო მძიმე ტვირთად აწვება, ვიდრე შეძლებულებს, მრავალბავშვიან ოჯახებს უფრო მეტად, — ვიდრე ნაკლებბავშვიანებს. ხარკის თავიდან აცილება პურის და ფქვილის მოხმარების შეზღუდვით შეუძლებელია, — ყოველ შემთხვევაში ჯანმრთელობის მოუშლელად. ხორცის შესახებ თუმცა უფრო შესაძლებელი არის მოხმარება შემოსავალს შეუფარდდეს, მაგრამ დაბეგვრაში აქაც მოსახლეობის საჭირო და საკმარისი კვების ინტერესი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ორივე ხარკი დიდად შემაჯიწროებელია გადამხდელთა და ტეხნიკურადაც ძნელად განსახორციელებელი: საფქვეის ხარკი იმიტომ, რომ აუცილებელს ხდის წისქვილებზე ზედამხედველობის დაწესებას, რის გამო ძვირად ჯდება და წარმოების საქმეს აფერხებს, ხოლო ხორცის ხარკი შემოსავალს არ იძლევა სოფლად, ვინაიდან საქონლის დაკვლა ოჯახებში სწარმოებს. ქიშკრის ხარკის სახით კი ორივე ხარკი მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა მოხმარებას ბევრავს; დაბეგვრის გასათანაბრებლად საჭირო ხდება სოფლის მოსახლეობის სანაცვალგებო დაბეგვრა, რომლისთვის სათანადო მაშტაბი არ მოიპოვება.

გერმანიის სახელმწიფოებში ყვილაზე უფრო ცნობილია პრუსიის და ფქვა-დაკლის ხარკი, რომელსაც პრუსიამ 1820—1873 წ. წ. დიდ ქალაქებში, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა სამაგიეროდ საკლასო ხარკით იბეგრებოდა (იხ. ზევით გვ. 162). 1873 წ. 25 მაისის კანონით ის, ვითარცა სახელმწიფო ხარკი, გაუქმებულ იქნა, ხოლო თემებს უფლება მიეცათ, საჭიროების დროს, შემდგომშიც აეკრიფათ. 1893 წ. 14 ივნისის კომუნალურ გადასახადთა კანონით იმ თემებში, სადაც ეს ხარკი არ იყო უკვე შემოღებული, აკრძალულ იქნა მისი ახლად შემოღება, ხოლო იქ, სადაც არსებობდა, — აკრძალულ იქნა გადიდება.

1902 წ. 25 დეკ. საბაჟო ტარიფის კანონით, სორბლის და სორცის ყველა დამატებითი ხარკი, რომელიც განსაკუთრებით სამხრეთ გერმანიის ქალაქებში იყო დიდად გაფრცხლებული, 1910 წ. 1 აპრილიდან გაუქმებულ იქნა ყველგან გერმანიაში.

§ 60. მარილის ხარკი.—მარილი თუმცა არ წარმოადგენს საარსებო საშუალებას, მაგრამ აუცილებელი მოხმარების საგანი კი არის. მარილის ხარკს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სასულო ხარკს; ღარიბ კლასებსა და მრავალწევრიან ოჯახებს ის უფრო მძიმედ აწვება, ვიდრე სხვებს. როცა ეს ხარკი უკვე შემოღებულია, მისი შენარჩუნების სასარგებლოდ შეიძლება ის მოსაზრება იქნეს მოყვანილი, რომ ნიუხედავად ხარკისა, მარილის ფასი მაინც ზომიერ ფარგლებში რჩება და რომ შესაძლებელია ხარკის გაუქმებამ ფასის შესაფერი შემცირება არ გამოიწვიოს. სხვა მოხმარების ხარკთა გაუქმებიდან მიღებული გამოცდილების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის.

წინადა გერმანიის მრავალ სახელმწიფოში ხარკის აკრეფა მონოპოლიის გზით ხდებოდა, რომელიც ნაწილობრივ წარმოების და ნაწილობრივ წარმოებისა და ვაჭრობის მონოპოლიის ფორმით სწარმოებდა, ე. ი. მარტო სახელმწიფოს ჰქონდა უფლება მარილის წარმოებისა და ვაჭრობისა. ეს იყო განსაკუთრებით იქ, სადაც დიდი ხნიდან, უკვე მარილის რეგალის წარმოდგომის დროიდანვე, მარილის მოპოვების ადგილები მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა. ზოგიერთ სახელმწიფოში (წინანდელი ავსტრო-უნგრეთიდან წარმომდგარ სახელმწიფოებში, იტალიაში) ის ამჟამადაც არსებობს. სადაც მარილის მოპოვება და ვაჭრობა თავისუფალია, დაბეგრა ხდება მზა მარილის წონის (ორმაგი ცენტნერი, = 100 კილო) ან ფასის მიხედვით, — როდესაც მარილი ალებმიცემაში გაიტანება; ხარკვალდებულია ალებმიცემაში გამტანი.

როდესაც სურთ მარილის ხარკს მხოლოდ ადამიანთა მოხმარების დაბეგრის ხასიათი მისცენ, მაშინ ხარკისგან განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა მიზნებისათვის (სამრეწველო გამოყენებისა ან საქონლისათვის) დანიშნული მარილი, მას შემდეგ რაც, წინასწარ განსაზღვრულ ღონისძიებათა გაყოფებით, იგი ადამიანის მოხმარებისათვის გამოუსადეგრად იქნება გადაქცეული (გამწარება, დენატურატად გარდაქმნა).

გერმანიაში 1867 წლის 8 მაისის საკავშირო-საბაჟო ხელშეკრულებით მთელი საბაჟო კავშირის ტერიტორიისათვის დაწესებულ იქნა მარილის თავისუფალი ვაჭრობა, ე. ი. გაუქმდა სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული მონოპოლია, და შინაურ მარილზე საერთოდ დაწესდა 12 მარკის ხარკი (100 კილო-

ზე). იმპერია რომ წარმოიშვა, ეს ხარკი მასზე გადავიდა. უკანასკნელად (1923 წ. 8 ივლ. კანონით) ხარკი შეადგენდა 3 მარკას ორმაგ ცენტნერზე (100 კილოზე). 1926 წ. 31 მაისის კანონით მარილის ხარკი გერმანიაში მოსპობილ იქნა.

ს. ს. რ. კავშირი.—მარილის აქციზი შემოდებულ იქნა (რ. ს. თ. ს. რ.—ში), მარილზე მონოპოლიის გაუქმებასთან ერთად, 1922 წ. 1 მარტიდან იმავე წლის 23 თებერვლის კანონით, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე იქნა დამატებული და შეცვლილი. აღდგენა მარილის დაბეგვისა, რომელიც რუსეთში ჯერ კიდევ 1880 წელს იქნა გაუქმებული, უმთავრესად გამოწვეული იყო საფრანგული გაქირავებით. აღნიშნული კანონის თანახმად აქციზი ეხებოდა როგორც ადგილობრივ მოპოვებულ, ისე უცხოეთიდან შემოტანილ მარილს. 1923 წ. 20 აგვისტოს საკავშირო კანონით გაანაკვეთი შეადგენდა ფუთზე 45 კაპ.; ეს განაკვეთი, მარილის გასაღების გაფართოების მიზნით, შემცირებულ იქნა 1923 წ. 27 ნოემბრის კანონით,—ფუთზე დაწესდა 22 კაპ. (1,34 კაპ. კილოზე); ტენიკური მიზნებისათვის მოხმარებული მარილისათვის შედავათიანი განაკვეთი იქნა დაწესებული—ფუთზე 15 კაპ.; ხოლო თევზის მრეწველობისა, ზღვის ცხოველთა ზოცვის რეწვისა და კურორტების სამკურნალო საჭიროებისათვის დანიშნული მარილი სრულიად განთავისუფლებულ იქნა ხარკისგან. განაკვეთის დაკლების შემდეგ მოსალოდნელი გაფართოება მარილის გასაღებისა არ გამოთლდა და მარილის აქციზის შემოსავლის წილი აქციზების საერთო შემოსავალში საგრძობად შემცირდა. 1927 წ. 30 მარტის კანონით მარილის აქციზი იმავე წლის 1 აპრილიდან გაუქმებულ იქნა.

მარილის აქციზის შემოსავალი შეადგენდა მთელს კავშირში: 1923/24 წ. 15.139 ათას მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 6,30%-ს, 1924/25 წ.—15.962 ათას მ. ანუ—3,20%-ს (წინა წელთან შედარებით—105,40%-ს), 1925/26 წ.—17.638 ათას მ. ანუ—2,10%-ს (წინა წელთან შედარებით—110,50%-ს), ხოლო 1926/27 წ. ნავარაუდები იყო შემოსავლად 10.000 ათასი მ. ანუ—0,80% (წინა წელთან შედარებით—58,80%).

§ 61. შაქრის ხარკი.—ხარკის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს შიგნით შაქროვანი ჭარხლიდან დამზადებული შაქარი. უცხოეთიდან შემოტანილი შაქარი, გარდა ბაჟისა, შინაგანი მოხმარების ხარკითაც იბეგრება. შაქრის ხარკი სხვადასხვა ფორმით არსებობდა და არსებობს: ნედლი მასალის ხარკის სახით—გადასამუშავებელი ნედლი ჭარხლის წონის მიხედვით, იარაღების ხარკის სახით—პრესის და სხვა იარაღების საწარმოო უნარის მიხედვით, ნახევარფაბრიკატის ხარკის სახით—შაქრის წვეწვის სისქის მიხედვით, ფაბრიკატის ხარკის სახით—დამზადებულ შაქარზე.

ნედლი მასალის ხარკის უპირატესობა აქვს, რომ ადვილად ასაკრეფია და საწარმოს ნაკლებ შემავიწროებელი. ამ სახის ხარკი გერმანიაში 1887 წლამდე არსებობდა. სახალხო მეურნეობისთვის მას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმით, რომ ხელს უწყობდა უფრო შაქარმდიდარი ჭარხლის წარმოებასა და უკეთესი

იარაღების გამოყენებას, რათა ჭარხლიდან იმაზე მეტი შაქარი მიეღოთ მწარმოებელთ, ვიდრე ეს სახარკო კანონით იყო ნაგარაუდები. მაგრამ მას ახლდა უარყოფითი მხარეც: ჭარხლის ნამატი გამოსავლიანობა დაუბეგრავი რჩებოდა, სახარკო შემოსავალი სახელმწიფოსი მოხმარების ზრდასთან შეფარდებულად არ იზრდებოდა და შაქრის საზღვარგარეთ გატანისას ფაბრიკანტები ფარულ საექსპორტო პრემიას იღებდნენ, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკან დაბოუნებული ხარკის სახით იმაზე მეტი ეძლეოდათ, ვიდრე მათ ჰქონდათ გადახდილი (ასეთივე უარყოფითი მხარე აქვს იარაღების ხარკსაც). ამ გარემოების გამო გერმანიაში ღა სხვა ქვეყნებშიაც შაქრის მრეწველობა ჰყვავოდა; მაგრამ ამ აყვავებას თან ახლდა სახარკო შემოსავლის საგრძნობი დანაკლისი და ის ზარალი, რომ საექსპორტო პრემიების გამო გერმანიიდან უცხოეთში გატანილი შაქარი უფრო იაფად იყიდებოდა, ვიდრე თვით გერმანიაში. ამის გამო 1887 წელს გერმანია გადავიდა ფაბრიკატის ხარკზე, რომლის გვერდით დატოვებულ იქნა (1891 წლამდე) ზომიერი ხარკი ჭარხალზე. მაგრამ ვინაიდან შაქრის მრეწველობა საექსპორტო მრეწველობად გადაიქცა, რომლის ნაწარმოები უცხოეთის ბაზარზე უნდა გატანილიყო, და უცხო სახელმწიფოებიც (ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია და სხვ.) თავისი შაქრის ექსპორტს ფარული ან აშკარა პრემიების გაცემით ხელს უწყობდნენ, ამიტომ გერმანია, ფაბრიკატის ხარკის შემოღების შემდეგ, იძულებული გახდა, — რათა გერმანიის შაქარს მსოფლიო ბაზარზე მეტოქეობის უნარი შეენარჩუნებია, ფარული საექსპორტო პრემია აშკარა პრემიით შეეცვალა. ჭარბწარმოების თავიდან ასაცილებლად, თითოეული ფაბრიკისათვის საწარმოო კონტინგენტი (უკანასკნელი სამი წლის საშუალო ოდენობისა) იქნა დაწესებული, რომლის გადალახვის შემთხვევაში გადიდებული ხარკი იყო გადასახდელი, და შემოღებულ იქნა საწარმოს ხარკი, საფებურებად დაყოფილი წლიური წარმოების ოდენობის მიხედვით. მოკლე ხანში სხვა სახელმწიფოებმაც, სადაც მსგავსი პირობები არსებობდა, ასეთივე ღონისძიებები მიიღეს. მალე ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ საექსპორტო პრემიებისა და საბაჟო ღონისძიებათა არეგდარეული ქსელიდან თავდახსნა მხოლოდ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლებოდა. და ეს შეთანხმება განხორციელებულ იქნა 1902 წ. 5 მაისის ბრიუსელის კონვენციით, რომლითაც მონაწილე სახელმწიფოებს დაევალა აშკარა და ფარული პრემიები გაეუქმებიათ და შაქრის ბაჟები შეემციობებიათ. ამ კონვენციამ, თუმცა დღეს ძალაში აღარ არის, თავის მიზანს

მიაღწია. გერმანიას ამჟამად არა თუ არ აქვს შაქრის ქარბწარმოება, არამედ, ომის შედეგების გამო, მისგან ჯერ დიდად დაშორებულია.

აქ მოხსენებული დაბეგვრის მეთოდებიდან საუკეთესო და ყველაზე სამართლიანია ფაბრიკატის ხარკი. ის არაა დამყარებული ქარხლიდან შაქრის სავარაუდო გამოსავლიანობასა და საწარმოო იარაღთა დამუშავების ტექნიკურ უნარიანობაზე, არამედ—ფაქტიურად დამზადებულ რაოდენობაზე შაქრისა; შესაძლებლობას იძლევა შაქრის მოხმარების ბარაქიანად დაბეგვრისას და ხარკის გადახდას მოხმარების მომენტს უახლოვებს, სახარკო ტექნიკის მხრივაც არავითარი სიძნელე არ ახლავს და შესაძლებელ ხდის ექსპორტის დროს ექსპორტერისათვის უკან დასაბრუნებელი ხარკი სრულის სისწორით იქნეს გამოანგარიშებული. იმ კვებითი მნიშვნელობის გამო, რომელიც შაქარს თავისი ნახშირჰიდრატებით აქვს ადამიანისთვის, საჭიროა, რომ მისი დაბეგვრა ზომიერი იყოს, რათა შაქრის მოხმარება ფართო მასებისათვის არ იქნეს ძალიან გაძვირებული.

შაქრის ხარკი საჭიროებს დამატებას სახარინის დაბეგვრით. სახარინს შეუძლია შაქრისათვის მეტოქეობის გაწევა, ვინაიდან ხარჯები მის დასამზადებლად შაქრისაზე ბევრად ნაკლებია, ხოლო სიტუბო მას გაცილებით მეტი აქვს. მარტო ეს გარემოება საკმარისია სახარინის დაბეგვრის გასამართლებლად, მაგრამ, გარდა ამისა, სახალხო-სამეურნეო და მოსახლეობის კვების ინტერესის თვალსაზრისითაც სასურველად მისაჩნევია მისი მოხმარების შეზღუდვა. სახარინს არავითარი კვებითი ფასეულობა არა აქვს; უკეთეს მისი მოხმარების შესაძლებლობა არ იქნება შეზღუდული, შეიძლება შაქრის მრეწველობას და მასთან დაკავშირებულ სასოფლო მეურნეობას მეტად დიდი ზიანი მიეცეს. სახარინის დაბეგვრა ხდება ან სახელმწიფოს მონოპოლიური წარმოების გზით ანდა ფაბრიკატზე ხარკის დაწესებით. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა წარმოების ფხიზელი ზედამხედველობა და კანონის მიერ სახარინის მოხმარების შესაძლებლობის მოწესრიგება.

1. შაქრის ხარკი გერმანიის იმპერიაში 1903 წ. იანვრის კანონმა შეუთანხმა ბრიუსელის კონვენციის დადგენილებას; სახარკო განაკვეთი დაწესებულ იქნა 14 მარკა 10,1 კილოზე. ახალი კანონები გამოცემულ იქნა 1922 წ. 8 აპრილს (ხარკი გადიდა 21 მარკამდე 100 კილოზე) და 1923 წ. 1 ივლისს, რომელსაც შემდეგ წლებში მოჰყვა სხვადასხვა ცვლილებები, — უკანასკნელად 1925 წ. 10 აგვ. და 1927 წ. 15 ივლისის კანონებით. ამ კანონთა თანახმად ამჟამად შემდეგი მდგომარეობაა: სახარკო განაკვეთი განიზომება წმინდა წონის მრხედვით და შეადგენს შაქრისთვის 15 მარკას, ხოლო სახამებლის შაქრისთვის—სახარკო განაკვეთის 0,9-ს და 0,4-ს.

2. სახარინის მონოპოლია გერმანიის იმპერიაში შემოღებულ იქნა 1922 წ. 8 აპრილს კანონით (იხ. აგრეთვე 1924 წ. 26 მარტის დადგენ.), მაგრამ 1926 წ. 14 ივლ. კანონმა იგი გააუქმა და მის ნაცვლად მოხმარების ხარკი დააწესა; მხოლოდ—სახარინის წარმოება და იმპორტი მაინც მთლად თავისუფალი არაა,—მისთვის საჭიროა საიმპერიო მთავრობისა და საიმპერიო საბჭოს (რაიხსრატის) ნებართვა. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც სახარინი თავისუფალ მიმოქცევაში გადადის. ხარკი შეადგენს პროდუქტის სახის მიხედვით 2 და 5,60 მარკას კილოზე. სახარინის წარმოება სახარკო ზედამხედველობას ექვემდებარება.

ს. ს. რ. კავშირი.—ძველ რუსეთის იმპერიაში შაქრის აქციზი პირველად დაწესებულ იქნა 1848 წ.; ხარკის საზომად აღებული იყო ქარხანაში შაქრის შემცველობის პროცენტული ნორმა და აპარატების საწარმოო უნარი; 1881 წ. ის შეცვლილ იქნა მზა ფაბრიკატის აქციზით, რომელმაც რევოლიუციამდე იარსება. 1918 წ. 21 ნოემბრის დეკრეტით შაქრის აქციზი, მოხმარების სხვა ხარკებთან ერთად, გაუქმებულ იქნა, ხოლო 1922 წ. 21 აპრილის კანონით (შემდეგში დამატება-ცვლილებებით)—ისევ აღდგენილი. აქციზი ამჟამად ეხება როგორც შინაური წარმოების, ისე უცხოეთიდან შემოტანილ ქარხლის შაქარს, უცხოეთიდან შემოტანილ ლერწმის შაქარს და შაქრის წარმოების ყველა საბოლოოდ გადაუმუშავებელ პროდუქტებს, გარდა შავი ყოჩისა (მელასისა). შავი ყოჩი აქციზისგან თავისუფალია იმ შემთხვევაში, თუ ის შემცველია არაუმეტეს 55% შაქრისა და არა ნაკლებ 26% სხვა ნივთიერებისა (დანარჩენი—წყალი). სახარკო განაკვეთი განიზომება შაქრის წმინდა წონის მიხედვით და შეადგენს კილოზე 24 კაბ. (ფუთზე—4 მან.). დამატებითი აქციზი რაფინადზე, რომლის განაკვეთი შეადგენდა ძირითადი აქციზის განაკვეთის 250%-ს, 1924 წ. 8 თებერვლის კანონით გაუქმებულია; 1927 წ. 29 ივნისის კანონით, იმავე წლის 1 ივლისიდან გაუქმებულია აგრეთვე სახამებლის შაქრის ხარკი, რომლის განაკვეთი შეადგენდა 10 კაბ. კილოზე.

სახარკო ვალდებულება წარმოიშობა როდესაც დამზადებული შაქარი ან საბოლოოდ გადაუმუშავებელი პროდუქტები ქარხნიდან და საბაჟოდან იქნება გამოშვებული. აქციზი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ვადებში: სახელმწიფო და კოლმერატიული ქარხნების მიერ—3 თვეში, ხოლო კერძოთა მიერ—7 დღეში. 1927 წ. 21 დეკემბრის კანონით შაქრის ტრესტის ქარხნებში დამზადებული შაქრისათვის აქციზის გადახდა ცენტრალიზაციური წესით ხდება: აქციზს იხდის ტრესტის გამგეობა შაქრის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც ქარხნიდან იქნება გაცემული გასაყიდად ან—ტრესტის სავაჭრო საწყობებში. შაქრის ქარხნები და საწყობები სახარკო უწყების ზედამხედველობას ექვემდებარებიან და შაქრის გამოშვება და გადაზიდვ-გადმოზიდვა საგანგებო წესების საფუძველზე სწარმოებს.

შაქრის უცხოეთში გატანის დროს დაშვებულია აქციზის უკან დაბრუნება (თუ ის უკვე გადახდილია) ან—მისი მოხსნა (თუ გადაუხდელია); გარდა ამისა, ინგარიშება აქციზის დასაბრუნებლად გასაგზავნი შაქრის საგზაო დანაკლისი 1,50%-ის რაოდენობით.

შაქრის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. 51.652 ათას მ. ანუ აქციზების სერთო შემოსავლის 21,40%-ს, 1924/25 წ.—117.816 ათას მ. ანუ—23,20%-ს (წინა წელთან შედარებით—228,10%-ს), 1925/26 წ.—177.536 ათას მ. ანუ—21,00%-ს (წინა წელთან შედარებით—150,70%-ს);

1926/27 წ. ნავარაუდები იყო შემოსავლად 240,957 ათასი მ. ანუ—10,00/0 (წინა წელთან შედარებით—136,10/0), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით—248,568 ათასი მ. ანუ—17,40/0 (წინა წელთან შედარებით—103,30/0).

§ 62. სასმელების ხარკი.—1. ზოგადი შენიშვნები. უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ალკოჰოლიანი სასმელები: ლუდი, ლეინო და არაყი,—ეს სასმელები იგულისხმება პირველ რიგში „სასმელების ხარკის“ ხსენებისას,—გადასახადებით იბეგრება. ცხადია, ეს საგნები შესაფერი ობიექტებია დასაბეგრავად. ისინი წარმოადგენენ არა საკვებ, არამედ—საგემოვნო საგნებს; მათი ზომაზე მეტად მოხმარება ვნებს ჯანმთელობას, მეოჯახეობას და ზნეობას. მათთვის ხარჯი მომხმარებლის მიერ თავისუფალი შემოსავლიდან გაიწევა: ე. ი. შემოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ რჩება. მართალია. ეს დებულება არა იშვიათად ირღვევა, —ის შემოსავალი, რომელსაც მომხმარებელი ალკოჰოლის მოხმარებისათვის ხარჯავს, გონიერად რომ მოქცეულიყო, უფრო საჭირო მოთხოვნილებისათვის უნდა დაეხარჯა. მაგრამ ასეთი არა რაციონალური საქციელი კანონმდებელს არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს. სასმელების ხარკი დიდ შემოსავალს იძლევა, ვინაიდან მათ მოხმარებაზე, დიდი სახარკო განაკვეთების დროსაც კი, დაჩვეულნი ხელს არ იღებენ. სახარკო ტენიკამ ამ დარგში უკანასკნელ დროს სხვადასხვა მოხერხებული ფორმა ჰპოვა, რომელიც შესაძლებელს ხდის როგორც უკლებლივ დაბეგრას რაოდენობის მხრივ, ისე ხარკის შეფარდებას სასმელების ხარისხთან. უმთავრესი სიძნელე აქ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვაგვარი სასმელების დაბეგრა ერთიმეორესთან სწორად იყოს შეფარდებული, რომ საწარმოთა ყოველგვარ არა აუცილებელ შევიწროებას ადგილი არ ჰქონდეს, რომ სახარკო განაკვეთების განსაზღვრისას მწარმოებელთა და ვაჭართა კანონიერ ინტერესებს ანგარიში გაეწიოს და დასაბეგრ საწარმოთა (წვრილ, საშუალო და მსხვილ საწარმოთა) სხვადასხვა უნარიანობა მეტოქეობის (კონკურენციის) გაწევის მხრივ მხედველობაში იქნეს მიღებული. აგრეთვე ის გარემოება, რომ დაბეგრილ საგანთა წარმოება მრავალ სხვადასხვა ადგილას არსებულ საწარმოში სრულდება და რომ, რათა ხარკის გადაუხდელობას ნიადაგი არ ჰქონდეს, საჭირო ხდება ფხიზელი ზედამხედველობის დაწესება წარმოებასა და ვაჭრობაზე,—ძნელ პრობლემებს უქმნის სახარკო მართველობას.

2. ლუდის ხარკი.—ლუდის დაბეგრა შეიძლება ან ნედლ მასალას დაუკავშირდეს, ან ლუდის სახარშავი იარაღების წარმოებით უნარიანობას, ან ნახევარფაბრიკატს, ანდა დამზადებულ ლუდს.

ნედლი მასალის ხარკი, რომელიც წინაღ მეტად გავრცელებული იყო, შედარებით მარტივია იქ, სადაც ლუდის დაწმენდა ნებადართულია მხოლოდ ალაოდან, სვიდან, საფუარიდან და წყლიდან. დაბეგვრა აქ ხდება ალაოს წონისა ან წყვის მიხედვით, როდესაც მას დასაღერლად მიიტანენ წისქვილში. კანონის მოთხოვნილება, რომ ალაოს დაღერლვა მხოლოდ ისეთ წისქვილებში უნდა სწარმოებდეს, სადაც ავტომატიური ამრიცხავი და ასაწონი აპარატებია დადგმული, შეტანა-გატანა პროდუქტისა ზედამხედველობას ექვემდებარება და თვით წისქვილი სახარკო უწყების საკეტით იკეტება, — უზრუნველყოფს ალაოს დაბეგვრას სრულად. მსგავსად სხვა ნედლი მასალის ხარკისა, აქაც ეს ხარკი ხელს უწყობს წარმოებაში ტექნიკური გაუმჯობესების შეტანას ნედლი მასალის უფრო ბარაქიანად გამოყენების მიზნით. მაგრამ ამავე დროს ის ხელს უწყობს მსხვილ საწარმოთა გაძლიერებას, ვინაიდან ტექნიკური გაუმჯობესების განხორციელება ყოველთვის უფრო ასეთ საწარმოთ შეუძლიათ; ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა სახარკო ტარიფი შტაფელიანი იყოს წვრილი სარეწაოებისთვის. გარდა ამისა, მასალის მიხედვით დაწესებული ხარკი ანგარიშს ვერ გაუწევს ლუდის ხარისხებს, ძნელებს დასაბრუნებელი ხარკის სისწორით განსაზღვრას, როდესაც ნაწარმოები საზღვარგარეთ არის გასაზიდი, და არ იძლევა სრული დაბეგვრის შესაძლებლობას ლუდის სახარკო უნარიანობის შესაფერად. კიდევ უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელია წესი დაბეგვრისა აპარატების (სახდელი ჩანახის, ქვების) წარმოებითი უნარიანობის მიხედვით, რომლის დროსაც ყოველთვის არასაიმედო ვარაუდით ხელმძღვანელობენ. ნახევარფაბრიკატის ხარკს, რომელიც ლუდის ტკბილს, ე. ი. მის რაოდენობასა და (სახარომეტრით ჰექტოლიტრგრად უსებში აღრიცხულ) ექსტრაქტის შემცველობას ხარკის საზომ საფუძვლად იყენებს, ის დადებითი მხარე აქვს, რომ დაბეგვრა შესაძლებელია ნაწარმოების ხარისხს შეუფარდდეს; მაგრამ მას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს, სახელდობრ ის, რომ ხარკის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია ლუდის გათხელება და, მაშასადამე, რაოდენობის შეცვლა, აგრეთვე ის, რომ ძნელია ექსპორტის გამო უკან დასაბრუნებელი ხარკის ოდენობის სისწორით გამორკვევად დაბეგვრის სხვადასხვა მეთოდთა შორის საუკეთესოა ფაბრიკატის ხარკი; ის არა თუ ფაქტიურად დამზადებული რაოდენობის სწორი დაბეგვრის საშუალებას იძლევა, არამედ სახარკო განაკვეთების საფუძვრებად დაყოფისასაც ხარისხის ე. ი. ლუდის ტკბილის შემცველობის მიხედვით. ძვირფასი ხარისხის ლუდი, რომლის მოხ-

მარბაც უფრო დიდი შემოსავლის მაჩვენებელია, შეიძლება შედარებით მეტად იქნეს დაბეგრული. დასაბეგრავე რაოდენობა ირკვევა იმ კასრების და ბოთლების ტევადობის მიხედვით, რომლებითაც ლუდი გაიტანება ქარხნიდან. ფაბრიკატის ხარკს ის დადებითი მხარეც აქვს, რომ ხარკის გადახდა გასაღების მომენტს უახლოვდება და ექსპორტის დროს დასაბრუნებელი ხარკის სისწორით განსაზღვრას არავითარი სიძნელე არ ახლავს. განსაკუთრებული მდგომარეობის გამო წვრილი და საშუალო ზომის ლუდის ქარხნებისა, რომელთაც ხმარებული მდარე ნედლეულისა, საწარმოო იარაღების მცირე წარმოებითი უნარიანობისა, საბრუნავი, კაპიტალის ნაკლებობისა და სხვა გარემოების მიზეზით, მსხვილ საწარმოებთან კონკურენციის გაწევა არ შეუძლიათ და, მასასადამე, არსებობა გაძნელებული აქვთ, — შემოღებულია, წარმოების პირობათა უთანასწორობის შემცირების მიზნით, ხარკის საფუძვრებად დაყოფა, რაც წინადასა—ხმარებული ალაოს რაოდენობის მიხედვით იყო, ხოლო ამჟამად—წლიური წარმოების ოდენობის მიხედვით არის აგებული.

გერმანიის იმპერია, დაბეგრის გაერთიანების დაწესებამდე 1918 წლის 26 ივლისის საიმპერიო კანონით, ლუდის ხარკისთვის 5 ოლქად იყო დაწესებული, სახელდობრ: სამხრეთ გერმანიის, ბავარიის, ვიურტემბერგის, ბადენის და ელზას-ლოტარინგიის სალუდო ხარკის ოლქებად. ამ ოლქთა ლუდის ხარკის გამოსავალი იმპერიას ეკუთვნოდა; სხვა სახელმწიფოები შესაფერისანაცვალგებო გამოსაღებს აძლევდნენ იმპერიას. ხარკი ნედლი მასალის ხარკის ფორმით იყო დაწესებული, რომელიც, 1906 წ. 6 ივნისის საიმპერიო კანონის შემდეგ როდესაც სამხრეთ გერმანიის იმპერია აკრძალულ იქნა ლუდის გაზოსხდელად ალაოს სუროგატების გამოყენება (მაღალდუდილიანი ლუდის გამორიცხვით), არსებობდა ყველგან ერთგვარი იყო, — სახელდობრ, ალაოს რაოდენობის მიხედვით. მცირეოდენი განსხვავება არსებობდა ხარკის ოდენობისა და საფუძვრებად დაყოფის მხრივ. მოხსენებული 1918 წ. 26 ივლისის საიმპერიო კანონით (მრავალი ცვლილებებით, უკანასკნელი—1925 წ. 10 აგვ.) ფაბრიკატის ხარკი იქნა შემოღებული. ამჟამად დაბეგრა ერთიანია მთელს იმპერიაში. მოკავშირე რესპუბლიკებს, რომელთაც აქამდე საკუთარი ლუდის ხარკი ჰქონდათ, წილი ეძლევათ ლუდის ხარკის წმინდა გამოსავლიდან.

ხარკის ობიექტს წარმოადგენს დამზადებული ლუდი, ე. ი. ქერის ალაოდან, სვიდან, საფუარიდან და წყლიდან დამზადებული სასმელი. მაღალდუდილიანი ლუდისთვის ნებადართულია აგრეთვე სხვა ალაოს და შაქრის გამოყენება. ლუდის ხარკს ეჭვემდებარება სხვა ლუდისებური სასმელებიც. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს რაოდენობა და ხარისხი; ეს უკანასკნელი განიზომება ლუდის ტკბილის შემცველობის მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა წილს შეადგენს ალაოდან (და შაქრიდან) წარმომდგარ ხსნილ ნივთიერებათა შემცველი ექსტრაქტი ლუდის ტკბილის გადაუდუღარ ნაწილთან შედარებით. ჩვეულებრივ ლუდს აქვს ტკბილის შემცველობის 11—14⁰/₀, რბილ ლუდს—6,5⁰/₀-მდე, მაგარ ლუდს—16⁰/₀-ზე მეტი. ლუდის წვრილი ქარხნების მცირე კონკურენტუნარიანო-

ბისთვის ანგარიშის გასაწევად, ყოველი ქარხნის წლიური წარმოების პირველი 120.000 ჰექტოლიტრისთვის დაწესებულია შტაფელიანი განაკვეთი, რომელიც საფესურებრივად პროგრესიულკლებადია წარმოების ოდენობის კლებადობის მიხედვით. ამჟამად სახარკო განაკვეთი ჩვეულებრივი ლუდისთვის შეადგენს (საიმპერიო მარკებში):

პირველ	1000	ჰექტოლიტრზე	6,00	მარკას,
შემდეგ	1000	„	6,50	„
„	8000	„	6,75	„
„	10.000	„	7,00	„
„	10.000	„	7,25	„
„	30.000	„	7,50	„
„	60 000	„	7,80	„
დანარჩენზე			8,15	„

რბილი ლუდისთვის სახარკო განაკვეთი ნახევრით ნაკლებია: მაგარი ლუდისთვის კი—ნახევრით მეტია. ლუდის პატარა ქარხნები (წარმოებით არა უმეტეს 1000 ჰექტოლიტრისა წლიურად) და წვრილი საოჯახო გამომხდენი შედავ-თებით სარგებლობენ. ხარკვალდებულება ლუდის დამზადებელი; სახარკო მოვალეობა წარმოიშობა ლუდის ქარხნიდან გატანისთანვე და იქვე მოხმარებისთანავე. ხარკუთენილი რაოდენობა გამოიანგარიშება ჰურტლის ტევადობის მიხედვით, რომელშიც ლუდი ქარხნიდან გამოიტანება. ხარკისგან თავისუფალია ქარხნიდან მუშა-მოსამსახურეებისთვის შინ სასმელად მიცემული ლუდი და აგრეთვე კერძო ლუდის ქარხნის თვითმომკმედი მეპატრონის ოჯახში მოხმარებული.

ეხლანდელი ლუდის ქარხნების არსებობის დაცვას ემსახურება კონტინგენტის დაწესება. ეს იმაში მდგომარეობს, რომ საიმპერიო საბჭო განსაზღვრავს თითოეული ქარხნისთვის წლიურად გამოსახდელი ლუდის რაოდენობას იმ წარმოების მიხედვით, რომელიც მას 1912 და 1913 წლებში ჰქონდა. თუ მექარხნე საანგარიშო წელს ნებადართულ წლიურ რაოდენობაზე მეტ ლუდს გამოხდის, ან ახალი ქარხანა ლუდის წარმოებას დაიწყებს,—1928 წლის 1 ოქტომბრამდე კონტინგენტს გარეშე დამზადებულ ლუდზე ხარკი ორმაგი სახარკო განაკვეთით უნდა გადაიხადოს. მეორეს მხრივ ნებადართულია კონტინგენტის მთლად ან ნაწილობრივ სხვა ლუდის ქარხანაზე გადატანა, თუ ეს უკანასკნელი 1918 წ. 1 აპრილამდე მუშაობდა.

ს. ს. რ. კავშირი.—ლუდის აქციზი რუსეთში პირველად დაწესებულ იქნა 1817 წ. აპარატის (სახდელი ქვების) ხარკის სახით; 1902 წ. 1 იანვრიდან ის შეცვლილ იქნა ნედლი მასალის ხარკით, რომელმაც 1918 წლამდე იარსება; საზომ საფუძვლად აღებული იყო გამზადებული ალაოს წონა და ხარიზი; სახარკო განაკვეთი შეადგენდა საშუალოდ ვედროზე 24 კაპ.. რევოლიუციის შემდეგ ლუდის დაბეგვრა, გაუქმებული 1918 წ., ისევ იქნა აღდგენილი 1922 წ. ვი თებერვლის კანონით (რ. ს. თ. რ.-ში) მზა პროდუქტის (ფაბრიკატის) ხარკის სახით, ხოლო 1925 წ. 23 დეკემბრის კანონით შეცვლილ იქნა ნედლი მასალის ხარკით (1925 წ. 1 ოქტომბრიდან), რომელიც ამჟამადაც ძალაშია. ხარკის ობიექტი ა ლუდი, პორტერი და ელი (შემცველი არა უმეტეს 6 გრადუსისა ტრალდესით), რომელთა დამზადება პირველად დაშვებული იყო მხოლოდ ქერის

ალაოდან, სვიიდან და საფუარიდან; შემდეგში — ნებადართულ იქნა ამათ დამატებულ ბრინჯის ნარჩევი, არა უმეტეს 250 გ-ისა, და აგრეთვე ყოველგვარი ხორბლეული (1929 წლის 1 იანვრამდე). საზომ საფუძველს წარმოადგენს წონა ალაოსი, რომელიც ავტომატიურ სასწორზე იწონება, შემდეგ სასწორთან შეერთებულ წისკვილში დაიდურდება და აქედან სახდელ ჩანახში გადაიცემა. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც ალაო ჩანახში მოთავსდება, — ამის შემდეგ ორი თვის ვადაში აქციზი გადახდილ უნდა იქნეს. ლუდის, პორტერის და ელის გამოხდა და ვაჭრობა დაშვებულია მხოლოდ ისეთ ქარხნებსა და სარეწაოებში, რომელნიც სათანადო საფინანსო განყოფილებაში არიან რეგისტრაციაში გატარებულნი.

აქციზის განაკვეთი 1925 წ. 1 ოქტომბრიდან შეადგენდა შინაური წარმოების ლუდისათვის: 29 მ. 30 კ. 100 კილოზე; 1926 წ. 26 მარტის კანონით განაკვეთი იმავე წლის 1 აპრილიდან გადიდებულ იქნა, — დაწესდა 44 მ., ხოლო 1928 წ. 29 თებერვლის კანონით — 55 მ. (იმავე წლის 1 მარტიდან). 1926 წ. 13 აგვისტოს კანონით ლუდის აქციზზე დაწესებულია მიზნობრივი დანარიცხი — 7 მ. 35 კ. (100 კილოზე) ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

უცხოეთიდან შემოტანილი ლუდისა. პორტერისა და ელისათვის, გარდა ბაჟისა, განაკვეთი შეადგენს; აქციზისა — 100 კილო ბრუტო წონაზე (1928 წ. 28 თებერვ. კანონი) 10 მანეთს, ხოლო მიზნობრივი დანარიცხისა — 1,35 მანეთს (იგივე 1926 წ. 13 აგვ. კანონი).

გარდა აქციზისა. ლუდით ვაჭრობისათვის დაწესებულია საგანგებო საპატენტო გამოსადები (1923 წ. 22 დეკ. კანონი), რომლის განაკვეთი (ყველა ადგილებისათვის, გარდა ა/კ. ფედერაციისა, იხ. ქვევით), ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით (იხ. გვ. 153), ნახევარწლიურად შეადგენს (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი					
	მოსკოვი	1	2	3	4	5
1. საქარხნო სარდაფებისა და საბითუმო საწყოებისათვის	30	25	20	15	10	5
2. საცალო სავაჭროებისათვის:						
ა) არა იქვე მოსახმარად გამოყიდველ სავაჭროებისათვის	20	15	10	7,50	5	3,50
ბ) იქვე მოსახმარად გამოყიდველ სავაჭროებისათვის	50	35	25	20	15	10
გ) დროებით გამოყენება, ბაზრებსა და სეირნობებზე გამართულ სავაჭროებისათვის (ვაჭრობის თითოეული დღისათვის)	3	2,50	2	1,50	1	0,75

ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში (1925 წ. 5 ივნისის კანონის თანახმად) საგანგებო სა-
სატენტო გამოსაღების განაკვეთი შეადგენს (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი				
	1	2	3	4	5
1. საქარხნო სარდაფებისა და საბითუმო საწყობებრისათვის	25	20	15	10	—
2. არა იქვე მოსახმარად გამოყიდველ სავაჭროებისათვის	10	8	6	4	3
3. მხოლოდ იქვე მოსახმარად გამოყიდველ სავაჭროებისათვის:					
ა) რესტორანებისა, სასადილოებისა და რკინისგზის ბუფეტებისათვის	150	100	75	50	30
ბ) თეატრისა, ცირკისა, გემებისა და ვაგონ-რესტორანებში გამართულ ბუფეტებისათვის	10	8	6	4	3
გ) საღამოებისა, ბაზრებისა, ბაზრობებისა და სეირნობებზე დროებითი გამოფენებისა და ბუფეტებისათვის (ვაჭრობის თითოეული დღისათვის)	4	3	2	1,50	1
4. როგორც იქვე მოსახმარად, ისე გასატანად გამოყიდველ სავაჭროებისათვის:					
ა) დუქნებისათვის	30	20	15	10	7,50
ბ) საღამოებისა, ბაზრებისა, ბაზრობებისა და სეირნობებზე მხოლოდ ლუდის გამოყიდველ დროებით გამოფენებისა და ბუფეტებისათვის (ვაჭრობის თითოეული დღისათვის)	2	1,50	1	0,75	0,50

საგანგებო სასატენტო გამოსაღებზე, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, დაწესებულია მიზნობრივი დანარიცხი (1923 წ. 14 დეკ. კანონი)—25%, რომლის გამოყენება ხდება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

ლუდის უცხოეთში გატანის დროს დაშვებულია აქციზის უკან დაბრუნება (დანარიცხის ჩაუთვლელად), რისთვისაც საფუძვლად აიღება ნედლი მასალიდან (ალოდან) მზა პროდუქტის საშუალო გამოსავალი უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში.

ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ დააკრიფონ დანარიცხი-ლუდის გაყიდვის უფლებისათვის დადგენილ საგანგებო სატენტის ფასზე არა უმეტეს ამ ფასის 100%-ისა.

ლუდის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში ნავარაუდევია იყო 1926/27 წ. ბიუჯეტით 38.500 ათასი მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 3,49%, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევია 40.000 ათასი მ. ანუ—3,10% (წინა წელთან შედარებით—104¹/₁).

3. ღვინის ხარკი. —ეს ხარკი ეხება ღვინოს, შუშხუნა ღვინოს და ღვინის მსგავს სასმელებს (ხილის ღვინოებს). უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ფართობის ხარკი რომლისათვის საზომ საფუძვლად მიიღება ვენახის ფართობი და ნიადაგის სიაჯვარე. მაგრამ ეს ფორმა დაბეგვრისა მეტად მოუხეშავია, — ხარკი ხშირად სოფლის მეურნეს ეკისრება, წლიური მოსავლის მერყეობა რაოდენობისა და ხარისხის მხრივ არ გაითვალისწინება და ღვინის მოხმარებაში გამომუდგენებული გადამხდელითი უნარის შესაფერისად მომხმარებელი არ იბეგრება. იგივე უნდა ითქვას საწინების ხარკის შესახებაც, რომელიც ტკბილის რაოდენობის მიხედვით აიღება. ტრანსპორტის ხარკის სახით ღვინის ხარკი უკავშირდება ან ღვინის გადაზავნის მომენტს, სახელდობრ, როდესაც ღვინო წარმოების ადგილიდან სხვაგან გაიგზავნება, — და აქ ხარკს უმრავლეს შემთხვევაში გამგზავნი იხდის, — ანდა უკავშირდება მიტანის მომენტს, როდესაც საჭიშკრო ხარკის (Octrois) სახით გადაიხდება ღვინის შეტანისას, სახელდობრ ისეთ ადგილებში, რომლებიც სახარკო თვალსაზრისით კარჩაკეტილ ადგილებდაა გამოცხადებული. საწყობის ხარკის სახით იგი გადაიხდება მაშინ, როდესაც საწყობებსა და სარდაფებში მიიტანება. სავაჭრო ხარკის სახით ის აიკრიფება ღვინის წვრილად გაყიდვის დროს (ადგილობრივ დასაღვეი ღვინის ხარკი ეწოდება, როდესაც მხოლოდ რესტორან-სამიკიტნოში მოხმარებულ ღვინოზე გადაიხდება). არის ღვინის ხარკი ზოგან ლიცენზიის სახითაც, რომელიც ისეთი სარეწაოების მიერ გადაიხდება, რომელნიც ღვინოს ამზადებენ ან მით ვაჭრობენ. დაბეგვრის სხვადასხვა სახეები ჰქონდა და ნაწილობრივ ეხლაც აქვს ერთმანეთთან დაკავშირებული საფრანგეთს, ღვინის მოხმარების სრული და გაოსავლიანი დაბეგვრის მიზნით; მაგრამ ამ წესს ის უარყოფითი მხარე აქვს, რომ წარმოებისა და ალემბიცემობის ძლიერ შემავიწროებელია და არათანაბრად მოქმედ ორმაგ დაბეგვრას იწვევს. გერმანიის ღვინის ხარკი, რომელიც ერთი წლის წინად გაუქმებულ იქნა, გადახდის მომენტით უშუალოდ მოხმარებას უკავშირდებოდა; ხარკი გადასახდელი იყო მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ღვინო გაიცემოდა მოხმარებელზე, ე. ი. იმ პირზე, რომელიც არც მწარმოებელი და არც ვაჭარი არის. ასეთი წესი საერთოდ და-

ბეგვრის ტეხნიკის მხრივ მიზანშეწონილ ფორმას წარმოადგენდა, თუმცა, მეორეს მხრივ, ვითარცა უარყოფითი მხარე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი გულისხმობს დავთარწარმოებას მწარმოებელთა და ვაჭართა მიერ ღვინის ბრუნვის შესახებ და ფართო ზედამხედველობის გაწევას სახარკო უწყების მიერ. გაუქმება ღვინის ხარკისა გერმანიაში, რომლის საბაზი იყო ღვინის მწარმოებელთა ჩივილი ღვინის ბაზრის დაცემის შესახებ, სახარკო პოლიტიკის თვალსაზრისით ვერ გამართლდება. ეს ნიშნავს ნაკლულობის დამყარებას სასმელების დაბეგვრის საქმეში, სადაც ლუდი და არაყი ძალიან დაბეგრულია, ხოლო ღვინის მოხმარება, რომელიც გერმანიაში უმთავრესად შეძლებულ კლასებს შეეხება, ყოველგვარ ხარკისგან თავისუფალი რჩება.

გერმანიაში 1918 წლამდე ღვინის ხარკი არსებობდა მხოლოდ ელზას-ლოტარინგიაში, ვიურტემბერგსა და ბადენში. საიმპერიო მთავრობის ცდამ 1893/94 წელში ღვინის ხარკის შემოასაღებად მიზანს ვერ მიაღწია, ვინაიდან რეისტაგი ამის წინააღმდეგი იყო. მხოლოდ შუშუნა ღვინო ექვემდებარებოდა დაბეგვრას 1902 წ. 9 მაისის კანონის გამოცემის შემდეგ. ღვინის ხარკი პირველად შემოდებულ იქნა 1918 წ. 26 ივლისის საიმპერიო კანონით (შეცვლილ იქნა სხვადასხვა კანონებით და დეკრეტებით, უკანასკნელად—1925 წ. 10 აგვისტოს), მაგრამ 1926 წ. 31 მაისის კანონით კვლავ გაუქმებულ იქნა. ხარკის საგანს წარმოადგენდა ღვინის, შუშუნა ღვინის, ყურძნის ტკბილის (ბადაგის) და ღვინის მსგავს სასმელების (ხილის ღვინის და წვენი) გაყიდვა. ხარკი შეადგენდა შუშუნა ღვინისა და მსგავსი სასმელებისთვის 30%-ს, შუშუნა ღვინისთვის (ხილის წვენი-საგან) და სხვა ღვინოებისთვის—20%-ს სახარკო ფასეულობისა, ე. ი. იმ ფასისა, რომელსაც მომხმარებელი იხდიდა. სახარკო ვალდებულება წარმოსდგება ღვინის მომხმარებლებზე გაცემასთან ერთად; მომხმარებლად მიჩნეული იყო ღვინის არავაჭარი მყიდველი. მიკიტანი და წვრილი ვაჭარი მომხმარებლად, იყო მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შინაური წარმოების ღვინოს კასრიდან ჩასხმით ჰყიდდნენ ადგილობრივ დასახლებად. 1925 წ. 1 ივლისიდან ხარკის გაუქმების დღემდე ღვინის ხარკიდან მიღებული შემოსავლის მესამედი მევენახეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნა გამოყენებული.

ს. ს. რ. კავშირი.—ღვინის დაყენება და თავისუფალი ყიდვა-გაყიდვანებადართულ იქნა (რ.ს.ფ.ს.რ.-ში) 1921 წ. 9 აგვისტოს დეკრეტით (შემდეგში მრავალი ცვლილება-დამატებით: 1923 წ. 24 აგვ., 1924 წ. 28 მარტის, 1925 წ. 27 მარტის და 13 აგვ. და 1926 წ. 13 აგვ. კანონით), რომლითაც დაწესებულ იქნა აგრეთვე ღვინის აქციზი. აქციზი ეხებოდა ყურძნის ღვინოს (20 გრადუსამდე), ხილის და ქაშისის ღვინოს (14 გრადუსამდე) და შუშუნა ღვინოს (შაშპანიურის ტიპისას). აქციზისგან თავისუფალი იყო; ღვინის დაყენება მევენახეობის რაიონებში და ხილის ღვინოების დამზადება საკუთარი საქროებისათვის; მშრომელ მევენახე-მეღვინეთა, მათ გაერთიანებთა და საბჭოთა მეურნეობების მიერ. საკუთრივ დამზადებული ყურძნის ღვინო, გასაღებული მევენახეობის რაიონში (ხილის ღვინოები—ყველგან) უშუალოდ მომხმარებლებზე; გაფუჭებული ღვინო, დანიშნული ძმრის დასამზადებლად ანდა გადასადგურელად; ყურძნის ტკბილი და პასტერიზაციაქმნილი ყურძნის წვენი.

აქციზის განაკვეთი 1925 წ. 1 სექტემბრიდან შეადგენდა (1925 წ. 13 აგვ. კანონით):

	ვედროზე	ლიტრზე
ყურძნის და ხილის ღვინისთვის 14 გრადუსამდე	64 კაპ.	5 კაპ.
ყურძნის ღვინისთვის 14-დან 16 გრადუსამდე	1 მან. 60 „	13 „
ყურძნის ღვინისთვის 16-დან 20 გრადუსამდე	3 „ 20 „	26 „
შუშუნა ღვინისთვის (შამპანიურისთვის)	9 „ 60 „	78 „

ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ში, 1925 წ. 6 ნოემბრის კანონით, ყურძნის ღვინოებისთვის აქციზი გადაიდებოდა საგანგებო საპატენტო გამოსადების სახით (1925 წ. 6 ნოემბრის კანონით), გარდა შემდეგი ქალაქებისა: ტფილისი, ბაქო, ერევანი, ბათუმი, განჯა, ფოთი და ლენინაკანი, სადაც აქციზის გადახდა საერთო წესით სწარმოებდა. საგანგებო საპატენტო გამოსადების განაკვეთი, დაწესებული საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს 1926 წ. 27 იანვრის დადგენილებით, ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით (იხ. გვ. 153) შეადგენდა (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი				
	1	2	3	4	5
ა) ყურძნის ღვინის საბითუმო საწყობებისა, სარდაფებისა, დუქნებისა, რესტორანებისა, სასადილოებისა და რკინიგზის და გასართობ დაწესებულებათა ბუფეტებისათვის (წლიურად)	200	160	120	80	40
ბ) დროებით გამოფენებსა, სადამოებსა, ბაზრობებსა და სხვაგან გამართულ ბუფეტებისათვის (ვაჭრობის თითოეული დღისათვის)	4	3	2	1,50	1

აქციზით დაბეგვრას ექვემდებარებოდა, ბაყთან ერთად, აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილი ღვინოები ისეთივე განაკვეთით, როგორც შინაური წარმოების ღვინოებისათვის იყო დაწესებული (1926 წ. 13 აგვ. კანონი).

გარდა აქციზისა, ღვინით ვაჭრობის უფლებისათვის დაწესებული იყო საგანგებო საპატენტო გამოსადები (1923 წ. 15 ნოემბ. და 1925 წ. 25 ოქტ. კანონი) მიზნობრივი დანარიცხით (25%) წერაკითვის

უკოდინარობის სალკვიდაციოდ (1923 წ. 14 დეკ. კანონი); ადგილობრივ საბჭოებს უფლება ჰქონდათ საგანგებო პატენტის ფასზე დაეწესებიათ და აეკრიფათ დანარიცხი—არა უმეტეს ამ ფასის 100%-სა.

1927 წ. 26 ოქტომბრის კანონით, იმავე წლის 1 ოქტომბრიდან, აქციზი ხილის ღვინოებსა, აგრეთვე ყურძნის ღვინოზე 14 გრადუსამდე (ტრალღესით) გაუქმებულ იქნა. საკავშირო სახელობო კომისართა საბჭოს დადგენილებით (3 აპრ. 1928 წ.), რომელიც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ჯერ არ დაუმტკიცებია, 1928 წლის 1 ივლისიდან აქციზი საერთოდ ღვინოებზე და აგრეთვე ღვინოთ ვაჭრობის უფლებისათვის საგანგებო საპატენტო გამოსაღები სრულიად უქმდება.

ღვინის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში ხვარაუდვეი იყო 1926/27 წ. ბიუჯეტით 8.000 ათასი მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 0,70%.

4. არაყის ხარკი.—ხარკის საგანს წარმოადგენს ფქვილნარი (კართოფილი, ხორბალი, სიმინდი) ან არაფქვილნარი (ხილი, ლუდის, ღვინის და შაქრის წარმოების ნარჩომები) მასალების გამოხდისა და დესტილიაციის (დაწმენდის) საშუალებით მიღებული ალკოჰოლი. ძველ სახარკო კანონებით დაბეგვრა ჩვეულებრივ ეხებოდა მხოლოდ ისეთ ალკოჰოლს, რომელიც სახელმწიფოს შიგნით სასმელად იყო დანიშნული, მაშინ როდესაც საოჯახო მეურნეობისა და სამრეწველო მიზნებისათვის დანიშნული ალკოჰოლი დენატურატად გადაქცევის. გზით ადამიანის მოხმარებისათვის გამოუსადეგი უნდა გამხდარიყო. ახალი კანონებით კი აღნიშნული მიზნებისათვის დანიშნული ალკოჰოლიც იბეგრება, მხოლოდ—მცირე განაკვეთებით. არაყის ხარკი შეიძლება ან ნედლი მასალის ხარკის, ან გამოსახდელი ქვების ხარკის, ანდა ფაბრიკატის ხარკის სახისა იყოს. ნედლი მასალის და გამოსახდელი ქვების ხარკის შესახებ იგივე ითქმის, რაც ლუდის ხარკის შესახებ. ის, მართალია, ხელს უწყობს ტექნიკურ გაუმჯობესებას, რის საშუალებით არაყის გამომხდელს შეუძლია ალკოჰოლის მეტი გამოსავალი მიიღოს, ვიდრე სახარკო კანონს აქვს ნავარაუდვეი, და ამით სახარკო ტვირთი შეიმსუბუქოს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იძლევა ექსპორტის დროს ფარული საექსპორტო პრემიის მიღების შესაძლებლობას და ხელს უწყობს ქარწმარმოების განვითარებას; არაყის ქარხნებსაც სხვადასხვა ზომით ბეგრავს,—სახელდობრ დამუშავებული ნედლეულის ხარისხისა და საწარმოო იარაღთა სხვადასხვა წარმოებითი უნარიანობის მიხედვით. ფაბრიკატის ხარკით, ე. ი. წმინდა ალკოჰოლის ხარკით იბეგრება ფაქტიურად წარმოებული რაოდენობა და ექსპორტის დროს ის შესაძლებელს ხდის უკან დასაბრუნებელი ხარკი სწორად იქნას გამოანგარიშებული. სიძნელე, რასაკვირველია, აქაც არსებობს. ეს ხარკი მოითხოვს

არაყის მრეწველობაზე ფხიზელ ზედამხედველობას წარმოების დაწყებიდან მოხმარებაში გადასვლამდე, და ეს კი, ქარხნების სიმრავლის გამო, ძვირადღებულ ჯდება და საძნელოც არის. აქაც, ისევე როგორც ლუდის დაბეგვრის დროს, საჭიროა წვრილ ქარხნებს, რომელნიც მცირე წარმოებითი უნარიანობის იარაღებით მუშაობენ, სახარკო შეღავათები მიეცეს; განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო არაყმხდელობას, რომლის წარმოების ნაჩომები წარმოადგენს ძვირფას საკვებს საქონლისათვის და ხელს უწყობს სასოფლო მეურნეობის მომგებიანობისა და ნაყოფიერობის გაზრდას. აქ დასახელებულ დაბეგვრის მეთოდებს გარდა, ზოგან ადგილი აქვს აგრეთვე, სხვა ალკოპოლიანი სასმელების ხარკთა მსგავსად, დაბეგვრას ლიცენზიებისა და წვრილი ქარხნებისათვის გარდაკვეთილი გადასახადის სახით.

ყველაზე უფრო სწორედ სწარმოებს დაბეგვრა მონოპოლიის ფორმით. შვეიცარიაში მონოპოლია არსებობს 1886 წლიდან; 1894 წელს ხელახლა იქნა შემოღებული რუსეთში, სადაც სახელმწიფოს ცალკე ნაწილებში ის უკვე მე 17 საუკუნიდან არსებობდა. ორივე ქვეყანაში მონოპოლიის შემოღებისას ამ მოსაზრებასაც ჰქონდა თანაგადამწყვეტი მნიშვნელობა: რომ ალკოპოლის მოჭარბებული მოხმარება შეკვეცილიყო. უკანასკნელ დროს, სახელდობრ 1918 წ. 26 ივლისის კანონით, ალკოპოლის მონოპოლია გერმანიის იმპერიაშიც იქნა შემოღებული. ამ კანონის მეტად რთული დადგენილებები ქვევით მოყვანილ შენიშვნაშია გადმოცემული. აქ შეიძლება ის აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ზოგიერთი მასალიდან (ცელულოზიდან და სხვ.) ალკოპოლის დამზადების უფლება მარტოდმარტო მონოპოლიის მართველობას აქვს მიკუთვნებული,—სხვა მასალიდან ალკოპოლის წარმოება თავისუფალია და მონოპოლიის მართველობა ალკოპოლს განსაზღვრულ ფასებში იღებს მწარმოებელთაგან, საჭიროებისამებრ სწმენდს და გადამმუშავებელ მრეწველობაზე ჰყიდის, სხვაობა ნასყიდობის ფასსა და მაღალ გაყიდვის ფასს შორის წარმოადგენს სამონოპოლიო შემოსავალს. არაყისა და არაყის ნაწარმოებთა იმპორტიც მონოპოლიის მართველობის საგანს შეადგენს. მაშასადამე, არაყის მონოპოლია გერმანიაში არსებითად მონოპოლიაა ვაჭრობისა და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოებისაც, ანუ, თუ მის ცალცალკე ნაწილებს ავიღებთ, მონოპოლიაა ნაწილობრივ: წარმოებისა, შესყიდვისა, დაწმენდისა, იმპორტისა და ვაჭრობისაც. პურის და ხილის არაყის ჩაბარება მონოპოლიის მართველობისათვის არაა სავალდებულო; ამგვარ არაყზე სამაგიეროდ შესაფერი საარაყო გადასახადია დაწესებული;

ფასი, რომლადაც მონოპოლიის მართველობას უნდა გადაეცეს ალკოჰოლი მწარმოებელთაგან, სხვადასხვა არაყის სახისა და ქარხნების სიდიდის მიხედვით. ქარბწარმოების თავიდან აცილების მიზნით ქარხნებს განსაზღვრული რაოდენობის გამოხდის უფლება ეძლევათ; როდესაც ქარხანა მისთვის მიცემულ საწარმოო ნორმას გადააცილებს, გარდამეტი რაოდენობის ალკოჰოლს მონოპოლიის მართველობა მისგან დაკლებულ ფასში აიღებს.

არაყის დაბეგრა გერმანიის იმპერიის 1887 წლამდე ერთნაირად იყო მოწესრიგებული მხოლოდ ჩრდილოეთ-გერმანიაში; სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოებს საკუთარი ხარკები ჰქონდათ დაწესებული. 1887 წელს კი მთელი იმპერიისათვის ერთნაირი დაბეგრა იქნა შემოღებული. ხარკი წარმოადგენდა ფაბრიკატის ხარკის შეერთებას ქვაბისა და მასალის ხარკთან. არაყის სახდელ ქარხნებს ცალკე დანიშნული ჰქონდათ ალკოჰოლის განსაზღვრული კონტინგენტი გამოსაზღვრავად, რომლის ზედმეტად დამზადებული ალკოჰოლი გადიდებული სახარკო განაკვეთებით იბეგრებოდა. ამას გარდა არსებობდა ე. წ. გამოხდის ხარკი, რომელიც არაყის ქარხნების (არსებითად მხოლოდ სამრეწველო ხასიათის ქარხნების) სიდიდის მიხედვით მატულობდა. 1909 წ. 15 ივლისის და 1912 წ. 14 ივნისის კანონებით დაბეგრა გამარტივებულ იქნა; ქვაბისა და მასალის ხარკი გაუქმდა. კონტინგენტის მაგივრად დაწესებულ იქნა „საშუალო გამოხდა“; რაც ამაზე მეტად იქნებოდა დამზადებული, ის დენატურატად—მაშასადამე, ადამიანის მოხმარებისათვის გამოუსადეგად—უნდა ყოფილიყო ქცეული, ანდა საზღვარგარეთის ბაზარზე გატანილიყო. ლიტრა ალკოჰოლზე მხოლოდ ერთი მოხმარების გადასახადი იყო გადასახდელი 1,25 მარკის რაოდენობით. საიმპერიო მთავრობის პროექტები მონოპოლიის დაწესებისა 1880-იანი წლების ბოლოს და 1909 წელს ვერ განხორციელდა. არაყის მონოპოლიის განხორციელებულ იქნა ომის დასასრულს, — ფინანსური გაკირვების გამო. იგი დაწესდა 1918 წ. 28 ივლისის კანონით, რომელსაც შემდგომი მრავალი დამატებანი და დეკრეტები მოჰყვა (მაგ., 1923 წ. 15 თებერვ., 26 მაისს, 11 აგვ. და 21 დეკ.-ს, 1923 წ. 19 დეკ.-ს).

მონოპოლიის საგანს წარმოადგენს: 1. გერმანიაში დამზადებული არაყის მიღება არაყსახდელ ქარხნებიდან; 2. არაყის დამზადება ცელულოზიდან; 3. უცხოეთიდან შემოტანა; 4. არაყის დაწმენდა; 5. არაყის გამოყენება და არაყითვაჭრობა. ამ საქმის გამგებლობა მინდობილი აქვს საიმპერიო მონოპოლიის მართველობას, რომელიც იყოფა ა) მონოპოლიის ბიუროდ და ბ) საკომერციო ნაწილად, რომელთაგან უკანასკნელი, როგორც სახელწოდებულნი იყვნენ, სავაჭრო საქმეებს აწარმოებს. მართველობასთან არსებობს საბჭო, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში (წლიური კონტინგენტის განსაზღვრა, არაყის შესყიდვის და გაყიდვის ფასების დაწესება და სხვ.) მონაწილეობს, და სამრეწველო კომიტეტი, რომელშიც შედიან წარმომადგენელნი ვაჭრობა-მრეწველობის იმ დარგებისა, რომელნიც არაყის გასაღებასა და გადამუშავებაში დაინტერესებული არიან.

არაყის დამზადება ხდება ნაწილობრივ სამონოპოლიო და ნაწილობრივ თავისუფალ ანუ ე. წ. კერძო ქარხნებში. სამონოპოლიოს სახელწოდებით ის ქარხნები იგულისხმება, რომელთა წარმმართველი თვით მონოპოლიის მარ-

თელობაა, და აგრეთვე ის ქარხნები, რომელნიც ალკოჰოლს ცელულოზიდან ამზადებენ. კერძო არაყსახდელი ქარხნები ასე განაწილდებიან: 1. სასოფლო-სამეურნეო, რომლებსაც სახალხო მეურნეობითი მოსაზრებების გამო მრავალგვარი შეღავათი აქვთ; 2. ხილის სახდელი ქარხნები და 3. სამრეწველო არაყის ქარხნები. სასოფლო-სამეურნეო ქარხანად მიიჩნევა ისეთი, რომლის მებატრონე მხოლოდ (უმთავრესად საკუთარწარმოებულ) კართოფილისა და ხორბლიდან ჰხდის არაყს და რომლის ნახადი ნარჩომები და აგრეთვე აქედან მიღებული სასუქი საკუთარ მეურნეობაშივე პოულობს გამოყენებას. ხილის სახდელი ქარხნებია ისეთები, რომელნიც არაყს ჰხდიან ხილიდან, ღვინიდან, ტკბილიდან, თხილიდან, ნარჩომებიდან ან ფესვებიდან. სამრეწველო არაყსახდელი ქარხნებია ყველა დანარჩენები. არაყსახდელ ქარხნებს ეძლევა წლიურად განსაზღვრული გამოსახდელი კონტინგენტი, ე. ი. უფლება იმ რაოდენობის გამოხდისა, რომელსაც სამონოპოლიო მართველობა სრულ ძირითად ფასში (შეუმცირებლად) მიიღებს მწარმოებელთაგან. პატარა ქარხნებისათვის, წლიურად არა უმეტეს 10 ჰექტოლიტრის წარმოებით, ეს რაოდენობა თავისთავად კონტინგენტად არის მიჩნეული; ხილის სახდელი ქარხნისათვის კი ასეთი კონტინგენტი ჩვეულებრივ მთელი რაოდენობა ხილისაგან გამოხდელი არაყისა. ზოგჯერ მწარმოებელს საკონტინგენტო გამოხდის უფლება ეკარგება,—მაგ., ქარხნების კლასის ცვლილების დროს; აგრეთვე შეიძლება კონტინგენტი შემცირებულ ანდა გადიდებულ იქნეს, —ნავარაუდები საჭიროების მიხედვით.

მთელი დამზადებული ალკოჰოლი განსაზღვრულ ჩაბარების ფასში გადაეცემა მონოპოლიის მართველობას. ასეც ფასად იგულისხმება მონოპოლიის მართველობის სამონოპოლიო მასალიდან (ცელულოზიდან) დამზადებული ალკოჰოლისათვის მწარმოებლებთან შეთანხმების საფუძველზე დაწესებული ფასი, ხოლო სხვა ალკოჰოლისათვის—ალკოჰოლის ძირითადი ფასი, რომელსაც ცალკე შემთხვევებში დამატება და დაკლება ახლავს. ძირითადი ფასის განსაზღვრა ხდება დროგამოშვებით და იმგვარად, რომ ის საშუალო ოდენობის (500 ჰექტოლიტრის პროდუქციის) რაციონალურად წარმართულ სასოფლო-სამეურნეო კართოფილის სახდელ ქარხანაში ფარავდეს საშუალოდ ერთი ჰექტოლიტრი სპირტის საწარმოო ხარჯებს. 600 ჰექტოლიტრზე მეტი წლიური წარმოების ქარხნებისთვის ძირითადი ფასი 1—70%-ით მცირდება, ხოლო პატარა ქარხნებისთვის—5—150%-ით და სულ პატარა ქარხნებისთვის—300%-ით დიდდება. საკონტინგენტო უფლების გარეშე (ზედმეტად) დამზადებული სპირტისთვის გამოხდელს ძირითადი ფასი სრულიად არ ეძლევა,—ხილის სახდელ ქარხნებისათვის დაკლება შეადგენს მინიმალურად ძირითადი ფასის 100%-ს, ხოლო სხვა ქარხნებისათვის—ასევე მინიმალურად 200%-ს. ამას გარდა, დაწესებულია დამატება და დაკლება საწარმოს სახის მიხედვით. მეხილეთა ამხანაგობების არაყის ქარხნებს საკონტინგენტო უფლების ფარგლებში დამზადებულ არაყისათვის ეძლევა 100%-ის დამატება, ხოლო სამრეწველო არაყის ქარხნებს ძირითადი ფასი 30%-ით უმცირდება. კართოფილიდან გამოხდელი არაყისათვის ძირითადი ფასი იმავედ აღარ წესდება; სხვა მასალიდან სპირტის გამოხდელ ქარხნებისა და აგრეთვე იმათთვის, რომელნიც, გარდა არაყისა, სხაზრო ნივთიერების (საფუარი) დამზადებას აწარმოებენ, შეიძლება დაწესდეს ძირითადი ფასის დამატებაც და დაკლებაც. ასევე დაკლებ-დამატება გათვალისწინებულია აგრეთვე იმ სპირტისათვის, რომელიც დასაწმინდისა და სიმაგრის მხრივ საშუალო დონეს აკარბებს ან ვერ აღწევს. დასასრულს, ბავარიისა, ვიურტემბერგისა და ბადენში საკონტინგენტო ნორმის სასოფ-

ლო-სამეურნეო ფარგლებში დამზადებული არაყისათვის დაწესებულია ძირითადი ფასის 5%-იანი დამატება, როდესაც ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო და ხილის სახდელი ქარხნებისაა, ხოლო 20%-იანი, — როდესაც სამრეწველო ქარხნებისაა.

სავალდებულო არაა მონოპოლიის მართველობისათვის, სხვათა შორის, პურის და ხილის არაყის ჩაბარება. დაწესებულია სპეციალი არაყის გადასახადი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მონოპოლიის მართველობის მიერ ასაღები არაყისათვის დაწესებულ ფასსა და იმ ფასს შორის, რომელშიც თავის მხრივ თვით მონოპოლიის მართველობა ჰყიდის არაყს, მაგრამ ეს გადასახადი პატარა ქარხნებისათვის საწარმოთა სიდიდისა და სახის მიხედვით მკირდება 75 და 50%-ით.

გაყიდვის ფასი (არსებითად — სასმელი არაყისათვის) მონოპოლიის მართველობის მიერ იმ ანგარიშით წესდება, რომ ნასყიდობის ფასისა და მართველობის ხარჯების ანაზღაურებას გარდა თითო პექტოლიტრზე განსაზღვრული მინიმალური მოგება რჩებოდეს იმპერიის სასარგებლოდ. უცხოეთში გასაზიდი სპირტი შეიძლება მონოპოლიის მართველობის მიერ გაიცეს შეღავათიან საექსპორტო ფასში; ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს გატანილი სპირტისათვის გადახდილი ხარკის უკან დაბრუნებას. უცხოეთიდან შემოტანილ სპირტზე დაწესებულია, გარდა მფარველობითი ბაჟისა, სა მონოპოლიო გადასახადი, რომელიც ეთანასწორება სხვაობას მონოპოლიის მართველობის ჩვეულებრივ გადასაყიდ ფასსა და ძირითად ფასს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში — სხვაობას დაკლებულ გადასაყიდ ფასსა და ძირითად ფასს შორის.

მრავალმხრივი და მკაცრი ღონისძიებებია მიღებული მონოპოლიის შემოსავლის უზრუნველსაყოფად. სპირტის სახდელი ქარხნები ისე უნდა იყოს აგებული, რომ საიმედოდ იკეტებოდეს; სახარკო უწყების ზედამხედველობას ექვემდებარება ყველა საწარმო, რომელიც ალკოჰოლს ამზადებს, ინახავს, გადაამუშავებს ანდა ალკოჰოლის საწარმოო იარაღებს ამზადებს, იძენს, ფლობს ან ჰყიდის; მთავრობა უფლებამოსილია დავთრები შეამოწმოს; აკრძალულია არაყის შინამოხდისათვის მოწყობილობისა და ახსნა-დარიგების შეთავაზება საყიდლოდ და სხვ..

ს. ს. რ. კავშირი. — 1917 წ. რევოლიუციამდე რუსეთში არაყზე დაწესებული იყო სახაზინო მონოპოლია, რომელიც ვრცელდებოდა სპირტის, პურის არაყის და არაყის ნაწარმოებთა გაყიდვაზე. მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მაგარ სასმელთა გაყიდვა აკრძალულ იქნა და ეს აკრძალვა გაგრძელდა რევოლიუციის შემდეგაც 1921 წლამდე, როდესაც (რ. ს. ფ. ს. რ.-ში) ნებადართულ იქნა ჯერ ღვინით (14 გრადუსამდე), ხოლო უფრო გვიან (1923 წ. 30 იანვ. კანონით) სპირტის სასმელებით ვაჭრობა (მოსახლეობის მოხმარებისათვის).

სპირტის აქციზი პირველად შემოღებულ იქნა 1922 წ. 3 თებერვლის კანონით, რომლითაც დაბეგრულ იქნა ტენიკური, ქიმიური და სხვა სპეციალი საჭიროებისათვის დანიშნული სპირტი. აქციზისგან თავისუფალი იყო სამხედრო და საექიმო-სასანიტარო საჭიროებისათვის დანიშნული ნედლი და რექტიფიკაციაქმნილი სპირტი. 1922 წ. 30 ნოემბრის კანონით აქციზის განაკვეთი იმ სპირტისათვის, რომელიც ყურძნის ღვინოების შესაზავებლად, პარფიუმერიის და სხვადასხვაგვარი ესენციების დასამზადებლად იყო დანიშნული, სამჯერ გადიდდა იმ განაკვეთებთან შედარებით, რომელიც ტენიკური საჭიროებისათვის.

დანიშნულ სპირტზე იყო დაწესებული. 1922 წ. 7 დეკემბრის კანონით ნებადართულ იქნა კონიაკის (40-დან 60 გრადუსამდე) დამზადება, რომლის გამოყენება დაშვებულ იქნა მხოლოდ სამკურნალო მიზნებისა და ყურძნის დენივობის შესაზავებლად, და აგრეთვე—არაყის ნაწარმოებთა გაცემა სამკურნალო მიზნებისათვის; არაყის ნაწარმოები და კონიაკი დაბეგრული იქნა აქციზით სპირტის შემცველობის მიხედვით, ხოლო კონიაკი—აგრეთვე დამატებითი აქციზითაც, ვედროების მიხედვით. 1923 წ. 30 იანვრის კანონით არაყის ნაწარმოებთა დამზადება ნებადართულ იქნა სასმელადაც, რასაც შემდეგ მოჰყვა მთელი რიგი დადგენილებებისა სპირტის და სპირტის ნაწარმოებთა აქციზის შესახებ (1923 წ. 22 მარტის, 19 აპრ., 23 მაისის, 27 ივლისის, 19 აგვ., 20 აგვ. და 15 ნოემბ., 1924 წ. 15 თებ., 29 თებ., 21 მარტის, 19 აპრ., 6 ივნისის, 14 ოქტ., 21 ნოემბ. და 3 დეკ., 1925 წ. 14 იანვ., 24 აპრ., 5 ივნისის, 12 ივნისის, 28 აგვ., 18 სექტ. და 28 ნოემბ., 1926 წ. 15 იანვ., 1 ივლისის, 10 ივლისის და 5 ნოემბ., 1927 წ. 22 აპრ., 28 მაისის, 29 ივნისის, 6 ივლისის, 8 აგვ., 7 სექტ., 20 ოქტ., 14 დეკ. და 21 დეკ., 1928 წ. 4 იანვ. და 14 მარტის).

ამჟამად ძალაშია 1928 წ. 6 ივლისის დებულება სპირტისა და სპირტის სასმელთა წარმოება-ვაჭრობის შესახებ, ნაცვლად 1925 წ. 28 აგვისტოს გამოცემული დებულებისა. დებულების თანახმად სპირტზე შემოდებულია სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც მოქმედობს ს. ს. რ. კ.-ის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ისა და უზბეკისტანის და თურქმენისტანის რესპუბლიკებისა. ნედლი სპირტის გამოხდა, ყოველგვარი მასალიდან, დაშვებულია როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ და კერძო სპირტსახდელ, საფუარ-არაყის სახდელ, ხილის და ქაქის არაყისა და კონიაკის ყველა ქარხნებში. მთელი გამოხდილი და აგრეთვე რექტიფიკაციაქმნილი სპირტი, გარდა ხილ-ქაქისა და კონიაკისა, უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალურ სამმართველოს—„ცენტროსპირტს“. სპირტის რექტიფიკაცია, ხილის, ქაქისა და კონიაკის სპირტს გარდა, სწარმოებს სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალური გამგეობის სარექტიფიკაციო ქარხნებსა და აგრეთვე საზოგადოდ სპირტსახდელი ქარხნების სარექტიფიკაციო განყოფილებებში. პურის არაყის დამზადება რექტიფიკაციაქმნილი სპირტიდან შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას და ხორციელდება სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალური გამგეობის მიერ. არაყის ნაწარმოებთა დამზადება კი დაშვებულია როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ და კერძო არაყსახდელ ქარხნებში. არაყის სიმაგრე 40 გრადუსს (ტრალლესით) არ უნდა აღემატებოდეს, ასევე ტკბილი სასმელისაც, ხოლო კონიაკისა და ლიქიორის დამზადება შეიძლება სიმაგრით 60 გრადუსამდე. 40 გრადუსზე მეტი სიმაგრის სპირტი, როგორც ნედლი, ისე რექტიფიკაციაქმნილი, გაიცემა მხოლოდ ტენიკურ-საწარმოო, საექიმოსასანიტარო და სამეცნიერო-სასწავლო საჭიროებისათვის.

სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალურ სამმართველოს („ცენტროსპირტს“),—რომელიც თავდაპირველად საკავშირო ს. მ. უ. ს.-ის გამგებლობაში იყო, ხოლო 1926 წ. 10 სექტ. კანონით ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა,—დაკისრებული აქვს: ა) გამოქმუშავება, საკავშირო ს. მ. უ. ს.-ის მონაწილეობით, სპირტის გამოხდის წლიური კონტინგენტისა და აგრეთვე,—საკავშირო ს. მ. უ. ს.-ის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით,—სახდვარგარეთ გასატანი სპირტის წლიური კონტინგენტისა; ბ) მონაწილეობა სპირტის გამოხდის განაწილებაში სპირტის მწარმოებელ

ორგანიზაციებს შორის; გ) სპირტის გამოქდის აღრიცხვა და სპირტის შენახვა-გამოშვების კონტროლი; დ) გამოხდილი სპირტის შექმნა და რექტიფიკაცია; ე) 40 გრადუსზე მეტი სიმაგრის სპირტის გაცემა ტენზიკურ-საწარმოო, საექიმო-სასანიტარო, სამეცნიერო-სასწავლო და სამეურნეო საჭიროებისათვის და ვ) პურის არაყის დამზადება, რელიზაცია და გაცემა სავაჭრო ორგანიზაციებზე. სპირტის გამოხდის უფლება სასპირტო მონოპოლიის ცენტრალურ სამმართველოს არ ეკუთვნის. „ცენტროსპირტის“ გამგებლობაში გადასულია ყოფილი სახაზინო ღვინის საწყობების ყველა სარექტიფიკაციო ქარხნები და სადგომები, მოწყობილობითა და მათთვის მიკუთვნებული ტერიტორიით.

აქციზი ეხება ეთილის სპირტს, როგორც ნედლს, ისე რექტიფიკაციაქმნილს, რომელიც გაიცემა სხვადასხვა სპეციალ (ტენზიკურ, ქიმიურ და სხვ.) საჭიროებისათვის და აგრეთვე ყურძნის ღვინოების შესახავებლად, პურის არაყის, ტკბილი სასმელების, ჭაჭის არაყის, კონიაკის და ლიქიორის დასამზადებლად.

აქციზის საზომ საფუძველს წარმოადგენს უწყლო ალკოჰოლი, რომელიც სპირტშია. სახარკო ერთეულად დაწესებულია: ბელორუსიის რესპუბლიკაში—უწყლო სპირტის 1 ლიტრი +15° C ტემპერატურით, ხოლო სხვაგან—გრადუსი ე. ი. ერთი ვედრო წმინდა სპირტის 1/100 +15° C-ით, რომელიც, —სპირტის და არაყის მრეწველობაში მეტრიული სისტემის შემოღებასთან ერთად,—თანდათან შეცვლილ უნდა იქნეს ლიტრით.

სახარკო განაკვეთი შეადგენს (1926 წ. 15 იანვ. კანონი, 1927 წ. 22 მაისის და 8 ავგ. კანონების დამატებით):

	ნედლი სპირტის-თვის		რექტიფიკაციაქმნილი სპირტისთვის	
	გრადუსზე	ლიტრზე	გრადუსზე	ლიტრზე
1. წმინდა სპირტისთვის	24 კაპ.	1 მან. 95 კაპ.	30 კაპ.	2 მან. 44 კაპ.
2. დენატურატის სახით ტენზიკური და სამეურნეო საჭიროებისათვის გაცემული სპირტისთვის:				
ა) სანდალოზის (ლაქის) და საბრაილებელის დასამზადებლად .	5 „	40 „	—	—
ბ) ძმრის დასამზადებლად	2 „	16 „	—	—
გ) სხვა საჭიროებისათვის	4 „	32 „	6 „	50 „

მოსახლეობის სამეურნეო საჭიროებისათვის გაცემულ დენატურატ სპირტზე განაკვეთი შეადგენს 2 მ.-ს ვედროზე ანუ 16 მ. 26 კაპ. ჰექტოლიტრზე.

ამიერ-კავკასიაში აქციზის განაკვეთი ხილის, ჭაჭის და კონიაკის სპირტისთვის შეადგენს გრადუსზე 5 კაპ. ანუ ლიტრზე—40 კაპ.; ამიერ-კავკასიიდან კავშირის სხვა ადგილებში სპირტის გატანისას სხვაობა აქციზის განაკვეთებს შორის დამატებით უნდა იქნეს გადახდილი.

გარდა აღნიშნული ძირითადი აქციზისა (რომელიც გადაიხდება სპირტის შემცველობის მიხედვით), პურის არაყსა, ქაქის არაყსა, კონიაკსა და არაყის ნაწარმოებზე დაწესებულია დამატებითი აქციზი. ტვეალობის მიხედვით, რომლის განაკვეთი შეადგენს (მან.):

	ვედროზე	ჰექტოლიტზე
უბრალო პურის არაყისთვის (40°-მდე)	4,40	35,17
უმაღლესი წმენდის პურის არაყისთვის	9,40	76,42
კონიაკისთვის	4,80	39,3
არაყის ნაწარმოებისთვის	12,0	97,50

სპირტის განიხილვად ნებადართულია მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ ქარხნებში; სპირტის რექტიფიკაციის წარმოება შეიძლება „ცენტროსპირტ-ს“ სპირტგამწმენდ ქარხნებსა და სპირტისა და არაყის ქარხნების სპირტგამწმენდ განყოფილებებში; სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (ამიერ-კავკასია, უზბეკისტანი, თუქმენისტანი) რექტიფიკაციის წარმოება შეიძლება როგორც არაყის გამომხდელ ქარხნების სპირტგამწმენდ განყოფილებებში, ისე სპირტგამწმენდ ქარხნებში, დამოუკიდებლად იმისათუ ვის ეკუთვნის ისინი, სპირტის გაცემისა და გადაზიდვ-გადმოზიდვისას სპირტს თან უნდა ახლდეს გატანის საბუთი, ხელმოწერილი არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტისა ან ქარხნის აღმინისტრაციის მიერ.

სპირტსახდელი და სპირტგამწმენდი ქარხნებისა და სპირტის საწყობებიდან გაცემული სპირტისათვის (არა მონოპოლიის რაიონში) აქციზი გადაიხდება შემდეგ ვადაში: თვის პირველ ნახევარში გამოშვებულისათვის—არა ყუგვიანეს იმავე თვის 15 რიცხვისა, ხოლო მეორე ნახევარში გამოშვებულისათვის—არა უგვიანეს იმავე თვის 30 (31) რიცხვისა.

მონოპოლიის რაიონში სპირტსახდელი ქარხნებიდან გამოშვებული სპირტისათვის აქციზის გადახდა ეკისრება სპირტის გამომშვებ სარეწაოს; როდესაც სპირტის გადაცემა „ცენტროსპირტისათვის“ სპირტსახდელ ქარხანაშივე ხდება, აქციზის გადახდა სახელმწიფო სასპირტო მონოპოლიის ცენტრალურ გამგეობას ევალება; ამ უკანასკნელის ქარხნებიდან გამოშვებული სპირტისა, პურის არაყისა და არაყის ნაწარმოებთათვის აქციზის დასარიცხად და გადასახდელად ცენტრალიზაციური წესისა დადგენილი: აქციზის დარიცხვას და გადახდას უშუალოდ თვით მონოპოლიის სამმართველო ახდენს ამ ნაწარმოებთა გამოშვების შესაფერად.

სპირტსახდელი და სპირტის გამწმენდი ყველა ქარხნები ვალდებული არიან დავთრები აწარმოონ, რომელშიც აღინუსხება გამოხდილი და რექტიფიკაციაქმნილი სპირტი და მასზე დარიცხული აქციზი.

არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტები ვალდებული არიან მუდმივი მეთვალყურეობა აწარმოონ არაყის და სპირტის სახდელ ქარხნებზე, შეამოწმონ, რამდენად სწორად სრულდება დადგენილი წესები და სათანადო შემთხვევაში აწარმოონ გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

ძირითად და დამატებით აქციზს გარდა, პურის არაყის, არაყის ნაწარმოების და კონიაკის ვაჭრობის უფლებებისათვის დაწესებულია საგანგებო საპატენტო გამოსადგები, რომლის განაკვეთი (1925 წ. 23

ოქტ. კანონით), ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით (გარდა ა/კავკასიისა—იხ. ქვევით), ნახევარწლიურად შეადგენს (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი					
	მოს- კოვი	1	2	3	4	5
I. საბითუმო (აგრეთვე საბაზისო) საწყობებისთვის	125	90	70	50	35	25
II. ერთდამიწვე სადგომიდან ბითუმად და ცალობით გამყიდველ სავაჭროათვის	100	75	50	40	30	20
III. ცალობით გამყიდველ სავაჭროათვის:						
1) მხოლოდ გასატანად გამყიდველათვის	75	50	30	20	15	10
2) სხვადასხვა კურკლებით და ჩამოსხმით თავისუფალ ფასებში გამყიდველათვის	500	300	200	150	იხ. ქვევით	
3) დაბეჭდილი კურკლით ეტიკეტზე აღნიშნულ ფასებში გამყიდველათვის	125	90	70	50	35	25
4) სხვადასხვა ზომის კურკლებით თავისუფალ ფასებში გამყიდველი ბუფეტებისათვის:						
ა) გემებსა, რკინისგზის მატარებლებსა და საჯარო ადგილებში, გარდა კლუბებისა, თეატრებისა და ტოტალიზატორისა	100	75	50	40	30	20
ბ) კლუბებსა, თეატრებსა და ტოტალიზატორში	200	150	100	80	60	50
გ) რკინისგზის სადგურებზე	150	100	75	50	35	25
დ) დროებით გამოფენებსა, საღამოებსა და სეირნობებზე, ვაჭრობის თითოეული დღისათვის	10	7	5	4	3	2

ადგილმდებარეობის მე-4 და მე-5 კლასში პურის არაყის, არაყის ნაწარმოების და კონიაკის წვრილად გაყიდვა სხვადასხვა კურკლითა და ჩამოსხმით არაა დაშვებული.

ცალობით მოვაქვრე სარეწაოები, რომელთაც გადახდილი აქვთ არაყის, არაყის ნაწარმოების და კონიაკის ვაჭრობის უფლებისათვის საპატენტო გამოსაღები, — ყურძნის, ხილის და ქიშმიშის ღვინოებისა და ლუდით ვაჭრობის უფლებისათვის საგანგებო საპატენტო გამოსაღების გადახდისაგან თავისუფალი არიან.

ამიერ-კავკასიაში საგანგებო საპატენტო გამოსაღები დაწესებულია მაგარ სასმელთა წარმოებისა და ვაჭრობის უფლებისათვის: განაკვეთი (1925 წ. ნ ივნისის კანონით) ნახევარწლიურად შეადგენს (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი				
	1	2	3	4	5
I. ქარხნებისთვის:					
1. სპირტსახდელ ქარხნისთვის:					
ა) ძირითადი გამოსაღები 500.000 გრად.-მდე გამოხდის უფლებისათვის	25	25	25	25	25
ბ) დამატებითი გამოსაღები ყოველი შემდეგი 500.000 გრად.-თვის	5	5	5	5	5
2. კონიაკის ქარხნისთვის	10	10	10	10	10
3. ხილის და ქაქის არაყსახდელ ქარხნისთვის:					
ა) საკონტროლო აპარატით	10	10	10	10	10
ბ) ნორმალური გამოხდით	2	2	2	2	2
4. სარეკტიფიკაციო ქარხნისთვის:					
ა) ძირითადი გამოსაღები 500.000 გრად.-მდე გაწმენდისათვის	15	15	15	15	15
ბ) დამატებითი გამოსაღები ყოველი შემდეგი 500.000 გრად.-თვის	3	3	3	3	3
5. არაყსახდელ ქარხნისთვის	12	9	6	4	2
II. საბაზისო და საბითუმო საწყობებისთვის:					
1. პურის, ხილის და ქაქის სპირტისა	35	25	20	15	10
2. კონიაკის სპირტის და კონიაკისა .	15	10	7	5	5

	1	2	3	4	5
III. ცალობითი ვაჭრობისთვის:					
1. მხოლოდ გასატანად გამყიდველ სავაჭროთათვის	30	25	20	15	10
2. მხოლოდ იქვე მოსახმარად გამყიდველ სავაჭროთათვის:					
ა) რესტორანებისა, სასადილოებისა და რკინისგზის ბუფეტებისთვის .	150	100	75	50	30
ბ) თეატრის, ცირკის და გემების ბუფეტებისა და ვაგონ-რესტორანებისთვის	10	8	6	4	3
გ) საღამოებსა, ბაზარსა, ბაზრობებსა და სეირნობებზე გამართული დროებითი გამოფენებისა და ბუფეტებისთვის (ვაჭრობის თითოეული დღისთვის)	4	3	2	1,50	1
3. როგორც გასატანად, ისე იქვე მოსახმარად გამყიდველ სავაჭროთათვის .	185	125	95	65	40

საგანგებო საპატენტო გამოსაღებზე, 1923 წ. 14 დეკემბრის კანონით, დაწესებულია შიზნობრივი დანარიცხი—25%/—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, ხოლო ამას გარდა, ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ თავიანთ სასარგებლოდ საგანგებო პატენტის ფასზე დააწესონ დანარიცხი, არა უმეტეს ამ ფასის 100%-ისა.

სპირტის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში ნავარაუდევია იყო 1926/27 წ. 508.360 ათასი მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 42,50/ო, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევია 637.200 ათასი მ. ანუ—45,90/ო (წინა წელთან შედარებით—125,30/ო).

5. სხვა სასმელების ხარკები. —ალკოჰოლის სასმელებს გარდა,—ნაწილობრივ იმ აზრით, რომ მათი სახარკო გამოსავალი არ შემცირდეს,—აქა-იქ ადგილი აქვს მინერალური წყლებისა და ხელოვნური ნახშირმჟავა სასმელების დაბეგვრას. ასეთი ხარკი გერმანიის იმპერიამაც შემოიღო 1918 წ. 26 ივლისის კანონით, მაგრამ 1923 წ. 11 აგვისტოს კანონით ისევ გააუქმა. ჩაი, ყავა და კაკაო, ჩვეულებრივ, ბაჟებით (ფისკალური ბაჟებით) იბეგრება.

სასმელების სათემო ხარკები. გერმანიის იმპერიაში, 1923 წ. 23 ივნისის საფინანსო განრიგების კანონის თანახმად, თემებს უფლება ჰქონდათ სა-

თემო ხარკი დაეწესებოდა ღვინის და ღვინისებური სასმელების, შუშხუნა ღვინო-
ების, ლუდის და სასმელი არაყის ადგილობრივ მოხმარებაზე. მაგრამ 1925 წ.
10 აგვ. საფინანსო განრიგების კანონის მიხედვით მათი ახლად შემოღება აკრძა-
ლულია, ხოლო არსებული ხარკები კი 1927 წ. 30 მარტიდან მოსპობილია.
1927 წლის 9 აპრილს გამოცემული კანონი ნებართვას იძლევა მარტოდენ ლუ-
დის შესახებ: თემებს,—განსაზღვრულ პირობებში, მოკავშირე რესპუბლიკის ნებარ-
თვით,—შეუძლიაა ლუდის ადგილობრივ მოხმარებაზე ხარკი დააწესონ, რო-
მელიც მწარმოებელმა ან იმპორტერმა უნდა გადაიხადოს და საქარხნო ფასის
70%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი.—გარდა ზევით აღნიშნულთა, მოსახსენებელია შემ-
დეგი სასმელთა აქციზები:

1. თ ა ფ ლ ი ს სასმელის, ბურახის (კვასის), ხილისა და ხე-
ლოვნური მინერალური წყლების აქციზი, რომელიც დაწესებულ
იქნა 1922 წ. 3 თებერვ. კანონით მზა ნაწარმოების (ფაბრიკატის) ხარკის სახით;
საზომ საფუძვლად აღებული იყო დამზადებული თაფლის სასმელის, ბურახის
(კვასის), ხილისა და ხელოვნური მინერალური წყლების ტევადობა ვედროვ-
ებით. 1923 წ. 17 აგვ. კანონით იმავე წლის 1 ოქტომბრიდან დაბეგრის ასეთი.
წესი შეცვლილ იქნა საგანგებო პატენტის დაწესებით, რომელიც იყოფოდა ძი-
რითად და დამატებით პატენტად; ძირითადი პატენტი გადაიხდებოდა მეოთხედ-
მეოთხედობით წლის განმავლობაში, ხოლო დამატებითი—მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, თუ აღნიშნულ სასმელთა დამზადება განსაზღვრულ ნორმას გადააქარბებ-
და. 1926 წ. 2 აპრილის კანონით იმავე წლის 1 აპრილიდან ყველა ამ სასმელ-
თა აქციზი, უმნიშვნელო გამოსავლიანობის გამო, სრულიად გაუქმებულ იქნა.
1926 წ. 1 ოქტომბრის კანონით თ ა ფ ლ ი ს სასმელი (შემცველი 1 1/2 გრადუსზე
მეტი ალკოჰოლისა, მაგრამ არა უმეტეს 14 გრადუსისა) ისევ იქნა დაბეგრული;
აქციზის განაკვეთად დაწესდა 1 მ. 60 კ. ვედროზე ანუ 13 კ. ლიტრზე. ეს დაბე-
გვრა ხელახლა იქნა გაუქმებული 1928 წ. 1 აპრილიდან (1928 წ. 14 მარტის
კანონი).

2. ჩ ა ი ს აქციზი, დაწესებული 1922 წ. 4 მაისის კანონით (შემდგომ—
ცვლილება-დამატებით). ამჟამად აქციზი ეხება უცხოეთიდან შემოტანილ შავ
და მწვანე ფურცლოვან ჩაის და ფლაქანისებურ ჩაის. აქციზისგან თ ა ვ ი ს უ-
ფ ა ლ ი ა: უცხოეთის ავტონისებური ჩაი და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ის ტერიტო-
რიაზე წარმოებული ყოველგვარი ნატურალური ფურცლოვანი ჩაი. სახარკო
ვალდებულება წარმოიშობა ჩაის გამოშვებისთანავე საბაჟოდან, ანდა,—რო-
დესაც აქციზი ჩაის გამოშვებ სარეწაოებზე გადაირიცხება,—ამ სარეწაოებიდან
ჩაის გამოშვების მომენტში. აქციზის განაკვეთი შეადგენს (კილოზე):

1. ბაიზის ჩაისთვის:

უმადლეხი ხარისხი	2 მან. 75 კაპ.
I ხარისხი	1 „ 65 „
II ხარისხი	— 92 „

2. მწვანე ჩაისთვის

1 „ —

3. ფლაქანისებური ჩაისთვის

— 74 „

შრომის და თავდაცვის საბკოს 1927 წ. 19 მარტის დადგენილებით ჩაის
ფასზე დაწესებულია ან ა რ ი ც ი —1,50/0, ამიერ-კავკასიაში ჩაის კულტურის

განვითარების ფონდისათვის. ეს ფონდი შექმნილია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და მისი დახარჯვა სწარმოებს ა/კ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად შემდეგი საქროებისათვის: გლენ-პლანტატორებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად, საცდელი საქმის საორგანიზაციოდ, გეო-ბოტანიკური, ნიადაგისა, პავისა და ეკონომიურ გამოკვლევათა სწარმოებლად, საინსტრუქტორო-აგრონომიული დახმარებისა და სამეცნიერო ექსპედიციების მოსაწყობად, უცხოეთიდან ჩაის საქმის მკოდნე სპეციალისტების მოსაწვევად და ჩაის ფურცლის გადამმუშავებელ ქარხანათა ქსელის გასაფართოებლად.

ჩაის აქციზის გადახდა ხდება ბანდეროლის შემოხვევით შეფუთულ ჩაიზე, ხოლო ფილაქანისებური ჩაისთვის—ჩაის თითოეულ ფილაქანზე. გადახდის ვადაა 1½ თვე დღიდან სახარკო ვალდებულების წარმოშობისა. ჩაის გამოშვებ სარეწაოებსა, საწყობებსა და ჩაის შეფუთვაზე სახარკო უწყება (არაპირდაპირ ხარკთა ინსპექცია) ზედამხედველობას აწარმოებს.

3. ყავის აქციზი დაწესებულ იქნა 1922 წ. 4 მაისის კანონით (შემდეგ—ცვლილებებით). აქციზი ეხებოდა ნატურალურ ნედლ, მოხალულ და დაფქულ ყავას და ციკორს. აქციზის განაკვეთი 1925 წ. 1 ოქტომბრიდან შეადგენდა (1925 წ. 30 ოქტ. კანონით) კილოზე 1 მ. 22 კ.-ს. 1927 წ. 2 აპრილის კანონით აქციზი გაუქმდა, ხოლო მის ნაცვლად გადიდებულ იქნა საშიჯნო ბაჟი ყავაზე (1927 წ. 1 ივნისიდან).

4. საფუარის აქციზი; დაწესებულ იქნა 1922 წ. 27 ივლისის კანონით. აქციზი ეხება დაწნეხილ, მშრალ და გამხმარ საფუარს. განაკვეთი შეადგენს (კილოზე): 1) დაწნეხილი საფუარისთვის 64 კაპ.; 2) მშრალი საფუარისთვის: ა) როდესაც დაშადებულია დაწნეხილი საფუარის გამოშრობის გზით—1მ. 95კ., ხოლო ბ) როდესაც დაშადებულია დაწნეხილი საფუარისთვის ფქვილისა და სხვა შენარევის მიმატებით—64 კ. აქციზის გადახდა ხდება ბანდეროლის შემოხვევის საშუალებით.

§ 63. თამბაქოს ხარკი.—თამბაქოს ხარკის შესაფასებლად იგივე ითქმის, რაც ალკოჰოლიანი სასმელების ხარკის შესახებ. თამბაქო მხოლოდ საგემოვნო-სალიზო საშუალებაა და მისი მოხმარება თავისუფალი შემოსავლის მაჩვენებელია. საფინანსო გამოსავლიანობა ამ ხარკისა დიდი განაკვეთების დროსაც კი უზრუნველყოფილია იმის გამო, რომ აღამიანი ადვილად ხელს ვერ იღებს თავის ჩვეულებაზე. დაბეგვრის მეთოდებია: დაბეგვრა ფართობის, მცენარის, წონის და ფაბრიკატის მიხედვით და ჩონჩოლია.

ფართობის ხარკი წესდება თამბაქოთი დაჭერილი მიწის სივრცის მიხედვით, ხოლო მცენარის ხარკი—მცენარის ნერგების რიცხვის მიხედვით. ორივე ეს ხარკი მეტად ტლანჭი ფორმისაა, მეთამბაქოეს დიდად ავიწროებს (განსაკუთრებით მეორე, —ნერგების დაბეგვრა), არ ითვალისწინებს ან არასაკმაოდ—მოსავლის რაოდენობას და ღირსებას, ხშირად ვერ გადაიკისრება და, მაშასადამე, მის მზიდველად მეთამბაქოე რჩება; ამიტომ ამ ფორმის ხარკი მცი-

რე უნდა იყოს. წონის ხარკი, რომელიც აიღება მოკრევილი თამბაქოს ფოთლის—ფერმენტაცუამდე ან მის შემდეგ—წონის მიხედვით, თუმცა ფაქტიურ მოსაგალს ანგარიშს უწევს, მაგრამ თან ახლავს ფართობის და ნერგების დაბეგვრის უარყოფითი მხარეები. ფაბრიკატის ხარკი იკრიფება დამზადებული ნაწარმოების რაოდენობის მიხედვით. თამბაქოს სანაცვლო ნივთიერებანი, რამდენადაც მათი გამოყენება დაშვებულია, საგანგებო სახარკო განაკვეთების საფუძველზე იბეგრებან. ფაბრიკატის ხარკი შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ფაბრიკატის ფასეულობასთან. მისი აკრეფა ხდება ან ფაქტურის საფუძველზე, რომლის დროსაც ხარკის საზომად მიიღება ფაბრიკანტის ცნობები დამზადებული საქონლისა და მისი ხარისხების შესახებ, ანდა სახარკო ნიშნის ანუ ბანდეროლის დაკვირვით, რომელიც სახარკო უწყებიდან უნდა იყიდოს მწარმოებელმა. ამ შემთხვევაში მწარმოებელს თამბაქოს ნაწარმოები მხოლოდ დახურულ და ბანდეროლგადაკრულ კოლოფ-ყუთებში ჩაწყობილ-ჩალაგებული შეუძლია გაიტანოს ალებ-მიცემაში. ბანდეროლი იმგვარად უნდა იყოს შემოკრული, რომ სახვევის, კოლოფის თუ ყუთის გახსნის დროს გაიხეს. ფაბრიკატის ხარკი ამ ფორმით (ბანდეროლით) შემოღებულია გერმანიაში 1919 წ. 12 სექტემბრიდან და ეხება ყოველგვარ თამბაქოს ნაწარმოებს, აგრეთვე პაპიროსს, ქალაღს, რომელიც თამბაქოს მოსაწევად გამოიყენება მომხმარებელთა მიერ. ვინაიდან თამბაქოს ფარულად გადამუშავება ადვილია, განსაკუთრებით მრავალრიცხოვან წვრილ ნაწარმოებში, ამიტომ, როცა ხარკი ფაბრიკატზეა დაწესებული, საჭირო ხდება ფართო და რთულ საზედამხედველო ღონისძიებათა მიღება; შინაურ თამბაქოზე ზედამხედველობას ადვილი აქვს ჯერ მცენარის აღმოცენებიდან მოსაგლის მოწევამდე; ზედამხედველობის ქვეშ არის მოსაგლის გამორკვევა, მისი აწონვა, განსაზღვრულ ვადაში გამოცხადებულ თამბაქოს ვაჭრებსა და დამმუშავებლებზე გაყიდვა ან საჯარო საწყობებში დალაგება: მკაცრ კონტროლს ექვემდებარება აგრეთვე თამბაქოთი და თამბაქოს ნაწარმოებით ვაჭრობა, თამბაქოს საწყობებში შენახვა და გადამუშავება. სახარკო ნიშნების გაყალბებისათვის და საერთოდ სხვადასხვა ქმედობისათვის, რომელსაც ხარკის მოპარვა აქვს მიზნად, დიდი ფულადი ჯარიმა და სხვა სასჯელი არის დაწესებული.

უკვე ორ საუკუნეზე მეტია (ავსტრია), რაც შემოღებულია თამბაქოს დაბეგვრა მონოპოლიის ფორმით; ასეთი ფორმით არსებობს ის სხვათა შორის საფრანგეთსა და იტალიაშიც. მის ჩვეულებრივ სახეს წარმოადგენს სრული მონოპოლია, ე. ი. თამბაქოს ნა-

წარმოებთა დამზადება, გასაღება და აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანა მონოპოლიის მართველობის ხელშია; თავისუფალია მხოლოდ თამბაქოს თევზა-მოყვანა, რომელიც ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ არის დაყენებული და რომლის პროდუქტი მონოპოლიის მართველობას უნდა გადაეცეს. მონოპოლიის მთავარ უარყოფით მხარედ, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, რომელსაც დიდად განვითარებული კერძო მრეწველობა აქვს და მრავალრიცხოვანი ვაჭართა კლასი ჰყავს, იმას ასახელებენ, რომ მისი შემოღებით მრავალ ადამიანს დამოუკიდებელი არსებობა მოესპობა და სახელმწიფოს დიდი თანხების გაღება დასჭირდება არსებულ საწარმოთა შესასყიდად; ასახელებენ იმასაც, რომ სახელმწიფოს საწარმოთა მიერ დამზადებული ნაწარმოები ღირსებით მდარეა, ყოველ შემთხვევაში ისე მრავალხარისხოვანი არაა, როგორც კერძო წარმოებაში. მაგრამ ყველა ამის სამაგიეროდ ის დადებითი მხარე შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ სახელმწიფოს საფინანსო შემოსავალი უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე დაბეგვრის სხვა სახეთა გამოყენების დროს, და რომ ფასი და სამონოპოლიო დამატება ფასისა შესაძლებელია შეუფარდდეს პროდუქტის ხარისხსა და მომხმარებელთა გადამხდელობით უნარიანობას.

გერმანიის იმპერიაში თამბაქოს ხარკი არსებობდა, 1879 წ. 16 ივლისის კანონის გამოცემის შემდეგ, უმთავრესად ნედლი მასალის ხარკის სახით: 100 კილო გადასამუშავებლად დამზადებულ ნედლ თამბაქოზე დაწესებული იყო 45 მარკა, 1909 წ. 15 ივლისის კანონის გამოცემის შემდეგ კი—57 მარკა. ამას გარდა, აქა-იქ, გამოჩაქლისის სახით, ადგილი ჰქონდა დაბეგვრას ფართობის მიხედვითაც, რომელიც 1879 წლამდე დაბეგვრის საერთო წესს წარმოადგენდა მთელს გერმანიაში: თამბაქოთი დაქერილ კვადრატული მეტრის ფართობზე გადასახდელი იყო 5,7 პფ. (წინად—4,5 პფ.). საზღვარგარეთიდან შემოტანილი თამბაქო და თამბაქოს ფაბრიკატი, რომელიც წინად მხოლოდ საბაჟო განაკვეთებით იბეგრებოდა, 1909 წლიდან, გადიდებულ ბაჟს გარდა, დაბეგრილ იქნა ფასეულობის 40%-ის ოდენობით, ხოლო 1916 წ. 17 ივლისს შემდეგ, —650/0-ის ოდენობით. 1906 წ. 3 ივნისის კანონით შემოღებულ იქნა პაპიროსების ხარკი, რომლის განაკვეთები 1909 და 1916 წლის კანონებით საგრძნობად იქნა გადიდებული.

თამბაქოს დაბეგვრის გარდაქმნა და გაერთიანება მოიტანა 1919 წ. 12 სექტ. კანონმა (ცვლილებები 1922 წ. 22 დეკ., 1922 წ. 8 აპრილის, 1923 წ. 29 მარტის, 1923 წ. 30 ოქტ. და 1925 წ. 10 აგვ. კანონებით). ხარკის ობიექტს წარმოადგენს: 1. სახელმწიფოს შიგნით მოხმარებისათვის დანიშნული თამბაქოს ნაწარმოები, აგრეთვე თამბაქოს სანაცვლო ნივთიერება, რამდენადაც ასეთის გამოყენება დაშვებულია, 2. ასევე სახელმწიფოს შიგნით მწვეველთა უშუალო მოხმარებისათვის დანიშნული პაპიროსის ქაღალდი. ხარკისგან თავისუფალია ადამიანთა უშუალო მოხმარებისათვის გამოუყენებლად გადაქცეული ან საზღვარგარეთ გატანილი თამბაქო. სახარკო მოვალეობა წარმოიშობა, ე. ი. ხარკი გა-

დასახდელია, როგორც კი ნაწარმოები თავისუფალ აღებმიცემაში გაიტანება საწარმოდან, სახარკო საწუობებიდან, შემოიტანება უცხოეთიდან ან გაიტანება საბაჟოს საწუობებიდან. პიროვნულად ხარკვალდებულისა მწარმოებელი და—იმპორტის შემთხვევაში—იმპორტერი. სახარკო განაკვეთი, რომელიც ბაჟს გარდა არის გადასახდელი, საფეხურებად იყოფა საცალო ფასების მიხედვით და შეადგენს: ა) სიგარეტისთვის ფასით 2 პენინგამდე თითოსთვის, 4 მარკას 1000 ცალზე, ფასით 3 პენინგამდე—6 მარკას, ფასით 8 პენინგამდე—8 მარკას და ასევე ზევით უფრო ძვირფასისთვისაც—20⁰/₀-ს; ბ) პაპიროსებისთვის, ფასით 1/2 პენინგამდე ცალობრივ—1 მარკას 1000 ცალზე, ფასით 1 პენინგამდე—2 მარკას, ფასით 1 1/2 პენინგამდე—3 მარკას და ასევე ზევით უფრო ძვირფასისთვისაც—20⁰/₀-ს; გ) ერთ კილო დაქრილ მოსაწვე თამბაქოსთვის ფასით 6 მარკამდე—2,70 მარკას, ფასით 7 მარკამდე—3,15 მარკას, ფასით 8 მარკამდე—3,60 მარკას და ასევე ზევით უფრო ძვირფასისთვისაც—საცალო ფასის 45⁰/₀-ს; დ) ერთ კილო ჩვეულებრივი საჩიბუხე თამბაქოსთვის ფასით 1 მარკამდე—0,20 მარკას, ფასით 2 მარკამდე—0,40 მარკას, ფასით 2 1/2 მარკამდე—0,50 მარკას და ასე შემდეგაც საცალო ფასის 20⁰/₀-ს; ე) საღებავი თამბაქოს 1000 წირეხზე ან ნაქერზე—3 მარკას და მეტს; ვ) ბურნუთისთვის კილოზე—0,10 მარკას და მეტს; ზ) პაპიროსის ქაღალდისთვის—1,50 მარკას 1000 რვეულზე. ხარკის გადახდა სწარმოებს ბ ა ნ დ ე რ ო ლ ის საშუალებით, რომელიც შეხვეულ ნაწარმოებს (შეხვევის იძულება) უნდა შემოეკრას.

ამას გარდა, არსებობს მასალის ხარკი პაპიროსის თამბაქოზე. ხარკის საგანს წარმოადგენს ნედლი თამბაქო, რომელიც პაპიროსის დასამზადებლად გამოიყენება; ხარკვალდებულისა სწარმოს მეპატრონე. ხარკი შეადგენს 400 მარკას ორმაგი ცენტნერისათვის (100 კილო), ამდენივე გადაიხდება საზღვარგარეთიდან შემოტანილ პაპიროსებზეც სათანაბრო ხარკის სახით (ბაჟსა და სეერთო თამბაქოს ხარკს გარდა).

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი.—ძველ რუსეთში თამბაქოს დაბეგვრა იწყება 1838 წლიდან, როდესაც დაწესებულ იქნა (1838 წ. 31 მარტის კანონით) თამბაქოს აქციზი ფაბრიკატის ხარკის სახით; აქციზს დაექვემდებარა შინაური წარმოების საბურთეთე და მოსაწვეი თამბაქო; სააქციზო განაკვეთი შეადგენდა გასაყიდი ფასის 26⁰/₀—33⁰/₀-ს და გადაიხდებოდა ბანდეროლის შემოხვევით. შემდეგ დროში (1871, 1877, 1882, 1887, 1892, 1901 და 1909 წ.წ. კანონებით) თამბაქოს დაბეგვრამ ცვლილებები განიცადა, მაგრამ არსებითად 1838 წ. კანონის მიერ დადგენილი წესი არ შეცვლილა. რევოლიუციის შემდეგ (1918 წ. 21 ნოემბრის და 1920 წ. 17 იანვრის კანონებით) სხვა არაპირდაპირ ხარკებთან ერთად გაუქმებულ იქნა თამბაქოს დაბეგვრაც,—მაგრამ 1921 წ. 21 ნოემბრის კანონით (რ. ს. ფ. რ.-ში) ის ისევ იქნა აღდგენილი. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენდა მოსაწვეი თამბაქო, პაპიროსი, სიგარა, სიგარეტი და მახორკა, ხარისხებად დაუყოფლად, და განაკვეთებად დაწესდა (1922 წ. 21 იანვ. კანონით): მოსაწვეი თამბაქოსთვის (გირ.)—60 კაპ., პაპიროსისთვის (1000 ც.)—1 მ., სიგარეტისთვის (1000 ც.)—1 მ. 25 კაპ., სიგარისთვის (1000 ც.)—2 მ. 50 კ. და მახორკისთვის (გირ.)—5 კაპ. 1922 წ. 21 სექტემბრის კანონით თამბაქოს დაბეგვრის წესი არსებითად შეცვლილ იქნა: ფაბრიკატის ხარკის მაგივრად დაწესებულ იქნა ნედლი მასალის ხარკი (გარდა სიგარის, სიგარეტის და მახორკისა, რომელთა მიმართ წინანდელი

წესი დარჩა ძალაში) და დაბეგვრას დაექვემდებარა, გადიდებული განაკვეთებით, შემოტანილი თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოებიც. 1923 წ. 17 ივლისის კანონით ნედლი მასალის ხარკი ისევ ფაბრიკატის ხარკით შეიცვალა და დაბეგვრის მიზნით თამბაქოს სამი ხარისხი (უმაღლესი, პირველი და მეორე) დაწესდა.

1925 წ. 1 იანვრიდან თამბაქოს სამ ხარისხად დანაწილების მაგივრად შემოდებულ იქნა ხუთ ხარისხად დანაწილება, — „უმაღლესი“, „პირველი ა“, „პირველი ბ“, „მეორე ა“ და „მეორე ბ“ (1926 წ. 20 აგვ. დადგენილებით — მე-6 ხარისხი მიემატა, — „მესამე“) და დაწესდა მტკიცე გასაყიდი ფასები (უმაღლეს ხარისხს გარდა).

თამბაქოს მოყვანა მთელი კავშირის ტერიტორიაზე ყველასათვის ნებადართულია, მხოლოდ პლანტაციები — რეგისტრაციის, ხოლო მოყვანილი თამბაქო — აღრიცხვას ექვემდებარება. პლანტაციების რეგისტრაციას აწარმოებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი თამბაქოს დარგვის შემდეგ, მეთამბაქოეთა მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, და იმ ვადაში, რომელსაც სამაზრო (საგუბერნიო ან სხვ.) საფინანსო განყოფილება აწესებს (მაგრამ არა უგვიანეს 1 ივლისისა).

თამბაქოს წარმოებასა, თამბაქოს ნაწარმოებთა გამოშვებასა და ვაჭრობაზე სახარკო უწყება (ერაპირდაპირ ხარკთა ინსპექცია) მეთვალყურეობას ეწევა. თამბაქოს ფაბრიკა საჯალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება და მოწყობილი უნდა იყოს სახარკო უწყების მიერ დადგენილი წესების დაცვით: ფაბრიკა უნდა მოეწყოს ცალკე შენობაში ან ერთ ეზოში მდებარე რამდენიმე შენობაში; ქუჩისაკენ მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ღია გასასვლი, ხოლო დანარჩენები — არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტების მიერ დალუქული უნდა იყოს. ფაბრიკას უნდა ჰქონდეს რამდენიმე მთავარი განყოფილება (მაგ., ფურცლოვანი თამბაქოს შესანახად, ნაწარმოებთა დასამზადებლად, მათ შესათეთვავად და ბანდეროლის შემოსაკვრელად, და სხვ.). ფურცლოვანი თამბაქოს გატანა, გადაშუშავება და ფაბრიკატის გამოშვება შესაფერ საფაბრიკო დაეთრებში უნდა ტარდებოდეს; დასასრულ, მეთვალყურეობა ვრცელდება თამბაქოს ნაწარმოებთა ვაჭრობაზეც: ის სათანადო პატენტის საფუძველით უნდა სწარმოებდეს, ნაწარმოები აქციზგადახდილი უნდა გაიყიდოს და აკმაყოფილებდეს შეფუთვის და შეფუთული ნაწარმოების შესახებ არსებულ წესებს.

თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული შემოსავალი შესდგება:

ა) აქციზიდან შინაური წარმოების თამბაქოსა (ყველა ხარისხის მოსაწევ და საბურთო თამბაქოსა, ყველა ხარისხის პაპიროსსა, სიგარასა და სიგარეტზე) და უცხოეთიდან შემოტანილ თამბაქოზე (ბაჟს გარდა) და ბ) საგანგებო საპატენტო გამოსადებიდან თამბაქოს ნაწარმოებით ვაჭრობის უფლებისათვის.

სახარკო ვალდებულება წარმოიშობა შინაური წარმოების თამბაქოსათვის — ფაბრიკიდან ან საბაზისო საწყობიდან გამოშვების მომენტში; ხოლო უცხოეთის თამბაქოსათვის — საბაჟოდან გამოშვების მომენტში.

აქციზის საზომ საფუძველს წარმოადგენს თამბაქოსათვის — წონა (კილოებში), ხოლო პაპიროსისა, სიგარისა და სიგარეტისათვის — რაოდენობა (ათას ცალით).

აქციონის განაკვეთი შეადგენს (1925 წ. 20 აგვისტოს კანონით) თამბაქოსათვის (კილოებში);

თამბაქოს ხარისხი	აქციონის განაკვეთი	
	მან.	კაბ.
უმადლესი	9	50
პირველი ა	6	—
პირველი ბ	5	10
მეორე ა	3	30
მეორე ბ	2	60
მესამე	1	40
მახორკისთვის	—	50

პაპიროსზე განაკვეთის დასაწესებლად დადგენილია საზღვრითი წონა 1000 ცალი პაპიროსისთვის (1926 წ. 20 აგვ. კანონი), რომლისთვისაც აქციონი ჩვეულებრივი განაკვეთით გადაიხდება: როდესაც წონა ამზე მეტია (ორმაგ წონამდე) ორმაგი განაკვეთი გადაიხდება, ხოლო ორმაგ საზღვრით წონაზე მეტი წონის პაპიროსების დამზადება არაა დაშვებული. განაკვეთი შეადგენს:

პაპიროსის ხარისხი	აქციონის განაკვეთი		საზღვრითი წონა (გრამებში)	ორმაგი განაკვეთი—წონისათვის (გრამებში)
	მან.	კაბ.		
უმადლესი	9	—	820	820-დან 1640-დე
პირველი ა	5	20	720	720 „ 1440 „
პირველი ბ	4	20	615	615 „ 1230 „
მეორე ა	2	45	565	565 „ 1130 „
მეორე ბ	1	80	515	515 „ 1030 „
მესამე	1	—	500	500 „ 1000 „
მახორკის პაპიროსისთვის	—	80	615	615 „ 1230 „

სიგარეტისთვის აქციონის განაკვეთი (1926 წ. 20 აგვ. და 1927 წ. 3 სექტ. კანონებით) შეადგენს (1000 ცალზე): I ხარისხისთვის—16 მ., II ხარისხისთვის—9 მ., ხოლო სიგარეტისათვის (1000 ც.)—6 მ.

უცხოეთიდან შემოტანილ ყველა ხარისხის თამბაქოსათვის აქციზის განაკვეთი შეადგენს (კილოზე)—(გარდა 12 მ.-ის ბაჟისა) 9 მ.£0 კ., ყველა ხარისხის პაპიროსისათვის (1000 ც.)—9 მ., სიგარისათვის (1000 ც.): I ხარისხისა—16 მ., II-სა—8 მ. და სიგარეტისათვის (1000 ც.)—6 მ. (ბაჟი ყველა ამათვის—30 მან. კილოზე).

აქციზის გადახდის ვადაა: სახელმწიფო და კოოპერატიული ქარხნებისა და საბაზისო საწყოებისათვის—არა უგვიანეს 4 თვისა ნაწარმოების გამოშვებიდან, ხოლო კერძო ქარხნებისათვის—არა უგვიანეს 1 თვისა.

აქციზი გადაიხდება ბანდეროლის შემოხვევით თამბაქოსა და პაპიროსზე, რომელთა შეფუთვა განსაზღვრული წესების თანახმად სწარმოებს.

გარდა აქციზისა, თამბაქოთი ვაჭრობის უფლებისათვის დაწესებული საგანგებო საპატენტო გამოსადები, რომლის განაკვეთი (1923 წ. 15 ნომბ. კანონით), ადგილმდებარეობის კლასთა მიხედვით (იხ. გვ. 153), ნახევარწლიურად შეადგენს (მან.):

	ადგილმდებარეობის კლასი					
	მოსკოვი	1	2	3	4	5
1. თამბაქოს და თამბაქოს ნაწარმოებით ბითუმად მოვაჭრე სარეწაოებისა და პაპიროსის სახელოსნოებისათვის	30	20	15	10	7,50	5
2. თამბაქოს ნაწარმოებით ცალობით მოვაჭრე სარეწაოებისათვის	20	15	10	7,50	5	3
3. თამბაქოს ნაწარმოებით ცალობითი მოძრავი ვაჭრობისათვის	6	4	3	2	1,50	1

საგანგებო საპატენტო გამოსადებზე, წერა-კითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციოდ, დაწესებულია მიზნობრივი დანარიცხი (1923 წ. 14 დეკ. კანონი)—100/0, ხოლო ადგილობრივ საბჭოებს, ადგილობრივი ფინანსების დებულებების საფუძველზე, უფლება აქვთ დააწესონ და აკრიფონ პატენტის ფასზე დანარიცხი არა უმეტეს 100/0-ისა.

თამბაქოს გარდა, 1921 წ. 21 ნოემბრის კანონით აქციზი იქნა დაწესებული პაპიროსის კილზსა და ქაღალდზე. აქციზის საზომ საფუძველს წარმოადგენდა პილზისათვის—რაოდენობა (1000 ცალობით), ხოლო პაპიროსის ქაღალდისათვის—დაჭრილი რვეულები. 1923 წ. 13 ივნისის კანონით პაპიროსის ქაღალდის დაბეგვრის წესი შეიცვალა,—აქციზი დაწესდა ქაღალდის ფართობის მიხედვით (კვადრ. მეტრებში), დამოუკიდებლად ქაღალდის სისქისა. 1924 წ. 7 მარტის კანონით ეს წესიც შეიცვალა და აქციზის საზომ საფუძველად აღებული იქნა ქაღალდის სისქე ხარისხის მიხედვით. სახარკო განაკვეთი შეადგენდა (1924 წ. 7 მარტის კანონით): ა) პირველი ხარისხის ქაღალდის 1 კვადრ. მეტრისთვის წონით 13-დან 18 გრამამდე—2 კაპ.; ბ) მეორე ხარისხის ქაღალდის 1 კვადრ. მეტრისთვის წონით 18-დან 24 გრამამდე—1/2 კაპ.; გ) მესამე ხარისხის ქაღალდის 1 კვადრ. მეტრისთვის წონით 24-დან 27 გრამამდე—1/4 კაპ.

1927 წ. 26 ნოემბრის დადგენილებით იმავე წლის 1 დეკემბრიდან აქციზი პაპიროსისა და მოსაწევი ქაღალდისათვის გაუქმებულ იქნა (პილზის აქციზის დატოვებით).

პილზის დაბეგვრისათვის საზომ საფუძველს წარმოადგენს პილზის რაოდენობა (1000 ცალით); აქციზის განაკვეთი შეადგენს (1923 წ. 30 აგვ. კანონით) 26 კპ.-ს ათასი ცალი ისეთი პილზისათვის, რომლის სიგრძე 5 სანტიმეტრს არ აღემატება; თუ ეს სიგრძე 5 სანტიმეტრზე მეტია, მაგრამ—არა უმეტეს 10 სანტიმეტრისა, ორმაგი განაკვეთი აიღება; 10 სანტიმეტრზე მეტი სიგრძის პილზის დამზადება არაა ნებადართული.

თამბაქოს აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა; 1923/24 წ. 37.443 ათას მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 15,50/0-ს, 1924/25 წ.—82.023 ათას მ. ანუ—16,20/0-ს (წინა წელთან შედარებით—219,10/0-ს) ხოლო 1925/26 წ.—123,931 ათას მ. ანუ—14,80/0-ს (წინა წელთან შედარებით—151,10/0-ს); 1926/27 ბიუჯეტით ნაგარაუდვეი იყო 165.874 ათასი მ. ანუ—13,70/0 (წინა წელთან შედარებით—1340/0), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტში შეტანილია—168.200 ათასი მ. ანუ—12,10/0 (წინა წელთან შედარებით—101,20/0).

პაპიროსის პილზისა და ქაღალდის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. 1,6 ათას მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 0,70/0-ს, 1924/25 წ. 1,3 ათას მ. ანუ—0,33/0-ს, 1925/26 წ.—1,3 ათას მ. ანუ—0,20/0-ს, ხოლო 1926/27 წ. ბიუჯეტით ნაგარაუდვეი იყო 1,5 ათასი მ. ანუ—0,10/0.

§ 64. ბრუნვის ხარკები.—განსაზღვრულის აზრით, შეიძლება ვთქვათ, რომ თითქმის ყველა მოხმარების ხარკი ბრუნვის ხარკს წარმოადგენს, ვინაიდან იგი თავის მიზანს—მომხმარებლის დაბეგვრას—მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც დაბეგრილი საქონელი გაყიდვის გზით მივა მომხმარებლამდე. მაგრამ ბრუნვის ხარკი ვიწრო აზრით ეწოდება ისეთ ხარკს, რომელიც მრავალ სხვადასხვაგვარ პროდუქტებს ეხება და რომელსაც, მაშასადამე, მეტ-ნაკლებ ნაწარმოებთა საერთო დაბეგვრის ხასიათი აქვს. ასეთ ხარკებს ადგილი ჰქონდა აქა-იქ საშუალო საუკუნეების ქალაქებში, უფრო მეტად—მე-17 და მე-18 საუკუნეში გენერალური აქციზის (პრუსია) ან გენერალური სა-მომხმარებლო აქციზის (საქსონია) სახელწოდებით. მხოლოდ:—ეს აქციზები სარეწავი ხარკისებურ გადასახადებთან იყო დაკავშირებული და ეხებოდა მხოლოდ იმ პროდუქტებს, რომელიც ქალაქებში შეიტანებოდა გარედან ან ქალაქში ბაზარზე გაიტანებოდა.

ახალი დროის ბრუნვის ხარკი პრინციპიალურად საერთო (საზოგადო) ხასიათისაა: იგი ეხება ყოველგვარი საქონლის ბრუნვას ქალაქად და სოფლად (გარდა იმ საქონელთა, რომელნიც უკვე საგანგებო ხარკით არიან დაბეგრილნი). კიდევ უფრო გაფართოებულია ეს ხარკი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი, როგორც, მაგ., გერმანიის ბრუნვის ხარკი, თავისუფალი პროდუქციის წარმომადგენელთა (ექიმე-

ბის, ვეჭილების, ხუროთმოძღვრების და სხვ.) საქმიანობასაც ბეგრავს. გერმანიის ბრუნვის ხარკის კანონში, გარდა ამისა, უკანასკნელ დრომდე სპეციალი ბრუნვის ხარკიც იყო ჩართული, რომელიც გადიდებული სახარკო განაკვეთებით ბეგრავდა ზოგიერთ საქონელსა და საქმიანობას, რომელთა გამოყენება დიდი ზომის მოხმარებისა ან ფუფუნებითი მოხმარების მომასწავებელია.

ტეხნიკური წესის მიხედვით ბრუნვის ხარკი შეიძლება იყოს ან წარმოების, ან წვრილი (საცალო) ვაჭრობის ანდა ნამდვილი ბრუნვის ხარკის სახისა. პირველსა და მეორე შემთხვევაში მიზანი ის არის, რომ საქონელი მხოლოდ ერთხელ იქნეს დაბეგრული. ნაწარმოების ხარკის დაწესებისას გადასაჭრელია ძნელი საკითხი იმის შესახებ, თუ წარმოების რომელ სტადიას უნდა დაუთავსდეს ხარკი, აგრეთვე საკითხი: მოსახერხებელია თუ არა და როგორ არის მოსახერხებელი, რომ ხარკი ფაბრიკატების საბოლოო ფასებს შეუფარდდეს. თავისთავად უფრო მიზანშეწონილია საცალო ვაჭრობის ხარკი: მას ის დადებითი მხარე აქვს, რომ საქონელთა საბოლოო ფასებს უფარდდება და ხარკის გადაკისრების პროცესისთვის ფარგალს ზღუდავს გაცვლა-გამოცვლით ცალობით მოვაჭრესა და მოხმარებელს შორის. და თუ კანონების მიერ ხარკი ამ ფორმით არაა მიღებული, არამედ—ნამდვილი ბრუნვის ხარკის ფორმით, ამის მიზეზია, შექველად, ფისკალური მოსაზრებები. ბრუნვის ხარკი ეხება თითოეულ ბრუნვას, ე. ი. თითოეულ მესაკუთრეობის ცვლას, რომელსაც საქონლის მიმართ ადგილი აქვს, დაწყებული ნედლი მასალიდან ფაბრიკატის სახით გასაღებამდე. მაშინაც კი, როდესაც მცირე განაკვეთია დაწესებული, დაბეგრა საგრძნობ სახარკო ტვირთს შეადგენს, ვინაიდან იგი რამდენჯერმე მეორდება, ამიტომ ამ ხარკის დიდი გამოსავალი უზრუნველყოფილია. თანაბარი ფინანსიური შედეგის მისაღწევად საცალო ვაჭრობაზე ხარკის დაწესების წესით საჭირო იქნებოდა სახარკო განაკვეთის რამდენიმე პროცენტით გადიდება, რასაც, რაზან იგი, გადიდებასთან ერთად ადვილ დასანახიცაა, გადამხდელები, შექველია, დიდ წინააღმდეგობას გაუწევდენ.

საერთო ბრუნვის ხარკის გამართლება შეიძლება მხოლოდ საფინანსო ვაჭირვებით და იმ გარემოებით, რომ ყველა უფრო რაციონალური ხარკი უკიდურესობამდე გამოყენებული სახელმწიფოს მიერ. ბრუნვის ხარკი აძვირებს საქონელს,—აძვირებს მეტად უთანასწოროდ ბრუნვის სიხშირის მიხედვით, ისევე ძლიერად ბეგრავს აუცილებელ საარსებო საგნებს,—შეიძლება მეტადაც,—როგორც არა საარსებოთ და დაბლა სწევს საარსებო დონეს; საჭიროდ ხდის მრავ

ვალგზის გადაკისრებას, აძნელებს კალკულიაციას და დიდ შედეგობებს აყენებს ვაჭარ-მრეწველებს, რომელთაც ევალებათ ყოველი ბრუნვის აღნიშვნა და ხარკის წინასწარ (აგანსის სახით) გადახდა.

ბრუნვის ხარკის არსის შესახებ ერთაზროვნობა არ არსებობს. გერმანიის ბრუნვის ხარკი საიმპერიო კანონმდებლობას და ცნობილ იურისტ მწერლებს მიმოქცევის ხარკად მიაჩნიათ. სხვა აზრის მიხედვით იგი მოხმარების ხარკია, სხვების აზრით კიდევ—ნაწილობრივ არის მიმოქცევის ხარკი, რამდენადაც სახელდობრ საქმიანობას ბეგრავს, და ნაწილობრივაც—მოხმარებისა. გერმანული იურისპრუდენცია თავისი შეხედულების დასასაბუთებლად იმ გარემოებას აღნიშნავს, რომ ეს ხარკი თავდაპირველად საიმპერიო საშტემპლო საფასურის კანონში იყო მოქცეული, რომ ამ ხარკს პირდაპირ ხარკთა ორგანოები განაგებენ და არა—არაპირდაპირთა და რომ იგი წლიური ბრუნვის მიხედვით სათანადო დეკლარაციის საფუძველზე გადაიხდება. ამის საპასუხოდ უნდა ითქვას ის, რომ საფინანსო მეცნიერების თვალსაზრით ჯერ გამოსაკვლევიან, თუ კანონმდებლის აზრით როგორი უნდა იყოს ხარკის მოქმედება, ვის უნდა დაეკისროს იგი საბოლოოდ გადასახდელად. კანონის სხვადასხვა დადგენილებიდან სჩანს, რომ კანონმდებელი, თუმცა ხარკის გადახდას, ადვილგასაგები საფუძვლით, საქონლის გამცემს და საქმიანობის გამწვეს აკისრებს, მაინც იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ ხარკი საქონლისა და სამსახურის მიმღებს გადაეკისრება. ასეთი გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ზოგ შემთხვევაში ხარკი პირდაპირ ანგარიშში ჩაიწერება, რომ ზოგჯერ კიდევ საქონლის გამცემს (და არა: საქმიანობის გამწვეს) შეუძლია მოპირდაპირესაგან მოითხოვოს ნასყიდობის ფასში ჩათვლილი ხარკის ანაზღაურება. რა თქმა უნდა, ფრიად საეჭვოა, რომ განხორციელდეს კანონმდებლის განზრახვა და ყოველთვის მოხდეს გადაკისრება. მაგრამ ასეთივე მდგომარეობაა სხვა მოხმარების ხარკების შესახებაც. ამიტომ საფინანსო მეცნიერების თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ბრუნვის ხარკი მოხმარების ხარკად ჩავთვალოთ და იმისებრ შევაფასოთ. ის თავისებურება, რომელიც მას ფორმალურად განასხვავებს სხვა მოხმარების ხარკებისგან, იმ გარემოებიდან წარმოსდგება, რომ აქ ხარკი გადახდელის მთელ სამომხმარებლო გასაფასს ეხება და სახარკო უწყებებსა და მომხმარებელს შორის განუწყვეტელი დამოკიდებულება მყარდება.

გერმანიის იმპერიის ბრუნვის ხარკი წარმოდგარია ბრუნვის საშტემპლო საფასურიდან, რომელიც ომის დროს 1915 წლის 26 ივნისის

კანონით იქნა დაწესებული 10/0-ის ოდენობით. 1918 წელს მის ნაცვლად სავაჭრო-სამრეწველო აღმშენებლობისა და საქმიანობის ბრუნვის ხარკი იქნა შემოღებული. ახალი კანონი გამოცა 1919 წ. 24 დეკემბერს, რომელმაც შემდეგში თვალსაზრისით ცვლილებები განიცადა 1922 წ. 8 აპრილის, 1925 წ. 10 აგვისტოს და 1926 წ. 31 მარტის კანონებით. 1926 წლამდე არსებობდა ორგვარი ბრუნვის ხარკი: საერთო ბრუნვის ხარკი და რამდენიმე სპეციალი ხარკი, რომელიც სხვადასხვა უფრო ძვირფას საქონელს და პროფესიულ საქმიანობას მაღალი განაკვეთებით ბეგრავდა. ამჟამად არსებობს მარტო საერთო ბრუნვის ხარკი. მისი განაკვეთი 7-ჯერ იქნა შეცვლილი: თავდაპირველად შეადგენდა $1/2$ 0-ს, 1919 წ. — $1 1/2$ 0-ს, 1922 წ. — 20 0-ს, 1923 წ. — $2 1/2$ 0-ს, 1924 წ. — ნოემბრიდან 20 0-ს, 1925 წ. 1 იანვრიდან — $1 1/2$ 0-ს, 1925 წ. 1 ოქტომბრიდან 10 0-ს, ხოლო 1926 წ. 31 მარტიდან შეადგენს 0,75 0-ს.

ბრუნვის ხარკი ეხება ყოველგვარ საქონლის გაცემა-ჩაბარებას და სამსახურს, რომელსაც ვინმე აწარმოებს სახელმწიფოს შიგნით თავისი დამოუკიდებელი სავაჭრო-სამრეწველო ან პროფესიული საქმიანობის სფეროში სასყიდლით. ასეთ საქმიანობად მიიჩნევა, გარდა ვაჭრობა-მრეწველობისა, მოპოვებითი წარმოებაც და ე. წ. ლიბერალური პროფესიების პირთა (ექიმების, ვეკილების, ხელოვანთა, მწერალთა, ხუროთმოძღვართა და სხვ.) პროფესიული საქმიანობაც. მსწავლულნი, ხელოვანნი, მწერალნი, შემდეგ — სავაჭრო აგენტები და მაკლერები, რომელნიც ავტორებს აწარმოებენ, — ხარკისგან თავისუფალი არიან, თუ საკლენდარო წელში მათი ბრუნვის ჯამი 6000 მარკას არ აღემატება. ხარკკუთვნილია აგრეთვე რაიმე საგნის წადება საკუთარი საწარმოდან პირადი მიზნებისათვის. ამრიგად, ბრუნვის ხარკი არ ეხება მარტო მოხელეებისა და მუშა-მოსამსახურეების სამსახურს, აგრეთვე კერძო პირთა ისეთ საქონლის გაცემასა და სამსახურს, რომელიც მათ დამოუკიდებელ სავაჭრო-სამრეწველო და პროფესიულ საქმიანობას არ შეადგენს. საქონლის გაცემა საჯარო ვაჭრობის გზით ყოველთვის ხარკკუთვნილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჯარო ვაჭრობა სწარმოებს იძულებითი აღსრულების წესის საფუძველზე, ან მემკვიდრეობის გასაყოფად, ანდა როდესაც საჯარო ვაჭრობით ადგილ-მამული იყიდება.

ხარკი შეადგენს თითოეულ ხარკკუთვნილ ბრუნვაზე ანაღების 0,75 0-ს. სავაჭრო დავთარწარმოების მქონე ხარკვალდებულები პირნი და დაწესებულებანი შეიძლება დაბეგრდნენ იქნენ ნამდვილი მინაღების მაგივრად ნავარაუდები მინაღების მიხედვით. ხარკვალდებულებია ის, ვინც სავაჭრო-სამრეწველო ან საპროფესიო საქმიანობას ეწევა, ხოლო საჯარო ვაჭრობის დროს — საჯარო ვაჭრობით საქონლის გამყიდველი. არ არის ნებადართული მყიდველისათვის მისაცემ ანგარიშში ხარკის ცალკე ჩაწერა; სამაგიეროდ ნებადართულია მისი ფასში ჩათვლა, — ეს ჩათვლა კანონმდებლის მიერ იგულისხმება. მხოლოდ ისეთ ხარკვალდებულ პირებს, რომლებმაც თავიანთი გასამრჯელოს გამოანგარიშების დროს კანონით დაწესებულ საფასურთა ნორმებით უნდა იხელმძღვანელონ, კანონი ნებას აძლევს ხარკი ცალკე ჩარიცხონ მათ მიერ გაცემულ ანგარიშებში. პირველად ხარკისგან თავისუფალი არის იმპერია ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონისათვის, იმპერია, მოკავშირე რესპუბლიკები და თემები — სასაკლავოსა, აირსადენისა, ელექტროსადგურებისა და წყალსადენისათვის, აგრეთვე მხოლოდ საზოგადო საარგებლობისა და საქველმოქმედო მიზნების მსახური სარეწავლები იმ ბრუნვების მხრივ, რომელიც უშუალოდ ამ მიზნებს ემსახურება, თუ მოთხოვნილი ნაცვალგება (სასკიდელი) ნაკლებია ჩვეულებრივზე, დასასრულ — არა-

საჯარო სკოლები და აღსაზრდელი დაწესებულებანი, რომელნიც საჯარო საშუალებებიდან სუბსიდიას იღებენ. ნივთიერ განთავისუფლებას ექვემდებარება: ბრუნვა, რომელიც სხვა ხარკით იბეგრება (დაზღვევის, საფლო სახაძლოს, ლატარიის, მიმოსვლა-მიმოზიდვის ხარკი); კრედიტის გაცემა და ფულითა და ფასიანი ქაღალდების ბრუნვა (კაპიტალის მიმოქცევის და თამასუქის ხარკი); ძვირფასი ლითონებისა და მათი ნარევის ბრუნვა (გარდა წვრილი ვაჭრობისა); მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა ან გაქირავება (გარდა საგანგებოდ მოწყობილი ადგილებისა); საქმლის, ბინის და ნატურით გასამრჯელოს მიცემა მუშა-მოსამსახურეთათვის; პონორარი და ფასი, რომელიც სააგათმყოფო საღაროების მიერ გადაიხდება ექიმებისა, წამლებისა და სამკურნალო საშუალებებისათვის; ნაწარმოებთა მიღება საკუთარი წვრილი წარმოებიდან მუშების მეურ, აგრეთვე საკუთარი მოხმარება სასაფლო მეურნეობაში, რამდენადაც იგი განსაზღვრულ ოდენობას არ აღემატება; საქონლებზე ფასდაკლება რეგისტრაციაში გატარებულ კოოპერატიულ ამხანაგობათა და საქმიანობა კოოპერატიული სარევიზიო კავშირებისა. ხარკისგან თავისუფალია აგრეთვე ბრუნვა უცხოეთიდან საქონლის შემოტანის საფუძველზე. აუცილებელ საარსებო საგანთა და საკვებ საშუალებათა და მნიშვნელოვანი ნედლი მასალებისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტის დროს ხარკისგან თავისუფალია აგრეთვე პირველი ბრუნვა შემოტანის შემდეგ საბითუმო ვაჭრობაში. ხარკისგან თავისუფლდება აგრეთვე ბრუნვა უცხოეთში გატანილი საქონლის საფუძველზე; ამას გარდა გადახდილი ბრუნვის ხარკი უკანვე უბრუნდება ექსპორტის, ადგილობრივი ბრუნვის მხრივ ნამდვილი შუა ვაჭარი (შუამავალი ვაჭარი) ხარკისგან თავისუფალია, რამდენადაც მისი მეშვეობით გაყიდული საქონელი მის უშუალო მფლობელობაში გადასული არ ყოფილა (შუა ვაჭრობის პრივილეგია).

ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ან სასყიდელი გაცემული საქონლისა და გაწეული სამსახურისა, ანდა მისი საბაზრო ფასეულობა (უკანასკნელი წესით ანგარიშს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მეურნეს თავის საკუთარ საწარმოდან აქვს თავისთვის ნაწარმოები წადებული ან როდესაც თვით ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლაა მოხდენილი მხარეთა შორის). დაბეგრა ხდება ან ბრუნვის თითოეული შემთხვევისა, ანდა—რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს—მთელა ბრუნვისა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. წესი არსებითად ასეთია: რაიმე სავაჭრო-საწარმელო ან სხვა პროფესიული საქმიანობის დაწყებისას დამწყებმა სათანადო განცხადება უნდა შეიტანოს საუნიანსო დაწესებულებაში; ყოველი შემოსავალი (ანადები) მან ყოველდღიურად უნდა აღნიშნოს დავთარში, ასევე—თავის საწარმოდან თავისვე საქირაებათათვის წადებულა საქონელიც. თითო კვარტალის გასვლის შემდეგ 10 დღის განმავლობაში, —როცა დიდი ბრუნვაა: ყოველი თვის გასვლის შემდეგ 10 დღის განმავლობაში, —უნდა წარუდგინოს საფინანსო დაწესებულებას წინასწარი ცნობა ბრუნვის შესახებ და იმის შესაფერად ხარკიც წარადგინოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ხარკად შეატანს თვით საფინანსო დაწესებულება განსაზღვრავს. საბოლოო შეწერა ხარკისა ხდება სახარკო პერიოდის განმავლობაში ანადებთა (ბრუნვის) ჯამის მიხედვით. სახარკო პერიოდად ითვლება საკალენდარო, სამეურნეო ან საოპერაციო წელიწადი. ბრუნვის ხარკისათვის დეკლარაციის წარდგენა ევალება ყველა დავთარწარმოების მქონე ხარკვალდებულს, რომელსაც წლიურად 1000 მარკაზე მეტი ბრუნვა აქვს. დეკლარაციის საფუძველზე საფინანსო დაწესებულება განსაზღვრავს ხა

რკის ოდენობას. როდესაც წინასწარ ხარკად შენატანი ჩმაზე ნაკლებია, რაც გადამხდელს უწევს საერთოდ დეკლარაციის საფუძვლით, დანაკლისი მან დამატებით (საბოლოო შესატანის სახით) უნდა წარადგინოს ხაზინაში.

ბრუნვის ხარკი შემოღებულია, სხვათა შორის, საფრანგეთში, ავსტრიაში, უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში. ამ ქვეყნების ხარკებში მრავალგვარი განსხვავებაა დეტალების მხრივ. საერთო ბრუნვის ხარკს გარდა ზოგ სახელმწიფოში არსებობს აგრეთვე ფუფუნების ბრუნვის ხარკი, რომელიც, როგორც ეს გერმანიაში იყო, დიდ მოხმარებას ბეგრავს,—მაშასადამე, ძვირფას საქონელთა ბრუნვაზეა გადასახდელი. ასეთი ხარკი არსებობს საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე შეერთებულ შტატებში.

§ 65. სხვა არაპირდაპირი მოხმარების ხარკები.—ახალი სახარკო შემოსავლის გამონახვის საჭიროებამ ისე, რომ ცალკე ხარკთა სიმძიმე მეტად საგრძნობი არ ყოფილიყო, გამოიწვია არსებულ მოხმარების ხარკთა შეესება მუდმივი ან დროებითი ახალი ხარკებით. გერმანიის იმპერიაში უკვე 1878 წლიდან არსებობს სათამაშო ქაღალდის ხარკი, 1909 წლიდან—ასანთ და გასანათებელ საშუალებათა ხარკი, არაყის მონოპოლიასთან ერთად შემოღებულ იქნა ძმრის სიმქავის ხარკი. დროებით არსებობდა ნახშირის ხარკი (შემოღებულ იქნა 1917 წ. 8 აპრილის კანონით, გაუქმდა 1923 წ. 20 მარტის კანონით). 1906 წ. 3 ივნისს რკინისგზისა და გემის ბილეთებზე დაწესებული ხარკიდან წარმოიშვა სატრანსპორტო ხარკი 1917 წლისა (8 აპრ.). დასასრულ, 1920 წ. 30 მარტის სარესპუბლიკო ხარკთა კანონით თემებს დაევალებათ გასართობ დაწესებულებათა ხარკის შემოღება და შემდეგში ამისათვის სანიმუშო კანონიც იქნა გამოცემული. სხვა ქვეყნებში ნაწილობრივ ეს საგნები, ნაწილობრივ სხვა საგნებიც, დაბეგვრას ექვემდებარება; ასე, მაგ., ს. ს. რ. კ.-ში, იტალიაში და ავსტრიაში—ნავთი, ინგლისსა და იტალიაში—ციკორი, იტალიასა და საფრანგეთში—პარფიუმერია და ფარმაცეუტიკული სპეციალი საგნები, ინგლისში—წამლები და სხვ..

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთ ამ საგანთა მოხმარება ხარკუნარიანი შემოსავლის მაჩვენებელია და რომ მათზე დაწესებული ხარკი შეიძლება დანარჩენი მოხმარების დაბეგვრის დამატებად იქნეს გამოყენებული. მაგრამ ამგვარი ხარკის შემოღება გამოწვეულია არა ამით, არა სახარკო სამართლიანობის მოსაზრებებით, არამედ—უმთავრესად გაზრდილი საფინანსო საჭიროებით. ასეა ეს უპირველეს ყოვლისა ნახშირის ხარკის შესახებ, რომელიც გერმანიაში თითოეული ოჯახისა და მთელი სამეურნეო ცხოვრებისათვის აუცილებელ საგანს ბეგრავდა, ღარიბ მოსახლეობას მძიმე ტვირთად

აწევბრდა, საქონელთა გაძვირებას იწვევდა და მრეწველობის კონკურენტუნარიანობას უცხოეთში ასუსტებდა.

1. ძმრის მჟავას ხარკს, რომელიც გერმანიაში არაყის მონოპოლიის კანონითაა მოწესრიგებული, მიზნად აქვს დაცვა დუდილოვანი ძმრის მრეწველობისა, რომელიც ძმარს ამზადებს, ძმარესენციის მრეწველობის მეტოქეობისგან (კონკურენციისგან), რომელიც ძმარს კალციუმ-კარბიდისა, ძმარ-მჟავა მარილების და ხისმჟავადან ამზადებს. ხარკი ეთანასწორება სხვაობას 1,43 ლიტრ საქმრე არაყის ფასსა და 2 კალო კალციუმ-კარბიდის საშუალო საბითუმო ფასს შორის, ვინაიდან აღნიშნული რაოდენობის მასალებიდან დუდილოვანი ძმრის მრეწველობას და ძმარესენციის მრეწველობას თანაბარი რაოდენობის ძმრის დამზადება შეუძლიათ. ხარკი ჩვეულებრივ ყოველთვიურად განისაზღვრება. რათა ორივე მრეწველობის საწარმოო ძალის აწინდელი შეფარდებულობა არ შეიცვალოს, 1924 წ. 30 სექტ.-მდე დუდილოვანი ძმრის დამზადებულ საწარმოებს დანიშნული აქვთ განსაზღვრული წლიური კონტინგენტი მოსაპოვებელი არაყის რაოდენობისა და ძმარესენციის მწარმოებელ ფაბრიკებსაც ასევე დანიშნული აქვთ წლიური კონტინგენტი საწარმოებელი ძმრის რაოდენობისა; როდესაც მიცემულ ნორმას გადააცილებს, პირველი ჯგუფის საწარმომ უნდა გადაიხადოს ჩვეულებრივზე $\frac{1}{2}$ -ჯერ მეტი ფასი არაყის მონოპოლიის მართველობიდან მისაღებ საქმრე არაყისათვის, ხოლო მეორე ჯგუფის საწარმომ— $\frac{1}{2}$ -ჯერ მეტი.

2. ასანთ ნივთიერებათა ხარკი შემოდებულ იქნა გერმანიაში 1909 წ. 15 ივლისის კანონით. ხარკი ვრცელდება—1923 წ. 9 ივლისის კანონის თანახმად (1923 წ. 11 აგვ., 27 ოქტ. და 21 დეკ. და 1925 წ. 10 აგვ. ცვლილებებით)—ასანთსა, ასანთებელ ნაფოტებსა, კვარსა და სანთელზე და შეადგენს თითო კალომ ან შეკვრა ასანთსა და ნაფოტ-კვარზე შემცველობით 21 ცალამდე 0,2 პფ.-ს, 21—30 ცალამდე—0,3 პფ., 31—60 ცალამდე—0,6 პფენინგს, ამაზე მეტისთვის—თითოეულ 60 ცალზე—0,6 პფ.-ს ანდა—ამის სთანადო ნაწილს ცალთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო სანთლისთვის—2 პფენინგს თითოეულ 20 ცალზე. დაბეგრების სავნების მწარმოებლის მიერ სასყიდლით გაცემისას ყოველთვის შესადგენია ანგარიში, საიდანაც უნდა ჩნდეს საგნისა და გადასახდელი სახარკო თანხის ოდენობა; სასყიდლის მიუღებლად მიცემისას ხარკი იანგარიშება სასყიდლით გაცემული სავნების ფასის მიხედვით.

3. გასანათებელ საშუალებათა ხარკს გერმანიაში (შემოდებულ იქნა 1909 წ. 15 ივლისის კანონით, ახლად იქნა მოწესრიგებული 1923 წ. 9 ივლისის კანონით და შემდეგში ცვლილებებით) ექვემდებარებიან ელექტროული განათების საშუალებანი, განსაკუთრებით ლითონძაფიანი ელნათურები, სანთები შტიფტები და აირით განათებისათვის ხმარებული სავარჯარო ჩამოსაცმელები. სთანადო შემთხვევებში შესაძლებელია ხარკს დაექვემდებაროს აგრეთვე განათების სხვა საშუალებანიც, რომელნიც აღნიშნულთა სანაცვლოდ გამოიყენებიან. ხარკისგან თავისუფალია სანთები შტიფტები, რომელიც განათებისათვის არაა დანიშნული, აგრეთვე წვრილი ელნათურები 20 ვოლტამდე, 15 უატამდე ენერჯის მოხმარებით. ხარკს იხდის მწარმოებელი იმ მომენტში, როდესაც განათების საშუალება მისგან თავისუფალ აღებმიცემაში გადაიცემა, და შეადგენს სახარკო ფასიულობის ე. ი. იმ ფასის 20%-ს, რომელსაც მწარმოებელი მყიდველს უწერს ანგარიშში.

4. სათამაშო ქაღალდის ხარკი, რომელიც ძველ საიმპერიო ხარკს წარმოადგენს, ახლად იქნა მოწესრიგებული 1923 წ. 9 ივლისის კანონით, 27 ოქტ. დეკრეტით და 1925 წ. 10 აგ. კანონით. ის შეადგენს 30 პუნინგს თითოეულ 24 - 48 ქაღალდიან დასტაზე; 48 ქაღალდიანზე მეტი ან 24 ქაღალდიანზე ნაკლები დასტისათვის ხარკი დიდდება ან მცირდება. სახელმწიფოს შიგნით დამზადებულ სათამაშო ქაღალდზე ხარკს იხდის მწარმოებელი, ხოლო უცხოეთისაზე—შემომტანი ანდა მიმღები (ბაჟს გარდა). დასტებისა და ქაღალდის რაოდენობის შესახებ ხარკვალდებულები ცნობას აძლევენ სახარკო უწყებას, რომელიც ხარკის გადახდის შემდეგ დასტებს ნიშანს ასვამს (დასტემპლავს).

5. გერმანიის სატრანსპორტო ხარკი, რომელიც შეზღუდულ იქნა რკინისგზისა და გემების სამგზავრო ბილეთების ხარკის სახით 1906 წ. 3 ივნისის კანონით, ხოლო უკანასკნელად მოწესრიგებულ იქნა 1926 წ. 29 ივნისის კანონით, ეხება ადამიანთა და დოვლათთა მიმოსვლა-მიმოზიდვას რკინისგზითა და წყლის გზით, სანაპირო ნაოსნობას და საზღვაო ტვირთზიდვას უცხოეთში: დოვლათთა ბრუნვას ლამანშის, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვის ნავთსადგურებში, დანიის ნავთსადგურების გამოკლებით. მაგრამ მას შემდეგ რაც მიმოსვლა-მიმოზიდვა გერმანიის მთავარ მდინარეებზე, გარდა ვეზერისა, ვერსალის ხელშეკრულებით ინტერნაციონალიზაციაქმნილი იქნა და გადასახადების აკრეფა აიკრძალა,—არათანაბარი დაბეგვრის თავიდან ასცილებლად, სამდინარო, სატბო და სანაპირო ნაოსნობა გერმანიაში ხარკისგან განთავისუფლდა. დაბეგვრას ექვემდებარება აგრეთვე არასაჯარო ტვირთმიმოზიდვა, ზოგიერთი გამონაკლისით. ხარკისგან თავისუფალია ფასდაკლებული სამგზავრო ტარიფით მიმოსვლა მუშათა, მოსწავლეთა და სანებდრო პირთა, აგრეთვე ნახშირისა და კოკის მიმოზიდვა. ხარკი განიზომება მიმოსვლა-მიმოზიდვის ფასის მიხედვით და შეადგენს მგზავრთა მიმოსვლისას 1, 2, 3 და 4 კლასით 160/0, 140/0, 120/0 და 100/0-ს (ჩქარი მატარებლის დამატებითი ბილეთისათვის 1 და 2 კლასისა—150/0-ს, მე-3 კლასისა—120/0-ს), ტრამვაით მიმოსვლისათვის—60/0-ს, ბარგის მიმოზიდვისათვის—120/0-ს, ტვირთზიდვისათვის—70/0-ს. ხარკვალდებულია მესარეწე, რომელიც ხარკს ტარიფში ჩარიცხავს. ჩვეულებრივ ხარკი გადაიხდება დროგამოშვებით ანგარიშგასწორების წესით, იშვიათად, ვითარცა გამონაკლისი, ბილეთების დასტემპელვითაც, აგრეთვე გარდაკვეთილი თანხის გადახდითაც. საიმპერიო რკინისგზამ, 1924 წ. 30 აგვ. კანონის თანახმად, ხარკის გამოსავლიდან საჩუქარად გადასახადის ანგარიშში უნდა წარადგინოს: 1925/26 წელში 250 მილ. ოქროს მარკა, ხოლო შემდეგში ყოველწლიურად 290 მილ. ოქროს მარკა. ხედმეტი თანხა, რომელიც შესაძლებელია აქედან დარჩეს, აგრეთვე სხვა მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებათა ხარკი იმპერიის რჩება.

6. გასართობ დაწესებულებათა ხარკი გერმანიაში აქა-იქ დიდი ხანია არსებობდა სათემო ხარკის სახით. 1920 წ. 30 მარტის მოკავშირე რესპუბლიკების საგადასახადო კანონმა მათი აკრეფა თემებს სავალდებულოდ დაუწესა და საიმპერიო საბჭოს მიენდო სახარკო დებულების გამოცემა. ეს სახარკო დებულება (გამოქვეყნებული 1923 წ. 7 ივლისს და 1924 წ. 13 აპრილს, მცირე ცვლილებები 1926 წლის 12 ივნისის დეკრეტით) ძალაშია ყველა თემში, რომელთაც საკუთარი დებულება არ გამოუციათ; მათი დებულებაც, სადაც ამას ადგილი აქვს, შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ მუხლში არ ეთანხმებოდეს საიმპერიო საბჭოს მიერ გამოცემულ დებულებას.

გასართობ დაწესებულებათა ხარკის საგანს წარმოადგენს თემის ფარგლებში დაარსებული ყველა გასართობი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით,— მაშასადამე, ცეკვა-გართობა, მასკარადი, ე. წ. სახალხო გასართობები (კარუსელი, საქანელა, პიპოდრომი, ველოდრომი, მიზანში სროლა და სხვ.); ცირკო, ვარიეტე-თეატრები, კაბარები, წარმოდგენები, მუზეუმები, პანორამები, პანოპტიკუმები, სამხეცეები და სხვ.; სასპორტო მოწყობილობანი; რადიოს მიმღები აპარატები, კინოები. ტიკინების და მარიონეტების თეატრი; თეატრი, ბალეტი; კონცერტები და სხვა მუსიკალური და ვოკალური წარმოდგენები, ლექციები, დეკლამაციები და სხვ.. ხარკვალდებულება აგრეთვე გასართობები კლუბებში, ასევე კერძო სახლებშიც, თუ შესასვლელად ზასია გადასახდელი ან სასმელ-საქმელი ფასით გაიცემა. ხარკისგან თავისუფალია ის გამოყენები და მუზეუმები, რომელნიც მოგების მიღების მიზნით არ იწარმოებიან, თეატრი და მსგავსი დაწესებულებანი, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკები ინახავენ საზოგადო ინტერესის გულისთვის ან მათ მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ; საზოგადო სარგებლობის დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად აქვთ ხელოვნების ან სახალხო განათლების განვითარება და არა—მოგების მოპოება; სკოლებისა და სამხედრო პირათთვის გამართული წარმოდგენები; განსაზღვრული შეზღუდვით (საცეკვაოების გამოკლებით) დაწესებულებანი, რომელნიც ახალგაზდობის განვითარებას ან ტანთვარჯიშობას ემსახურებიან ან რომელთა შემოსავალი მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისათვის გამოიყენება.

ხარკი თითოეული გასართობისთვის ცალკე გამოიანგარიშება და აიკრიფება ან ბილეთზე დარიცხვით, ან გარდაკვეთილად, ანდა სპეციალი ხარკის სახით; ბილეთის ხარკის სახისა იგი, როდესაც გასართობზე დასასწრებლად ბილეთის აღება საჭირო; გარდაკვეთილად აღება ხარკი, როდესაც გასართობზე დასასწრებად ბილეთები არ გაიცემა, ან როდესაც ბილეთების ხარკის განხორციელება არ შეიძლება მოხდეს საქაო ზედამხედველობის გაწევის საფუძველზე, ან როდესაც გარდაკვეთილი თანხის სახით ხარკის აღება მეტ შემოსავალს მისცემს საზინას; სპეციალი ხარკის სახით აღება გადასახადი დიდ სახელოვნო დაწესებულებებზე, რომელთაც სანდო დავთარწარმოება აქვთ. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ბილეთის ხარკის დროს—გაცემული ბილეთების ფასი და რაოდენობა და შეადგენს ადგილების რიგის მიხედვით 10—25⁰/ც-ს. სახელოვნო და სახალხო-საგანმანათლებლო ხასიათის თეატრებისა, კონცერტებისა და მსგავს დაწესებულებათათვის ხარკი შეიძლება განახევრებულ იქნეს. გარდაკვეთილი ხარკი შეადგენს ან გასართობზე მოზრდილთათვის დაწესებული შესასვლელი უმაღლესი ცალკე ფასის რამდენჯერმე გადიდებულ თანხას (ცალკე საფასო ხარკი), ან აღება აპარატების (მაგ., საორკესტრო იარაღების, რადიოს მიმღები აპარატების) ფასიულობის მიხედვით თვიურად (ფასეულობის ხარკი) ან ვოკალური და მუსიკალური წარმოდგენებისთვის, რომლებშიც 1—3 პირი მონაწილეობს, და ასეთივე პროფესიონალური მოძრაეი (სხვადასხვა ადგილას გამართული) წარმოდგენებისთვის გადაიხდება მონაწილეთა რიცხვის მიხედვით (სპეციალი ხარკი) მტკიცე დღიური განაკვეთის საფუძველზე, ან კიდევ ისეთი გასართობებისთვის, რომელნიც არსებითად მოგების მიღების მიზანს ემსახურებიან სასმელ-საქმელების გაცემით და აგრეთვე სხვადასხვა კავშირების (ფერაინების) მიერ თავიანთ კლუბში გამართულ დღეობისთვის ხარკი გადაიხდება, სადაც მის ფართობის მიხედვით (ფართობის ხარკი). სპეციალი ხარკი შეადგენს მთლიანი

(ბრუტო) შემოსავლის 50%-ს. გასართობების შესახებ სახარკო დაწესებულებას ცნობას აძლევენ წინასწარ როგორც გასართობთა გამმართველნი, ისე სადგომის მებატონენიც. ხარკვალდებულება მესარეწე (გასართობის გამმართველი) და სახარკო მოვალეობა წარმოიშობა გარდაკვეთილი ხარკისთვის—გასართობის შესახებ ზანცხადების მიცემისთანავე, ხოლო ბილეთის ხარკისთვის—ბილეთების გამოცემისთანავე.

ს. ს. რ. კავშირი.— მოხმარების სხვა არაპირდაპირი ხარკებიდან მოსახსენებელია შემდეგი აქციზები და ხარკები:

1. ნავთობის პროდუქტთა აქციზი. აქციზი ფაბრიკატის ხარკის სახით დაწესებულ იქნა 1922 წ. 9 მარტის კანონით, რომელშიც შემდეგ ცვლილებები იქნა შეტანილი (1923 წ. 28 თებ. და 20 აგვ., 1924 წ. 11 იანვრ. და 18 აპრ. და 1925 წ. 23 ოქტ.). აქციზის ობიექტს წარმოადგენს ყველა თხევადი გამჟღავნებელი ნავთობის პროდუქტი, როგორც გამოწმადი, ისე ქიმიური და სხვაგვარი გადამუშავებით მიღებული. აქციზისგან თავისუფალია: ბუნებრივი წედლი ნავთობი, სანთი და საცხები ზეთის დამუშავებიდან წარმომდგარი ნარჩომი და აირის ფისიდან მიღებული პროდუქტები (ბენზინი, ტოლუოლი და მწვანე ზეთი); აქციზისგან თავისუფალია აგრეთვე (შრომის და თავდაცვის საბჭოს 1925 წ. 4 ივლისის დადგენილება, 1926 წ. 7 მაისის, 1927 წ. 15 იანვრის და 1928 წ. 27 აპრილის დადგენ. დამატება-ცვლილებებით) ტრაქტორებისათვის დანიშნული ნავთობის პროდუქტი, განსაზღვრული ნორმით; აქციზისგან თავისუფალია ნავთობის პროდუქტის მისაღებად ტრაქტორის მულობელები არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციას წარუდგენენ მოთხოვნილებას, რომელიც ადგილობრივი საადგილ-მამულო განყოფილების მიერ უნდა იქნეს დამოწმებული; ამ მოთხოვნილების საფუძველზე და ნავთობის პროდუქტთა ხარჯვის ნორმების მიხედვით ინსპექცია ტრაქტორის მულობელს მოწმობას აძლევს, რომლითაც ის ნავთობის საწყობებისა და კოლპერატიული დაწესებულებიდან აქციზისგან თავისუფალი პროდუქტებს დებულობს. ხარკისგან განთავისუფლება არ ეხება ტრაქტორის კერძო მესაკუთრეთ და იმ კოლპერატიულ ორგანიზაციებს, რომელთა წესდება დადგენილის წესით რეგისტრაციაში არაა გატარებული.

აქციზის განაკვეთი შეადგენს: ა) ბენზინისათვის (კილოზე)—10 კაპ. (ფუთზე — 1 მ. 60 კ.); ბ) ზეთისათვის (კილოზე) — 5 კაპ. (ფუთზე — 80 კ.) და გ) ნავთისათვის (100 კილოზე) — 3 მ. 60 კაპ. (ფუთზე—60 კ.). ამიერ-კავკასიისათვის აქციზის განაკვეთი ნავთზე შემცირებულია და შეადგენს (1924 წ. 18-ს აპრილის კანონით) 100 კილოზე—2 მან. 44 კაპ. (ფუთზე—40 კაპ.).

სახარკო ვალდებულება წარმოიშობა ქარხნებრიდან ნავთობის პროდუქტთა გამოშვების მომენტში, რის შემდეგაც 7 თვის განმავლობაში აქციზი გადახდილ უნდა იქნეს. აქციზი გადაიხდება ნავთობის სინდიკატის მიერ ცენტრალიზაციური წესით. ნავთობის პროდუქტების უცხოეთში გატანის დროს დაშვებულია აქციზის მოხსნა ან უკან დაბრუნება.

ნავთობის პროდუქტთა აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა 1923/24 წ. 17.627 ათას მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 7,30%-ს, 1924/25 წ. — 24.090 ათას მ. ანუ—4,70%-ს (წინა წელთან შედარებით—136,70%-ს), ხოლო 1925/26 წ. — 33.590 ათას მ. ანუ—3,90%-ს (წინა წელთან შედარებით—139,40%-ს), 1926/27 წელს შემოსავლად ნავთობის დევი იყო 40.000 ათასი მ. ანუ

—3,3% (წინა წელთან შედარებით—121,2%/), ხოლო 1927/28 წ. ნავარაუდევია 41.000 ათასი მ. ანუ—2,9% (წინა წელთან შედარებით—102,5%/).

2. ასანთის აქციზი, დაწესებული 1921 წ. 14 ნოემბრის კანონით (შემდგომი ცვლილებებით: 1923 წ. 3 ივლისის, 1924 წ. 15 თებერვლის, 5 სექტემბრის) ფაბრიკატის ხარკის სახით. აქციზი ეხება როგორც შინაურ ნაწარმოებს, ისე უცხოეთიდან შემოტანილს. სახარკო ერთეულს წარმოადგენს ასანთის კოლოფი, რომელშიც ნებადართულია მხოლოდ 75 ცალი ასანთის მოთავსება. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა ფაბრიკიდან, საბაზისო საწყობიდან ან საბაჟოდან ასანთის გამოშვების მომენტში. ფაბრიკიდან ასანთის გამოშვება ნებადართულია მხოლოდ ყუთებში, რომლებშიც მოთავსებული უნდა იყოს 1000, 2000, 3000 ან 5000 კოლოფი.

აქციზის განაკვეთი შეადგენს (1924 წ. 5 სექტ. კანონით) თითოეულ კოლოფზე 0,6 კაპ. აქციზის გადასახდელად პირველად დაწესებულ იქნა ბანდეროლის შემოხვევის წესი, რომელიც 1924 წ. 15 თებერვლის კანონით გაუქმებულ იქნა და დაწესდა უშუალო ფულადი გადახდა სასაღარიბო დაწესებულებებში. ბანდეროლის შემოხვევის წესი დატოვებულია მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილი ასანთისათვის.

ასანთის ფაბრიკები, მოწყობილი საგანგებო წესების თანახმად, ასანთის წარმოების, შეფუთვის და შენახვის მხრივ სახარკო უწყების ზედამხედველობას ექვემდებარებიან: ასანთის დამზადება დაშვებულია საგანგებოდ მოწყობილ ფაბრიკებში, რომელნიც რეგისტრაციაში არიან გატარებულნი ადგილობრივ საფინანსო განყოფილებებში; ასანთის ფაბრიკას უნდა ჰქონდეს შემდგომი მთავარი სადგომები: ა) ქიმიური მასალის შესახებად, ბ) ასანთის შესაფუთავად ყუთებში და გ) შეფუთული ყუთების შესახებად; ეს უკანასკნელი სადგომი უნდა იყოს დაქვტილი და არაპირდაპირ ხარკთა ინსპექციის აგენტის და ფაბრიკის ადმინისტრაციის ბეჭდით დალუქული. აქციზის აკრფის სისწორის და უნაკლებობის შესამოწმებლად ხსენებული ინსპექციის აგენტები პერიოდულ რევიზიას ახდენენ ასანთის ფაბრიკებში და ასანთით ვაჭრობას მეთვალყურეობენ; რათა ადგილი არ ექნეს აქციზის მოპარვის დაფარვას.

ასანთის აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. 9.546 ათასი მ. ანუ აქციზის საერთო შემოსავლის 3,9%-ს, 1924/25 წ. — 15.339 ათასი მ. ანუ 3,4%-ს, 1925/26 წ. — 21.052 ათასი მ. ანუ—2,1%-ს; 1926/27 წელს ნავარაუდევია იყო 21.882 ათასი მ. ანუ—1,8%, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით—25.000 ათასი მ. ანუ—1,1%.

3. სანთლის აქციზი, დაწესებული 1922 წ. 21 აპრილის კანონით (შემდგომი ცვლილებებით: 1923 წ. 20 აგვ., 1924 წ. 15 თებ., 1925 წ. 23 ოქტ.), ეხება როგორც შინაურ ნაწარმოებს, ისე უცხოეთიდან შემოტანილ ყოველგვარ სანთელს, რომელიც ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილს შეიცავს, აგრეთვე—ცანცილს (ოზოკერიტს), ცერეზინს და უეროზიტს. აქციზისგან თავისუფალია ცხოველური წარმოშობის ცხიმოვანი ნივთიერებათაგან დამზადებული სანთელი. სტეარინის სანთელი, პარაფინის 100%-იანი შენარევით, პარაფინის სანთლად ითვლება და აქციზს ექვემდებარება. საზომ საფუძვლად აღებულია სანთლის წონა (კილოგებში). განაკვეთი შეადგენს კილოზე — 1 მ. 95 კაპ.-ს (გირვანქაზე—80 კაპ.). აქციზი გადაიხდება ბანდეროლას შემოხვევით.

სანთლის დამზადება დაშვებულია საგანგებო წესების თანახმად მოწყობილ ქარხნებში, რომელნიც სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარებიან. სანთლის წარმოებასა, შენახვასა და ვაჭრობაზე სახარკო უწყება ზედამხედველობას აწარმოებს.

სანთლის აქციზის ფისკალური მნიშვნელობა მცირეა; ასე, მაგ., 1926/27 წ. ბიუჯეტით მთელს კავშირში შემოსავლად ნაწარაუდვეი იყო 2.000 ათასი მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 0,10/0.

4. პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ნაწარმოებთა აქციზი, დაწესებული 1927 წ. 10 აგვ. კანონით, ეხება როგორც შინაურს, ისე უცხოეთიდან შემოტანილ პარფიუმერიის და კოსმეტიკის ნაწარმოებთ. აქციზისაგან თავისუფალია: პიგიენტური მიზნებისათვის დანიშნული ნაწარმოები, როგორცაა, მაგ., საპონი, საპნის ფხენილი, პიგიენტური ოდეკოლონი (უბრალო, ორმაგი და სამმაგი), კბილის ფხენილი და სხვ..

აქციზის საზომსა ფუძველს წარმოადგენს შინაური წარმოების საგნებისათვის—ეტიკეტზე აღნიშნული საცალო ფასი, ხოლო უცხოეთიდან შემოტანილთათვის—ფაქტურაში, ანგარიშში ან სხვა საბუთში აღნიშნული ფასი. აქციზის განაკვეთი (ნორმა), ნაწარმოებთა ოთხი ჯგუფის მიხედვით, შეადგენს:

ყვავილის ოდეკოლონისთვის	150/0-ს
ინანთისთვის (ღუხი)	20 „
პუდრისთვის	25 „
სხვა ნაწარმოებთათვის (მაგ., კბილის პასტა, ელექსირი, ბრიოლინი, ფიქსატუარი, პო- მადა, ემულსია, კრემი და სხვ.).	32 „

სახარკო ვალდებულება წარმოიშობა წარმოების ადგილიდან; საბაზისო საწყობიდან ან საბაჟოდან ნაწარმოებთა გამოშვების მომენტში.

აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში 1927/28 წლის ბიუჯეტით ნაწარაუდვეია 9.000 ათასი მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 0,60/0.

5. საფეიქრო ნაწარმოებთა აქციზი. საფეიქრო ნაწარმოებთა დაბეგვრის პროექტი ჯერ კიდევ ძველ რუსეთში წარმოიშვა მსოფლიო ომის დროს (1914/15 წლ). ს. ს. რ. კ.-ში ის შემოდებულ იქნა 1923 წ. 1 მარტიდან (1923 წ. 28 თებერვლის კანონით) ნახევარფაბრიკატის (ნართის) ხარკის სახით. 1924 წ. 1 იანვრიდან (1923 წ. 30 ნოემბრის კანონით) აბრეშუმის ნართისა და ნახვევისათვის ნახევარფაბრიკატის ხარკი შეცვლილ იქნა ფაბრიკატის (აბრეშუმის ქსოვილის) ხარკით. 1926 წ. 8 იანვრის კანონით ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილთა დაბეგვრის ნაცვლად დაწესებულ იქნა ნართის დაბეგვრა.

აქციზი ეხება: ა) შინაური წარმოების სელის, კანაფის, ჯუტის, ბამბის, ვიგონის და მატყლის ნართს და აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ქსოვილებს; ბ) უცხოეთიდან შემოტანილ ყოველგვარ ნართს, გარდა აბრეშუმისა, ქსოვილებს და მათ ნაწარმოებს, აგრეთვე—დაგრეხილ და დართულ აბრეშუმს (დაგრეხილი ძაფის ჩათვლით). აქციზის ობიექტია: 1) რთვის ნაწარმოებნი: ა) ნართი, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ან ხელოვნური ბეწვიდან დამზადებული, სელის, ბამბის და მატყლის სართავ ფაბრიკებში სართავი მანქანების საშუალებით წარმოებული და ბ) ნართი, თოკის, ბაგირის და მსგავს ნაწარ-

მოგებთა სახით, რომელთა დამზადება სართავ, ბაგირის და მსგავს საგანთა მწარმოებელ ფაბრიკებში ხდება. უშუალოდ ბოქკოიანი წედლეულიდან; 2) ქსოვილები: ა) ყველა შინაური ქსოვისა და ხლართვის ნაწარმოები აბრეშუმის ნართისა ან ნახვევიდან, ანდა—შემცველი აბრეშუმის ნართის ან ნახვევის ნარევისა და ბ) უცხოეთიდან შემოტანილი ყველა ნაწარმოები ქსოვისა და ხლართვისა და ყოველგვარი ნართი.

აქციზისგან თავისუფალია: შინა-მრეწველური წესით დამზადებული სელის, კანაფის, ბამბის და მატყლის ნართი და აბრეშუმის ქსოვილი.

აქციზის საზომ საფუძველს წარმოადგენს: ნართისათვის ნომერი ნართისა და მისი წონა (კილოებში). ნართის ნომრად მიჩნეულია რიცხვი განსაზღვრული სიგრძის ნართის შულოებისა, რომელიც წონის ერთეულზე მოდის. ასე, მაგ., როდესაც წონის ერთეულზე (მაგ., 1 გირვანქაზე) გაიხმარება განსაზღვრული სიგრძის ნართის 40 შულო, —ასეთი ნართის ნომერი იქნება 40. ერთი-დაიმავე ნომრის რამდენიმე ძაფიდან დაგრეხილი ნართი ნაწევრით აღინიშნება (მაგ., $60/2$), რომლის მრიცხველი აღნიშნავს ძაფის ნომერს (60), ხოლო მნიშვნელი —დაგრეხილი ძაფების რიცხვს (2).

ბამბის ნართის ნომერაცია ინგლისური სისტემისაა. ამ სისტემით ნართის ერთი შულო შესდგება შვიდი [თითო 120 იარდის (იარდი = 91,4 სანტიმ.) სიგრძის] ჩანჩუხისგან და შეიცავს, მაშასადამე, 840 იარდის (ანუ 30.240 დიუიმის) სიგრძის ძაფს. ასეთი შულოების რიცხვი, რომელიც 1 ინგლისური გირვანქის (= 1,107 ჩვენებური გირვანქისა) წონას შეადგენს, —ნართის ნომერს განსაზღვრავს.

მატყლის ნართის ნომერაცია სწარმოებს ან მეტრიული ან ინგლისური ანდა რუსული სისტემით, ნართის ხარისხის მიხედვით: ა) ფრანგული სისტემითი კამვოლური ნართის ნომერაცია მეტრიული სისტემით ხდება: ერთი შულო 10 (თითო 100 მეტრის სიგრძის) ჩანჩუხისგან შესდგება და შეიცავს, ამრიგად, 1000 მეტრის (ანუ 39.371 დიუიმის) სიგრძის ძაფს; ნართის ნომერი განისაზღვრება 1 კილო წონის შემდგენი შულოების რიცხვით. ბ) ინგლისურისებური კამვოლური ნართის ნომერაცია ინგლისური სისტემით ხდება: 1 შულო 7 (თითო 80 იარდის სიგრძის) ჩანჩუხისგან შესდგება, რაც 560 იარდის (ანუ 20.160 დიუიმის) სიგრძის ძაფს იძლევა. ნართის ნომერი ირკვევა ასეთი შულოების რიცხვის მიხედვით, რომელიც წონით 1 ინგლისურ გირვანქას შეადგენს; გ) კარდმანქანებით წარმოებული ნართისთვის გამოიყენება რუსული სისტემა ნომერაციისა: რიცხვი შულოებისა (თითო 1000 არშინის სიგრძის), რომელიც წონით 1 გირვანქას შეადგენს, ნართის ნომერს გამოზატავს; დ) რუსული სისტემით ხდება აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმის ნართის ნომრის განსაზღვრა.

აბრეშუმის ქოვილებითვის აქციზის საზომ საფუძველად მიღებულია ქსოვილის ხარისხი და წონა (ნეტო).

სახარკო განაკვეთი შეადგენს (1926 წ. 26 მარტის კანონი 1927 წ. 26 ნოემბ. კანონის დამატებით) შინაური წარმოების ნართისათვის კილოზე:

ნ ა რ თ ი	აქციზის განაკვეთი	
	მან.	კაბ.
1. ბამბის ნართი		
არა უმეტეს № 9-სა	—	7,3
№ 9-ს ზევით, მაგრამ არა უმეტეს № 29-სა	—	16,0
№ 29-ს " " " " № 39-სა	—	24,0
№ 39-ს " " " " № 49-სა	—	48,3
№ 49-ს " " " " № 79-სა	1	14,0
№ 79-ს " " " " № 99-სა	1	95,0
№ 99-ს " " " " "	3	22,0
2. ვიგონის ნართი		
არა უმეტეს № 9-სა	—	12,0
№ 69-ს ზევით	—	24,0
3. სელის და კანაფის ნართი		
არა უმეტეს № 6-სა	—	4,2
№ 9-ს ზევით, მაგრამ არა უმეტეს № 10-სა	—	5,4
№ 10-ს " " " " № 12-სა	—	8,0
№ 12-ს " " " " № 14-სა	—	12,0
№ 14-ს " " " " № 16-სა	—	14,0
№ 16-ს " " " " № 18-სა	—	15,0
№ 18-ს " " " " № 20-სა	—	16,0
№ 20-ს " " " " № 22-სა	—	17,0
№ 22-ს " " " " № 26-სა	—	19,0
№ 26-ს " " " " № 30-სა	—	21,0
№ 30-ს " " " " № 40-სა	—	23,0
№ 40-ს " " " " № 50-სა	—	25,0
№ 50-ს " " " " № 60-სა	—	28,0
№ 60-ს " " " " № 70-სა	—	35,0
№ 70-ს " " " " № 80-სა	—	50,0
№ 80-ს " " " " № 100-სა	1	—
№ 100-ს " " " " "	1	50,0
კანაფის თოკის ნართი	—	—
4. ჯუტის ნართი.		
თოკისა	—	10,7
ტომრისა	—	4,5
5. მატყლის კამეოლური ნართი (ფრანგულისებური რთვისა).		
არა უმეტეს № 37-სა	3	22,0
№ 37-ს ზევით, მაგრამ არა უმეტეს № 57-სა	3	88,0
№ 57-ს " " " " № 77-სა	5	34,0
№ 77-ს " " " " № 82-სა	6	43,0
№ 82-ს " " " " "	8	5,0

6. მატყლის კამეოლური ნართი (ინგლისურისებური რთვისა)

არა უმეტეს № 8-სა	—	38,8
№ 8-ს ზევით, მაგრამ არა უმეტეს № 14-სა	—	64,8
№ 14-ს " " " " № 20-სა	—	97,0
№ 20-ს " " " " № 27-სა	1	42,0
№ 27-ს " " " " № 34-სა	1	93,0
№ 34-ს " " " " № 37-სა	2	58,0
№ 37-ს " " " " № 57-სა	3	22,0
№ 57-ს " " " " " " " " " " " "	4	83,0

7. კარდმანქანებით წარმოებული წმინდა მატყლის ნართა

არა უმეტეს 2 შულოსი	—	36,6
2-დან არა უმეტეს 3-სა	—	51,8
3-დან " " 4-სა	—	64,4
5-დან " " 7-სა	—	86,4
7-დან " " 9-სა	1	18,0
9-დან " " 12-სა	1	61,0
12-დან მეტი	2	58,0

8. კარდმანქანებით წარმოებული მსხვილი მატყლის ნართი,

არა უმეტეს 2 შულოსა	—	18,3
2-დან არა უმეტეს 3-სა	—	25,9
3-დან " " 5-სა	—	32,2

(დანარჩენ ნომერთა განაკვეთი იგივეა, რაც წმინდა მატყლის ნართისათვის).

9. ძრახვის მატყლის ნართი

არა უმეტეს 2 შულოსა	—	6,1
2-ს ზევით, მაგრამ არა უმეტეს 3-სა	—	17,1

შინაური აბრეშუმის ქსოვილისათვის განაკვეთი (1928 წ. 29 თებერვლის კანონით) შეადგენს (კილოზე):

I. აბრეშუმის და აბრეშუმნარევი ქსოვილებისა, ცხვირსახოცებისა, შარფებისა, ლენტებისა და სხვ. მსგავსი ნაწარმოებისათვის, გარდა ქვევით, სხვა მუხლებში, მოხსენებულთა:

1) ყოველგვარი ქსოვილისთვის, გარდა მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნულთა:

ა) ბამბის დასაქსოვიანი ან მისაქსოვიანი ქსოვილისთვის 3 მ. 20 კ.

ბ) წმინდა აბრეშუმის, ან აბრეშუმის დასაქსოვიანი და მისაქსოვიანი ქსოვილისთვის 20 „ —

2) ხავერდისა, კლიუშისა და ხავერდის ლენტებისათვის:

ა) ბამბის დასაქსოვიანი და მისაქსოვიანი (აბრეშუმის მხოლოდ ხაოს მქონე) ქსოვილისთვის 4 „ —

ბ) ბამბის დასაქსოვიანი ან მისაქსოვიანი ქსოვილისთვის 11 მ. 25 კ.

გ) წმინდა აბრეშუმის ქსოვილისთვის 17 „ —

3) მაუღისებური ქსოვილებისა და ნართავი აბრეშუმის ნაჩეჩიდან, შატყლის, გერმის, ბამბის და სელის შერევით ან შეურევლად წარმოებული მაუღისებური ქსოვილებისა და ბაიკისთვის 4 მ. —

II. აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ხალიჩების, დეკორატიულ, საავეჯო და სხვ. ნაწარმოებთათვის, გარდა გობელენისა და ყაითანისა 5 „ 50 კ.

III. აბრეშ. და ნახევარაბრეშუმის გობელენის ქსოვილებისათვის 34 „ —

IV. აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ტრიკოტაჟულ და ხლართული ქსოვილი ნაწარმოებისთვის:

1) ხელთათმანები, ჩულკები, წინდები 24 „ —

2) სხვა ნაწარმოებნი 15 „ —

V. აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის საყაითნო ნაწარმოებისთვის, როგორც, მაგ., ზონარი, ქობა, ფოჩი, ბოკკო, ფუნჯი, მოსართავი და სხვ. 11 „ 25 „

VI. აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ბლონდისთვის 42 „ —

VII. სასაბრე უჯრედიანი ქსოვილისთვის 6 „ 50 „

VIII. აბრეშუმისა და აბრეშუმნარევი ბაფთისა და ბაფთის ნაწარმოებისთვის 51 „ 25 „

IX. ფარჩისა და გლაზეტისთვის 8 „ —

X. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის მუშაბისა და გაცვილული ქსოვილისთვის 8 „ 50 „

უცხოეთიდან შემოტანილი საფეიქრო ნაწარმოებისთვის აქციზი გადაიხდება (ბაჟს გარდა) საგანგებო განაკვეთებით, ხოლო შემოტანილი ნართისთვის იგივე განაკვეთები ძალაში, რაც შინაური ნაწარმოებისთვის.

სახარკო ვალდებულება წარმოიშობა ნართის ან ქსოვილის ფაბრიკიდან ან — შემოტანილისთვის — საბაჟოდან გამოშვების მომენტში.

აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. — 26.462 ათას მ. ანუ აქციზების საერთო შემოსავლის 11,00/0-ს, 1924/25 წ. — 46.080 ათას მ. ანუ — 9,10/0-ს (წინა წელთან შედარებით — 174,10/0-ს), 1925/26 წ. — 72.213 ათას მ. ანუ — 8,60/0-ს (წინა წელთან შედარებით — 156,70/0-ს); 1926/27 წ. ბიუჯეტით შემოსავლად ნავარაუდები იყო 164.000 ათასი მ. ანუ — 8,70/0 (წინა წელთან შედარებით — 144,40/0), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით — 113.000 ათასი მ. ანუ — 8,20/0 (წინა წელთან შედარებით — 106,70/0).

6. რეზინის კალოშის აქციზი, ფაბრიკატის ხარკის სახით, დაწესებულ იქნა 1923 წ. 30 აპრილის კანონით, რომლის თანახმად დაბეგვრას დაეკვემდებარა როგორც შინაური წარმოების, ისე უცხოეთიდან შემოტანილი რეზინის კალოში.

სახარკო ერთეულს წარმოადგენს ერთი წყვილი კალოში. განაკვეთი (1927 წ. 11 მაისის კანონით) როგორც შინაური წარმოების, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილი კალოშისთვის შეადგენს: მოზრდილთა კალოშისთვის — 80 კაპ., ხოლო ბავშვისა — 40 კაპ. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა კალოშის ფაბრიკიდან ან საბაზისი, საწყობიდან ანდა — შემოტანი-

ლისათვის—საბაჟოდან გამოშვების მომენტში. ხარკი გადაიხდება ცენტრალიზაციური წესით („რეზინოტრესტის“ მიერ) თვეში ორჯერ. რეზინის კალოშების წარმოების და შენახვის ადგილებსა და კალოშების გადატან-გადმოტანას სახარკო უწყება ზედამხედველობს.

აქციზის შემოსავალი მთელს კავშირში 1926/27 წ. ნავარაუდები იყო 16.000 ათასი მ. ანუ — 1,3⁰/₀, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდებია — 24.000 ათასი მ. ანუ — 1,7⁰/₀ (წინა წელთან შედარებით — 150⁰/₀).

7. ტრანსპორტის ხარკი, რომლის სახელწოდებით აქ ნაგულისხმევია სხვადასხვა სახის ტრანსპორტთან დაკავშირებული გადასახადი, შემდეგი ხარკებისაგან შესდგება:

ა) რკინისგზით და წყალსავალი გზით შემოტანილი და გატანილი ტვირთის ხარკი, რომლის შემოდების და აკრეფის უფლება, ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე, ადგილობრივ საბჭოებს აქვთ მიკუთვნებული.

ხარკი ეხება რკინისგზით და წყალსავალი გზით შემოტანილ და გატანილ ყველა ტვირთს. ხარკისგან თავისუფალია: ტვირთი, რაც გადაიზიდება როგორც რკინისგზით, ისე საზღვაო და სამდინარეო ტრანსპორტით, მათ შორის წყალტვირთვითაც, კავშირის ერთი პუნქტიდან მეორემდე, აგრეთვე — რაც შემოიზიდება კავშირის ფარგლებში უცხოეთიდან ან გაიზიდება უცხოეთში, ანდა გადაიზიდება კავშირის ტერიტორიით ერთ უცხო სხელმწიფოდან მეორეში — რკინისგზის ყველა კიდეთშორისო სადგურზე, ნავთსადგურზე და ნავთსაყუდზე, სადაც ეს ტვირთი გზაში მსვლელობის დროს გაივლის თავდაპირველი გაგზავნის პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე (სატრანზიტო ტვირთი); ის ტვირთი, რაც შემოზიდულია იმ საწყობებსა და სადგურებზე, რომელიც გამოცხადებულია გაზიდვის საწყობად და სადგურად, — ადგილობრივ ბაზარზე გასატანი რაოდენობის გამოკლებით; სასოფლო და სატყეო მეურნეობის ის პროდუქტი, აგრეთვე მარილი, რაც მოიზიდება იმ საწყობსა, წისკვილსა, მარცვლის სადერდაესა და ქარხანაში, რომელიც მოზიდვის საწყობად, წისკვილად, მარცვლის სადერდად არის გამოცხადებული, — ადგილობრივ ბაზარზე გასატანი რაოდენობის გამოკლებით; საზღვარგარეთ გასატანი პურეული ტვირთი, საფოსტო ტვირთი, პატიმრების ტვირთი, დიპლომატიური ფოსტა და სხვ..

რკინისგზით შემოზიდულ-გაზიდული ტვირთისათვის სახარკო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს: ა) სპეციალი ტარიფების სქემით გადასაზიდ ტვირთზე — ოთხმაგ რაოდენობას, ბ) სასაქონლო ბარგისა, სამგზავრო სისწრაფის ტვირთისა, სამგზავრო ბარგისა და ნორმალური ტარიფის პირველი ოთხი კლასის ტვირთისათვის — ოცდაათმაგ რაოდენობას, გ) ყველა დანარჩენ ტვირთისათვის — ამა თუ იმ ტვირთის 1 კილომეტ. მანძილზე გავლისათვის არსებული სატონო, საცალო ან სავაგონო დაწყებითი განაკვეთის ათმაგ რაოდენობას იმ ტარიფისა (საერთო, სპეციალი ან საგამონაკლისო), რაც შეეფარდება უწყებულ გადაზიდვას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტარიფი გამოიხატება მთლად გადაზიდვის მანძილის სასყიდლის სახით, — სათანადო საერთო ტარიფის დაწყებითი განაკვეთის მიხედვით.

საზღვაო და შინაგანი წყალსავალი გზებით გადასაზიდი ტვირთისათვის განაკვეთი დაწესდება ისეთი ანგარიშით, რომ იგი არ აღემატებოდეს 60⁰/₀-ს იმ განაკვეთისას, რაც დაწესებულია სათანადო ადგილობრივ საბჭოს მიერ რკინისგზით გადასაზიდი შესაფერი ტვირთისათვის.

ხარკის აკრეფას აწარმოებენ რკინისგზის სადგურებისა, ნავთსაყუდებისა და ნავთსადგურების ავგენტები: შემოზიდულზე, — როდესაც მიმდებს ტვირთი ჩაბარდება, ხოლო დანარჩენ ტვირთზე, — როდესაც ტვირთი გასაგზავნად მიიღება; აქ ხარკის გადახდა არ შეიძლება გადატანილ იქნეს დანიშნულების ადგილზე, ნავთსაყუდზე ან ნავთსადგურზე.

ხარკის გამოსავალი მიიქცევა უპირატესად რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო ფონდის შესაქმნელად. ამიერ-კავკასიის ც. ა. კ.-ის 1927 წ. 19 სექტემბრის კანონით ხარკის მთელი გამოსავლიდან 75%/₀ საგზაო ფონდში გადაირიცხება; აქედან 25%/₀ მოხმარდება რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებს, ხოლო დანარჩენი (75%/₀) — ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს. აქედან არსებობს პროექტი (ა/კ ფინანსთა სახ. კომისარიატისა), — რომელსაც ჯერ სკანონმდებლო სანქცია არ მიცემია, — რათა ხარკის გამოსავლის მთელი 75%/₀, რომელიც საგზაო ფონდში გადაირიცხება, ადგილობრივი საგზაო მშენებლობისთვის იქნეს გამოყენებული.

ხარკის შემოსავალი საქართველოში შეადგენდა 1926/27 წელს 905.526 მ.-ს. ანუ მთელი ადგილობრივი შემოსავლის 2,01%-ს, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნაპრაუდევია 1.156.170 მ. ანუ — 2,4%/₀.

ბ) სარკინისგზო, სანაოსნო და საჰაერო მიმოსვლის ბილეთების ხარკი, დაწესებული საგზაო ბილეთებზე დანარიცხის სახით წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ. განაკვეთი შეადგენს სარკინისგზო და სანაოსნო მიმოსვლის ბილეთებისთვის — 15 კაპ., ხოლო საჰაერო მიმოსვლის ბილეთებისთვის — მგზავრობის ფასის 4%/₀-ს.

გ) სარკინისგზო მიმოსვლის ბილეთების და გადაზიდული ბარგისა და ტვირთის ხარკი, დანიშნული ტრანსპორტზე მომუშავეთა განათლების საქიროებისათვის. ხარკისგან თავისუფალია სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის მიერ მოზდენილი გადაყვან-გადაზიდვა სამხედრო გადასაზიდი საბუთების საფუძველზე. განაკვეთი შეადგენს ბარგისა და ტვირთისათვის — გადასაზიდი ფასის 1%/₀-ს, სამგზავრო ბილეთებისათვის — ახლო მანძილისა — 10%/₀-ს, შორეული მანძილისა — 5%/₀-ს.

დ) ვოლგა-კამის არხში გატარებული ტვირთის ხარკი, დანიშნული არხის კალაპოტის გაღრმავების საქიროებისათვის.

8. გასართობების ხარკი, რომელიც თავის მხრივ ორი სახის ხარკს შეიცავს:

ა) წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული ხარკი, დაწესებული გასართობებზე 1924 წ. 12 სექტემბრით; განაკვეთი, გასართობის ხასიათის მიხედვით, შეადგენს ბილეთის ფასის 5%/₀-დან 30%/₀-მდე.

ბ) ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული ხარკი გასართობებზე, რომლის შემოდების უფლება მათ აქვთ ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე. ხარკი აიღება ბილეთის ფასზე პროცენტული დანარიცხის სახით. ხარკისგან თავისუფალი არიან: მუზეუმების დამოვალეებელნი, ბავშვებისათვის გამართულ სანახაობებსა და პროფესიონალურ კავშირთა კლუბებში მოსიარულენი; საწყენიერო ლექციებისა და გამოთენების დამსწრე-მნახველნი და სხვ.

მ. რადიო-ნაწარმოების ხარკი, დაწესებული 1926 წ. 26 მარტის კანონით. საზომ საფუძველს წარმოადგენს რადიო-ნაწარმოების ღირე-

ბუღება, რომლის მიმართებით არის დაწესებული სახარკო ნორმა (1928 წ-ი მაისის გამოცემული ცვლილების საფუძველზე): სახელმწიფო და კოოპერატიულ სარეწაოთა მიერ დამზადებული ნაწარმოებისათვის—10%¹⁰, ხოლო კერძო სარეწაოებისა, შინა-მრეწველობისა და უცხოეთიდან შემოტანილი ნაწარმოებისათვის—25%¹⁰. სახარკო ვალდებულება წარმოიშობა შინაური ნაწარმოებისათვის—ადგილობრივი გამოშვებისას, ხოლო საზღვარგარეთიდან შემოტანილისათვის—საბაჟოდან გამოშვების მომენტში. ხარკის გამოსავალი მიიქცევა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სავანგებო ფონდში, რომელიც დაწესებულია გასანაწილებლად იმ საზოგადოებებსა და დაწესებულებებს შორის რომელთა ამოცანას, წესდების თანახმად, რადიო-გადაცემა წარმოადგენს.

10. მერქანის გადასახადი, რომელიც ორი ხარკისგან შედგება: მერქანის ხარკისა და წყლით ჩამოზიდული მერქანის მიზნობრივი ხარკისგან.

ა) მერქანის ხარკის შემოდებისა და აკრეფის უფლება, ადგილობრივი ფინანსების დებულების საფუძველზე, ადგილობრივ საბჭოებს აქვთ მიკუთვნებული. ხარკვალდებულება ყველა ის პირი და დაწესებულება, რომელიც ტყის აგარაკში მერქანს ამზადებს. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს მერქანის ნამდვილი გასაყიდი ღირებულება (სამორე სასყიდელი), რომლის მიმართებით იანგარიშება ხარკი დანარიცხის სახით. ხარკის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 90%¹⁰-ს სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულება-სარეწაოსთვის და 50%¹⁰-ს—დანარჩენთათვის, ხარკის აკრეფა, სამორე სასყიდელთან ერთად, ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს, რომელთაც შემოსული ხარკი სასალარო დაწესებულებებში შეაქვთ ადგილობრივ სახსარში ჩასარიცხად.

ბ) წყლით ჩამოზიდული მერქანის მიზნობრივი ხარკი დაწესებულია 1926 წ. 17 სექტ. კანონით. განაკვეთი შეადგენს კუბ. მეტრზე: ა) შეშის მერქანისათვის—0,9 კაპ.-ს და მაქანის მერქანისათვის—1,8 კაპ.-ს. ხარკისგან თავისუფალია: სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულება-სარეწაოთა მერქანი, რომელიც საჭიროა ჩამოზიდველი დაწესებულების ან სარეწაოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თუ ისინი ერთადერთი ჩამოზიდველნი არიან ამ რაიონში; სამდინარეო გემებით მოზიდული მერქანი; სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულება-სარეწაოთა მიერ სამეცნიერო მიზნით ჩამოზიდული მერქანი, არა უმეტეს 1000 კუბ. მეტრისა ერთი ნავიგაციის განმავლობაში; ადგილობრივი გლეხური მოსახლეობის მიერ ჩამოზიდული მერქანი, არა უმეტეს 50 კუბ. მეტრისა თითოეულ კომლზე ერთი ნავიგაციის განმავლობაში. ხარკის გამოსავალი მიიქცევა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპეციალ სახსარში და მოიხმარება წყალტივტივით ჩამოზიდვის საორგანიზაციო აპარატის შენახვისა, მართვა-გამგეობისა და კონტროლის ხარჯების დასაფარავად და საწყალტივტივო გზების გასაუმჯობესებლად.

11. წანახშის მიზნობრივი ხარკი (ანარიცხი) დაწესებულია 1927 წ. 26 მარტის კანონით. წანახშის მომპოვებელი სახელმწიფო სარეწაოები ვალდებული არიან წანახშის თითოეულ მოპოვებულ ფუთიდან 0,06 კაპ. გადარიცხონ წანახშის დამუშავების ადგილებში მალარიასთან საბრძოლველად.

12. სხვადასხვა ადგილობრივი ხარკები.—როგორც უკვე მოვახსენიეთ (გვ. 106, 107), მოკავშირე რესპუბლიკების ც. ა. კ.-ებს უფლება აქვთ ნება დაართონ ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ ადგილობრივი ფინანსების დებუ-

ლებაში სახელდობრ გაუთვალისწინებელი სხვა ხარკებით, — ისეთ ობიექტებზე, რომელნიც საერთო-სახელმწიფო ხარკებით არ არიან დაბეგრნილი. ამის საფუძველზე, საქართველოში ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებულია მოხმარების შემდეგი არაპირდაპირი ხარკები:

ა) საჯარო ვაჭრობის ხარკი (დაწესებულია ტფილისის, ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის და ახალციხის მაზრებში, ქ. ფოთში და აჭარის-ტანსა და აფხაზეთში), რომელიც ეხება ყოველგვარ საჯარო ვაჭრობას, ვის მიერაც უნდა იყოს ის წარმოებული. ხარკვალდებულია გამყიდველი. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს გაყიდვით აღებული თანხა. განაკვეთი შეადგენს 5%/—ს. საჯარო ვაჭრობის სარეწაოები ვალდებული არიან აწარმოონ საჯარო ვაჭრობის ოქმებისათვის საგანგებო დაკორები, რომლებშიც უნდა ხდებოდეს საჯარო ვაჭრობით გაყიდულ ყველა საგანთა რეგისტრაცია, ანაღები თანხის აღნიშვნით.

ბ) ერთგზობითი ხარკი (დაწესებულია ტფილისის, გორის, დუშეთის, შორაპნის, რაჭის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, სამხრეთ-ოსეთსა, აჭარისტანსა და აფხაზეთში), იმ პირებზე: რომელნიც სარეწაო მოწმობის უქონლად მოძრავ ვაჭრობას აწარმოებენ ქალაქის მოედნებსა და მაზრებზე, აგრეთვე — რომელნიც საქონელს მორეკავენ ბაზარზე გასაყიდად. განაკვეთი შეადგენს: მიმოტარებით მოვაჭრისათვის — 25 კაპ., მიწაზე დალაგებით ანდა გადაზიდვ-გადმოზიდვით მოვაჭრისათვის — 85 კაპ., მსხვილი რქიანი საქონლისა და ცხენისათვის — 85 კაპ., ხმოსა და ზაქისათვის — 40 კაპ., ღორისათვის — 30 კაპ., ცხვარისა და თხისათვის — 15 კაპ., ბატჩინისა და გოჭისათვის — 10 კაპ.. ხარკისგან თავისუფალი არიან: ნახარი საოჯახო ავეჯის გამყიდველნი, საკუთარ მურნეობაში დამზადებული სურსათისა და საკუთარი შინაური საქონლის გამყიდველი გლეხები, შინამრეწველნი და ხელოსნები, რომელნიც საკუთარი წარმოების საგნებს ჰყიდიან.

გ) შინაური საქონლის ხარკი, (დაწესებულია ტფილისის, ქუთაისის, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, დუშეთის, შორაპნის, რაჭის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში, სამხრეთ ოსეთსა, აჭარისტანსა და აფხაზეთში). ეხება ქალაქის ფარგლებში მყოფ მსხვილ საქონელს. განაკვეთი შეადგენს ნახევარწლიურად თითოეულ თავ საქონელზე 3 მან..

დ) პლაკატის, აფიშის, რეკლამის და განცხადების ხარკი (დაწესებულია ტფილისის, ქუთაისის და გორის მაზრებში, ქ. ფოთსა და აჭარისტანში). ხარკი ეხება: მოკლევადიან და მუდმივ რეკლამას, განცხადებას, პლაკატს, აფიშას და სხვ.. ხარკისგან თავისუფალია: თეატრები, მუშათა და პროფესიონალურ კავშირთა კლუბები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულება-დადგენილებანი, აგიტაციური ხასიათის პლაკატები და აფიშები, უფასო ლექციების და კრებების აფიშები; განცხადებები, რომელნიც კომერციულ ხასიათს არ ატარებენ, შრომის ნიჭრდება-მოთხოვნის განცხადებები და სხვ.. ხარკის განაკვეთი შეადგენს განცხადებისათვის — ფასის 10%/—ს, მოკლევადიან აფიშებსა და პლაკატებისათვის — 2 კაპ.-ს კვადრ. ვერშოკზე, ხოლო მუდმივი რეკლამისათვის — 50 კაპ. კვადრ. ორწინზე (თვიურად).

§ 66. მოხმარების პირდაპირი ხარკები. — ასეთ ხარკად მიიჩნევა ისეთი ხარკი, რომლითაც ზოგიერთი ქონების მოხმარება იბეგრება უშუალოდ იმასთან, ვინც ამ მოხმარებას ეწევა. სხვა მხრივ ყვე-

ლა ამგვარი ხარკი ემსგავსება მოხმარების სხვა ხარკებს. შეწერის მიხედვით ასეთი პირდაპირი დაბეგვრის წესი მხოლოდ ისეთი საგნებისათვის არის გამოსაყენებელი, რომელნიც ადვილად ვერ დაიმალებიან და მფლობელის ხელში ხანგრძლივ მოხმარებას ემსახურებიან.

წინად,—დაახლოებით მე-17 საუკუნიდან, ზოგან უფრო ადრეც, —ხშირი იყო პირდაპირი ხარკის დაწესება ფუფუნების საგნებზე, ძვირფასი ლითონის ნივთებზე, საათებზე, ტანსაცმელზე, მოსამსახურის ყოლაზე, ეტლებზე და ცხენებზე. ხარკი ეტლებსა და ცხენებზე ეხლაც არსებობს; მაგრამ ამ ხარკს მხოლოდ მაშინ აქვს მოხმარების ხარკის ხასიათი, თუ დაბეგრილი ეტლი და ცხენი საწარმოში არ პოულობს გამოყენებას. სხვა პირდაპირ აკრეფილ მოხმარების ხარკთაგან შეიძლება აღვნიშნოთ საბინაო და საავტომობილო ხარკი.

საბინაო ხარკი ის გადასახადია, რომელიც ბინის დამკვირვებელს (მდგმურს) გადახდება,—ჩვეულებრივ ბინის ქირის სიდიდის მიხედვით. ის ეხება სუბიექტის გადამხდელიობით უნარიანობას, რომელიც ბინისთვის დანახარჯში გამოისახება. სხვადასხვა სახელმწიფოებში ეს ხარკი სახელმწიფო ხარკის სახით იყო შემოღებული, —მაგ., საფრანგეთში, სადაც იგი ერთ-ერთ ელემენტს შეადგენდა პერსონალურ და მოძრავი ქონების ხარკთა სისტემისას და ბინის ქირის ოდენობის მიხედვით განიზომებოდა. ეხლა იქ ეს ხარკი სახელმწიფოსთვის აღარ აიკრიფება, მაგრამ მისი გაწერა მაინც ხდება, ვინაიდან იგი შეადგენს საფუძველს სათემო დანარიცხის (სათემო სანტიმების) გასაწერად. საბინაო ხარკი გერმანიაში აქა-იქ არსებობდა და იმთავითვე მხოლოდ სათემო ხარკს წარმოადგენდა. პრუსიის სათემო გადასახადთა კანონით მისი ახლად შემოღება აკრძალულ იქნა. ამ ხარკის სპეციალ სახეს წარმოადგენს საბინაო ფუფუნების ხარკი, ე. ი. ხარკი ისეთ ბინებზე, რომლებიც ფრიად დიდ ბინებადაა მისაჩნევი მათში მობინადრეთა რიცხვისა ან სადგომთა დანიშნულების მიხედვით. ეს ხარკი შეიძლება,—მაგ., პრუსიის სათემო გადასახადთა კანონის თანახმად,—თემების მიერ იქნეს დაწესებული აკრეფილი, მაგრამ ფაქტიურად მან გავრცელება ვერ ჰპოვა. მისი გამოსავალი მოხმარებულ უნდა იქნეს ბინების აღმშენებლობისა და შინაგანი კოლონიზაციის განვითარებისათვის. ბინის მოხმარება, ე. ი. ბინაზე დანახარჯი არ შეიძლება ჩაითვალოს შესაფერ სახარკო ობიექტად. ბინისათვის ხარჯის გაღება სრულიადაც არ მიმდინარეობს სახარკო უნარიანობის გვერდით პარალელურად. საზოგადოდ საბინაო ხარჯი მით უფრო დიდ ნაწილს შეადგენს მთელი შემოსავ-

ლისას, რაც ნაკლებია თვით ეს შემოსავალი. იგი დამოკიდებულია აგრეთვე ოჯახის წევრთა რიცხვზე, სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ შეხედულებაზე და სხვა მოტივებსა და გარემოებაზე. უფრო გასამართლებელია საბინაო ფუფუნების ხარკი. ამ ხარკის პრაქტიკულად გატარება ძნელია ობიექტის ნიშნეულობათა გაურკვევლობისა და საბინაო ნორმების დაწესების გამო, თანაც გამოსავლიანობა ამ ხარკისა რაოდენადმე თვალსაჩინო ვერ იქნება.

ს ა ა ე ტ ო მ ო ბ ი ლ ო (მოტოციკლების ჩათვლით) ხ ა რ კ ი თავდაპირველად, როდესაც ასეთი მანქანები იშვიათი იყო, ერთგვარ ფუფუნების ხარკად იყო მიჩნეული. მაგრამ მას შემდეგ რაც ადამიანთა მიმოსვლისა და ტვირთზიდვისათვის ავტომობილების გამოყენება გაძლიერდა, ის ხასიათი ხარკს დაეკარგა. ასეა ყოველ შემთხვევაში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მიერ ხმარებული ავტომობილების შესახებ, რომელთა შეძენისა და შენახვის ხარჯებს ეს დაწესებულებანი საწარმოო ხარჯებში ჩარიცხავენ და ამას საქონელთა ფასებს წაუმატებენ. გერმანიის იმპერიაში, რამდენადაც ნაწილი მისი გამოსავლისა გზების შესაკეთებლად უნდა იქნეს გამოყენებული, იმდენადვე ამ ხარკს მიზნობრივი ხარკის ხასიათი აქვს. მას, ვითარცა მიზნობრივ ხარკს, დასაბუთება იმით ეძლევა, რომ გზებსა და ქუჩებს ავტომობილების გაძლიერებული მოძრაობის გამო უფრო ხშირად სჭირდება შეკეთება და გაუმჯობესება. ზოგიერთ სახელმწიფოებში ველოსიპედზეაც არის ხარკი დაწესებული. მაგრამ ეხლანდელ დროში ველოსიპედის ხმარება მოსახლეობის ფართო წრეებისთვის ისევე აუცილებელი საქმეა, როგორც სიარული, და ყოველშემთხვევაში იგი განსაკუთრებული გადამხდელობითი უნარის მაჩვენებელ ნიშნად ვერ ჩაითვლება.

ძალიან გავრცელებულია (გერმანიაში თითქმის მხოლოდ სათემო ხარკის სახით) ხარკი ძაღლების ყოლაზე. იგი ერთგვარად სასანიტარო-საპოლიციო მიზანსაც ემსახურება, მაგრამ უმთავრესად მაინც ზედმეტი მოხმარების (ხარჯის) დაბეგვრად არის მისაჩნვეი. ასეთი ხასიათი ამ ხარკისა განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც საწარმოო ან სხვა სპეციალი მიზნებისათვის გამოყენებული ძაღლების გამო ხარკი ან სულ არაა, ანდა შემცირებული განკვეთითაა დაწესებული.

ს ა ა ე ტ ო მ ო ბ ი ლ ო ხ ა რ კ ი გერმანიის იმპერიაში შემოღებულ იქნა 1906 წ. 3 ივნისის კანონით და ხელახლა იქნა მოწესრიგებული 1922 წ. 8 აპრილის კანონით; ახალი რედაქცია მიეცა მას 1926 წლის 15 მაისის კანონით. ხარკით იბეგრება ავტომობილების გამოყენება ადამიანთა და დოვლათთა მიმოსვლამიმოზიდვისათვის; ხარკვალდებულია მესაკუთრე, რომელმაც ავტომობილით სარ-

გებლობისათვის წინასწარ სახარკო ბილეთი უნდა აიღოს. წლიური გადასახადი შეადგენს; 1. მოტოციკლებისთვის ცხენის ძალის მიხედვით 10—35 მარკას; 2. სამგზაურო ავტომობილებისთვის ცხ. ძალის მიხედვით; პირველ 10 ცხ. ძალაზე—30 მარკას თითოზე, შემდეგი 4-სათვის—40 მარკას, შემდეგ 5 ცხ. ძალაზე—60 მარკას თითოზე და ყოველ შემდეგ ცხ. ძალაზე—80 მარკას; 3. ავტობუსებისა და საბარგო ავტომობილებისათვის—თვით მანქანების საკუთარი წონის (ტარის) მიხედვით; თითოეულ 200 კილოზე 2000 კილომდის—30 მარკას, ამაზე ზევით—20 მარკას; 4. ელექტრონით ან ორთქლით მოძრავი საბარგო ავტომობილებისა და მწვეელი მანქანებისათვის (საბარგო განყოფილების უქონლად)—ნახევარი იმ განაკვეთებისა, რომელიც მე-3 მუხლშია მოხსენებული. ხარკისგან თავისუფალია პატარა მოტოციკლები, საქუშაო იარაღების გადასაზიდად და ასამუშევრლად დანიშნული მოტორიანი მანქანები, იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და თემების ხანძარსაქრობად, აჯათყოფთა გადასაზიდად, გზების საადმშენებლოდ და ქუჩების გასაწმენდათ დანიშნული ავტომობილები, აგრეთვე სამხედრო უწყებებისა და პოლიციის ავტომობილები. საცდელი მცდოსვლისა და გადაზიდვის წარმოებისას, განსაკუთრებით ავტომობილების ფაბრიკებსა და სავაჭრო სარეწაოებში, გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალი სახარკო ნიშნები, რომელთათვის ხარკი ფრიად შემცირებულ ზომისად გადაიხდება. ხარკის გამოსავალი, მართველობის ხარჯების ასანაზღაურებლად იმპერიისთვის 40%-ის გამორიცხვის შემდეგ უნაწილდება მოკავშირე რესპუბლიკებს მოსახლეობის რიცხვისა და ტერიტორიის სიდიდის მიხედვით, თავიანთი ნაწილიდან არა ნაკლებ ნახევრისა. მოკავშირე რესპუბლიკებმა საზოგადო გზების შესანახ-შესაკეთებლად უნდა გამოიყენონ. გარდა საავტომობილო ხარკისა ავტომობილის შესაკუთრებ უნდა გადაიხადოს დანარიცხის სახით სპეციალი გამოსადები გზების მოშლის ღირებულების ასანაზღაურებლად; ეს დანარიცხი ყოველწლიურად განისაზღვრება და 1927 სებტუჯეტო წლისთვის (1927 წ. 28 თებერვ. დეკრეტი) შეადგენს 250/-ს.

სატრანსპორტო საშუალებათა რესპუბლიკურ ხარკს აწესებენ და ჰკრეფენ მოკავშირე რესპუბლიკები საფინანსო განრიგების კანონის მე-12 §-ის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, გარდა ავტომობილებისა და მოტოციკლებისა, გზებით სარგებლობისათვის. ხარკის შეწერის წესი და სახარკო განაკვეთის ოდენობა თვითონ მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ განსაზღვრონ, —მაგ., შეუძლიათ მტვირთმწვეელი საქონელი დაბეგრონ. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სატრანსპორტო საშუალებების დაბეგრვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ საწარმოთა სივრცე და კულტურის სახე და გზებით სარგებლობის ინტენსივობა. ხარკის გამოსავალი საზოგადო გზების შესანახად უნდა იქნეს გამოყენებული.

სხვადასხვა ქალაქებში არსებობს ხარკი ცხენებსა (შესაბმელ ცხენებსა) ეტლებსა და მოტორიან ნავებზე.

ს. ს. რ. კავშირში მოხმარების შემდეგი პირდაპირი ხარკები დაწესებული:

1. მიწობრივი საბინაო ხარკი, რომლის დაწესების უფლება, ქალაქადგილებში, მინიჭებული აქვთ ადგილობრივ საბჭოებს 1926 წ. 1 ოქტომბრიდან (1927 წ. 23 მარტის კანონით). ხარკვალდებულთა ყველა ფიზიკური პირი, რომელიც იბეგრება საშემოსავლო ხარკის მე-3 ნუსხის თანახმად (იხ. ზევით გვ. 177 და შემდ.). ხარკისგან თავისუფალი არიან: მუ-

შა-მოსამსახურენი, შინამრეწველები, ხელოსნები, თავისუფალი პროფესიის პირნი და საერთოდ ყველანი, რომელნიც საშემოსავლო ხარკის 1ა-ლი, 1-ლი და მე-2 ნუსხის თანახმად იხვევებიან. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს საცხოვრებელი ფართობი (1 კვ. მეტრი), რომელიც ხარკვალდებულს უჭირავს მის ხარჯზე მყოფ ოჯახის წევრებთან ერთად (შინამოსამსახურის ჩათვლით). ხარკის განაკვეთი, დაწესებული ხარკვალდებულის წლიური შემოსავლის სიდიდის მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ოდენობას (თვიურად):

წლიური შემოსავალი		საზღვრითი განაკვეთი 1 კვ. მეტ.	
		მან.	კაბ.
1000 მანეთიდან	1000 მანეთამდე	—	5
1200	1200	—	7
1800	1800	—	10
2400	2400	—	15
3000	3000	—	20
4000	4000	—	30
5000	5000	—	40
6000	6000	—	50
7000	7000	—	60
8000	8000	—	70
10.000	10.000	—	80
12.000	12.000	1	—
14.000	14.000	1	20
16.000	16.000	1	40
20.000	20.000	1	70
24.000-ზე მეტი	24.000	2	—
		2	50

ხარკის შეწერა ხდება საშემოსავლო ხარკის შეწერასთან ერთად, ხოლო გადაიხდება ყოველთვიურად იმ წესითა და ვადაში, რომელსაც ადგილობრივი საბჭო დაადგენს.

ხარკის შემოსავალი მიიქცევა მუშათა საბინაო აღმშენებლობის ადგილობრივ ფონდში. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს მიზნობრივი საბინაო ხარკის გამოსავალზე დააწესოს ანარიცხი, არა უმეტეს 20%-სა, მუშათა საბინაო აღმშენებლობის რესპუბლიკური ფონდისათვის.

საბინაო ხარკის შემოსავალი საქართველოში ნავარაუდელია 1927/28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით—77.936 მ. ანუ მთელი ადგილობრივი შემოსავლის 0,2%/ი.

2. მოხმარების პირდაპირი ხარკები ადგილობრივი საბჭოებისა იმ საფუძველით, რომელიც ზევით (გვ. 293, 294) არის მოხსენებული, კერძოდ საქართველოში (ტფილისის და, ნაწილობრივ, სხვა მაზრებშიაც) დაწესებულია შემდეგი პირდაპირი ხარკები მოხმარებაზე:

ა) საკურორტო ხარკი, რომელიც ეხება აგარაკებზე მიმსვლელ პირთ, გარდა მუშა-მოსამსახურეებისა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ აღრიცხული ინვალიდებისა და 14 წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვებისა. ხარკის განაკვეთი დაწესებულია, აგარაკების მიხედვით, ოჯახის ყფ-

როსსა და ოჯახის წევრებზე სწვდასხვა ზომით და, მაგ., ტფილისის მაზრაში შეადგენს: მანგლისსა და კოჯორში—ოჯახის უფროსისათვის—5 მ.-ს, ხოლო ოჯახის წევრისათვის—3 მ.-ს, თეთრ წყაროსა, კიკეთსა, მცხეთასა და წყნეთში—3 მ.-ს ორივესათვის. როდესაც ოჯახი სამი და მეტი სულიაგან შესდგება, ხარკი მ ც რ დ ე ბ ა და ნახევარი ზომით გადაიხდება.

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა ხარკი, რომელიც ეხება სამგზავრო და მუშა ცხენს, ტვირთსაზიდად მომუშავე ცხენსა და სხვა ცხოველებს, ავტომობილს, მოტოციკლს, ველოსიპედს, ნავს და ბორანს. ხარკისგან თავისუფალია: იმ პირთა ოჯახის კუთვნილი ცხენი (თითო ოჯახზე—ერთი), რომელნიც წითელ ლაშქარსა და ფლოტში მსახურობენ, უქეთუ ცხენი მხოლოდ საკუთარი მეურნეობის საჭიროებისათვის გამოიყენება, ხანძრის მქრობელი რაზმის კუთვნილი ცხენები და ავტომობილები, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულებათა სატრანსპორტო საშუალებანი, ნორმალურ სამუშაო ასაკს მიუღწეველი ცხენები, რომელნიც სამუშაოდ არ გამოიყენებია და სხვ..

სახარკო განაკვეთი შეადგენს ნახევარწლიურად: სამგზავრო ცხენისთვის, რომელიც კერძო პირს, კოლპერატულ და სამეურნეო დაწესებულებას ეკუთვნის,—40 მ.-ს, ხოლო რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებისა—20 მ.-ს; მუშა-ცხენისათვის: პირველი ჯგუფის გადამხდელთათვის—10 მ.-ს, მეორე ჯგუფისთვის—5 მ.-ს; თვითმოძრავი ეტლებისათვის: მსუბუქი და ნახევრად საბარგო ეტლის თითოეული ცხენის ძალისათვის—5 მ.-ს, საბარგო ეტლისა და მოტოციკლისთვის—3 მ.-ს, ველოსიპედისთვის—2 მ.-ს; ტვირთსაზიდად მომუშავე ცხენისთვის—20 მ.-ს; ამავე მიზნით გამოყენებულ სხვა ცხოველებისთვის—5 მ.-ს; ნავისთვის—5 მ.-ს და ბორნისთვის—30 მ.-ს.

გ) გასასწორებლად წარდგენილი ანგარიშების ხარკი, რომელიც ეხება სასტუმროების, რესტორანების, ყავახანების და სხვა მსგავს სარეწაოთა მიერ (რომელთაც მე-4, მე-5 და მე-6 ხარისხის სავაჭრო პატენტი აქვთ აღებული, იხ. ზევით გვ. 152 და შემდ.) კლიენტებისათვის წარდგენილ ანგარიშებს. კლიენტებისათვის ანგარიშის წარდგენა სავალდებულოა, თუ დახარჯული თანხა 5 მანეთს აღემატება: 5 მანეთზე მცირე თანხის ანგარიში ხარკისგან თავისუფალია. ხარკის საზომ საფუძველს წარმოადგენს ანგარიშში აღნიშნული დანახარჯი თანხა, რომლის მიმართ ხარკის ნორმა (1/100) შემდეგს შეადგენს:

დანახარჯი თანხა		განაკვეთი
5 მანეთიდან	7 მანეთამდე	10%
7	10	11
10	15	12
15	20	13
20	25	14
25	30	15
30	40	16
40	50	17
50	60	18
60	70	19
70 მანეთზე მეტი		20

ხარკის აკრეფას აწარმოებს სარეწაოს მეპატრონე, რომელსაც ადგილობრივი ხარკი სისალარო დაწესებულებაში შეაქვს ყოველთვიურად 3 და 18 რიცხვში.

§ 67. ბაჟები.— ბაჟი წარმოადგენს საზოგადო ისეთ გადასახადს, რომელიც აიღება საქონლის უცხოეთიდან იმპორტისა (შემოტანისა), უცხოეთში ექსპორტისა (გატანისა) ან თვით სახელმწიფოში ტრანზიტის (გატარების) დროს. ტრანზიტი ამჟამად ბაჟისგან თავისუფალია ყველგან. გატანის გადასახადიც უკვე რამდენიმე ათეული წლის წინად მოსაპოვებელი იყო. მხოლოდ ომის დროს და ომის შემდეგ ის ისევ იქნა დროებით შემოღებული მრავალ სახელმწიფოს მიერ ზოგიერთ საქონელთათვის, უმთავრესად ქვეყნის დაცვისა ან ნაციონალური სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. გატანის გადასახადი, რომელიც გერმანიის იმპერიაში საგარეო ვაჭრობის კონტროლის შესახებ 1919 წ. 20 დეკემბრის დეკრეტით იქნა შემოღებული, გატანის ნებართვის მისაღებად იმ საგნებზე გადაიხდებოდა, რომელთა გატანა საზოგადოდ აკრძალული იყო, და მისი გამოსავალი სოციალური მიზნებისათვის იყო დანიშნული. მაშასადამე, ის არ წარმოადგენდა გატანის ბაჟს ვიწრო მნიშვნელობით. ქვევით ჩვენ ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ შემოტანის ბაჟის შესახებ.

მიზნის მიხედვით, რომელიც ბაჟებს საფუძვლად უდევს, გასარჩევია მფარველობითი ბაჟი და ფისკალური ბაჟი. მფარველობითი ბაჟმა უცხოეთის საქონელი უნდა გააძვიროს და ამით ადგილობრივ მწარმოებელს უცხოეთის მწარმოებელთან შედარებით უპირატესობა უნდა მიანიჭოს ადგილობრივ ბაზარზე. მისი სიდიდე განიზომება ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო წარმოების მფარველობის საჭიროების მიხედვით. ფისკალური ბაჟმა კი სახელმწიფოს შემოსავალი უნდა მოუპოვოს და ადგილობრივი მოხმარების დაბეგვრა შეაქვს ან გააფართოვოს. მაშინ როდესაც მფარველობითი ბაჟი შეიძლება მრავალგვარ საქონელზე იქნეს დაწესებული, ფისკალური ბაჟი ყოველთვის პროდუქტთა მხოლოდ მცირე რიცხვს შეეხება, სახელდობრ: 1. იმ საგნებს, რომელნიც სახელმწიფოს შიგნითაც, ვითარცა შინაური წარმოების პროდუქტები, მოხმარების ხარკს (აქციზს) ექვემდებარებიან, — მაშასადამე, შაქარს, თამბაქოს, ალკოჰოლიან სასმელს და სხვ.; უმრავლეს შემთხვევაში, მათზე, აქციზს გარდა, მფარველობითი ბაჟიც არის დაწესებული; 2. უცხოეთის ისეთ პროდუქტებსაც, რომელნიც ადგილობრივ სრულიად არ მზადდებიან, მაგრამ თავიანთი ბუნების მიხედვით, გამოსადეგნი

არიან მოხმარების დაბეგვისათვის, როგორც მაგ., ჩაი, ყავა, კაკაო, სანელებელი, სამხრეთ ქვეყნების ხილი და სხვ.

შეწერის სახის მიხედვით არჩევენ 1. სპეციფიურ, ბაჟს, რომელიც აიღება ზომის ან ცალთა რაოდენობის ანდა, ჩვეულებრივ, წონის (ბრუტო ან ნეტო წონის) მიხედვით, და 2. ფასეულობის ბაჟს, რომელიც აიღება დაბაჟული საგნების გამოცხადებული ფასეულობის მიხედვით. ბაჟკუთვნილი პროდუქტები ჩამოთვლილია საბაჟო ტარიფში ბაჟის ერთეულისა და განაკვეთის ჩვენებით. ტარიფი ან ანბანზეა დალაგებული, ანდა—სისტემატიურად აგებული. სისტემატიურ ტარიფში საქონლები ჯგუფებად არის დანაწილებული მათი შინაგანი კავშირის მიხედვით,—ასეა, მაგ., 1902 წ. 25 დეკემბრის გერმანიის საბაჟო ტარიფში.

1919 წ. 21 ივლისის კანონს შემდეგ გერმანიის იმპერიაში ბაჟი ოქროთი გადაიხდება. ამის გამო ბაჟი ფულის ფასეულების დაცემას შეუფარდება; მანამდე კი თითოეული შემოხვევისათვის საგანგებო დამატებითი „ოქროს ბაჟი“ იყო გადასახდელი, რომელიც დოლარის კურსის საფუძველზე იყო აგებული, თუმცა ცვალებადი საშუალო ოდენობის მიხედვით.

საბაჟო შემოსავლის უზრუნველსაყოფად დაწესებულია მხოლოდ განსაზღვრული ვხებით შემოტანა ბაჟკუთვნილ საქონელთა ანდა, როდესაც შემოტანა რკინისგზით, ფოსტით, მდინარით ან ზღვით სწარმოებს, იგი მხოლოდ განსაზღვრულ უზრუნველმყოფელ ღონისძიებათა დაცვით არის ნებადართული. ბაჟი გადაიხდება საზღვარზე, მაგრამ მისი გადახდა შეიძლება აგრეთვე სახელმწიფოს შიგნითაც,—ადგილობრივ საბაჟოში. ბაჟის გადახდის ასეთი გადატანა საზღვრიდან სახელმწიფოს შიგნით, რამდენადაც ზოგიერთი სახის ტრანსპორტისათვის (რკინისგზა, ფოსტა და სხვ.) განსაკუთრებული გაადვილებული წესი არაა დაშვებული,—ჩვეულებრივ ამგვარად ხდება: უცხოეთიდან მოსული საქონლის შესახებ საზღვარზე საბაჟო დაწესებულება გატარების ნებართვის ბარათს ადგენს და საქონელი, ამ ბარათთან ერთად, ჩვეულებრივ, საბაჟოს მიერ დაბეჭდილ ვაგონში, გაიგზავნება სახელმწიფოს შიგნით და იქ სათანადო შინა-საბაჟოში განსაზღვრულ ვადაში დაიბაჟება. სხვადასხვაგვარი დასაბაჟავი საქონლის საწყობების არსებობა (საჯარო, კერძო, ნავთსადგურის თავისუფალი უბანი) შესაძლებელს ხდის, გატარების ნებართვის წესთან დაკავშირებით, რომ შემოტანილი საქონელი ბაჟგადაუხდელად ეწყოს საწყობში განსაზღვრული დროის განმავლობაში, ვიდრე მისი შემომტანი მის კვლავ საზღვარგარეთ გატანას ან შინაურ აღებმიცემობაში შეტანას გადასწყვეტდეს.

ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ი. — რევოლუციის შემდეგ, 1917 წ. 29 დეკემბრის კანონით, ყოველგვარი საქონლის შემოტანა და გატანა რუსეთში აკრძალულ იქნა ვაჭრობა-მრეწველობის კომისარიატის ნებადაურთველად; 1918 წ. 23 აპრილის კანონით საგარეო ვაჭრობა გამოცხადებულ იქნა „გასახელმწიფოებრივებულად“; 1921 წ. 17 მარტის კანონით საგარეო ვაჭრობის მწარმოებელ ორგანოდ აღიარებულ იქნა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ხოლო 1922 წ. 13 მარტის კანონით შემოტანილ-გატანილ საქონელზე სამიჯნობა აუი იქნა დაწესებული.

სამიჯნო ბაჟის ტარიფი, დადგენილი 1922 წ. 9 მარტის კანონით, შეიცვალა 1924 წ. 8 იანვრის კანონით (შემდეგში ცვლილება-დამატებებით: 1924 წ. 17 იანვ., 19 ნოემბ., 27 ნოემბ., 9 დეკ. და 13 დეკ., 1925 წ. 20 იანვ., 10 თებ., 24 თებ., 9 მარტ., 3 აპრ., 14 ივლ., 21 ივლ., 5 სექტ., 36 სექტ. და 20 ოქტ., 1926 წ. 26 იანვ., 9 თებერვ., 5 მარტის, 23 აპრ., 7 მაისის, 14 ივნისის, 15 ივნისის, 27 ივლ., 26 ოქტ. და 5 ნოემბრის). ამ კანონის თანახმად საბაჟო ტარიფს საფუძვლად დაედვა სამრეწველო და აგრარული პროტექციონიზმის პრინციპი, მაგრამ ვინაიდან მისი გამომუშავებისას შინაური მრეწველობის მდგომარეობისა და მისთვის მფარველობის გაწევის საჭიროების გასათვალისწინებლად სათანადო მასლა არ მოიპოვებოდა,—ტარიფის გადასინჯვის საკითხი მალე ხელახლა წამოიჭრა; საჭიროდ სცნეს ტარიფში ცვლილებების შესატანად გამორკვეულიყო მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ის დარგები, რომელნიც საბაჟო დაცვას საჭიროებდნენ, და აგრეთვე—ბაჟის განაკვეთები შეთანხმებულიყო საშინაო და საგარეო ბაზარზე არსებულ ფასებთან. ამის გამო, გამომუშავებულ და 1927 წ. 11 თებერვალს (შემდეგში ცვლილებებით: 1927 წ. 5 და 6 აპრ., 1928 წ. 3 იანვ., 24 იანვ. და 15 მარტის კანონებით) დამტკიცებულ იქნა ახალი საბაჟო ტარიფი, სისტემატიურად დალაგებულ საბაჟო ტარიფთა კრებულის სახით. კრებული შეიცავს: 1) საერთო საბაჟო ტარიფს შემოტანილ საქონლისთვის; 2) დიფერენციალურ საბაჟო ტარიფს იმ საქონელთათვის, რომელნიც შემოიტანებიან და გაიტანებიან: ა) დიდი ოკეანეს ნავთსადგურებით და ჩრდილოეთ-ჩინეთის ხმელეთის საზღვრით და ბ) მურმანსკის ნავთსადგურით; 3) საბაჟო ტარიფს იმ საქონელთათვის, რომელნიც შემოიტანებიან კასპის ზღვის ნავთსადგურებით, აგრეთვე—ხმელეთის საზღვრით; დაწყებული შავი ზღვიდან ხაზით აღმოსავლეთისაკენ იმ წერტილამდე, სადაც ს. ს. რ. კ-ის საზღვარს გადასტრის მონღოლეთი და ჩრდილოეთ-ჩინეთი,—პროდუქტებისთვის იმ ქვეყნებისა, რომელნიც კასპის ზღვის და აღნიშნულ ხმელეთის საზღვარს აკრავენ, და 4) საერთო საბაჟო ტარიფს გასატანი საქონლისთვის.

ბაჟის საზომსა ფუძველს წარმოადგენს ბაჟკუთვნილი საქონლის ან წონა (კილოებში), ან—ფასი, ან—რაოდენობა.

შემოზიდული საქონლისთვის ბაჟის განაკვეთები, თუ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ, შესაძლებელია ორ ჯგუფად დავანაწილოთ:

ა) მფარველობითი ბაჟები, რომელთაგან უმთავრესია მრეწველობის სხვადასხვა დარგთა დასაცავად დანიშნული ბაჟები; აგრარულ მფარველობით ბაჟებს კი შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვთ. მფარველობითი ბაჟებიდან ზოგიერთ საქონელზე დაწესებული ბაჟები ფიქტიური ხასიათისაა, შემოტანის უქონლობის გამო, ვინაიდან მოთხოვნილება ამ საქონლებზე (როგორც,

მაგ., საშაქარლამო ნაწარმოები, სპირტი, ლუდი, მინერალური წყლები, ძმარი და სხვ.) შინაური წარმოებითაც კმაყოფილდება და ზოგი მათგანი ექსპორტის საგანსაც წარმოადგენს (მაგ., ფქვილი, შაქარი, ხე-ტყე, ნავთობი და სხვ.).

ბ) ფისკალური ბაჟები, რომლითაც დაბეგრლია ფართო მობზარების საგნები (ბრინჯი, ყავა, ჩაი, გალანტერეა, პარფიუმერია, კოსმეტიკა და სხვ.).

სამიჯნო ბაჟისგან (შემოტანისას) თავისუფალია; ყოველგვარი პურეული, გარდა ბრინჯისა, კართოფილი (ახალი), ცხოველთა საკვები ისეთი პროდუქტები, რომელნიც წარმოების ნარჩომს წარმოადგენენ, ნედლი ძვალი, ბუნებრივი სასუქი ნივთიერებანი, შეშა, წანახში, თივა და გაუშუმენდელი ჩაღა, ჩილის გვარჯილა, ქინაქინა და მისი მარილები, როგორც არაორგანიული, ისე ორგანიული სიმკვებებით, სამთა-მადნო მშველელი სადგურებისათვის დანიშნული მოწყობილობა-აპარატები და სხვ..

დიფერენციალური საბაჟო ტარიფი (იხ. აქვე ზევით მუხ. მე-2; ა და ბ) შეიცავს დაკლებულ განაკვეთებს და ვრცელდება მხოლოდ ზოგიერთ საქონელზე.

უცხოეთში გატანისას ბაჟებია დაწესებული მხოლოდ მცირედენ საქონელზე: ზოგიერთ ცხოველსა (აქლემი, მერინოსის და კარაკულის ცხვარი, ცხენი), ძვალსა, ბეწვეულსა, ძვირფას მერქანსა, ხე-ტყის მასალასა, სანტონინსა (უფერო კრისტალური ნივთიერება, —სამკურნალო დანიშნულებისათვის) და რეზინის ნარჩომზე.

სამიჯნო ბაჟის შემოსავალი მთელს კავშირში შეადგენდა: 1923/24 წ. 67.441 ათას მ. ანუ მთელი შემოსავლის 2,90%-ს, 1924/25 წ. — 101.931 ათას მ. ანუ—3,50%-ს (წინა წელთან შედარებით—150,70%-ს), 1925/26 წ. — 149.719 ათას მ. ანუ—3,90%-ს (წინა წელთან შედარებით—147,50%-ს); 1926/27 წ. შემოსავლად იყო ნავარაუდები 190.000 ათასი მ. ანუ—3,80% (წინა წელთან შედარებით—127,50%), ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტით ნავარაუდვია—225.000 ათასი მ. ანუ—3,70% (წინა წელთან შედარებით—118,40%).

მე-4 ნაწილი

ს ა ჯ ა რ ო კ რ ე დ ი ტ ი

1. დეფიციტი და მისი დაფარვა.

§ 68. დეფიციტი.— დეფიციტი ნამდვილის მნიშვნელობით არსებობს მაშინ, როდესაც რეგულიარული, მიმდინარე შემოსავალი არ კმარის საჯარო საქმიანობათა დასაფარავად (იხ. ზევით გვ. 22). დეფიციტი შეიძლება ეხებოდეს როგორც ჩვეულებრივი, ისე არაჩვეულებრივი ხარჯების დაფარვას. პირველ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივი შემოსავალი ვერ ფარავს ჩვეულებრივ ხარჯებს, გაჭირვებიდან ერთადერთ გამოსავალ გზას წარმოადგენს ხარჯების შემცირება ანდა ჩვეულებრივი შემოსავლის გადიდება,—მაშასადამე, პირველ რიგში არსებულ ხარჯების გადიდება ან ახალთა შემოღება. მართალია, ამგვარი დეფიციტის გამო გაჭირვებაში მყოფი სახელმწიფო ამ გზას ხშირად არ მისდევს და დეფიციტს ვალის აღებით ფარავს, ვინაიდან ეს წესი სახსართა მოპოებისა ასეთ მომენტში უფრო მოხერხებულად მიაჩნიათ: ამით თავიდან აიცილება ის აღელვება და ბრძოლა, რომელსაც ყოველთვის იწვევს ახალი ხარკის შემოღება; მაგრამ ასეთი საფინანსო პოლიტიკა არ მოწმობს ხელმძღვანელთა შორსმხედველობას და ფინანსიურად ფრიად სახიფათოა, ვინაიდან იწვევს საფინანსო მეურნეობის დაშლას და არეგდარევას. დეფიციტი არაჩვეულებრივ ხარჯებში არის მაშინ, როდესაც არაჩვეულებრივი გასავლის დაფარვა მიმდინარე შემოსავლით შეუძლებელი ხდება. დაფარვის საშუალებათა შესახებ, რომელნიც ამ შემთხვევაში გამოიყენებიან, მოთხრობილია შემდეგ §-ში.

სულ სხვაგვარია სასალონო დეფიციტი. ასეთი დეფიციტია მაშინ, როდესაც ხარჯების დასაფარავი საშუალება საფინანსო პერიოდში თუმცა საკმარისია, მაგრამ განსაზღვრულ მომენტში ის სალონს არ მოეპოება, ვინაიდან ხარჯები მანამდეა გასაწევი, ვიდრე შემოსავალი შემოვიდოდეს. ასეთი დეფიციტი ფორმალური ხასიათისაა და მას საფინანსო მეურნეობაზე არავითარი შემრყევი გავლენა არა აქვს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო საქმის სახსარს

მოიპოვებს მოკლევადიანი სესხის აღებით, რომელიც გასწორებულ იქნება, როგორც კი მისაღები შემოსავალი შემოვა სალაროში (იხ. § 71).

§ 69. არაჩვეულებრივი ხარჯების დაფარვის საშუალებანი.— საფინანსო მეურნეობისათვის საუკეთესო წესი ის იქნებოდა, რომ არაჩვეულებრივი საჭიროებაც საფინანსო მეურნეობის საკუთარი საშუალებებით, — უპირველეს ყოვლისა, წინა წელთა გარდამეტებით, — კმაყოფილდებოდეს. მაგრამ ვინაიდან ამგვარი სახსარი მხოლოდ იშვიათად და გამონაკლისის სახით მოიპოვება, ამიტომ სახელმწიფომ სხვა საშუალებებს უნდა მიმართოს. ასეთი საშუალებებია სულ ოთხი: სახელმწიფო ქონების გაყიდვა, სათადარიგო ფონდის გამოყენება, სახარკო შემოსავლის გადიდება და ვალის აღება.

პირველი ორი საშუალება ამჟამად მხოლოდ იშვიათად მოიშველიება. სათადარიგო ფონდის დაგროვება, რაც წინად ხშირი იყო, განსაკუთრებით ომის მიზნებისათვის, სახალხო მეურნეობას კაპიტალს მოაკლებდა, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი სარგებლის დაკარგვას გამოიწვევდა და ამავე დროს დიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მაინც საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ ასეთი დიდი ფონდის შექმნა ხელსაყრელი და მიზანშეწონილი არაა, მით უფრო, რომ სასწრაფო საჭიროებისათვის, — მაგ., მობილიზაციისთვის, — ყოველთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ნაღდი ფული, რომელიც ცენტრალურ ბანკებში მოიპოვება. სახელმწიფო ქონების (დომენების, რკინისგზების და სხვ.) გაყიდვა სახელმწიფოს ძვირფას შემოსავლის წყაროებს მოაკლებდა და, გარდა ამისა, ფინანსიურად კრიტიკულ მომენტში მათი ხელსაყრელად რეალიზაცია ვერც მოხერხდება. ამრიგად, რჩება არსებითად მხოლოდ ორი საშუალება: სახარკო შემოსავლის გადიდება ან ვალების აღება.

სახარკო წყაროების გამოყენებას, — იქნება ეს დროებითი გადიდება არსებული ხარკებისა, თუ ერთდროულად ან განმეორებით შემოდება არაჩვეულებრივთა, — პრაქტიკულად მხოლოდ ზოგიერთი მიზნისათვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს: ომისა და შეიარაღების ხარჯების დასაფარავად, ანდა ვალების შესამცირებლად, — მაშასადამე, ე. წ. არაპროდუქტიული გასავლისათვის. როგორც საფინანსო ისტორია მოწმობს, სახარკო წყაროები ამ მიზნებისათვის ყოფილა კიდევ არა იშვიათად გამოყენებული. მაგ., ინგლისმა მე-18 ათუკუნის დასასრულიდან ომის ხარჯების ნაწილი საშემოსავლო ხარკის გადიდებით დაფარა, გერმანიამ შეიარაღების ხარჯები, რომელიც 1913 წ. იყო საჭირო, თავდაცვის გამოსაღებით მოიპოვა (იხ. გვ. 193 და შემდ.); მსოფლიო ომის დროს, ყველა ომში მონა-

წილე სახელმწიფომ შემოიღო ახალი ხარკები და არსებულნი გაადი-
და, რათა ომით გამოწვეული ხარჯების ნაწილი დაეფარა (იხ. გვ-
203 და შემდ.). ზოგიერთმა სახელმწიფომ ვალიუტის გაჯანსაღების
მიზნითაც შემოიღო არაჩვეულებრივი ხარკები (მაგ., ჩეხოსლოვაკიამ).
მაგრამ ხარკების გამოყენება არაჩვეულებრივი გასავლისათვის ყველ-
გან იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დიდია არსებული სახარ-
კო ტვირთი. ხარკების გადიდებისას არსებითი საკითხია შემდეგი:
არის თუ არა არსებული ხარკები თანაბარზომიერად და სამართლი-
ანობის პრინციპზე აგებული, ვინაიდან—რაც უფრო დიდია ხარკი,
მით უფრო დიდია ყოველთვის მისი ნაკლიც. ხარკის გამოყენების
სასარგებლოდ ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ სახელმწიფოს სახარკო
შემოსავალი სახალხო მეურნეობის წლიური გამოსავლიდან გამომდი-
ნარეობს და რომ ხარკის გადამხდელნი იძულებული ხდებიან გაღე-
ბული თანხა მომჭირნობითა და მუყაითობით აინაზღაურონ. მეო-
რეს მხრივ, ამის საწინააღმდეგოდ; ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ ხარ-
კების გადიდება ფართო წრეების საარსებო დონეს დაბლა სწევს,
მაშინ როდესაც სესხი შეიძლება სახალხო მეურნეობის გარდამეტი-
დან იქნეს გასტუმრებული. ერთი რამ მაინც ცხადია: რომ ხარკე-
ბი თანამედროვე თაობას ბეგრავს, სესხი კი—მომავალს და რომ მო-
მავალი თაობისათვის მით უფრო ძნელი იქნება ახალი ამოცანების
განხორციელება და კრედიტით სარგებლობა, რაც მეტი სარგებელი
და ვალის დასაშრეტი თანხა ექნება ამის გამო მას,—მომავალ თაო-
ბას,—გადასახდელი. ამიტომ ვალის აღებისას ყოველთვის მხედვე-
ლობაში უნდა იყოს მიღებული მომავალი თაობის ძალღონის დაზო-
გვა, რისთვისაც საჭიროა მტკიცედ ხორციელდებოდეს დებულება:
რომ ჩვეულებრივი ხარჯები გასაცალკეებელია არაჩვეულებრივისა-
გან და რომ არათუ პირველგვარი ხარჯები,—ჩვეულებრივი ერთ-
დროული ხარჯების ჩათვლით,—ყოველთვის მიმდინარე შემოსავლი-
დან უნდა იფარებოდეს, არამედ არაჩვეულებრივი ხარჯების დაფარ-
ვაც შეძლებისამებრ ეხლანდელ თაობას უნდა მოეთხოვოს, ხარკების
დროებით გადიდებით ან ახალთა შემოღებით. დიდი არაჩვეულებრი-
ვი ხარჯების მთლიანად ხარკების საშუალებით დაფარვა მაინც შეუ-
ძლებელი იქნება. ასეთ შემთხვევებში ვალის აღება აუცილებელია.
ვალი არაა საშიში, და მის საწინააღმდეგოდ არა ითქმის რა, უკე-
თუ იგი უშუალო პროდუქტიული მიზნებისათვის—მაგ., რკინისგზე-
ბის, აირსადენის, ელექტროსადგურების ასაშენებლად—გამოიყენება,
რომელთა შემოსავლიდან შეიძლება გადახდილ იქნეს ვალის სარგე-
ბელი და თავნიც, მომავალი თაობის დაუტვირთავად.

§ 70. საჯარო კრედიტი საზოგადოდ და ვალის სახეები.—1.

საჯარო-უფლებრივი კავშირების (სახელმწიფოს, თემების და სხვ.) კრედიტი წარმოადგენს ნდობას, რომელიც მათ აქვთ ნაკისრი სავალლო ვალდებულებების შესრულების ნხრივ და რომლის საფუძველზე მათ სესხი ეძლევათ. ეს ნდობა დამყარებულია საჯარო კავშირის მიერ თავისთვის სავალდებულო შესასრულებლად მიჩნევაზე ვალდებულებათა, რომელთაც იგი კისრულობს, და მის გადამხდელობით უნარზე, ე. ი. სახალხო მეურნეობის მდგომარეობასა, საფინანსო წყობილებასა და განსაკუთრებით ხარკებზე, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს, პირველ რიგში, ვალის სარგებლისა და თავნის გადახდა. ვალების აღების უფლება არსებითად გამომდინარეობს საჯარო კავშირების—განსაკუთრებით სახელმწიფოს—მარადისობიდან, რის გამო აწინდელი საზოგადოებრივობისათვის გაწეული სასარგებლო ხარჯი და მისი დაცვა სხვადასხვა ხიფათისაგან მომავალი თაობისთვისაც სასარგებლო არის. ამიტომ არ შეიძლება უსამართლოდ იქნეს მიჩნეული, რომ აუცილებელი ამოცანების განხორციელებაში, რომლის ხარჯების დაფარვა სახარკო შემოსავლით თანამედროვე თაობას არ ძალუძს, მომავალ თაობამაც მიიღოს მონაწილეობა.

2. საჯარო კრედიტი თავდაპირველად დაკავშირებული იყო მეფის პიროვნებასთან და მხოლოდ უზრუნველყოფის საფუძველზე (მამულისა და რეგალების დაგირავებით, თავმდებისა და საწინდარის გაცემით) მოიპოვებოდა. ამასთანავე ის ძვირიც იყო. ეს აიხსნება მაშინდელ დროში სასესხო კაპიტალის სიმცირით, დავალიანების ხასიათით (ომის წარმოება, მეფის პირადი ხარჯები), რისკით, რომელსაც განიცდიდა კრედიტის გამცემი, ვინაიდან მეფის მემკვიდრეები მისი ვალის გადახდას არ კისრულობდენ ან მხოლოდ იშვიათად კისრულობდენ,—როდესაც ამას გარდაცვალებულისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა უკარნახებდა. რესპუბლიკებში, აგრეთვე, მაგ., გერმანიის საიმპერიო ქალაქებშიც, სადაც კრედიტი სახელმწიფოს მეთაურის პიროვნებას ვერ დაუკავშირდებოდა, კრედიტორები, განსაკუთრებით შეძლებული მოქალაქენი, ხოლო შემდეგ ამათგან შემდგარი საზოგადოებანი, საჯარო შემოსავალს ან სხვა საუზრონველყოფო ობიექტებს იგირავებდენ. ასეთი წესი მისაბაძი გახდა სამთავროებშიც; თანდათან გახშირდა ხარკების, რეგალების ან მთელი ოლქების შემოსავალთა დაგირავება სესხის მისაღებად. აგრეთვე წოდებათა წარმომადგენლობასა და მათ სალაროებსაც, ინგლისში—პარლამენტსაც უნდა ეკისრათ თავდებობა კრედიტისათვის.

საჯარო კრედიტი მე-18 საუკუნემდე ყოველმხრივ მოუწესრიგებელი და განუვითარებელი იყო. თვით საფინანსო მეურნეობის მოუწესრიგებლობა იწვევდა იმას, რომ კრედიტით მოპოებული სახსარი როგორც ჩვეულებრივ ისე არაჩვეულებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა და სარგებლის რეგულიარული გადახდა და ვალის დაშრეტა არ სწარმოებდა. ქრონიკული საფინანსო გაჭირვება სახელმწიფოს ხელისუფლებას აიძულებდა ფულის მოსაპოებლად თანამდებობანი გაეყიდა, მონეთი გაეყალბებია, კაპიტალის ერთბაშად მიღების სანაცვლოდ ხარკები იჯარით გაეცა, კრედიტის მომცემ სავაჭრო საზოგადოებებისათვის პრივილეგიები მიეცა, იძულებითი სესხი აეღო და ქალაქის ფული უზომოდ გამოეშვა. ვალების უმეტესი ნაწილი მოკლევადიანი იყო, ვინაიდან მევალეთა ნდობა მხოლოდ თვეობით განისაზღვრებოდა. რამდენადაც გრძელვადიანი სესხის აღება ხდებოდა, ამას ხშირად ადგილი ჰქონდა ისეთი ფორმით, რომელიც სესხის მიმცემისათვის განსაკუთრებულ წამქეზებელ საშუალებას წარმოადგენდა: სახელდობრ, სასიცოცხლო და ვადიანი რენტისა და საპრემიო და სალატარიო (მოგებიანი) სესხის სახით. ფარული და აშკარა სახელმწიფოს გაკოტრება ხშირი მოვლენა იყო. განსაკუთრებით ცუდ საფინანსო მდგომარეობაში იყო საფრანგეთი მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

მოუწესრიგებელი ვალების მავნებლობა თანდათან შეცნობილი იქნა როგორც თეორიისა, ისე პრაქტიკული საფინანსო მართველობის მიერ. იწყება ცდა, ნაწილობრივ უკვე მე-18 საუკუნეში და ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როგორც საერთოდ საფინანსო მეურნეობაში, ისე საკრედიტო საქმეშიც წესრიგის დასამყარებლად. სახარკო წყობილების რეორგანიზაციამ, კონსტიტუციური წყობილების შემოღებამ, სახალხო კეთილდღეობის გაზრდამ და კაპიტალისტთა რიცხვის გამრავლებამ, რომელნიც ეძიებდნენ შემთხვევებს კაპიტალის მოსათავსებლად, ნაპოლეონის ომების შემდეგ მშვიდობიანობის ჩამოვარდნამ და კიდევ სხვა გარემოებამ ხელი შეუწყო გაჯანსაღებისაკენ მიმართული მეცადინეობის ნაყოფიერებას. თანდათან იწყება კრედიტის გამოყენება მხოლოდ ნამდვილი არაჩვეულებრივი საჭიროებისათვის. გაიზარდა ფულის გამცემთა ნდობა საფინანსო მართველობისადმი, რამაც შესაძლებელი გახდა გრძელვადიანი ვალების აღება ისე, რომ საჭირო აღარ ყოფილიყო სამძიმო უზრუნველყოფის მიცემა კრედიტორებისათვის. განვითარდა სასესხო ტენზიკაც და სესხის ფორმები სახელმწიფოს და კრედიტორთა მოთხოვნილებებს შეეგუა.

3. ვალის სახეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

ა) კაპიტალის წარმოშობის მხრივ არჩევენ შინაგან და საგარეო სესხს. შინაგანი ისეთ სესხს ეწოდება, რომლის რეალიზაცია სახელმწიფოს შიგნით ხელმოწერის გამართვით ხდება ანდა რომლის ობლიგაციები შინაგანი საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით სალდება. საგარეო კი ისეთი სესხია, რომლის განაღდება უცხოეთის კაპიტალის ბაზარზე ხდება. მოხდება ასეც, რომ საჯარო კავშირები სესხის აღებისას ერთსადაიმევე დროს მიმართავენ როგორც ადგილობრივს, ისე უცხოეთის ბაზარსაც. მაგრამ იმის გამო, რომ კაპიტალის ქსელი საერთაშორისოა და კაპიტალისტებს ყოველთვის აქვთ მისწრაფება გამოიყენონ ხელსაყრელი პირობები, სადაც უნდა იყოს ეს,—შინ თუ გარეთ,—შიეძლება მოხდეს და ხშირად ასეც ხდება, რომ შინაგანი სესხის ობლიგაციებს უცხოელები შეიძენენ და ასევე ფორმალურად საგარეო სესხის ობლიგაციებს, ეკონომიური კონიუნქტურის გაუმჯობესების მომენტში, შინაური კაპიტალისტები შეისყიდნიან.

ეს გარეგნული გარჩევა სესხთა ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვალის სახალხო-სამეურნეო, პოლიტიკური და საფინანსო მნიშვნელობა-გავლენა, სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით,—შინაურია თუ უცხოა კრედიტის გზით მოპოებული კაპიტალი. შინაგან ბაზარზე აღებული სესხის გამო შესაძლებელია კერძო სამეურნეო მიზნებისათვის კაპიტალის მოპოება გაძნელდეს, სამეურნეო ცხოვრების წინსვლა დაბრკოლდეს. მაგრამ ამ უარყოფითი შედეგების მნიშვნელობა შემცირდება იმდენადვე, რამდენადაც აღებული ვალი პროდუქტიული მიზნებისათვის—მაგ., რკინისგზების გასაყვანად, სასოფლო მელიორაციისა და სხვა მსგავსი საქმეებისათვის—გამოიყენება. შინაგან სესხს, ყოველ შემთხვევაში, ის სარგებლობა ახლავს, რომ სარგებელი და ვალის დასაშრეტი ხვედრი ადგილობრივვე რჩება, რაც ხელს უწყობს კაპიტალის შექმნას. საგარეო სესხის აღებას არ ახლავს მოხსენებული საზიანო შედეგები ადგილობრივი სახალხო მეურნეობისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ის უარყოფითი მხარე აქვს, რომ, განსაკუთრებით დიდი დავალიანების დროს, კრედიტორ სახელმწიფოს აძლევს საშუალებას პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა მოახდინოს მოვალე სახელმწიფოზე. კრედიტორ სახელმწიფოს შეუძლია, პოლიტიკური და სამეურნეო კრიზისის დროს, სესხის ობლიგაციების გაყიდვით კურსის დაცემა გამოიწვიოს და დებიტორ (მოვალე) სახელმწიფოს კრედიტი მოშალოს. გარდა ამისა, უცხოეთში აღებული სესხის სარგებელი და ვალის დასაშრეტი ხვედრი უცხოეთში მიდის, რითაც დავალიანებული სახელმწიფოს საანგარიშო ბალანსი

უარესდება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საზღვარგარეთ აღებული სესხი პროდუქტიული მიზნებისათვის გამოიყენება, მოვალე სახელმწიფოს შეიძლება სარგებლობა უფრო დიდი ექნეს, ვიდრე სარგებლის უცხოეთში წასვლით გამოწვეული ზარალი. გაჭირვების მომენტებში, წაგებული ომის შემდეგ, როდესაც ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე სესხის მოპოება შეუძლებელია, სახელმწიფო უცხოეთისადმი დავალიანების უარყოფით მხარეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ დროებით შემსუბუქებასთან შედარებით, რომელსაც უცხოეთის დახმარებით ღებულობს. ამ მოსაზრებების გამო, საკითხი იმის შესახებ, უპირატესობა შინაგან სესხს უნდა მიეცეს თუ — უცხოეთში აღებულს, შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ თითოეული კონკრეტული შემთხვევის მიხედვით.

ბ) უზრუნველყოფის მხრივ, რომელიც კრედიტორებს ეძლევათ, გაარჩევენ ერთის მხრივ სესხს, რომლისათვის საგანგებო გარანტია უნდა იქნეს მიცემული სახელმწიფო ქონების ან სახარკო შემოსავლის დაწინდებით თუ დაგირავებით, და მეორეს მხრივ ისეთს, რომელიც მხოლოდ დებიტორის საერთო ნდობის საფუძველზე გაიცემა. წინანდელ დროში შინაური კრედიტორებიც ხშირად მოითხოვდნენ ფასეულ ობიექტთა დაგირავებას მათ მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად; ამჟამად კი ასეთ უზრუნველყოფას მოითხოვენ უცხოეთის კრედიტორები ისეთ სახელმწიფოთაგან, რომელთა კრედიტი შერყეულია და რომელთა ყოლა თავისგან დამოკიდებულებაში მათ სურთ.

გ) იმის მიხედვით, ქონების პატრონნი სესხს ნებაყოფლობით აძლევენ სახელმწიფოს თუ — იძულებით, გაარჩევენ ნებაყოფლობით და იძულებით სესხს. ეს უკანასკნელი, რომელსაც აგრეთვე სახარკო სესხსაც უწოდებენ, ვინაიდან ის ხარკსავით შეწერის საფუძვლით ეკისრებათ ქონების მფლობელებს გადასახდელად, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს უკიდურესი საჭიროებით იქნეს გამართლებული. ის მეტად არათანაბარის სიმძიმით აწვება ტვირთად გამამხდელთ შეწერის ნაკლისა და ქონების სახეთა ლიქვიდობის სხვადასხვაობის გამო, აიძულებს მათ ხშირად ვალი აიღონ შენაწერის გადასახდელად, სახალხო მეურნეობას საჭირო კაპიტალს აცლის და სარგებლის ნორმას აძვირებს. იძულებით სესხს, ფართო მნიშვნელობით, მიეთვლება აგრეთვე სახელმწიფოს ხარჯების გაუსტუმრებელი ნარჩენები, ხარკის ნაადრევი აკრეფა, ხარკის იძულებით ავანსად გადახდევინება ხანგრძლივი დროისთვის, საწინდარ-დეპოზიტები და განსაკუთრებით ქალაქის ფული (§ 72).

დ) ვალის ხანგრძლივობისა, მიზნისა და მოწესრიგების მიხედვით გაარჩევენ მოკლევადიან ანუ გაუმავრებელ და გრძელვადიან ანუ გამავრებულ (კონსოლიდაციამწილ) სესხს. პირველს მიეკუთვნება აგრეთვე ქალაქის ფულიც. ეს დანაწილება უდევს საფუძვლად ამ საკითხის ქვევით ჩვენ მიერ მოცემულ განმარტებას.

1. მსოფლიო ომის დროს, განსაკუთრებით შეთანხმების სახელმწიფოებმა, დიდი ვალები აიღეს უცხოეთში საომარი მასალების, ნედლეულობისა და საარსებო საშუალებათა საყიდლად. მსოფლიო დავალიანება შეერთებული შტატების მიმართ ომის დასასრულს 10 მილიარდ დოლლარს აღემატებოდა.

2. რეალ უზრუნველყოფას მე-19 საუკუნეშიც კი ხშირად მოითხოვდნენ კრედიტორები არასაიმედო სახელმწიფოთაგან, უმთავრესად სარკინისგზო, სახარკო, საბაჟო და სანავთსადგურო შემოსავლის დაგირავების სახით. გერმანიის სარეპარაციო გადასახადებისათვის გარანტიას წარმოადგენს ბაჟების, თამბაქოს, ლუდის და შაქრის აქციზის ბრუტო-შემოსავალი და არაყის მონოპოლიის ნეტო-შემოსავალი. „საიმპერიო რკინისგზების სააქციო საზოგადოებაზე“ დაკისრებული გასაცემის შესახებ იხ. გვ. 103. უცხოეთის სესხისათვის, 800 მილიონი ოქროს მარკის ოდენობით, რომელიც გერმანიას მისცეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, შვედეთის, შტატების, პოლანდის, შვეიცარიის და შვეიცარიის კრედიტორებმა ვერსალის ხელშეკრულებით და ლონდონის შეთანხმებით დაწესებულ ვალდებულებათა გადასახდელად, აგრეთვე ოქროს და დევიზების მოპოვებისათვის გერმანიის ვალიუტის გასამავრებლად, უზრუნველყოფას წარმოადგენს: 1. იმპერიის მთელი ქონება და შემოსავალი, ენლანდელი და მერმინდელი, 2. გენერალურ აგენტისათვის ჩასაბარებელი სარეპარაციო გადასახადები, 3. ზევით მოხსენებული სარეპარაციო გადასახადებისათვის დაგირავებული საბაჟო და სახარკო შემოსავალი (გვ. 103),—დამატებითი უზრუნველყოფის სახით.

3. ომის შემდეგ იძულებითი სესხი აიღეს სხვადასხვა სახელმწიფოებმა, გერმანიის იმპერიამ—1922 წ. 20 ივლისის კანონით. სესხზე ხელის მოწერა, თავისი ქონების 1—10%-ის ოდენობით, სავალდებულო იყო ყველასათვის, ვინც 1923 წ. 1 იანვრისათვის საქონელზე ხარკით დაბეგრული იყო (იხ. გვ. 190 და შემდ.). ხელის მოწერისაგან თავისუფალი იყო მფლობელი არა უმეტეს 400.000 მარკის ქონებისა და წვრილი რენტორი,—1, 2 და 4 მილ. მარკის ქონების მესპატრონე. სესხი 5 წლის განმავლობაში უპროცენტო უნდა ყოფილიყო, შემდეგში კი მასზე ზომიერი სარგებელი უნდა დაწესებულიყო. მაგრამ იმ დროს დაწესებულმა მარკის შეუჩერებელმა დაცემამ მისი განხორციელება შეუძლებელი გახადა (ამ სესხით შემოუვიდა იმპერიას ნომინალურად სულ 308 მილიარდი მარკა): 1923 წ. 8 სექტემბრიდან ხელის მოწერის ვალდებულება გაუქმებულ იქნა.

2. მოკლევადიანი (გაუმავრებელი) ვალი.

§ 71. მოკლევადიანი ვალის ცნება და სახენი.— ასეთ ვალად მიიჩნევა ისეთი ვალი, რომელიც დროებითი საჭიროების დასაკმა-

ყოფილებლად აიღება,—მაშასადამე ისეთი ხარჯისათვის, რომლის დასაფარავად იმ მომენტში—სახელდობრ, სასალარო დეფიციტის მომენტში (იხ. ზევით გვ. 304) — შემოსავალი არ მოიპოება. მიზნის შესაფერად, ის მხოლოდ მოკლე ვადით აიღება (რამდენიმე თვით, სულ დიდი ერთი წლით). საშუალება ამგვარი ვალის აღებისა არის შემდეგი: 1. სახაზინო ვალდებულებებებ ის ან სახაზინო ბილეთების (Exshequer bills, Bons du tresor) გამოცემა, რომელიც ან მტკიცე სარგებლის მომცემი არიან, ან მათი მოკლე სამიმოქცევო ვადის განმავლობაში თამასუქივით განაღდდებიან,—გამოიცემიან უსახელოდ და თითოეულზე დიდი თანხის აღნიშვნით, ვინაიდან მათ ჩვეულებრივ ბანკები და მსხვილი კაპიტალისტები იღებენ; 2. სახაზინო თამასუქები (Treasury bills), რომელნიც სადისკონტოდ ბანკებში წარიდგინებიან; 3. საკონტოკორენტო კრედიტის მიღება ბანკში (ცენტრალურ საემისიო ბანკში), ანაღების დაფარვით (სახაზინო ვალდებულებების ჩაბარებით) ანდა დაუფარავად. ასეთი ვალის აღების ნებართვა, თანხის განსაზღვრულ ფარგლებში, საფინანსო მართველობას ან საფინანსო კანონით აქვს მინიჭებული, ანდა საგანგებო კანონით. ჩვეულებრივ თვით კანონი არ განსაზღვრავს სესხის სარგებლის სიდიდეს და სხვა პირობებს,—ეს განისაზღვრება შეთანხმების საფუძველზე საფინანსო მართველობასა და კრედიტორებს შორის იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება კაპიტალის ბაზრის მდგომარეობა სესხის აღების მომენტში. უმრავლეს შემთხვევაში კანონი მოითხოვს, რათა ამგვარი ვალი გადახდილ იქნეს არა უგვიანეს რამდენიმე თვისა საბიუჯეტო წლის გასვლის შემდეგ.

თუ ასეთი სესხით ფრთხილად და წინდახედულად სარგებლობს საფინანსო მართველობა, თუ იგი მართლა მხოლოდ სასალარო დეფიციტის დასაფარავად გამოიყენება და უეჭველი საფუძველი არის იმისა, რომ სესხის გადახდის ვადისათვის საჭირო საშუალება მიღებული იქნება ჩვეულებრივი საშემოსავლო წყაროებიდან, იმ შემთხვევაში ასეთი კრედიტი არავითარ საფრთხეს და საშიშროებას არ წარმოადგენს საფინანსო მეურნეობისათვის. მართალია, სესხის აღებასთან ყოველთვის ხარჯებია დაკავშირებული,—სარგებლის, საკომისიო გასამრჯელოსი (ბანკებისათვის) და კურსის განსხვავებისა. მაგრამ ამის სამაგიეროდ სახელმწიფოს ის სარგებლობა აქვს, რომ არ სჭირდება თავის სალაროებში მუდამ საკმაო ნაღდი ფული იქონიოს, რაც უამისოდ აუცილებელი იქნებოდა ყოველ ჟამს საჭირო ხარჯების მოხდენის უზრუნველსაყოფად.

მაგრამ გაუმაგრებელი ვალი გამოიყენება არა მარტო სასაღარო დეფიციტის დასაფარავად, არამედ—სხვა მიზნებისთვისაც. ამის ერთი შემთხვევაა, როდესაც ის აიღება ჩვეულებრივი ბიუჯეტის ნამდვილი დეფიციტის დასაფარავად. მას ადგილი აქვს ხშირად, როდესაც, სახელდობრ, ხელისუფლება თავის დროზე ხარკების გადიდებას ვერ გაბედავს ან ვერ მოახერხებს. ასეთი დაუფარავი დეფიციტი შეიძლება დიდხანს წლიდან წელში გადადიოდეს იმ გზით, რომ ვალის გადახდის ვადა, რახან მისი გასტუმრების საშუალება არაა, მრავალჯერ გაგრძელებული იქნება ანდა მის გასასტუმრებლად ახალი მოკლევადიანი სესხი აიღება. ასეთი—ნამდვილი დეფიციტის დასაფარავად აღებული—გაუმაგრებელი ვალი შეიძლება მოსპობილ იქნეს ან სახარკო შემოსავლის გადიდებით ანდა, თუ ეს არ მოხერხდება, მისი გრძელვადიან ვალად გარდაქმნით. მეორე შემთხვევა არის მაშინ, როდესაც, სახელმწიფოს კატასტროფიული მდგომარეობისა და ამიტომ გრძელვადიანი სესხის მოპოების შეუძლებლობის გამო, მოკლევადიანი ვალი აიღება არაჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად. საფრანგეთის რევოლიუციის ხანაში, ინგლისსა და საფრანგეთში—მსოფლიო ომის დროს, გერმანიაში—ომის დასასრულს და კიდევ უფრო რევოლიუციის შემდეგ, ფრიად დიდი თანხების სახაზინო თანასუქები და ვალდებულებანი, სხვადასხვა სახისა და სახელწოდების, იქნა გამოცემული. ამგვარი ვალი ფრიად სახიფათოა: კრედიტი ძვირად ჯდება; არ არის წინასწარ გარკვეული: ვადა რომ დადგება, ვალი კვლავ ახალ ვადაზე გადაიტანება თუ—ახალი ვალით დაიფარება; ჩვეულებრივი მოვლენა ეს არის, რომ ხაზინის თანასუქები ცენტრალურ ბანკს წარედგინება სადისკონტოდ, რასაც შედეგად მოსდევს ფულისა და ვალიუტის მდგომარეობის გაუარესება. ბიუჯეტში წესრიგის დამყარება ამ შემთხვევაშიაც მოკლევადიანი სესხის გრძელვადიანად გარდაქმნით და სახარკო შემოსავალთა გადიდებით არის მხოლოდ შესაძლებელი.

ინგლისში, მაგ., გაუმაგრებელი ვალი შეადგენდა 1918 წლის შუაში (უკანოეთის ვალებს გარდა) 2 მილიარდ გირ. სტერლინგზე მეტს, საფრანგეთში 1919 წ. დასასრულს—76,5 მილიარდ ფრანკს. გერმანიის იმპერიამ მხოლოდ ომის უკანასკნელ წლებსა და რევოლიუციის შემდეგ დაფარა ომისა და სხვა ხარჯების დიდი ნაწილი გაუმაგრებელი ვალებით, რომელიც ვალიუტის ადღენის წინა მომენტში 70 ტრილიონ მარკას შეადგენდა. ომის გათავების შემდეგ ინგლისმა ენერგიულად იწყო გაუმაგრებელი ვალის თავიდან მოშორება, საფრანგეთმა—ნელა და გაუბედავად; გერმანიაში კი ასეთი ვალი თავისთავად მოიპოო. ქაღალდის ფულის სისტემის უკიდურესამდე გაზრდის წყალობით.

§ 72. ქალაღდის ფული.—კრიტიკულ მომენტებში, როდესაც ხაზინის თამასუქებითა და ვალდებულებებით კერძო საკრედიტო დაწესებულებებისა და კაპიტალისტებისაგან ფულის მიღება არ ხერხდება, სახელმწიფო იძულებულია ეს ვალდებულებანი ცენტრალურ ბანკს წარუდგინოს საღდისკონტოღდ. ეს უკანასკნელი ამისათვის ბანკნოტებს გამოსცემს და სახელმწიფოს ჩააბარებს. მაგრამ ბანკნოტების გამოსცემა იმ ზომისაღდ, რაც სახელმწიფოსთვის საჭიროა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს ბანკოტების ლითონის ფულით განაღდების ვალდებულებისაგან სახელმწიფო გაანთავისუფლებს. ამგვარად ოქროს ფულის სისტემის აღღიღას ჩნდება ქალაღდის ფულის სისტემა. რაც უფრო და უფრო იზრდება ქალაღდის ფულის გამოსცემა, მით უფრო კლებულობს მისი ფასეულობა და ჩნდება ინფლიაციის თავისი გამანაღდგურებელი შეღღეღებით სახალხო მეურნეობისა და ფინანსებისათვის. ფინანსებში ეს გამოხატულებას პოულობს ერთის მხრივ კრედიტის მოზღასა და მეორეს მხრივ სახარკო შემოსავლის შემცირებაში, ვინაიღან სახარკო კანონმღდებლობას არ ძალუღდს სახარკო განაკვეთები მუღდამ ჟამს ფულის ფასეულობის დაცემას შეუფარღდოს და ვინაიღან ინფლიაცია მრავალ სახარკო წყაროს აზრობს და ამცირებს. ქალაღდის ფულის მეურნეობის გაუუქმებლად შეუღდლებელია როგორც ფინანსების, ისე სახალხო მეურნეობის გაჯანსაღება. ასეთი გაჯანსაღება ქალაღდის ფულის ფასეულობის ღიღად დაცემის ღროს ხღება ღევაღვაციის საშუალებით, ე. ი. ძველი ქალაღდის ფულის გადაცვლით ლითონის ფულზე ან ახალ ბანკნოტებზე არა მისი ნომინალური ფასეულობის, არამეღდ —საკურსო ფასეულობის მიხეღღვით, რომელიც ძველ ქალაღდის ფულს აქვს, ოქროს ფულთან შეღღარებით, განაღდების მომენტში. ქალაღდის ფულის აწევა ნომინალურ ე. ი. ლითონის ფასეულობამეღდ გამოიწვევღდა კრედიტორთა სრულიად დაუმსახურებელ გამღღღრებას და მოვალეთა აუტანელ დატვირთვას. მართალია, ღევაღვაციის ღროს ღიღად ზარაღდებიან ის კრედიტორები, რომელთა მფლობელობაში მყოფი ობლიგაციები მაუ მიერ ჯერ კიღვე ლითონის ვალიუტის ან ფასეულობის მქონე ქალაღდის ფულის პერიოღდში არის შეძენილი და ეხლა კი ფასეულობა მთლად ან თითქმის მთლად დაკარგული აქვთ. ამიტომ საჯარო-უფლებრივ კავშირთა მოვალეობაა, რამღენაღდაც საფინანსო მეურნეობა ამის შესაძლებლობას იძლევა, სამართლიანი შეფასება მოახღღინონ თავიანთი საკრედიტო ვალდებულებებისა. ამაზე მეტად ქალაღდის ფულის საკითხის გარკვევა პოლიტიკური ეკონომიის ფარგალში შეღღის.

გერმანიაში ვალიუტის აღდგენა, ურომლისოდ სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობის მოწესრიგება შეუძლებელი იყო, მოხდა დროებით 1923 წ. 15 ოქტ. დეკრეტით შესახებ გერმანიის სარენტობანკის დარსებისა. საფინანსო-სამეურნეო მნიშვნელობა ამ დეკრეტისა იმაში მდგომარეობდა, რომ იმპერიამ, სანაცვლოდ პირებისა, —ემისია შემდეგში გამოყენებული აღარ იქნებაო, —სარენტო ბანკიდან 1200 მილ. სარენტო მარკის კრედიტი მიიღო ქაღალდ-ფულადი ვალის დასაშრეტად. ქაღალდის მარკებში გამოსახული სახაზინო თაქსატუების გაზოცემის შეჩერებამ და მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობის ჩამოყვანამ საჭირო დონემდე უზრუნველყო სამტკიცე სარენტო მარკის ფასეულობისა და ამით სახარკო შემოსავალთაც და შექმნა სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობის მოწესრიგების შესაძლებლობა და საბოლოო მოწესრიგება ვალუტისა. მოხდა ლონდონის კონფერენციის რეზოლიუციების თანახმად გამოცემული ახალი სამონეტო და საბანკო კანონით (1925 წ. 30 აგვ.). სამონეტო კანონმა ახალი სიმპერიო მარკა დააწესა და პრინციპიალურად ოქროს ვალიუტა აღადგინა, ვინაიდან დაპირება გამოაცხადა, რომ ოქროს მონეტის მოჭრა დაწყებული იქნებაო; საბანკო კანონმა სავალდებულოდ გამოაცხადა გამოცემული ბანკნოტების 40%/ის მიხედვით ოქროთი და ოქროს დევიზებით დაფარვა (აქედან 2/3 ოქროთი, დანარჩენი — დევიზებით).

ს. ს. რ. კავშირი. — რევოლიუციის წინ რუსეთში ოქროს მონომეტალიზმის სისტემა იყო მიღებული: ფულის ერთეულად მიჩნეული იყო მანეთი, რომელიც ვითანასწორებოდა 17.42 $\frac{1}{2}$ წილს (0,76 $\frac{1}{2}$ გრამს) წმინდა ოქროსას. ეს ერთეული გამოსახულებას პოულობდა ოქროს, ვერცხლის და სპილენძის მონეტებსა და სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ბილეთებში (ბანკნოტებში), რომელნიც გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენდნენ. ვერცხლისა და სპილენძის ფული არ იყო სრულფასოვანი, წარმოადგენდა მხოლოდ დამხმარე საშუალებას ფულის მიმოქცევაში და მისი მოჭრა და მიღება (გადახდისას) შეზღუდული იყო. საკრედიტო ბილეთების გამოშვების უფლება სახელმწიფო ბანკს ჰქონდა მინიჭებული განუსაზღვრელი რაოდენობით, მხოლოდ — იმ პირობით, რომ მას ამ ბილეთების უზრუნველსაყოფად ყოველთვის უნდა ჰქონოდა ოქრო: გამოშვებული ბილეთების (600 მილიონ მანეთამდე) არა ნაკლებ ნახევრისა; თუ ბილეთები 600 მილიონზე მეტის იქნებოდა გამოშვებული, ისინი მთლიანად ოქროთი უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი. მსოფლიო ომის დაწყების წინ (1914 წლის პირველ ნახევარში) სინამდვილეში სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი ამ ნორმას არა თუ აკმაყოფილებდა, — აჭარბებდა კიდევაც.

მსოფლიო ომის დაწყებისას სახელმწიფოს არაჩვეულებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქნა ახალ საშემოსავლო წყაროთა გამოჩენა; ასეთ წყაროდ მიჩნეულ იქნა ხარკებისა და სარკინისგზო ტარიტის გადიდება და საგარეო და საშინაო სესხი. მაგრამ ეს არ კმაროდა გაზრდილი ხარჯების დასაფარავად, რის გამო საჭირო გახდა საკრედიტო ბილეთების დამატებითი გამოშვება; ამ მიზნით სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლებები გაფართოვდა და საკრედიტო ბილეთების ოქროზე დახურდა შეწყდა (1914 წ. 27 ივლისის კანონი). ამის შემდეგ ქაღალდის ფულის ემისია წლიდან წლამდე იზრდებოდა, რაც ფულის მსყიდველობით უნარს თანდათან ამცირებდა. რევოლიუციის დაწყებისას (1917 წ. 1 მარტისათვის) მიმოქცევაში იყო სულ 10.0 $\frac{1}{4}$ მილ. მანეთი, რომლის რეალი ფასეულობა შეადგენდა მხოლოდ 3.188 მილ. მანეთს.

რევოლუციის შემდეგ ემისია კიდევ უფრო მეტად იქნა გამოყენებული დეფიციტის დასაფარავად და 1917 წ. 1 ნოემბრისთვის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა გაორმაგდა: ის შეადგენდა 19.577 მილ. მანეთს ანუ 1.919 მილიონს რეალი ფასეულობით. ქაღალდის ფულის ემისია გრძელდებოდა სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლებების გაუფართოვებლად 1918 წლის ოქტომბრამდე, როდესაც ეს უფლება 50 მილიარდ მანეთამდე იქნა გადიდებული. ამის შემდეგ ქაღალდის ფულის გამოშვება ისევ უნებართვოდ სწარმოებდა, ვიდრე 1920 წ. 19 იანვრის კანონით სახელმწიფო ბანკი სრულიად არ გაუქმდა. ბიუჯეტის არარსებობის გამო, ფულის გაცემა კრედიტების გაუხსნელად სწარმოებდა საგანგებო კომისიის მიერ, რომელიც „ფულის ნიშნებს“ სხვადასხვა უწყებებს შორის ანაწილებდა. ხელისუფლების ცდა მიმართული იყო ფულის ბაზრის თანდათან შევიწროებისაკენ, რათა ფულის მიმოქცევის სრულ ლიკვიდაციაზე გადასვლა შესაძლებელი გამხდარიყო.

ასალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით (1921 წლიდან), თუმცა ფულის მიმოქცევის მოსაწესრიგებელ ღონისძიებათა საჭიროება წარმოიშვა, მაგრამ არსებობდა ისევ ძველი სისტემა იქნა დეტოვებული. ფულის ნიშნების გამოშვება პროგრესიულად იზრდებოდა, ვინაიდან სახელმწიფოს ფულადი ხარჯები, მეურნეობის დენატურალიზაციისთან ერთად, ფართოვდებოდა, ხოლო მათ დასაფარავად ხაზინის ფულადი შემოსავალი არ კმაროდა.

ფულის ნიშნთა რაოდენობა იმ ზომამდე გამრავლდა, რომ მათი თვლა გაძნელდა, რის გამო საჭირო გახდა ქაღალდის ფულის „დენომინაცია“—სახელების შეცვლა (პირველად 1921 წ. 3 ნოემბრის კანონით და მეორედ 1922 წ. 24 ოქტომბრის კანონით),—რაც არსებით ცვლილებას ფულის მიმოქცევაში არ იწვევდა. ბიუჯეტის დიდი დეფიციტის გამო, ქაღალდის ფულის ემისიის შეჩერება შეუძლებელი იყო, ხოლო ამავე დროს სამეურნეო აღდგომის ცემა ფასეულობათა მტკიცე საზომის გამონახვას მოითხოვდა. ასეთი საზომი პირველად დაწესდა ფასების ინდექსების საფუძველზე გამოანგარიშებული „საქონლის მანეთებისა“, და ოფიციალური კურსის მქონე „ოქროს მანეთების“ სახით. გაფართოებული აღდგომის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ვერც ამ საზომით შეიქნა შესაძლებელი,—მას ესაჭიროებოდა მტკიცე ფული. გამოსავალი მოხაზულ იქნა ფულის არსებულ სისტემასთან პარალელურად ახალი მტკიცე ფულის ნიშნის—„ჩერვონცის“ გამოშვებით, რომლის ემისია, 1922 წლის 11 ოქტომბრის კანონის საფუძველზე, იმავე წლის ნოემბრის დამლევდიდან დაიწყო. ამ კანონის თანახმად სახელმწიფო ბანკი, რომელიც 1921 წელს ისევ იქნა დაარსებული, საემისიო ბანკად იქნა ცნობილი და მას უფლება მიეცა, თავისი კომერციული ოპერაციებისთვის საბანკო ბილეთები (ჩერვონცეი) გამოეშვა. ჩერვონცეი გათანაბრებულ იქნა ძველი რუსეთის ოქროს თუმნიანთან და ამით აღიარებულ იქნა ვალდებულება ამ ბილეთების ოქროზე გადაცვლისა, რის ვადაც, კანონის თანახმად, საგანგებო საკანონმდებლო აქტით იქნება განსაზღვრული. საბანკო ბილეთების უზრუნველყოფად დაწესებულ იქნა: ძვირფასი ლითონები და უცხოეთის მყარი ვალიუტა—მიმოქცევაში გამოშვებული ჩერვონცის 1/4 თანხისა, ხოლო დანარჩენი თანხის უზრუნველსაყოფად დაწესდა: მოკლევადიანი თამისუქები, ადვილად გასასაღებელი საქონლები და სხვ.

ჩერვონცის გამოშვებით შეიქმნა ქაღალდის ორმაგი ვალიუტა, რომელთაგანაც ქაღალდის ფულის ნიშნები თანდათან მნიშვნელობას კარგავდნ და

მთელ რიგ დაბრკოლებებს ქმნიდენ ბაზარზე. ფულის მიმოქცევა საჭიროებდა ხელახალ რეფორმას, რომელიც მომზადდა 1923 წლის განმავლობაში და განხორციელდა 1924 წ. 5 თებერვლის კანონით (შემდეგში დამატებებით). ამ კანონის საფუძველზე გამოშვებულ იქნა სახაზინო ბილეთები (5, 3 და 1 მანეთიანი), რომლის ფასეულობა გაუთანაბრდა ჩერვონეცს და დაწესდა მათი განუსაზღვრელი თანხით მიღების ვალდებულება. ამავე წლის 14 თებერვლის კანონით ფულის ნიშანთა ემისია შეწყდა, ხოლო 22 თებერვლის კანონით დადგენილ იქნა ვერცხლისა და სპილენძის მონეტების მოჭრა. დასასრულ, 1924 წლის 7 მარტის კანონით დაწესდა ფულის ნიშნების კურსის ფიქსაცია და მათი გამოცხადება: 1923 წ. გამოშვებული ფულის ნიშნის 50.000 მანეთი გათანაბრებულ იქნა 1 მანეთ ოქროსთან სახაზინო ბილეთებით. ამრიგად, თუ დენომინაციასაც გავითვალისწინებთ, ქაღალდის ფულის გაფასება, კანონის მიერ, განსაზღვრულ იქნა 50.000.000.000-ჯერ. ამის შემდეგ ფულის ნიშნები უკვე აღარ წარმოადგენდენ კანონიერ გადახდის საშუალებას და 1924 წლის 10 მაისიდან მათი გადაცვლა დაშვებულ იქნა მხოლოდ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სასალოარო დაწესებულებებსა და სახელმწიფო ბანკში. ფულის ნიშანთა გამოსყიდვის ოპერაცია დამთავრებულ იქნა 1924 წ. 31 მაისისთვის.

ამრიგად, 1924 წ. ფულის რეფორმა რამოდენიმე უახლოვდებოდა დევალვაციას: ძველი ქაღალდის ფული გადაცვლილ იქნა ახალ ქაღალდის ფულზე საკურსო ფასეულობის მიხედვით. მაგრამ იმის გამო, რომ ძველი რუსეთის საკრედიტო ბილეთებსა და რევოლუციის შემდეგ გამოშვებულ ქაღალდის ფულის ნიშნებს შორის არ არსებობდა სრული თანმიმდევრობა სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა თანმიმდევრობის მხრივ, და აგრეთვე—რომ ფულის ნიშნები, მათ გაფასებასთან ერთად, აღარ წარმოადგენდენ სახელმწიფოს ვალდებულებებს,—დევალვაციად, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ეს რეფორმა ვერ ჩაითვლება.

კერძოდ ამიერ-კავკასიისა და საქართველოში ფულის მიმოქცევის შესახებ მოსახსენებელია შემდეგი: რუსეთიდან ფულის მიღება აქ შეწყდა 1917 წ. დეკემბრიდან, რის შემდეგ ამიერ-კავკასიის მთავრობამ საკუთარ ემისიას მიჰყო ხელი „ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონების“ გამოშვებით (1918 წ. 29 იანვ. კანონი); ბონების ემისია დაევალა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას. 1918 წლიდან 1919 წლის სექტემბრამდე ბონები წარმოადგენდენ ამიერ-კავკასიის საერთო ვალიუტას (ადერბაიჯანის გამოკლებით, სადაც აგრეთვე ადგილობრივი ფულიც იყო მიმოქცევაში). ამიერ-კავკასიის დაშლის შემდეგ ფულის ერთეულად ისევ ბონი დარჩა, რომლის გამოშვებას და განაწილებას რესპუბლიკებს შორის საქართველოს მთავრობა აწარმოებდა. 1919 წლის სექტემბრამდე გამოშვებულ იქნა 1.360 მილ. მან., რომლიდანაც საქართველომ მიიღო 39,70/100, ადერბაიჯანმა 27,90/100, სომხეთმა—32,40/100.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემისია დაიწყო 1919 წ. ივლისიდან და გაგრძელდა 1921 წ. თებერვლამდე, რომლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 17 მილიარდი მანეთი (ანუ დაახლოებით 17 მილიონი ომის წინადროინდელი მანეთისა).

1921 წლიდან დაიწყო საქართველოს საბჭოთა მთავრობის ემისია და გაგრძელდა 1922 წლის დასასრულამდე; პირველ ხანებში ემისია შეადგენდა სახელმწიფოს შემოსავლის ერთადერთ წყაროს (98,00/100-ს), ხოლო შემდეგ მან თანდათან იკლო და 1922 წელს ემისიით მიღებული შემოსავალი შეადგენდა საშუა-

ლოდ სერთო შემოსავლის 510/6-ს. ამ ხნის განმავლობაში ემისიით მიღებულ იქნა 1.064.315.492.000 მანეთი (ანუ 6.963.776 ომის წინა დროის მანეთი).

1922 წლის დასასრულს ამიერ-კავკასიაში შემოდებულ იქნა ერთიანი ფულის სისტემა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების გამოშვებით; ეს ფულის ნიშანი გადაცვილი იქნა ძველ ფულის ნიშნებზე შემდეგი პარიტეტით: ა/კავკასიის 1 მანეთი=საქართველოს 1 მანეთს=ადერბაიჯანის 100 მან.=სომხეთის 150 მან. ამ რეფორმის შემდეგ, 1923 წ. 10 იანვრის კანონით, ცალკე რესპუბლიკათა დამოუკიდებელი ემისია შეწყდა.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ემისია გრძელდებოდა 1924 წლის აპრილამდე, როდესაც გამოშვებული ქალაქის ფულის რაოდენობა 16 კვადრილიონ მანეთს მიაღწია. ს. ს. რ. კ.-ში ფულის რეფორმისთან დაკავშირებით (ამიერ-კავკასიის 1924 წ. 18 თებერვლის კანონის თანახმად) სახელმწიფო სახაზინო ბილეთები ს. ს. რ. კ.-ისა სავალდებულო მისაღებად იქნა დაშვებული ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე; იმავე წლის აპრილიდან დამოუკიდებელი ემისია შეწყდა და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების გამოსასყიდად დაწესებულ იქნა სახაზინო ბილეთის ერთი მანეთისათვის—12,5 მილიარდი ა/კ.-ის ფულის ნიშანი. ამის საფუძველზე ამიერ-კავკასიაში სულ გამოსყიდულ იქნა 1.209.000 მანეთის ფულის ნიშანი, რითაც დამთავრდა ფულის სისტემის უნიფიკაცია კავშირთან.

3. გ რ ძ ე ლ ვ ა დ ი ა ნ ი (გ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ი) ვ ა ლ ი .

§ 73. არსი და სახეები.—გ რ ძ ე ლ ვ ა დ ი ა ნ ი (გამაგრებული, კონსოლიდაციაქმნილი) ვალი (სესხი სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) განირჩევა გაუმაგრებელი ვალისაგან ვადისა და მიზნის მიხედვით. ამგვარი სესხის საშუალებით მოპოებული უნდა იქნეს სახსარი საჯარო კავშირების სპეციალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთათვის არა მარტო დროებით, არამედ საზოგადოდ არ მოიპოება შემოსავალი, —მოპოებული უნდა იქნეს სახსარი, მაშასადამე, ომის საწარმოებლად, რკინისგზებისა და არხების გასაყვანად, წყალსადენისა და ელექტრო-სადგურების ასაგებად და სხვ. მოხმარების მიზნის გამო ეს სესხი აუცილებლად ხანგრძლივი უნდა იქნეს. მაშინაც კი, როდესაც სესხი პროდუქტიულ ნაგებობათათვის არის აღებული. რომელთა გამოსავლიდან შეიძლება მისი სარგებლისა და თავნის გადახდა, ვალის დაშრეტას ყოველთვის რამდენიმე წელიწადი ან ათეული წლებიც მოუხდება. ასევე ეს კიდევ მეტის საფუძვლით მაშინაც, როდესაც არაპროდუქტიული მიზნებისათვის მოიხმარება აღებული სესხი, რომელიც სახარკო შემოსავლიდან უნდა იქნეს გასტუმრებული.

სესხს, ვიწრო მნიშვნელობით, მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი ვალიც, რომელიც მხოლოდ მოკლე ვადით, —5—10 წლით, —აიღება და რომლისათვის კრედიტორს რეგულიარული მტკიცე სარგებელი

ექლავა. შეიძლება ასეთ სესხს, გრძელვადიანისა და მოკლევადიანისა-გან გასარჩევად, საშუალოვადიანი ვუწოდოთ. ესეც გამოიყენება დასაფარავად არა დროებითი შეუთანაბრობისა შემოსავალსა და გასავალს შორის, არამედ—დამოუკიდებელი ამოცანებისათვის. ომის დროს ასეთი სესხი ინგლისმა და საფრანგეთმა გამოიყენა. ჩვეულებრივ ასეთი წესით მხოლოდ ზომიერი თანხები აიღება სესხად; ამ შემთხვევაში სახელმწიფოს იმედი აქვს, რომ აღებულ ვალს მიმდინარე შემოსავლით გადაიხდის.

სახელწოდება „გამაგრებული“ ვალი იმით აიხსნება, რომ წინად ხშირად სესხი უზრუნველყოფილი იყო განსაზღვრული ქონების ობიექტებით, ან მისი სარგებლის და თავნის გასასტუმრებლად განსაზღვრული შემოსავალი იყო დაგირავებული. გამოთქმა „კონსოლიდაციაქმნილი“ სესხი გადმოღებულია ინგლისის საფინანსო წესწყობილებიდან, სადაც კონსოლიდაცია, სხვათა შორის, გაუმაგრებელი ვალის გრძელვადიან ვალად გარდაქმნასაც ნიშნავს.

გრძელვადიან სესხი უმთავრესად ორი სახისაა: უკუდასაბრუნებელი ანუ დასაშრეტი და სარენტო სესხის სახისა.

§ 74. დასაშრეტი სესხი.—ამგვარი ვალის სხვადასხვა ფორმები შესაძლებელია შემდეგ 3 ტიპად იქნეს ჩამოყალიბებული:

1. სესხი რეგულიარულ-სარგებლიანი და მტკიცე ვადებიანი. ასეთი სესხის დროს სასესხო კანონში განსაზღვრულია, რომ ვალი გარკვეული ვადის (40, 50 და მეტი წლის) განმავლობაში, წინასწარ დადგენილი გეგმის თანახმად და ყოველწლიური დასაშრეტი ხვედრით, უნდა იქნეს გადახდილი. ობლიგაციები, რომლებიც თითოეულ ვადაზე გამოასყიდება, ტირაჟით ანუ წილის ყრით განისაზღვრება. უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო უფლებას იტოვებს, ვალი ვადის დადგომამდეც გადაიხადოს, რათა შესაფერ შემთხვევაში შესაძლებელი იქნეს მისი შეცვლა ნაკლებსარგებლიანი სესხით (იხ. § 77 სარგებლის რედუქციის შესახებ). დასაშრეტი სესხს ის დადებითი მხარე აქვს, რომ მოვალეს აიძულებს ვალის დაშრეტას; მაგრამ მას აქვს უარყოფითი მხარეც, ვინაიდან ამ იძულების გამო საფინანსო მართველობა შეიძლება დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს, უკეთეს სახელდობრ, ჩვეულებრივი შემოსავალი ისე დიდი არაა, რომ დასაშრეტი ხვედრის გასაცემადაც კმაროდეს.

2. სალატარიო და საპრემიო სესხი. ამ სახელწოდებით იგულისხმება ისეთი სესხი, რომლის დროსაც სესხად აღებული კაპიტალი უკან უბრუნდება კრედიტორებს განსაზღვრულ ვადებში, ზოგჯერ ხედნართითაც, მხოლოდ—წლიური ნორმალური სარგებლის

ნაცვლად სარგებელი ან სრულიად არ გადაიხდება, როგორც, მაგ., სალატარიო (მოგებიანი) სესხის დროს, ანდა გადაიხდება, მაგრამ — ნორმალურზე ნაკლები ოდენობით. ის დანაზოგი თანხა, რომელიც სარგებლის გადაუხდელობით ანდა დაკლებულად გადახდით წარმოსდგება, ეძლევა მოგების ტირაჟში ამოსულ ობლიგაციებს მოგებისა ან პრემიის სახით. წინანდელ დროში ასეთი სესხი ხშირი იყო, ამჟამად კი მას ისეთი საჯარო კავშირები მიმართავენ ხოლმე, რომელნიც სხვა გზით ვერ პოულობენ ან საკმაოდ ვერ პოულობენ კრედიტს.

3. ვადიანი და სასიცოცხლო რენტა. ვალის ეს ფორმები, რომელიც წინად ხშირი იყო, ამჟამად მნიშვნელობას მოკლებულია. ვადიანი რენტის დროს კრედიტორს ანდა მის უფლებრივ მემკვიდრეს გაცემული კაპიტალის სანაცვლოდ ეძლევა წლიური რენტა (30, 50, 90 წლის განმავლობაში), რომელიც, გარდა ჩვეულებრივი სარგებლისა, ამორტიზაციის წილსაც შეიცავს; სასიცოცხლო რენტის დროს რენტა სიცოცხლის ხანგრძლივობით განისაზღვრება; ტონტინების ე. ი. რამდენიმე ტოლსაკოვან პირთაგან შემდგარი საზოგადოების სასიცოცხლო რენტის დროს რენტა გაიცემა ყველა ანხანაგისთვის მანამდე, ვიდრე ერთი მათგანი მაინც ცოცხალია. ამხანაგობის გარდაცვლილ წევრთა რენტა ცოცხლად დარჩენილთა რენტას ემატება.

გერმანიის წინანდელი სესხები უმთავრესად უკუდასაბრუნებელი (დასაშრეტი) სესხებია. იმპერიის ვალების ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ იხ. შემდეგი §-ის შენიშვნა. საპრემიო სესხი, გადასახდელი მტკიცე დაშრეტის გეგმის მიხედვით 80 წლის განმავლობაში. გერმანიას იმპერიაში გამოცემულ იქნა 1919 წ., მაგრამ, მიუხედავად კრედიტორთათვის ნაგულისხმევი მრავალგვარი სარფიანობისა (შედარებით, დიდი მოგება და სარგებელი, სანაწევროდ ომის სესხის ობლიგაციებით გადახდა ამ სესხის ობლიგაციების ფასისა, სახარკო შეღავათები), მან ისეთი ფინანსური შედეგი ვერ იქონია, როგორსაც მოელოდნ. მოსალოდნელი 5 მილიარდი მარკის ნაცვლად მხოლოდ 3,8 მილიარდზე იქნა ხელი მოწერილი.

§ 75. სარენტო ვალი. — ამ ვალის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დებიტორი ვალდებულებას კისრულობს იხადოს მხოლოდ წლიური სარგებელი, — რენტა, და არა — ვალის კაპიტალი. თუ სარენტო ვალი იმ პირობითაა აღებული, რომ სახელმწიფოსაც არ აქვს უფლება ვალის უკუდაბრუნებისა (გადახდისა), მაშინ იგი სამარადისო რენტად იწოდება. ამ შემთხვევაში ვალისაგან თავის განთავისუფლება სახელმწიფოსთვის შესაძლებელია მხოლოდ სარენტო ობლიგაციების შესყიდვით ბირჟაზე. ჩვეულებრივ კი სახელმწიფო

უფლებას იტოვებს, ვალი ყოველ შესაფერ მონენტში ან ალებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ დაშრიტოს (გადაიხადოს).

ამ სახის სესხი ახალს დროში ძალიან გავრცელდა. ის ანთავისუფლებს სახელმწიფოს განსაზღვრულ ვადებში დასაშრეტი ხვედრი თანხების ნაღდად მომარგების აუცილებლობისაგან. კრედიტორებიც, რომელთაც თავიანთი კაპიტალი ხანგრძლივ შემოსავლიანად უნდათ მოათავსონ, ასეთ სესხს რჩეობენ. იმ გარემოების გამო, რომ სარენტო სესხის ობლიგაციები, საჭიროების მიხედვით, ყოველ უამს შეიძლება გაყიდვის გზით განაღდებულ იქნეს, მისაღებად ხდის ამ სესხს ისეთი კაპიტალისტებისთვისაც, რომელთაც აზრად არა აქვთ ამ ობლიგაციების ხანგრძლივად შენარჩუნება. მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ თავნის გადახდის ვალდებულების არ არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მიერ წინდაუხედავად ვალების აღებას მომავალ თაობათა საზიანოდ. მხოლოდ იქ, სადაც მთავრობას და სახალხო წარმომადგენლობას მკაცრი მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობის გრძნობა ამოძრავებს და ნებაყოფლობითი დაშრეტისათვის სავალდებულო კანონებს გამოაცემიანებს და მათ მტკიცედ დააცვევინებს, — სარენტო ვალის აღებას არ ახლავს საფრთხე სახელმწიფოს უზომო დავალიანებისა.

გერმანიის იმპერიის თითქმის ყველა სარენტო სესხი ომის სესხს წარმოადგენს. ცნობების მოცემა იმპერიის და მოკავშირე რესპუბლიკების ამგვარი სესხისა და სხვა სესხთა შესახებ, რომლებიც ომის წინ, ომის დროს და ომის შემდეგ იქნა აღებული, საჭირო არაა, ვინაიდან მათი ფასეულობა სავსებით გადნა ქაღალდის ფულის ხანაში. იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და თემების ძველი მარკის ვალი უტით გამოსახული სესხების შეფასების შესახებ 1925 წ. 16 ივლისის კანონით და იმ თანხების ოდენობის შესახებ, რომელიც იქ ივლისის შემება, იხ. § 78, შენიშვნა 1-ლი. დღევანდელი (ახალი) დავალიანება იმპერიისა 1926 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს: 1) 2,7 მილიარდ საიმპერო მარკას, ამაში 946,2 მილიონი (თავდაპირველად 1200 მილიონი) სარენტო ბანკის კრედიტია; რომლისათვის ნაწილობრივ სარგებელი არაა გადასახდელი, ნაწილობრივაც 60%-იანი სარგებელი და წლიური დასაშრეტი ხვედრი გადაიხდება; 2) 944 მილ. მარკის საგარეო სესხს (იხ. ზევით, გვ. 103 და შემდ.), რომელიც, 70%-იანი სარგებლით, 25 წლის განმავლობაში, არა უგვიანეს 1949 წ. 15 ოქტომბრისა, უნდა იქნეს დაშრეტილი პერიოდიული ტირაჟების გზით; 3) 217,4 მილ. (თავდაპირველად 226,5 მილ.) მარკის ვალს საიმპერო ბანკისა, რომლიდანაც 100 მილ. 50 წლის განმავლობაში არაა დასაშრეტი, მარტო 20%-იანი სარგებელია გადასახდელი, დანარჩენი კი 1925 წ. 1 იანვრიდან 15 წლის განმავლობაში წლიური ხვედრის საფუძველზე უნდა იქნეს დაშრეტილი; 4) 110 მილ. მარკის საფუძველზე უნდა იქნეს დაშრეტილი; 5) 18 მილიონი მარკის სახაზინო ვალდებულებებს (ოქროს სესხს), რომელიც 1935 წ. 2 სექტ. უნდა იქნეს გადახდილი და მანამდე 60% სარგებელს მოითხოვს; 6) ორს სახაზინო ვალდებულებას 1,9 მილ. მარკისა

და, დასასრულ, 7) 1927 წელს იმპერიის მიერ აღებულ 500 მილ. მარკის 50/0-იან სესხს, რომელიც 1934 წლამდე არაა დასაშრეტი, ხოლო შემდეგ ტირაჟების გზით 25 წლის განმავლობაში უნდა იქნეს დაშრეტილი.

4. ვალების მართვლობა.

§ 76. სესხის აღება (ემისია) და მისი პირობები.—სესხის აღება შეიძლება პირდაპირი და არაპირდაპირი გზით.

1. პირდაპირი აღება სესხისა ხდება ვალის ობლიგაციების გაყიდვით კომისიონერებისა და აგენტების საშუალებით, რომელნიც ამისათვის საკომისიო გასამრჯელოს იღებენ (საკომისიო სესხი), ანდა საჯარო ხელის მოწერით (ხელმოსაწერი სესხი). ამ უკანასკნელის დროს სახელმწიფო (თემი) აცხადებს, თუ რა თანხის სესხს იღებს, რა კუბიურები გამოიცემა, რა კურსით, რა სარგებელი და სხვა პირობებია დაწესებული და მოუწოდებს კაპიტალისტებს შონაწილეობის მიღებისათვის. ხელის მოწერა ხდება ბანკებსა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში (ფოსტა, შემნახველი საღაროები და სხვ.). მიიღება ყოველი ხელის მოწერა, რომელიც კი სესხის ერთი კუბიურის თანხას აღწევს. სესხის ოდენობა ჩვეულებრივ კანონით განისაზღვრება, იმ საჭიროების შესაფერად, რომლისთვისაც არის დანიშნული. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელის მოწერა მეტ თანხას აღწევს, ვიდრე ასაღებ სესხად არის განზრახული, ხელას მოწერთ ხვედრი ობლიგაციები შეუმცირდებათ,—ჩვეულებრივ წვრილ ხელის მოწერთათვის უპირატესობის მიცემით. მაგრამ ხშირად თანხის ოდენობის მხრივ შეუზღუდველი სესხის გამოცემასაც აქვს ადგილი, — მაგომის მიზნისათვის, რომლის ხარჯები შეუძლებელია წინასწარ იქნეს განსაზღვრული.

2. არაპირდაპირი აღება სესხისა იმგვარად ხდება, რომ სახელმწიფოს (და თემს) მთელ სესხს ბანკები და ბანკების კონსორციუმები აძლევენ, რომელნიც თავის მხრივ შემდეგ აღებულ სესხის ობლიგაციებს სხვებზე ჰყიდიან (ნეგოციაცია). ხდება იმგვარადაც, რომ ბანკები თვითონ არა მთელი სესხის მიცემას კისრულობენ, არამედ მხოლოდ მინიმალური წილის გარანტიას იძლევიან. შრომისა და რისკის გაწევისათვის ისინი ლეზულობენ ან განსაზღვრულ საკომისიო გასამრჯელოს ანდა სხვაობას ობლიგაციების აღებისა და გაყიდვის ფასს შორის. გამოცემული სესხის რეალიზაციისათვის წინად ბანკების შეჯიბრი გამოიწვეოდა, მაგრამ ეხლანდელ დროში, ბანკების შეთანხმების გამო, ამ წესს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

დიდი სესხის ემისია ჩვეულებრივ საჯარო ხელის მოწერისა ანდა ბანკების საშუალებით ხდება. უპირატესობა ხელის მოწერას ეკუთვნის, ვინაიდან ბანკებისათვის მისაცემი—ხშირად დიდი—საკომისიო გასამრჯელო ამ შემთხვევაში დაზოგვილია. მაგრამ სესხზე გამოცხადებული ხელის მოწერის წარმატებით დამთავრებისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენს მოვალის საკრედიტო უნარიანობა, კაპიტალის ბაზრის ფულიანობა, სესხის მიზნის მოწონება ფულის პატრონთა მხრივ, სესხის კურსისა, სარგებლისა და სხვა მხარეების შეფარდება პოლიტიკურ და სამეურნეო პირობებთან. ხელის მოწერის წარმატებით დამთავრება უფრო მოსალოდნელია, როდესაც ხელმოწერილი თანხების ერთბაშად გადახდა არ მოითხოვება, არამედ—ნაწილ-ნაწილ (რამდენიმე კვირის განმავლობაში), ვინაიდან ამით კაპიტალის ამოღება სახალხო მეურნეობიდან ადვილდება. სესხის უცხოეთში აღების დროს ბანკების დახმარება აუცილებელია.

სესხის პირობებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სარგებლის ნორმის არჩევას. ნომინალური სარგებლის ნორმა შეიძლება ჩვეულებრივ სარგებლის ნორმას ეთანაბრებოდეს და შეიძლება ამაზე მეტ-ნაკლებიც იყოს. პირველ შემთხვევაში საფინანსო მართველობა ვალის ობლიგაციებზე აღნიშნულ თანხას მიიღებს. თუ სესხის სარგებლის ნორმა იგივეა, რაკ იმ დროისათვის ჩვეულებრივი,—მაგ. 4⁰/₁₀₀,—მაშინ ობლიგაციის კურსი იქნება 100, ე. ი. ემისია იქნება საალპარო (al-pari). თუ სარგებლის ნორმად ჩვეულებრივზე ნაკლებია ან მეტია აღებული,—მაგ. 3 ან 5⁰/₁₀₀,—მაშინ ობლიგაციის კურსი იქნება 75 ანდა 125. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ნაკლებ სარგებელს იხდის, მაგრამ სამაგიეროდ კაპიტალსაც ნაკლებს იღებს, მეორეში კი სარგებელს მეტს იხდის, მაგრამ კაპიტალსაც მეტს იღებს. ნომინალური დონიდან გადახრილობა სარგებლის შესაძლებელია სესხის ამღებისთვის ხელსაყრელიც იყოს. ის გარემოება, რომ სესხის გამოსყიდვისას მოვალემ კრედიტორს ობლიგაციების ნომინალური ფასი უნდა დაუბრუნოს, სარგებლის დაბალი ნორმის დროს კურსის ამწევაჲ მოქმედობს: კურსი რაოდენადმე უფრო მაღალ წერტილზე სდგება, ვიდრე ეს ანგარიშის მიხედვით უნდა იყოს, და ამიტომ ფაქტიური სარგებელი ნორმალურზე რაოდენადმე ნაკლები გამოდის. კაპიტალისტი,—განსაკუთრებით იმ მომენტებში, როდესაც სარგებლის ნორმას დაბლა დაწვევის ტენდენცია ემჩხევა,—მცირესარგებლიან ქალაქებს რჩეობს, ვინაიდან სარგებლის ნორმის დაწვევის შესაფერად კურსი მატულობს, და ამასთან მას

არ აქვს შიში, რომ მოვალის მიერ სესხის სარგებლის ნორმა შემცირებული იქნება, რახან თავიდანვე დაბალი ნორმაა არჩეული. პირიქით, დიდსარგებლიანი ქალაქები ვერ აღწევენ კურსის იმ დონეს, რომელიც ანგარიშს შეეფერება, ვინაიდან სესხის გამოსყიდვისას კრედიტორი მხოლოდ 100-ს მიიღებს და, გარდა ამისა, მას სარგებლის რედუქციის (შემცირების) შიშიც აქვს (იხ. § 77). სახელმწიფოსათვის დიდსარგებლიანი ქალაქები მხოლოდ მაშინ არის ხელსაყრელი, თუ იგი ახლობელ მერმისში სარგებლის რედუქციის მოხდენას შესძლებს. ამ შემთხვევაში მას მეტი კაპიტალი ექნება აღებული, სარგებლის რედუქციის მოხდენის შემდეგ ნაკლები სარგებლის გადახდა დასჭირდება და ვალის დასაშრეტადაც მხოლოდ ნომინალურ კაპიტალს გადაიხდის.

სხვა პირობებს შორის აღსანიშნავია ფორმა ობლიგაციისა, ვალიუტა, დრო, ადგილი და წესი სარგებლის გადახდისა და სესხის სპეციალი უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია მოვალეს მოეთხოვოს.

რაც შეეხება ფორმას, განირჩევა უსახელო და სახელო ობლიგაციები (ობლიგაციები). ჩვეულებრივი მოვლენაა უსახელო ობლიგაციების გამოცემა; სახელობით ობლიგაციებს, რომელთა ერთი პირიდან მეორეზე გადასაცემად განსაზღვრული ფორმლობაა შესასრულებელი, მხოლოდ ისეთ შემთხვევების დროს აქვს ადგილი, როდესაც ვალდებულება ხანგრძლივ ნაგებობასა და უზრუნველყოფას ეხება (საობლო კაპიტალი, დაწესებულებათა ფული და სხვ.). ერთი სხვაგვარი საშუალება სესხის (საკრედიტორო უფლების) დადასტურებისა არის სესხის ჩაწერა ვალის დავთარში (საიმპერიო, სარესპუბლიკო, საქალაქო ვალის დავთარში). აქ მხოლოდ ის ითვლება მოვალის მიმართ კრედიტორის უფლების მქონედ, ვინც დავთარშია შეტანილი კრედიტორად. ასეთი წესი, შემოღებული 1793 წლიდან საფრანგეთში (*Grand-livre de la dette publique*), კიდევ უფრო ადრე ინგლისში (*Great-Ledger*. ინგლისის ბანკისა) და 1891 წლიდან გერმანიის იმპერიაში, იძლევა სრულ უზრუნველყოფას ქურდობისა და ცეცხლის საფრთხისაგან და ანთავისუფლებს კრედიტორს ობლიგაციების შენახვისა და საგამგებლო ზრუნვისაგან. მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ ობლიგაციის ხელიდან ხელში გადაცემა ან დაგირავება, რასაკვირველია, ისე ადვილი აღარაა, როგორც მაშინ, როცა ის უსახელოა.

სესხის ვალიუტას ჩვეულებრივ ნაციონალური ვალიუტა წარმოადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგარეო სესხს ანდა

იმ მომენტებს, როდესაც სახელმწიფოს საკუთარი ვალიუტა, ქალაქის ფულის უზომო ემისიის გამო, ინფლიაციით მოშლილია. უკანასკნელ შემთხვევაში სესხი, რათა მისი განხორციელება შესაძლებელი გახდეს, გამოხატული უნდა იქნეს ოქროთი, მატერიალური ფასეულობით ან მტკიცე უცხოეთის ვალიუტით. სარგებლის გადახდის ადგილი და ვადა კრედიტორისათვის მოხერხებულად უნდა იყოს არჩეულ-დადგენილი. სესხზე ხელის მომწერთ ხშირად სახელმწიფო ან თავისუფლებს ზოგიერთი ხარკისაგან (კაპიტალის, აგრეთვე საშემოსავლო, საქონელო და სამიმოქცევო ხარკისაგან) ან მათ მიმართ კისრულობს ვალდებულებას, რომ განსაზღვრული პერიოდის გასვლამდე სესხის გამოსყიდვას ან სარგებლის რელუქციას არ მოახდენს.

საიმპერიო სესხთა მართველობის 1924 წ. 13 თებერვ. კანონით სპეციალი საიმპერიო უწყება იქნა დაარსებული; წინადაკი საიმპერიო ვალდების მართველობას პრუსიის სახელმწიფო ვალდების მთავარი მართველობა აწარმოებდა. ახალი საიმპერიო ვალდების მართველობა, რომელიც აგრეთვე პრუსიის სახელმწიფო ვალდების საქმეებსაც განაგებს, შედგენილ იქნა პრუსიის მთავარი მართველობის პირადი შემადგენლობიდან საკირო მოხელეების მიღებით.

§ 77. კონსოლიდაცია, კონვერსია და სარგებლის რელუქცია (შემცირება).—კონსოლიდაცია და აგრეთვე კონვერსიაც ნიშნავს გაუმაგრებელი ვალის გრძელვადიანად გადაქცევას, განსაკუთრებით კი—სხვადასხვა პირობებით აღებულ ძველ სესხთა ერთ სესხად გარდაქმნას, რომლის ობლიგაციებს კონსოლები ეწოდება. კონვერსია წარმოადგენს ერთი სხვის ვალის მეორე სხვისად გარდაქმნას, უპირველეს ყოვლისა მოკლევადიანი ვალის შეცვლას გრძელვადიანით, აგრეთვე ყოველგვარ ცვლილებას, რომელიც სესხის პირობებში იქნება შეტანილი, როგორც, მაგ., ვალიუტისა ან დაშრეტის შესახებ. ასეთ ღონისძიებათა მიღების დროს სახელმწიფოს მიზანია, თავისი მდგომარეობა, ვითარცა დებიტორისა, გააუმჯობესოს. ზოგჯერ კონვერსიას, როდესაც იგი კრედიტორის ინტერესსაც ითვალისწინებს, წინასწარ პირობად უდევს დამატებითი კაპიტალის (სესხის) მიცემა მოვალისათვის კრედიტორების მხრივ („დანამვა“, „მორწყვა“ კრედიტისა); ასეა, მაგ., გაუმაგრებელი ვალის გამაგრებულად გარდაქმნის ან სარგებლის ნორმის გადიდების დროს.

უმნიშვნელოვანეს კონვერსიას წარმოადგენს ისეთი, რომელსაც მიზნად აქვს სარგებლის შემცირება არსებული კაპიტალური ვალის შეუმცირებლად. ამის ტიპიურ მაგალითთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც ძველი ვალი, დიდი სარგებლის ნორმით, ახალ ნაქლებსარგებლიან ვალად გარდაიქმნება. კონვერსია უნდა მოხდეს არა

იძულებით, ვინაიდან ეს იქნებოდა ხელშეკრულობის დარღვევა, არამედ—კრედიტორებთან თავისუფალი შეთანხმების გზით. ეს ხდება ამგვარად: საფინანსო მართველობა აცხადებს,—ძველი ვალის კაპიტალს ვაბრუნებო, და კრედიტორებს არჩევანს აძლევს, ან კაპიტალი (საალპარო კურსით) უკანვე მიიღონ, ანდა დაკლებულ სარგებელს დასჯერდნ. უკანასკნელ შემთხვევაში,—როდესაც კრედიტორები სარგებლის დაკლებას თანხმდებიან,—ძველ ობლიგაციებსა და სარგებლის კუპონებზე შტემპელი დაიკვრის ანდა ისინი ხელახლა გამოიცემა. სარგებლის შემცირების მიზნით კონვერსიის მოსახდენად შესაფერი და მოხერხებული დრო მაშინ არის, როდესაც ჩვეულებრივი ნორმა სარგებლისა ხანგრძლივად საკონვერსიო ვალის სარგებელზე ნაკლებია. რაც იმაში გამოისახება, რომ ვალის ობლიგაციების კურსი ალპარიზე უფრო მაღლა სდგას, და როდესაც კრედიტორთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამგვარივე უზრუნველყოფით უფრო ხელსაყრელად კაპიტალის მოთავსება მათ სხვაგან არ შეუძლიათ. თუ ეს პირობები არსებობს, მაშინ საფინანსო მართველობა ვალდებულია, ხარკის გადამხდელთა ინტერესებისათვის, რომელთაც ვალის სარგებელი ტვირთად აწვებათ, სარგებლის შემცირება მოახდინოს.

§ 78. ვალის დაშრეტა და სახელმწიფოს გაკოტრება.—1. ვალის დაშრეტა. მთელი სესხის ერთბაშად გადახდა იშვიათადაა შესაძლებელი, უკეთეს სახელმწიფოს უცბად რაიმე არაჩვეულებრივი წყარო არ გაუჩნდა,—მაგ., მოგებული ომის წყალობით მიღებული კონტრიბუცია. ჩვეულებრივ დაშრეტა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შეიძლება, და ამისთვის საჭირო თანხა ყოველწლიურად სახარკო შემოსავლიდან გადაიდება. არცერთ კეთილსინდისიერ საფინანსო მართველობას არ შეუძლია დაშრეტის უარისყოფა. საკითხი, თუ როგორ შეიძლება ამისი საუკეთესოდ და საიმედოდ შესრულება, უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. ყველაზე უფრო ცნობილია სადასაშრეტო (საამორტიზაციო) ფონდის (sinking fund) სისტემა, რომელიც პირველად 1771 წ. რ. პრაისმა შეიმუშავა და ინგლისში 1876 წლიდან პრაქტიკულადაც გამოყენებულ იქნა. ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება საგანგებო ფონდი, რომელშიაც ყოველწლიურად სახარკო შემოსავლიდან განსაზღვრული ნაწილი გადაირიცხება და ყოველი ახალი სესხიდანაც 1%,-ის დოტაცია მიდის. ამ ფონდის სარგებელი გამოყენებულ უნდა იქნეს ვალის ობლიგაციების დაგეგმილად გამოსყიდვისათვის, თვით ობლიგაციები ფონდში უნდა ჩაირიცხოს და მათი სარგებლით კვლავ სხვა

ობლიგაციები უნდა იქნეს შესყიდული. ფიქრობდნენ, რომ ასეთი წესით სახელმწიფო ვალის დაშრეტა მოხერხდებოდა 50 წლის განმავლობაში. მაგრამ სინამდვილეში საამორტიზაციო ფონდის სისტემამ თავისი დანიშნულება ვერ გააძარტლა. ამ სისტემის შეცდომა ის იყო, რომ მარტოდენ გამოთვლაზე დამყარებული, ფიქტიური დაშრეტა ნამდვილ დაშრეტად იყო მიჩნეული. რადგან ვალის ობლიგაციებზე მათი შესყიდვის შემდეგაც უნდა გაცემულიყო სარგებელი საამორტიზაციო ფონდის საშუალებით, ამიტომ ხარკის გადამხდელთათვის ის არავითარ ტვირთის შემსუბუქებას არ წარმოადგენდა; პირიქით, კრიტიკულ მომენტებში ხარკები უნდა გადიდებულიყო, ან ახალი ვალი აღებულიყო, ანდა საამორტიზაციო ფონდში სახსართა გადარიცხვა დროებით შეჩერებულიყო.

საამორტიზაციო ფონდის გზით მიზნის მიუღწევლობამ ხელი შეუწყო თავისუფალი დაშრეტის სისტემის განმტკიცებას. ეს სისტემა მხოლოდ მაშინ არის სავსებით გამოსაყენებელი, როდესაც სესხი წარმოადგენს სარენტო სესხს, რომლის გადახდა (დაშრეტა) მოვალეს არ აქვს ნაკისრები. დასაშრეტი (გადასახდელი) სესხის დროს კი სახელმწიფო იძულებულია, სავალო ხელშეკრულობის საფუძველზე, ყოველწლიურად განსაზღვრული თავნი გადაიხადოს, რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. თავისუფალი დაშრეტის სისტემის დროს, მართალია, არსებობს შიში, რომ ვალი, რახან მისი გადახდა სავალდებულო არაა, გადაუხდელი დარჩება მაშინაც კი, როდესაც ამას საფინანსო მდგომარეობა შესაძლებლად ხდის, ვინაიდან სახალხო წარმომადგენლობის მიდრეკილება ახალი ხარჯების ნებართვისა ან ხარკების შემცირებისაკენ ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე მტკიცე სურვილი ვალების დაშრეტისა. ამიტომ მრავალი სახელმწიფო, — სახელდობრ, როდესაც მათი ვალები მეტად სახიფათოდ გაიზარდა, — კანონით მოწესრიგებულ დაშრეტის სისტემაზე გადავიდა („თავისუფალი დაშრეტა დაშრეტის იძულებით“). ამ სისტემის დროს მთავრობა და სახალხო წარმომადგენლობა — თუმცა არა კრედიტორების, არამედ თვით თავისი თავის წინაშე — ვალდებულებას კისრულობს, ვალის დასაშრეტად ყოველწლიურად განსაზღვრული თანხა ბიუჯეტში შეიტანოს. საამორტიზაციო ხვედრები ზშირად სხვადასხვაა სესხის მიზნის მიხედვით, — ნაკლებია, როდესაც სესხი შემოსავლიან ნაგებობათათვის არის გამოყენებული, მეტია, როდესაც არაპროდუქტიული ხარჯებისათვის არის აღებული, — და დაშრეტით წარმომდგარი შემცირება გადასახდელი სარგებლისა ვალის გაძლიერებულ დაშრეტას ხმარდება. ზოგიერთ კანონში ვალის

დაშრეტის ვალდებულება ამგვარადაა გატარებული: ყოველი ახლად ასაღები სესხი ძველი ვალის საამორტიზაციო ხვედრის თანაბარი თანხით მცირდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში მცირდება სახელმწიფო ვალების ზრდა, ხოლო ძველი ვალის დაშრეტა კი არ ხდება.

2. სახელმწიფოს გაკოტრება. ფართო მნიშვნელობით გაკოტრება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ უფლების საწინააღმდეგო უარის თქმას თავისი ხელშეკრულებითი ან კანონით ნაკისრები საფინანსო ვალდებულებების შესრულებაზე. განსაკუთრებით ამ სახელწოდებით გამოიხატება სახელმწიფოს განწყობილება კრედიტორებთან. გაკოტრების აუცილებელ თანმყოლ ნიშნულობას ის გარემოება არ წარმოადგენს, რომ სახელმწიფო ნამდვილად მოკლებულია გადამხდელობის უნარს; ისეთი სახელმწიფოც, რომელსაც შეეძლო თავისი კრედიტორის დასაკმაყოფილებლად სახსარი მოეპოვებია. მაგ., სახელმწიფო ქონების გაყიდვით, გაკოტრებულად ცხადდება, როდესაც რაიმე მოსაზრებით თავისი ქონების შენარჩუნებას უპირატესობას აძლევს თავის საკრედიტო ვალდებულებათა შესრულების წინაშე. ჩვეულებრივ კი ვალდებულებათა შეუსრულებლობა (გაკოტრება) სახელმწიფოს უსახსრობიდან წარმოიშობა.

ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება ეხებოდეს ვალის კაპიტალს ანდა სარგებლის გადახდას. პირველს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვადაზე ვალის კაპიტალის გადახდას, წინააღმდეგ თავისი უფლებრივი ვალდებულებისა, არ ასრულებს, ან სხვა ვადისათვის სდებს, ანდა როდესაც კრედიტორებთან შეუთანხმებლად ერთგვარ ვალს იძულებით მეორეგვარად გარდაქმნის, — მაგ., დასაშრეტ ვალს სარენტო ვალად. ან ლითონის ფულით აღებულ ვალს ქალაქის ფულის ვალად გადააქცევს, ანდა კიდევ როდესაც კაპიტალურ ვალს თვითნებურად ამცირებს. სარგებლის გადახდის ვალდებულების დარღვევას ადგილი აქვს, როდესაც სახელმწიფო სარგებლის გადახდას შესწყვეტს, ან სარგებელს შეამცირებს, ანდა დიდსარგებლიან სესხს იძულებით ნაკლებსარგებლიანით შეცვლის. ხშირად ვალდებულების შეუსრულებლობის ორივე სახე ერთმანეთთან არის დაკავშირებული. როდესაც სახელმწიფო აშკარად აცხადებს, რომ თავისი ვალდებულების შესრულება მას არ სურს ან არ შეუძლია, — ამას რეპუდიაციას (უარყოფას) უწოდებენ. არსებითად კი სულერთია, გაკოტრება საჯაროდ გამოცხადდება, თუ ფაქტიურად ხდება.

გაკოტრების შედეგები ყოველმხრივ ფრიადსაზიანოა. თუმცა გაკოტრების გამო სახელმწიფოს საგრძნობი საფინანსო შეღავათი ეძლევა, სახარკო ტვირთი უმცირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ეკარგება, მთელ რიგ წელთა განმავლობაში მინც, კრედიტი, უჩნდება ხიფათი უცხო კრედიტორ სახელმწიფოთა თავდასხმისა და საფინანსო კონტროლის დაწესებისა, როდესაც უცხოელ კრედიტორთა დაზარალებას აქვს ადგილი, და, მთელი სახალხო მეურნეობის შერყევის გამო, კლებულობს მისი შემოსავალი, ღირსება და სახელი. სახელმწიფოს მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა არსებობის საშუალებას უსპობს მრავალ კრედიტორს, შეუძლებელს ხდის ამით მიერაც თავიანთი ვალდებულების შესრულებას და საბოლოოდ გამანადგურებლად მოქმედობს გაკოტრებული სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაზე. ამიტომ ყოველი საჯარო-უფლებრივი კავშირი ვალდებულება გაკოტრებას მოერიდოს, ხოლო როდესაც ამის თავიდან აცილება შეუძლებელია, უნდა ეცადოს, საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, შეძლებისდაგვარ კრედიტორებს უფლებები აღუდგინოს.

1. 1925 წ. 16 ივლისის კანონით შესახებ საჯარო სესხების დაშრეტისა (ამორტიზაციისა), იმპერიის, მოკავშირე რესპუბლიკების და თემების (თემთა კავშირების) მარკებში გამოსახული სესხები გადაცვლილი იქნა დაშრეტის სესხზე, რომელიც საიმპერო მარკებით იანგარიშება და რომლისათვის კრედიტორებს ამორტიზაციის მოთხოვნის უფლება არ აქვთ. თითოეული 1500 ნომინალური მარკისათვის „დამზოგველ-საპრემია სესხისა“, 16,7 მილ. მარკისათვის 1923 წლის 8—15⁰/₁₀₀-იანი საზაზინო ვალდებულებებისა („K“), 50 მილიარდი მარკისათვის 1924 წლის 8—17⁰/₁₀₀-იანი საზაზინო ვალდებულებებისა („K“), 1000 ოქროს მარკისათვის ომის ზარალის ასანაზღაურებლად გამოცემული უსარგებლო საზაზინო ვალდებულებებისა და 1000 მარკისათვის სხვა სესხებისა იმპერიის მიერ 25 ნომინალური საიმპერო მარკის საამორტიზაციო სესხით იქნა შეცვლილი. გადაცვლის დასამთავრებლად განსაზღვრული ვადა დაწესებული. ვისაც წინად შეძენილი ობლიგაციები აქვს გადასაცვლელი, ე. ი. ისეთები, რომლებიც მას 1920 წლის 1 ივლისამდე შეუძენია და მას შემდეგ შეუწყვეტლად თავის მფლობელობაში ჰქონდა, სატირაჟო უფლება აქვს მიკუთვნებულო, ე. ი. უფლება თავისი ობლიგაციებით საამორტიზაციო სესხის ტირაჟებში მონაწილეობისა და საუპირატესო რენტის მიღებისა. ეს სატირაჟო უფლება განსაზღვრული ნომინალური თანხის ფარგლებში მიეკუთვნება კრედიტორს (12.500 მარკამდის—სრულად, ხოლო ამაზე ზევით—ნაწილობრივ). საამორტიზაციო სესხის დაშრეტა იწყება 1926 წლიდან და ხორციელდება 30 წლის განმავლობაში ტირაჟების წარმოების გზით. ტირაჟში ამოსული სატირაჟო უფლების პატრონს ეძლევა 5-ჯერ გადიდებული თანხა იმისა, რასაც მისი ობლიგაციის ნომინალური ფასეულობა წარმოადგენს. გარდა ამისა, ტირაჟში ამოსულ ობლიგაციაზე წლიურად (1 იანვრიდან 1926 წლისა) 1¹/₂⁰/₁₀₀-ის სარგებელი გაიცემა; სარგებელი გაიცემა ტირაჟში ამოსვლისას. გამოსვლის (დაშრეტის) უზრუნველ-

საყოფად დაწესებულია საამორტიზაციო ფონდი, რომელიც იკვებება ყოველწლიურად საიმპერიო ბიუჯეტში გადადებული თანხებით, ტირაჟში ამოუსვლელი ობლიგაციების სარგებლით და საგანგებო შემოსავლით (საიმპერიო რკინისგზების საზოგადოების ძირითადი აქციებიდან იმპერიის მიერ მიღებული დივიდენდის ნახევრით). ობლიგაციის ხელმოკლე მეპატრონეს (წლიური შემოსავალი არა უმეტეს 800 მარკისა), უკეთეს მას სატირაჟო უფლება ეკუთვნის, შეცდგება მიეტყვეს უბირატესობის რენტა მისი ობლიგაციების ნომინალური თანხის 80¹/₀-ის ოდენობისა, მაგრამ მთლად არა უმეტეს 800 მარკისა. ანალოგიურად არის მოწესრიგებული მოკავშირე რესპუბლიკებისა და თემების (თემთა კავშირების) მარკის სესხთა გამოსყიდვა.

იმპერიის ვალთაგან სესხთა ამორტიზაციის კანონი შეეხება: 4,8 მილიარდ ომის წინა დროის ვალს, 51,3 მილიარდ ომის ვალს, 3,8 მილიარდ „დამზოგველ-საპრემია“ სესხს, 823 მილიონი მარკის ომის ზარალის ასანაზღაურებლად გამოცემულ სხვადასხვა სახის სახაზინო ვალდებულებებს, 14,2 მილიარდ მოკავშირე რესპუბლიკების ვალს; რომელიც იმპერიამ მიიღო თავის თავზე სახელმწიფო რკინისგზების იმპერიისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

2. თ ე მ ე ბ ის ვალების შესახებ შეიძლება საერთოდ იგივე ითქვას, რაც წინა §§ 68--78-ში. ზოგიერთი თავისებურება გამომდინარეობს სახელმწიფოს სახელმძღვანელო უფლებიდან და თემების და მათი საფინანსო მეურნეობის არსიდან.

ყველგან არსებობს ადმინისტრაციული ან და კანონმდებლობითი და დგენილებანი თემების მიერ ვალის აღების შესახებ, თუმცა ცალკე შემთხვევებში ამ მხრივ საგრძნობი სხვადასხვაობაა. საერთო წესი ასეთია: გაუმავრებელი ვალის აღება, რომელიც მხოლოდ ფულის დროებით საჭიროებას ემსახურება, თემის უფლებას შეადგენს, ხოლო სესხის აღება ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. გრძელვადიანი სესხისა, სახელმძღვანელო უწყების ნებართვას საჭიროებს. ეს ნებართვა გაიცემა ისეთი ხარჯებისათვის, რომელთა მიზანი და ოდენობა შტკიცედ არის განსაზღვრული, და შეეხება აგრეთვე სარგებლის მიცემისა და დაშრეტის პირობებს, ზოგჯერ დაშრეტის პერიოდის ხანგრძლივობასაც. უსახელო ობლიგაციების გამოცემის დროს საჭიროა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, ცენტრალური მთავრობის და მოკავშირე რესპუბლიკის ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემულ ქაღალდებს კანონიერი ძალა არა აქვს ომისა და ომის შემდეგი დროის პირობების გამო თემებს დიდი ვალების აღების ნებართვა მიეცათ საწარმოო ფონდის შესაქმნელად განსაზღვრული ხარჯებისათვის (წილის შესატანად იმპერიის მიერ წარმართული საოჯახო დახმარების საქმეში, უმუშევრებზე საზრუნავად, სააღმშენებლო სუბსიდირების გასაცემად და სხვ.).

უმნიშვნელოვანესი მიზნები, რომლებსთვისაც თემები ვალს იღებენ, არის: ა) არაპროდუქტიული ხარჯები, — უმთავრესად საერთო მართველობისა, როგორც, მაგ., ქვაფენილის მოგება, კანალიზაცია, მართველობის შენობების, საავადმყოფოების, სასწავლებლების ან თეატრების აგება; ბ) პროდუქტიული ხარჯები (ძირითადი კაპიტალის მოპოება აირსადენისა, ელექტრო-სადგურებისა, ტრამვაისა და სხვა მსგავს ნაგებობათათვის); გ) მიწის ნაკვეთების შექმნა, განსაკუთრებით საშენობო-საადგილ-მამულო პოლიტიკის საწარმოებლად. ვალების აღებას არაპროდუქტიული ხარჯებისათვის, სახელმწიფოს მსგავსად, თემებიც შეძლებისდაგვარ უნდა ერიდებოდნენ, მათ დასაშრეტად მოკლე ვადა

უნდა იყოს დანიშნული და ყოველ შემთხვევაში სათანადო დაწესებულების არსებობის ხანგრძლივობას არ უნდა აკარბებდეს. ზოგიერთ ასეთ დაწესებულებაზე მოხმარებული ვალის გადახდას აადვილებს მიღებული შემოსავალი საფასურებისა და გამოსადებთა სახით. ისეთი ვალისათვის, რომელიც საწარმოო დაწესებულებებზე დახარჯული, დაშრეტის ვადა, თუ რეგულიარულ ჩამოწერას და განახლების ფონდში სხსართა გადარიცხვას ადგილი აქვს, შეიძლება გრძელი იყოს. უძრავი ქონების შესაძენად გამოყენებული ვალის დაშრეტის ხანგრძლივობა უნდა შეეფარდებოდეს იმ მიზანს, რომელსაც შეძენილი ქონება ემსახურება მოკლე უნდა იყოს, როდესაც საქმე აკაპროდუქტიულ გამოყენებას ეხება (როგორც, მაგ., ისტორიული შენობების შესყიდვის შემთხვევაში) და გრძელი უნდა იყოს, როდესაც შეძენილი ქონება საწარმოოდ ან სააღმშენებლოდ გამოიყენება.

გ ა უ მ ე გ რ ე ბ ე ლ ი ს ე ს ხ ი ს მისაღებად ომამდე თემების მიერ არსებითად საკონტოკორენტო კრედიტი გამოიყენებოდა. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა ომის დროს და ომის შემდეგ, როდესაც როგორც თემებს, ისე მოკავშირე რესპუბლიკებს,—რათა ომის საჭიროებისათვის ასაღებ სესხებს დაბრკოლება არ მისცემოდა,— გრძელვადიანი სესხის აღება აეკრძალათ, და ამავე დროს კი თემების ვასავალი ძლიერ გაიზარდა. საკონტოკორენტო კრედიტი მათთვის საკმაოდ აღარ იყო და თემები იძულებული გახდნენ საჭირო სესხი თამასუქის დისკონტი-თა და ფასიანი ქაღალდების დაგირავებით მოეპოებინათ. როდესაც ფასიანი ქაღალდების მარაგი გამოილია, თემებმა იწყეს კრედიტის აღება ხელნაწერად დამზადებული სესხის დროებითი ბარათების დაგირავებით, რისი ნებართვა მათ სახელმწიფოს მიერ მ ე ნ ი ქ ა თ, — გამსესხებელი სალაროებიდან მისაღები სალომბარდო კრედიტის ფარგლებში.

ქალაქების გ რ ძ ე ლ ვ ა დ ი ა ნ ი ს ე ს ხ ი თითქმის ყოველთვის დასაშრეტ სესხს წარმოადგენს და არსებითად არ განსხვავდება სახელმწიფოს ჩვეულებრივი დასაშრეტი სესხისაგან. სესხის ემისია უმთავრესად ხდება რამდენიმე საბანკო დაწესებულების საშუალებით, ანდა კაპიტალისტთა შორის შეჯიბრის გამოწვევის გზით (სუბმისია). მაგრამ აგრეთვე შემანახველი სალაროეი, დაშხლვევი და სხვა მსგავსი დაწესებულებანიც აძლევენ ქალაქებს სესხს, განსაკუთრებით როდესაც საქმე არ ეხება დიდ თანხას. იმ გარემოებამ, რომ სხვადასხვა ქალაქები, მათი სახელისა და ნდობის მიხედვით, სესხს მეტ-ნაკლები სარგებლის ნორმით პოულობენ და მათი ქაღალდების კურსიც სხვადასხვა სიმაღლეზე სდგას,—გამოიწვია კომუნალური კრედიტის ცენტრალიზაციის იდეა, რომლის მიხედვითაც ერთსახოვანი ფასიანი ქაღალდი უნდა შეიქმნეს და ქალაქთა ობლიგაციების სიჭრელე მოისპოს. ამის განხორციელებას ხელს უშლის დიდი ქალაქების წინააღმდეგობა, აგრეთვე სესხის მიზანთა სხვადასხვაობა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონთა მრავალგვარობა დაშრეტისა და სესხის სხვა პირობების შესახებ.

ს. ს. რ. კ ა ე შ ი რ ი.— ყველა ვალი, რომელიც ქველი რ უ ს ე თ ი ს მთავრობის მიერ იყო აღებული, გაუქმებულ იქნა რევოლიუციის შემდეგ 1918 წ. 21 იანვრის დეკრეტით. ამის შემდეგ სახელმწიფოს მიერ ვალის აღების საკითხი არ დასმულა, ვიდრე აღდგენილ არ იქნა ფულისა და საქონლის თავისუფალი მიმოქცევა, რასაც დასაწყისი 1921 წლიდან მიეცა. პირველი საჯარო-საკრედიტო ოპერაცია შესრულებულ იქნა 1922 წ. 20 მაისის კანონით, რომლითაც გამოწვებულ იქნა პურის 1-ლი სესხი.

მეურნეობის ნატურალური ხასიათის გამო, პირველად საჭირო შეიქნა სესხის ნატურალური ვალიუტით გამოშვება, ხოლო შემდგომის ფულადი (ოქროს ვალიუტის) სესხით იქნა შეცვლილი. 1922 წლიდან აქამდე შემდგომ სესხები იქნა გამოშვებული:

ა. ნატურალური სესხები:

1) 1-ლი სახელმწიფო მოკლევადიანი პურის სესხი, გამოშვებული 1922 წ. 20 მაისის კანონით; სესხის თანხა შეადგენდა 10 მილ. ფუთ ქვავს. განადღებულ იქნა (ფულზე გადატანით) 7.668 ათასი მანეთისა (დაშრეტილია სრულად).

2) მე-2 სახელმწიფო მოკლევადიანი პურის სესხი, გამოშვებული 1923 წ. 22 მარტის კანონით. თანხა შეადგენდა 100 მილ. ფუთ ქვავს; განადღებულ იქნა 47.853 ათასი მანეთისა (დაშრეტილია სრულად).

3) სახელმწიფო მოკლევადიანი შაქრის სესხი, გამოშვებული 1923 წ. 15 ნოემბრის კანონით. თანხა შეადგენდა 1 მილ. ფუთ შაქარს; განადღებულ იქნა 10.904 ათასი მანეთისა (დაშრეტილია სრულად).

აღნიშნულ ნატურალურ სესხთა სარეალიზაციოდ ამიერ-კავკასიაში მუშაობა არ წარმოებულა; აქ იმ ხანად დამოუკიდებელი ბიუჯეტი და ფულის სისტემა არსებობდა. სახელმწიფო სესხთა რეალიზაცია ამიერ-კავკასიაში მხოლოდ 1923 წ. იანვრიდან დაიწყო.

ბ. მოგებიანი სესხები:

1) 60/0-იანი მოგებიანი სესხი. გამოშვებულ იქნა, 1922 წ. 31 ოქტომბრის კანონით, 100 მილიონი მანეთის თანხისა. პირველად სესხი ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ ვინაიდან მისი რეალიზაცია მეტად ნელა მიმდინარეობდა, ამიტომ შრომის და თავდაცვის საბჭოს 1923 წ. 3 სექტემბრის დადგენილებით დაწესდა სესხის იძულებითი გასაღება მუშა-მოსამსახურეებს შორის, ხოლო 1923 წ. 4 და 18 სექტემბრის კანონებით სავალდებულო ხელისმომწერას დაექვემდებარენ შეძლებული კლასებიც. სესხი სრულად იქნა განადღებული და დაშრეტილი. კერძოდ ამიერ-კავკასიაში განადღებულ იქნა 555.245 მანეთისა, ხოლო აქედან საქართველოში—257.620 (46,39/0).

2) 50/0-იანი საგლესო მოგებიანი სესხი, გამოშვებული 1924 წ. 19 მარტის კანონით, 50 მილ. მანეთის თანხისა; 1925 წ. 15 აპრილის კანონით განმეორებით იქნა გამოშვებული 40 მილ. მანეთისა. განადღებულია და დაშრეტილი თითქმის სრულად; კერძოდ ამიერ-კავკასიაში განადღებულ იქნა 766.557 მანეთისა.

3) 60/0-იანი მოგებიანი სესხი, გამოშვებული 1924 წლის 16 აპრილის კანონით 100 მილ. მანეთის თანხისა. სესხი თავიდანვე იძულებითი სახისა იყო, მხოლოდ—ეს იძულება არ ვრცელდებოდა მუშა-მოსამსახურეებზე. 1925 წლის 21 თებერვლის კანონით სესხის ობლიგაციების იძულებითი გასაღება, ამავე წლის 1 მარტიდან, შეწყდა და მერმისისთვისაც სახელმწიფო სესხთა იძულებითი გასაღება უარყოფილ იქნა. 1927 წ. 1 ოქტომბრამდე სესხი განადღებულ იქნა 71.330 ათასი მანეთისა; 1928 წ. 1 იანვრისთვის კი ვალის ნაშთი შეადგენდა 37.040 ათას მან. კერძოდ ამიერ-კავკასიაში განადღებულია 2.531 ათასი მან., ხოლო აქედან საქართველოში 1.158 ათასი მან. (45,70/0).

4) მოკლევადიანი სახელმწიფო 5¹/₀-იანი მოგებიანი სესხი, გამოშვებული 1925 წ. 23 თებერვლის კანონით; სესხის თანხა შეადგენდა 10 მილ. მანეთს, ხოლო ვადა იყო ერთი წელი (1925 წ. 1 აპრილიდან 1926 წ. 1 აპრილამდე). სესხი თითქმის სრულად იქნა განადღებული და დაშრეტილი.

5) 12⁰/₀-იანი საგლესო მოგებიანი სესხი, გამოშვებული 1925 წ. 2 ოქტომბრის კანონით, 100 მილ. მანეთის თანხისა, ორი წლის ვადით (1927 წ. 1 ნოემბრამდე). სესხი განადღებულ იქნა (1927 წლის 1 ოქტომბრამდე) 98.104 ათასი მანეთისა. კერძოდ ამიერ-კავკასიაში განადღებულია 248 325 მანეთისა, საქართველოში კი, აქედან—154.230 მან. (62,1⁰/₀). ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 22.586 ათას მანეთს.

6) სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხი (უპროცენტო), გამოშვებული 1926 წ. 3 სექტემბრის კანონით, 30 მილ. მან. თანხისა, ხუთი წლის ვადით (1926 წ. 1 ოქტომბრიდან 1931 წლის 1 ოქტომბრამდე). ამ ვადის განმავლობაში იწარმოებს მოგებათა ოთხი ტირაჟი, რომელიც ამავე დროს სადასაშრეტო ტირაჟსაც წარმოადგენს. 1927 წ. 1 ოქტომბრამდე სესხი განადღებულ იქნა სრულად, კერძოდ ამიერ-კავკასიაში—540.000 მანეთისა. ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 27.813 ათას მანეთს.

7) სახელმწიფო შინაგანი 10⁰/₀-იანი მოგებიანი სესხი, გამოშვებული 1927 წ. 4 თებერვლის კანონით, 100 მილ. მან. თანხისა, რვა წლის ვადით (1927 წ. 1 მარტიდან 1935 წ. 1 მარტამდე), რომლის განმავლობაშიც მოხდება მოგებათა 30 ტირაჟი. ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდება წილად, იშრიტება და შემდეგი ტირაჟებიდან გამოირიცხება. მის მფლობელს, მოგების გარდა, ეძლევა ობლიგაციის ნომინალური ფასი და კუთვნილი სარგებელი. გარდა მოგებათა ტირაჟისა, სესხი დაიშრიტება სერიებით ხუთი ტირაჟით (ოთხი სერია თითო ტირაჟში). სადასაშრეტო ტირაჟში გამოსული ობლიგაციების მფლობელს მიეცემა ობლიგაციის ნომინალური ფასი და ობლიგაცია მოგებათა შემდეგ ტირაჟში მონაწილეობას აღარ დებულა. სესხი განადღებულ იქნა (1927 წ. 1 ოქტომბრამდე) 99.941 ათასი მანეთისა; კერძოდ ამიერ-კავკასიაში—1.166 ათასი მანეთისა, ხოლო აქედან საქართველოში—669.045 მანეთისა (40,1⁰/₀). ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 99.779 ათას მანეთს.

8) მე-3 სახელმწიფო საგლესო მოგებიანი სესხი (6⁰/₀-იანი), გამოშვებული 1927 წ. 11 მარტის კანონით, 25 მილ. მანეთისა, სამი წლის ვადით (1927 წ. 1 აპრილიდან 1930 წლის 1 აპრილამდე). ამ ვადის განმავლობაში ყოველწლიურად იწარმოებს მოგებათა ორ-ორი ტირაჟი; მოგება არ შრეტს სესხის ობლიგაციას და ის შემდეგ ტირაჟებშიაც იღებს მონაწილეობას. ამ სესხით ვალის ნაშთი 1928 წ. 1 იანვრისთვის შეადგენდა 3.800 ათას მანეთს.

9) 6⁰/₀-იანი სახელმწიფო მოგებიანი საინდუსტრიალიზაციო სესხი, გამოშვებული 1927 წ. 26 აგვისტოს კანონით, 200 მილ. მანეთის თანხისა. სესხის ვადაა ათი წელი (1927 წ. 1 ოქტომბრიდან 1937 წ. 1 ოქტომბრამდე), რომლის განმავლობაშიც იწარმოებს მოგებათა 38 ტირაჟი. ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდება წილად, იშრიტება და მოგებათა შემდეგი ტირაჟებიდან გამოირიცხება; გარდა ამისა, სესხი დაიშრიტება ხუთი სადასაშრეტო ტირაჟით, რომელიც 1933 წლიდან იწარმოებს ყოველწლიურად. სადასაშრეტო ტირაჟში გამოსული ობლიგაციის მფლობელს მიეცემა ნომინალური

ფასი და ეს ობლიგაცია მოგებათა შემდეგი ტირაჟებიდან გამოირიცხება. 1928 წლის 1 იანვრისთვის საინდუსტრიალიზაციო სესხი სრულად იქნა განაღდებული; კერძოდ ამიერ-კავკასიაში—5.129.635 მანეთისა, აქედან საქართველოში —2.495.085 მან. (48,50/0).

10) სახელმწიფო შინაგანი 60/0-იანი მოგებიანი სესხი გლახური მეთრენობის გასამაგრებლად, გამოშვებული 1927 წ. 30 დეკემბრის კანონით 100 მილ. მან. თანხისა, სესხის ვადა სამი წელი (1928 წ. 1 თებერვლიდან 1931 წ. 1 თებერვლამდე), რომლის განმავლობაში იწარმოებს მოგებათა ექვსი ტირაჟი. ობლიგაცია, რომელსაც მოგება ზედება წილად, მოგებათა შემდეგი ტირაჟებიდან გამოირიცხება. ამიერ-კავკასიაში სესხი განაღდებულ იქნა (1928 წ. მაისისთვის) 2.545.000 მანეთისა, აქედან საქართველოში —1.020 ათასი მან. (39,80/0).

გ. სარგებლიანი სესხები:

1) პირველი 80/0-იანი შინაგანი სესხი, გამოშვებული 1924 წ. 15 თებერვლის კანონით, 100 მილ. მანეთის თანხისა. სესხის ობლიგაციების რეალიზაცია სწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა შორის და მათი საბაზრო მიმოქცევაში მონაწილეობა არაა დაშვებული. ამ სესხის გამოშვება დაკავშირებულია საქანონმდებლო დადგენილებასთან, რომლის თანახმად სახელმწიფო ორგანოებს ევალეობათ თავიანთი სათადარიგო კაპიტალი ბრუნვის გარეშე იქონიონ და სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებში მოათავსონ. სესხი განაღდებულ იქნა 1927 წ. 1 ოქტომბრისთვის 91.049 ათასი მან.. ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 53.800 ათას მანეთს.

2) მეორე 80/0-იანი შინაგანი სესხი, გამოშვებული 1926 წ. 4 ივნისის კანონით, 100 მილ. მან. თანხისა, ვადით—1932 წლის 1 მარტამდე. სესხის დაშრეტა იწყება 1928 წლის 1 სექტემბრიდან დასრულდება რვა სადასაშრეტო ტირაჟის საშუალებით.

3) მესამე 80/0-იანი შინაგანი სესხი, გამოშვებული 1927 წ. 1 ივნ. კანონით, 200 მილ. მანეთის თანხისა ვადით 1927 წ. 1 მარტიდან 1937 წ. 1 მარტამდე. სესხის დაშრეტა იწყება 1933 წლის 1 სექტემბრიდან და იწარმოებს სერიებით, სადასაშრეტო ტირაჟის საშუალებით, ყოველი ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 74.900 ათას მანეთს.

4) 120/0-იანი შინაგანი სესხი, გამოშვებული 1927 წ. 1 ივნისის კანონით, 200 მილ. მანეთის თანხისა ათი წლის ვადით (1927 წ. 1 ივნისიდან 1937 წ. 1 ივნისამდე). სესხის დაშრეტა იწყება 1932 წლის 1 დეკემბრიდან სადასაშრეტო ტირაჟების საშუალებით. ვალის ნაშთი 1928 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 129.717 ათას მანეთს.

დ. მიმდინარე ვალი:

მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებანი ს. ს. რ. კ.-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა (1923 წ. 7 თებერვ., 1924 წ. 15 მარტის, 15 სექტ. და 13 დეკ., 1925 წ. 2 ივნისის და 1927 წ. 24 მაისის კანონები). საგადასახადო ვალდებულებათა გამოშვების მიზანია სასალოარო ბრუნვის მოწესრიგება. ვალდებულებები (100, 250, 500 და 1000 მანეთიანები) გამოიცემა 3, 6 და 12 თვის ვადით, რის შემდეგ მათი დაშრეტა ხდება სასალოარო. დაწესებულებებში.

ვალდებულებებს წლიურად დაერიცხებათ სარგებელი 60/-ის რაოდენობით. 1928 წლის 1 იანვრისთვის ვალის ნაშთი შეადგენდა 100.846 ათას მანეთს.

ე. მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი სესხები:

1) გზათა სახალხო კომისარიატის უპროცენტო სასესხო ვალდებულებანი (სატრანსპორტო სერტიფიკატები), გამოშვებული 1923 წ. 26 ივლისის კანონით. სესხის გამოშვების მიზანი იყო შემოსავლის მიღების დაჩქარება და საბრუნავი თანხების გაძლიერება. სესხის თანხა უდრიდა 24 მილ. მანეთს, რაც სრულად იქნა განადღებული და, უმთავრესად სახაზინო ნიშნებზე გადაცვლით, დაშრეტილი.

2) შინაგანი სესხი სამეურნეო აღდგენისა, გამოშვებული 300 მილ. მანეთის თანხის ოდენობით, 1925 წ. 14 აგვისტოს კანონის საფუძველზე, 5 წლის ვადით (1930 წ. 1 აპრილამდე). ოპლიგაციებს დაერიცხებათ წლიურად 100/0. სესხი დაიშრიტება სადასაშრეტო ტირაჟების საშუალებით. სამეურნეო აღდგენის სესხი პირველად წარმოადგენდა სახელმწიფო სესხს, მაგრამ შემდეგ მისი ოპლიგაციები გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ბანკის მიერ სახელმწიფო და კოოპერატიულ სარეწაოთა აღსადგენად გაცემულ სესხების უზრუნველსაყოფად. ვალის ნაშთი 1928 წ. 1 იანვრისთვის შეადგენდა 161.790 ათას მანეთს.

3) ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის საოპლიგაციო სესხი, გამოშვებული 1927 წ. 31 მარტის კანონით, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემისათვის კაპიტალის და საბრუნავ საშუალებათა გაზრდის მიზნით. სესხის თანხა შეადგენს 100 მილ. მანეთს 31 წლის ვადით (1927 წ. 1 აპრილიდან). 1927 წ. 1 ოქტომბრისთვის განადღებულ იქნა 99.671 ათასი მანეთი.

ამრიგად, 1927 წლის 1 ოქტომბრისთვის სახელმწიფო სესხები სულ განადღებულია 2.064.431 ათასი მანეთისა; ამ თანხიდან, იმავე დროისათვის, დაშრეტილ იქნა 1.045.999 ათასი მან.. 1928 წლის 1 იანვრისთვის სახელმწიფო ვალის ნაშთი შეადგენდა 1.108.803 ათას მანეთს.

სახელმწიფო სესხთა რეალიზაციიდან მისადები შემოსავალი მთელს კავშირში ნავარაუდვეი იყო 1926/27 წ. ბიუჯეტით 220.000 ათასი მან. ანუ მთელი შემოსავლის 4,31/0, ხოლო 1927/28 წ. ბიუჯეტში ნავარაუდვეია 525.000 ათასი მან. ანუ—8,7/0 (წინა წელთან შედარებით—238,66/0).

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ა. ცვლილებანი გერმანიის ახალი კანონმდებლობით (შე-4 გამოცემის ტექსტის მიხედვით):

1. საშემოსავლო ხარკი (§ 47-ის შენ.). გვ. 172-ის უკანასკნელი აბზაცი უნდა შეიცვალოს ასე:

ხარკისგან თავისუფალია (1926 წ. 26 თებ. და 31 მარტის კანონების თანახმად) 1300 მარკაზე მცირე შემოსავალი. ეს (განთავისუფლებული) თანხა მატულობს ცოლისა და პირველი ბავშვისთვის 100 მარკით, მეორე ბავშვისთვის — 180 მარკით, მესამისთვის — 360 მარკით, მეოთხისთვის 540 მარკით, მეხუთისა და თითოეული შემდეგისთვის — 720 მარკით, მაგრამ უკეთეს მცირეწლოვანთ 18 წლის ზეით შემოსავალი აქვთ არადაამოუკიდებელი შრომიდან ან დამოუკიდებელი პროფესიონალური საქმიანობიდან, მათ წილად გასანთავისუფლებების თანხა არ იანგარიშება; რამდენადაც ხარკისგან სრულიად განთავისუფლებების შემთხვევას ადგილი არ აქვს (ე. ი. ხარკვალდებულის შემოსავალი აღნიშნულ საარსებო მინიმუმზე მეტია), გარდა სპეციალ გადასახადად 240 მ.-ის გამორიცხვისა (იხ. ზევით გვ. 170, III, 2), შემდეგი შედავათებია დაწესებული: თვით ხარკვალდებულისათვის 720 მარკის გამორიცხვა შემოსავლიდან, თუ შემოსავალი 10.000 მარკას არ აღემატება; შემდეგ — ცოლისა და თითოეული ბავშვისათვის, შემოსავლის ოდენობის მიუხედავად, უკეთეს იგი 720 მარკას აღემატება, თითოეულზე შემოსავლის 80%-ის გამორიცხვა, მაგრამ არა უმეტეს ექვსას-ექვსასი მარკისა ცოლისა და თითოეული ბავშვისათვის და საერთოდ არა უმეტეს 8000 მარკისა, მხოლოდ ისე კი, რომ გამორიცხული თანხა იმაზე ნაკლები არ იქნეს, რაც ცოლისა და ბავშვების გამო გასანთავისუფლებლად არის დაწესებული. მთლად ან ნაწილობრივ სამუშაო ხელფასით მიღებული შემოსავლიდან გამოსარიცხი თანხების შესახებ იხ. ქვევით.

გვ. 174-ის მეორე აბზაცი უნდა შეიცვალოს ასე: ხელფასის ხარკი ეხება სამუშაო ხელფასს და მისი აკრფთა ხდება ხელფასიდან გამორიცხვის წესით. ხელფასი არის მთელი თანხა შემოსავლისა, რომელსაც არადაამოუკიდებელი პირები, — მუშები და მოსამსახურენი, კერძო ან საჯარო სამსახურში იღებენ სხვადასხვა სახით (ჯამაგირი, სარგო, ხელფასი, პირადი, საქვრივო და საობლო პენსია და სხვ.). ხელფასის ხარკი შეადგენს გადასახადისაგან თავისუფალი (საარსებო მინიმუმად დაწესებული) თანხის გარდაშეცემის 100%-ს. 1926 წ. 1 იანვრიდან ხარკისგან თავისუფალი ხელფასის თანხა 1200 მარკამდეა გადიდებული, ამაში: 720 მარკა ხარკისგან თავისუფალი თანხა ხელფასისა, 240 მარკა წარმოება-მოპოვების ხარჯებისა და 240 მარკა სპეციალი გადასახადის სანაცვლოდ. ოჯახური მდგომარეობის გამო შედავითად დაწესებულია შემოსავლიდან გამორიცხვა: ცოლისთვის — 120 მარკის, მცირეწლოვან ბავშვებისათვის: 1-ლისთვის — 120 მარკ., მეორისთვის — 240 მარკ., მესამისთვის — 480 მარკ., მეოთხისთვის — 720 მარკ., მეხუთისა და შემდეგისთვის — თითოეულზე 960 მარკ. წლიურად. ხელფასიდან სახარკო გამორიცხვას ადგილი არ

აქვს, როცა გამორიცხვით მისაღები თვითრად 0,80 მარკას არ აღემატება. გარდა ამისა, სხვა შედარებით შეუამდგომლობის მიხედვით ეძლევა ჩარკველდებულ მუშა- მოსამსახურეს, უკეთეს განსაკუთრებული გარემოებები არსებობს, რომელნიც ხარ- კის შემცირებას ამართლებენ (იხ. ზევით), ან გადაამხდელი დაამტკიცებს, რომ შემოსავლის მისაღებად შედარებით დიდი ხარჯები აქვს გასაწევი ან განსაკუთრე- ბით მძიმე სახარჯო ტვირთი აკისრია.

2. საქონელ ხარკი (§ 48-ის შენ.). გვ. 192-ის პირველი აბზაცი უნდა შეიცვალოს ასე:

V. ტარიფი. ხარკი შეადგენს (1926 წ. 31 მარტის კანონის თანახმად):

5100—10.000 მარკამდე ღირებული ქონებისთვის	10/ო-ს
10.100—20.000	2 "
20.100—30.000	3 "
30.100—50.000	4 "
50.100-ზე მეტი ღირებულების	5 "

ბ. ცელილებანი ს. ს. რ. კ.-ის კანონმდებლობით (1928 წ. იენისამდე, წიგნის ბექედის განმავლობაში):

1. მიწის წიაღი (§ 24, 1-ის შენიშვნა, გვ. 71, 72). 1927 წ. 9 ნოემბრის კანონით (1928 წ. 11 იანვ. და 9 მაისის კანონის ცვლილებით) გამოცემულია სა- მთო დებულება ს.ს.რ.კ.-ისა, რომელიც ძალაშია 1928 წ. 1 ივლისიდან- დებულება, რომელსაც არსებითი ცვლილება არ შეაქვს არსებულ ვითარებაში, განსაზღვრავს: წიაღის მართველ ორგანოებს, მანუფაქტორების კლასიფიკაციას, სა- მთო რეწვის წარმოების უფლებების შექმნის წესს, სამთო რეწვისათვის საჭირო ნაკ- ვეობების გაცემის და სარგებლობის წესებს, მესობელ სამთო მრეწველებს შორის ურთიერთობის პირობებს და სამთო-სამრეწველო ზედამხედველობის ამოცანებს.

2. მიზნობრივი ხარკები (§ 30-ის შენ., გვ. 90). მიზნობრივი ხარ- კებშია ჩასათვლელი აგრეთვე საბირჟო გარიგებათა მიზნობრივი ხარკი, დაწესე- ბული 1928 წ. 16 მაისის კანონით (იხ. ქვევით, მუხ. 7).

3. მოკავშირე რესპუბლიკის სახარკო შემოსავალს (§ 33-ის შენ., გვ. 105) მიეკუთვნება აგრეთვე საბირჟო გარიგებათა მიზნობრივი ხარკი (იხ. ქვევით, მუხ. 7).

4. სახარკო სისტემა (§ 37-ის შენ., გვ. 126). ქონების მიმოქცევის ხარკებშია ჩასათვლელი აგრეთვე საბირჟო გარიგებათა მიზნობრივი ხარკი (იხ. ქვევით, მუხ. 7).

5. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი (§ 41-ის შენ., გვ. 141 და შემდ.). ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის 1927 წ. 2 აპ- რილის დებულება შეცვლილია 1928 წ. 21 აპრილს საკავშირო ცაკის მიერ გამოცემული დებულებით და 1928 წ. 10 მაისის (ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბ- ქოს) და 1928 წ. 18 მაისის და 7 იენისის (საქართველოს სახ. კომ. საბქოს) დადგენი- ლებებით.

ხარკკუთვნილ შემოსავალში, გარდა აღნიშნულ შენიშვნაში დასახელებულთა, ჩარიცხულია შემოსავალი საკუთარი ტრაქტორებიდან, რომე- ლიც ერთპიროვნულ მეურნეობაში წვევის ძალად გამოიყენება. ამიერ-კავკასიაში იბეგრება აგრეთვე: ბრინჯის პლანტაციის, კართოფილის ნათესი, მანდარინის პლან- ტაცია და დათისილი (ხელოვნური) ბაღები; საქართველოში, — ამათ გარდა, — ბა- მბუკისა და დეკორატიული მცენარეების ნათესი.

ხარკისგან თავისუფალია, უკვე მოხსენებულს გარდა: ჩაის პლანტაციებში, თუთის ხის ნარგავები და მებარე მუშეობის შემოსავალი.

ხარკვალდებულებულია მთელი სოფლის მეურნე მოსახლეობა, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით; კერძოდ საქართველოში ხარკვალდებულებულია აგრეთვე შემდეგი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა მოსახლეობა: ლიუქსემბურგის, შაუმიანის, დუშეთის, ცხინვალის, გორის, ხაშურის, ახალქალაქის, ზესტაფონის, სამტრედიის, ონის, ხონის, ზუგდიდის, ოზურგეთის და სენაკისა.

დასაბეგრი შემოსავლის გამომგარი შება წინანდელი წესით სწარმოებს; კერძოდ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მემინდერეობის შემოსავალი გამომგარი შება ფაქტიურად დათესილი მიწის (ნათესის) მიხედვით; ამათუ იმ ცალკე შემთხვევაში ნათესების მიხედვით დაბეგვრა შესაძლებელია შეიცვალოს სახნავის მიხედვით დაბეგვრით.

რამოდენიმედ შეცვლილია შემოსავლიანობის ნორმები. კერძოდ საქართველოში შემოსავლიანობის ნორმად არის მიღებული დესიატინა სახნავი მიწისთვის—30 მ., ნათესებისთვის—45 მ., სათიბისთვის—18 მ., ხეხილის ბაღისთვის—190 მ., ვენახისთვის—220 მ., ბოსტან-ბაღისთვის—150 მ., კარტოფილისთვის—150 მ., თამბაქოსთვის—255 მ., მანდარინისთვის—350 მ., ბრინჯისთვის—150 მ., დათესილი ბაღახისთვის—80 მ., ბამბისთვის—22 მ. 50 კ., ბამბუკის და დეკორატიული მცენარეებისთვის—200 მ.; თითო თავი საქონლისათვის საშუალოდ: მსხვილფეხა რქიანი საქონლისთვის (ხარ-კამეჩს გარდა) აღმ. საქართველოში—13 მ. 25 კ., დასავლეთ საქართველოში—10 მ. 50 კ., ხარ-კამეჩისთვის—13 მ., ცხენისა, აქლემისა და ჯორისთვის—15 მ., ვირისთვის—5 მ., თხა და ცხვარისათვის: აღმ. საქართველოში—2 მ. 55 კ., დასავ. საქართველოში—1 მ. 55 კ., ღორისთვის—5 მ., ჩარჩოიანი სკისთვის—5 მ., როფი სკისთვის—3 მ. ამ ნორმების საფუძველზე შემოსავლიანობის შემდეგი მტკიცე მეტ-ნაკლები ნორმებია დაწესებული ცალკე მაზრებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისთვის (მან.): იხ. (ნუსხა გვ. 340)

სასოფლო-სამეურნეო ხარკით არ იბეგრება ისეთი ერთპიროვნული მეურნეობა, რომლის შემოსავალი შემდეგ მინიმუმს არ აღემატება: როდესაც მეურნეობაში 1 და 2 მჭამელია—100 მანეთს, როდესაც 3 და 4 მჭამელია—120 მ., ხოლო როდესაც 5 და მეტი მჭამელია—130 მ.-ს; ხარკით არ იბეგრება აგრეთვე კოლექტიური მეურნეობა, რომლის დასაბეგრი შემოსავალი 30 მანეთს არ აღემატება მჭამელზე. დაუბეგრავი მინიმუმის საფუძველით ხარკისგან განთავისუფლებულ მცირე შემდების მჭონე მეურნეობათა რიცხვი უნდა შეადგენდეს მეურნეობათა საერთო რიცხვის 35%/ის.

ახალი დებულებით შეცვლილია სახარკო განაკვეთიც. მჭამელის შემოსავლის მიხედვით დაწესებული განაკვეთების ნაცვლად, საერთო წესის სახით, დადგენილია გადიდებული პროგრესიული განაკვეთი მეურნეობის შემოსავლის ნაშთის მიხედვით (წესი, რომელიც აქამდე უკრაინაში იყო მიღებული). მეურნეობის საერთო შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს თითოეულ მჭამელზე 20 მანეთი და ნაშთზე ინგარიშება ხარკი დაწესებული განაკვეთის მიხედვით. განაკ-

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლებად-
 ელევანთ დააწესონ ხარკის გამონაგარიშება თითოეული მჭამელი სხვედრი შემ-
 მოსავლის მიხედვით; ამ შემთხვევაში განაკვეთი შეადგენს თითო მჭამელზე:

20 მანეთამდე შემოსავლისთვის 2 კაპ. ყოველ მანეთზე								
20-დან	30	„	„	3	„	„	20-დან	30-დე
30	„	40	„	5	„	„	30	„ 40 „
40	„	50	„	10	„	„	40	„ 50 „
50	„	60	„	15	„	„	50	„ 60 „
60	„	70	„	21	„	„	60	„ 70 „
70	„	80	„	23	„	„	70	„ 80 „
80	„	100	„	25	„	„	80	„ 100 „
100	„	140	„	28	„	„	100	„ 140 „
140-ზე მეტი				30	„	„		

როდესაც ხარკის გამონაგარიშება ამ უკანასკნელი განაკვეთების თანახმად
 ხდება, კანონი ხარკის დაკლებას აწესებს: ა) იმ მეურნეობისათვის, რომელშიც
 ერთი მჭამელია, ხარკი მცირდება 30%-ით, ბ) რომელშიც ორი მჭამელია,—
 20%-ით, ხოლო თუ ამ ორისგან ერთი შრომის უნარს არის მოკლებული,—
 30%-ით, და გ) რომელშიც სამი მჭამელია, რომელთაგან მხოლოდ ერთია შრო-
 მის უნარის მქონე,—10%-ით. თემის და რაიონის სახარკო კომისიებს უფლება
 ენიჭებათ ეს დაკლება არ გაავრცელონ მძღავრ მეურნეობებზე.

კოლექტიურ მეურნეობათა დასაბეგრად ხარკი ყველგან გამოიან-
 გარიშება მჭამელის მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და ნადისთვის,
 რომლის დასაბეგრი შემოსავალი თითოეულ მჭამელზე არ აღემატება მასრის (ან
 სათანადო ერთეულის) ან რაიონის ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მჭა-
 მელის საშუალო შემოსავალს, ხარკის დაკლება დაწესებული: სასოფლო-სამე-
 ურნეო კომუნისთვის 60%-ით, ნადისთვის—40%-ით; თუ ამათი შემოსავალი აღნი-
 შნულ საშუალო შემოსავალს აღემატება, დაკლება შეადგენს: სასოფლო-სამეურ-
 ნეო კომუნისთვის—30%-ს და ნადისთვის—25%-ს. იმ ამხანაგობისთვის, რომე-
 ლიც მიწას საზოგადოებრივი წესით ამუშავებს, მუშების დაუქირავებლად, ხარ-
 კი მცირდება 20%-ით, საამხანაგო წესით მიღებული შემოსავლისთვის.

სასოფლო მეურნეობის ნამდვილ გამოსავლიანობასთან სასოფლო-სამეურ-
 ნეო ხარკით დასაბეგრი შემოსავლის დაახლოების მიზნით, ერთპიროვნულ მეურ-
 ნეობათათვის დაწესებულია პროცენტული დანარიცხი ნორმების სა-
 ფუძვლით გამონაგარიშებულ შემოსავალზე, დასაბეგრი შემოსავლის საერთო
 თანხის მიხედვით. შემოსავალი, რომლისთვისაც წესდება ეს დანარიცხი,
 არ უნდა იყოს განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები, მაგ., ამიერ-კავკასიისა
 და კერძოდ საქართველოში—300 მანეთზე მცირე, დანარიცხის განაკვეთი კი
 უნდა იყოს არა ნაკლები 5%-სა და არა უმეტეს 25%-სა. ამას გარდა, ერთპირო-
 ვნულ მეურნეობათათვის, რომელნიც გლეხთა საერთო მასაში თავიანთი გამოსა-
 ვლიანობით და შემოსავლის არაშრომითი ხასიათით გამოირჩევიან, დასაბეგრი
 შემოსავალი გამოიანგარიშება არა ნორმებით, არამედ მათი ნამდვილი გამოსა-
 ვლიანობის მიხედვით და იმ საერთო ცნობების საფუძველზე, რომელიც სახარ-
 კო კომისიებს მოეპოვებათ.

ხარკის გადასახდელად დაწესებულია სამი ჯადა: აღმ. საქართველოში,
 მაგ., გამონაგარიშებული ხარკის თანხიდან 1928 წ. 1 ოქტომბრისთვის გადახდილი

უნდა იქნეს—20%, 1 დეკემბრისთვის 70%, და 1929 წ. 1 თებერვლისთვის—100%; დასავლეთ საქართველოში იმავე ვადებში: 10, 30 და 60%.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკის გამოსავლიდან ადგილობრივ საბჭოებს ეძლევათ რესპუბლიკაში შემოსული თანხის 62%, რომელიც ასე ნაწილდება: ა) თითოეულ თემსა ან რაიონში შემოსული ხარკის 40% ჩაირიცხება ამავე თემის თუ რაიონის ბიუჯეტში; ბ) ავტონომიურ რესპუბლიკასა, ოლქსა, გუბერნიასა და მაზრაში შემოსული ხარკის 12% ჩაირიცხება ამავე ერთეულის ბიუჯეტში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თემის ან რაიონის ბიუჯეტის, ისე სხვა ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო წყაროთა გასაძლიერებლად; გ) დანარჩენ 10%-ს ანაწილებს რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო აქვე „ზ“ მუხლში მოხსენებულ ერთეულთა ბიუჯეტებს შორის, მათი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით.

6. სარენტო ხარკი (§ 41-ის მე-2 შენ., გვ. 144, 145). საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს 1928 წ. 2 იანვრის კანონით სარენტო ხარკის განაკვეთებისათვის ქალაქების კლასებად დაყოფის საფუძველად შემდგენი დადგენილი: ქალაქები იყოფა ათ კლასად მათი ადმინისტრაციული მნიშვნელობის, მოსახლეობის რიცხვის, სოციალური შემადგენლობის და ძირითადი ხელობის, ეპრობა-მრეწველობის განვითარების, მიმოსვლის გზების მდგომარეობის და სხვა ეკონომიურ პირობათა მიხედვით, რომელთაც ქალაქის მიწების რენტაბელობაზე აქვთ გავლენა.

I კლასს არის მიკუთვნებული ქალაქები 5 ათასი მცხოვრებით, II კლასს—5—10 ათასამდე, III კლასს—10—20 ათასამდე, IV კლასს—20—30 ათასამდე, V კლასს—30—50 ათასამდე, VI კლასს—50—100 ათასამდე, VII კლასს—100—200 ათასამდე, VIII კლასს—200 ათასზე მეტი მცხოვრებით, X კლასს—ლენინგრადი და სხვა განსაკუთრებით მსხვილი ადმინისტრაციული სავაჭრო ცენტრები 200 ათასზე მეტი მოსახლეობით, X კლასს—მხოლოდ მოსკოვი. ქალაქები, ქალაქის მიწების რენტაბელობაზე მეტ-ნაკლებ გავლენის მქონე გარემოებათა მიხედვით, შესაძლებელია უფრო მაღალ ან დაბალ კლასში იქნენ გადაყვანილნი, მაგრამ არა უმეტეს ორი კლასისა ზევით და ყოველ შემთხვევაში, არა უმაღლეს VIII კლასისა.

უმაღლესი საზღვრითი განაკვეთი ქალაქთა კლასების და მიწების კატეგორიების მიხედვით, კვადრატული მეტრისათვის შეადგენს (კაპ.): (იხ. ნუსხა გვ. 343).

სახელმწიფო დაწესებულებებისა, სახელმწიფო სავაჭრო სარეწაოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისთვის რენტის განაკვეთი მცირდება, არა ნაკლებ 25%-სა, იმ განაკვეთთან შედარებით, რომელიც კერძო პირთა მიერ დაჭერილი მხგავსივე მიწისთვის არის დაწესებული. სახელმწიფო სამთო და სამთო-საქარხნო სარეწაოთა სასარგებლოდ გადაცემული ნაკვეთებისთვის სახარკო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო სამრეწველო სარეწაოთათვის დადგენილ უმაღლესი განაკვეთის 20%-ს.

აღნიშნული საკავშირო კანონის საფუძველზე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 21 აპრილის დადგენილებით, საქართველოს ქალაქები, მათი ეკონომიური მდგომარეობისა და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, მიკუთვნებულია შემდეგი კლასებისადმი: I კლასი—ოზურგეთი, ცხინვალი, შაუმიანი, ახალქალაქი, ონი, დუშეთი, ზესტაფონი, სენაკი, ზუგდიდი, ხონი, სიღნაღი; II—ხაშური, სამტრედი, გორი, თელავი, ბორჯომი, ქიათურა, ახალციხე; III—ფოთი, IV—სოხუმი, V—ქუთაისი, VI—ბათუმი და VIII—ტფილისი. საზ-

უკრითი განაკვეთები ამათვის იგივეა, რაც საკავშირო კანონით არის დადგენილი.

ქალაქთა კლასები	მ ა რ ა კ ა ც ი ა					
	საცხოვრებელ სახლს და მის დამხმარე შენობას	სავაჭრო შენობას	სავაჭრო სარეწაოთა საქონლის დია (არა სადგომში) საწყობს	სამრეწველო სარეწაოს (გარდა სახელმწიფოსა) და მათ კუთვნილ სახსლო, სასაბოძო და სასაქონლო დახურულ საწყობს	ფოსტის, ბოსტანის, ბაღის და სახ. სამ. მიწებს, აგრეთვე—სამრეწველო სარეწაოთა (გარდა სახელმწიფოსა) კუთვნილ სახსლო, სასაბოძო და სასაქონლო დია საწყობს	სახელმწიფო სამრეწველო სარეწაოს, როგორც შენობაინი, ისე უშენობო, კმ-ბოლდ—ამ სარეწაოთა დახურულ და დია საწყობს
I	1,5	6	3	2	0,5	0,5
II	3	12	6	4	1	1
III	6	24	9	6	2	2
IV	9	36	12	9	3	3
V	12	60	15	12	4	4
VI	15	80	20	15	5	5
VII	20	100	25	20	7	6
VIII	25	120	35	25	8	7
IX	35	200	50	40	10	8
X	55	350	80	65	15	10

7. საბირჟო გარიგებათა მიზნობრივი ხარკი (§ 54-ის შენ. გვ. 217). გარდა შენიშვნაში აღნიშნული საბირჟო გარიგებათა ხარკისა, 1923 წ. 16 მაისის კანონით დაწესებული საბირჟო გარიგებათა მიზნობრივი ხარკი ეხება ისეთ საბირჟო გარიგებას, რომლის თანხა 50.000 მანეთს აღემატება. საფონდო გარიგება ხარკისგან თავისუფალია. სახარკო ნორმა შეადგენს: ა) მოსკოვის საქონლის ბირჟისთვის: 50.000 მანეთიდან 1.000.000 მანეთამდე თანხის თითოეულ გარიგებაზე—0,03%-ს, ხოლო ამაზე ზევით—0,04%-ს; ბ) დანარჩენ საქონლის ბირჟებისთვის: თითოეულ 50.000 მანეთზე მეტი თანხის გარიგებაზე—0,02%-ს. ხარკის შემოსავალი დანიშნულია მოკავშირე რესპუბლიკებისთვის და მიიქცევა სამრეწველო-ეკონომიური განათლების საქმიროებისთვის.

8. სათამაშო ქალაქის მონოპოლია (§ 57-ის შენიშვნის 1-ლი მუხლი, გვ. 237). 1928 წ. 21 მარტის კანონის საფუძველზე სათამაშო ქალაქის მონოპოლიის შემოსავლის განაწილება 1927/28 საბიუჯეტო წლიდან შემდეგი წესით სწარმოებს: მონოპოლიის საერთო შემოსავლიდან (მთელს კავშირში) საერთო საკავშირო ბიუჯეტში ჩაირიცხება 25%/ო, რუსეთისაში—45%/ო, უკრაინისაში—13,5%/ო, ამიერკავკასიისაში—6%/ო, ბელორუსიისაში—3,75%/ო, უზბეკისტანისაში—3,75%/ო და თურქმენისტანისაში—3%/ო.

სათამაშო ქაღალდის მონოპოლიის განსახორციელებლად საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარი ნიშნავს რწმუნებულს (1928 წ. 26 აპრილის კანონის საფუძველზე), რომელსაც ევალება სათამაშო ქაღალდის, ლოტოს და დომინოს მოთხოვნილებების აღწუსვა, მათი გასაღების წლიური გეგმის შედგენა, გაყიდვის ორგანიზაცია და სხვ.

9. ოპიუმის მონოპოლია (§ 57-ის შენიშვნის მე-2 მუხლი, გვ. 238) 1928 წლის 21 თებერვლის კანონის თანახმად ხაშაშის ნათესო სივრცის განაწილების, ამ ნათესო შესაწებ განაცხადის შეტანის და მათი სივრცის აღწუსვის წესებს ადგენს საკავშირო საგარეო და შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეთანხმებით.

10. შაქრის აქციზი (§ 61-ის შენ., გვ. 246). 1928 წ. 9 მაისის კანონით 1928 წ. 1 ოქტომბრიდან შაქრის აქციზისათვის სახარკო ერთეულად აღებულია 100 კილო, რომელზეც განაკვეთი შეადგენს 24 მ. 40 კ.

11. ღვინის აქციზი (§ 62-ის მე-3 შენ., გვ. 245 და შემდ.). 1928 წლის 25 აპრილის კანონით აქციზი ყურძნის, ხილის და ქიშმიშის ღვინოებზე და საგანგებო საპატენტო გამოსაღები მათთვის გაუქმებულია ამავე წლის 1 ივლისიდან.

12. არაყის აქციზი (§ 62-ის მე-4 შენ., გვ. 260 და შემდ.). შენიშვნაში მოხსენებული განაკვეთი სპირტსა, პურის არაყსა, ქაქის არაყსა, კონიაკსა და არაყის ნაწარმოებზე დაწესებულია 1928 წ. 25 აპრილის კანონით. ამავე კანონის თანახმად აქციზის განაკვეთი ხილის, ქაქის და კონიაკის სპირტისთვის შეადგენს გრადუსზე—23 კაბ. ანუ ლიტრზე 1 მ. 87 კ.; ამიერ-კავკასიაში განაკვეთი ხილის, ქაქის და კონიაკის სპირტისთვის, რომელიც ქაქის არაყისა და კონიაკის დასამზადებლად გამოიყენება; შეადგენს; გრადუსზე—5 კაბ.-ს ანუ ლიტრზე 40 კაბ.-ს. ხილის და ქაქის სპირტისგან დამზადებული არაყი ყველგან იბეგრება მხოლოდ ძირითადი აქციზით: გრადუსზე—23 კაბ. ანუ ლიტრზე 1 მ. 87 კ.

13. თამბაქოს აქციზი (§ 63-ის შენ., გვ. 271 და შემდ.). შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სესტანდარტიზაციო კომიტეტის 1927 წ. 9 დეკემბრის დადგენილებით 1928 წ. 1 მარტიდან დაწესებულია პაპიროსისთვის (1000 ცალისთვის) სტანდარტული წონა (გრამებში): უმაღლესი ხარისხისათვის (I ხარისხი სტანდარტით) 800 და 695, I ა-სთვის (II ხარ.)—695 და 520, I ბ-სთვის (III ხარ.)—590, II ა-სთვის (IV ხარ.)—555 და 490, II ბ-სთვის (V ხარ.)—555 და 500 და III-სთვის (VI ხარ.)—490. სტანდარტული წონის შემოღებით 1926 წ. 20 აგვ. კანონის თანახმად აქციზის განაკვეთისათვის დადგენილი საზღვრითი წონა არ უქმდება. სტანდარტული წონის პაპიროსებისათვის განაკვეთი იგივეა, რაც საზღვრითი წონისათვის, გარდა II ბ ხარისხის პაპიროსისა, რომლის სტანდარტული წონა (555 გრ.) აღემატება საზღვრით წონას; ამ შემთხვევაში განაკვეთი ორმაგი რაოდენობით გადაიხდება.

ლიტერატურის მაჩვენებელი

I. გერმანულ ენაზე

აქ მხოლოდ ზოგიერთ ახლად გამოცემულ თხზულებებს დავასახელებთ. დაწვრილებით იხ. **Eheberg'**-ის Finanzwissenschaft'-ში, მე-18/19 გამოც., Leipzig 1922 და ზევით მე-12 გვერდზე აღნიშნულ სახელმძღვანელოებში, აგრეთვე — შესაფერი წერილები Handwörterbuch der Staatswissenschaften' ში, 4. Auflage, Jena (1923—1928) და Handwörterbuch der Kommunalwissenschaften' ში, 2. Auflage, Jena 1918 --1922.

§ 4-სთვის **Br. Moll**, Probleme der Finanzwissenschaft, Leipzig 1924.

§ 17 და **P. Buchholtz**, Der Haushaltsplan in Reich, Staat, Gemeinde, und Gemeinde, Berlin 1922. — **W. Spielhagen** u. **A. Jessen**, Der Reichshaushalt 1927, Berlin 1927.

§ 16 და შ. **Br. Moll**, ibid., გვ. 24—74.

§ 29 და შ. **Br. Moll**, ibid., გვ. 75—89.—**Fr. Terhalle**, Steuerlast und Steuerkraft, Jena 1921.—**G. Mannstädt**, Finanzbedarf und Wirtschaftsleben, Jena 1922.—**W. Gerloff**, Die steuerliche Belastung in Deutschland während der letzten Kriegsjahre, Berlin 1916. იგივე, Steuerwirtschaft u. Sozialismus, 1922.—**G. Strutz**, Grundbegriffe des Steuerwesens, Berlin 1918.—**O. v. Mering**, Die Steuerlast in Deutschland, Jena 1926.—**G. Ritschl**, Theorie der Staatswirtschaft und Besteuerung, Bonn u. Leipzig 1925.—**J. Fischer**, Das Steuerwesen des Deutschen Reichs, Stuttgart 1927.—**A. Hensel**, Steuerrecht, Berlin 1924.—Handbuch des Reichssteuerrechts, hersg. v. **G. Strutz**, Berlin 1924.—**K. Ball**, Einführung in das Steuerrecht, 3. Aufl., Mannheim 1925.

§ 35-სთვის **E. Lindahl**, Die Gerechtigkeit der Besteuerung, Lund o. J. 1919.

§ 36 „ **F. K. Mann**, Die Grundform der Steuerabwehr, in d. Jahrb. f. Nat. u. Stat., 1923. **A. Ammon**, Zur Frage der steuerlichen Lastenverteilung, იქვე 1925.

- § 46—48 Br. Moll, *ibid.*, 33. 90—173.
- § 47—50 P. Naumann, *Die Methoden und Probleme in der Bemessung der Einkommensteuer*, Halberstadt 1925.—
F. Meisel, *Britische und deutsche Einkommenssteuer*, Jena 1925.
- § 48 „ F. Bösler, *Ertragswert und Gemeiner Wert in der deutschen Vermögensbesteuerung*, Leipzig 1925.
- § 49 „ R. Eichhorn, *Die einmaligen Vermögensabgaben im Deutschen Reiche*, Jena 1925.
- § 51 „ W. Bräuer, *Die Besteuerung der Kriegsgewinne in den europäischen Staaten*, Stuttgart 1921.
- § 61. „ W. Ehle, *Der Einfluss der deutschen Branntweinsteuergesetzgebung auf die Entwicklung des Brauereigewerbes*, 1926.
- § 63 „ R. Grabower, *Die Geschichte der Umsatzsteuer und ihre gegenwärtige Gestaltung im Inland und im Ausland*, Berlin 1925.
- § 66 „ R. Knauss, *Die deutsche, englische und französische Kriegsfinanzierung*, Berlin 1923.
- § 69 „ R. Stucken, *Grundsätze für die Anleihepolitik*, im *Arch. f. Sozw. u. Sozialpol.*, 1927.
- § 71 „ R. Will, *Die schwebenden Schulden der europäischen Grossstaaten*, Tüb. 1921.—F. A. Hayek, *Das Stabilisierungsproblem in den Goldwährungsländern*, i. d. *Zeitschr. f. Volksw. u. Sozialpol.*, 1924.
- § 72 „ A. Jessen, *Finanzen, Defizit u. Notenpresse*, Berlin 1923.
- § 76 „ C. A. Fischer, *Vom Staatsbankerott*, 2. Auflage, Karlsruhe 1922.—A. Manes, *Staatsbankerott* 2 Aufl., Berlin 1919.

II. საზოგადოებრივი მართლმადიდებლობა.

1. საერთო ხასიათის თხზულებანი.

- Альский М., Наши финансы за время гражданской войны и нэп'а. М. 1925.
- Бронский, М. Г., Финансовая политика СССР. Л. 1928.
- Очередные вопросы финансовой политики. Сборник I, 1922; Сборник II, 1923.
- Популярный финансово-экономический словарь. Под ред. Д. П. Боголепова, М. Г. Бронского и Н. Н. Деревенко. 1925.
- Сокольников, Г. Я., Финансовая политика Революции, т. I. М. 1925; т. II. М. 1926; т. III. М. 1928.
- Сиринов, М. А., Местные финансы. М.-Лен. 1926.
- Твердохлебов, В. Н., Местные финансы. 2-е изд., М. 1927.
- „ Новейшие финансовые проблемы (1914—1923 гг.) Петр. 1923.
- Тиктин, Г. И., Очерки по общей теории публичных финансов. Предмет и основоположения. Основные организационные принципы и системы публичного хозяйства. Одесса. 1928.
- Финансовая энциклопедия под общей редакцией Г. Я. Сокольникова, проф. Д. П. Боголепова, проф. А. И. Буковецкого, проф. Н. Н. Деревенко и Д. Г. Тарасова. 2-е изд. М.-Лен. 1927.

2. ბიუჯეტი და საფინანსო მართლმადიდებლობა.

- Борьян, Б. А., Государственный контроль в Союзе ССР и Западной Европе. М. 1928.
- Брюханов, Н. П., Новый бюджет советского союза. Изд. 2 е. 1925.
- „ Государственный бюджет СССР на 1925/26 г. и хозяйственное строительство. М. 1926.
- „ Бюджет, финансы, хозяйство СССР в 1926/27 г. М. 1927.

- Велихов, Л., Основы городского хозяйства. Общее учение о городе, его управлении, финансах и методах хозяйства. М.-Лен. 1928.
- Государственный финансовый контроль. Сборник законов, инструкций, правил и циркуляров по госфинконтролю. Составили: И. Ланда и Д. Лукашевкер. М. 1927.
- Евзлин, З. П., Бюджетный контроль и государственная отчетность. Л. 1928.
- Крылов, С. Б., Бюджетное право СССР. Федеральные основы. С пред. проф. С. А. Котляревского. Л. 1928.
- Котляревский, С. А., Бюджетное право СССР. 2-е изд. М. 1925.
» Финансово право СССР. Л. 1926.
- Кузнецов, С. М., Основные вопросы местного бюджета СССР. М. 1927.
- Местные финансы. Сборник общесоюзных законоположений, циркуляров и инструкций по местному бюджету и хозяйству. Составлен М. О. Вайчушкиным и Е. К. Бурцевым под редакцией И. Ф. Федяева. М. 1928.
- Малаховский, Е., Основы нового кассового устройства РСФСР. Предисловие Н. Милютина. М. 1927.
- Микеладзе, П. В., Очерки финансовой организации союзных и федеральных государств. Под редакцией и с предисловием проф. А. И. Буковецкого. Л. 1926.
- Наказ по счетоводству и отчетности учреждений НКФ по исчислению единого госбюджета. М. 1927.
- Наказ по счетоводству и отчетности учреждений НКФ по местным бюджетам на 1927/28 г. М. 1927.
- Понтович, Э., Финансовый контроль. Л. 1928.
» Казна и контроль. М. 1927.
- Федяевский, М., Основные положения нашего кассового устройства и кассовых правил. М. 1926.
- Финансовый контроль в государствах западной Европы. Составили: А. И. Эфимович, проф. Д. Я. Загряцков, проф. Э. Э. Понтович, проф. М. А. Сиринов, К. К. Федяевский и К. К. Шмаков, под ред. проф. С. А. Котляревского и проф. Э. Э. Понтовича. М. 1928.
- Энциклопедия местного управления и хозяйства („Коммунальная энциклопедия“). М. 1927.

3. სამეურნეო შემოსავალი.

- Горин, В., Лесной доход. М. 1925.
 Государственные и местные неналоговые доходы. (Сборник законодательных постановлений и ведомственных распоряжений по неналоговым доходам). М. 1928.
 Орлов, С., Доходы от рыболовных угодий. М. 1926.
 „ Доходы от земельных имуществ. М. 1926.
 Положение о недрах земли и их разработке. М. 1926.

4. გადასახადები.

- Влияние налогов на народное хозяйство Союза ССР. Ч. 1—Акцизы. Сборник статей Аллавердовой Л. А., проф. Гензеля П. П., Герба М. Т. и др.. Под общей редакцией проф. П. П. Гензеля. М. 1928.
 Вайнштейн, А. Л., Обложение и платежи крестьянства в довоенное и революционное время. М. 1925.
 Государственный подоходный налог. Изд 4-е. Под редакцией П. И. Кутлера. М. 1928.
 Гензель, П. П., Местные налоги. Теория местного обложения. М. 1927.
 „ Налоговое законодательство СССР. М. 1927.
 „ Налоги Союза СССР. М. 1926.
 „ Прямые налоги. Лен. 1927.
 „ Система налогов советской России. М.-Л. 1924.
 Данилов, Д. В. и Матвеев, П. Н., Налог с грузов, привозимых и вывозимых по железнодорожным и водным путям сообщения. М. 1928.
 Единый сельско-хозяйственный налог. Положение от 2 апреля 1927 года, инструкции к нему и постановления советов народных комиссаров союзных республик. М. 1927. (სასოფლო-სამეურნეო ხარკის ახალი—1928 წ. 21 აპრილის—კანონი მოთავსებულია გაზ. „Известия“ ში №-94 (3328) 1928 წ. 22 აპრილისა; 1928/29 წ. სასოფლო-სამეურნეო ხარკის დებულება, ა/კ. ც. ა. კ. და სახ. კომ. საბჭოს დადგენილებასთან ერთად, გამოცემულია აგრეთვე საქ. ფინ. სახ. კომ. მიერ. ტფ. 1928).

- Ильин, Л. и Розенберг, П.**, Техника косвенного обложения. Составили старшие инспектора госналога: А. С. Бекаревич, П. В. Князев, Н. С. Приклонский. С предисл. И. В. Попова. М. 1927.
- Крылов, А. В. и Буйницкий П. А.**, Перечень изъятий и льгот по подоходному налогу с государственных предприятий, коопер. организаций и акционерных обществ (паевых товариществ) с участием государственного и кооперативного капитала. М. 1928.
- Кедровский, Б. Н.**, Практический комментарий к новому уставу о госуд. гербовом сборе и положению о налоге с обращения ценностей. Тифлис 1928.
- Микеладзе, П. В.**, Косвенные налоги. Лен. 1927.
- Модестов А.**, Акциз с вина и пива. М. 1927.
- „ Акциз со спирта и крепких напитков. М. 1926.
- Налог на сверхприбыль.** Закон 18 мая 1927 года. М. 1927.
- Налоговое бремя в СССР и иностранных государствах.** Составили: П. П. Гензель, П. В. Микеладзе, В. Н. Строгий и К. Ф. Шмелев. М. 1928.
- Новая система гербового обложения.** С предисл. М. Фрумкина и пояснит. примечаниями Б. С. Мальцмана. М. 1928.
- Налог с наследств и дарений в СССР.** Сост. А. Тугенгольд. Предисловие проф. П. Гензеля. М. 1926.
- Налоги в иностранных государствах.** Сост. профессора А. И. Буковецкий, П. П. Гензель, И. М. Кулишер и В. Н. Твердохлебов под редакцией проф. В. Н. Твердохлебова. М. 1926.
- Новые правила взимания ренты.** Законодательство, инструкция, циркуляры и разъяснения. С пояснительными замечаниями. Составил Д. В. Данилов. М. 1928.
- Подоходный налог.** Закон и инструкция (официальное издание). М. 1928.
- Подоходный налог с госпредприятий, кооперативных организаций и акционерных обществ (паевых т-в) с участием государственного и кооперативного капитала.** 15 октября 1926 г. (Закон и инструкция). М. 1927.
- Подоходный налог с рабочих, служащих и госпенсионеров.** Полное руководство по взиманию налога. М. 1928.

- Подоходный налог.** Изъятия и льготы с госпредприятий, кооперативных организаций и смешанных обществ. Подробное руководство для налоговых органов и плательщиков. М. 1928.
- Положение о государственном промысловом налоге.** Со всеми приложениями, изменениями и дополнениями, а также инструкциями, постановлениями и разъяснениями НКФ СССР (по 7 марта 1927 г.) и с общим алфавитным указателем. Изд. 4-е. Под ред. П. Н. Кутлера. М. 1927.
- Положение о взимании налогов.** Комментированное издание, составленное М. Ф. Суперанским. М. 1926.
- Промысловый и подоходный налоги (Законы и инструкция).** М. 1927.
- Уравнительный сбор.** Руководство для налоговых работников и плательщиков. Составили Н. Тихомиров и Н. Рождественский. М. 1927.
- Фибиx, В. Е.** Акцизные контрольно-учетные приборы. 1926.
- Эберг, К. Т.** Современные налоги на Западе. Налоги на доходы, имущества и на переход имущества. Перевод с 19 немецкого издания под редакцией и с дополнениями по русскому податному законодательству проф. М. И. Боголепова. Петр. 1923.

5. სახელმწიფო კრედიტი.

- Вульф Г. В.** Государственный кредит СССР. (Итоги по апрель 1925 г. и перспективы). М. 1925.
- Государственные займы СССР.** М. 1927.
- Задачи и перспективы госкредита в СССР.** Сборник статей под редакцией проф. Д. А. Лоевского. М. 1927.
- Лоевский, Д. А.** Валютная политика СССР. М. 1926.
- Пановко, М. Я.** Справочник по займам. (Публичный кредит СССР 1922-25 г.). М. 1925.
- Проблемы государственного кредита Союза ССР.** Сборник статей проф. Юровского, Лоевского, Эпштейна, Вульфа и проф. Кузнецова. М. 1925.
- Силин. Н. Д.** Кредитная политика эмиссионного банка и устойчивая валюта. (Австро-Венгерский банк). Изд. 2-е. М. 1928.

- Сокольников, Г. Я.**, Денежная реформа. М. 1925.
- Соколов, А. А.**, Проблемы денежного обращения и валютной политики. М. 1923.
- „ Основные принципы денежно - кредитной политики. М. 1927.
- Сборник по госкредиту.** Статьи: Н. Брюханова, Л. Юровского, И. Эпштейна, М. Боголепова, З. Каценеленбаума, Г. Вульфа. Н. Шестова, Н. Капитановского. М. 1928.
- Твердохлебов, В. Н.**, Государственный кредит. Лен. 1928.
- Юровский Л. Н.**, Современные проблемы денежной политики. М. 1926.
- „ Денежная политика советской власти (1917-1927 г. г.). М. 1928.
- Яснопольский, Л.**, Восстановительный процесс в нашем денежном обращении и задачи валютной политики. М. 1927.

მიმდინარე საფინანსო კანონმდებლობისა და საფინანსო საკითხების სისტემატიური გაცნობისათვის გამოსაყენებელია უმათერესად შემდეგი გამოცემანი:

1. **Сборник законов и распоряжений Рабоче-Крестьянского Правительства СССР** (გამოდის ქართულადაც, მოსკოვში).

2. **კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის ს. ს. რ.-ის მუშათა და გლეხთა მთავრობისა, ტფილისი.**

3. **საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. ტფილისი.**

ეს გამოცემანი შეიცავენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ გამოცემულ კანონებსა და დადგენილებებს, როგორც საფინანსო, ისე სხვა დარგებში.

4. **Вестник финансов.** Орган НКФ СССР. მოსკოვი. ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც შეიცავს: წერილებს და მიმოხილვებს საფინანსო თეორიის და პრაქტიკის საკითხთა შესახებ; სისტემატიურად დალაგებულ ცნობებს საფინანსო უწყების მუშაობის შესახებ: ბიუჯეტის, ხარკების, საფასურების, ადგილობრივი ფინანსების და საკრედიტო და სავალიუტო საქმეთა სფეროში; მასალებს უცხოეთის სახელმწიფოთა ფინანსების შესახებ.

5. **Известия Наркомфина СССР.** მოსკოვი. ოფიციალური კვირეული გამოცემა. გამოდის 1927 წლის ოქტომბრიდან ნაცვლად

ჟურნ. „Вестник финансов“-ის ოფიციალური განყოფილებისა. შეიცავს: ს. ს. რ. კ.-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა ისეთ აქტებს, რომელნიც საფინანსო მეურნეობას აწესრიგებენ; საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილება-განკარგულებებს, ინსტრუქციებს, სავალდებულო ახსნა-განმარტებებს საერთო-სახელმწიფო ხარკებისა და საფასურების შესახებ, და სხვ..

6. Бюллетень финансового и хозяйственного законодательства. მოსკოვი. კვირეული გამოცემა. შეიცავს ს. ს. რ. კ.-ის ყველა კანონებს, აგრეთვე—მოკავშირე რესპუბლიკებისას, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების საუწყებო დადგენილებებს და სხვ..

7. Финансы и Народное хозяйство. Орган НКФ СССР. მოსკოვი. კვირეული ჟურნალი. შეიცავს კავშირის და უცხოეთის საფინანსო-ეკონომიური პოლიტიკის და პრაქტიკის საკითხთა განხილვას.

8. Бюллетень Наркомфина ЗСФСР. ტფილისი. შეიცავს საფინანსო მეურნეობის მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტებს და ახსნა-განმარტებებს ხარკების, საფასურების, სახელმწიფოს არასახარკო შემოსავალთა, საბიუჯეტო საქმის, ადგილობრივი ფინანსების და საფინანსო მართველობის შესახებ.

ავტორთა და საზნობრივი საძიებელი

აბრეშუმის ქსოვილების აქციზი 287 და შ.
 აბონემენტი 234
 აგენტი, გენერალური 311
 ადამსი, 16
 ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის ხარკი
 208 და შ.
 ადგილობრივი ბიუჯეტი 28, 29, 32, 40, 41
 ს. ს. რ. კ.-ში 28, 29
 ადგილობრივი საბჭოები
 არასახარკო შემოსავალი 107, 108
 გასართობების ხარკი 292
 გასასწორებლად წარდგენილი ანგარი-
 შების ხარკი 299
 ერთგზობითი ხარკი 234
 შერქანის ხარკი 233
 მოხმარების პირდაპირი ხარკები 298,
 299
 ოქროს სამრეწველო სარეწაოთა ხარ-
 კი 157
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი 294
 რკინისგზით და წყალსავალი გზით
 შემოზიდული და გაზიდული ტვირ-
 თის ხარკი 291, 292
 საბინაო ხარკი 297, 298
 საკურორტო ხარკი 298, 299
 სამემკვიდრო და ჩუქების ხარკი 230
 სარენტო ხარკი 145
 სარეწავი ხარკი 156
 სატრანსპორტო საშუალებათა ხარკი
 299
 საშემოსავლო ხარკი 185
 საშენობო ხარკი 148
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 სახარკო შემოსავალი 106
 შინაური საქონლის ხარკი 294
 ადგილობრივი ხარკები 293 და შ.
 " ხარჯები 53
 " ფინანსების დებულება 53,
 106, 108, 148, 157, 185,
 217, 230, 236, 252, 292,
 293
 ადერბაიჯანი, ფულის მიმოქცევა 317
 ადესა, საპატენტო გამოსაღები 153
 ადმინისტრატიული კონტროლი 35
 ავსტრია
 თამბაქოს მონოპოლია 269

ნავთის დაბეგვრა 280
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137
 შაქრის ექსპორტი 214
 ავსტრია, გერმანული
 ორმაგი დაბეგვრა 104
 ავსტრო-უნგრეთი, მარილის ხარკი 242
 აზნაეთი 239
 ალალს ჩანახის ხარკი 231
 ალკოჰოლის კონტინგენტი 258
 ამიერ-კავკასია
 არაყის აქციზი 261 და შ., 344
 არასახარკო შემოსავალთა განრიგება
 107
 ექვსპროცენტიანი მოგებიანი სესხის
 რეალიზაცია 332
 ექვსპროცენტიანი სახელმწიფო მოგე-
 ბიანი სინდუსტრიალიზაციო სეს-
 ხის რეალიზაცია 334
 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკი
 142 და შ., 337 და შ.
 თორმეტპროცენტიანი საგლეხო მო-
 გებიანი სესხის რეალიზაცია 333
 მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკის შე-
 მოსავალი 230
 ნავთის აქციზი 284
 ნატურალური სესხები 332
 რკინისგზით და წყალსავალი გზით
 შემოტანილი და გატანილი ტვირთის
 ხარკის გამოსავლის განაწილება 292
 სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სე-
 ხის რეალიზაცია 333
 სახელმწიფო შინაგანი ათპროცენტი-
 ანი მოგებიანი სესხის რეალიზაცია 334
 საგანგებო საპატენტო გამოსაღები მა-
 გარ სასმელთა წარმოება-ვაჭრობისა-
 თვის 155, 265
 საპატენტო გამოსაღები ლუდით ვაჭ-
 რობისათვის 251, 252
 საპატენტო გამოსაღები ყურძნის ღვი-
 ნოებისთვის 255
 სამემკვიდრო უფლება 228
 სათამაშო ქაღალდის მონოპოლია 237
 საშემოსავლო ხარკის შემოსავალი 185
 საშენობო ხარკის შემოსავალი 148
 სარეწავი ხარკის შემოსავალი 157
 სასოფლო-სამეურნეო ხარკის შემოსა-
 ვალი 144

სახარკო შემოსავალთა განრიგება 105, 106
 ფულის მიმოქცევა 317, 318
 ღვინის აქციზი 255
 ჩაის აქციზი 267
 ძირითადი რენტის შემოსავალი 145
 ხუთპროცენტიანი სავსებო მოგებიანი სესხის რაელოზაცია 332
 ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები 317
 ანაზღაურება ხარკისა 122
 ანარიცხი ჩაის ფონდისთვის 267, 268
 ანგარიშების ხარკი 299
 ანგარიშწარმოება 35, 39
 ს. ს. რ. კ.-ში 39, 40
 ანჰალტი
 სასოფლო-სამეურნეო მიწები 59
 კალიუმის მადნები 71
 აპარატის ხარკი 233
 არაპირდაპირი ხარკები 93, 231
 არაპირდაპირ ხარკთა ინსპექცია 33, 235, 263, 268, 272, 285
 არაყის აქციზი
 ამიერ-კავკასიაში 261 და შ., 344
 ბელორუსიის რესპუბლიკაში 262
 თურქმენისტანში 261, 263
 ს. ს. რ. კ.-ში 260 და შ.
 უზბეკისტანში 261, 263
 არაყის გადასახადი 257, 260
 „ მონოპოლია 257 და შ.
 გერმანიაში 258 და შ.
 რუსეთში 257, 260
 შვეიცარიაში 257
 არაყის ხარკი 256 და შ.
 არაჩვეულებრივი გასავალი 20, 26, 45
 „ შემოსავალი 20, 26
 „ ხარკები 45
 „ ხარჯები 20, 21, 304, 305
 არეალი ხარკი 147
 არიდება ხარკისა 122
 ასანთის აქციზი
 ს. ს. რ. კ.-ში 285
 ასანთის ფაბრიკები 285
 „ ხარკი 231
 ასანთ ნივთიერებათა ხარკი 281
 ასასრულებელი ბიუჯეტი 17
 ასიგნობა 34, 35, 37
 „ , მთლიანი 35
 „ „ ნაწილობრივი“ იქვე
 ასრულება ბიუჯეტისა 29 და შ.
 ს. ს. რ. კ.-ში 25, 29
 ასრულებული ბიუჯეტი 17
 აფიშის, რეკლამის, განცხადების და პლაკატის ხარკი 294
 აფხაზეთი
 ერთგზობითი ხარკი 294

საჯარო ვაჭრობის ხარკი იქვე
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 აქციზი 10, 205, 230, 231, 300
 „ , არაყის 260 და შ., 334
 „ , ასანთის 285
 „ , გენერალური 275
 „ , თამბაქოს 271 და შ.
 „ , თაფლის და სხვა სასმელების 267
 „ , ლუდის 250 და შ.
 „ , მარილის 243
 „ , ნავთობის პროდუქტთა 284
 „ , პაპიროსის ქაღალდის 274, 275
 „ , პარფიუმერიის და კოსმეტიკის 286
 „ , რეზინის კალოშის 290, 291
 „ , სანთლის 245
 „ , საფეიქრო ნაწარმოებთა 286 და შ.
 „ , საფუარის 268
 „ , ღვინის 254 და შ.
 „ , ყავის 268
 „ , შაქრის 246
 „ , ჩაის 267
 „ , ჰილზის 274, 275
 აქციზების აკრეფის წესები 235 და შემდ.
 აქციზის გადახდა 236
 „ იძულებითი გადახდევინება 236
 აღრიცხვა, სავარაუდო 17
 „ , შემოსავლისა 18, 19
 „ , ხარჯებისა 18
 აღწერა, საფინანსო 8
 აჭარისტანი
 ერთგზობითი ხარკი 294
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და განცხადების ხარკი იქვე
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 საჯარო ვაჭრობის ხარკი იქვე
 ახალქალაქი, სარენტო ხარკი 342
 ახალქალაქის მაზრა, შინაური საქონლის ხარკი 294
 ახალციხე, სარენტო ხარკი 342
 ახალციხის მაზრა, საჯარო ვაჭრობის ხარკი 234

ბადენი

გამოსადები 84
 ლუდის ხარკი 243
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137
 ღვინის ხარკი 254

ბავარია

კომუნალური კავშირები 52
 ლუდის ხარკი 249
 მარილის მადნები 71
 საადგილ-მამულო ხარკი 141
 სამხედრო ხარკი 137
 სარეწავი ხარკი 150
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137

საშენობო ხარკი 147
 სახელმწიფო ბანკები 73
 ტყეები 62
 ფოსტა 64
 ბათომი
 საპატენტო გამოსაღები 153
 სარენტო ხარკი 342
 საშემოსავლო ხარკი 181
 ღვინის აქციზი 255
 ბაიხის ჩაი 267
 ბალანსი 22
 ბალკანეთის სახელმწიფოები, საქონელო-
 საშემოსავლო ხარკი 137
 ბამბის ნართი 248
 ბანდეროლი 132, 237, 268, 269, 271,
 274, 285
 ბანკი
 ინგლისისა 321
 კოპერატიული 74, 75
 კომუნალური 74
 მოსკოვის სახალხო 75
 საგარეო ვაჭრობისა 74
 საელექტროფიკაციო იქვე
 სამისიო 31, 73, 312
 სავაჭრო-სამრეწველო 74
 სარენტო 315
 სახელმწიფო 37, 38
 გერმანიაში 72, 73
 ს. ს. რ. კ.-ში 73 და შ.
 შორეული აღმოსავლეთისა 75
 ცენტრალური 314
 ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო 74
 ბანკოტები 314, 315
 ბაჟი 231, 300 და შ.
 მთარველობითი 300, 302, 303
 სპეციფიური 301
 ფასეულობისა იქვე
 ფისკალური 266, 300, 303
 ბასტაბლი 16
 ბაქო
 საპატენტო გამოსაღები 153
 ღვინის აქციზი 255
 საშემოსავლო ხარკი 181
 ბეზალდი 9
 ბელგია
 ბრუნვის ხარკი 280
 სალაროთა მართველობა 34
 საქონელო-საშემოსავლო ხარკები 137
 სესხი 311
 შაქრის ექსპორტი 241
 ბელარუსია
 არაყის აქციზი 262
 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკი
 143
 სთამაშო ქაღალდის მონოპოლია 237
 ბერგიუსი 13
 ბენერი 11

ბილეთები, სახაზინო 312, 317
 ბირჟის გარეშე გარიგებათა რეგისტრაცია
 ციის საფასური 83
 ბიუროს სალაროები 37
 ბიუჯეტი 17 და შ.
 ადგილობრივი 28, 29, 32, 40, 41
 არსი, სახეები, 17, 18
 ასასრულებელი 17
 ასრულებული იქვე
 ბრუტო 18
 დამატებითი 20
 მთავარი 19, 26
 ნეტო 18
 სათემო 25 და შ.
 სპეციალი 20
 ს. ს. რ. კ.-ში 24, 29
 ქალაქების 26, 27
 ბიუჯეტის შედგენა 18 და შ., 24, 29
 Боголепов 16
 ბოდენი 9
 ბოკსპორნი 10
 Bons du tresor 312
 ბორნიცი 9
 ბორჯომი, სარენტო ხარკი 342
 ბოტერო 9
 ბრაუნშვეიგი
 კალიუმის მადნები 71
 საკრედიტო და შემნახველი სალაროე-
 ბი 73
 ბრიუსელის კონვენცია 241, 245
 ბროჯა 12
 ბრუნვის ხარკები 275 და შ.
 ავსტრიაში 280
 ბელგიაში იქვე
 გერმანიაში 231, 277 და შ.
 იტალიაში 280
 საფრანგეთში იქვე
 უნგრეთში იქვე
 შვეიცარიულ შტატებში იქვე
 ჩეხო-სლოვაკიაში იქვე
 ბრუტო-ბიუჯეტი 18
 ბუაგილებერი 12
 ბუკარი 16
 ბურახის აქციზი 267

ზადაკისრება, გაუთვალისწინებელი 120
 „ , გათვალისწინებული 119, 120
 „ , ხარკისა 119
 გადასახადი 45, 78 და შ.
 „ , არაყისა 260
 „ , გარდაკვეთილი 234
 „ , გენერალური 78
 „ , მერქანისა 293
 „ , პურისა 200
 „ , საგანგებო 78

გადასახადი , საზოგადო იქვე
 „ , სამრეწველო ბაღების და
 ბოსტნების 146
 „ , სანაცვლო 208
 „ , სარეპარაციო 103, 311
 „ , საჭიშკრო 126, 234
 „ , სპეციალი 78
 გათვალისწინებული გადაკისრება 119, 120
 გაკოტრება სახელმწიფოსი 329 და შ.
 გამაგრებული ვალი 318 და შ.
 „ სესხი იქვე
 გამოსავლიანობის კადასტრი 139
 გამოსაღები 78, 81, 84 და შ.
 „ ბადენში 84
 „ ვიურტემბერგში 84
 „ თავდაცვისა 193 და შ., 305
 „ მატრიკულარული 83, 86
 „ პრუსიაში 84
 „ სააბონემენტო 233
 „ საგანგებო საპატენტო 155,
 236, 241, 252, 254, 263 და შ.
 „ სათანაბრო 155, 156
 „ სალიცენზია 234
 „ სახელმწიფოს ფინანსებში 83
 „ ქალაქთა ფინანსებში 84
 „ ჰესენში იქვე
 გამოსახდელი კონტინგენტი 254
 „ ქვების ხარკი 256
 განათლების სახალხო კომისარიატი 236
 განაკვეთი ხარკისა 92
 განაწილებული ხარკები 85
 განსაჩივრების წესი 131
 განცხადების, პლაკატის, აფიშის და რე-
 კლამის ხარკი 294
 განჯა, საპატენტო გამოსაღები 153
 „ , ღვინის აქციზი 255
 განზრახვით გარდამეტი 22
 გაპარვა კაპიტალისა 134, 135
 „ , ხარკისა იქვე
 გარდამეტი 22, 26
 გარდამეტიანი ბიუჯეტი 26
 „ მართველობა 21
 გარდამეტი, განზრახვი 22
 გარდაკვეთილი გადასახადი 234
 გარეგანი სახარკო ზ. დამხედველობა 32, 33
 გასავალი 2, 5, 24, 28, 42 და შ.
 „ , არაჩვეულებრივი 20, 26, 45
 „ , არსი, მინიშნელობა 42, 43
 „ , ერთგზისი 45
 „ , მატერიალური 46, 47
 „ , პირადი 46
 „ , ჩვეულებრივი 26, 45
 გასანათებელ საშუალებათა ხარკი 281
 გასანაწილებელი ხარკები 95
 გასართობების ხარკი 242

წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის სა-
 ზოგადოების სისარგებლოდ იქვე
 ადგილობრივი საბჭოებისა იქვე
 გასართობ დაწესებულებათა ხარკი 282
 გაუთვალისწინებელი გადაკისრება 120
 გაუმაგრებელი სესხი 311, 331
 გაყალბება სახარკო ნიშნებისა 133
 გაწერილი ხარკები 94
 „გაჭირვების შესაწირი“ 90
 გეგმა, საფინანსო 17
 გენერალური აგენტი 311
 გენერალური სახელმწიფო სალაროები 33
 გერლოფი 15
 გერმანია
 არაყის ხარკი 258 და შ.
 „ მონოპოლია 257
 „ მონოპოლიის მართველობა 258
 ასანთ ნივთიერებათა ხარკი 231
 ბაჟები 300
 ბრუნვის ხარკი 231, 277 და შ.
 გამოსაღები 84 და შ.
 განსაჩივრების წესი 131
 გასავალი 49
 გასანათებელ საშუალებათა ხარკი 281
 გასართობ დაწესებულებათა ხარკი 282
 გაუმაგრებელი ვალი 313
 გენერალური რევიზია 237
 დავის წესი 131
 დასაშრეტი სესხი 320
 დომენები 57
 ეტლების ხარკი 297
 ვალის დაითარი 324
 „ დაშრეტა 329 და შ.
 ვალიუტის აღდგენა 315
 თამბაქოს ფაბრიკატის ხარკი 269
 „ ხარკი 270, 271
 იძულებითი სესხი 311
 კაპიტალის მიმოქცევის ხარკი 214 და შ.
 კაპიტალის ხარკი 159, 160
 ლატარია 76
 ლუდის ხარკი 249, 250.
 მადნები 67, 71
 მართველობის გასავალი 49
 მარილის ხარკი 242, 243
 მატრიკულარული გამოსაღები 85, 86
 მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკი 225
 და შ.
 მიზნობრივი ხარკები 90
 მინერალური წყლების და ხელოვნუ-
 რი ნახშირბაქვის სასმელების დაბეგვ-
 რა 266
 მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარკი 210, 211
 მოტორიანი ნაგებობის ხარკი 297
 მფლობელობის ხარკი 198, 199

- ომის ხარკი 204, 205
 ორმაგი დაბეგვრა 104
 პურის გადასახადი 200
 რკინისგზები 66
 საავტომობილო ხარკი 296, 297
 საბაჟო ტარიფი 301
 საბინაო ხარკი 295
 საბირჟო ბრუნვის ხარკი 216
 საზოგადოებათა ხარკი 214
 სათამაშო ქაღალდის ხარკი 282
 საკორპორაციო ხარკი 175, 176
 სალაროთა მართველობა 34, 36
 სარეინ-რურო გადასახადი 201
 სარენტო ბანკი 315
 " სესხი 321
 ღარეპარაციო გადასახადი 311
 სასმელების სათემო ხარკები 266, 267
 სატრანსპორტო ხარკი 282, 297
 საფასურები 80, 81
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137, 138
 საქონებო ხარკი 190 და შ.
 საშემოსავლო ხარკი 168 და შ., 337, 338
 საწარმოს ხარკი 200
 საჩივრის წესი 130
 სახარისის მონაპოლია 246
 სახარკო დანაშაული 134
 " კომპეტენციების განრიგება 99 და შ.
 სახარკო სისტემა 124, 125
 ტყეები 62
 ფასეულობის ზრდის ხარკი 211, 212
 ფასიანი ქაღალდების ხარკი 215
 ფოსტა 64
 ფუძიანი შემოსავლის დაბეგვრა 138
 ქალაქების სარეწაოები 76, 77
 ქონების ზრდის ხარკი 200
 დენის ხარკი 254
 შაქრის ნედლი მასალის ხარკი 233
 " ხარკი 245
 შეფასების ხარკი 201
 ცხენების ხარკი 297
 ძაღლების ხარკი 296
 ძმრის მუჟავას ხარკი 231
 ხარკის ობიექტის შეფასება 129.
 ხარკის გადახდა 132
 ვერმანული ავსტრია, ორმაგი დაბეგვრა 104
 ვეტტი 9
 გიფუფენი 16
 გიჩარდინი 9
 გორი, სარენტო ხარკი 342
 გორის მახრა
 ერთგზობითი ხარკი 294
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი 237
 გრადუსი 262
 Grand-livre de la dette publique 324
 გრაციანი 16
 Great-Ledger 324
 გრძელვადიანი ვალი 318 და შ.
 " სესხი 311, 331
 დაბეგვრა, პროგრესიული 114
 " , პროპორციული იქვე
 " , ორმაგი 97, 104
 დაბეგვრის თანაბარზომიერება 113
 " საყოველთაოა 111 და შ.
 დაგირავებითი სესხი 310
 დავალიანება, მსოფლიო 311
 დავთარი, ვალისა 324
 დავთარწარმოების ვალდებულება 135
 დავის წესი 131
 დაზღვევის თეორია 12, 88, 89
 " ხარკი 218 და შ.
 დამალვა ხარკისა 133
 დამატებითი ბიუჯეტი 19, 20
 " რენტა 144
 დამზმარე სალაროები 37
 დანაკლულება ხარკისა 133
 „დანამვა კრედიტისა“ 325
 დანიხრული ხარკები 94
 დანიციგი, ორმაგი დაბეგვრა 104
 დასაშრეტი სესხი 319
 გერმანია 320
 დაუფის სესხი 103
 დაუბეგვრავი მინიმუმი 118, 119, 181
 „დაუფარავი მატრიკულარული გამოსა-
 ლები“ 86
 დაფარვა ხარკის მოპარვისა 133
 დაფქვა-დაკვლის ხარკი
 პრუსია 241
 დაშრეტა ვალისა 326 და შ.
 დაშრეტა, თავისუფალი 327
 " სესხებისა, გერმანია 329
 დებულება ადგილობრივი ფინანსებისა 53,
 106, 108, 148, 157, 185, 217, 230, 236,
 252, 292, 293
 დეველგაცია 314, 317
 დეკლარაცია 127, 181
 დელაჟურტები 10
 დესტინატარი ხარკისა 92
 დეფიციტი 22, 26, 304, 305
 " არაჩვეულებრივ ხარჯებში 304
 " სასალარო 304, 305
 დეფიციტიანი ბიუჯეტი 26
 " მართველობა 21
 დიდი ბრიტანეთი
 საფასურები 80
 სახარკო სისტემა 125

დივიდენდი 69
დიფერენციალური საბაჟო ტარიფი 302,
303

Domanium 57

Domaine იქვე

Domaine privé იქვე

Domaine public იქვე

დომენები 18, 57 და შ.

იტალიაში 57

საფრანგეთში იქვე

დონის როსტოვი, საპატენტო გამოსაღები
153

დუშეთი, სარენტო ხარკი 342

დუშეთის მახრა

ერთგზობითი ხარკი 264

შინაური საქონლის ხარკი იქვე

ეებერგი, 15, 16

ეინაუდი 16

ელზას-ლოტარინგია

ლუდის ხარკი 249

დვინის ხარკი 254

ელი 16

ემისია, საალპარო 323

„ „ სესხისა 322 და შ.

ერევანი

საპატენტო გამოსაღები 153

საშემსაფლო ხარკი 181

დვინის აქციზი 255

ერთადერთი ხარკი 122 და შ.

ერთგზისი ხარჯები 45

ერთგზობითი ხარკი 294

ერთიანი სასოფლო სამეურნეო ხარკი 141
და შ., 337 და შ.

ამიერ-კავკასიაში 142 და შ., 337 და შ.

ანარიცხი ადგილობრივი ბიუჯეტის-
თვის 144

ბელორუსიაში 143

რ. ს. ფ. ს. რ.-ში იქვე

საქართველოში 341, 342

ს. ს. რ. კ.-ში 141 და შ., 337 და შ.

ესპანეთი, საქონებო-საშემოსავლო ხარკი
137

ეტლების ხარკი 297

ექვივალენტი, სახარკო 208

ექვივალენტური თეორია 11, 88

ექსპროცენტოანი მოგებიანი სესხი 332

ამიერ-კავკასია იქვე

საქართველო იქვე

ექსპროცენტოანი სახელმწიფო მოგებიანი
საინდუსტრიალიზაციო სესხი 333, 334

ამიერ-კავკასიაში 334

საქართველოში იქვე

Exchequer bills 312

Extraordinarium 20

Зебр 15

ვაგნერი 15, 109

ვადიანი იჯარა 58

პრუსიაში იქვე

ვადიანი რენტა 320

ვალდებულება დავთარწარმოებისა 135

ვალდებულებები, სახაზინო 312

ვალი, მიმდინარე 334, 335

„ „ გამაგრებული 318 და შ.

„ „ გაუმაგრებელი 311 და შ.

„ „ გრძელვადიანი 311, 318 და შ.

„ „ მოკლევადიანი 311 და შ.

„ „ სავარეო 309

„ „ სარენტო 320

„ „ სახეები 307 და შ.

„ „ შინაგანი 309

ვალები, რუსეთში 331

„ „ თემებისა 330

ვალების მართველობა 322 და შ.

ვალის დავთარი 324

გერმანიაში იქვე

ინგლისში იქვე

საფრანგეთში იქვე

ვალის დაშრეტა 326 და შ.

გერმანიაში 329

ვალუტა სესხისა 324, 325

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი 235,
238, 239, 261

ვაჭრობის ხარკი 234

Wehrbeitrag 193, 194, 195

ვერსალის ხელშეკრულება 102, 103, 311

ვიგონის ნართი 288

ვიზის და საცხოვრებელი ნებართვის სა-
ფასური 83

Bitte 16

ვიურტემბერგი

გამოსაღები 84

ლუდის ხარკი 254

სამხედრო ხარკი 197

საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137

ტყეები 62

ფოსტა 64

დვინის ხარკი 254

ვობანი 12

ვოლგა-კამის არხში გატარებული ტვირ-
თის ხარკი 292

ვორსი 16

ზედამხედველობის უფლება 27

ზედმეტი მოგების ხარკი 185 და შ.

ტიფლისში 186

ქუთაისის მაზრაში იქვე
 ზესტაფონი, სარენტო ხაოკი 342
 ზოგადი ნაცვალგება 4
 ზონენფელსი 12
 ზუგდიდი, სარენტო ხარკი 342
 ზუგდიდის მაზრა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 ზურმუხტის მონოპოლია 238

თავდაცვის გამოსაღები 193 და შ., 305
 თავისუფალი დაშრეტა 327
 თამასუქები, საზახისო 312
 თამბაქოს აქციზი 271 და შ., 344
 „ მონოპოლია 269, 270
 ავსტრიაში 269
 იტალიაში იქვე
 საფრანგეთში იქვე
 „ პლანტაციები 272
 „ ფაბრიკა იქვე
 „ ხარისხები 272
 „ ხარკი 268 და შ.

თანაბარზომიერება დაბეგვრისა 113
 თაფლის სასმელის აქციზი 267
 თევზის ჭერის უფლების საფასური 84
 თელავი, სარენტო ხარკი 342
 თემები 17, 36, 43, 62, 81, 98 და შ.
 თემების ბიუჯეტი 32
 „ ვალი 330
 „ კავშირები 17, 52, 98
 „ კონტროლი 36
 „ სავალდებულო ამოცანები 51
 „ სალაროთა წყობილება 36, 37
 „ სახარკო სუვერენობა 98, 99
 „ ტყეები 62
 „ ფაკულტატიური ამოცანები 51
 „ ფინანსები 43
 „ ხარჯები იქვე

თეორია დაზღვევისა 88
 „ ექვივალენტური იქვე
 „ ინტერესთა იქვე
 „ სარგებლიანობისა იქვე

თორმეტპროცენტოანი საგლეხო მოგებიანი
 სესხი 333
 ამიერ-კავკასიაში იქვე
 საქართველოში იქვე
 თორმეტპროცენტოანი შინაგანი სესხი
 334

თურქმენისტანი
 არაყის აქციზი 261, 263
 სათამაშო ქაღალდის მონოპოლია 237
 სპირტის აქციზი 261, 263

იაკობი 13
 იარაღების ხარკი 243
 იარღი 287

Impôt cédulaires 126
 „ unique 13, 124
 ინგლისი
 ბანკი 324
 ბიუჯეტი 21
 გაუმბარებელი ვალი 313
 ვალის დავთარი 324
 თავდებობა კრედიტისათვის 307
 თვითმართველობათა ხარკები 90
 მემკვიდრეობის ხარკი 225, 226
 მიზნობრივი ხარკები 40
 მუნციპალიტური სოციალბრში 76
 ომის ხარჯები 305
 რკინისგზები 66
 სალაროთა მართველობა 44
 საშემოსავლო ხარკი 110
 სესხი 311
 ციკორის დაბეგვრა 280
 ინგლისური სისტემის ნომერაცია ნარ-
 თისა 287
 ინსპექცია. არაპირდაპირ ხარკთა 33, 225,
 263, 268, 272, 285
 ინსპექცია, პირდაპირ ხარკთა 33, 181
 ინსტიტუტი რადიუმისა 238
 ინტერესთა თეორია 88
 ინფლიაცია 341
 ისტორია, საფინანსო 8
 იტალია
 დომენები 57
 თამბაქოს მონოპოლია 269
 მარილის ხარკი 242
 ნავთის დაბეგვრა 280
 იტალია
 პარფიუმერიის და ფარმაცევტიკული
 სპეციალი საგნების დაბეგვრა 280
 რკინისგზები 96
 სამხედრო ხარკი 197
 სესხები 311
 შაქრის ექსპორტი 244
 ციკორის დაბეგვრა 280
 იუმი 13
 იუსტი 11, 108
 იძულება, სახარჯთაღრიცხვო 27
 იძულებითი გადახდები 236
 „ „ ხარკისა 132
 „ „ სესხი 310
 „ „ შეძენა 4
 Янхуял 16

კადასტრი გამოსავლიანობისა 139
 „ სამამულო იქვე
 „ სანაკვეთო იქვე
 „ სახარკო 92
 „ ფასეულობითი 139
 კადასტრიანი ხარკები 94

კაკაოს დაბეგვრა 266
 კალოშის აქციზი 240, 241
 კამეოლური მატყლის ნართი 288, 289
 კამერალისტები 10
 კამერალური წესი ანგარიშწარმოებისა 35
 Camera principis 10
 კამერული სალარო 10
 კანაფის ნართი 288
 კანონი, სამეურნეო 23
 „ საფინანსო იქვე
 კაპიტალის გაპარვა 134, 135
 კაპიტალის მიმოქცევის ხარკი 212 და შ.
 გერმანიაში 214 და შ.
 კაპიტალის მოგების ხარკი, გერმანია 175
 „ რენტის ხარკი 157 და შ.
 „ სარგებლის ხარკი იქვე
 გერმანიაში 159, 160
 კარაფა 9
 კარდმანქანებით წარმოებული მატყლის
 ნართი 289
 კენე 13, 124
 კერძო დომენი 57
 „ რევიზია 237
 კიევი, საპატენტო გამოსაღები 153
 კლინინგებტერი 15
 კლოკი 9
 კოლექტიური მეურნეობა 143, 341
 კოლსონი 16
 კომერციული ანგარიშწარმოება 35
 კომუნალური ბანკი 74
 „ კავშირები 52
 „ სარეწაოები 76, 77
 კონვენცია ბრიუსელისა 244, 245
 კონვენსია 325
 კონრად-კეპპე 15
 კონრინგი 11
 კონსოლიდაცია იქვე
 კონსოლიდაციაქმნილი სესხი 311, 318
 კონტინგენტი ალკოჰოლისა 258
 „ გამოსახდელი 259
 კონტინგენტდებული ხარკები 95
 კონტროლი, ადმინისტრაციული 35
 „ , თემებისა 36, 37
 „ , პარლამენტარული 36
 „ , პოლიტიკური იქვე
 „ , საანგარიშო იქვე
 „ , ს. ს. რ. კ.-ში 41, 41
 კონფერენცია ლონდონისა 104, 315
 კოოპერატიული ბანკები 74
 „ სატრანზიტო ბანკი 75
 კოსსა 16
 კრედიტი, საკონტოკორენტო 312
 „ საჯარო 304
 კრედიტის დანამვა 325
 „ მეორეხარისხოვანი განმკარ-
 გულბელნი 38, 39

კრედიტის შესამეზარისხოვანი განმკარგუ-
 ლბელნი იქვე
 კრედიტის მორწყვა 325
 კრედიტის პირველხარისხოვანი განმკარ-
 გულბელნი 38, 39
 კრუგი 13
 Кулишер 16
 კურსი ობლიგაციისა 323

ლატარია 67, 76
 გერმანიაში 76
 ლატარიის ხარკი 219, 221
 ლენინკანი
 საპატენტო გამოსაღები 153
 საშემოსავლო ხარკი 181
 ლგინის აქციზი 255
 ლენინგრადი
 საპატენტო გამოსაღები 153
 სარენტო ხარკი 342
 ლერუა-ბოლიე 16
 ლიცენზია 234, 253, 257
 ლოკი 10
 ლომბარდები, საქალაქო 75
 ლონდონის კონფერენცია 73, 103
 „ შეთანხმება 311
 ლოტო 76
 ლოთ 12
 ლოტი 13, 15
 ლუდის აქციზი 250 და შ.
 რ. ს. ფ. ს. რ.-ში 250
 რუსეთში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში 250 და შ.
 ლუდის ქარხნები 250
 „ ხარკი 231, 247 და შ.
 ბადენში 240
 ბაფარიაში იქვე
 გერმანიაში 249, 250
 ელზას-ლოტარინგიაში 249
 ვიურტემბერგში 249

მადნები 67, 70 და შ.
 გერმანიაში 71
 ს. ს. რ. კ.-ში 71, 72
 მაზრა ახალციხისა
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა გორისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი იქვე
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა დუშეთისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე

მაზრა ზუგდიდისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა ოზურგეთისა
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 მაზრა რაჭისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა სენაკისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 საჯარო ვაჭრობის ხარკი იქვე
 მაზრა ტფილისისა
 მოხმარების პირდაპირი ხარკები 298, 299
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი 294
 საკურორტო ხარკი 298, 299
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა ქუთაისისა
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი 294
 საჯარო ვაჭრობის ხარკი იქვე
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მაზრა შორაპნისა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 მალხუსი 13
 მართვა-გამგეობის ხარჯები 47
 მართველობა, გარდამეტციანი 21
 „ „ დეფიციტიანი იქვე
 „ „ ვალდებისა 322 და შ.
 „ „ საგარეო საქმეთა 48
 „ „ სამართლის წარმოებისა 49
 „ „ ფინანსთა 49 და შ., 49
 „ „ შინაგანი 49
 „ „ ტყეებისა 61
 „ „ ჯარისა და ფლოტისა 48, 49
 მართველობის საფასური 81
 „ „ ხარჯები 48 და შ.
 მარილის აქციზი 243
 „ „ ხარკი 242, 243
 ავსტრო-უნგრეთში 242
 გერმანიაში იქვე
 იტალიაში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში 243
 მარკები, საღერბო 83
 „ „ სახარკო 132
 მარტივი ანგარიშწარმოება 35
 „ „ საღერბო საფასური 83
 მასალის ხარკი 258
 მატერიალური გასავალი 46, 47
 მატრიკულარული გამოსაღები 86, 99
 მატყლის კამეოლური ნართი 288, 289
 მატყლის ნართი, კარდმანქანებით წარ-

მოებული 289
 მატყლის ნართი, ძროხისა იქვე
 მეიზელი 15
 მეკლენბურგი
 მიწები 59
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137
 მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკი 222 და შ.
 ადგილობრივი საცხოვრებელი 230
 გერმანიაში 225 და შ.
 ინგლისში 225, 226
 საფრანგეთში 225
 ს. ს. რ. კ.-ში 228 და შ.
 МЕНЬКОВ 16
 მეორე რეპროცენტციანი შინაგანი სესხი 334
 მეორეხარისხოვანი განმკარგულებელი
 კრედიტისა 38, 39
 მერკანტილიზმი 11, 67
 მერქანის გადასახადი 213
 „ „ ხარკი იქვე
 მესამე რეპროცენტციანი შინაგანი სესხი 334
 „ „ სახელმწიფო საგლეხო მოგები-
 ნი სესხი 333
 მესამეხარისხოვანი განმკარგულებელი
 კრედიტისა 38, 39
 მეტრიული სისტემის ნომერაცია ნართისა
 287
 მეურნეობა, კოლექტიური 143, 341
 „ „ საფინანსო 1 და შ.
 მეცნიერება, საფინანსო 6 და შ.
 მზიდველი ხარკისა 92, 120
 მთავარი ბიუჯეტი 19, 26
 „ „ სამიწერიო საღარო 34
 მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი სეს-
 ხები 335
 მთლიანი ასიგნობა 35
 „ „ სასოფლო-სამეურნეო გადასახა-
 დი 141 და შ., 337 და შ.
 მიზნობრივი ხარკები 90
 მილანის Gensimeto 139
 მიმდინარე ვალი, ს. ს. რ. კ.-ში 334, 335
 მინიმუმი, საარგბო 112, 165
 მინერალური წყლების და ხელოვნური
 ნახშირბადა სასმელების დაბეგვრა 266
 მინისტრი, ფინანსთა 23, 30
 მიუღლოერი 27
 მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი
 294
 მიწათმფლობელობის რეფორმისტები 124
 მიწები 57 და შ.
 „ „ გერმანიაში 59
 „ „ ს. ს. რ. კ.-ში 59 და შ.
 მიწის წილი 71, 72
 მოგებიანი სესხები 332 და შ.
 მოკლევადიანი ვალი 311 და შ.
 „ „ სახელმწიფო ხუთპროცენ-
 ტიანი მოგებიანი სესხი 333

მოკლევადიანი სესხი 311 და შ.
მოხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი 239

მონოპოლია 26, 237 და შ., 257
 „ არაყისა 259, 261
 „ ზურმუხტისა 238
 „ ნედლეულისა 232
 „ ოპიუმისა 238, 344
 „ პლატინისა 238
 „ რადიუმისა იქვე
 „ საგარეო ვაჭრობისა 239
 „ სავაჭრო 232
 „ სათამაშო ქალაქისა 237, 343, 344
 „ საფინანსო 231
 „ სახარინისა 246
 „ სახარკო 231
 „ სრული 232
 „ ფისკალური 237 და შ.
 „ წარმოებისა 232
 „ ჰელიუმისა 238

მონომეტალიზმის სისტემა 315

მონტესკიე 12

„მორწყვა“ კრედიტისა 325

მოსკოვი

საპატენტო გაკოსადები 153

სარენტო ხარკი 341

საშემოსავლო ხარკი 181

მოსკოვის სახალხო ბანკი 75

მოტორიანი ნაგებობის ხარკი 297

მოტოციკლების ხარკი 296

მოდრავი ვაჭრობის ხარკი 149

მოხმარების არაპირდაპირი ხარკები 294 და შ.

„ ხარკები 230 და შ.

„ ხარკები, მნიშვნელობა და შეფასება 239 და ბ.

„ პირდაპირი ხარკები 294 და შ.

საქართველოში 298, 299

ს. ს. რ. კ.-ში 297 და შ.

მსოფლიო დავალიანება 311

მტიციე ვადებიანი სესხი 319

„ საფასურები 82

მფარველობითი ბაჟები 300, 302, 303

მფლობელობის ხარკი 198, 199

მცენარის ხარკი 268

მწვანე ჩაის დაბეგვრა. 267

ნადირობის საფასური 84

ნავთის დაბეგვრა

აესტრიაში 280

იტალიაში იქვე

ს. ს. რ. კ.-ში 280, 284

ნავთობის პროდუქტთა აქციზი 284

„ სინდიკატი იქვე

ნავთსადგურით სარგებლობის საფასური 84

ნართი ბამბისა 288

„ ვიგონისა იქვე

„ კანაფისა იქვე

„ მატყლისა, კარდმანქანებით წარმოებული 284

„ მატყლისა, კამელოური 288, 289

„ სელისა 288

„ ძროხის მატყლისა 289

„ ჯუტისა 288

ნართის ნომერაცია 287

ინგლისური სისტემისა იქვე

მეტრიული სისტემისა იქვე

რუსული სისტემისა იქვე

ნატურალური სესხები 332

„ამიერ-კავკასიაში იქვე

ნაწარმოების წარმოშობის დამამოწმებელ საბუთების საფასური 83

ნაწარმოების ხარკი 276

„ნაწილობრივი“ ასიგნობები 35

ნახევარფაბრიკატის ხარკი 233, 243, 248

ნებაყოფლობითი სესხი 310

ნეგოციაცია 322

ნედლეულის მონოპოლია 232

ნედლი მასალის ხარკი 233, 243, 248, 249, 256, 270 და შ.

ნეტო-ბიუჯეტი 18

ნიტტი 16

ნომერაცია ნართისა 287

ინგლისური სისტემისა იქვე

მეტრიული სისტემისა იქვე

რუსული სისტემისა იქვე

ნორმა სარგებლისა 323

„ ხარკისა 92

ნოხების ფაბრიკები 67

ნუსხა, სატარიფო 93

ობიექტი ხარკისა 91

ობიექტიური ხარკი 94

ობლიგაციები სახელობითი 324

ობლიგაციის კურსი 323

ობრეხტი 9

Озеро 16

ოზოკერიტი 285

ოზურგეთი, სარენტო ხარკი 342

ოზურგეთის მაზრა, საჯარო ვაჭრობის ხარკი 294

Octrois 126. 234, 253

ოლდენბურგი

„შემხსველი სალონები 73

ომის ხარკები 203 და შ.

გერმანიაში 203, 204

იტალიაში 203

ონი, სარენტო ხარკი 342

ოპიუმის მონოპოლია 238, 344
 ორგანიზული მსოფლმხედველობა 89
 Ordinarium 20
 ორთქლის ქვაბები და უშიშროების ტენ-
 ნიკური ზედამხედველობის საფასური 83
 ორმაგი ანგარიშწარმოება 35, 39
 „ დაბეგვრა 97, 104
 გერმანიაში 104
 გერმანულ ავსტრიაში იქვე
 დანციაში იქვე
 ჩეხო-სლოვაკიაში იქვე
 ორმაგი ცენტრები 242, 243
 ოქროს მონომეტალიზმის სისტემა 315
 „ სამრეწველო სარეწოთა ხარკი 157
 ოჯახური პირობები 116 და შ., 181
 „ დაბეგვრა 166, 172

შაპიროსის ქალაღდის აქციზი 274, 275
 პალმიერი 9
 პარლამენტარული კონტროლი 36
 პარფიუმერიის და კოსმეტიკის ნაწარმოებ-
 თა აქციზი 286
 პარფიუმერიის და ფარმაცევტიული სპე-
 ციალი საგნების დაბეგვრა
 იტალიაში 280
 საფრანგეთში იქვე
 პერიოდი, სამეურნეო 18
 „ , საფინანსო იქვე
 პერიოდული რევიზია 237
 პეტტი 10
 პირადი გასავალი 46
 „ ხარკი 94, 95
 „ საფრანგეთში 162
 პირდაპირი მოხმარების ხარკები 299 და შ.
 „ ხარკი ფუფუნებისა 295
 „ ხარკები 93
 პირდაპირ ხაოკთა ინსპექცია 33, 181
 პირველი რეპროცენტიაი შინაგანი სეს-
 ნი 334
 პირველხარისხოვანი განმკარგულებღდნი
 კრედიტისა 38, 39
 პლაკატის, აფაშის, რეკლამის და განც-
 ხადების ხარკი 294
 პლანტაციები თამბაქოსი 272
 პლატინის მონოპოლია 238
 პორტერი 250, 251
 პოლიტიკა, საფინანსო 6, 7
 პოლიტიკური კონტროლი 36
 Poor rate 125
 პრაისი 326
 პრემია, საქსპორტო 244
 პრინციპები სახარკო საქმეში 108 და შ.
 Produit net 13
 პროგრესიული დაბეგვრა 114, 115

პროპორციული დაბეგვრა 114
 „ საღერბო საფასური 83
 პროტექციონიზმის პრინციპი 302
 პროსია
 გამოსადები 84
 გენერალური აქციზი 275
 დაფქვა-დაკვლის ხარკი 241
 ვადიანი იჯარა 58
 კომუნალური კავშირები 52
 ლატარია 76
 მიწები 58, 59
 პროგრესიული დაბეგვრა 115
 რკინისგზები 66
 საადგილ-მამულო ხარკი 140
 საარსებო შინიშუმი 113
 საბინაო ფუფუნების ხარკი 295
 საკლესო ხარკი 162
 სარეწავი ხარკი 150
 საფასურები 81
 საფინანსო მართველობა 30
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137, 138
 საქონებო ხარკი 190
 საშემოსავლო ხარკი 163
 საშენობო ხარკი 147
 ტყეები 62
 შურის გადასახადი 200
 „ სესხი 332
 შუფენდორფი 11

შუზი 16

რადიო-ნაწარმოების ხარკი 292, 293
 რადიუმის ინსტიტუტი 238
 „ მონოპოლია იქვე
 რაუ 14
 რაჭის მახრა
 ერთგობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 რეალი ხარკი 94, 95
 რეგალები 9, 63
 რეგულიარულ-სარგებლიანი სესხი 319
 რედუქცია სარგებლისა 325
 რევიზია
 გენერალური 237
 კერძო იქვე
 პერიოდული იქვე
 საერთო იქვე
 რეზინის კალოშის აქციზი 290
 Reichsnotopfer 193 და შ.
 რეკლამის, განცხადების, პლაკატის და
 აფიშის ხარკი 294
 რენტა, დამატებითი 144
 „ , ვადიანი 320
 „ , სამარადისო იქვე

რენტა , სასიცოცხლო იქვე
 ,, ძირითადი 144
 რეპუდიაცია #28
 რიკვა-სალერნო 16
 რკინისგზები 65 და შ.
 გერმანიაში 66
 ინგლისში იქვე
 იტალიაში იქვე
 პრუსიაში იქვე
 საფრანგეთში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში იქვე
 შვეიცარიაში იქვე
 რკინისგზით და წყალსავალი გზით შემო-
 ტანილი და გატანილი ტვირთის ხარკი
 291, 292
 რ. ს. ფ. ს. რ.
 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკი
 143
 ლუდის აქციები 250
 მარილის აქციები 243
 სალაროთა წყობილება 39
 სამემკვიდრო უფლება 228
 სარეწავი ხარკი 151
 სახელმწიფო ბანკი 73
 ღვინის აქციები 254
 რუსეთი
 არაყის მონოპოლია 257, 260
 ვალები 331
 თამბაქოს დაბეგვრა 271
 ლუდის აქციები 250
 ოქროს მონომეტალიზმის სისტემა 315
 სათამაშო ქალაქის მონოპოლია 257,
 343
 სალაროთა წყობილება 39
 სამედიკო ხარკი 197
 საფეიქრო ნაწარმოებთა აქციები 286
 რუსული სისტემის ნომერაცია ნართისა 287
 საბონემენტო გამოსაღები 233
 საადგილ-მამულო კადასტრი 139
 ხარკი 138 და შ.
 ბავარიაში 141
 პრუსიაში 140
 ს. ს. რ. კ.-ში 141 და შ.
 საადმინისტრაციო ხარჯები 47, 48 და შ.
 „საავანსო“ ხარკები 93
 საავტომობილო ხარკი 296, 297
 საალპარო ემისია 323
 საანგარიშო კონტროლი 36
 საარის ოლქი 104
 საარსებო მინიმუმი 112, 165
 გერმანიაში 113
 ს. ს. რ. კ.-ში 118, 119
 საბაზისო საწყობები 235

საბაჟო კავშირი 242
 ,, ტარიფი 301
 გერმანიაში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში 302, 303
 საბაჟო ტარიფი, დიფერენციალური 302,
 303
 საბინაო ფუფუნების ხარკი 295
 ,, ხარკი 295, 297, 298
 ს. ს. რ. კ.-ში 297, 298
 საბირჟო ბრუნვის ხარკი 216
 ,, გარიგებათა ხარკი 217
 საგანგებო ასიგნობა 37
 ,, საპატენტო გამოსაღები 236
 ,, საპატენტო გამოსაღები მაგარ
 სასმელთა წარმოება-ვაჭრობისათვის 263
 საგარეო საქმეთა მართველობა 48
 ,, სესხი 309
 ,, ვაჭრობის ბანკი 74
 ,, ვაჭრობის მონოპოლია 239
 სადასაშრეტო ფონდი 326
 სადღოლო სანაძღვეოს ხარკი 219
 გერმანიაში 220, 221
 საელექტროფიკაციო ბანკი 74
 სამისიო ბანკი 73, 312
 ,, ხარკი 221
 საერთო ასიგნობა 37
 ,, რევიზია 237
 ,, საშემოსავლო ხარკი 163 და შ.
 „საერთო-სამოქალაქო ხარკი“ 177
 საერთო ფასეულობა 128
 საექსპორტო პრემია 244
 სავალდებულო ხარჯები 27
 სავარაუდო აღრიცხვა 17
 სავაჭრო მონოპოლია 232
 ,, ნიშნების რეგისტრაციის საფა-
 სური 83
 ,, სააქციო საზოგადოება 69, 70
 ,, სამრეწველო ბანკი 74
 ,, სარეწავი 67 და შ.
 ,, ხარკი 253
 საზოგადოებათა ხარკი 214
 საზომი საფუძველი ხარკისა 91
 საზომ-საწონის შემოწმების საფასური 84,
 სათადარიგო ფონდი 305
 სათამაშო ხარკი 217, 218
 გერმანიაში 219
 სათამაშო ქალაქის მონოპოლია 237
 343, 344
 ამიერ-კავკასიაში იქვე
 ბელორუსიაში იქვე
 თურქმენისტანში იქვე
 რუსეთში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში იქვე
 უზბეკისტანში იქვე
 უკრაინაში იქვე

სათამაშო ქალაქის ხარკი 282
 სათანაბრო გამოსაღები 155, 156
 სათემო ბიუჯეტი 25 და შ.
 „ ხარჯები 51 და შ.
 საიმპერიო არაყის მონოპოლიის მართვე-
 ლობა 258
 „ ბანკი 34, 73
 „ ბიუჯეტი 21, 22
 „ საკორპორაციო ხარკი 175, 176
 „ საშემოსავლო ხარკი 168 და შ.
 „ შესაწირი 193 და შ.
 საკომისიო სესხი 322
 საკლასო ხარკი 162
 საკონსულთნო საფასური 83
 საკონსტიტუციო ხარჯები 47, 48
 საკონტოკორენტო კრედიტი 312
 საკორპორაციო ხარკი 165, 175, 176
 „საკუთვნი ხარკები“ 93
 საკურორტო ხარკი 298
 სალაროები, 38 და შ.
 „ ბელგიაში 34
 „ გენერალური 33
 „ თემებში 36, 37
 „ რუსეთში 34
 „ ს. ს. რ. კ.-ში 37 და შ.
 „ ინგლისში 34
 „ ცენტრალური 33
 სალატარიო სესხი 319
 სალიცენზიო გამოსაღები 233
 „ საფასური 83
 სამამულო კადასტრი 134
 სამარადისო რენტა 320
 სამართალი, საფინანსო 8. 9
 სამართლის წარმოების მართველობა 49
 სამემკვიდრო იჯარა 58, 59
 სამემკვიდრო უფლება
 ს. ს. რ. კ.-ში 228, 229
 სამეურნეო კანონი 23
 „ პერიოდი 17, 18
 „ შემოსავალი 55 და შ.
 სამთო რეგალი 67, 71
 სამიმოქცევეო ხარკი 233
 სამინისტროები 18, 35, 48
 სამიჯნო ბაჟი 302 და შ.
 ს. ს. რ. კ.-ში 303 და შ.
 სამონეტო საქმე 67, 75
 სამოხელეო საფასური 82
 სამრეწველო ბაღების და ბოსტნების გა-
 დასახადი 146
 სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის სა-
 ფასური 83
 სამრეწველო სააქციო საზოგადოება 67, 70
 „ სარეწავლები 67 და შ.
 სამტრედია, სარენტო ხარკი 342
 სამხედრო ხარკი 196, 197
 ბავარიაში 197
 ვიურტემბერგში იქვე

სიფრანგეთში იქვე
 იტალიაში იქვე
 რუსეთში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში იქვე
 სამხრეთ-ოსეთი
 ერთგობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი 294
 სანავეთო კადასტრი 139
 სანაღწა, საქავერო და სარკინისგზო მი-
 მოსვლის ბილეთების ხარკი 292
 სანარდო საფასური 82
 სანაცვლო გადასახადი 208
 სანთლის აქციზი 2-5
 სანოტარო საფასური 83
 საპატენტო გამოსაღები 152 და შ.
 საპატენტო ხარკი, საფრანგეთში 149
 საპროვინციო სესხი 319, 320
 საპროვინციო სალარო 10
 სარგებლიანი სესხები 334
 სარგებლიანობის თეორია 88
 სარგებლის ნორმა 323, 324
 „ რედუქცია 323
 „ შემცირება იქვე
 სარგებლობის საფასური 81
 სარეინ-რურო გადასახადი 201
 სარენტო ბანკი 315
 „ ვალი 320
 „ სესხი 321
 „ ხარკი 144 და შ., 312, 343
 ადგილ. საბჭოები 145
 საქართველოში 342
 ახალქალაქში იქვე
 ახალციხეში იქვე
 ბათომში იქვე
 ბორჯომში იქვე
 გორში იქვე
 დუშეთში იქვე
 ზესტაფონში იქვე
 ზუგდიდში იქვე
 ოზურგეთში იქვე
 ონში იქვე
 თილავში იქვე
 სამტრედიისში იქვე
 სენაკში იქვე
 სიღნაღში იქვე
 სოხუმში იქვე
 ფოთში იქვე
 ქუთაისში იქვე
 შაჰმიანში იქვე
 ცხინვალში იქვე
 ხაშურში იქვე
 ხონში იქვე
 სარეაარაციო გადასახადები. 103, 311
 სარეწავი ხარკი 148 და შ.
 ბავარიაში 150
 პრუსიაში იქვე

რ. ს. ფ. ს. რ.-ში 151
 საფრანგეთში 149
 საქსონიაში 150, 151
 ს. ს. რ. კ.-ში 151 და შ.
 სარკინისგზო, სწაოსნო და სპაერო მი-
 მოსვლის ბილეთების ხარკი 242
 სარკინისგზო მიმოსვლის ბილეთების და
 გადაზიდული ტვირთის ხარკი იქვე
 სასამართლოს საფასური 83
 ,, დადგენილებათა სისრულე-
 ში მოყვანის საფასური 83
 სასერიო ლატარია 76
 სასიცოცხლო რენტა 320
 სასმელების ხარკი 247 და შ.
 გერმანიაში 249, 250, 254, 258 და შ.,
 266, 267
 ს. ს. რ. კ.-ში 250 და შ., 254 და შ.,
 260 და შ., 267, 268
 სასული ხარკი 161, 162
 სატარიფო ხარკები 94
 სატრანსპორტო სერტიფიკატები 335
 სატრანსპორტო ხარკი
 გერმანიაში 2 2, 297
 ს. ს. რ. კ.-ში 291, 292, 297
 საურთიერთო დაბეგვრის უფლება 102
 საფასური 78 და შ.
 ,, ადგილ. საბჭოებისა 84
 ,, ბირჟის გარეშე გარიგებათა რე-
 გისტრაციისთვის 83
 ,, გამოგონების პატენტებისთვის
 იქვე
 ,, ვიზის და საცხოვრებელი ნე-
 ბართვისთვის იქვე
 ,, ,, თევზის ჭყრის უფლებისთვის 84
 ,, ,, მართველობისა 81
 ,, ,, მტკიცე 83
 ,, ,, მარტივი საღერბო 83
 ,, ,, ნადირობისათვის 84
 ,, ,, ნავთსადგურით სარგებლობი-
 სთვის იქვე
 ,, ,, ნაწარმოებთა წარმოშობის და-
 მამოწმებელ საბუთებისთვის 83.
 საფასური, ორთქლის ქვაბების და უში-
 შროების ტექნიკურ ზედამხედველობის-
 თვის 83
 საფასური, პროპორციული საღერბო იქვე
 ,, სარგებლობისა 81
 ,, სამოხელეო იქვე
 ,, საცალო 82
 ,, სანარდო იქვე
 ,, საღერბო იქვე
 ,, სასამართლოსი 83
 ,, სანოტარო იქვე
 ,, საკონსულო იქვე
 ,, სალიცენზიო იქვე

,, სასამართლოს დადგენილებათა
 სისრულეში მოყვანისათვის იქვე
 ,, სავაჭრო ნიშნების რეგისტრა-
 ციისთვის იქვე
 ,, სამრეწველო ნიმუშების რეგის-
 ტრაციისთვის იქვე
 ,, საზომ-საწონის შემოწმებისა-
 თვის 84
 ,, უცხოეთის პასპორტებისა 83
 ,, ზღვრულ ხარკის და კონოსამენ-
 ტების ხელშეკრულებათა რე-
 გისტრაციისთვის 84
 ,, ცვალებადი 82
 საფეიქრო ნაწარმოებთა აქციზი 286 და შ.
 სინდიკატი 239
 საფინანსო აღწერა 8
 ,, გეგმა 17
 ,, განყოფილებები 32
 ,, ისტორია 8
 ,, კანონი 23
 ,, მართველობა 29 და შ.
 ,, ს. ს. რ. კ.-ში 31 და შ.
 ,, მეურნეობა 1 და შ.
 ,, მეცნიერება 5 და შ.
 ,, მომხსენებელი 36
 ,, მონოპოლია 231
 ,, პერიოდი 18
 ,, პოლიტიკა 6
 ,, სამართალი 8
 ,, სამინისტრო 29
 ,, სახარკო ნაწილი 32
 ,, სტატისტიკა 9
 საფისკო საფასური 81
 საფოსტო იძულება 64
 საფრანგეთი
 გაუმჯარებელი ვალი 313
 დომენები 57
 ვალის დავთარი 324
 თამბაქოს მონოპოლია 269
 მემკვიდრეობის ხარკი 225
 პარფიუმერიის და ფარმაცევტიული
 საგნების დაბეგვრა 280
 ,, პირადი ხარკი 162
 რკინისგზები 66
 სამხედრო ხარკი 197
 სამატენტო ხარკი 149
 სარეწავი ხარკი იქვე
 საფასურები 80
 საქონე-საშემოსავლო ხარკები 137
 საშემოსავლო ხარკი 168
 საჭიშკრო გადასახადი 126
 სახარკო სისტემა 125
 ქალიქების სარეწაოები 76
 დვინის ხარკი 253
 შაქრის ექსპორტი 244

საფურარის აქციზი 268
 საქალაქო ბანკები 73
 „ ლომბარდები 75
 „ შემნახველი ბანკები 73
 საქართველო
 გასასწორებლად წარდგენილი ანგარი-
 შების ხარკი 294)
 დამატებითი რენტის შემოსავალი 145
 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკი
 144, 338 და შ.
 ექვსპროცენტიანი მოგებიანი სესხის
 რეალიზაცია 332
 მოხმარების პირდაპირი ხარკები 298, 299)
 მოხმარების არაპირდაპირი ხარკები 294
 მიწების შემოსავალი 61
 მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკის
 შემოსავალი 230
 რკინისგზით და წყალსავალი გზით შე-
 მოტანილი და გატანილი ტვირთის
 ხარკის შემოსავალი 292
 საბინაო ხარკის შემოსავალი 298
 საკურორტო ხარკი 298
 სამხედრო ბეგარის სანაცვლო ხარკის
 შემოსავალი 198
 სარენტო ხარკი 342
 სარეწავი ხარკის შემოსავალი 157
 საშემოსავლო ხარკის შემოსავალი 185
 საშენობო ხარკის შემოსავალი 148
 სატრანსპორტო საშუალებათა ხარ-
 კი 299
 სატყეო შემოსავალი 63
 სახელმწიფო შინაგანი 100/0-იანი მო-
 გებიანი სესხის რეალიზაცია 333
 სახელმწიფო შინაგანი 60/0-იანი მოგე-
 ბიანი სესხის რეალიზაცია 334
 სოციალური დახვევის შენატანის შე-
 მოსავალი 202
 ფულის შიშობევა 317, 318
 ძირითადი რენტის შემოსავალი 145
 საქვეთარო ხარკი 218
 საქონებო-საშემოსავლო ხარკები 135
 და შ.
 ავსტრიაში 137
 ბადენში იქვე
 ბავარიაში იქვე
 ბალკანეთის სახელმწიფოებში იქვე
 ბელგიაში იქვე
 გერმანიაში 137, 138
 ესპანეთში 137
 ვიურტემბერგში იქვე
 ვეკლენბურგში იქვე
 პრუსიაში 137, 138
 საფრანგეთში 137.
 უნგრეთში იქვე
 ჰესენში იქვე
 საქონებო ხარკი 188 და შ.
 გერმანიაში 190 და შ.

შვეიცარიაში 190
 ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში იქვე
 პოლანდიაში იქვე
 საქსონია, გენერალური სამომხმარებლო
 აქციზი 275
 ლატარია 76
 სარეწავი ხარკი 150, 151
 ტყეები 62
 საღებბო მარკები 82, 83
 „ საფსური იქვე
 „ ქალაღი იქვე
 საყოველთაობა დაბეგვრისა 111 და შ.
 საშემოსავლო ხარკი 161 და შ.
 ბავარიაში 147
 ბათომში 181
 ბაქოში იქვე
 გერმანიაში 168 და შ., 337, 338
 ერევანში 181
 ინგლისში 167
 ლენინაკანში იქვე
 მოსკოვში იქვე
 პრუსიაში 163
 საფრანგეთში 168
 ს. ს. რ. კ.-ში 177 და შ.
 ტფილისში 181
 ქუთაისში იქვე
 საშენობო ხარკი 146 და შ.
 პრუსიაში 147
 ს. ს. რ. კ.-ში 148
 საჩივრის წესი 130
 საცალო ვაჭრობის ხარკი 276
 „ საფსური 82
 საწარმოს ხარკი 200
 საწნების ხარკი 253
 საწყობები, საბაზისი 235
 საწყობის ხარკი 253
 საკომერცო გადასახადი 126, 244
 „ ხარკი 253
 სახაზინო ბილეთები 312, 317
 თამაშუქები 312
 „ ნაწილი 38 და შ.
 სახარინის დაბეგვრა 245
 „ მონოპოლია 246
 სახარკო ბარათი 174
 „ განაკვეთი 92
 „ დეკლარაცია 127, 181
 „ ექვივალენტი 208
 „ ერთეული 91
 „ ვალდებულება, შეზღუდული 97
 „ ვალდებულება შეუზღუდველი 97
 „ თერმინები 91 და შ.
 „ კადასტრი 92
 „ კომპეტენციები 98 და შ.
 „ მარკები 132
 „ მონოპოლია 256, 231
 „ ნიშანი 269

სახარკო ნიშნების გაყალბება 133
 " ნუსხა 93
 " სისტემა 124 და შ.
 " გერმანიაში 124, 125
 დიდ ბრიტანეთში 125
 საფრანგეთში 125, 126
 ს. ს. რ. კ.-ში 126, 127
 სახარკო სესხი 310
 " სუვერენობა 96 და შ.
 " ტარიფი 92
 " შენდობა 134
 " წესები 108 და შ.
 " პორიზონტალი 115, 116
 სახარკომეტრი 248
 სახარჯთაღრიცხვო იძულება 27
 " -სახარკო მაგიდა 32
 სახელმწიფო ბანკი 37, 38, 72 და შ.
 " ს. ს. რ. კ.-ში 73, 74
 სახელმწიფოს გაკოტრება 326 და შ.
 სახელმწიფო კონტროლის მთავარი სამ.
 მართველო 40, 41
 სახელმწიფო სავაჭრო სარეწაო 69, 70
 " სასპირტო მონოპოლიის ცენ-
 ტრალური სამმართველო 261
 " ტრესტი 68, 70 და შ.
 " შინაგანი მოგებიანი სესხი 333
 " ამიერ-კავკასიაში იქვე
 " შინაგანი 100%-იანი მოგებიანი
 სესხი 333
 " ამიერ-კავკასიაში იქვე
 " საქართველოში იქვე
 " შინაგანი 60%-იანი მოგებიანი
 სესხი გლეხური მეურნეობის მო-
 სამაგრებლად 334
 " ამიერ-კავკასიაში იქვე
 " საქართველოში იქვე
 " შემნახველი საღაროები 75
 სახელობითი ობლიგაციები 324
 " ქალაღები იქვე
 სახლების ხარკი 146 და შ.
 საჯარო ბიუჯეტი 17 და შ.
 " დომენი 57
 " ვაჭრობის ხარკი 294
 " კრედიტი 304 და შ.
 " უფლებრივი კავშირი 1 და შ.
 საჭაერო, სარკინისგზო და სანაოსნო მი-
 მოსვლის ბილეთების ხარკი 292
 სეკენდორფი 10, 11
 სელიგმანი 16
 სესხი
 ბელგიაში 311
 გერმანიაში იქვე
 ინგლისში იქვე
 იტალიაში იქვე
 საფრანგეთში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში 331 და შ.

შეერთებულ შტატებში 311
 შვეიცარიაში იქვე
 შვედიაში იქვე
 პოლანდიაში იქვე
 სესხი გამაგრებული 311, 331 და შ.
 " გაუმაგრებელი 311 და შ.
 " გრძელვადიანი 311, 331 და შ.
 " დაგირავებითი 310
 " დასაშრეტი 319
 " 60%-იანი მოგებიანი 332
 " 60%-იანი სახელმწიფო მოგე-
 ბიანი საინდუსტრიალიზაციო
 333, 335
 " 120%-იანი საგლხო მოგები-
 ნი 333
 " 120%-იანი შინაგანი 334
 " იძულებითი 310
 " კონსოლიდაციაქმნილი 311, 318
 " მეორე 80%-იანი 334
 " მესამე 80%-იანი შინაგანი 334
 " მოკლევადიანი 331 და შ.
 " მთავრობის მიერ უზრუნველ-
 ყოფილი 335
 " მტკიცევადებიანი 319
 " მოგებიანი 332 და შ.
 " მოკლევადიანი სახელმწიფო 70%-
 იანი, მოგებიანი 333
 " მესამე სახელმწიფო საგლხო
 მოგებიანი
 " ნებაყოფლობითი 310
 " ნატურალური 332
 " პირველი 80%-იანი შინაგანი
 334
 " პურის 332
 " რეგულიარულ-სარგებლიანი 319
 " საგარეო 309
 " საერთო ნდობის საფუძველ-
 ზე 310
 " სახარკო 310
 " სახელმწიფო შინაგანი მოგე-
 ბიანი 333
 " სახელმწიფო შინაგანი 60%-იანი
 მოგებიანი, გლეხური მეურნეო-
 ბის გასამაგრებლად 334
 " სახელმწიფო შინაგანი 100%-
 იანი მოგებიანი 333
 " სალატარიო 319
 " საპრემიო 319, 320
 " სარგებლიანი 334
 " საკომისიო 322
 " საქრისა 332
 " შინაგანი 309
 " შინაგანი, სამეურნეო აღდგენი-
 სა 335
 " ცენტრალური სასოფლო-სამე-

ურნეო ბანკისა 335
 სესხი ხელმოსაწერი 322
 „ 5⁰/10-იანი, საგლეხო მოგებიანი
 332
 სესხის აღება 322 და შ.
 არაპირდაპირი 322
 პირდაპირი იქვე
 „ გადახდა 326 და შ.
 „ დაშრეტა 326 და შ.
 გერმანიაში 329)
 „ ვალიუტა 324
 სელის ნართი 228
 სენაკი, სარენტო ხარკი 342
 სენაკის მაზრა
 ერთგზობითი ხარკი 291
 საჯარო ვაქრობის ხარკი იქვე
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 სერტიფიკატები, სატრანსპორტო 335
 სინდიკატი, ნავთობისა 284
 „ საფეიქრო 239)
 sinking fund 326
 სილნალი, სარენტო ხარკი 342
 სმითი 13, 12, 62, 103
 Социалев 16
 სოციალური დაზღვევისათვის შესატანი 202
 კეთილდღეობის დაწესებულე-
 ბანი 56
 სოხუმი
 სპატენტო გამოსადები 153
 სარენტო ხარკი 342
 სპეციალი ბიუჯეტი 19, 20, 28
 „ ნაცვალგება 4, 5
 „ საღარო 26, 37
 სპირტის აქციზი 260 და შ.
 ამიერ-კავკასიაში 262, 263
 ოურქმენისტანში 261
 ს. ს. რ. კ.-ში 260 და შ.
 უზბეკისტანში 261, 263
 სპეციფიური ბაჟი 350
 სრული მონოპოლია 232
 ს. ს. რ. კავშირი
 ადგილობრივი ბიუჯეტი 28, 29)
 „ საბჭოების შემოსავალი
 106 და შ.
 „ ხარჯები 53
 ამიერ-კავკასიის შემოსავალი 105 და შ.
 ანგარიშების ხარკი 299)
 ანგარიშწარმოება 39, 40
 არაყის აქციზი 260 და შ., 344
 ასახთის აქციზი 285
 აქციზების აკრეფის წესები 235 და შ.
 ბანკები 73 და შ.
 ბანკების მოგების განაწილება 75
 ბიუჯეტის ასრულება 25, 29)
 „ შიდაგეგმა-დამტკიცება 25
 „ გარეგანი 50, 59, 60

გასართობების ხარკი 292
 დაუბეგრავი მინიმუმი 118, 119
 ერთგზობითი ხარკი 291
 ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის და-
 ყოფილობა 24
 ვალის ნაშთი 335
 ვაქრობის შემოსავალი 60, 70
 ვოლგა-კამის არხში გატარებული
 ტვირთის ხარკი 292
 შედმეტი მოგების ხარკი 185 და შ.
 თამბაქოს აქციზი 271 და შ., 344
 თაფლის და სხვ. სასმელების აქციზი
 267
 კომუნალური სარეწაოები 77
 კონტროლი 40, 41
 ლუდის აქციზი 250 და შ.
 მანებები 71, 72
 მარილის აქციზი 243
 მემკვიდრეობის და ჩუქების ხარკი 228
 და შ.
 მერქანის გადასახადი 293
 მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადა-
 სახადი 141 და შ., 338 და შ.
 მიზნობრავი ხარკები 90
 მიმდინარე ვალი 334, 335
 მინიმუმი, დაუბეგრავი 118, 119
 მიწის წიაღი 338
 მოგებიანი სესხები 332 და შ.
 მოკავშირე რესპუბლიკების შემოსავა-
 ლი 105, 107, 338
 მონოპოლიები 237 და შ.
 მოხმარების პირდაპირი ხარკები 297
 და შ.
 მრეწველობის შემოსავალი 68, 69
 ნავთობის პროდუქტთა აქციზი 284
 ნატურალური სესხები 332
 ოქროს სამრეწველო სარეწაოთა ხარ-
 კი 157
 პარტიუმერიის და კოსმეტიკის ნაწარ-
 მოებთა აქციზი 286
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
 ცხადების ხარკი 294
 რადიო-ნაწარმოების ხარკი 292, 293
 რეზინის კალოშის აქციზი 290
 რკინისგზები 67
 რკინისგზით და წყალსავალი გზით
 შემოტანილი და გატანილი ტვირთის
 ხარკი 291, 292
 სახელმწიფო კონტროლის მთავარი
 სამმართველო 40, 41
 საღაროები 37, 38
 სამემკვიდრო უფლება 228, 229
 საბინაო ხარკი 291
 საბირეო გარიგებათა ხარკი 217, 343
 საბიუჯეტო უფლებები 105 და შ.

სათამაშო ქაღალდის მონოპოლია 237, 343, 344
 საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 105, 107
 საკურორტო ხარკი 298
 სამიჯნო ბაჟი 302, 303
 სამრეწველო ბალ-ბოსტნების ხარკი 145
 სამხედრო ბეგარის ხანაცვლო ხარკი 197, 198
 ს. ნაილის აქციზი 285
 ს. რენტო ხარკი 144, 145, 342, 343
 სარგებლიანი სესხები 334
 სარკინისგზო მიმოსვლის ბილეთების და გადახიდილო ბარჯისა და ტვირთის ხარკი 292
 სარკინისგზო, სანაოსნო და საჰაერო მიმოსვლის ბილეთების ხარკი 292
 სასოფლო-სამეურნეო ხარკი 141 და შ., 338 და შ.
 სატრანსპორტო სერტიფიკატები 335
 საფასურები 82 და შ.
 საფეიქრო ნაწარმოებთა აქციზი 286, 287
 საფინანსო მართველობა 31, 32
 საფურცის აქციზი 268
 საშემოსავლო ხარკი 177 და შ.
 საშენობო ხარკი 151 და შ.
 სახარკო სისტემა 126, 127, 338
 საქალაქო ლომბარდები 75
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 სესხები 331 და შ.
 სპირტის აქციზი 260 და შ.
 სხვადასხვა მიმოქცევის ხარკი 221, 222
 ტრანსპორტის ხარკი 291, 292, 299
 ტყეები 62, 63
 ფასეულობათა ბრუნვის ხარკი 157
 ფუძიანი შემოსავლის დაბეგვრა 117, 118
 ქაღალდის ფული 315 და შ.
 ღვინის აქციზი 254 და შ.
 ყაფის აქციზი 268
 შაქრის აქციზი 246, 344
 შემნახველი სალოაროები 75
 შესატანი სოციალური დაზღვევისათვის 202
 შეღავათი ოჯახური პირობების გამო 118, 119
 შინაური საქონლის ხარკი 294
 ჩაის აქციზი 267
 ჩუქების ხარკი 230
 წანახშის ხარკი 293
 სტატისტიკა, საფინანსო 9
 სუვერენობა, სახარკო 96
 სუვერენული სახელმწიფო 98
 სუბიექტიური ხარკი 94
 სუბიექტი ხარკისა 92
 სხვადასხვა მიმოქცევის ხარკი 221, 222

ტარიფი, დიფერენციალური საბაჟო 302
 303
 „ საბაჟო
 გერმანიაში 301
 ს. ს. რ. კ.-ში 302
 „ სახარკო 92
 „ შტაფელური 115
 ტაქსის საგვარეულო ოჯახი 63
 ტიურინგიის სახელმწიფოები
 შემნახველი სალოაროები 75
 Totalanweisung 38
 ტრალღესი 250, 256, 261
 ტრანსპორტის ხარკი 253, 291, 292
 Treasury bills 312
 ტულუზელი 9
 ტფილისი
 „ ხედმეტი მოგების ხარკი 186
 „ სპატენტო გამოსაღები 153
 „ სარენტო ხარკი 342
 „ საშემოსავლო ხარკი 181
 „ ღვინის აქციზი 255
 ტფილისის მაზრა
 „ ხედმეტი მოგების ხარკი 186
 „ მოხმარების პირდაპირი ხარკები 260,
 299
 პლაკატის, აფიშის, რეკლამის და განცხადების ხარკი 294
 საკურორტო ხარკი 298, 299
 საჯარო ვაჭრობის ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 ტყეები 57, 61, 62
 ბეგარიაში 62
 გერმანიაში იქვე
 ვიურტემბერგში იქვე
 პრუსიაში იქვე
 საქსონიაში იქვე
 ს. ს. რ. კ.-ში 62, 63
 უეროზიტი 285
 უზბეკისტანი
 „ აოაყის აქციზი 261, 263
 „ სასოფლო-სამეურნეო ხარკი 340
 „ სპირტის აქციზი 261, 263
 „ სათამაშო ქაღალდის მონოპოლია 237,
 343
 უმბფენბახი 15
 უნგრეთი, საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137
 უსაზღვრო ხანგრძლივობის იდეა საჯარო კავშირებისა 5
 უსახელო ობლიგაციები 324
 „ ქალღღებრი იქვე
 „ უფლება საურთიერთო დაბეგვრისა 102
 „ „ ხედამხედველობისა 27
 „ უფუძო შემოსავალი 116 და შ.

უფუძო შემოსავლის დაბეგვრა, ს. ს. რ. კ.-
ში 117, 118

უცხოეთის პასპორტების საფასური 83
უძრავი ქონების ფლობელობის ცვლის
ხარკი 208 და შ.

გერმანიაში 210, 211

ფაბრიკატების ხარკი 231, 233, 243 და
შ., 248 და შ., 267, 269, 271, 272
ფაბრიკა ასანთისა 272

„ თამბაქოსი 285

„ შალერის და ნოხებისა 67

ფაიფურის მანუფაქტურა იქვე

ფაკულტატიური ამოცანები 51

ფართობის ხარკი 147, 253, 258

ფასეულობათა ბრუნვის ხარკი 157

ფასეულობა, შემოსავლიანობითი 128

ფასეულობითი კადასტრი 139

ფასეულობის ბაჟი 301

„ ზრდის ხარკი 208 და შ.

გერმანიაში 211, 212

ხარკი 234

ფასიანი ქალაქების ხარკი 215

ფასის ხარკი 234

ფიზიოკრატები 124

ფილაქნისებური ჩაი, დაბეგვრა 267

ფინანსთა მართველობა 49

„ მინისტრი 29, 31, 35

„ სამინისტრო 30

„ სახალხო კომისარიატი 24, 25,

28, 29, 31, 32, 38 და შ., 40, 41, 83,

148, 152, 235 და შ., 317, 334

ფისკალური ბაჟი 266, 300, 303

„ მონაპოვია 56

ს. ს. რ. კ.-ში 237 და შ.

ფლორა 16

ფლოტისა და ჯარის მართველობა 48, 49
ფოთი

პლაკატის, აფიშის, რეკლამის და გან-
ცხადების ხარკი 294

საპატენტო გამოსაღები 153

სარენტო ხარკი 342

საჯარო ვაჭრობის ხარკი 294

ღვინის აქციზი

ფონდი, სადასაზრეტო 326

ფორბონენი 13

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარია-
ტი 293

ფოსტა 63, 64

გერმანიაში 64, 65

ფრიტრედერული სკოლა 121

„ფულის ნიშნები“ 316

ფუფუნების პირდაპირი ხარკი 295

„ საგანთა წარმოება-ვაჭრობის

საპატენტო გამოსაღები 153

ფუფუნების ხარკი, საბინაო 295

ფქვილის და ხორცის ხარკი 241

ქალაქების ბიუჯეტი 26, 27

ქარხანა, ლუდისა 250

„ სპირტისა 263

ქალაქები უსახელო 324

„ სახელობითი იქვე

ქალაქის ფული 314 და შ.

ამიერ-კავკასიაში 317, 319

ადრბაიჯანში 317

საქართველოში 317, 318

ს. ს. რ. კ.-ში 315 და შ.

ქვების ხარკი 231, 258

ქვოტიტატიური ხარკები 95

ქონების ზრდის ხარკი 198 და შ.

გერმანიაში 200

ქონების მიმოქცევის ხარკი 205 და შ.

გერმანიაში 200

შეფასება 207

ქსოვილი აბრეშუმისა, დაბეგვრა 286 და შ.

ქუთაისი

ზედმეტი მოგების ხარკი 186

საპატენტო გამოსაღები 153

სარენტო ხარკი 342

საშემოსავლო ხარკი 181

ქუთაისის მაზრა

პლაკატის, აფიშის რეკლამის და გან-

ცხადების ხარკი 294

საჯარო ვაჭრობის ხარკი იქვე

შინაური საქონლის ხარკი იქვე

ღვინის აქციზი 254 და შ.

ბათომში 255

ბაქოში იქვე

განჯაში იქვე

ერევანში იქვე

ლენინაკანში იქვე

ტფილისში იქვე

ფოთში იქვე

ღვინის ხარკი 255 და შ.

ბაღენში 254

ელზას-ლოტარინგიაში იქვე

ვიურტემბერგში იქვე

რ. ს. ფ. ს. რ.-ში 254

ს. ფრანგეთში 253

ს. ს. რ. კ.-ში 254 და შ.

ქავის აქციზი 268

„ დაბეგვრა 266

შანი 15, 163
 Schatzung 188
 შაუმიანი, სარენტო ხარკი 342
 შაქრის აქციები 216, 247, 344
 „ ექსპორტი
 ავსტრია 244
 ბელგია იქვე
 გერმანია 243
 იტალია 244
 საფრანგეთი იქვე
 შაქრის სესხი 332
 „ ხარკი 243 და შ.
 „ გერმანიაში 245, 246
 ს. ს. რ. კ.-ში 246, 247
 შედგენა ბიუჯეტისა 18
 შეერთებული შტატები,
 კავშირის სახარკო შემოსავალი 104
 საკორპორაციო ხარკი 165
 სესხი 311
 შეზღუდული სახარკო ვალდებულება 97
 შეთანხმება ლონდონისა 311
 შემნახველი საღაროები 75
 შემოსავალი, არაჩვეულებრივი 20, 26
 „ სამეურნეო 54 და შ.
 „ უფუძო 116
 „ ფუძიანი 116
 „ ჩვეულებრივი 26
 შემოსავლიანობითი ფასეულობა 128
 შემოსავლის აღრიცხვა 18, 19
 შემოსავლის და ქონების სპეციალი ხარ-
 კები 192 და შ.
 ავსტრიაში 193
 გერმანიაში იქვე
 ჩეხო-სლოვაკიაში იქვე
 შემოტანის ბაჟი 200 და შ.
 შემცირება საარგებლისა 325
 შენდობა, სახარკო 134
 შენი 13
 შენობების ხარკი 141 და შ.
 პრუსიაში 147
 ს. ს. რ. კ.-ში 148
 შესატანი სოციალური დაზღვევისათვის
 202
 შესაწირი საიმპერიო 193 და შ.
 შესრულებული ბიუჯეტი 24
 შეუზღუდველი სახარკო ვალდებულება 97
 შეფასება ხარკის ობიექტისა 129
 შეფასების ხარკი 201
 შეძენა, იძულებითი 4
 შეწერილი ხარკები 92
 შევიცარია
 არაყის მონოპოლია 257
 კავშირის სახარკო შემოსავალი 161
 რკინისგზები 66
 საქონეზო ხარკი 190
 სესხი 311

შევეცია, სესხი 311
 შინაგანი მართველობა 49
 „ მოხმარების ხარკი 231
 „ სესხი 309
 შინაური საქონლის ხარკი 294
 შმალი 13
 შორაპნის მაზრა
 ერთგზობითი ხარკი 294
 შინაური საქონლის ხარკი იქვე
 შორეული აღმოსავლეთის ბანკი 75
 შპალერის ფაბრიკები 67
 შრედერი 11
 შრომის შემოსავლიანობის ხარკი 160
 შრომის და თავდაცვის საბჭო 233, 267
 შტაფელური ტარიფი 115
 შტეინი 15
 შულა 287, 289
 ჩაის აქციები 267, 268
 ამიერ-კავკასიაში იქვე
 ჩაის დაბეგვრა 266
 ჩანჩუხი 287
 Censimento 139
 ჩერვონეცი 316 და შ.
 ჩერტეპარტის და კონსამენტების ხელშე-
 კრულობათა რეგისტრაციის საფასუ-
 რი 84
 ჩეხო-სლოვაკია
 არაჩვეულებრივი ხარკები 306
 ორმაგი დაბეგვრა 104
 ჩვეულებრივი გასავალი 20, 22, 26, 45
 „ შემოსავალი 20, 26
 „ ხარკები 95
 „ ხარჯები 20, 21, 22
 ჩრდილოეთ ამერიკის შტატები
 საქონეზო ხარკი 190
 ჩუქების ხარკი 225 და შ.
 გერმანიაში 225 და შ.
 ს. ს. რ. კ.-ში 230
 ცენტნერი, ორმაგი 242, 243
 ცენტრალური ბანკი 314
 „ სამისიო ბანკი 34
 „ სასოფლო-სამეურნეო ბან-
 კი 74
 „ სასოფლო სამეურნეო ბან-
 კის სესხი 335
 „ სახელმწიფო საღაროები 33
 „ „ცენტროსპირტი“ 261 და შ.
 ცეოზინი 285
 ცვლებადი საფასურები 82
 ცივილური ფურცელი 47, 48, 57
 ციკორის დაბეგვრა
 ინგლისში 280

იტალიაში იქვე
ს. ს. რ. კ.-ში 268
ცხენების ხარკი 297
ცხინვალი, სარენტო ხარკი 342

ძალღების ხარკი 296
ძირითადი რენტა 144
ძმრის მუჟავს ხარკი 251
ძროხის მატყლის ნართი 283

წამლების დაბეგვრა, ინგლისში 280
წანახშის ხარკი 293
წარმოების მონოპოლია 232
„ ხარკი 233
„ ხარჯები 47
წესი განსაჩივრებისა 131
„ დავისა იქვე
„ საჩივრისა 130
წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის სა-
ზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული
გასართობების ხარკი 292
წყარო ხარკისა 91
წყლით ჩამოხიდილი მერქანის ხარკი 293

ჭიათურა, სარენტო ხარკი 342
ჭიშკრის ხარკი 241, 253

ხარკვალდებული 92
ხარკი, ალას ჩანახისა 231
„ , ანგარიშებისა, 299
„ , აპარატისა 233
„ , არაპირდაპირი 93, 231
„ , არაჩვეულებრივი 95
„ , არვალი 147
„ , ასანთისა 231
„ , ასანთ ნივთიერებათა 281
„ , ბრუნვისა 275 და შ.
„ , გასავლისა 258
„ , გამოსახდელი ქვაბისა 256
„ , განაწილებული 95
„ , გასანათებელ საშუალებათა 281
„ , გასანაწილებელი 95
„ , გასართობ დაწესებულებათა 282,
283, 292
„ , გაწერილი 94
„ , დაზღვევისა 218 და შ.
„ , დანიხრული 94
„ , დასაბუთება და მიზანი 88, 89
„ , ერთგობითი 294
„ , ერთიანი სასოფლო სამეურნეო
141 და შ., 338 და შ.

„ , ეტლებისა 297
„ , ვაჭრობისა 234
„ , ვოლგა-კამის არხით გატარებული
ტვირთისა 292
„ , ზედმეტი მოგებისა 185 და შ.
„ , თამბაქოსი 231, 268 და შ.
„ , იარაღებისა 243
„ , კადასტრიანი 94
„ , კაპიტალის მიმოქცევისა 212 და შ.
„ , კაპიტალის სარგებლისა 157 და შ.
„ , კონტინენტდებული 95
„ , ლატარიისა 219, 221
„ , ლუდისა 231, 247 და შ.
„ , მარილისა 242, 243
„ , მეშვეიდრეობის და ჩუქებისა 222
და შ.
„ , მოძრავი ვაჭრობისა 149
„ , მოხმარებისა 230 და შ.
„ , მოხმარებისა, არაპირდაპირი 294
„ , მოხმარებისა, პირდაპირი 294 და შ.
„ , მოტორიანი ნაგებისა 297
„ , მოტოციკლებისა 296
„ , მფლობელობისა 198, 199
„ , მცენარისა 269
„ , ნაწარმოებისა 276
„ , ნახევარფაბრიკატისა 233, 243, 243
„ , ნედლი მასალისა 233, 243, 243,
249, 270 და შ.
„ , ომისა 203 და შ.
„ , ოქროს სამრეწველო სარეწაოთა
157
„ , პირდაპირი 23
„ , პირადი 94
„ , პლაკატის, აფიშის, რეკლამის და
განცხადებისა 294
„ , რადიო-ნაწარმოებისა 292
„ , რეალი 94
„ , რკინისგზით და წყალსავალი გზით
შემოტანილი და გატანილი ტვირ-
თისა 291, 292
„ , საადგილ-მამულო 138 და შ.
„ , „საავანსო“ 93
„ , საავტომობილო 296, 297
„ , საბინაო 295, 297, 298
„ , საბირჟო ბრუნვისა 216
„ , საბირჟო გარიგებათა 217
„ , სადოლო სანაძლეოს 219 და შ.
„ , საემისიო 221
„ , საევატრო 253
„ , საზოგადოებათა 214, 215
„ , სათამაშუქო 217, 219
„ , სათამაშო ქალაქისა 282
„ , საკლასო 162
„ , საკოორპორაციო 165
„ , საკუთენი 93

- „ , საკურორტო 298
 „ , სამიმოქცევო 233
 „ , სამრეწველო ბაღების და ბოსტნე-
 ბისა 146
 „ , სამხედრო 196 და შ.
 „ , სარენტო 141, 145, 342, 343
 „ , სარეწავი 148 და შ.
 „ , სარკინისგზო მიმოსვლის ბილე-
 თებისა და გადაზიდული ბარგის
 და ტვირთისა 292
 „ , სარკინისგზო, სანაოსნო და საჰაე-
 რო მიმოსვლის ბილეთებისა იქვე
 „ , სასმელებისა 247 და შ.
 „ , სასოფლო-სამეურნეო 141 და შ.,
 338 და შ.
 „ , სასულო 161, 162
 „ , სატარიფო 93, 94
 „ , სატრანსპორტო 253, 282, 291,
 292, 297, 299
 „ , საკვითარო 218
 „ , საქონებო 188 და შ.
 „ , საქონებო-საშემოსავლო 135 და შ.
 „ , საშემოსავლო 161 და შ.
 „ , საცალო ვაჭრობისა 276
 „ , საწარმოსი 200
 „ , საწინებისა 253
 „ , საწყობისა იქვე
 „ , საჭიშკრო 241, 253
 „ , სახეები 93 და შ.
 „ , სახლებისა 146 და შ.
 „ , სისტემატიური დანაწილება 96
 „ , სუბიექტიური 94
 „ , სხვადასხვა მიმოქცევისა 221, 222
 „ , უძრავი ქონების მფლობელობის
 ცვლისა 208 და შ.
 „ , ფაბრიკატისა 231, 223, 243, 245,
 248, 249, 256, 267, 269, 271,
 272
 „ , ფართობისა 147, 253, 268
 „ , ფასეულობათა ბრუნვისა 157
 „ , ფასეულობისა 234
 „ , ფასიანი ქალაქებისა 215
 „ , ფასისა 234
 „ , ფქვილის და ხორცისა 241
 „ , ფუფუნებისა, პირდაპირი 295
 „ , ქვებისა 231, 238
 „ , ქვოტიტატიური 95
 „ , ქონების ზრდისა 198, 200
 „ , ქონების მიმოქცევისა 205 და შ.
 „ , შაქრისა 243 და შ.
 „ , შემოსავლის და ქონებისა, სპეცი-
 ალი 192 და შ.
 „ , შენობებისა 146 და შ.
 „ , შეფასებისა 201
 „ , შეწერილი 52
 „ , შინაური საქონლისა 294
 „ , შრომის შემოსავლიანობისა 160
 161
 „ , ჩვეულებრივი 95
 „ , ჩუქებისა 225
 „ , ცნება 86, 87
 „ , ცხენებისა 297
 „ , ძაღლებისა 296
 „ , ძმრის მკვასის 283
 „ , წანახშისა 293
 „ , წარმოებისა 233
 „ , წონისა 269
 „ , წყლით ჩამოზიდული მერქანისა
 293
 „ , კიშკრისა 241, 253
 ხარკთა სისტემა 122 და შ.
 ხარკის აკრეფა 131 და შ.
 „ , ანაზღაურება 122
 „ , არიდება იქვე
 „ , გადაკისრება 119 და შ.
 „ , გაპარვა 134, 135
 „ , დამალვა 133
 „ , დანაკლულება იქვე
 „ , დესტინატარი 92
 „ , იძულებითი გადახდევინება 132
 „ , მზიდველი 92
 „ , მოპარვის დაფარვა 133
 „ , ნორმა 92
 „ , ობიექტი 91
 „ , ობიექტის შეფასება 129
 „ , საზომი საფუძველი 91
 „ , სუბიექტი 92
 „ , შეწერა 127 და შ.
 „ , წყარო 91
 ხარკოვი, საპატენტო გამოსაღები 153
 ხარჯები 42 და შ.
 „ , ადგილობრივი 53
 „ , არაჩვეულებრივი 20, 21, 305
 „ , მართვა-გამგეობისა 47
 „ , მართველობისა 48 და შ.
 „ , ომისა 305
 „ , საადმინისტრაციო 48 და შ.
 „ , სათემო 43, 51 და შ.
 „ , საკონსტიტუციო 47, 48
 „ , შეიარაღებრისა 305
 „ , ჩვეულებრივი 20, 21, 22
 „ , წარმოებისა 47
 ხარჯების აღრიცხვა 18
 ხაზური, სარენტო ხარკი 342
 ხელმოსაწერი სესხი 322
 ხელოვნური მინერალური წყლების და
 ხილის აქციზი 267
 ხელოვნური ნახშირმკვავა სასმელების და
 მინერალური წყლების დაბე-
 გვრა 265

ხელფასის ხარკი 174
 ხელშეკრულება ვერსალისა 102, 103, 311
 ხილის და ხელოვნური წყლების აქციზი 267
 Ходский 16
 ხონი, სარენტო ხარკი 342
 ხუთპროცენტიანი საგლეხო მოგებიანი
 სესხი 332

ჯარისა და ფლოტის მართველობა 48, 49
 ჯორჯი 124
 ჯუტის ნართი 288

ჰარლი 13
 Handwörterbuch der Kommunalwissen-
 schaften 27
 ჰელიუმის მონოპოლია 238
 ჰესსენი
 გამოსაღები 84
 საქონებო-საშემოსავლო ხარკი 137
 ჰილზის აქციზი 274, 275
 ჰობბსი 16
 ჰოლანდია
 საქონებო ხარკი 190
 სესხი 311
 ჰორიზონტალი, სახარკო 115, 146

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი	არის:	უნდა იყოს:
16	ქვევიდან	ნ	ჩვენი
31	ზევიდან	ნ	ქველი
"	"	11	არაპირდაპირი ხარკთა
53	"	21	სოციალური დაზღვევისა
58	ქვევიდან	17	მიიღო.
81	ზევიდან	19	წარმოდგენს
84	"	1	კონოსამენტების, ხელშე- კრულობათა
85	"	9	ნიშნულობის
106	"	13	ბირჟაში შესრულებულ ან გატარებულ გარიგებათა,
115	"	8	შემოსავლი
130	"	15	განიხილავს
143	"	20	0—60
147	ქვევიდან	20	საუკეთესო წესია
205	"	17	და სხვ.)
218	"	17	სახელმწიფოში
225	"	14	ჩვეულებრივი
237	"	20	აქცზების
251	ზევიდან	19	შეადგენს;
253	"	12	ფაბრიკატის ხარკის
259	"	22	ასეღ
"	ქვევიდან	13	სრულიად
260	ზევიდან	19	მონოპოლის
261	"	16	1928 წ. 6 ივლისის
266	ქვევიდან	9	ალკოჰოლის
272	"	18	და სხვ.,
			საბირჟო გარიგებათა
			შემოსავალი
			განიხილავს
			50—60
			უმჯობესი წესია
			და სხვ.
			სახელმწიფოში.
			ჩვეულებრივი
			აქციების
			შეადგენს:
			ფაბრიკატის ხარკის
			ასეღ
			სრულიად
			მონოპოლიის
			1927 წ. 6 ივლისის
			ალკოჰოლიან
			და სხვ.);

ფანი 3 მან. 25 კპ.

33

249

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კეცხოველის ქუჩა № 3.

მთავლიტი 2126. შეკვეთა 470. ტირაჟი 3100.